ფრიდრიხ ნიცშე

ესე იტყოლა ზარატუსტრა

ფრიდრიხ ნიცშე - ესე იტყოდა ზარატუსტრა

ერეკლე ტატიშვილი – ფრიდრიხ ნიცშე

I

ნიცშეს ცხოვრება მისი საკუთარი აზროვნების დრამის განცდაა. იგი თვითონ არის თავისი სულიერი ტრაგედიის გმირი, ჯალათი და მსხვერპლი. მისი ყოველი აზრი პერსონაჟია, რომელიც ლანდის სახით კვლავ იზიდავს მას მომხიბლავი მაცდურობით შემეცნების წარმტაც, მაგრამ სახიფათო მწვერვალებისაკენ.

ნიცშე უკიდურესობის ჯადოქარია, ახალი სიტყვის მაუწყებელი. მასში ბრძენი, მეცნიერი და მსახიობი ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებიან და შეურიგებელ ბრძოლას შეშლილობის აპოთეოზით აგვირგვინებენ.

მისი პირველი გატაცების საგანი შოპენჰაუერია, ფრანკფურტელი პესიმისტის ზეგავლენით ნიცშე ანტიკურ საბერძნეთში ეძიებს სფინქსის ამოცანას, ადამიანის და არსებობის საიდუმლოებას. ერთხანად მას მხოლოდ საბერძნეთი ჰყავს საოცნებოდ. ჰგონია, რომ იქ, ძველი ელადის კიდეებზე განხორციელდა არა მარტო ფილოსოფიის, არამედ თვით ფილოსოფიური ცხოვრების იდეალიც, რომ იქ, აკროპოლის და დიონისეს თეატრის ნანგრევებში, ტრაგედია - საბერძნეთის ხელოვნების სული - მას წინ გადუშლის ელევზინის და დელფის მისტერიას. იგი აღტაცებაში მოჰყავს ჰერაკლიტეს. „ქვეყნიერებისათვის მუდამ საჭიროა ჭეშმარიტება - ამბობს ნიცშე, - და თუ ეს ასეა, მას მუდამ დასჭირდება ჰერაკლიტე“...

მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი შეფერხებაა. მალე ის უსულო ნანგრევებს გარდა ვერაფერს დაინახავს.

სად გაჰქრა საარაკო გმირთა წყება, რომელი ნაშთი დაარღვევს აკლდამის მყუდროებას, რომელი ნანგრევი გამოეხმაურებოდა მას

ღვთაებრივი ხოროს ბანით?!

ამ ხანებში ნიცშე უახლოვდება რიჰარდ ვაგნერს. მისმა ტიტანურმა პიროვნებამ და მუსიკამ სრულიად შეიპყრო ყრმა ნიცშეს სული და გაიტაცა.

შოპენჰაუერის აზრით, მუსიკა საგნების სულის მხილებაა და მათი უშუალო ექსპრესია. ვაგნერის დრამების უმთავრესი მოტივები და ჰარმონია მართლაც გვიმხელენ მოქმედთა სულიერ მოძრაობას და თითქმის ჩვენი თვალით გვაყურებინებენ მათი გულის ძგერას.

ნიცშე ნეოფიტის აღტაცებით შეჰყურებს ვაგნერის შემოქმედების ელვარებას და ფიქრობს, რომ მან უკვე აღმოაჩინა ის, რასაც ელადის სასაფლაოზე ამაოდ ეძიებდა. საბერძნეთის ტრაგედია მის თვალში აწ სულ ახალი ელფერით იხატება. მიუხედავად იმ უფსკრულისა, რომელიც არსებობს თანამედროვე და ანტიკურ თეატრს შორის, ნიცშე რწმუნდება, რომ ტრაგიკული გრძნობა ყოველგან და ყოველთვის ყოფნა-არყოფნის მისტერიის ნაკადია.

ნიცშეს პირველი წიგნი „Die Geburt derTragodie“ (1872) დაწერილია ვაგნერის და შოპენჰაუერის ძლიერი ზეგავლენით. საბერძნეთის ხელოვნება ნიცშეს წარმოდგენილი აქვს აპოლონური და დიონისური ელემენტების კომბინაციად. მშვენიერი ინდივიდუალიზმის სანახაობა, პოეზიის და სიზმრის წყარო, გადახლართული უნივერსალური შემოქმედება-დანერგვის, თავდავიწყების და მუსიკის ჩანჩქერთან! ტრაგედია უნდა გვათრობდეს ერთ და იმავე დროს ინდივიდუალური არსებობისა და კოსმიურ ძალთა სრბოლით. საშინელების და სიბრალულის გზით ის უნდა გვიტაცებდეს დიონისეს სამხიარულო ფერხულისაკენ, სადაც თავდავიწყებულნი ჩვენ შევუერთდებით არსთა-არსის შეუმუსრავ მოძრაობას და მარადობის შემოქმედ ქარიშხალს.

ეს იყო ნიცშეს პირველი გალაშქრება ოფიციალური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელიც ანათემით დარისხავს მას - ბაზელის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროფესორს. ნიცშეს გაბედულმა

სიტყვამ და ტრაგედიის გამარტივებამ ვაგნერის მუსიკის შემწეობით გამოიწვია გაშმაგებული კრიტიკა, რომელიც ცდილობდა მისი აღმაფრენის ფრთების შეკვეცას, მაგრამ ამაოდ... ამიერიდან ნიცშე უკვდავების წიაღშია მოქცეული!

შემდეგ წლებში ნიცშე აღრმავებს თავის პირველ წიგნში გამოთქმულ აზრებს. ფილოსოფიაში იგი კვლავ შოპენჰაუერის ერთგული მოწაფეა. უკუაგდებს ღმერთს და ადამიანის სულის უკვდავებას. მას სწამს მხოლოდ ტრანსცენდენტური რეალობა, როგორც ბუნების და კაცობრიობის ძალთა და იდეათა იერარქია, ფილოსოფიის სახელით ომს უცხადებს პოზიტივისტურ მეცნიერებას, რომელიც მოვლენათა მხოლოდ გარეგნობას აღნიშნავს და ლამობს ცხოვრების კანონებით შებოჭვას. ინტუიციის და მეცნიერების სახელით ნიცშე ებრძვის ისტორიის ტირანიას. ხელოვნება და არა ისტორია, ამბობს ის, არის რეალური არსებობის ინტერპრეტაცია და ამისათვის ქვეყნიერებას სხვა არავითარი ღირებულება არა აქვს-რა, თუ არა ესთეტიკური ფენომენისა. ნიცშე აცხადებს გენიალობის სუვერენობას და ქმნის მის კულტს, რადგანაც გენია არის ტრანსცენდენტური ჭეშმარიტების გამომხატველი, მისი მაუწყებელი და მამხილებელი. ვაგნერი ერთი მათგანია დროთა გარეშე შობილი, მარადობის ქადაგი, გერმანიის კულტურის მხსნელი, დიონისეს და აპოლონის ხელოვნების ახალი მოციქული...

II

ათი წლის შემდეგ ნიცშე უწოდებს ვაგნერს დეკადანსის მთავარს, თანამედროვე მუსიკის გამრყვნელს და უარსა ჰყოფს მისი დრამატიული შემოქმედების ნიჭს.

თვით ნიცშე არაფერს ამბობს ასეთ ცვლილებაზე. იგი მხოლოდ აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრების უდიდესი გამოცდილება, ჩემი სნეულებისაგან განთავისუფლებაა, ვაგნერი ერთი ჩემი სნეულებათაგანი იყო“. ნიცშე მართლა სასწაულს ჩადის. იგი ძირს ამხობს თავის გუშინდელ სათაყვანებელ კერპს და ტრიუმფატორის სილაღით ფეხქვეშ თელავს არა მარტო ტანჰოიზერის და

ლეონგრინის, არამედ მთელ თავის ოლიმპს, ყველა მისი ღმერთებით.

„Menschiches, Allzumenschliches“ (1878) ნიცშეს სავსებით მეტამორფოზის სარკეა. მას აღარა სწამს არც გენიალობა, არც მეტაფიზიკა, აღარც ხელოვნება და კაცობრიობა. გუშინდელი აღფრთოვანებული იდეალისტი დღეს უკიდურესი პოზიტივისტი და სკეპტიკოსია, რომელიც უარს ჰყოფს ტრანსცედენტურ ჭეშმარიტებას, როგორც ფანტასმაგორიას და აღიარებს მოვლენათა დაუსაბამო, დაუსრულებელ, უმიზნო ცვალებადობის ერთადერთ რეალობას.

ხელოვნება ქიმერის მონაა, თვით საბერძნეთის პოეტები, რომელთაც ნიცშე ერთ დროს დიდ პატივს სცემდა, სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა აქტიორებს და ჭეშმარიტების დამმახინჯებელ გამოქნილ მატყუარებს. დიონისეს ხელოვნების ქურუმნი გრძნობით მთვრალნი; ენთუზიაზმია არაყი, რომელიც ნერვებს უშლის ველურ ადამიანს და ღუპავს მას; გენიალობა - იაფფასიანი დიდება და ატავიზმის შედეგია; ზნეობა - ეგოიზმი და ინტერესი, ექსტაზიური ბახუსის მაგიერ - გონიერი სოკრატე... და, ამიტომ Hiat veritas! Pereat vita!

ამიერიდან ნიცშე თავს ანებებს ცხოვრების შარა-გზას და საკუთარი ბილიკით მიისწრაფვის უდაბნოსაკენ, რომლის ცისკამარა თანდათან იქუშება შავი ღრუბლებით და დაღუპვას ემუქრება მწირ მოგზაურს...

„რა დაემართა ღმერთს? მე გეტყვით! ჩვენ ის მოვკალით! ჩვენ ყველანი მისი მკვლელები ვართ!“ მაგრამ შესძლებს თუ არა ნიცშე ამის ატანას? რა წყალი გაჰბანს მის ღმერთების სისხლში გასვრილ ხელებს? იპოვის თუ არა თავშესაფარს უმეგობრო, უსახლკარო, მოხეტიალე აჰასფერი?..

ნიცშე ახორციელებს XIX საუკუნის ანტირელიგიურ ტენდენციას. სინამდვილე და არა ილუზია. სამყარო მოკლებული ღმერთს, საყრდნობელს, წესებს, პერმანენტ სუბსტანციას, უაზრო, უმიზნო, ცარიელი - ასეთია ნიცშეს ფენომენალიზმი.

ამაოდ ცდილობს ნიცშე ისეთი ავტორიტეტის გამონახვას რომელიც დაიჭერს დამხობილი ღმერთის ადგილს. „ზნეობრივი შეგნება“ და მისი იმპერატივი, „გონიერება“, „სოციალური ინსტინქტი“, „ისტორია“, „უმრავლესობის ბედნიერება“, ან ყველა ამის მაგიერ აგნოსტიციზმი და ბოლოს ცხოვრება არარაობაა, ხოლო ჩვენი შემეცნება კი - ბიოლოგიური ფანტასმაგორია და ფალსიფიკაცია...

ნიცშე ჰკლავს ღმერთს, მაგრამ მისი აჩრდილი?

„მგზავრო ვინა ხარ შენ? დაისვენე, - დავისვენო? - უცნაური ყოფილხარ! - რა საჭიროა დასვენება? - უკეთესი იქნება მომცე ნიღაბი. - რა? კიდევ ერთი ნიღაბი“... ნიცშესათვის საჭიროა ნიღაბი, ეხლა იგი მოგზაური და მისი ჩრდილია, რომელიც გადაეღობება შეღამებული დღის შორეულ ცისკრებს და მაცდური ლუციფერის ხმით ჩასჩურჩულებს ყურში: „განა შენ არ დაიფიცე ბოლო მოუღო ყველა ქიმერებს? მოსპე, მოსპე, ზეციური აბსურდი, სიზმარი, გასწი შენი საკუთარი სამეფოსაკენ, სადაც შენ მარტოდ-მარტო იმეფებ“. ამაოდ ეძებს ნიცშე მარტოობას. იგი გარს მოუცავს მრავალ აჩრდილს. თან სდევენ მის მიერ

უარყოფილი „მავნე ჯადოქარნი“ - შოპენჰაუერი და ვაგნერი. „რა გსურთ ჩემგან? - ეკითხება მოგზაური, დიდიხანია, რაც მე თქვენ დაგხოცეთ, წყეულო მოჩვენებანო!“ „ჩვენ მხოლოდ შენი მასწავლებელთა ლანდები ვართ. შენ მათი ბეჭედი გაზის და ამიტომ დაგყვებით თან. ლანდის მოკვლა შეუძლებელია. ჩვენ შენი ატმოსფეროს სტუმარნი ვართ“, უპასუხებენ აჩრდილნი. ნიცშე სასტიკად ამათრახებს აბეზარ სტუმრებს და შეუპოვრად განაგრძობს გზას, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე მოესმის მათი იდუმალი ხმა: „აქა ვართ, უფრო შორს გასწი“... მართლა წინ წავა, რომ შეხვდეს თავის გულნადებ ზარატუსტრას.

III

„Die frohliche Wissenschaft“ (1882) ნიცშეს ახალი მეტამორფოზის კვირაძალია. „მე მსურს ვიფრინო, მხოლოდ ვიფრინო“, ამბობს ის.

ნიცშეს აღარ აკმაყოფილებს პოზიტივიზმის ხუნდების ტარება. მისი ოცნებით სავსე ბუნება ვეღარ ურიგდება დეტერმინიზმის ატმოსფეროს, რომელიც იკისრა, როგორც ეპიტიმია. Eh bien, vogue la galere თავისუფლებისაკენ, რომელიც სასწაულად აღმოცენდება ძლიერი ადამიანის ნებისყოფისაგან. ძირს სოკრატეს გონიერება და გაუმარჯოს ინსტინქტს!

ენგანდინის სიმაღლეებზე, მის პატარა უძრავ ტბათა შორის, რომელთა სიღრმიდან მარტოობა ლაპარაკობს, ნიცშემ იგემა ზარატუსტრას სიზმარი და შეასხა თავის სულს არწივის აღმაფრენა...

ოცდაათი წლის ზარატუსტრა შეუდგა განდეგილის ცხოვრებას. ათი წელიწადი ცხოვრობდა გამოქვაბულში თავის საყვარელ ცხოველებთან - არწივსა და გველთან - ერთად და სტკბებოდა თავის მარტოობით. ათი წლის შემდეგ გადაწყვიტა ადამიანებს გამოხმაურებოდა და მათთვის თავის სულიერი საუნჯე გაენაწილებინა. გზაზე წააწყდება ერთ მოხუცებულ მეუდაბნოეს, რომლის ლოცვაც არ ესიამოვნება ზარატუსტრას ყურს, მწირს წინ გაუვლის ირონიული ღიმილით და თავის თავს შეეკითხება: „ნუ თუ შესაძლებელია ამ მოხუც წმინდანს ვერ გაუგია, რომ ღმერთი მოკვდა?“ მახლობელ ქალაქში ჰპოვებს ბრბოს, რომელიც შეყრილია მოედანზე და უცდის ჯამბაზის მოსვლას. ზარატუსტრა მიმართავს ხალხს ქადაგებით... „თქვენ განვლეთ გზა ჭიაყელიდან ადამიანამდე და ბევრი თქვენგანი ჯერ კიდევ მატლია. ერთ დროს თქვენ მაიმუნები იყავით და ეხლაც ადამიანი უფრო მაიმუნია, ვიდრე სხვა რომელიმე მაიმუნი... ერთ დროს ღმერის შეგინება უსაშინელესი გინება იყო, მაგრამ ღმერთი მოკვდა და მას თან გადაჰყვნენ მისი მაგინებელნიც... გაფიცებთ ძმანო, იყვნეთ ერთგულნი ამა სოფლისა და არ დაუჯეროთ მათ, ვინც საიქიო იმედებზე გელაპარაკება!.. მე თქვენ გასწავლით ზეკაცს, რომელიც არის აზრი ქვეყნიერებისა...“ ბრბო ვერ მიხვდება ზარატუსტრას ქადაგებას. მატლი - მაიმუნი - ადამიანი - მკვდარი ღმერთი და მის ადგილას ზეკაცი - მისთვის გაუგებარია. ამისათვის საჭიროა ადამიანის სამჯერ გარდაქმნა, რომლის იგავს ზარატუსტრა კვლავ დაბრუნებული თავის

გამოქვაბულში, უამბობს მასთან მოსულ მოწაფეთ. „ადამიანი უნდა გარდაიქცეს აქლემად, ლომად და ბავშვად“. აქლემი მომთმენი და ბევრის ამტანი ცხოველია, რომელიც ზიდავს მძიმე ტვირთს, ადის მაღალ მთებზე, სვამს უწმინდურ წყალს და იკვებება ხმელი ბალახით. ამგვარადვე მოიხვეჭს სული მისთვის საჭირო საუნჯეს. მაგრამ ერთ დღეს აქლემი უდაბნოში ლომად გადაიქცევა და შეებრძოლება თავის ღმერთს, თავის ვეშაპს, რომელსაც აქამდე

ემსახურებოდა და რომლის სახელიც არს: „შენ მოვალე ხარ“, „მე მსურს“, შესძახებს ლომი, მოსპობს თავისი სიყვარულის საგანს - მოვალეობას და შეიქმნება თავისუფალი. რა საჭიროა მძლავრი ლომისათვის ბავშვად გარდაქმნა? ბავშვი უმანკოებაა, ლაღობა, თავდავიწყება, ინსტინქტი, რომელიც ქმნის ახალ ცას და ახალ დედამიწას.

სულის მაგიერ ინსტინქტი, სხეული ეს მხოლოდ მგრძნობარე პლურალობაა, ზავი ომში, ჯოგი, რომელსაც ერთი მწყემსი მწყსობს - ასეთია ზარატუსტრას აპოლოგია.

ზარატუსტრა ომს უცხადებს წარსულს და სწყვეტს მაგნიტურ ჯაჭვს, რომელიც აერთებს დროსა და ჟამს; აწმყოს წარსულთან. წარსულში ყველა ბრძენნი და წინასწარმეტყველნი, რეგვენნი და პედანტები იყვნენ. მხოლოდ მოცეკვავე, გულცივი, მომცინარე, გულადი ზარატუსტრა შესძლებს მაღალ მთებზე ასვლას, რადგანაც მას შორსჭვრეტა უყვარს, უყვარს თვალმიუწვდენელი ჰორიზონტები, სათნოების და ბოროტების გაღმა ყოფნა.

ერთ დღეს სიზმარს ნახავს: ბავშვი სარკეს მიაწოდებს, ჩაიხედავს და შიგ დაინახავს საშინელი დემონის მოხარხარე სახეს. რას ნიშნავ ეს? მართლა მტერთა კარიკატურას ზარატუსტრას მოძღვრებაზე?.. თუ ეს სინდისის უკანასკნელი გამაფრთხილებელი ხმაა, მკვდარი ღმერთის ლანდი? მაგრამ სინდისის ქენჯნა უძლურთა ხვედრია და ზეკაცის გულს არ ეკარება. ზარატუსტრა გამოვარდება გამოქვაბულიდან და დაიწყებს ჰიმნს სანეტარო კუნძულთა სადიდებლად, რომელიც მან უნდა დაიპყროს... „დიდ ხანს

ვუსმენდი მარტოობას და ამგვარად გადავეჩვიე სიჩუმეს... მსურს ჩემი სიტყვის ჩანჩქერით მოვრწყო ხეობა, მსურს ახალი გზები, ვგრძნობ ახალი სიტყვის მოვლინებას: როგორც ყველა შემოქმედი, მე დავიღალე ძველი სიტყვებით. ჩემს სულს აღარ სურს ნაცვეთ ქალამნებით სიარული... როგორც მახარობელი ხმა, მსურს გადავლახო ზღვანი და ვპოვო სანეტარო კუნძულები, სადაც ჩემი მეგობრები მოსახლეობენ“.

ზარატუსტრა სანეტარო კუნძულებზეა. გვიჩვენებს თუ არა ის თავის მეგობართა და მოწაფეთა ახალ ჯგუფს, ახალ ქალაქს?! კვლავ განდეგილის მონოლოგები, კვლავ გამათახსირებელი სატირა იმ საზოგადოებაზე, რომელიც მან დასტოვა. სასაცილოდ იგდებს თანასწორობის მქადაგებელთ და უწოდებს მათ „შურისა და სიძულვილის ტარანტულებს“, პოლიტიკოსებს, რომელთაც პატივსა სცემენ იმიტომ, რომ ემსახურებიან ბრბოთა ცრუმორწმუნეობას, როგორც შინაური პირუტყვნი, ადვილად იდგამენ მის კეხს, ან პატარა სახედარივით შეებმიან დიდი პოლიტიკის ეტლში. დასცინის ფილოსოფოსთ, რომელნიც მოგვაგონებენ ცუდად გახედნილ ველურ ნადირებს და „ბუნაგთან წაჩოქილ გარეულ ტახებს“. სძულს მეცნიერნი და ამსგავსებს მათ „მტვერში გახვეულ ფქვილის ტომრებს“. ნამეტნავად ცუდად იხსენიებს პოეტებს, რომელთაც ძალიან ცოტა იციან, ცუდად სწავლობენ და ამიტომ იძულებულნი არიან იცრუონ... ცოტა ვნებიანობა, ცოტა მოწყენილობა - ასეთია მათი საუკეთესო ტიპი. ისინი უწოდებენ თავიანთ თავს ზავის ჩამომგდებელთ, მაგრამ ნამდვილად კი ყალბი მაჭანკლები არიან. „მსურდა ბადე გადამესროლა მათს ზღვაში, მაგრამ გარდა მოხუცი ღმერთის თავისა, იქიდან სხვა ვერაფერი ამოვზიდე... შესაძლებელია თვითონაც ზღვიერნი იყვნენ? მართალია, იქ მარგალიტებსაც ჰპოვებენ, მაგრამ როდესაც იქ სულს ეძებენ,

ჰპოვებენ მხოლოდ მლაშე ქაფს. პოეტებს ზღვისაგან უსწავლიათ ფარშავანგობა და შეუთვისებიათ მისი ამაოება. ისინი ალაყ-მალაყს გადადიან და ჯამბაზობენ თვით უმსგავსი კამეჩების წინ, თუ ესენი მათ ცქერას მოისურვებენ. ასეთია ზღვა მათი ამაოების“!

ზარატუსტრა დასცინის კულტუროსანთ და განათლებულთ, უწოდებს მათ „ჭრელი ქონების სამშობლოს“, საფრთხობელას, ბერწთ, აზროვნების ქარებს, ჩონჩხს, რომელიც მოსპობის ღირსია.

უნდა წარიღვნას ყოველივე, რაც კი სცოცხლობს... შეუბრალებელია ზარატუსტრა, მის გულს და სულს არ ეკარება ადამიანთა ტანჯვა, იგი სიხარულის მაყარია, მოცეკვარი, ლაღი, უდარდელი... მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ლხენით სიმთვრალე და საზეიმო საგალობელი?!

ზარატუსტრა, ვხედავ, შენი სანატრელი კუნძულების მზეს უკვე ბინდი ეპარება და, საცაა ხეობიდან სუსხიანი თერხვი ამოვარდება. აგერ ზიხარ და გსურს დასტკბე ზღვის ტალღებში ჩამავალი მზის მშვენიერების სურათით. აგერ ელვარე ტალღებში საფლავებით სავსე შავი კუნძული აღმოცენდა, შენ მათ უძახი მტერთა სასაფლაოს და ირწმუნები, რომ კლდეთა დამსხვრევი შენი ნებისყოფა, როგორც მარადობის ჭაბუკი ზედ აზის დამარცხებულთა აკლდამას... მაშ რა გაწუხებს? ნუთუ მართლა მწუხარე კუნძული შენი ახალგაზრდობის ძვირფასი სიზმრების სასაფლაოა და მწარედ მოსთქვამს მათს დაკარგვას?! მაგრამ გვიანღაა - alea jacta est, უკან ვეღარ დაბრუნდები, აწ ვეღარაფერი განუგეშებს.

ერთ ღამეს ზარატუსტრა ქურდულად სტოვებს სანეტარო კუნძულებს და კვლავ თავის გამოქვაბულის და ძველ მეგობარ არწივისა და გველისაკენ მიეშურება. აქ მას ღვთაების იდეა მოსვენებას არ აძლევს და დამოკლეს მახვილივით თავს დასტრიალებს. მან დიდი ხანია ღმერთი უარყო და ეზიზღება ყველა ჩოქზე მდგარი და ლოცვისათვის გულხელდაკრეფილი. ლოცვა სიბილწეა... როგორ შეურიგდება ამაყი ზარატუსტრა ღმერთის არსებობას?!. „მე ვარ უღმერთო ზარატუსტრა... და ჩემგან უნდა იშვას ზეკაცი“.

ზარატუსტრა აცხადებს თავის ახალ მცნებათა ფიცარს, მის კონცეფციით ცხოვრების საფუძველი ბატონობის სურვილია. უფროსი მონა ბატონს ხელ-ფეხს ულოკავს, იმიტომ რომ უნდა

თვითონ უმცროსებზე იბატონოს. ასეთია არსებობის მიზანი და შინაარსი. აქედან - მისი შეხედულება ზნეობაზე, სიკეთე და ბოროტება ადამიანების გამოგონილია. სიკეთე უღელია, რომელიც სულიერთ სუსტთა კისერზე დაუდვიათ, მაშასადამე, მას არავითარი საფუძველი არა აქვს, გარდა ძალმომრეობისა. „ჰქმენ რაცა გსურს, მაგრამ იცოდე „სურვილი“ - ეს არის ზარატუსტრას ზნეობრივი აღთქმა. ბოროტებასაც თავისი საფუძველი აქვს. ზარატუსტრას უფრო ბოროტნი მოსწონს: მათში მეტი ენერგიაა. ბოროტებას ჯერ კიდევ მომავალი აქვს და მის მზეს ჯერ კიდევ არ დაუსამხრია „საჭიროა, რომ თქვენმა გარეულმა კატებმა ჰშვან ვეფხვნი, თქვენმა ჯოჯოებმა და ხვლიკებმა - ვეშაპნი და ხვითქნი...“.

ბოროტი ზარატუსტრა, შენ კვლავ თრთი?! მარადის დაუსრულებელი არსის მოჩვენება - სული სიმძიმისა - ეხლა ზედ მხრებზედ მოგქცევია, ტყვიად გეწვეთება ყურებში, აზრში და ტვინში და ხითხითებს: „ჰოი,

ზარატუსტრა, კლდეო სიბრძნისა, კლდეო შურდულისა, ვარსკვლავთა მმუსრავო, შენ მაღლა აფრინდი, მაგრამ ყოველი ზევით ასროლილი ქვა ძირს ეცემა... შენ მაღლა აისროლე ქვა, მაგრამ ის შენ თვითონაც დაგეცემა“... თავს ინუგეშებ, რომ შენი საკუთარი დაღუპვისაგან ზეკაცი დაიბადება. ნუთუ ეს ნუგეში ერთ შენ ნიღაბთაგანია?!

ზარატუსტრა შეკრებს თანამედროვე საზოგადოების უწარჩინებულესთ. მათ შორის ჩვენ ვხედავთ ორ ძლიერებით მოღლილ მეფეს, უტახტო პაპს, უბადრუკ ჯადოქართ და სხვებს. ყველა ამათ მოიწვევს საზეიმოთ თავის გამოქვაბულში და გაუმასპინძლდება არწივის მიერ მოტანილ კრავით მისდა მოსაგონებლად, რომ სუსტი ძლიერთა საჭმელად არის გაჩენილი... პლატონის ლხინი, ქრისტეს სერობა, თუ ორივეს პაროდია?!

ზარატუსტრა ცოტა ხნით დასტოვებს სტუმრებს და კარში გავა. უკან დაბრუნებისას ნახავს, რომ მისი სტუმრები სახედრის წინ ლოცულობენ და მას გუნდრუკს უკმევენ. ზარატუსტრა მიხვდება,

რომ თვით უწარჩინებულეს ადამიანთათვის აუცილებელი ყოფილა ვისიმე ან რისიმე გაღმერთება, თუნდაც სახედრის, ისინი ღირსნი არ ყოფილან მისი ყურადღების, მას სჭირია ძლიერნი, რომელიც თავს არ იხრიან. ამ დროს ზარატუსტრა შეამჩნევს მის ფეხ-ქვეშ მწოლიარე ლომს, რომელიც იცინის, სხვებისათვის საშინელი ლომი ზარატუსტრას ხელებს ულოკავს. ფეხზე წამოდგება და დაიღრიალებს. თავზარდაცემული სტუმრები გაიქცევიან, წინასწარმეტყველი მარტოკა დარჩება და ფიქრობს, რომ რჩეულთადმი თანაგრძნობა მისი უკანასკნელი ცოდვა იყო, ეხლა ის მოელოდება თავის ნამდვილ შვილთა და „ბრწყინავს ამომავალ მზისებრ“.

ბრწყინავს ზარატუსტრა, მაგრამ ბნელით და წყვდიადით იხშობა ნიცშეს გონება. „ათას მოგონებათა შორის რჩეული, მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავალი ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, ჩემი თავის მცოდნე და ჯალათი! სნეული, რომელიც კვდება გველის შხამით, ტყვე, რომელსაც მწარე ბედი ეწია, ვმუშაობ წელში მოხრილი ჩემს საკუთარ „მე“ - ში გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში, მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე. უძლური, გაშეშებული, ლეში“. ასე წერდა ნიცშე უკანაკნელად თავის „დიონისეს დითირამბში“.

ჩაქრა ნიცშეს გენია და თან წაიღო ზარატუსტრას მომავალი იმედი, რომელიც მახვილ ყურთ კვლავ წარმტაც და სასიხარულო ამბის სიტკბოებით ეალერსება... შეეყრება თუ არა ზარატუსტრა თავის საიმედო პირმშოს, გავიგონებთ თუ არა ოდესმე მის „ამინს“... რას ჭვრეტდნენ მისტერიის ზღვით აღვსილი ნიცშეს თვალები, როდესაც ის გაჩუმებული, უმოძრაოდ შესცქეროდა ვაიმარის ცას? იმედის და სიყვარულის სიმბოლოს ქრისტეს ჯვარს, ანტიქრისტეს ტახტზე მჯდარ, გამარჯვებულ ზარატუსტრას, თუ ოქროს-თმიანი ვალკირიათა გუნდს და თვით ოდინს ვაგნერის სახით.

მოუტანა თუ არა შეშლილობამ რაიმე შვება კაცთა შორის ზეკაც ნიცშეს, რომელზედაც შეგვიძლიათ ვთქვათ გოეთეს სიტყვებით:

„Im Weiterschreiten er Qual und Gluck,

Er uberfriedigt jeden Augenblick“.

15 ნოემბერი, 1922 წ.

თბილისი

ნაწილი პირველი

ზარატუსტრას წინასიტყვა

1

ოდეს ზარატუსტრას შეუსრულდა ოცდაათი წელი, მიატოვა სამშობლო თვისი და სამშობლოს ტბა და განვიდა მთად. აქ სტკბებოდა თავისი სულით და მარტოობით და არ მოუწყენია ათსა წელს. ბოლოს იცვალა გული მისი და ერთ დილად წარმოსდგა რიჟრაჟთან, იბრუნა პირი მზისაკენ და ესე ესიტყვა:

„დიდო მნათობო! ვით იყო ბედნიერი, უკეთუ არ გყავდეს ვისაც ასინათლებ.

ათი წელია მაღლით ესტუმრები ჩემს გამოქვაბულს: მოგბეზრდებოდა შენი ნათელი და ეს გზა უჩემოდ, გარეშე ჩემი არწივისა და გველისა.

ცისმარ დღეს გელოდებოდით, გვიზიარებდი შენს სიუხვეს და გლოცავდით ამისათვის.

ხედავ! გავბეზრდი ჩემი სიბრძნით, ვით ფუტკარი თაფლით დატვირთული, ვჭირვობ ხელთა ჩემდა წდომილთა.

მსურს განვსცდე და განვიდე, ვიდრე კაცთა შორის ბრძენთ თავისი უმეცრებით და ღარიბთ თვისი სიმდიდრით კვლავ არ განიხარონ.

ამად მსურს შენებრ ქვედავეშვა: ოდეს მწუხრის ჟამს ზღვის გაღმით დაჰხვალ და კვლავ ქვეშეთს ასინათლებ, შენ უუხვესო მნათობო!

მმართებს დ ა ვ ე შ ვ ა, ესე იტყვიან ადამიანები, მათ ვეშურები დაღმით

მაშ მაკურთხე შენ, თვალო წყნარო, უშურველად რომ უმზერ თვით უსაზღვრო ბედნიერებას!

დალოცე სასმისი, განმზადებული დასათხევად, რათა წყალი ოქროთი მდინარებდეს და წარიტანოს ყველგან ბრწყინვა ნათებისა შენისა.

ხედავ! სასმისსა ამას დაცლა სწყურის და ზარატუსტრას კვლავ კაცად ყოფნა“.

ესე დაიწყო ზარატუსტრას დასავალი.

2

ზარატუსტრა მთიდან მწირად ქვედაეშვა და არავის შეჰყრია. ხოლო ოდეს ტყეში შევიდა, მეყსეულად გასჩნდა მის წინაშე მოხუცი, თვისი წმინდა სენაკი რომ დაეტოვებინა ტყეში ბალახეულობის საძიებლად და ესე მიმართა ზარატუსტრას:

„უცხო არ არის ჩემთვის ეს მგზავრი: ოდეს წლის წინათ აქ გაიარა. მას ზარატუსტრას უწოდებდნენ; ხოლო იგი შეცვლილა.

მაშინ შენი ნაცარი მიგქონდა მთად: დღეს განზრახულხარ შენი ცეცხლი ბარს მიაწოდო? არ გეშინის სასჯელის, გადამწველთათვის?

დიახ, მეცნაურება ზარატუსტრა, სპეტაკია გამოხედვა მისი, ბაგენი მისნი ზიზღს არ დაუღალავს. განა ამად არ მიიმართება ვით მცეკვარი?

ზარატუსტრა შეცვლილა, ზარატუსტრა ბავშვად ქმნილა, ზარატუსტრას გაუღვიძნია: მაშ რას ეძიებ მძინარეთთან?

ვით ზღვას ცხოვრობდი მარტოობით და ზღვა გზიდვიდა. ვაგლახ,

კვლავ ნაპირით ისწრაფი? ვაგლახ, კვლავ გსურს შენი გვამი თვით ათრიო?“.

ზარატუსტრა ეტყოდა: „მიყვარს ადამიანები“.

„რამ განმწირა, სთქვა წმინდანმა, ტყვედ და უდაბნოდ, თუ არა ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა?

აწ ღმერთი მიყვარს, ადამიანი აღარ მიყვარს. ადამიანი ჩემთვის უსრული ნივთია. ადამიანისადმი სიყვარული დამღუპავდა“.

ზარატუსტრამ მიუგო: „რა ვსთქვი სიყვარულისათვის! ადამიანებთან ძღვენი მიმაქვს“.

არაი მისცე, სთქვა წმიდანმა, უკეთესია რაიმე წაართვა და ზიდდე მათთან ერთად - ეს მათთვის უმჯობესია: უკეთუ შენც გარგებს!

და თუ გსურს მისცე რამ, არაჲ მისცე გარდა მოწყალებისა და ამასაც თვით გთხოვდნენ!“

„არ განვსცემ მოწყალებას, უპასუხებდა ზარატუსტრა, არ ვიყო საამისოდ ღატაკი“.

წმიდანი ქირდავდა ზარატუსტრას და ეტყოდა: „მაშ ეცადე შენი საუნჯე მიაღებინო! იგინი არ ენდობიან განდგომილთ და არა რწმენით, რომ ძღვნით მივდივართ.

ჩვენი ფეხისხმა ეუცხოებათ. ყურს მოჰკრავენ რა ღამით ლოგინში, გვიან მზის ამოსვლამდე, ადამიანის ფეხთა დგერას, ერთმანეთს ეკითხებიან: ნეტავ ეს ქურდი საით მიიპარება?

ნუ წახვალ ადამიანებთან, დარჩი ტყეში! შეჰგავს ცხოველებთან წახვიდე! რად არ გსურს ჩემებრ ყოფა, - დათვი დათვთა შორის, ფრინველი ფრინველთა შორის?“.

„და შენ, წმიდანო, რას აკეთებ ტყეში?“ - ჰკითხა ზარატუსტრამ.

წმიდანმა მიუგო: „ვთხზავ საგალობელთ და ვგალობ და ოდეს ვთხზავ საგალობელთ, ვიცინი, ვსტირი და ვბუტბუტებ: ესე

ვადიდებ ღმერთსა. გალობით, ტირილით და ბუტბუტით ვადიდებ ღმერთსა, როემლიც ჩემი ღმერთია. მაინც რა მოგაქვს საჩუქრად?“

ესმა რა ესე, ზარატუსტრამ წმიდანს თავი დაუკრა და იტყოდა: „რა მაქვს თქვენდამი საძღვნელი! ხოლო მიშვი ჩქარა წავიდე, რათა არა წაგართვა რა!“: - და განშორდნენ ერთმანეთს მოხუცი და ადამიანი, მოცინარნი ვით ბავშვები.

მარტოდ დარჩენილი ზარატუსტრა ესე გულისთხრობდა: „მჯეროდეს? ამ მოხუც წმიდანს თავის ტყეში ღმერთის გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ჯერ არ სმენია!“

3

ოდეს ზარატუსტრამ მიაღწია ტყის მიღმა მდებარე ქალაქს, ნახა მოედნად თავმოყრილი ერი: ელოდებოდნენ ჯამბაზსა და ზარატუსტრა ესე ეტყოდა ხალხს:

გ ა ს წ ა ვ ლ ი თ ზ ე კ ა ც ს. ადამიანი რაობაა, რომლის ძლევა ჰხამს. რა ჰქმენით მის დაძლევად?

ყოველ არსთ ზე-რამ შეუქმნია: ხოლო თქვენ გსურთ ამ დიდი ტალღის მოქცევა იყვნეთ და ამჯობინებთ კვლავ ცხოველებად უკუიქცეოდეთ, ვიდრე სძლევდეთ ადამიანსა?

რა არის მაიმუნი ადამიანისათვის? დაცინვა და მტკივანი სირცხვილი. იგივედ ჰყოფდეს ადამიანი ზეკაცისათვის: დაცინვა ან მტკივანი სირცხვილი.

განვლეთ გზა მატლით ადამიანამდე და ბევრი რამ თქვენ შორის მატლურია. ოდესღაც მაიმუნები იყავით და ახლაც ადამიანი უფრო მაიმუნია, ვიდრე თვით მაიმუნი.

თვით უბრძნესიც თქვენს შორის მხოლოდ შეუსაბამობაა და მცენარისა და მოჩვენების ნაზავი. ხოლო მე მოჩვენებად ან მცენარედ გარდაქმნას მოგიწოდებთ?

მოხედეთ, გასწავლით ზეკაცს!

ზეკაცი მიწის აზრია. აღიარებდეს თქვენი ნება: ზეკაცი მიწის აზრია!

გაფიცებთ, ძმებო, ი ყ ვ ნ ე თ ე რ თ გ უ ლ ნ ი მ ი წ ი ს ა და არ უჯერიდეთ რომელნი საიქიოთი გაიმედებენ! იგინი მომწამლელები არიან, მმეცნებითა და უმეცრებითა.

იგინი ცხოვრების მოძულენი არიან, მომაკვდავნი და თვით მოწამლულნი, მოჰბეზრდა იგინი მიწას: დეე წარხდნენ.

ოდესღაც ღვთის გმობა უდიდესი გინება იყო, ხოლო ღმერი მოკვდა და მასთან ერთად მისი მაგინებელნიც. აწ უსაშინელესია მიწის გმობა და პატივისცემა უცნობი წიაღთა, ვიდრე მიწის აზრისა!

ოდესღაც სულს სხეული ეზიზღებოდა და არაი იყო ამ ზიზღის უდიდესი: - მას ჰსურდა იგი გამხდარი, საზიზღარი, დამშეული! ესე ლამობდა იგი მასა და მიწას გაჰქცეოდა.

ჰოი, თვით ეს სული იყო გამხდარი, საზიზღარი და დამშეული: სიმკაცრე იყო მისი ვნება!

ძმანო, თქვენც მითხარით: რას გაუწყებთ თქვენი სხეული თქვენი სულისას? ხოლო თქვენი სულის სიღატაკე ბინძურება არ არის და ბეჩავი სიამე?

ჭეშმარიტად, ადამიანი ბინძური მდინარეა. ჭეშმარიტად, ზღვა უნდა იყო, ბინძური მდინარე შეირთო და არ წაიბილწო.

რა არის უზენაესი თქვენ რომ შესძლებდეთ განცდას? იგი დიდი ზიზღის ჟამია. ჟამი, ოდეს თვით თქვენი ბედნიერება, გონება და სათნოება გეზიზღებათ.

ჟამი ოდეს იტყოდეთ: „რა არის ჩემი ბედნიერება! იგი სიღატაკეა, ბინძურება და ბეჩავი სიამე. ხოლო ჰხამდა ჩემს ბედნიერებას ჩემი ყოფა გაემართლებინა!“

ჟამი ოდეს იტყოდეთ: „რა არის ჩემი გონება! ხარბია ცოდნისათვის, ვით ლომი ჭამადისათვის? იგი სიღატაკეა, ბინძურება და ბეჩავი სიამე!“.

ჟამი ოდეს იტყოდეთ: „რა არის ჩემი სათნოება! მას არასოდეს შეუშფოთებივარ. მოვიქანცე ჩემი სიქველით და ბოროტებითა! ყოველი ეს სიღატაკეა, ბინძურება და ბეჩავი სიამე!“

ჟამი ოდეს იტყოდეთ: „რა არის ჩემი სიმართლე! ვერა ვხედავ ვიყო მხურვალება და ნახშირი. ხოლო მართალი მხურვალებაა და ნახშირი!“.

ჟამი ოდეს იტყოდეთ: „რა არის ჩემი სიბრალული! ხოლო სიბრალული ჯვარი არ არის ადამიანთა მოყვასს ზე რომ აცმევენ? ხოლო სიბრალული ჩემი ჯვარცმა არ არის“.

ამას იტყოდით? ამას ღაღადებდით? ნეტარძი მსმენოდეს!

არა თქვენი ცოდვა - თქვენი კმაყოფა შეჰღაღადებს ცასა, თქვენი ძუნწობა თვით ცოდვისათვის შეჰღაღადებს ცასა!

ნეტარძი სად არის ელვა, თვისი ენით რომ აგხოცდეთ? სად არის შეშლილობა, რომ უნდა აგეცრათ?

მისმინეთ, გასწავლით ზეკაცს: იგია ის ელვა, იგია ის შეშლილობა! - ოდეს ზარატუსტრა ამას იტყოდა ერთმა ერში წამოიყვირა: „გვაკმარეთ ლაპარაკი ჯამბაზისათვის; აწ გვაჩვენეთ კიდეც“, და ერი დასცინოდა ზარატუსტრას. ხოლო ჯამბაზს ეგონა ეს მისთვის იყო თქმული და შეუდგა საქმეს.

4

ხოლო ზარატუსტრა უმზერდა ხალხსა და ჰკვირობდა. შემდეგ იტყოდა:

ადამიანი თოკია ცხოველსა და ზეკაცს შორის - თოკი უფსკრულს ზედა.

სახიფათოა გაღმით ვლა, სახიფათოა გზად ყოფნა, სახიფათოა უკუმზერა, სახიფათოა კრთომა და შეჩერება.

ადამიანის შორის დიდია მხოლოდ ის, რომ იგი ხიდია და არა მიზანი; იგი გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ა ა და წ ა რ ხ დ ო მ ა - ამით არის

ადამიანი საყვარელი. მიყვარს, რომელთა ცხოვრება არ უწყიან თუ არა წარხდომით, რამეთუ გარდავლიან. მიყვარს მძულვებელნი: დიდი მოთაყვანენი არიან, სურვილის ისარნი გაღმა ნაპირით.

მიყვარს, რომელნი მსხვერპლისა და წარხდომისათვის ვარსკვლავთა გაღმით ფუძეს არ ეძიებენ, რათა წარხდნენ და მსხვერპლად შეეწირონ, არამედ მიწას ეწირებიან, რათა ოდესმე ზეკაცი დაემკვიდროს ქვეყანას.

მიყვარს, რომელი მმეცნებისათვის სცხორვობს და რომელს ჰსურს ამით ცნოს, რომ ოდესმე ზეკაცი ჰგიებს, და ესე ჰსურს წარხდომა თვისი.

მიყვარს, რომელი იღწვის და ჰპოვებს, რათა ზეკაცისათვის სახლი აღაგოს და განუმზადოს მას მიწა, ცხოველნი და მცენარენი: ამით ჰსურს წარხდომა თვისი.

მიყვარს, რომელს თვისი სათნოება უყვარს: სათნოება ნებაა წარხდომად და ისარი სურვილისა.

მიყვარს, რომელი სულის არც ერთ ცვარს არ შეინახავს, არამედ ჰსურს მთლიანად სული იყოს თვისი სათნოების. ესე განვლის იგი ხიდს ვით სული.

მიყვარს, რომელი თვისი სულისაგან ჰქმნის თვის სწრაფვასა და თავის ბედსა: ესე ჰსურს მას თავისი სათნოებისათვის კვლავ ყოფა და არყოფა.

მიყვარს, რომელს არ ჰსურს სათნოებათა სიჭარბე. ერთი სათნოება მეტია ვიდრე ორი: იგი უფრო მეტად ნასკვია, რომელს ჰკიდია ბედი.

მიყვარს, რომლის სული ნიავდება, რომელს არ ჰსურს მადლობა და არც გადუხდის მას: რამეთუ მარად გასცემს და თავს არა ზოგავს.

მიყვარს, რომელს ერცხვინება ოდეს კამათელი ჰსწყალობს და თავს ეკითხება: ნუთუ მე უსინდისო მოთამაშე ვარ? რამეთუ მას დაღუპვა ჰსურს.

მიყვარს, რომელი თვის საქმეს ოქროს სიტყვებით წინამორბედობს და მეტსა ჰქმნის, ვიდრე აღუთქვავდეს: რამეთუ ჰსურს თვის წარხდომა.

მიყვარს, რომელი ამართლებს მომავალთ და იხსნის აღსრულებულთ, რამეთუ ჰსურს წარხდომა თანდროულთაგან.

მიყვარს, რომელი წრთვნის თვის ღმერთსა ღვთის სიყვარულისთვის: რამეთუ წარხდეს თვისი ღმერთის რისხვითა.

მიყვარს, რომლის სული ღრმადაა თვით დაწყლულებული და რომელს მცირედი განცდა წარახდენს: ესე განვლის იგი ხალისით ხიდსა.

მიყვარს, რომლის სული ისე აღვსილია, რომ ივიწყებს თავს და ყველაფერი მის შორისაა: ესე იქმნება ყველაფერი მის წარხდომად.

მიყვარს, რომელი თავისუფალია სულით და თვისი გულით: თავი მისი გულის შიგნეულია, ხოლო გული მას წარხდომად იზიდავს.

მიყვარს, რომელი ადამიანთა თავზე დამხობილ ბნელი ღრუბლის მწირად ცვენილ მძიმე წვეთებს ემსგავსებიან: იგინი აუწყებენ ელვას და ვით მაუწყებელნი, წარხდებიან.

ხედავ, ელვის მაუწყებელი ვარ და ღრუბლის მძიმე წვეთი: ხოლო სახელი ამა ელვისა - ზ ე კ ა ც ი.

5

წარმოსთქვა ეს სიტყვები ზარატუსტრამ, კვლავ თვალი გადაავლო ხალხს და დადუმდა. „შეხედე, გულისთხრობდა იგი, გაჩერებულან და იცინიან; ჩემსას ვერას მიმხვდარან. არ მაქვნდეს სიტყვა მათი ყურისთვის.

თანა-აძს ყურები შეუმუსრო, რათა ისწავლონ თვალებით სმენა? ვიხმაურო ვით ნესტუნი და მქადაგებელი სინანულისა? ან თუ მათ მხოლოდ ენაბლუებისა სჯერათ?

რაიმე აქვთ, რომლით ყიფობენ. რას უწოდებენ მათ რომ ყიფ ჰქმნის?

განათლებას უწოდებენ, ამით განსხვავდებიან თხების მწყემსთაგან. ამად არ ეამებათ თავისთვის სიტყვა „ზიზღი“ - ს გაგონება. მაშ მათ ყიფობას მივმართავ.

მაშ უსაზიზღრესისას ვილაპარაკებ: ხოლო იგი უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ა“.

და ესე ეტყოდა ზარატუსტრა ერსა:

მოვალს ჟამი, რათა ადამიანმა ირჩიოს მიზანი თვისი. მოვალს ჟამი, რათა ადამიანმა დარგას ნერგი თვისი დიდი იმედისა, მისი ნიადაგი კვლავ საკმაოდ ღალიანია, ოდესმე ნიადაგი ურგები და უღალო იქმნება და არა დიდი ხე აღმოცენდება მისგან.

ვაგლახ! მოვალს ჟამი, ოდეს ადამიანმა თვისი სურვილის ისარი ვეღარ უწიოს ადამიანთა ზე და მისი მშვილდის ლარმა დაივიწყოს თრთოლა! გეტყვით თქვენ: თანა-აძს თავის შორის ქაოსს ზიდვიდე, რათა გიდეს შვა მროკავი ვარსკვლავისა. გეტყვით თქვენ: თქვენს შორის კვლავ ქაოსია.

ვაგლახ! მოვალს ჟამი, ოდეს ადამიანი არა ვარსკვლავსა შვავდეს!

ვაგლახ! მოვალს ჟამი, უსაზიზღრესი ადამიანისა, რომელს აღარ ძალ ჰქონდეს თვისი მძულვარებებისათვის.

შეხედე! მე გიჩვენებთ თქვენ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ა დ ა მ ი ა ნ ს.

„რა არის სიყვარული? რა არის ქმნილება? რა არის სურვილი? რა არის ვარსკვლავი?“ - ამას ჰკითხულობს უკანასკნელი ადამიანი და თვალებს ახამხამებს.

მაშინ დედამიწა უმცროს იქმნება და მასზედ დაჰხტის უკანასკნელი ადამიანი, რომელი ყოველს ამცირებს, მისი მოდგმა შეუმუსრავია, ვით მიწის რწყილისა; უკანასკნელი ადამიანი ყველაზე მეტსა სცოცხლობს.

„ვპოვეთ ბედნიერება“ - იტყვიან უკანასკნელნი ადამიანნი და თვალებს ახამხამებენ.

მათ დასტოვეს მიდამონი, სად ცხოვრება მკაცრი იყო: რამეთუ საჭიროებენ სითბოს. კვლავ მეზობელი უყვართ და მას ეკვრიან: რამეთუ საჭიროებენ სითბოს.

სხეულება და უნდობლობა მათთვის ცოდვაა: ფრთხილად ვლიან. მხოლოდ რეგვენი თუ წამოჰკრავს ფეხს ლოდებს ან ადამიანთ!

დროგამოშვებით მცირე საწამლავი: იგი ტკბილ სიზმრებს მოგვრის და ბევრი საწამლავი - სიამით სიკვდილისათვის.

კვლავ საქმიანობენ, საქმე გართობაა. ხოლო ზრუნვენ, რათა გართობა არ ღალვიდეს.

აღარა მდიდრდებიან არც ღატაკდებიან: ორივე ფრიად სამძიმოა.

არაა მწყემსი, და მხოლოდ ნახირი! ყოველს თანასწორი ჰსურს, ყოველი თანასწორია: რომელი უცხოდ ჰგრძნობს, ნეფსით შეშლილთა სახლს თავს აფარებს.

„ოდესღაც მთელი ქვეყანა „მცდარი იყო“ - იტყვიან უწარჩინებულესნი და თვალებს ახამხამებენ.

გონიერნი არიან და ყოველი უწყიან, რაც იყო: ესე მათ ხუმრობას ზღვარი არა აქვს. კვლავ ერთმანეთს ეკამათებიან, ხოლო მალე რიგდებიან - თორემ კუჭი მოეშლებათ.

აქვთ მცირე სიამოვნება სადღეისოდ და მცირე სიამოვნება საღამოდ: ხოლო პატივსა სცემენ ჯანმრთელობას.

„ვპოვეთ ბედნიერება“ - იტყვიან უკანასკნელნი ადამიანნი და თვალებს ახამხამებენ. –

და აქ დასრულდა ზარატუსტრას პირველი სიტყვა, რომელს „წინასიტყვასაც“ უწოდებენ: აქ შეაჩერა ბრბოს ყიჟინამ და ჟრიამულმა. „მოგვეც ჩვენ ეგ უკანასკნელი ადამიანი, ჰეი, ზარატუსტრა - ამას ჰყვიროდნენ -

გვქენ ჩვენ უკანასკნელ ადამიანად! და ჩვენ გაჩუქებთ შენ ზეკაცს!“ და მთელი ერი ხარობდა და ენას ატკაცუნებდა.

ხოლო ზარატუსტრა შესწუხდა და გულისთხრობდა: „ჩემსას ვერას მიმხვდარან, არა მაქვს სიტყვა მათი ყურისათვის.

ძლიერ დიდხანს ვცხოვრობდი მე მათში, ძლიერ ბევრს უსმენდი წყაროთ და ხეთ: და ამიტომ ველაპარაკები ვით თხის მწყემსთ.

უდრეკია ჩემი სული და ნათელი, ვით მთა დილაობით. მაგრამ მათ ცივად ვეჩვენები და მასხარად საშინელის ხუმრობით.

და ესე მიყურებენ და იცინიან: და იცინიან რა, ვეზიზღები. მათ სიცილში ყინულია“.

6

ხოლო აქ მოხდა ის, რამაც ყოველი ენა დაადუმა და თვალნი უძრავ ჰყო. ამ დროს სწორედ ჯამბაზმა იწყო საქმე თვისი: იგი გამოვიდა პატარა კარიდან და მიდიოდა ორ კოშკს შორის გაბმულ, მოედნისა და ხალხის ზემოთ კიდულ თოკზე. ოდეს მიაღწია შუა გზას, გაიღო კვლავ პატარა კარი, გამოხტა აჭრელებული მასხარას მსგავსი კაცი და სწრაფის ნაბიჯით გაჰყვა პირველს. „წინ, შე კოჭლო, შესძახა საშინელი ხმით, წინ ზანტო პირუტყვო, ქურდბაცაცა, დინგთეთრა! თორემ ჩემი ფეხით არ გიღუტუნო! რას დაძრწიხარ აქ კოშკთა შორის? შენი ადგილი კოშკშია. იქ უნდა კარი გამოგიკეტონ, შენზე უკეთესს ეღობები გზად!“ და სიტყვასიტყვით უახლოვდებოდა მას; მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა დარჩენოდა და აქ მოხდა იგი საშინელი, ყოველი ენა რომ დაადუმა და თვალები უძრავ ჰყო; მან შეჰყვირა ვით ეშმაკმა და თავზე გადაახტა მას, ვინც გზად ეღობებოდა. ხოლო ამან, დაინახა რა მეტოქის გამარჯვება გონება დაჰკარგა და თოკი; ისროლა ჯოხი და ვით ფეხთა და ხელთა თერხვი ძირს წამოვიდა. და მოედანი და ხალხი ზღვას დაემსგავსა, ოდეს ქარიშხალი წამოუბერავს: ყველა ილტოდა და ერთმანეთზე გადადიოდა, უფროსად იქ, სადაც გვამი უნდა დავარდნილიყო.

ხოლო ზარატუსტრა უძრავად იდგა და სწორედ მის ახლოს დავარდა გვამი, დასახიჩრებული და დაფლეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი. მალე დამსხვრეული გონს მოვიდა და დაინახა გვერდით

დაჩოქილი ზარატუსტრა. „აქ რას აკეთებ? წარმოსთქვა მან ბოლოს, დიდი ხანია ვიცოდი, რომ ეშმაკი სარმას გამომდებდა. აწ ჯოჯოხეთისაკენ მიმათრევს. არა გსურს ხელი შეუშალო?“

„პატიოსნებას გეფიცები, მიუგო ზარატუსტრამ, არ არსებობს მსგავსი, რასაც შენ ლაპარაკობ: არაა ეშმაკი და არც ჯოჯოხეთი. შენი სული უფრო ადრე მოკვდება ვიდრე სხეული: აღარაფრის გეშინოდეს!“

ადამიანმა უნდობლობით შეხედა. „თუ მართალს ამბობ, სთქვა მან, სიცოცხლის დაკარგვით არასა ვკარგავ. არა ვარ უმეტეს ცხოველისა, რომელს ცეკვა ასწავლეს გვემითა და შიმშილით“.

„არა, ეტყოდა ზარატუსტრა, ხიფათისაგან შეჰქმენი შენი ხელობა. აქ დამამცირებელი არაფერია. აწ შენი ხელობით იღუპები: ამიტომ ჩემის ხელით დაგასამარებ“.

ოდეს ზარატუსტრამ ეს სთქვა, მომაკვდავმა აღარა უპასუხა: ხოლო ხელს ამოძრავებდა, თითქოს ზარატუსტრას ხელს ეძიებდა სამადლობელად.

7

ამ დროს შეღამდა და მოედანი ჩრდილით მოიცვა: წავიდ-წამოვიდა ხალხი, რომელს ღლის თვით ცნობისმოყვარეობა და შიშიც. ხოლო ზარატუსტრა იჯდა მიწაზე მიცვალებულის გვერდით და ფიქრებში გართულიყო. ესე დაივიწყა მან დრო, ბოლოს დაღამდა და ცივმა ქარმა დაჰბერა მწირს. მაშინ წარმოსდგა ზარატუსტრა და გულისთხრობდა:

„ჭეშმარიტად, ზარატუსტრამ დღეს კარგად ისროლა ბადე! ადამიანი არა, მაგრამ ლეში მაინც დაიჭირა. ურვითია ადამიანის არსებობა და კვლავ მარად უაზრო: მასხარაც მისთვის საბედისწეროა.

მსურს ვასწავლო ადამიანთ აზრი თვისი ყოფისა: რომელ ზეკაცია, ა დ ა მ ი ა ნ ი - ელვა ბნელი ღრუბლისა.

ხოლო მათთვის კვლავ შორეული ვარ, და ჩემი აზრი მათ აზრს არ

ელაპარაკება. ადამიანთათვის მე კვლავ სულელსა და ლეშს შორის საშუალო ვარ.

ბნელია ღამე, ბნელნი არიან გზანი ზარატუსტრასი. წავიდეთ გაყინულო, გაშეშებულო მეგობარო! იქ მიმყეხარ, სად ჩემის ხელით დაგასამარებ“.

8

ოდეს ზარატუსტრამ ესე გულისთქვა, გვამი მხრებზე აიკიდა და გაუდგა გზას. ასი ნაბიჯიც არ გაევლო რომ მას ვიღაც ადამიანი მიეპარა და რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში - და თურმე! იგი, მოლაპარაკე, კოშკის მასხარა იყო. „მოშორდი ამ ქალაქს, ჰოი ზარატუსტრა, ეუბნებოდა ის, აქ ბევრსა სძულხარ. სძულხარ ბოროტთ და მართალთ და გიწოდებენ მტერს და მოძულეს; სძულხარ მართლ-მორწმუნეთ და გიწოდებენ ხიფათს ბრბოისთვის. შენი ბედი იყო, სასაცილოდ რომ აგიგდეს: და ჭეშმარიტად, შენ ლაპარაკობდი, ვით მასხარა. შენი ბედი მკვდარ ძაღლს რომ დაუმეგობრდი; ასე დამცირებით დღეს თავი გადაირჩინე. მაგრამ მოშორდი ამ ქალაქს ან ხვალ თავს გადაგახტები, ცოცხალი მკვდარს“. და სთქვა რა ეს, გაჰქრა ადამიანი; ხოლო ზარატუსტრა განაგრძობდა გზას ბნელი ქუჩებით.

ქალაქის კართან მას შეხვდნენ მესაფლავენი: ჭრაქი შეანათეს, ემცნაურათ ზარატუსტრა და დასცინოდნენ მას. „ზარატუსტრას მკვდარი ძაღლი მიაქვს, ყოჩაღ, ზარატუსტრას მესაფლავეობა უკისრნია! ჩვენი ხელები ძლიერ სუფთაა მაგ შემწვრისათვის. თუ ზარატუსტრას ჰსურს ეშმაკს ნანადირევი მოსტაცოს? მაშ გამარჯვებით და გისურვებთ ბედნიერ ვახშამს! თუ ეშმაკი უკეთესი ქურდი არაა, ვიდრე ზარატუსტრა! - იგი ორივეს მოიპარავს, ორივეს შესჭამს!“ და იცინოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

ზარატუსტრამ არა-რა უპასუხა და განაგრძობდა გზას. ორი საათი იარა ტყე-ჭაობით და ხშირად ესმოდა მგლების მშიერი ყმუილი და მასაც მოშივდა და შეჩერდა ერთ განმარტოებულ სახლთან, საიდან შუქი მოსჩანდა.

„სიმშილო, იტყოდა ზარატუსტრა, შენ თავს მატყდები ვით ავაზაკი. ტყეში და ჭაობში თავს მატყდები ჩემი სიმშილი და შუაღამე. უცნაური ბუნებისაა ჩემი შიმშილი. ხშირად ნასადილევს მესტუმრება, და დღეს იგი სულ არ მიგრძვნია: ნეტავ სად დაყოვნდა?“.

ამასთან კარი დააკაკუნა. მყის ერთი მოხუცი გამოვიდა ხელში სანთლით და იკითხა: „ვინ მესტუმრა მე და ჩემს ცუდ ძილს?“.

„ერთი ცოცხალი და ერთი მკვდარი, უპასუხა ზარატუსტრამ. მომეცით მე საჭმელი და სასმელი. დღისით მე ეს დამავიწყდა. რომელი აჭმევს მშიერს, თვის სულს აპურადებს: „ამას იტყვის სიბრძნე“.

მოხუცი შევიდა სახლში, მალე უკან დაბრუნდა და შესთავაზა ზარატუსტრას პური და ღვინო. „ურგია ეს მხარე მშიერთათვის და ამად ვცხოვრობ აქ. ცხოველი და ადამიანი მოდის ჩემთან - განდეგილთან. მაგრამ უთხარ შენს თანამგზავრს სჭამოს და სვას, იგი უფრო დაქანცულია, ვიდრე შენ“. ზარატუსტრამ მიუგო: „მკვდარია ჩემი თანამგზავრი, ძნელი იქნება მისი დაპურება“.

„ჩემთვის ერთია, სთქვა მოხუცმა მწყრალად, რომელი რეკდეს კარსა ჩემსა, მიიღებდეს რასაც შევთავაზებ, სჭამდეთ და მშვიდობით იყავით“.

შემდეგ ზარატუსტრამ კვლავ იარა ორი საათი, მისდევდა გზას და ვარსკვლავთა შუქს: ღამის ჩვეული მგზავრი იყო და უყვარდა ყოველი მძინარის სახეში ცქერა. ოდეს ირიჟრაჟა, ზარატუსტრა უდაბურ ტყეში გაჩნდა და გზა აღარსად სჩანდა. აქ ზარატუსტრამ ცხედარი ფუღუროში შესდო თავის სიმაღლეზე - ესე ჰსურდა დაეფარა მგლებისაგან - თვით წამოწვა მოლზე და მყისვე ჩაეძინა მოქანცულს სხეულით, უდრეკს სულით.

9

დიდხანს ეძინა ზარატუსტრას, ალიონმა და დილამაც გადაუარა მის

სახეს. ბოლოს გაახილა თვალნი: გაოცებული იყურებოდა ზარატუსტრა ტყესა და სიჩუმეში, გაოცებული იყურებოდა თავის შორის. შემდეგ სწრაფად წარმოსდგა, ვით მეზღვაური, რომელმან უეცრივ მიწა შეამჩნია და შეჰყვირა სიხარულით: რამეთუ მან იხილა ახალი ჭეშმარიტება. და ესე ესიტყვა თავის გულს:

„ვიხილე ნათელი: ვსაჭიროებ თანამგზავრთ, და ცოცხალთ, - არა მკვდარ თანამგზავრთ და მხედართ, რომელნი თან დამაქვს სადაც მოვისურვებ.

არამედ ცოცხალ თანამგზავრთ, რომელნი მომდევდნენ მე, რათა ჰსურთ თავის თავს მისდევდნენ - და იქ, სადაც მე მსურს.

ვიხილე ნათელი: არა ხალხს, არამედ თანამგზავრთ ელაპარაკო ზარატუსტრა! ზარატუსტრა არ იქმნება მწყემსი ჯოგისა და ძაღლი!..

მრავალი გამოვსტაცო ჯოგს - ამად მოვედ მე. ხალხი და ჯოგი განმირისხდება: ავაზაკს მიწოდებენ მწყემსნი.

მწყემსნი, ვამბობ მე, ხოლო იგინი თავს კეთილთ და მართალთ უწოდებენ. მწყემსნი, ვამბობ მე; ხოლო იგინი თავს მართმადიდებელთ უწოდებენ.

იხილე კეთილი და მართალნი! ვინ სძულთ მათ უფროს? რომელი დაამსხვრევს მათ საუნჯეთა ფიცარს, მმუსვრელი, ბოროტმოქმედი: - ხოლო იგია შემომქმედი.

იხილე მორწმუნენი ყოველ რწმენათა! ვინ სძულთ მათ უფროს? რომელი ამსხვრევს მათ საუნჯეთა ფიცარს, მმუსვრელი, ბოროტმოქმედი: - ხოლო იგია შემომქმედი.

თანამგზავრთ ეძიებს შემოქმედი, არა ცხედართ, არა ჯოგს და არა მორწმუნეთ. შემომქმედი ეძიებს თანაშემომქმედთ, რომელნი სწერენ ახალ საუნჯეთ ახალს ფიცარზე.

თანამგზავრს ეძიებს შემოქმედი და თანამოსამკლეთ: მათ შორის ყველაფერი მოსავლად მოწეულია. მას აკლია ასი ცელი: ესე ჰგლეჯს თავთავს და მრისხანეა.

თანამგზავრთ ეძიებს შემომქმედი, რომელთ იციან ცელთა ლესვა. მმუსვრელთ უწოდებენ მათ და მოძულეთ კეთილისა და ბოროტისას. ხოლო იგინი მოსამკლენი არიან და მოზეიმენი.

თანამგზავრთ ეძიებს ზარატუსტრა, თანამოსამკლეთ და თანამოზეიმეთ ეძიებს ზარატუსტრა: რას გააკეთებს იგი მწყემსებთან და მკვდრებთან!

და შენ კი, ჩემო პირველო თანამგზავრო, მშვიდობით იყავი! კარგად დაგასამარე შენს ფუღურო ხეში, კარგად შეგინახე მგლებისაგან.

მაგრამ გშორდები, დროა, განთიადსა და განთიადს შორის მეწვია მე ახალი ჭეშმარიტება.

არ ვიყო მწყემსი, არც მესაფლავე. აროდეს ველაპარაკო ხალხს: უკანასკნელად ველაპარაკე მკვდარს.

შემომქმედთ, მოსამკლეთ, მოზეიმეთ შევუერთდები: ვუჩვენებ ცისარტყელას და ზეკაცის ყველა კიბეთ.

განდეგილთ ვიგალობებ ჩემს საგალობელს და წყვილად დგომილთ; და რომელს ჰქონდეს ყური გაუგონარისთვის, გულს დაუმძიმებ ჩემის ბედნიერებით.

მივალ ჩემი მიზნისაკენ, მივალ ჩემი გზით; თავს გადაუვლი ფერხ-მხდალთ და ბრჯგუთ. იყოს სვლა ჩემი მათ დასავლად“.

10

ესე გულისთხრობდა ზარატუსტრა და მზე სამხრობისას იყო. მოესმა ზემოდან ფრინველის მახვილი კივილი და გაოცებულმა შეხედა ზეცას. და! არწივი ფართე რკალებით არღვევს ჰაერს, მას ზედ ეკიდა გველი, მსგავსი არა ნადავლის, არამედ მეგობრისა: იგი არწივს ყელზე შემოხვეოდა.

„ეს ჩემი ცხოველებია!“ სთქვა ზარატუსტრამ და გულით იხარებდა.

„უამაყესი ცხოველი მზის ქვეშ და უგონიერესი ცხოველი მზის ქვეშ დასაზვერად გამოსულან.

ჰსურთ შეიტყონ თუ ზარატუსტრა კვლავ ცოცხალია? მართლაც, თუ კვლავ ცოცხალი ვარ?

ადამიანთა შორის ჩემთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე ცხოველთა შორის, სახიფათო გზით მიდის ზარატუსტრა. დეე ჩემ ცხოველთ მიჩვენონ გზა!“

ოდეს ზარატუსტრა ამას ამბობდა, ტყის წმინდანის სიტყვები მოიგონა, ამოიოხრა და ეტყოდა თავის გულს:

„ნეტავ მეტად მეცნიერი ვიყო! ნეტავ სრულყოფით მეცნიერი ვიყო, ვით ჩემი გველი!

მაგრამ მე შეუძლებელს მოვითხოვ: მაშ ვსთხოვ ჩემს სიამაყეს, რათა ჩემი სიბრძნის თანმდევი იყოს! და თუ ოდეს ჩემი სიბრძნე მიმატოვებს: - ეხ, მას გაფრენა უყვარს! - ჩემმა სიამაყემ იფრინოს ჩემ შეშლილობასთან!“.

ესე დაიწყო ზარატუსტრას დასავალი.

ზარატუსტრას სიტყვანი

სამი ცვალებისათვის

გეტყვით სულის სამს ცვალებას: როგორ იქმნება სული აქლემად, აქლემი ლომად, და ბოლოს ლომი ბავშვად.

მრავალნი არიან სიმძიმენი სულისათვის, ძლიერი და ბრგე სულისათვის, რომელს თაყვანისცემა წიაღობს. მძიმესა და უმძიმესს მოითხოვს ძლიერება მისი.

რა არის მძიმე? ამას ჰკითხულობს სული ამტანი, მუხლს იდრეკს, ვით აქლემი, და ჰსურს მძიმედ დატვირთვა.

რა არის უმძიმესი, გმირნო? ამას ჰკითხულობს ამტანი სული, რათა იგი აღვიღო და განვიხარო ჩემის ძლიერებითა.

რას მოასწავებს ესე: დამდაბლდე, რათა აწუხებდე ამპარტავნობასა შენსა? აბრწყინო შეშლილობა შენი, რათა სცინოდე სიბრძნესა შენსა?

თუ იგი მოასწავებს: მივატოვოთ საქმე ჩვენი, ოდეს იგი ზეიმობს გამარჯვებასა თვისსა? ახვიდე მაღალ მთად, რათა მაცდურს გამოსცდიდე?

თუ იგი მოასწავებს: იკვებებოდე რკოითა და ბალახითა ცნობადისა და ჭეშმარიტების სიყვარულით სულისა სიმშილით იტანჯებოდე?

თუ იგი მოასწავებს: იყო სნეულად და ნუგეშისმცემელთ შინ ისტუმრებდე და მოყვრობდე ყრუთ, რომელთა არასოდეს ესმით თუ რა გწადიან?

თუ იგი მოასწავებს: შეხვიდე უწმინდურს წყალში, უკეთუ იგი ჭეშმარიტების წყალია, და არ იგერიებდე ცივ ბაყაყთ და ცხელ მყუართ?

თუ იგი მოასწავებს: ვიყვარებდეთ მოძულეთა ჩვენთა და ხელს უწვდიდეთ მოჩვენებას, ოდეს მას ჩვენი შეშინება ჰსურს?

სული ძლიერი იტვირთება ყოვლითა ამით უმძიმესითა: და ვით აქლემი, რომელი დატვირთული, უდაბნოს მაიშურებს, იგიც მიაშურებს უდაბნოსა თვისსა.

ხოლო უმწირესს უდაბნოში იქმნება მეორე ცვალება: აქ სული ლომად იქცევა, თავისუფლება ჰსურს მოიპოვოს და იყოს უფალი თვისი საკუთარი უდაბნოსი.

თვის უკანასკნელ უფალს ეძიებს იგი აქ: მისი მტრობა განუზრახავს და თავისი უკანასკნელი ღმერთის, უნდა გამარჯვებისათვის შეებრძოლოს დიდს ვეშაპსა.

რომელია დიდი ვეშაპი, სულს რომ აღარ სწადიან უწოდოს არც უფალი და არც ღმერთი? „შენ მოვალე ხარ“ - ესე ეწოდება დიდს ვეშაპს. ხოლო ლომის სული იტყვის „მე მსურს“.

„შენ მოვალე ხარ“ გზად ეღობება ოქროდ-ელვარე, ქიცვოსანი მხეცი და ყოველ ქიცვზე ბრწყინავს „შენ მოვალე ხარ!“

ათასწლოვანი ღირებულებანი ბრწყინვენ ამ ქიცვზე და ესე იტყვის

უძლიერესი ყოველ ვეშაპთა შორის: ჩემზე ბრწყინავს ყოველი ღირებულება“.

„ყველა ღირებულებანი უკვე ქმნილ არიან და ყოველი ქმნილი ღირებულება - ვარ მე. ჭეშმარიტად აღარ უნდა ყოფდეს „მე მსურს“. ესე იტყვის ვეშაპი.

ძმანო, რა საჭიროა ლომი სულში? სად არა კმარა ცხოველი მუშა, მორჩილი და პატივისმცემელი?

ახალ ღირებულებათა ქმნა - კვლავ ლომსაც არ ძალ უძს: ხოლო თავისუფლების მოპოვება ახალ ქმნადობისათვის - ჯერ არს ლომის ძლიერება.

თავისუფლების მოპოვება და ღვთაებრივი „არა“ -ს თვით მოვალეობისათვის; ამისათვისაა, ძმანო, საჭირო ლომი.

ახალ ღირებულებათა ქმნის უფლების მოპოვება - უფროსად საშინელი მტაცებლობაა მორჩილი და პატივისმცემელი სულისათვის. ჭეშმარიტად ეს მისთვის ავაზაკობაა და ავაზაკი ცხოველის საქმე.

ესრეთ დროს ვით წმიდა-წმიდათა უყვარდა მას: „შენ მოვალე ხარ“, აწ მისთვის ჯერ არს ჰპოვოს თვით წმიდა-წმიდაში შეცდომა და თვითნებობა. რათა თვის სიყვარულს თავისუფლება მოსტაცოს: ამ ავაზაკობისათვის ლომია საჭირო.

ხოლო მითხარით, ძმანო, რასა ჰქმნის ბავშვი, რასაც ვერ იქმნდეს ლომი? რადაა საჭირო მტაცებელი ლომისათვის ბავშვად ყოფა?

ბავშვი უმანკოებაა და დავიწყება, ახალი დასაბამი, ლაღობა [თამაში], თვით-რძული ბორბალი, პირველი ძვრა, თქმა ღვთაებრივი დასტურისა.

დიახ, შემოქმედ ლაღობისათვის [თამაშისათვის], ძმანო, ჯერ არს წმიდა დასტურის თქმა: აწ სულს თვისი ნება ჰსურს, თვის ქვეყნიერებას შეიძენს ქვეყნის დამკარგავი.

გიამბეთ სულის სამი ცვლილება: როგორ იქმნა სული აქლემად და აქლემი ლომად და ბოლოს ლომი ბავშვად.

ესე იტყოდა ზარატუსტრა. და ამ დროს იგი იყოფებოდა ქალაქს სახელად: ჭრელი ძროხა.

სიქველეთა კათედრათათვის

ზარატუსტრას უქებდნენ ერთ ბრძენს, ძილისა და სათნობისათვის კარგს მოლაპარაკეს: ამად ძლიერ პატივსა სცემდნენ და ასაჩუქრებდნენ, და ყველა ჭაბუკნი მიდიოდნენ და გარს ეხვეოდნენ მის კათედრას. მასთან წავიდა ზარატუსტრა და ჭაბუკებთან ერთად დაჯდა მისი კათედრის წინაშე და ამას იტყოდა ბრძენი:

პატივი და მოკრძალება ძილის წინაშე! ეს პირველია! და ერიდნეთ ყველას, რომელთ ცუდად სძინავს და ღამით ფხიზლობენ!

თვით ქურდიც მორცხვია ძილის წინაშე: მარად ჩუმად მიიპარება იგი ღამით. ხოლო ურცხვია ღამის გუშაგი, ურცხვად ატარებს იგი თავის საყვირს.

მცირე საქმე არ არის ძილი: ამად ჯერ არს მთელი დღით ფხიზლობა.

ათჯერ დღეში გმართებთ თავის მოკვდინება: იგი ჰქმნის კარგს დაღლილობას და ყაყაჩოა სულისა.

ათჯერ დღეში კვლავ ჯერ არს შენს თავს შენდობა უთხრა: თავის მოკვდინება სიმწარეა, და ცუდად სძინავს შეუნდობელსა.

ათს ჭეშმარიტებას ჰპოვებდე დღეში: თუ არ შენ ღამითაც ეძიებ ჭეშმარიტებას და შენი სული დაიმშევა.

ათჯერ დღეში ჯერ არს გაიცინო და იხარებდე. თუ არ ღამით შეგაწუხებს კუჭი, მამა მოწყენისა.

მცირენი უწყიან ამას: ხოლო ჯერ არს ყოველი სათნოება გქონდეს, რათა კარგად გეძინოს. სიცრუეს ვმოწმობდე? ვმრუშობდე?

გული მითქმოდეს მხევალისთვის მოყვასისა? ყოველი ესე ცუდად ეგუება კარგს ძილს.

და თვით ყოვლად-ქველთ ჯერ არს უწყიდნენ კვლავ ერთი რამ; თვით სიქველეთა თავის დროზე დასაძინებლად გასტუმრება.

რათა ერთმანეთს არ წაეჩხუბნონ, ტურფა ქალები! და შენ გულისათვის, უბედურო!

ზავი ღმერთთან და მეზობელთან; ამას მოითხოვს კარგი ძილი. ზავი მეზობლის ეშმაკთანაც! თუ არ - ღამით არ მოგისვენებს.

პატივი ხელისუფლებას დამორჩილება, და თვით კოჭლს ხელისუფლებას! ამას მოითხოვს კარგი ძილი. ჩემი დანაშაულია, რომ ხელმწიფება სიამოვნებით მრუდე ფეხებით დაეხეტება?

ჯერ არს ჩემად უკეთესი მწყემსი ეწოდებოდეს, რომელი თვის ცხვარს უმწვანეს ველზე აძოვებს: ესე შვენის კარგს ძილსა.

არა მსურს არცა მრავალი პატივი, არცა მდიდარი საუნჯე: ეს ტყირპის ანთებას იწვევს. გარნა ცუდია ძილი, უკეთუ კარგი სახელი არ მოგეპოვება და მცირე საუნჯე.
პატარა საზოგადოება ჩემთვის უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ბოროტი: ხოლო ჯერ არს რათა თავს იყრიდეს და დაიშლებოდეს დროზე. ესე შვენის კარგს ძილსა.

მომწონან ღატაკნი სულით: იგინი მოგგვრიან ძილს. ნეტარ არიან იგინი, უფროსად ოდეს მარად დაუდასტურებ, რომ მართალნი არიან.

ესე მირბის დღე სიქველისა. მოვალს ღამე, ვერიდები ძილის მოწოდებას! არა ჰსურს პატიჟი მას, რომელი სიქველეთა უფალია!

არამედ ვბჭობ თუ რაი ვქმენ და რაისა ვბჭობდი დღისით. ცოხნით ვეკითხები თავს, მომთმენი ვით ძროხა: რომელი იყვნენ ათნი თავისძლევანი შენნი?

და რომელი იყვნენ ათნი შენდობანი და ათი ჭეშმარიტებანი, და ათნი მცინარებანი, რომელთ სათნო ჰყვეს გული ჩემი?

ვბჭობ რა ამას, ორმოც აზრთა მიერ რწეულს, თავს მატყდება ძილი, დაუპატიჟებელი, უფალი სათნოებათა!

ძილი მიდრეკს თვალთ: იგინი მძიმდებიან. ძილი შეხება ჩემს ბაგეთ: იგინი ხსნილ იქმნებიან.

ჭეშმარიტად, რბილი ფეხისგულებით მეპარება იგი, უსაყვარლესი ქურდთა შორის და მპარავს აზრებს: მე კი ვდგევარ იქ რეგვენი, ვით ეს კათედრა.

ხოლო დიდს ხანს აღარ ვრჩები მდგომარე: უკვე ძირს ვეცემი. –

ოდეს ზარატუსტრა ისმენდა ბრძენის ლაპარაკს, გულში იცინოდა: ნათელი აღმოხდა მის შორის. და ესე გულისთხრობდა:

რეგვენია ჩემად ეს ბრძენი თვისი ორმოცი აზრითა: ხოლო მწამს იგი ძილის კარგი მცოდნეა.

ნეტარია, რომელი ამ ბრძენის მეზობლად სცხოვრობს! ესეთი ძილი გადამდებია, თვით სქელი კედლის იქითაც გადამდებია.

ჯადოქარს თვით დაუბუდნია მის კათედრაში და ამაოდ არ ისხდნენ ჭაბუკნი სიქველის მქადაგებლის წინაშე.

მისი სიბრძნეა: იფხიზლე, რათა კარგად დაიძინო. და მართლად, უკეთუ ცხოვრების აზრი არ აქვნდეს და ვალად მქონდეს უაზრობის არჩევა, ავირჩევდი ამ უაზრობას ვით უღირსესსა.

აწ ვუწყი ნათლად, პირველად ყოვლისა მას ჟამს რას ეძიებდნენ, ოდეს სიქველის მოძღვარს ეძიებდნენ. კარგს ძილს ეძიებდნენ და მასთან ყაყაჩოებით კაზმულს სიქველესა.

ყოველ ქებულ მოძღვართათვის სიბრძნე უსიზმრო ძილი იყო: არ უწყიდნენ ცხოვრების უკეთეს აზრსა.

ხოლო კვლავაც ჰგიებენ მზგავსნი ამ სიქველის მოძღვარისა და არც ისე პატიოსანნი: გარნა მათმა დრომ განვლო. დიდს ხანს აღარ იდგებიან: უკვე დაეცნენ.

ნეტარ არიან მძინარენი: მალე დაიძინებენ. - ესე იტყოდა ზარატუსტრა.

საიქაოს მოტრფიალეთათვის

ერთხელ ზარატუსტრამ, მზგავსად საიქიოს ყველა მოტრფიალეთა, თავის ოცნება ადამიანთა გაღმით ისროლა. ტანჯული და ურვილი ღმერთის ქმნილად მომეჩვენა მაშინ ქვეყანა.

სიზმრად მომეჩვენა მაშინ ქვეყანა და ღვთის პოემად; ფერად კვამლად ღვთაებრივად უმადურ ღმერთის თვალთა წინაშე.

სიკეთე და ბოროტება, სიხარული და ჭირვება, მე და შენ - ფერად კვამლად მომეჩვენა შემოქმედ თვალთა წინაშე. ისურვა ღმერთმა - თავის თვალს თვალი აარიდა, - და ესე შექმნა ქვეყანა.

სიხარულით თრობაა ტანჯულისათვის თვის ჭირვებათა თვალის არიდება და თავის დავიწყება. სიხარულით თრობად და თავის დავიწყებად მომეჩვენა ერთხელ მე ქვეყანა.

ეს ქვეყანა, მარად უსრული, მარად წინააღმდეგობის ანახატი და უსრული ანახატი - თვისი უსრული შემოქმედის სიხარულით თრობა: ესე მომეჩვენა ერთხელ მე ქვეყანა.

ესე ვისროლე მეც ერთხელ ჩემი ოცნება ადამიანთა გაღმით, მზგავსად საიქიოს ყველა მოტრფიალეთა. გაღმით ადამიანთა, მართლად?

ჰე, ძმანო, იგი ღმერთი, რომელ მე ვქმენ, ადამიანის ქმნილი იყო და ადამიანის შეშლილობა, ვით ყველა ღმერთები!

იგი კაცი იყო და უბადრუკი წილი კაცისა და „მე“ -ის: ჩემი საკუთარი ნაცრისა და მხურვალებისაგან მეწვია იგი, ეს მოჩვენება, მართლად! არა, საიქაოთი მოვიდა იგი.

რა იქმნა, ძმანო? მე ვძლიე თავს, ტანჯულს, ვზიდე საკუთარი ნაცარი მთად, და ჩემთვის უნათლესი შუქი აღმოვაჩინე. და იხილე! მოჩვენება უ კ უ ი ქ ც ა!

აწ მზგავს მოჩვენებათა რწმენა ჩემთვის განკურნებულისათვის ტანჯვა და წამება იქმნებოდა: ტანჯვა და დამცირება. ამას ვეტყვი მე საიქაოს მოტრფიალეთ.

ტანჯვამ და უძლურებამ შეჰქმნა ყოველი საიქაონი და ნეტარების ხანმოკლე შეშლილობამ, რომელს მხოლოდ უფროსად ტანჯული განიცდის.

დაღლილობამ, რომელს ერთი ნახტომით, სასიკვდილო ნახტომით, უკანასკნელი ზღვარი სწადია,

უბადრუკმა უვიცმა დაღლილობამ, რომელს თვით სურვილიც აღარა ჰსურს: მან შეჰქმნა ყოველი ღმერთი და საიქაონი.

დამიჯერეთ, ძმანო! იგი სხეული იყო სასოწარკვეთილი მიწით, - მას ესმა ყოფნის წიაღთა მეტყველება.

და მოისურვა უკანასკნელს კედლებში თავის გაყოფა და არა მხოლოდ თავის, - გაღმით „საიქაოს“ ყოფნა.

ხოლო „საიქაო“ სრულიად ფარულია ადამიანისაგან, იგი უკაცო, უადამიანო ქვეყანაა, რომელი ზეციერი არარაობაა; და წიაღი ყოფნისა ადამიანთა არ ესიტყვება თუ არ ადამიანი.

ჭეშმარიტად, ძნელი მტკიცება ყოველი ყოფნისა და ძნელია მისი ამეტყველება. მითხარით, ძმანო, განა უფროსად უცნაური ყოველთა კვლავ უკეთ არ არის ცხადყოფილი?

დიახ, ეს მე და „მე“-ს წინააღმდეგობა და აღრევა მეტყველებს

სიმართლით მის ყოფნას, ეს მქმედი, ნებითი, ფასმდები „მე“ -ა ზომა და საფასი ყოველთა.

და იგი უფროსად მართალი ყოფნა - „მე“ მეტყველებს სხეულიდან და კვლავ სხეული ჰსურს თვით ოდეს ოცნებობს და აღტაცობს და ბორგავს მსხვრეული ფრთებითა.
მარად მართალი მ ე მასწავლის მეტყველებას: და რაც მეტს მასწავლის, მეტს სიტყვას ჰპოვებს იგი და პატივისცემას სხეულისა და მიწისათვის.

ახალი ყიფობა მასწავა მე ჩემმა „მე“ -მ, მას ვასწავი ადამიანთ: აღარ მარხვიდენ თავს ციურის სილაში, არამედ ამაყად დაჰქონდეთ იგი, მიწიერი - თავი, რომელი ჰქმნის მიწის აზრსა.

ახალს ნებას ვასწავი მე კაცთ; იგი გზა ისურვონ, რომელს ადამიანი ბრმად მისდევდა, კეთილად მოიხსენიონ იგი და არ გადაუხვიონ მას, ვით ჰშვენის ავადმყოფთ და უშენთ.

ავადმყოფნი და უშენნი იყვენ მოძულენი სხეულისა და მიწისა და ჰპოვებდნენ ზეციურს და განტევების სისხლის წვეთთა: ხოლო თვით ამ ტკბილ საწამლავს იგინი სხეულს ესესხნენ და მიწასა.

ჰსურდათ თავის სიღატაკეს გაჰქცეოდნენ, და ვარსკვლავნი მათთვის მიუწვდომელნი იყვნენ და ოხრავდნენ იგინი: „ჰე ნეტავ ციური გზა ჰგიებდეს, რათა მივაღწიოთ სხვა ყოფასა და ნეტარებას!“ - მაშინ ჰპოვეს თვისი ხვრელი და სისხლიანი სასმელი.

თვის სხეულისა და ამ მიწისაგან განკვეთილად მოჰქონდათ თავი ამ უმადურთა! ხოლო ვის უმადლიან იგინი თვისი განკვეთის კრუნჩხვას და ნეტარებას? თვის სხეულს და ამ მიწას.

ლმობიერია ზარატუსტრა სნეულთათვის. ჭეშმარიტად, არა რისხავს მათ ნუგეშისცემის გზათ და უმადურებას. ჰე, ნეტავ განიკურნებოდნენ, თავსა სძლევდნენ და ჰქმნიდნენ თვისთვის უფრო მაღალს სხეულსა!

არა რისხავს ზარატუსტრა განკურნებულს, ოდეს იგი სასოებით უმზერს თვის ოცნებას და შუაღამისას თვისი ღმერთის საფლავის გარ-დაეხეტება: ხოლო მისი ცრემლები ჩემთვის კვლავ სნეულებაა და სნეული სხეული.

მრავალი სნეული ხალხი იყო მარად მათ შორის, რომელნი ოცნებობენ და ღმერთს ეძიებენ: საშინლად სძულდათ მმეცნენი და

იგი ახალგაზრდა ქველობა, რომლის სახელია სიმართლე.

მარად უკუ იხედებიან ბნელი დროებათაკენ: და მართლად მაშინ ოცნება და რწმენა სხვა იყო: გონების შეშლილობა ღვთისდარი იყო და იჭვი ცოდვა!

კარგად ვუწყი ღვთისდართ: მათ ჰსურთ, რათა რწმედნენ მათ და იჭვი ცოდვა იყო. კვლავ კარგად ვუწყი მე, რა ჰწამთ მათ უფროსად.

ჭეშმარიტად არა საიქაონი და განტევის სისხლის წვეთები სწამთ მათ: მათთაც უფროსად სხეული სწამთ, სხეულია მათთვის საგანი თავად.

ხოლო იგი სხეული სნეული ნივთია მათთვის და სიხარულით გაიძრობდნენ კანს. ამად უსმენენ მქადაგებელთ სიკვდილისა და ჰქადაგებენ საიქაოთა.

უკეთესია, ძმანო, ყური დაუგდოთ საღი სხეულის ხმას: იგი უფრო მართალი და უმანკო ხმაა.

უფრო მართლად და უფრო უმანკოდ მეტყველებს საღი სხეული, სრულქმნილი და სწორწახნაგი: და მეტყველება მისი მიწის აზრია.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სხეულის მეძულეთათვის

სხეულის მეძულეთ მსურს მივმართო ჩემის სიტყვით. ჯერ არს მათთვის არა გადაეჩვიონ და გადააჩვიონ, არამედ გამოეთხოვნონ თვის სხეულს და ამით დადუმდნენ.

„მე სხეული ვარ და სული“ - ამას იტყვის ბავშვი. და რად ჯერ არა არს ბავშვივით მეტყველება?

სხეული დიდი გონებაა, იგი მრავლობაა მხოლოდის გრძნობით, ომი და ზავი, ჯოგი და მწყემსი.

შენი სხეულის იარაღი თვით შენი მცირე გონებაა, ძმაო, რომელს შენ „სულს“ უწოდებ, შენი დიდი გონების მცირე იარაღი და ტიკინი.

„მე“ იტყვი შენ და ამაყობ ამ სიტყვით, ხოლო უდიდესია - ამას არ გსურს დაუჯერო - შენი სხეული და შენი დიდი გონება: იგი არ იტყვის მე, არამედ ჰქმნის „მე“ -ს.

რასაც შენი გრძნობა განიცდის და სული მცნებს, არადეს აქვს მიზანი თვის შორის. ხოლო გრძნობას და სულს ჰსურს დაგაჯერონ, რომ იგინია ყოვლის მიზანი: ესეთია მათი ამაოება.

იარაღი და ტიკინია გრძნობა და სული: და მათ უკან ჰსუფევს კვლავ თვით. თვით კვლავ გრძნობის თვალით ეძიებს და სულის ყურით უსმენს.

მარად უსმენს თ ვ ი თ და ეძიებს: იგი შეადარებს, აიძულებს, იმორჩილებს, ანგრევს. იგი მფლობელობს და თვით „მე“ - ს მბრძანებელია.

შენ აზრთა და გრძნობათა უკანა, ძმაო, სდგას ძლიერი მბრძანებელი, უცნობი ბრძენი - მისი სახელია თ ვ ი თ. იგი შენ სხეულში სცხოვრობს, იგი შენი სხეულია.

შენს სხეულში მეტი გონიერებაა, ვიდრე შენს უკეთეს სიბრძნეში. და ვინ უწყის რად საჭიროებს შენი სხეული უთუოდ შენს უკეთეს სიბრძნეს?

შენი თ ვ ი თ დასცინის შენს „მე“-ს და მის ამაყ ნახტომთ. „რად ღირს ჩემთვის აზრის ეს ნახტომი და ფრთანი? იტყვის იგი. გზის აქცევაა ჩემი მიზნისათვის. მე ვარ მწე „მე“ -სი და მის აზრთა გამღვიძებელი“.

თ ვ ი თ ეტყვის „მე“ -ს: „აქ იგრძენი ტკივილი!“ იგიც სწუხს და ჰფიქრობს რათა აღარ შეწუხდეს - და სწორედ ამად ჯ ე რ ა რ ს ფიქრი.

თ ვ ი თ ეტყვის „მე“ -ს: „აქ იგრძენი სიხარული!“ იგიც იხარებს და ჰფიქრობს რათა მრავლად იხარებდეს - და ს წ ო რ ე დ ა მ ა დ ჯ ე რ არს ფიქრი.

სხეულის მეძულეთ მსურს მივმართო ჩემი სიტყვით: რაიცა მათ სძულთ, მას პატივსა სცემენ, რამ ჰქმნა პატივისცემა და მძულვარება, საფასი და ნება?

მქმედმა თ ვ ი თ ჰყო თავისთავის პატივისცემა და მძულვარება, მან ჰყო თავისთავის სიხარული და ურვა. მქმედმა სხეულმა ჰყო თავისთავის სული, ვით ხელი თვისი ნებისა.

უგუნურობით და მძულვარებით კვლავ თქვენ თვით, ემსახურებით, თქვენ, მეძულენო სხეულისა. გეტყვით თქვენ: თქვენს თვითს ჰსურს სიკვდილი და პირს უბრუნებს სიცოცხლეს.

აღარ ძალ უძს ქმნა რაც ესიამოვნება: - თვისზე უშორესი ქმედობა.

იგი სწყურია მას, იგია მისი სწრაფვა.

ხოლო აწ გვიანია: ამად წარხდება თქვენი თ ვ ი თ, თქვენ მეძულენო სხეულისა.

წარხდომად ისწრაფვის თქვენი თვით და ამად იქმენით მეძულენი სხეულისა. აღარ ძალგიძს ქმნა თქვენზე უშორესისა.

და ამად რისხავთ სიცოცხლეს და მიწას. უგნებელი შურიანობაა თქვენი მძულვარების უჟმური გამოხედვისა.

თქვენის გზით არ მოვდივარ, თქვენ მეძულენო სხეულისა! არა ხართ ჩემთვის ხიდი ზეკაცისაკენ! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სიხარულთა და ვნებათათვის

ძმაო, უკეთუ სიქველე გაქვს და იგი შენი სიქველეა, არაᲥ გაქვს სხვებთან საზიარო.

მართლად, გსურს მას სახელით უხმობდე და უალერსებდე; გსურს ყურს მოსწევდე და ეხუმრებოდე.

და უყურე! აწ შენი სახელი ხალხთან საზიაროა და შენ სიქველესთან ერთად თვით ხალხი და ნახირი ხარ!

უკეთეს იქმდი და იტყოდი: „უთქმი და უსახელოა, რომელი სტანჯავს და ასიტკბოებს ჩემს სულს და ჩემი წიაღის სიმშილია“.

იქმნეს სიქველე შენი უმაღლეს სახელრქვისა. და უკეთუ იძულებული ხარ შენი სიქველე ახსენო, ნუ გრცხვენის იგი ბრგუდ მოიხსენიო.

ახსენე და ბრგუობდე: „ესეა ჩ ე მ ი სიკეთე, მიყვარს, ამად მომწონს და მხოლოდ ესე მსურს სიკეთე.

არა მსურს იგი ვით სჯული ღვთისა. არა მსურს იგი ვით დადგინება კაცთა და უცილობა: არა წინამძღვრობდეს იგი საიქიოთა და სამოთხეთაკენ.

მიწიერი სიქველეა, რომელი მე მიყვარს: მცირეა მის შორის გონიერება და უფროსად მცირე - საზიარო გონება.

ხოლო ამ ფრინველმა ბუდე ჩემთან გაიკეთა: ამად მიყვარს იგი და უალერსებ - აწ იგი ჩემთანა ზის ოქროს კვერცხებზე“.

ასე უნდა ბრგუობდე და აქებდე შენს სიქველეს.

ოდესღაც გულისთქმობდი და ამას ბოროტებას უწოდებდი. აწ მარტოდ სიქველენი დაგრჩენია: იგინი შენი გულისთქმობით აღმოცენდნენ.

ამ გულისთქმათა შორის დამარხე შენი უზენაესი მიზანი: და იგინი იქმნენ შენ სიქველედ და სიხარულად.

ერთია იგი მოდგმისაგან მწყრალთა, ვნებიანთა და მწვალებელთა და შურისმაძიებელთა:

ბოლოს ყველა ვნებანი შენნი სიქველედ იქმნება და ყველა შენი ავსულნი ანგელოსებად.

ოდესღაც შენს ჯურღმულში გარეული ძაღლები გამოამწყვდიე, ბოლოს იგინი ფრინველებად იქმნენ და მომღერლებად.

შენი საწამლავისგან იმზადებ სალბუნს; შენ ძროხას - სევდას - სწველი, - და სვამ მისი ჯიქნის ტკბილ რძესა.

და არა ბოროტი იშვას შენს შორის, თვინიერ ბოროტებისა, რომელი შენ სიქველეთა ბრძოლით აღმოცენდა.

ძმაო, უკეთუ ბედნიერი ხარ, მხოლოდ ერთი სიქველე გაქვნდეს და არ უმეტეს: და ესე მჩატედ გახვალ ხიდსა.

საპატიოა, ფლობდე მრავალ სიქველეს, გარნა იგი მძიმე ბედია: მრავალი წავიდა უდაბნოს თავის მოსაკლავად. მოიქანცა სიქველეთა ბრძოლისა და ბრძოლის ველად ყოფითა.

ძმაო, ომი და ბრძოლა ბოროტებაა? გარნა შენ სიქველეთა შორის უცილებაა ბოროტება, უცილებაა შური და უნდობლობა და ცილწამება.

შეხე, როგორ სწყურია შენს სიქველეს უზენაესი: ჰსურს შენი მთელი სული, რათა ესე იყოს მ ი ს ი მახარობელი, ჰსურს მთელი შენი ძალა რისხვით, ძულვილებით და სიყვარულით.

იჭვიანობენ ურთიერთ შორის სიქველენი და იჭვიანობა საშინელებაა. სიქველენის იჭვიანობით დაიღუპებიან.

ვისაც იჭვის ალი გარსერტყმის, იგი ბოლოს შხამიან ნესტარს თვისკენ იბრუნებს, ვით მორიელი.

ჰე, ძმაო, ჯერ არ გინახავს სათნოება თავს ცილსწამებდეს და დაჰკბენდეს?

ადამიანი რამეა, რომელი ჯერ არს ძლეულ იქმნეს: ამად უნდა გიყვარდეს სიქველენი შენნი: - რამეთუ მათით წარხდები. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ფერწასულ ბოროტმქმედისათვის

არა გსურთ ჰკლავდეთ, თქვენ მსაჯულნო და შემწირველნო, ვიდრე ცხოველი არ წაიჩოქებს? შეხედეთ ფერწასულმა ბოროტმქმედმა წაიჩოქა: მისი თვალებით დიდი მძულვარება გამოკრთის.

„ჩემი მე რაღაცაა, რომელი ჯერ არს ძლეულ იქმნეს: ჩემი ადამიანის დიდი მძულვარებაა“: ეს გამოკრთის ბოროტმქმედის თვალიდანა.

მან ჰსაჯა თავი თვისი, ესე ჟამია მისი ამაღლებისა: ნუღარ განხდით ამაღლებულს კვლავ დამცირებასა!
არა არის ხსნა იმისა, რომელი თავის თავით ესე იტანჯვის, გარდა სწრაფი სიკვდილისა.

იყოს მკვლელობა თქვენი, მსაჯულნო, თანაგრძნობად, არა შურისძიებად. და ოდეს ჰკლავდეთ, ზრუნვიდეთ, რათა თვით თქვენ გამართლებდეთ ცხოვრება!

არა კმარს შერიგება თქვენ მიერ სასიკვდილოდ განწირულთან. იყოს მწუხარება თქვენი სიყვარულად ზეკაცისადმი: და ამით ამართლებდეთ თქვენ კვალად ცხოვრებასა.

„მტერი“ იტყოდეთ თქვენ, არა „ბოროტმქმედი; „ავადმყოფი“ იტყოდეთ თქვენ, არა „გაიძვერა; „რეგვენი“ იტყოდეთ თქვენ, არა „ცოდვილი“.

და შენ, წითელო მსაჯულო, უკეთუ ლაღად ჰყოფდე შენ მიერ აზრით ქმნილს; ყოველი კაცი ჰყვიროდეს; „შორს ამ უწმინდურებისა და შხამიანი მატლისაგან!“.

ხოლო აზრი სხვაა, საქმე სხვაა, საქმის სანახაობა სხვაა. მათ შორის მიზეზობრიობის ბორბალი არა ბრუნავს.

სანახაობამ აცვლევინა ფერი ამ ფერწასულ ადამიანს. თანაღირსი იყო იგი თვისი საქმისა, ოდეს მას იქმოდა: ხოლო ოდეს ქმნა, ვერ აიტანა მისი სანახაობა.

მარად ხედვიდა თვის შორის ერთის საქმის მქმედს. შეშლილობას უწოდებ ამას: გამონაკლისი იქმნა მის არსებად.

ხაზი ხიბლავს ქათამს; მის მიერ გასმულმა ხაზმა მოხიბლა მისი საცოდავი გონება - საქმის შ ე მ დ ე გ შეშლილობას უწოდებ ამას.

მისმინეთ, მსაჯულნო! კვლავ სხვა შეშლილობა ჰგიებს: იგი საქმის უ წ ო ნ ა რ ე ს ი ა. ჰე, საკმაოდ ღრმად ვერ შთასულხართ ამ სულში!

და იტყვის მსაჯული წითელი: „რად ჰკლავდა ეს ბოროტმქმედი? ძარცვისათვის“. ხოლო გეტყვით თქვენ: მის სულს სისხლი სწყუროდა, არა ძარცვა: მას სწყუროდა მახვილის ბედნიერება!

ხოლო მისმა საცოდავმა გონებამ ვერ დაიტია ესე და დააჯერა. „რა ფასი აქვს სისხლს, იტყოდა იგი; არა გსურს გაძარცვო კიდეც? შური იძიო?“.

და მან დაუჯერა თავის საცოდავს გონებას: ვით ტყვია დააწვა მას მისი სიტყვა - და მაშინ, ჰკლავდა რა, ძარცვიდა. არა მოისურვა რცხვენა თვისი შეშლილობით.

და აწ კვლავ აწევს ტყვია დანაშაულისა და კვლავ მისი გონება ესე უდრეკია, ესე დამბლიანი, ესე მძიმე.

ნეტავ შესძლებდეს თავის გაქნევას, მისი ტვირთი გადმოსკდება: ხოლო ვინ გაანძრევს ამ თავს?

რა არის კაცი ესე? ზვინი სნეულებათ, რომელნი სულით ცხოვრებაში შეიჭრებიან: და აქ ეძიებენ სადავლსა.

რა არის კაცი ესე? ველური გველთა ნასკვი, რომელნი იშვიათად ჰქმნან ერთმანეთთან ზავს, - აქეთ იქით მიხოხავენ და ეძიებენ ქვეყანაზე სადავლსა.

შეხედე ამ საცოდავ სხეულს! როგორ ეწამა, რისთვის ისწრაფა, ეს ჰსურდა გაეგო მის სულს, - მან გაიგო იგი ვით მკვლელობის სიხარული და ჟინი მახვილის ტარებისა.

აწ ავად მყოფის თავს ატყდება ბოროტება, რომელი სადღეისო ბოროტებაა: და მას ჰსურს სხვა აწამოს თავისი წამებით. ხოლო სხვა

დრონი სუფევდნენ და სხვა ბოროტება და სიქველე.

ოდესღაც ბოროტება ეჭვი იყო და ნება თვისობისათვის. მაშინ ავადმყოფი მწვალებლად ჰყოფდა და კუდიანად: ვით მწვალებელი და კუდიანი იტანჯებოდა იგი და ჰსურდა სხვა დაეტანჯა.

ხოლო ესე არ შედის თქვენს ყურში: თქვენ კეთილთა ავნებთ, მეტყვით თქვენ. გარნა რად მიღირან მე კეთილნი თქვენნი!

ბევრეული მეზიზღება თქვენ კეთილთა შორის, და მართლად არა მათი ბოროტება. ვისურვებდი, რათა შეიშალნენ და ამით წარხდნენ, ვით ეს ფერწასული ბოროტმქმედი!
მართლად, ვისურვებდი, რათა მათს შეშლილობას ჭეშმარიტება ეწოდებოდეს, ან ერთგულება, ან მართლმსაჯულება: ხოლო მათ თვისი სიქველე აქვთ, რათა ხანგრძლივად იცოცხლონ და უბადრუკი კმაყოფით.

ვარ მოაჯირი ხევსა ზედა: მომეჭიდენით, ვისაც მოჭიდება ძალუძს! ხოლო არა ვარ ყავარჯენი თქვენი. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

კითხვისა და წერისათვის

ყოველ დაწერილთა შორის მიყვარს იგი, რაც ადამიანს თავისი სისხლით დაუწერნია. სისხლითა სწერდე და შეიტყობდე, რომ სისხლი სულია.

ადვილი არ არის სხვისი სისხლის შეცნობა: მძულს უსაქმურნი მკითხველნი.

რომელი სცნობდეს მკითხველს, არაფერს ჰქმნიდეს მკითხველისათვის. კვლავ ერთი საუკუნე მკითხველთა - და თვით სული აშმორდება.

რომ ყოველისათვის წერის სწავლა ხსნილია, ეს დაღუპავს არა მხოლოდ წერას, არამედ აზროვნებასაც.

ოდესღაც სული ღმერთი იყო, შემდეგ კაცად უქმნა, აწ იგი ბრბოდ იქმნება.

რომელი სისხლითა და იგავებითა სწერდეს, არა ისურვოს, რათა მას კითხულობდნენ, არამედ იზეპირებდნენ.

მთაში მწვერვალიდან მწვერვალამდე უმოკლესი გზაა: ხოლო ამად ჯერ არს გრძელი ფეხები გქონდეს. იგავნი უნდა მწვერვალთ მზგავსნი იყვნენ: და რომელთ იგავებით ელაპარაკებიან - ტანადნი და მაღლად ზრდილნი.

თხელი ჰაერი და წმინდა, განსაცდელის ახლოობა და სული, სავსე მხიარულის ბოროტებითა: ამათ შორის კეთილი თანხმობაა.

მსურს გარს მთის სულები მეხვეოდნენ, რადგან მამაცი ვარ. მამაცობა, რომელი განფანტავს მოჩვენებათ, თვით ჰქმნის თავის მთის სულთ, - მამაცობას სიცილი სწადია.

აღარა ვგრძნობ თავს თქვენს შორის: ეს ღრუბელი, ჩემს ქვემოთ რომ ვხედავ, ეს შავბნელობა და სიმძიმე, რომელთ მე დავცინი, - იგია თქვენი ავდრის ღრუბელი.

თქვენ მაღლით იმზირებით, ოდეს ამაღლებას ეძიებთ, მე ძირს ვიხედები, რადგან ამაღლებული ვარ.

ვის ძალ უძს თქვენს შორის ერთსა და იმავე დროს იცინოდეს და ამაღლდეს?

რომელი უმაღლეს მთებს ავლის, იგი დასცინის ყოველ ტრაგედიას და ყოველ სევდას.

უდარდელნი, მკილავნი, ძალმომრენი - სწადია ჩემი თავი სიბრძნესა; იგი დედაკაცია და მარად მხედარი უყვარს.

მეუბნებით, „ძნელია ცხოვრების ატანა“. ხოლო რად გეჭირვებოდათ დილაობით სიამაყე თქვენი და საღამოთი მდაბლობა?

ცხოვრება ძნელი ასატანია, ხოლო ნუ მოგაქვთ თავი ეგზომ ფაქიზად! ყველა კარგი ვირები ვართ ტვირთისა და ხრდალები.

რაი გაქვთ საზიარო კოკორთან ვარდისა, რომელი თრთის ოდეს ნამის ცვარი დაედინება მის სხეულსა?

მართლად: გვიყვარს ცხოვრება არა ცხოვრების, არამედ სიყვარულისადმი შეთვისებისათვის.

არის მცირე შეშლილობა სიყვარულში. ხოლო შეშლილობაშიც მარად მცირე გონიერებაა.

და თვით მე, ცხოვრებად კეთილგანწყობილს, მეჩვენება პეპლებმა და საპნის ბუშტებმა და მზგავსთა მათთა ადამიანთა შორის უაღრესი

უწყიან ბედნიერებისა.

აქ მსუბუქ სულელ კეკლუც მოძრავ პატარა სულთა ცქრიალის მზერა - ეს აატირებს და აამღერებს ზარატუსტრასა.

ვიწამებდე ღმერთს, რომელმან როკვა უწყიდეს.

და ოდეს ჩემი ეშმაკი ვიხილე, ვპოვე იგი დარბაისელ, ძირმაგარ, ღრმა, მხიარულ: იგი იყო სული სიმძიმისა, - მისით დაეცემის ყოველი.

არა რისხვითა, არამედ სიცილითა ჰკვლენ. აღიმართენით კვლავ სულის სიმძიმისა!

ვისწავლე სიარული; იმიერიდან ვრბივარ. ვისწავლე ფრენა: იმიერიდან აღარა მსურს ხელსა მკრავდნენ, რათა ვიცვლიდე ადგილსა.

აწ მჩატე ვარ, აწ ვფრინავ, აწ ვხედავ თავს ჩემს ქვეით, აწ ჩემი ღვთაება როკავს.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მთის ხისათვის

შეამჩნია ზარატუსტრამ, რომ ერთი ჭაბუკი გაურბოდა მას და ერთს საღამოს, ოდეს იგი მწირად ვლიდა მთებში რომელი გარერტყა ქალაქს, წოდებულს „ჭრელი ძროხა“, თვალი მოჰკრა ამ ჭაბუკს, რომელი ერთს ხეს მიყრდნობოდა და მოქანცული თვალებით უმზერდა ხეობას. ზარატუსტრამ ხელი მოხვია ხეს, ჭაბუკი რომ მიჰყრდნობოდა, და ესე იტყოდა:

„ვისურვებდე და ძალ არ მიძდეს ხელითა ჩემითა ამა ხის შერხევა.

ხოლო ქარი, რომელს ვერ ვხედავთ, აფორიაქებს მას და ჰღუნავს, საითაც მოისურვებს. უფრო საშინლად გვღუნავს და გვაფორიაქებს ჩვენ უხილავი ხელი“.

მაშინ წარმოსდგა ჭაბუკი გაოცებული და იტყოდა: „მესმის ზარატუსტრა, აწ მისთვის ვფიქრობდი“. ზარატუსტრამ მიუგო:

„რის გეშინის“ - ხოლო იგივეა კაცთათვის, ვით ხეთათვის.

რაოდენ იგი მაღლისა და ნათელისკენ აიზიდება, იმოდენ ფესვნი

მისნი მიწისა, ბნელისა, სიღრმისა, - ბოროტისაკენ ისწრაფვიან“.

„დიახ, ბოროტისაკენ! შეჰყვირა ჭაბუკმა. ვით ჰპოვე სული ჩემი?“.

ზარატუსტრა ღიმილით ეტყოდა: „ზოგიერთ სულს ვერ ვპოვებ. უკეთუ ჯერ არ აღმოაჩენ“.

„დიახ, ბოროტისაკენ! შეჰყვირა კვლავ ჭაბუკმა.

მართალს იტყვი, ზარატუსტრა: ჩემს თავს აღარ ვენდობი მას აქეთ, რაც მაღლისკენ ვისწრაფი და აღარავინ მენდობა, - ნეტავ რატომ?

სწრაფია ჩემი ცვალება: ჩემი სადღეისო ჩემს გუშინდელს უარყოფს. ოდეს ავდივარ, ხშირად საფეხურებს გადავახტები, - ამას არ მაპატიებს არც ერთი საფეხური.

მაღლით თავს მწირადა ვგრძნობ. არავინ მესაუბრება, მარტოობის ყინვა მაძაგძაგებს. რა მინდა ნეტავ მაღლით?

ჩემი მძულვარება და ჩემი სწრაფვა ერთად იზრდებიან; ელოდენ მაღლით მივდივარ, ეზომ მძულს იგი, რომელი მაღლით ვლის. ნეტავ რა სწადია მას მაღლით?

ვით მერცხვინება ჩემი აღმასვლით და ბორძიკით! ვით ვცინი ჩემს ქშინვას! ვით მეზიზღება მფრინავნი! ვით მოვიქანცე მაღლა ყოფნითა!“.

აქ დადუმდა ჭაბუკი და ზარატუსტრა უმზერდა ხეს, რომელთან იდგნენ და ესე ეტყოდა:

„აქ ეს ხე მწირად სდგას მთაზე; იგი იზრდება ადამიანთა და ცხოველთა ზე.

და მომსმენი არ ეყოლებოდა, უკეთუ ლაპარაკს მოისურვებდა: ესე მაღლით იზარდა.

და ესე მოელოდება და მოელოდება, - ნეტავ რას მოელოდება? ძლიერ ახლოს სცხოვრობს იგი ღრუბლებთან; იგი პირველს ელვას მოელოდება“.

ოდეს ზარატუსტრა ამას იტყოდა, ჭაბუკმა ძლიერის მღელვარებით წარმოსთქვა: „ზარატუსტრა სიმართლეს მეტყველებს. ჩემდა წარხდომად ვისწრაფი მაღლით სწრაფვით და შენ ელვა ხარ, რომელს ველოდებოდი! შემხედე, რაღა ვარ მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს შორის გაჩნდი. შენდამი შ უ რ მ ა დამაბნია“. ესე იტყოდა ჭაბუკი და მწარედ

სტიროდა. ხოლო ზარატუსტრამ მას ხელი მოჰხვია და წაიყვანა.

და ოდეს განვლეს მცირე გზა, ესე დაიწყო ზარატუსტრამ:

გული მეწვის. უფროსად ვიდრე სიტყვანი შენნი, შენი თვალები მაუწყებენ შენს მომავალს განსაცდელსა.

არა ხარ ჯერ თავისუფალი, კვლავ თავისუფლებას ე ძ ი ე ბ. ღამის თევას შეგაჩვია შენმა ძიებამ და დაგძალა.

თავისუფალ ზენათ ისწრაფვი, ვარსკვლავები სწყურიან შენს სულს, ხოლო შენს უკეთურ სწრაფვათაც სწყურიათ თავისუფლება.

შენი ველური ქოფაკნი იწევენ თავისუფლებად, ყეფავენ სიხარულით თვის ორმოში, ოდეს შენი სული ისწრაფვის შემუსვრას ყველა საპყრობილეთა.

ჩემად, კვლავ საპყარი ხარ, რომელი თავისუფლებას ოცნებობს; ჰე, ვით ბრძენდება ესეთ საპყართა სული, გარნა კვლავ ვერაგდება და უკეთურდება.

განწმენდა მართებს სულით თავისუფალს. მის შორის კვლავ ძლიერია საპყრობილე და ობი: კვლავ მისი თვალიც სჭირვებს განწმენდას.

დიახ, ვიცი შენი განსაცდელი, ხოლო ჩემი სიყვარულითა და იმედით გაფიცებ: ნუ განაგდებ შენს სიყვარულსა და იმედსა!

კვლავ კეთილშობილად ჰგრძნობ თავსა და კეთილშობილი ხარ სხვათათვის, რომელნი გძულებენ შენ და ბოროტი თვალით გხედვიან. უწყიდე, კეთილშობილი ყველას გზად ეღობება.

კეთილთაც კეთილშობილი გზად ეღობება: და თვით ოდესმე მას კეთილს უწოდებენ, ესე ჰსურთ მისი მოშორება გზიდან.

ახლის ჰქმნა ჰსურს კეთილშობილს და ახალის სიქველისა. ძველი ჰსურს კეთილს და რაღა ძველი სულ იყოს.

ხოლო არაა განსაცდელი კეთილშობილისა ოდეს იგი კეთილად გარდიქმნეს, არამედ ანაზდად, მკილავად დამღუპველად.

ჰე, ვიცნობდი კეთილშობილთ, რომელთ თვისი უდიდესი იმედი დაჰკარგეს და შემდეგ ჰკიცხავდნენ ყველა დიდ იმედთა.

და იმ დღიდან სცხოვრობდნენ ანაზდად, ხანმოკლე სიამოვნებით და

ვეღარ უწევდნენ დღეის გაღმით თვის მიზანსა.

„სულიც ავხორცობაა“ - ესე იტყოდნენ. მაშინ დაემტვრა ფრთები მათ სულს: აწ იგი დაძრწის და ჰბილწავს ყოველს სავსე ჯექნითა.

ოდესღაც გმირობა ჰსურდათ: აწ ავხორცნი არიან. მწუხარება და საშინელებაა მათთვის გმირი.

ხოლო ჩემის სიყვარულითა და იმედით გაფიცებ: არ განხადო შენის სულით გმირები! წმიდათ ინახდე შენს დიდსა იმედსა! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სიკვდილის მქადაგებელთათვის

არიან მქადაგებელნი სიკვდილისა: და ქვეყანა აღივსო ხალხით, რომლისთვის ჯერ არს, რათა ცხოვრებით განკვეთას უქადაგებდნენ.

აღივსო ქვეყანა ზედმეტებით, წარხდა ცხოვრება ბევრეულთა. ნეტავ „საუკუნო ცხოვრების“ აღთქმით აღიგავონ პირისაგან ცხოვრებისა!

„ყვითლები“ ან „შავები“: ესე უწოდებენ სიკვდილის მქადაგებელთ. ხოლო მათ სხვა ფერებითაც გაჩვენებთ.

ესენი უსაშინლესნი არიან, რომელნი თვის შორის მტაცებელ ცხოველს ატარებენ და არჩევანი არა აქვთ არ თუ აღტკინებისა და თვითმოკვდინებისა. მათი აღტკინებაც თვითმოკვდინებაა.

ჯერ ადამიანადაც არ ქმნილან ეს საშინელები: დეე იქადაგონ ცხოვრების უარყოფა და თვით აღიგავონ!

ჭლექიანები არიან სულით: დაიბადებიან რა, სიკვდილს იწყებენ და სწყურიათ მოძღვრება დაღლილობისა და განკვეთისა.

დიდია მათი ხალისი მკვდრად ყოფნის, და ჩვენც დასტურ ვყოთ მათი ნება!. ფრთხილად ვიყვეთ, ეს მკვდარნი არ გავაღვიძოთ და ცოცხალი კუბონი არ წარვახდინოთ.

წინ შეეყრებათ სნეული ან მოხუცი ან ცხედარი; და მყისვე იტყვიან: „ცხოვრება უარყოფილია!“

ხოლო თვით არიან უარყოფილნი და მათი თვალი, რომელი ყოფნის მხოლოდ ერთს სახეს ხედვის.

სულის სიმძიმით მოსულნი, ყურმახვილნი მხოლოდ მცირე შემთხვევათათვის, რომელთ სიკვდილი მოაქვთ: ესე ელოდებიან და აღრჭენენ კბილთ.

ანუ, ტკბილეულს მიჰყოფენ ხელთ და დასცინიან თვით ბალღობასა: იგინი ცხოვრებას ეჭიდებიან, ვით ხავსსა და იცინიან, რომ კვლავ ხავსზე ჰკიდიან.

მათი სიბრძნე იტყვის: „რეგვენია, რომელი ცხოვრებად ყოვნდება, ხოლო ვით რეგვენნი ვართ ყველა ჩვენ! და ესეა სწორედ ცხოვრებაში ურეგვენესი!“ –

„ცხოვრება მხოლოდ ჭირვებაა“ - ამას იტყვიან სხვები და არ სცრუობენ: ზრუნვიდე თ ქ ვ ე ნ ი მოსპობისათვის! ზრუნვიდეთ, რათა ცხოვრება მოისპოს, რომელი მხოლოდ ჭირვებაა. –

ესე იტყოდეს თქვენი სიბრძნე: „თქვენით გმართებს სიკვდილი! გმართებს შენი თავი თვით მოჰპარო ცხოვრებას“.

ავხორცობა ცოდვაა, - ესე იტყვიან ზოგნი, რომელნი სიკვდილს ჰქადაგებენ, - განვდგეთ განსა და ვიყვნეთ ბერწად!“.

„შობა სამძიმოა, - იტყვიან მეორენი - კვლავ რაღათა ვშვათ? მხოლოდ უბედურნი იშვებიან!“ იგინიც სიკვდილს ჰქადაგებენ.

„თანაგრძნობა გვეჭირვება - ამბობენ მესამენი. წაიღეთ, რაც მაბადია! წამიღეთ თვით მე რათა უმცროს მბორკავდეს მე ცხოვრება!“.

თვის მოყვასთ ცხოვრებას შეაძულებდნენ, უკეთუ თანაგრძნობით აღივსებოდნენ. ბოროტყოფა - იგი იქმნებოდა მათი ჭეშმარიტი სიკეთე.

ხოლო მათ ცხოვრებით განძარცვა ჰსურთ: რა ედარდებათ, რომ თვისი ჯაჭვებით და ნობათებით კვლავ უმეტესად სხვათა ჰბორკავენ! –

და თქვენც, რომელთათვის ცხოვრება ველური ჯაფა და მოუსვენრობაა: განა ცხოვრებამ არ დაგქანცათ? განა ჯერ არ მომწიფდით სიკვდილის ქადაგებისათვის?

თქვენ ყველა, რომელთ ველური ჯაფა გიყვართ და ყოველი სწრაფი, ახალი, უცხოი, - თქვენი თავი ვერ აგიტანიათ, - თქვენი ბეჯითობა ლტოლვაა და სურვილი თავისდავიწყებისათვის.

უკეთუ ცხოვრებას მეტად იწამებდით, ნაკლებად მიენდობოდით წუთიერებას. ხოლო არა გაქვნთ თქვენ შორის საკმარისი შინაარსი ლოდინისათვის, - და თვით უქნარობისათვის.

ყოველგან გაისმის ხმა მათი, რომელნი სიკვდილს ჰგადაგებენ: სავსეა ქვეყანა მათით, რომელთ მართებთ, რათა სიკვდილი უქადაგონ.

ან „ცხოვრება დაუსრულებელი“: ჩემთვის ერთია, - ნეტავ სწრაფად წარხდებოდნენ!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ომისა და მეომართათვის

თვით ჩვენ მტერთაგან არ გვსურს შებრალება, და მათგანაც, რომელნი გულით გვიყვარს. მაშ მათქმევინეთ სიმართლე!

ძმანო მხედრობით! მიყვარხართ გულით, ვარ და ვიყავი თქვენი მზგავსი. თქვენი მტერიც ვარ. მაშ მათქმევინეთ სიმართლე!

ვიცი თქვენი გულის მძულვარება და შური. არა იყვნეთ საკმაოდ დიდნი მძულვარებისა და შურის არცნობისათვის. მაშ იყავით საკმაოდ დიდნი და თქვენი თავისა ნუ გერცხვინებათ!

და უკეთუ არ ძალ გიძდეთ ყოფად მმეცნების წმიდანებად, ჰყოფდეთ მის მხედრებად. იგინი არიან თანამგზავრნი და წინამორბედნი მზგავს წმიდანთა.

ვხედავ მრავალ ჯარისკაცთ: ნეტავ მრავალ მხედართ ვხედავდე! „ფორმას“ უწოდებენ, რაც თქვენ გაცვიათ: ნეტავ ფორმა არ იყოს, რასაც მით ჰფარავთ.

იყავნი ისეთნი, რომელთა თვალნი მარად მტერს ეძებენ - თ ქ ვ ე ნ ს მტერს. და ერთის შეხედვით ზოგი თქვენს შორის მძულვარებას ატარებს.

თქვენს მტერს ეძიებდეთ, თქვენს ბრძოლას ბრძოდეთ, და თქვენი რწმენისათვის! და უკეთუ რწმენა თქვენი დამარცხდეს, თქვენი პატიოსნება მაინც ჰხმობდეს ძლევა-მოსილებასა!

გმართებთ გიყვარდეთ ზავი, ვით გზა ახალი ომისათვის. და მოკლე ზავი, ვიდრე გრძელი.

არ მოგიწოდებთ შრომად, არამედ ბრძოლად. არ მოგიწოდებთ ზავად, არამედ გამარჯვებად. იყოს თქვენი შრომა ბრძოლად, თქვენი ზავი - გამარჯვებად!

რომელთ მშვილდი და ისარი აქვთ, შეუძლიათ სდუმდნენ და წყნარად ისხდნენ, თუ არ: დაიწყებენ ლაყბობას და კინკლაობას. იყოს თქვენი ზავი თქვენი გამარჯვება!

იტყვით სამართლიანი საქმე თვით ომს ამართლებს? გეტყვით თქვენ: კარგი ომია, რომელი ყოველ საქმეს ამართლებს.

ომმა და ვაჟკაცობამ მეტი ჰქმნა ვიდრე სიყვარულმა მოყვასისადმი. არა თქვენი თანაგრძნობა, არამედ თქვენი გულადობა იხსნის დღემდე უბედურთ.

„რა არის კეთილი?“ ჰკითხულობთ თქვენ: ვაჟკაცობაა სიკეთე. დეე გოგოები იტყოდნენ: „სიკეთეა ის, რაც ლამაზია“.

თქვენ უგულოთ გეძახიან: ხოლო თქვენი გული მართალია, და მე მიყვარს თქვენი გულწრფელობის მოკრძალება. თქვენ გერცხვინებათ თქვენი მოქცევის და ზოგთ თვისი მიქცევის ერცხვინებათ.

თქვენ საზიზღრები ხართ? მაშ, კარგი, ძმანო! შეიმოსეთ სიმაღლე, საზიზღართა ნიღაბი!

და ოდეს თქვენი სული დიდი იქმნება, იგი მედიდურდება და თქვენს ამაღლებაში ბოროტებაა. მე გიცნობთ თქვენ.

გმართებთ მხოლოდ მტრები გყავდეთ, რომელნი სიძულვილის ღირსნი არიან და არა მტრები ზიზღისათვის. ჯერ არს იამაყოთ თქვენი მტრებით: მათი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება.

ამბოხება - კეთილმძლეობაა მონისათვის. კეთილმძლეობა თქვენი იყოს მორჩილება. თვით თქვენი ბრძანება იყოს მორჩილებად.

კარგი მხედრისათვის „შენ მოვალე ხარ“ უფრო კეთილად ჰხმობს, ვიდრე „მე მინდა“. და თვით ყოველისთვის, რაც გიყვართ, ჯერ ბრძანებას მოუსმენდეთ.

თქვენი სიყვარული ცხოვრებისა იყოს თქვენი უმაღლესი იმედის სიყვარული: და თქვენი უმაღლესი იმედი იყოს ცხოვრების უმაღლესი აზრი!

ხოლო თქვენს უმაღლესს აზრებს ჩემგან მოისმენდეთ ბრძანებით -

და ესე იტყვის: ადამიანი რამეა, რაც უნდა ძლეულ იქმნეს.

ესე იცხოვრეთ თქვენი ცხოვრება მორჩილებისა და ომისა. რა ფასი აქვს ხანგრძლივ ცხოვრებას. რომელი მეომარი მოისურვებს შებრალებას.

არ გინდობთ, მიყვარხართ გულით, ძმანო მხედრობით! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ახალი კერპისათვის

სადაც კვლავ ჰგიებენ ხალხნი და ჯოგნი, ხოლო არ ჩვენ შორის ძმანო: აქ სახელმწიფონია.

სახელმწიფო? რა არის იგი? ჩუ! ყურები აცქვიტეთ, აწ გეტყვით ჩემსა სიტყვას სიკვდილისათვის ხალხთა.

სახელმწიფო უცივესია ცივთა საშინელებათა შორის. ცივად სტყუის იგი; და ესე ცივი სიცრუე გამოდის მისი პირისაგან; „მე სახელმწიფო, ვარ ხალხი“.

სიცრუეა ესე! მმქმედნი იყვნენ, რომელნი ჰქმნიდნენ ხალხთ და ამყარებდნენ მათზე იმედს და სიყვარულს: ესე მსახურებდნენ იგინი ცხოვრებასა.

დამქცეველნი არიან, რომელნი მრავალნი მახეს უგებენ და მათ სახელმწიფოს უწოდებენ: იგინი ამყარებენ მათზე მახვილს და აღტკინებას.

ყოველგან, სადაც კვლავ ხალხია, მას არ ესმის სახელმწიფო და ეზიზღება იგი, ვით მძვირი თვალი და ცოდვა ზნე-ჩვეულებისა და უფლების წინაშე.

ამა სასწაულსა გაძლევთ თქვენ: ყოველ ხალხს აქვს თავისი ენა კეთილისა და ბოროტისა: მეზობელს მისი არა ესმის. თვისი ენა ჰპოვა მან ზნე-ჩვეულებითა და უფლებით.

ხოლო სახელმწიფო ცრუობს კეთილისა და ბოროტის ყოველი ენით: და რას იტყვის, სიცრუეა და რაც აქვს, მოპარულია.

ყალბია მის შორის ყოველი; მოპარული კბილებით იკბინება იგი, მკბენარა. ყალბნი არიან თვით წიაღნი მისნი.

აღრევა ენათა კეთილისა და ბოროტებისა: ამა სასწაულს გაძლევთ თქვენ, ვით სასწაულს სახელმწიფოსათვის. ჭეშმარიტად სიკვდილის მომასწავებელია სასწაული ესე! ჭეშმარიტად ეგუება იგი სიკვდილის მქადაგებელთა!

ბევრეულთა-ბევრეულნი იბადებიან: ზედმეტთათვის იქმნა სახელმწიფო აღმოჩენილი!

შეხედე მას, ვით იზიდავს ბევრეულთა-ბევრეულთ! ვით ჰგუდავს, იცოხნის და ამოიცოხნის!.

„ქვეყნიერებაზე არაფერია ჩემზე უდიდესი: დამადგინებელი თითი ღვთისა“. - ესე ღრიალებს საშინელი მხეცი და არა მხოლოდ დიდყურნი და ბეცნი იდრეკენ მუხლსა!

ჰე, თქვენ შორისაც, მაღალნო სულნო, ჰბუტბუტებს მისი ბნელი სიცრუე! ჰე, იგი იცნობს მდიდარ გულთ, რომელნი უხვად ნიავდებიან!

დიახ, თქვენც ამოგიცნოთ მან, თქვენ მძლენო მოხუცი ღმერთისა! ბრძოლით მოიქანცეთ და თქვენი დაღლილობა აწ ახალ კერპს მსახურებს!

გმირთა და პატიოსანთა ამალა ჰსურს ახალ კერპს! სიამოვნებით სთბება იგი კეთილსინდისიერების მზის სხივებით, - ცივი საშინელი მხეცი!

ყოველს მოგანიჭებთ თ ქ ვ ე ნ, უკეთუ ადიდებთ, ახალი კერპი: ესე ჰყიდულობს იგი თქვენს სიქველეთა ელვარებას და თქვენ ამაყ თვალთა გამოხედვას.

თქვენით ჰლამობს მოინადიროს ბევრეულთა-ბევრეული! დიახ, აღმოცენილ იქმნა ჯოჯოხეთური ჯადო, სიკვდილის რაში, რომელს თავი მოაქვს ცხოვრებად: ჭეშმარიტად, კეთილი სამსახურია სიკვდილის ყველა მქადაგებელთათვის!

ამას ვუწოდებ სახელმწიფოს, სად ყოველი შხამსა სვამს, კეთილიც და უკეთურიც; სად ყოველნი ერთმანეთს ჰკარგავენ, კეთილნიც და უკეთურნიც: სახელმწიფო, სად ნელს თვითმკვლელობას ყოველთა - „ცხოვრება“ ეწოდება.

შეხედეთ ამ ზედმეტთ! იგინი იპარავენ აღმომჩენელთა საქმეთ და საუნჯეს ბრძენთა: განათლებას უწოდებენ თვის ქურდობას - და

ყოველი მათთვის სნეულებად და ბოროტებად იქცევა!

შეხედეთ ამ ზედმეტთ! მარად სნეულნი არიან. გამოანთხევენ თვის ნაღველს და ამას გაზეთს უწოდებენ. ერთმანეთს შთანთქავენ და ერთმანეთსაც ვერ ინელებენ.

შეხეთ ამ ზედმეტთ! შეიძენენ სიმდიდრეს და ამით ღატაკდებიან. ხელმწიფება ჰსურთ და უფროსად საჭე სახელმწიფოებისა, ბევრი ქანქარი, - ამ უმადურთ!

შეხეთ, ვით მიცოცავენ, ეს მარჯვე მაიმუნები! ერთი მეორეს თავს ეჭიდება და შთააგდებს ტალახად და უფსკრულად.

იგინი ტახტისაკენ ისწრაფვიან: ესეა მათი შეშლილობა, - თითქოს ბედნიერება ტახტს იჯდეს! ხშირად ტალახი ტახტსა ზის - და ხშირად ტახტი ტალახსა ზე.

შეშლილები არიან იგინი, მცოცავნი მაიმუნები და დასიცხულნი, სიმყრალით სავსეა მათი კერპი, ცივი საშინელი მხეცი: სიმყრალით სავსეა კრებული მათი, ეს კერპთმსახურნი.

თქვენცა გსურთ დაიღრჩოთ მათ პირთა და აღტკინებათა ბედით? უკეთესია გასტეხეთ სარკმელი და ისწრაფოდეთ სუფთა ჰაერად.

მაშ ერიდენით ცუდს სუნს! ერიდენით ზედმეტთა კერპთმსახურებასა!

მაშ ერიდენით ცუდს სუნს! ერიდენით ამ ადამიანების მსხვერპლთა კვამლსა!

დედა-მიწა დიდ სულთათვის კვლავ შვებულია. მწირთათვის და წყვილად მობინადრეთათვის კვლავ ცარიელია მრავალი საჯდომი, სად სუფევს ოხვრა წყნარ ზღვათა სუნნელებისა.

კვლავ შვებულია შვებითი ცხოვრება დიდ სულთათვის. ჭეშმარიტად, რომელს მცირედი აქვს, მით მცირედ არის პყრობილი: დიდება ბეჩავს სიღატაკეს!

სად სახელმწიფო თავდება, მხოლოდ იქ იწყება ადამიანი, რომელი ზედმეტი არაა; იქ იწყება სიმღერა საჭიროთა, სიმღერა მხოლოდი, უცალო.

სად სახელმწიფო თ ა ვ დ ე ბ ა - იქით გაიხედეთ ძმანო! ვერ ამჩნევთ მას, ცისარტყელას და ხიდსა ზეკაცისასა? –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მოედნის ბუზთათვის

ილტოდე, მეგობარო, შენს მარტოობად! ვხედავ ყურნი დაგხშვია დიდ ადამიანთა ხმაურობით და დაკბენილი ხარ პატარათა ნესტარით.

ტყემ და კლდეთ ღირსეულად იციან შენთან ერთად დადუმება. კვლავ ემზგავსე ხეს, რომელი შენ გიყვარს, შტოგანიანს; წყნარად, ყურმახვილად დაკიდებულია იგი ზღვაზე.

სად მარტოობა თავდება, იქ ბაზარი იწყება; სად ბაზარი იწყება, იქ იწყება დიდ მსახიობთა ხმაურობა და ბზუილი შხამიანი ბუზებისა.

ქვეყანაზე უკეთეს საგნებს არა ფასი აქვს, უმისოდ, რომელი მათ პირველი გამოფენს: დიდ ადამიანებს უწოდებს გამომფენთ ხალხი.

ნაკლები წარმოდგენა აქვს ხალხს დიდისა, ესე არს: ქმნადობისა, ხოლო ალღო აქვს დიდ საქმეთა ყოველ გამომფენელთა და მსახიობთა.

ახალ ღირსებათა აღმომჩენების გარს ბრუნავს ქვეყანა: უხილავად ბრუნავს. გარნა მსახიობთა გარს ბრუნავს ხალხი და სახელი: ესეთია „წუთისოფლის ტრიალი“.

სული აქვს მსახიობს, ხოლო სულის ნაკლები სინდისი. მარად სწამს, რითაც სხვებს მტკიცედ აწამებინებს, - თ ა ვ ი ს თ ა ვ ს აწამებინებს.

ხვალ სხვა რწმენა აქვს და ზეგ კიდევ სხვა. სწრაფი გრძნობები აქვს, ვით ხალხსა და ცვალებადი ამინდები.

გადაბრუნება მისთვის: მტკიცებაა. შეშლილად ქმნა - მისთვის: დაჯერებაა და სისხლი მისთვის ყოველ საბუთთა უკეთესია.

სიცრუეს და არარაობას უწოდებს იგი ჭეშმარიტებას, რომელი მხოლოდ ფაქიზ ყურთ ესმის. მართლად, მხოლოდ ღმერთები სწამს, ქვეყანაში დიდი ხმაურობის გამომწვევნი.

სავსეა მოედანი უქმი მასხარებით - და ხალხი ამაყობს თვისი დიდი კაცებით! იგინია მისთვის წუთიერების უფალნი.

ხოლო წუთი ასწრაფებს მათ: იგინი შენც გასწრაფებენ და შენგანაც

მოითხოვენ „ჰო“ -ს ან „არა“ -ს. ჰოი, გსურს მოექცე დასტურისა და უარყოფის შორის?

მოყვარეო ჭეშმარიტებისა! იყავ უშურო ამ აბსოლუტურ და მსწრაფებელთა მიმართ! აროდეს ჩამოჰკიდებია ჭეშმარიტება აბსოლუტის მაჯაზე.

განვედ შენს საფარში ამ მსწრაფებელთაგან: მხოლოდ ბაზარში თავს გატყდებიან კითხვებით: ჰო? ან არა?

ნელია ყოველ ღრმა წყაროთა თავგადასავალი: დიდხანს მართებთ მათ ლოდინი, ვიდრე გაიგებენ, თუ რა ჩავარდა მათ სიღრმეში.

ყოველი დიდი გზას უქცევს ბაზარსა და დიდებას; ბაზრისა და დიდების მოშორებით სცხოვრობდნენ დასაბამით ახალ ღირებულებათა მქმედნი.

შენს მარტოობას მიაშურე, მეგობარო: გხედავ შხამიან ბუზებს დაუკბენიხარ. ილტოდე იქ, სადაც მკაცრი, ძლიერი ჰაერი ოხრავს.

შენს მარტოობას მიაშურე! ძლიერ ახლოს სცხოვრობდი მცირეთა და საბრალოთა! ილტოდე მათი უხილავი შურისძიებისაგან! შენს წინააღმდეგ იგინი არარაა, თუ არ შურისძიება.

ნუღარ მიაპყრობ მათ შენს ხელსა. ურიცხვნი არიან და შენდა წილად არ არის ყოფა ბუზთა საგერიებლად.

ურიცხვნი არიან ეს მცირენი და საბრალონი და ვიეთნი ამაყნი შენობანი უკეთუ დაჰღუპეს წვიმის წვეთთა და ღვარძლმა.

ქვა არა ხარ, ხოლო მრავალ წვეთით დაუღრნიხარ. დაგამტვრევენ და დაგფხვნიან კვლავ წვეთნი მრავალნი.

ვხედავთ მოუქანციხარ შხამიან ბუზებს, ათას ადგილას ვხედავ სისხლკაწრულს და შენ სიამაყეს თვით გოდებაც არა ჰსურს.

შენი სისხლი ჰსურთ მთელის უმანკოებით, სისხლი სწყურიათ მათ უსისხლო სულთ - და ამად იკბინებიან სულის უმანკოებით.

ხოლო შენ ღრმაო, ღრმად იტანჯები თვით მცირე ჭრილობით; და ვიდრე განიკურნებოდი, მზგავსი შხამიანი მატლი კვლავ შენ სულზე მიცოცავდა.

ამად ამაყად მეჩვენები, რათა ჰხოცდე ამ პირწუწკთა. ხოლო გაფრთხილდი, რათა ჩვეულებად არ შეგექმნას ყველა მათი შხამიანი

უსამართლობის ატანა!

იგინი ბზუიან შენს ირგვლივ თავის ხოტბითაც: თავისმობეზრებაა მათი ხოტბა. მათ შენი კანისა და სისხლის ახლოება ჰსურთ.

ლიქნობენ შენ წინაშე, ვით ღმერთისა და ეშმაკის წინაშე: ვით წინაშე ღმერთისა და ეშმაკისა. არაფერია! იგინი მლიქნი არიან, ჩხავანანი - და არა უმეტეს!

ხშირად ჩემს წინაშე თავაზიანად მოაქვთ თავი. ხოლო ეს მარად მხდალთა გონიერება იყო. დიახ, მხდალნი გონიერნი არიან!

ბევრსა ჰფიქრობენ შენთვის თავისი ვიწრო სულით - მათთვის მარად საეჭვო ხარ. საეჭვოა ყოველი, რისთვისაც ბევრს ჰფიქრობენ.

იგინი გსჯიან ყველა შენი სიქველისათვის. იგინი გულით შეგინდობენ მხოლოდ შენ შეცდომათ.

ფაქიზი და სამართლიანი ხარ, ამად იტყვი შენ: „უბრალონი არიან თვისი მცირე არსებობისათვის“. ხოლო მათი ვიწრო სული იტყვის: „ყოველი დიდი არსებობა დანაშაულებაა“.

თვით ოდეს მათდამი ფაქიზი ხარ, იგინი ჰგრძნობენ შენს ზიზღს; და შენი კეთილყოფისათვის ფარული ბოროტმქმედობით მოგიგებენ. შენი ჩუმი სიამაყე ოროდეს ესიამოვნება მათ გემოვნებას: ზეიმობენ ოდეს საკმაოდ თავმდაბალ იქმნები ამაოებისათვის.

რასაც ადამიანთა შორის ამოვიცნობთ, მასვე გავაღვიებთ. მაშ ერიდეთ მცირეთ!

შენს წინაშე თავს მცირედ გრძნობენ და მათი მდაბლობა ხრჩოლავს და ღვივდება შენს წინააღმდეგ უხილავი შურისძიებით.

ვერ ამჩნევ, მუნჯდებიან, ოდეს მიუახლოვდები და ძალა ეცლებათ, ვით კვამლი ჩამქრალ ცეცხლსა?

დიახ, მეგობარო, სინდისის მხილება ხარ მოყვასთათვის: არა არიან შენი ღირსნი. ესე სძულხარ მათ და მზად არიან სისხლი გამოგწოვონ.

შენი მოყვასნი მარად შხამიანი ბუზები იქმნებიან; ყოველი, რაც შენს შორის დიდია - უნდა ჰქმნიდეს მათ უფრო შხამიანს და უფრო მზგავსს ბუზებისა.

ილტოდე, ჩემო ძმაო, მარტოობად. იქ სად მკაცრი, ძლიერი ჰაერი ჰქრის! შენი ბედი არაა ბუზების გერიება.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

უმანკოებისათვის

მიყვარს ტყე. ცუდია ქალაქში ცხოვრება: იქ მრავალია ვნებით აღტკინებული.

უკეთესი არ არის კაცისმკვლელის ხელთ მოხვდე, ვიდრე ვნებიანი ქალის ოცნებაში?

შეხედე ამ მამაკაცთ: მათი თვალები მოწმობენ - ქვეყანაზე უკეთესი არა იციან-რა, თუ არ დედაკაცთან წოლა.

ტალახია მათი სულის შიგნეულში; და ვაი, ოდეს მათ ტალახს სულიცა აქვს!

ნეტავ სრულ იყვნეთ, თუნდ ვით ცხოველნი! ხოლო ცხოველი თვისებით უმანკოა.

მოგიწოდებთ თქვენი გრძნობის მოკვდინებად. გრძნობის უმანკოებისათვის მოგიწოდებთ.

მოგიწოდებთ უმანკოებად? უმანკოება ვიეთისათვის სიქველეა, ხოლო მრავალთათვის თითქმის ნაკლი.

იგინი თავს იკავებენ: მაგრამ ძუ ძაღლი ავრხორცობისა შურით იყურება ყოველი მათი საქმიდან.

თვით სიქველის მწვერვალებამდე და სულის სიცივეშიაც თან სდევთ მათ ეს ცხოველი და მათი უმადურება.

და ვითარი თვალთმაქცობით ითხოვს ძუ ავხროცობა სულის ნაწილაკს, ოდეს ხორცის ნაწილაკისათვის უარს ეტყვიან.

გიყვართ ტრაგედია და ყოველი, რაც გულს ამსხვრევს? ხოლო მე არ ვენდობი თქვენს ძაღლს.

ძლიერ სასტიკი თვალები გაქვთ და გულისთქმით უმზერთ ტანჯულთ. ფერი ხომ არ იცვალა თქვენმა ავხორცობამ, რათა თანაგრძნობად იწოდებოდეს.

და კვლავ იგავს გაძლევთ თქვენ: არა მცირენი, რომელთ ჰსურდათ განხმა ეშმაკისა, თვით მიიმართნენ ნეზვებად.

რომელს უმანკოება მძიმედ აწევს, ურჩიეთ ხელი აიღოს, რათა იგი არ იქმნეს გზა გარესკნელად - ესე არს უწმინდურებად და ავხორცობად სულისა.

გეტყვით თქვენ სიტყვას უწმინდურ საქმეთათვის? ჩემად ესე არა არის უარესი.

მმცნებარი უხალისოდ შედის წყალში არა ოდეს ჭეშმარიტება უწმინდურია, არამედ ოდეს იგი მდაბალია.

ჭეშმარიტად, არიან უმანკონი არსებით; უფრო ფაქიზნი გულით, იგინი უფრო ხალისიანად და უხვად იცინიან, ვიდრე თქვენ.

იგინი სცინიან თვით უმანკოებას და კითხულობენ: „რა არის უმანკოება!

უმანკოება შეშლილობა არ არის? ხოლო შეშლილობა ესე თვით მოვიდა ჩვენთან, არა ჩვენ მასთან.

ჩვენ შევთავაზეთ ამ სტუმარს თავშესაფარი და გული: აწ ჩვენთან ბინადრობს, - დარჩეს, რამდენიც ჰსურდეს!“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მეგობრისათვის

„მხოლოდობა მარად ზედმეტია ჩემთვის“ - ესე ბჭობს განდეგილი. „მარად ერთხელ ერთი - ჟამთა სვლით ორსა ჰქმნის!“.

„მე“ და „მე“ მარად ფრიად ბეჯითნი არიან ბაასში: ვინ აიტანდა, რომ მეგობარი არ ჰგიებდეს?

განდეგილისათვის მეგობარი მარად მესამეა: მესამე საცობია, რომელი ხელს უშლის, რათა ორთა ბაასი წიაღვლიდეს.

ეხ, მრავალთა მრავალნი არიან სიღრმენი ყოველ განდეგილთა. ამად სწუხან იგინი მეგობრისა და მისი სიმაღლისათვის.
ჩვენი რწმენა სხვისათვის ამჟღავნებს, რაც თვით ჩვენ შორის გვსურს ვიწამოთ. ჩვენი სევდა მეგობრისათვის ჩვენი გამცემია.

და ხშირად სიყვარულით ჰსურთ მხოლოდ შურს თავს გადაახტნენ. და ხშირად ხელსა ჰყოფენ სხვათ და მტერს გაიჩენენ, რათა დაჰფარონ, რომ თვითაც ხელსაყოფელნი არიან.

„მტერი მაინც იყავ!“ - ესე იტყვის ჭეშმარიტი მოკრძალება, რომელი ვერ ჰბედავს მეგობრობის თხოვნას.

ვის მეგობარი ჰსურს, მართებს სურვილი მისთვის ომისა: და ომისათვის კი ჯერ არს მტრად ყოფის ც ო დ ნ ა.

გმართებს შენს მეგობარში პატივსა სცემდე მტერს. ძალ გიძს შენს მეგობარს მიუახლოვდე და მას არ მიეკედლო?
ხედვიდე შენს მეგობარში შენს უკეთეს მტერს. იყავ მასთან გულით უახლოეს, ოდეს ებრძოდე.

არა გსურს სამოსლით ფარული იყო შენი მეგობრის წინაშე? პატივისცემაა მეგობრისა, რომ ეძლევი მას ვით ხარ? ამად გისტუმრებს იგი შენ ეშმაკისაკენ.

რომელი არ იმალვის, ამით სხვას აამხედრებს: ესე დიდად გეშინოდეთ სიშიშვლისა, დიახ, ღმერთები რომ იყოთ, მაშინ შეგრცხვებოდათ თქვენი ტანსაცმელისა.

არ ძალ გიძს მეგობრისთვის საკმაოდ ლამაზად მოირთო: რადგან უნდა იქმნე მისთვის ისარი და სურვილი ზეკაცისათვის.

გინახავს შენი მეგობარი უკვე მძინარი, - რათა შეგეტყო რანაირია? რა არის სახე შენის მეგობრისა? იგი საკუთარი შენი სახეა, გაუთლელ და უხეშ სარკეში.

გინახავს შენი მეგობარი უკვე მძინარი? არ შეგეშინდა, რომ შენს მეგობარს ესეთი შეხედულება აქვს? ჰე, ჩემო მეგობარო, ადამიანი რამეა, რაც ჯერ არს ძლეულ იქმნეს.

ხელოვანი უნდა იყოს მეგობარი შენი ამოცნობისა და სიჩუმისათვის: არა გმართებს ყოველს ხედვიდე. შენი სიზმარი გამცნობდეს, თუ რას იქმნს შენი მღვიძარი მეგობარი.

იყოს შენი თანასიბრალული ამოცნობად: ჯერ სცანი ჰსურს თუ არა შენს მეგობარს შენი თანასიბრალული. იქნებ მას შენი უდრეკი თვალი უყვარს და გამოხედვა მარადიულობისა.

თანასიბრალული მეგობრისადმი დაჰფარე მაგარი ნაჭუჭით, გმართებს ამით ილესდე კბილს. მაშინ იგემებ შენ მის სინაზეს და სიტკბოს.

ხარ შენი მეგობრისათვის წმინდა ჰაერი და მარტოობა, პური და წამალი? ვიეთს არ ძალ უძს საკუთარი ჯაჭვებისაგან

განთავისუფლება და მეგობრისათვის კი იგი მხსნელია.

მონა ხარ? მეგობრობა არ ძალ გიძს. ტირანი ხარ? მეგობართ ვერ მოიპოვებ.

დიდს ხანს იყო მონა და ტირანი დედაკაცის შორის ფარული. ამად არის დედაკაცი უძლური მეგობრობად და მხოლოდ სიყვარული იცის.
დედაკაცის სიყვარულში უსამართლობაა და სიბრმავე ყოვლისადმი, რაც არ უყვარს. დედაკაცის თვით შეგნებულს სიყვარულში ნათელთან ერთად კვლავ მოულოდნელობაა, ელვა და ღამე.

დედაკაცი კვლავ უძლურია მეგობრობად. დედაკაცები კვლავ კატები არიან და ფრინველები. ანუ, უკეთ, ძროხები.

დედაკაცი კვლავ უძლურია მეგობრობად. ხოლო მითხარით, მამაკაცებო, რომელია თქვენს შორის მძლე მეგობრობისათვის?

ჰე, თქვენ, მამაკაცნო, თქვენი სიღატაკით და სულის ძუნწობით! რასაც თქვენს მეგობარს აძლევთ, მე მტერსაც მივცემდი და ამით ღატაკი არ ვიქნებოდი.

არის ამხანაგობა: იყოს მეგობრობა!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ათასი და ერთი მიზნისათვის

მრავალი ქვეყანა და მრავალი ხალხი ინახულა ზარატუსტრამ: ესე აღმოაჩინა მან მრავალ ხალხთა სიქველე და ბოროტება. არა ხელმწიფობა უნახავს ზარატუსტრას სოფელსა ზედა უდიდეს სიქველისა და ბოროტისა.

არა ხალხს ძალ უძს ცხოვრება, რომელსა საფასური არ აქუნდეს; უკეთუ ჰსურს თავის შენახვა ჯერ არს აფასებდეს არა მზგავსად მეზობლისა.

მრავალი ამ ხალხისათვის კეთილად მიჩნეული, მეორისათვის სამარცხვინო და საგმობელია: ამას ვხედავ მე. მრავალს ვპოვებდე ბოროტად წოდებულს აქ, იქ მეწამული ქლამიდით მოკაზმულსა.

ფიცარი სიქველეთა ჰკიდია ყოველ ხალხს, იგი მის ძლევათა ფიცარია; იგი მისი ნების ხმაა ხელმწიფებისათვის.

ქების ღირსია, რაც მისთვის საძნელოა; ყოველს აუცილებელს და ძნელს იგი სიქველეს უწოდებს; და ყოველს, რაც დიდი ჭირვისაგან შვებას მოუპოვებს, იშვიათს უმძიმესს, - მას უწმინდესად მიიჩნევს.

რითაც იგი ბატონობს და იმარჯვებს და ბრწყინავს მეზობლის შიშად და შურად - ესეა მისთვის უზენაესი, უპირველესი საზომი, აზრი ყოვლისი.

ჭეშმარიტად, ძმაო ჩემო, უკეთუ სცანი ხალხის ჭირვა, ქვეყანა, მისი ცა და მეზობელი: ამოიცნობ მის ძლევათა კანონს და რად მიიმართება იგი ამ აღსავლით თვისი იმედისაკენ.

„გმართებს მარად პირველობა და სხვებზე მაღლა დგომა: არავინ უყვარდეს შენს იჭვიან სულს თუ არ მეგობარი“ - ეს აფორიაქებდა ყოველი ბერძენის სულს: და იგი მიდიოდა ბილიკით თავისი სიდიადისა.

„მართლის თქმა და მშვილდისარის მარჯვედ ხმარება“ - ძვირფასად მიაჩნდა და ძველად იმ ხალხს, რომელმა მე სახელი მომცა - სახელი ჩემთვის ძვირფასი და სამძიმო.

„მამისა და დედის პატივისცემა და მორჩილება მათი ნების სულის წიაღამდე“, - ფიცარი ამ ძლევათა სხვა ხალხმა იდო თავზე და შეიქმნა ამით ძლიერი და მარადიული.

„ერთგულება და ერთგულებისათვის სისხლისა და პატიოსნების მსხვერპლად შეწირვა თვით უკეთური და

სახიფათო საქმისათვის“: ამა მოძღვრებით აიძულებდა თავს მესამე ხალხი და ესე თავის იძულებით გაივსო იგი და დამძიმდა დიდი იმედებით.

ჭეშმარიტად, ძმაო, ადამიანთა თვით შექმნეს ყოველი თვისი სიქველე და ბოროტება. ჭეშმარიტად, იგი არავისგან აუღიათ, არ უპოვნიათ, არ ჩამოვარდნილა იგი ვით ხმა ზეცით.

ადამიანმა დასდო ფასი საგნებს თავისი დადგინებისათვის, - პირველად შეჰქმნა საგნების აზრი, ადამიანის აზრი. ამად ეწოდება მას „ადამიანი“, ეს არს: ფასმდებელი.

ფასდება ქმნაა: ისმინეთ ესე მმქმედნო! თვით ფასდებაა ყოვლის

ფასდებულის ფასი და სამკაული.

ფასდებით იქმნება ღირებულება: და უფასდებოდ ყიფის კაკალი ფუჭი იქმნებოდა. ისმინეთ ეს თქვენ, მმქმედნო!

ღირებულებათა ცვალებადობა - მმქმედთა ცვალებადობაა. მარად შემუსრავს, რომელს მქმედობა მართებს.

პირველად მმქმედი ხალხი იყო და მხოლოდ შემდეგ კერძონი; ჭეშმარიტად, კერძო კვლავ უფროსად ახალგაზრდაა ქმნილებათა შორის.

ხალხი აღიგებდა ოდესღაც ფიცარს თვისი სიქველისა. სიყვარული, რომელს ხელმწიფობა სწადიან, და სიყვარული, რომელს მორჩილება სწადიან. ერთად აღაგებდა თავისთავის ამ ფიცარს.

სიყვარული ჯოგისადმი უფრო მოხუცია, ვიდრე სიყვარული „მესადმი“: და მხოლოდ ვიდრე კეთილსინდისიერება ჯოგია, ბოროტსინდისიერებას „მე“ ეწოდება.

ჭეშმარიტად, გაიძვერა „მე“, უსიყვარულო, რომელი ეძიებს სარგებელს მრავალთა სარგებლობაში, ჯოგის დასაბამი არ არის, არამედ მისი წარხდომა.

მოსიყვარულენი ჰქმნიდნენ მარად, მათ ჰქმნეს სიქველე და ბოროტება. ცეცხლი სიყვარულისა ვარვარებს სიქველეთა სახელებზე და ცეცხლი რისხვისა.

მრავალი ქვეყანა ინახულა ზარატუსტრამ, და მრავალი ხალხი: არა ხელმწიფება აღმოუჩენია ზარატუსტრას სოფელსა ზედა, უფროს მოსიყვარულეთა საქმისა: „სიქველე“ და „ბოროტებაა“ სახელი მათი.

ჭეშმარიტად, საშინელია ხელმწიფება ამა ქებისა და კიცხვისა. მითხარით, ძმანო, ვინ დამიძლევს მათ? მითხარით, ვინ დაადებს ხუნდებს ამ საშინელების ათას კისერს?

ათასი მიზანი არსებობდა დღემდე, რადგან ათასი ხალხი ჰგიებდა. კვლავ გვაკლია ხუნდები ამ ათას კისრისათვის, გვაკლია ერთი მიზანი. კვლავ მიზანი არა ჰგიებს კაცობრიობისთვის.

ხოლო მითხარით, ძმანო: უკეთუ კვლავ მიზანი არა ჰგიებს კაცობრიობისათვის - ჰგიებს ესე თვით? –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მოძმის სიყვარულისათვის

ეხუტებით მოყვასთ და ამისათვის კეთილ სიტყვებს ჰპოვებთ. ხოლო გეტყვით თქვენ: თქვენი სიყვარული მოძმისადმი თქვენდამივე უკეთური სიყვარულია.

თქვენს თავს ელტვით მოყვასისადმი და ამით გსურთ შეიქმნათ სიქველე: ხოლო მე განვსჭვრეტ თქვენს „თავისდებას“.

„შენ“ უფრო მოხუცია ვიდრე „მე“; და „შენ“ აღიარებულია წმიდათა წმიდათ, ხოლო კვლავ „მე“ არა: ამად ეხუტებოდა ადამიანი მოყვასს.

მოგიწოდებთ ძმობის სიყვარულისათვის? უფრო მოგიწოდებთ მოძმისაგან ლტოლვასა და შორეული სიყვარულისადმი!

მოძმის სიყვარულზე მაღალია სიყვარული შორეულისადმი და მყობადისა; და ადამიანთა სიყვარულზე ჩემთვის მაღალია სიყვარული საგანთა და ლანდებისადმი.

ლანდი, თან რომ გდევს, ძმაო, უფრო ლამაზია, ვიდრე შენ; რად არ შეასხავ მას შენ სხეულს დ ძვლებს? ხოლო გეშინის და ილტვი მოძმისადმი.
ვერ რიგდებით ერთმანეთს შორის და არა საკმარისად გიყვართ ერთმანეთი: ამად გსურთ აცდინოთ მოძმე თქვენდამი სიყვარულისათვის და შევარაყდეთ მისი შეცდომითა.

გისურვებთ ვერ მოგვარებულიყვეთ ყოველგვარ მოძმესთან და მეზობელთან; ამით თქვენ თვით თქვენი თავიდან შექმნიდით მეგობარს და მის აღვსილ გულსა.

მოუწოდებთ მოწმეს, ოდეს გსურთ თავის ქება; და ოდეს დააჯერებთ მას თქვენთვის კეთილ იფიქროს, თვით იწყებთ კარგის ფიქრს თქვენი თავისათვის.

სიცრუეს იტყვის არა მხოლოდ იგი, რომელი თვისი მეცრების წინააღმდეგ მეტყველებს, არამედ უფროსად იგი, რომელი თვისი უმეცრების წინააღმდეგ იტყვის. და ესე ეტყვით თქვენთვის მეზობელს და ატყუებთ მას თქვენთვის.

ესე იტყვის რეგვენი: „ადამიანთა ურთიერთობა ხასიათს აფუჭებს, უფროსად, როდეს იგი არა გაქვს“.

ვიეთი მიდის მეზობელთან, რათა თავი ეძიოს, ვიეთი, რათა თავი დაჰკარგოს. თქვენი უკეთური სიყვარული თავისადმი ჰქმნის თქვენ მარტოობას საპყრობილედ.

შორეულნი არიან, რომელნი განიღებენ მოძმისადმი თქვენი სიყვარულისადმი; და ოდეს ხუთნი მოიყრით თავს მარად მეექვსეს სიკვდილი მოელის.

არ მიყვარს თქვენი ზეიმიც: მრავალი მსახიობი მინახავს ამ დროს და თვით მაყურებელნიც ხშირად მსახიობთაებრ იგრიხებოდნენ.

არა მოყვასისა გასწავლით, არამედ მეგობრისას. იყოს მეგობარი ზეიმი მიწისა და წინაგრძნობა ზეკაცისა.

გასწავლით მეგობრისას გულით სავსისას. ხოლო ჯერ არს იყო ღრუბელი, ოდეს გსურს სიყვარული აღვსილი გულისა.

გასწავლით მეგობრისას, რომელს მოაქვს სრულქმნა სოფლისა და სასმისი სიკეთისა, - მქმედი მეგობრისას, რომელი მარად მზადაა მოსანიჭებლად სრულქმნილი სოფლისა.

და ვით სოფელი მბრუნავი მის შორის განიყრება, ესრედ რკალად მბრუნავი მის შორის კვლავ შეიყრება - ვით ყოფა სიქველისა ბოროტებით, ვით ყოფა მიზნისა შემთხვევით.

მყობადი და შერეული იყოს მიზეზი შენი დღეისა: შენს მეგობარში გიყვარდეს ზეკაცი, ვით შენი მიზეზი.

ძმანო, არ გირჩევთ მოძმის სიყვარულს: გირჩევთ სიყვარულს შორეულისას.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მქმედთა გზისადმი

მარტოდ განდგომა გსურს, ძმაო? გსურს ეძიო გზა თვით შენი თავისაკენ? შეფერხდი მცირეს და მომისმინე.

„ადვილად ჰკარგავს თავის თავს, რომელი ეძიებს. ყოველი მარტოობა ცოდვაა: ესე იტყვის ჯოგი და შენ ხომ დიდს ხანს ჯოგს ეკუთვნოდი.

ხმა ჯოგისა შენს შორისაც კვლავ ბანსა ჰპოვებს. და ოდეს იტყვი „აღარა მაქვს თქვენთა ზიარი სინდისი“ - ეს ჩივილია და ტანჯვა.

კვლავ იგი ზიარი სინდისი ჰქმნის თვით ამ ტანჯვას: და ამა სინდისის უკანასკნელი ბჟუტვა კვლავ აღვივებს შენს სევდას.

ხოლო შენ მიჰყვები შენი სევდის გზას, რომელი გზაა თვით შენი თავისაკენ? მაშინ მაჩვენე შენი უფლება და ძალა ქმნად ამისა.

ხარ ახალი ძალა და ახალი უფლება? პირველი ძვრა? ბორბალი თვით ძრული? შესძლებ ვარსკვლავნი აიძულო შენს ირგვლივ ბრუნვად?

ჰეი, მრავალნი არიან მნატვრელნი სიმაღლისა! მრავალნი არიან ზრახვანი პატივმოყვარეთა. მიჩვენე, რომ არა ხარ რიცხვისაგან მონატრეთა და პატივმოყვარეთა!

ჰეი, მრავალია მაღალი აზრის, რომელი მეტს არასა ჰქმნიან, ვიდრე საბერველი: იბერებიან და უფრო აცარიელებენ.

თავს თავისუფალს უწოდებ? მსურს მოვისმინო შენი უფალი აზრი და არა ის, რომ უღელი მოგიშორებია.

ხარ მათგან, რომელთ უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ თ უღლის მოშორებისა? ვიეთთ დაუკარგავთ უკანასკნელი ღირებულება, ოდეს მორჩილება დაუკარგავთ.

თავისუფალი რისგან? რა საქმე აქვს ამასთან ზარატუსტრას! ხოლო შენ თვალთა ნათელმა მაუწყოს მე: თავისუფალი რისთვის?

ძალგიძს შენთვის სიქველისა და ბოროტის დადგინება და შენსზედა შენი ნების აღმართვა, ვით კანონის? ძალგიძს იყვე შენი თავის მსაჯული და შურმგებელი შენის კანონისა?

საშინელია მსაჯულთან და თავის კანონის შურმგებელთან მარტოდ ყოფნა. ესე ისვრიან ვარსკვლავს უდაბნო სივრცეში და მარტოობის ყინულს სუნთქვაში.

დღეს კვლავ იტანჯება ხალხის მრავლობით, შენ მხოლოდ: დღეს კვლავ შენთან არის შენი მძლეობა და შენი იმედები.

ხოლო ოდესმე მოგღლის მარტოობა, ოდესმე დაიზნიქება შენი სიამაყე და შენი მძლეობა კბილს აღრჭენდეს. ოდესმე იყვირებ შენ: „მარტოდ ვშთენილვარ!“.

ოდესმე ვეღარ იხილავ შენს სიმაღლეს და შენს სიმდაბლეს უფრო ახლოს; თვით შენი ამაღლება, ვით მოჩვენება, შიშით აღგავსებს. იყვირებ ოდესმე: „ყალბია ყოველი!“.

არიან გრძნობანი, რომელნი მარტოდ შთენილთ მოკვლად ისწრაფვიან; უკეთუ ვერ შესძლებენ, ჯერ არს თვით დაიხოცნენ! ხოლო შესძლებ შენ მკვლელად ყოფას?

უწყი, ძმაო, სიტყვას „ზიზღი“? და ტანჯვას შენი სამართლიანობისა - ქმნას სამართლიანობისა მათ მიმართ, რომელთ შენ ეზიზღები?

აიძულებ მრავალთ შენთვის აზრის შეცვლისათვის; ამად იგინი ბრალსა ხდიან მიუახლოვდი და მაინც გვერდით გაუარე: ამას არასოდეს გაპატიებენ.

მათზე მაღლა მიდიხარ: და ეზომ მაღლა ვლი, მით მცირეს გხედავს თვალი შურისა. ხოლო მფრინავი უფროსად სძულთა.

„ვით შესძლებდით ჩემდამი სამართლიანობას! - ამას იტყოდე შენ - ავირჩიე თქვენი უსამართლობა, ვით ნაწილი თანამდები ჩემი“. უსამართლობას და ბინძურებას ესვრიან იგინი მარტომყოფთ: ხოლო, ძმაო ჩემო, უკეთუ ვარსკვლავად ყოფნა გსურს, ამად არა გმართებს ნაკლებ უნათებდე მათ.

ერიდე ქველთა და მართალთა! იგინი დიდის ხალისით ჯვარს აცვამენ მათ, რომელნი ჰქმნიან თვის სიქველეს, - მათ მარტომყოფნი ეზიზღებათ.

ერიდე წმინდა უბრალოებას! მისთვის უკეთესია ყოველი არა უბრალო, უყვარს ცეცხლით თამაში - კოცონები.

ერიდე შენი სიყვარულის ჟინს. უფროსად სწრაფად გაუწოდებს მარტომყოფი ხელს პირველს, რომელიც გზად შეეყრება.

ვიეთთ გაუწვდიდე არა ხელს, არამედ მხოლოდ თათს: და მე მსურს, რათა შენს თათებს ბრჭყალები აქვნდეს.

ხოლო უბოროტესი მტერი, რომელს შენ შეეყრები, თვით შენ იქმნები; თვით ჩაუსაფრდები თავს ქვაბთა და ტყეთა შორის.

მწირო, დგომილი ხარ გზას შენი თავისაკენ! და შენსკენვე მიჰყეხარ და შენი შვიდი დემონისაკენ.

იყავი მწვალებელი შენი თავისათვის და კუდიანი და მისანი და რეგვენი და იჭვით პყრობილი და უკეთური და ბოროტმქმედი.

გმართებს იწოდე შენს საკუთარ ალში: ვით გსურდა განახლება, თუ არ ნაცრად ყოფობდი!

მწირო მქმედის გზითა ვლი: ღმერთი გსურს ჰქმნა შენი შვიდი ეშმაკისაგან.

მწირო, მიიქცევი გზითა სიყვარულისათა: თვით შენი თავი გიყვარს და ამად მოგიძულებია თავი, ვით მხოლოდ მოსიყვარულენი მოიძულებენ.

მქმედობა სწყურია მოსიყვარულეს, რამეთუ სიძულვილი უწყის! რა უწყიდეს სიყვარულისა მან, ვინც არ უწყიდეს იმის მძულვარება, რაიც უყვარდეს!

შენის სიყვარულით და მმქმედობით, ძმაო, მიიქეც მარტოობად და მხოლოდ შემდეგ სამართლიანობაც ჩანჩალით თან გამოგყვება.

ჩემის ცრემლებით, ძმაო, მიიქეც მარტოობად. მიყვარს, რომელს ჰსურს თვისა ზე ქმნა და ესე წარხდომა. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მოხუც და ყმაწვილ დედაკაცთათვის

„რას დაეხეტები ესე მოკრძალებით ამ ბინდისას, ზარატუსტრა? და რასა ჩქმალავ წამოსასხამის ქვეშ?“

„ნაჩუქარი საუნჯეა? თუ ბავშვი, რომელიც შეგძენია? თუ მპარავთა გზით დადიხარ, შენ მეგობარი ბოროტთა?“ –

მართლად, ძმაო, წარმოსთქვა ზარატუსტრამ, ეს საჩუქარი საუნჯეა: პატარა ჭეშმარიტება, რომელს თან ვატარებ.

ხოლო იგი ზნიანია. ვით ბავშვი; და თუ პირსა არ დაუხშობ, მაღალი ხმით ყვირილს დაიწყებს.

დღე მზის ჩასვლისას, ოდეს მარტოდ ჩემის გზით მივდიოდი, ერთი მოხუცი დედაკაცი შემომეყარა და ესე ესიტყვა ჩემს სულს:

მრავალჯერ ულაპარაკნია ჩემთანაც, ქალებთან, ზარატუსტრას, ხოლო არა უთქვამს ჩემთვის დედაკაცისა“.

და მე მივუგე: „დედაკაცისა მართებულია მხოლოდ მამაკაცთ ელაპარაკო“.

„მითხარი მეც დედაკაცისა, საკმაოდ მოხუცი ვარ, რათა ეს მყისვე დავივიწყო“.

და მე ყურად ვიღე თხოვნა მოხუცი დედაკაცისა და ვუთხარი:

დედაკაცისა ყოველი გამოცანაა და ყველაფერს დედაკაცისას ერთი ამოცანა აქვს: მას ორსულობა ეწოდება.

მამაკაცი დედაკაცისათვის საშუალებაა: მიზანი მარად ბავშვია. ხოლო რა არის დედაკაცი მამაკაცისათვის?

ორ რამეს ეძიებს ნამდვილი მამაკაცი: ხიფათს და თამაშს. ამად სწადია დედაკაცი, ვით უხიფათესი სათამაშო.

ჯერ არს მამაკაცი აღზრდილ იქმნეს ომისათვის და დედაკაცი შვებად მეომრისა: ყოველი დანარჩენი რეგვენობაა.

არ ეგემება მეომარს ნაყოფი ფრიად ტკბილი, ამად მას დედაკაცი უყვარს; თვით უტკბილესი დედაკაცი კვლავ მწარეა.

დედაკაცი უკეთესად იცნობს ბავშვებს, ვიდრე მამაკაცი, ხოლო მამაკაცი ბავშვურია, ვიდრე დედაკაცი.

ნამდვილ მამაკაცში ბავშვია ფარული, რომელს თამაში ჰსურს. მაშ აღმოაჩინეთ, დედაკაცნო, ბავშვი მამაკაცში!

იქმნეს დედაკაცი სათამაშო სპეტაკი და ფაქიზი, მზგავსად ქვისა პატიოსნისა, მბრწყინავი სათნოებით ჯერ არ არსებული ქვეყნიერებისა.

ბრწინავდეს თქვენს სიყვარულში სხივი ვარსკვლავისა! იტყოდეს იმედი თქვენი: „ნეტავ ვშვიდე ზეკაცსა!“

იყოს თქვენს სიყვარულში გულადობა! გმართებთ თქვენის სიყვარულით სძლევდეთ, რომელნი შიშსა გგვრიან.

თქვენს სიყვარულში იყოს თქვენი პატიოსნება! ნაკლებად იცის დედაკაცმა პატიოსნებისა. ხოლო იყოს ეს პატიოსნება თქვენი: მარად მეტად გიყვარდეთ, ვიდრე უყვარხართ და არასოდეს იყვნეთ მეორე.

ეშინოდეს მამაკაცს დედაკაცისა, რომელს უყვარდეს: მაშინ ყოველს მსხვერპლს განიღებს და დანარჩენს მისთვის ფასი არა აქვს.

ეშინოდეს მამაკაცს დედაკაცისა, რომელს სძულდეს: მამაკაცი სულით მხოლოდ ბოროტია, ხოლო დედაკაცი სულით ცუდია.

ვინა სძულს დედაკაცს უფროსად? - ესე იტყოდა რკინა მაგნიტს: „შენ უფროსად მძულხარ, მიზიდავ, ხოლო არა ხარ საკმაოდ ძლიერი,

რათა მიმიტაცო“.

მამაკაცის ბედნიერებას ეწოდება: მე მსურს. დედაკაცის ბედნიერებას ეწოდება: მას ჰსურს.

„შეხედე, სწორედ აწ იქმნა ქვეყნიერება სრულად!“ - ესე გულისხმობს ყოველი დედაკაცი, ოდეს მთელის სიყვარულით ემორჩილება.

მართებს დედაკაცს მორჩილება და ჰპოვოს სიღრმე თვისი ზედაპირისა. ზედაპირია სული დედაკაცისა, მოძრავი, მჩქერვალე საფენი მცირე წყლისა ზედა.

ხოლო ღრმა სული მამაკაცისა, ქვესკნელის ჯურღმულებში შფოთად ჩაიჭრება მისი ნაკადი: დედაკაცი გრძნობს მის ძლიერებას, ხოლო ესე ვერ შეუცნია. –

მაშინ მომიგო მოხუცმა დედაკაცმა: „მრავალი თავაზიანი სიტყვა სთქვა ზარატუსტრამ, უფროსად ვინც ამისთვის საკმაოდ ახალგაზრდაა.

საოცარია, ზარატუსტრა ნაკლებად იცნობს დედაკაცთ, ხოლო იგი მაინც მართალს ამბობს მათთვის! ნუთუ იმიტომ, რომ დედაკაცისათვის არაფერია შეუძლებელი?

და მადლობად მიიღე მცირედი ჭეშმარიტება! საკმაოდ მოხუცი ვარ მისთვის!

შეახვიე იგი სახვეულით და პირი დაიხშე; თუ არა მაღალი ხმით იყვირებს ეს მცირედი ჭეშმარიტება“.

„მომეც, დედაკაცო, შენი პატარა ჭეშმარიტება!“ ვეტყოდი მე. და ესე სთქვა მოხუცმა დედაკაცმა:

„ქალებთან მიდიხარ? მათრახი არ დაივიწყო!“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

კბენისათვის იქედნესი

ერთ დღეს ზარატუსტრას ლეღვის ხის ქვეშ დასძინებოდა, ცხელოდა და ხელებით სახე დაეფარა. მიეპარა იქედენე და ყელში უკბინა და ზარატუსტრამ შეჰყვირა სიმწარით. მოაშორა რა ხელი სახეს, შეხედა გველს: მაშინ იცნო მან ზარატუსტრას თვალები, უხერხულად

გაბრუნდა და გაცლას აპირებდა. „არა, მიმართა ზარატუსტრამ, ჯერ მადლობა არ მითქვამს! დროზე გამომაღვიძე, გზა ჩემი კვლავ გრძელია“. „შენი გზა უკვე მოკლეა, წარმოსთქვა იქედნემ მწუხარებით, ჩემი ხშამი სასიკვდილოა“. ზარატუსტრას გაეცინა. „როდის მოუკლავს გველის შხამს გველეშაპი? - სთქვა მან. მაგრამ უკან წაიღე შენი შხამი! არ იყო საკმაოდ მდიდარი, რათა მაჩუქებდე მას“. მაშინ იქედენე კვლავ შემოეხვია მას კისერზე და ჭრილობა აულოკა.

ოდეს ზარატუსტრამ უამბო ესე თვის მოწაფეთ, მათ ჰკითხეს: „და რა არის ზარატუსტრა აზრი ნაამბობისა?“ ზარატუსტრამ მიუგო:

ზნეობის შემმუსვრელს მიწოდებენ ქველნი და მართალნი: ჩემი ამბავი უზნეოა.

ესე უკეთუ მტერი გყავთ, ნუ მიუგებთ მას კეთილით ბოროტისათვის: ეს მას შეარცხვენდა. არამედ დაუმტკიცეთ, რომ მან სიკეთე გიყოთ.

და უკეთესია განრისხდეთ, ვიდრე არცხვენდეთ! და ოდეს გწყევლიან, არ მომწონს, რომ ლოცავთ. უკეთესია შენც ცოტა დაიწყევლო!

და უკეთუ დიდი უსამართლობა გეწიათ, მყისვე ხუთი მცირედით უპასუხეთ! საძაგელია ცქერა მხოლოდ უასამართლობით დაჩაგრული ადამიანისა.

ეს თქვენ უკეთ იცოდით? განაწილებული უსამართლობა ნახევარი სამართალია. და მან უნდა იდოს თავს უსამართლობა, ვისაც ძალუძს მისი ზიდვა.

მცირე შურისგება უფრო ადამიანურია, ვიდრე არა შურისგება. და უკეთუ სასჯელი გადამლახველის უფლება და პატივი არ არის, მეც აღარა მსურს თქვენი სასჯელი.
უფრო დიდი კეთილშობილებაა თავის გამტყუნება, ვიდრე გამართლება, უფროსად ოდეს კაცი მართალია. ხოლო ამად საჭიროა საკმაოდ მდიდარი იყო.

არა მსურს თქვენი ცივი სამართალი; და თქვენი მსაჯულის თვალებით მარად ჯალათი გამოკრთის და მისი ცივი მახვილი.

მითხარით სად არის სამართალი, რომელიც სიყვარულია მხილავი თვალებით?

მაშ მიპოვეთ სიყვარული, რომელი ზიდვიდეს არა მხოლოდ ყოველს სასჯელს, არამედ ყოველ დანაშაულსაც.

მაშ მიპოვეთ სამართალი, რომელი ამართლებს ყოველს, გარდა გამასამართლებელისა!

კვლავ გსურთ ესეც მოისმინოთ? მისთვის, რომელს გულით სამართლიანობა ჰსურს, თვით სიცრუეა ადამიანისადმი თანაგრძნობად გარდაიქმნეს.

ხოლო როგორ შევძლებ სამართლიანობას გულით! როგორ შევძლო თვითეულს თვისი მიუგო! საკმარისია ჩემთვის: ყოველს ჩემსას ვაძლევ.

ბოლოს, ძმანო, ერიდენით არ მიაყენოთ უსამართლობა ყოველს განდეგილს. როგორ დაივიწყებდა განდეგილი! როგორ გადაგიხდიდათ!

ღრმაა ვით ჭა, განდეგილი. ადვილია შიგ ქვის ჩაგდება: ხოლო ოდეს ძირამდე ჩაიძირება, ვინ მოისურვებს მის ამოღებას?

ერიდენით განდეგილთა შეურაცხყოფას! და უკეთუ ჩაიდინეთ ეს, კიდეც მოჰკალით.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

შვილისა და ქორწინებისათვის

ამ კითხვით მხოლოდ შენ მოგმართავ, ძმაო: ვით [საძირავს] ვისვრი მას შენს სულში, რათა გავიგო შენის სიღრმე.

ახალგაზრდა ხარ და ოცნებობ ქორწინებისა და შვილისათვის, გეკითხები: განა შენ ისეთი ადამიანი ხარ, რომელს უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ ს ისურვოს თავისთვის შვილი?

გამარჯვებული ხარ, თვითმთრგუნავი, გრძნობის მბრძანებელი, უფალი შენი სიქველეთა? ამას გეკითხები.

თუ შენი სურვილით ცხოველი მეტყველებს და მოთხოვნილება? თუ მარტოობა? თუ თვითკმაყოფა?

მსურს რათა შენი გამარჯვება და შენი თავისუფლება ოცნებობდეს შვილისათვის. გმართებს ცოცხალი ძეგლი აუგო შენს გამარჯვებას

და თავისუფლებას.

ჯერ არს, შენს ზე აშენებდე. ხოლო ჯერ თვით შენ უნდა აშენდე სწორწახნაგად ხორცით და სულით.

არა მხოლოდ გან-გან იზრდებოდე, არამედ მაღლით! ამად მწე იყოს შენთვის ბაღი ქორწინებისა.

ქმნიდე მაღალს სხეულს, პირველს ძვრას, თვითძრავ ბორბალს - მმქმედს ჰქმნიდე.

ქორწინება: ამას უწოდებ ორთა სურვილს ერთის ქმნისათვის, რომელი მეტია, ვიდრე მისი მქმნელნი. ურთიერთდამი პატივისცემას, ვით მატარებელთადმი ამა ნებისა, უწოდებ მე ქორწინებას.

ესე იყოს აზრი და სიმართლე შენის ქორწინებისა. ხოლო მას, რომელს ბევრეულთა-ბევრეულნი ქორწინებას უწოდებენ - ეს ზედმეტნი, - ჰეი, რა უწოდო?

ჰეი, იგი სიღატაკე სულისა ორეულად! ჰეი, იგი სიბინძურე სულისა ორეულად! ჰეი, იგი უბადრუკი კმაყოფა ორეულად!

ყოველს ამას ქორწინებას უწოდებენ; და ამბობენ მათი ქორწინება ცაში იყო ქმნილი.

მაშ, აღარა მსურს იგი, ზედმეტთა ცა! არა ვსაჭიროებ მათ, ციურ ბადეში გაბმულ ცხოველთა!

შორს იყოს ჩემგან თვით ღმერთიც, მის დასალოცავად რომ მოცანცალებს, რაც არ შეუერთებია!

ნუ დასცინით ამ ქორწინებათ! რომელი შვილი იყოს უსაბაბო მშობლებისათვის ტირილისა?

ღირსეულად მეჩვენება მამაკაცი იგი და მოწეულად მიწის აზრისათვის: ხოლო ოდეს მისი ცოლი ვნახე, შეშლილთა სადგომად მომეჩვენა ქვეყანა.

დიახ, ვისურვე, რათა დედამიწა რყეულიყო ძრწუნვით, ოდეს წმინდანი შეუღლდება ბატთან.

ეს მიიმართებოდა, ვით გმირი ჭეშმარიტებათა დათურგნად და ბოლოს შეიძინა მცირე მოკაზმული სიცრუე. ამას თვით ქორწინებას უწოდებს.

მეორე მიუკარებელი იყო და ძნელად მომწონი. ხოლო ერთხელ სამუდამოდ წაახდინა თვისი საზოგადოება: ამას თვით ქორწინებას უწოდებს.

მესამე ეძიებს მსახურს ანგელოსის სიქველით. ხოლო ერთხელ დედაკაცის მსახურად გარდაიქმნა, აკლია ღა, რათა ანგელოსად იქმნეს.

ფრთხილნი არიან აწ ყოველნი მყიდველნი და ყველას ეშმაკი თვალები აქვთ. ხოლო ცოლს თვით უეშმაკესი ტომარაში ჰყიდულობს.

მრავალი ხანმოკლე სისულელე - ამას უწოდებს სიყვარულს. და მრავალ ხანმოკლე სისულელეთ თქვენი ქორწინება აბოლოებს, ვით ხანგრძლივი სისულელე.

თქვენი სიყვარული დედაკაცისა და დედაკაცის სიყვარული მამაკაცისა: ჰეი, ნეტავი იგი თანაგრძნობა იყოს ტანჯული და ფარულ ღმერთებისადმი! ხოლო უფრო ხშირად ორი ცხოველი ერთმანეთს ამოიცნობს.

თქვენ თქვენი საუკეთესო სიყვარული მხოლოდ აღტაცების სიმბოლოა და მტკივნეული მხურვალება. ჩირაღდანია იგი, რომელი მაღალ გზებს უნდა გინათებდეთ.

გმართებთ ოდესმე თქვენს ზე გიყვარდეთ! მაშ ი ს წ ა ვ ლ ე თ ჯერ სიყვარული. ამად გმართებთ შესმა თქვენი სიყვარულის მწარე სასმისისა.

საუკეთესო სიყვარულის სასმისშიც სიმწარეა: ესე იწვევს იგი შენს სევდას ზეკაცისათვის, ესე მოგაწყურებს შენ, მმქმედო!

წყურვილი მმქმედისა, ისარი და ნატვრა ზეკაცისათვის: სთქვი, ძმაო, ესეა ნება შენი ქორწინებისათვის?

წმიდაა ჩემთვის ესეთი ნება და ესეთი ქორწინება. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

თავისუფალი სიკვდილისათვის

მრავალი ძლიერ გვიან კვდება, ვიეთნი ძლიერ ადრე. კვლავ უცხოდ ხმაურობს მოძღვრება: „დროზე მოკვდი!“.

დროზე მოკვდი; ამას ასწავლის ზარატუსტრა.

მართლად, რომელი არროდეს სცხოვრობდეს დროზე, დროზე როგორ მოკვდება? უკეთესია არ დაბადებულიყო! - ამას ურჩევ ზედმეტთ.

ხოლო ზედმეტნიც მნიშვნელოვნად სთვლიან თავის სიკვდილს, უფუჭეს კაკალსაც გატეხვა ჰსურს.

მნიშვნელოვნად სთვლიან ყველანი სიკვდილს: ხოლო სიკვდილი კვლავ დღესასწაული არ არის. ადამიანთ კვლავ არ უსწავლით უმშვენიერეს დღესასწაულთა კურთხევა.

გიჩვენებთ სრულქმნილ სიკვდილს, რომელი ცოცხალთათვის ნეტარი და აღთქმაა.

თვისი სიკვდილით კვდება დასრულებული, გამარჯვებული, გარემოცული დაიმედებულთა და აღთქმამდებელთა.

ჯერ არს სიკვდილის სწავლა; და არ იქმნეს დღესასწაული იქ, სად მომაკვდავი ცოცხალთა ფიცს არ აკურთხებდეს!

ესე სიკვდილი უკეთესია; ხოლო მეორე: ბრძოლაში მოკვდე და დიდი სული გაანიავო.

ხოლო მებრძოლს და გამარჯვებულს თანაბრად ეზიზღებათ თქვენი დაღრეჭილი სიკვდილი, რომელი დაძრწის ვით ქურდი - და მაინც მოდის ვით მბრძანებელი.

ჩემს სიკვდილს გიქებთ თქვენ, თავისუფალს სიკვდილს, რომელი მოდის ჩემთან, რადგან მწადია.

და როდის ვისურვებ? - რომელს მიზანი აქვს და მემკვიდრე ჰყავს, მას დროზე სიკვდილი ჰსურს მიზნისა და მემკვიდრისათვის.

და მიზნისა და მემკვიდრის პატივისცემისათვის იგი აღარ ჩამოჰკიდებს ცხოვრების წმიდა ტაძარში დამჭკნარს გვირგვინებს.

ჭეშმარიტად. არა მსურს თოკის დამრთველთ ვემსგავსებოდე, იგინი სწევენ ძაფს სიგრძით და თვით სულ უკან-უკან მიიწევენ.

ვიეთი ფრიად მოხუცია თვით ჭეშმარიტებათა და გამარჯვებისათვის; უკბილო პირს უფლება აღარ აქვს ყოველი ჭეშმარიტებისათვის.

და ყოველი, რომელს დიდება სწყურია, დროზე უნდა გამოეთხოვოს

პატივისცემას და ძნელი ხელოვნება გამოიჩინოს - დროზე წავიდეს.

ჯერ არს წამის შეწყვეტა, ოდეს იგი ფრიად გეამება: ეს იციან მათ, რომელთ სურთ, დიდხანს ყავდეთ მოყვარულნი. არსებობს მჟავე ვაშლები, რომელთ ბედი შემოდგომის უკანასკნელ დღემდე აცდევინებს: ამ დროს იგინი მწიფდებიან, ყვითლდებიან, იღარებიან.

ვიეთი ჯერ გულით ბერდება, ვიეთი სულით, და ვიეთნი სიყრმითვე მოხუცნი არიან: ხოლო ნაგვიანები ყრმა დიდხანს ყრმაა.

ვიეთს ცხოვრება არ სწყალობს: შხამიანი მატლი ღრღნის მის გულს, ეცადოს, რათა სიკვდილი სწყალობდეს.

ვიეთი აროდეს არის ტკბილი, იგი ზაფხულშივე ლპება. მხოლოდ სიმხდალე აჩერებს მას თვის რტოზე.

ბევრეულთა ბევრეულნი სცხოვრობენ და ძლიერ დიდხანს ჰკიდიან თვის რტოებზე. ამოვარდეს ქარიშხალი, რათა ჩამოჰყაროს დამპალი და ჭიანი!

მოვიდნენ მქადაგებნი ს წ რ ა ფ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა! ესენი იქნებიან იგი ქარნი და მრხეველნი ცხოვრების ხეთა! ხოლო მე ნელი სიკვდილის ქადაგება მესმის და მოთმინება მიწიერისა.

ჰეი, ჰქადაგებთ მიწიერის მოთმინებას? ხოლო ესე მიწიერი ძლიერ გითმენთ თქვენ, მაწყევარნო!

ჭეშმარიტად, ძლიერ ნაადრევად გარდაიცვალა იგი ებრაელი, რომელს ხანგრძლივი სიკვდილის მქადაგებელნი თაყვანსა სცემენ: მას აქეთ მისი ნაადრევი სიკვდილი მრავალთათვის საბედისწერო შეიქმნა.

მხოლოდ ცრემლები და სევდა შეიმცნო ებრაელთა და სიძულვილი ქველთა და მართალთაგან: ებრაელმა იესომ. მაშინ შეიპყრო სიკვდილის სურვილმა.

რატომ არ დარჩა უდაბნოში, მოშორებული კეთილთ და მართალთ: იქნებ ცხოვრება ესწავლა და მიწის სიყვარული ესწავლა და მასთან სიცილი!

დამიჯერეთ, ძმანო! ნაადრევად გარდაიცვალა; იგი უარყოფდა თვის მოძღვრებას, ჩემი ხნის რომ მოყრილიყო! საკმაოდ კეთილშობილი იყო უარყოფისათვის!

ხოლო უწიფი იყო იგი. უწიფად უყვარს ყრმას და უწიფად ეზიზღება მას. ადამიანი და მიწა ბმულ არიან და მძიმენი არიან კვლავ აზრნი მისნი და ფრთანი მისი სულისა!

ხოლო ვაჟკაცი მეტად ბავშვია, ვიდრე ჭაბუკი და ნაკლებად სასოწარკვეთა აქვს: უკეთესად უწყის მან სიკვდილისა და სიცოცხლისა.

თავისუფალი სიკვდილისათვის და თავისუფალი სიკვდილის შორის, იგი იტყვის ღვთაებრივ „არას“, ოდეს დრო აღარაა „ჰო“ - ისთვის: ესე უწყის მან სიკვდილი და სიცოცხლე.

მეგობარნო არ იყოს სიკვდილი თქვენი ძაგებად ადამიანისა და მიწისა ამა: თხოვნით ვემუდარები თქვენ სულის თაფლსა.

თქვენს სიკვდილში კვლავ სული ჰღუიოდეს და სიქველე თქვენი, ვით დაისი მიწასა ზედა: ან კარგად ვერ მომკვდარხართ.

მე თვით ისეთი სიკვდილი მსურს, რომ თქვენ, მეგობრებო, ჩემი გულისათვის მიწა მეტად შეიყვაროთ, და კვლავ მიწად მივიქცევი, რათა შვება ვპოვო მასთან, რომელმან მშვა.

ჭაშმარიტად ზარატუსტრას მიზანი ჰქონდა, ისროლა თვისი ბურთი: აწ მეგობარნო, იყავით ჩემი მიზნის მემკვიდრენი, თქვენსკენ ვისვრი მე ოქროს ბურთს.

ყველაფერზე სასიამოვნოა თქვენი მზერა. მეგობრებო, ოქროს ბურთს რომ ისვრით! და ესე მცირედ დავყოვნდები მიწაზე; მომიტევეთ!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

გამღები სიქველისათვის

1.

ოდეს ზარატუსტრა გამოეთხოვა ქალაქს, მისი გული რომ შეეთვისა, წოდებულს: „ჭრელი ძროხა“, მრავალნი, რომელნი თავს მის მოწაფედ ეტყოდნენ, ამალად გაჰყვნენ მას. ესე მივიდნენ გზაჯვარედინს: აქ ზარატუსტრამ უთხრა მათ, ამიერიდან მარტოდ ივლის, რამეთუ იგი მეგობარი იყო მარტოდმსვლელთა. გამოთხოვების დროს მოწაფეთ მიაწოდეს კვერთხი, რომლის ოქროს

კაუჭზე მზეს გველი შემოხვეოდა. ზარატუსტრას ესიამოვნა კვერთხი, ზედ დაეყრდნო და ამას ეტყოდა მოწაფეთ:

მითხარით: ვით იქმნა ოქრო უმაღლეს საყიდელად? იმად, რომ იშვიათია და უსარგო, ბრწყინავი და ნაზი ელვარებით: იგი მარად თავს შესთავაზებს.

მხოლოდ ვით სიმბოლო უმაღლესი სიქველისა, იქმნა ოქრო უმაღლეს საყიდლად. ვით ოქრო უბრწყინავს სახე გამღებს. ოქროს ბრწყინვალება ჰქმნის ზავს მთვარისა და მზის შორის.

უცხოა უმაღლესი სიქველე და უსარგო, ბრწყინავია და ფაქიზი ელვარებით: სიქველე გამღები უმაღლესია სიქველეთა შორის.

ჭეშმარიტად, კარგად გულისთხრობთ თქვენ, მოწაფენო ჩემნო, ჩემებრ ისწრაფვით გამღები სიქველისაკენ, რა გაქვთ საზიარო კატებთან და მგლებთან?

გწყურიათ მსხვერპლად თავის მიტანა და ძღვნად: ამად გწყურიათ მოხვეჭა ყველა სიმდიდრეთა თქვენს სულში.

უძღია სული თქვენი საუნჯეთა და სამკაულთათვის: სიქველე თქვენი უძღია და სურვილი გაღებისა.

აიძულებთ ყოველს თქვენთან და თქვენს შორის ყოფად, რათა თქვენი წყაროთი გადმოდინდეს, ვით ძღვენი თქვენი სიყვარულისა.

ჭეშმარიტად, ყველა საყიდელთა მძარცველად იქმნება ესეთი გამღები სიყვარული; ხოლო საღს და წმინდას უწოდებ მე ამ თავკერძობას.

არის სხვაგვარი თავკერძობა, უღატაკესი, დამშეული, რომელს მარად ქურდობა ჰსურს, იგი სნეულთა თავკერძობაა, სნეული თავკერძობა.

მპარავის თვალით უჭვრეტს ყოველს მბრწყინავს; მშვენიერის სიხარბით ზომავს იგი მას, ვით უხვი საჭმელი აქვს და მარად დაძრწის გამღები სუფრის ირგვლივ.

სნება და უქმი გადაგვარება მეტყველებს ამ სიხარბით; დავრდომილი

სხეული მეტყველებს ამა თავკერძოების ქურდული სიხარბით.

მითხარით ძმანო: რა ჰგიებს ჩემთვის ცუდად და უცუდესად? გადაგვარება? - და გადაგვარებას ვმოწმობთ მარად, სად არაა სული გამღები.

მაღლით მიდის ჩვენი გზა, თაობით თაობად. ხოლო საშინელებაა ჩვენთვის გრძნობა გადაგვარებისა, რომელი იტყვის: „ყოველი ჩემთვის“.

მაღლით ისწრაფვის ჩვენი გრძნობა: იგი ჩვენი სხეული სიმბოლოა, სიმბოლოა ამაღლებისა. ამ ამაღლებათა სიმბოლონი სიქველეთა სახელები არიან.

ესე განვლის სხეული მთელს ისტორიას, იქმნება და იბრძვის. და სული - რა არის სული სხეულისათვის? მახარობელი მის ბრძოლათა და გამარჯვებათა, მეგობარი და ბანი.

კეთილისა და ბოროტის სახელები სიმბოლოა: არ გამოსთქვამს, არამედ მიგვითითებს. რეგვენია, რომელს მათით ჰსურს შემეცნება.

ყური დაუგდეთ, ძმანო, ყოველს ჟამს, ოდეს სული თქვენი სიმბოლოებით მეტყველებს: მაშინ იქ არის წყარო თქვენის სიქველისა.

მაშინ აღიმართება სხეული თქვენი და მკვდრეთით აღსდგება; თვისი ნეტარებით წარიტაცებს სულს, რათა იგი მმქმედი იქმნეს და ფასმდებელი, და ყველა ნივთის მოყვარული.

უკეთუ თქვენი გული ფართოდ და სრულად სცემს, ვით მდინარე, კურთხევა და განსაცდელი მონაპირეთათვის: იქ არის წყარო თქვენის სიქველისა.

უკეთუ ხოტბისა და კიცხვის ზე დასდგებით და თქვენი ნება, ვით ნება მოყვარულისა, ისურვებს ყოველის ბატონობას: იქ არის წყარო თქვენი სიქველისა.

უკეთუ ხართ ერთიანი ნების მსურველნი და ყველა საჭიროების

შეცვლას აუცილებლობად უწოდებთ; იქ არის წყარო თქვენი სიქველისა.

ჭეშმარიტად, ახალი კეთილი და ბოროტია იგი! ჭეშმარიტად ახალი ღრმა ჩუხჩუხი და ხმა ახალი წყაროსი.

ძლიერებაა იგი ახალი სიქველე; უფალი აზრია იგი ბრძენი სულით: ოქროს მზე და მის ირგვლივ გველი მმეცნებისა!

2.

აქ ზარატუსტრა ერთ წამს დადუმდა და სიყვარულით უმზერდა თვის მოწაფეთ. შემდეგ ესე განაგრძო: - და მისი ხმა იცვალა.

იყავნი, ძმანო, ერთგულნი მიწისა თქვენის სიქველის მთელის ძლიერებით! თქვენი გამღები სიყვარული და თქვენი მმეცნება მსახურებდეს მიწის აზრსა! ამას გთხოვთ და გაფიცებთ.

ნუ დაუტოვებთ თქვენს სიქველეს ფრენად მიწის გარეშე და თვისი ფრთებით მარადიულ კედლებზე ხეთქებად. ჰეი, მუდამ მრავალი იყო გაფრენილი სიქველე!

ჩემს მზგავსად, უკან დაუბრუნეთ გაფრენილი სიქველე მიწას - დიახ, უკან. სხეულს და ცხოვრებას; რათა მიწას აზრი მისცეს, ადამიანის აზრი.

ასჯერ სცადეს დღემდე სულმა და სიქველემ გაფრენა და უგზო-უკვლო ხეტიალი, ჰეი, ჩვენს სხეულში ბინადრობს ეხლაც ეს შეშლილობა და ეს ოცნება: იგი სხეული იქმნა და ნება.

ასჯერ სცადეს და შესცდნენ დღემდე სული და სიქველე. დიახ, საცდელი იყო ადამიანი. ჰეი, მრავალმა უმეცრებამ და შეცდომამ შეისხა ჩვენს შორის ხორცი!

არა მხოლოდ ათასი წლების გონიერება - არამედ მათი შეშლილობაც. გამოკრთის ჩვენს შორის. სახიფათოა მემკვიდრედ ყოფნა.

კვლავ ყოველს ნაბიჯზე ვებრძვით მდევ შემთხვევას და მთელს კაცობრიობას დღემდე ზედ აწვა უაზრობა.

თქვენი სული და თქვენი სიქველე ემსახურებოდეს მიწის აზრს, ძმებო: და თქვენ დაადგენთ ყოველს საფასს ხელახლად. ამად გშვენით იყვნეთ მებრძოლნი! ამად გშვენით იყვნეთ მქმედნი!

მმეცნებით განსპეტაკდება სხეული; მმეცნებით მცადი ამაღლება იყო; მმეცნეს სწრაფვანი კურთხეულ არიან; მმეცნეს სული მხიარულია.

მკურნალო, თვით განიკურნე: მაშინ შენ ავადმყოფსაც განკურნავ. მისთვის საუკეთესო დახმარება იქნებოდა დანახვა მისი, რომელი თვით ჰკურნავს თავსა.

ათასია ბილიკი, რომლითაც არვის უვლია. ათასი ჯანსაღობა და ფარული კუნძულები ცხოვრებისა. უწურავია და კვლავ არ აღმოჩენილა ადამიანი და მიწა ადამიანისა.

იფხიზლეთ და ყური უგდეთ, თქვენ მწირნო! მომავლით იძვრიან ქარნი ფრთების იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება.

თქვენ, დღეს მწირნო, თქვენ განდგომილნო, ერთს დროს ხალხი იქმნებოდით: თქვენგან, რომელთ თავი ირჩიეთ, რჩეული ხალხი აღმოცენდება: - ხოლო მისით ზეკაცი.

ჭეშმარიტად, მიწა კვლავ განკურნების ადგილად იქმნება! და უკვე ჰმოსავს მას ახალი სურნელება, განკურნების მცემელი, - და ახალი იმედი!

3.

თქვა რა ესე ზარატუსტრამ დადუმდა ვით ადამიანი, რომელს უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს; დიდს ხანს ყოყმანობდა და კვერთხს ამოძრავებდა, ბოლოს ესე იტყოდა; - და მისი ხმა იცვალა.

აწ მარტოდ ვლი, ჩემო მოწაფენო! წადით თქვენც მარტოდ! ესე მსურს!

ჭეშმარიტად გირჩევთ: მომშორდით და ერიდენით ზარატუსტრას!

და კვლავ უკეთესია გრცხვენოდეთ მისი! იქნებ გატყუებთ.

მმეცნე ადამიანს ჰშვენის არა მხოლოდ თვის მტერთა სიყვარული, არამედ მეგობართა სიძულვილიც.

ცუდი ჯილდოა მოძღვრისათვის, უკეთუ მოწაფენი მარად მოწაფედ რჩებიან. და რატომ არა გსურთ, ჰკორტნოთ ჩემი გვირგვინი?

პატივსა მცემთ; ხოლო რა იქმნება, უკეთუ ერთს დღეს თქვენი პატივისცემა წარხდება? ერიდენით, რათა კერპმა არ შეგმუსროთ!

იტყვით, გწამთ ზარატუსტრა? ხოლო რა არის ზარატუსტრა? ჩემი მრწმენელი ხართ: ხოლო რანი არიან მორწმუნენი!

ჯერ თავი არ მოგეძებნათ და მპოვეთ მე. ესე იქმიან ყველა მორწმუნენი; ამად აქვს ნაკლები ფასი ყველა სარწმუნოებას.

აწ მოგიწოდებთ, მე დამკარგოთ და თქვენი თავი ჰპოვოთ; და ოდეს ყველანი უარმყოფთ, კვლავ დაგიბრუნდებით.

ჭეშმარიტად, სხვა თვალით გძებნით მაშინ, ძმანო, ჩემ მიერ დაკარგულთ; სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ მაშინ.

ოდესმე კვლავ ჩემი მეგობრები შეიქმნებით და ერთის იმედის შვილნი; მაშინ მოვალ მესამედ, რათა თქვენთან ერთად ვიზეიმო დიდი სამხარი.

იგია დიდი სამხარი, ოდეს ადამიანი იქმნება თვის შუა გზად ცხოველით ზეკაცად და იზეიმებს თვის გზას დასავალად, ვით უმაღლეს იმედს: რადგან ესე გზა, ახალი ცისკრისა.

მაშინ წარმხდომი თვით დალოცავს თავს, რათა იგი დაღმით მსვლელია; და მზე მისი მმეცნებისა სამხრად იქმნება.

„მ კ ვ დ ა რ ნ ი ა რ ი ა ნ ყ ვ ე ლ ა ღ მ ე რ თ ე ბ ი: აწ ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს“ - იყოს ესე ნება ჩვენი დიდი სამხრობასა! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ნაწილი მეორე

„ - და ოდეს ყველანი უარმყოფთ, კვლავ დაგიბრუნდებით.
ჭეშმარიტად, სხვა თვალით გძებნით მაშინ, ძმანო, ჩემ მიერ
დაკარგულთ;
სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ მაშინ“.
ზარატუსტრა, „გამღები სიქველისათვის“

ბავშვი სარკით

შემდეგ ამისა ზარატუსტრა კვლავ მთებს დაუბრუნდა და თვისი გამოქვაბულის მარტოობას და ერიდებოდა ადამიანთ: მელოდინე მზგავსად მთესავისა, რომელმან თვისი თესლი დასთესა. ხოლო მისი სული აღივსო უთმენლობით და სევდით მათთათვის, რომელნი უყვარდა: რათა კვლავ მრავალი ჰქონდა მათთვის მისაცემი. ესეა უძნელესი: სიყვარულის გულისათვის გაშლილ ხელს კუმშდე და ვით დამჯილდოვებელი, ირცხვენდე.
ესე განვლეს მწირის წლებმა და თვეთ, ხოლო მისი სიბრძნე იზრდებოდა და თვისი სავსეობით სტანჯავდა მას.

ერთს დილად ცისკრის ამოსვლამდე გაეღვიძა, რაღაცას იგონებდა თვის სარეცელზე და ბოლოს ესე გულისთხრობდა:

„რამ შემაშინა სიზმარში, რომ კიდეც გამომეღვიძა? განა მე არ მომიახლოვდა ბავშვი სარკით?“

ჰეი, ზარატუსტრა, - მომმართა ბავშვმა, - ჩაიხედე სარკეში“.

ხოლო ოდეს სარკეში ჩავიხედე, შევჰყვირე და გულით შევძრწუნდი: რათა არა ჩემი თავი დავინახე შიგ, არამედ სახე ეშმაკისა და უმზგავსი დაცინვა.

ჭეშმარიტად, კარგად, მესმის მე სასწაული სიზმრისა და გაფრთხილება: ჩემი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა განსაცდელშია ღვარძლს ხორბლობა ჰსურს!

ჩემი მტერნი გაძლიერებულან და ჩემი მოძღვრების სახე დაუმახინჯებიათ. ესე რომ, ჩემ რჩეულთ უნდა რცხვენოდეთ ჩემ მიერ დანატოვარი ძღვნისა.

დავკარგე მეგობრები; მოიწია ჟამი ჩემი დაკარგულები ვეძიო“.

ამ სიტყვებით წამოხტა ზარატუსტრა, არა ვით შეშინებული. მწყურვალი ჰაერისა, არამედ უფრო ვით მისანი და მომღერალი, სულით შთაგონებული. განცვიფრებით უმზერდნენ მას არწივი და გველი: რადგან მყობადი მზე კრთოდა მის სახეზე, ვით ცისკარი დილისა.

რა დამემართა ჩემო ცხოველებო? - სთქვა ზარატუსტრამ. განა ფერი არ ვიცვალე? განა ნეტარება არ მეწვია, ვით ქარიშხალი?

ჩემი ბედნიერება რეგვენისაა და ვით რეგვენი იმეტყველებს: იგი კვლავ ძლიერ ახალგაზრდაა - იყავით თნო მისდამი.

დაკოდილი ვარ ჩემი ბედნიერებით: ყველა ტანჯული იყვნენ ჩემ მკურნალებად!

კვლავ დავეშვები მეგობრებისაკენ და ჩემი მტრებისაკენ! ზარატუსტრა კვლავ ამეტყველდება და გასცემს და კეთილს ჰყოფს ვინც შეიყვარა!

მაღლით ინთხევა ლანქერებად აღმოსავალ დასავლით ჩემი უთნო სიყვარული. მყუდრო მთებისა და მწუხარების ჭექა-ქუხილის სამყაროით იტყორცნება სული ჩემი ხეობისაკენ.

დიდს ხანს მოვიწყენდი და შორსა ვსჭვრეტდი. დიდს ხანს ვიყავი შეპყრობილი მარტოობით: ესე გადავეჩვიე სიჩუმეს.

ვარ მთლიანად პირი და შხუილი მაღალი კლდის ლანქერისა: დაბლა, ბარს მსურს ვსტყორცნო ჩემი სიტყვა.

დეე ხევი ჩემი სიყვარულისა უსიერისაკენ ეტყორცნოს! ვით ვერ ჰპოვოს საბოლოოდ მდინარემა გზა ზღვისაკენ!

სიმართლით, ჩემს შორის ტბაა, მწირი, თვითკმაყოფილი; ხოლო ხევი ჩემის სიყვარულისა მას ბარად, ზღვად წარიტაცებს!

ახალი გზით ვლი, ახალი სიტყვა მებადება; მოვიქანცე, ვით ყოველი მმქმედი, ძველის ენით. აღარა ჰსურს ჩემს სულს გაცვეთილი ძირებით სიარული.
ნელად მეჩვენება ყოველი ლაპარაკი: - შენს ტალღებს მივსცემ თავს, გრიგალო! და შენცა გგვემდე ჩემის ბრაზითა!

ვით კივილი და ზრუნვა მსურს გაშლილი ზღვებით სწრაფვა, ვიდრე ნეტარ კუნძულებს მივაღწევდე, სადა ჩემი მეგობრები ბინადრობენ.

და ჩემი მტრები მათ შორის! ვით მიყვარს აწ ყოველი, რომელთან საუბარი შემიძლია! და ჩემი მტრებიც ჩემის ნეტარების მონაწილენი არიან.

და თვით მაშინ, ოდეს ჩემს უხედნ რაშს შევაჯდები, ჩემი შუბია უკეთესი მწე: იგი ჩემი ფეხის მარად დაუზარებელი მორბედია:

შუბი, რომელს ჩემს მტერსა ვსტყორცნი! ვით მადლიერი ვარ ჩემის მტრების, რომ შემიძლია მისი ტყორცნა!

უდიდესი იყო ჩემი ღრუბლის დაძაბვა: ღიმილის ელვის შორის ვსტყორცნი მე სეტყვას ხეობასა.

მძლავრად ავა და დავა მაშინ ჩემი მკერდი: მძლავრად დაატყდება მისი ქარიშხალი მთებს: ესე მოიპოვებს შვებასა.

ჭეშმარიტად, ვით ქარიშხალი მოდის ჩემი ბედნიერება და შვება! ხოლო ჰფიქრობდნენ მტერნი ჩემნი, რომ ბ ო რ ო ტ ი ს უ ლ ი იქცევა მათ ზედა.
დიახ, თქვენც მწიგნობარნო, შეძრწუნდებით ჩემის ველურის სიბრძნით; და იქნებ ილტოდეთ მისგან ჩემ მტერთან ერთად.

ჰეი, ნეტავ შევძლებდე თქვენს უკუ მონადირებას მწყემსის სალამურით! ჰეი, ნეტავ ეს ძუ-ლომი ჩემი სიბრძნე ისწავიდეს ფაქიზად ღრიალს! და მაშინ ბევრს ვისწავლიდეთ ერთმანეთისაგან!

ჩემი ველური სიბრძნე შთაისახა მწირ მთებში; ლოდებზე ჰშვა მან თვისი ჩვილი, უმრწმესი.

აწ დაძრწის ვით შეშლილი უნაყოფო უდაბნოში და ეძიებს რბილს მოლსა - ჩემი მოხუცი, ველური სიბრძნე!

თქვენ გულის რბილ მოლს, მეგობრებო! - თქვენი სიყვარულის წიაღს ჰსურს მას შეაფაროს თვისი უძვირფასესი. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ნეტარ კუნძულებზე

ხეს სცვივა ლეღვი, იგი წყლიანი და ტკბილია; და ოდეს სცვივა, წითელი კანი განიპობა. ვარ ქარი ჩრდილოეთისა მწიფე ლეღვისათვის.

ესე, მზგავსად ლეღვისა, მეგობარნო, ეცემა ეს მოძღვრება თქვენსკენ: მაშ სვით მისი წვენი და სწამეთ მისი ტკბილი ხორცი! შემოდგომაა, ცა წმინდაა და სამხრობაა.

შეხედეთ, რა სიუხვეა ჩვენს გარშემო! და სიჭარბით სასიამოვნოა შორ ზღვათა მზერა.

ერთს დროს ღმერთს ახსენებდნენ, ოდეს ორეულ ზღვას მზერდნენ; აწ გასწავეთ თქმა: ზეკაცი.

ღმერთი ვარაუდია, ხოლო მე მსურს, რათა თქვენი ვარაუდი თქვენი მმქმედი ენის უშორეს არ აღწევდეს.

ძალ გიძთ ღმერთის ქ მ ნ ა? - მაშ ნუ ილაპარაკებთ ღმერთებისათვის! ხოლო ზეკაცს კი შეჰქმნით.

იქნებ თქვენ თვით არა, ძმანო! ხოლო თქვენ შესძლებთ გარდაქმნათ თავნი თქვენი ზეკაცის მამებად და წინაპრებად: იყოს ესე თქვენი უკეთესი მმქმედობა! –

ღმერთი ვარაუდია; ხოლო მსურს, რათა თქვენი ვარაუდი შემოისაზღვროს გააზრებადობით.

ძალ გიძთ ღმერთის გააზრება? მაგრამ დაე ეს ნიშნავდეს თქვენთვის ნებას ჭეშმარიტებისა, რათა ყოველი გარდაიქმნეს ადამიანისათვის სააზრო, ადამიანისათვის სანახავ, ადამიანისათვის საგრძნობად!

ჰშვენის, თქვენი საკუთარი გრძნობა ბოლომდე გაიაზროთ!
და რასაც ქვეყანას უწოდებთ, იგი ჯერ თქვენ მიერ ქმნილ უნდა იყოს: თქვენი გონება, თქვენი წარმოდგენა, თქვენი ნება, თქვენი სიყვარული ჯერ არს ესრედ იქმნენ. და მართლად, თქვენი ნეტარებისათვის, თქვენ მმეცნენო!

და ვით შესძლებთ ცხოვრების ატანას თუ არ ამ იმედით, თქვენ მმეცნენო? ნუ ჩაიფლობით წარმოუდგენლობასა და უგუნურობაში.

ხოლო გაგიხსნით მთელ ჩემს გულს, მეგობარნო: უ კ ე თ უ ღმერთები იარსებებდნენ, ვით ავიტანდი ღმერთი არ ვყოფილიყავი! მ ა შ, ღმერთები არა ჰგიებენ.

ეს დასკვნა მე გამოვიტანე; ხოლო ახლა თვით მას მივყევარ. –

ღმერთი ვარაუდია: ხოლო ვინ შესვამს ამ ვარაუდის ტანჯვას და არ მოკვდება? წაერთვას მმქმედს რწმენა და არწივს შორად ქროლა?

ღმერთი აზრია, რომელი ყოველს სწორს ბრუდსა ჰქმნის და მყარს მოძრავად. როგორ? განქრეს დრო და ყოველი, რაც წარმავალია, სიცრუე იქმნება?

ესრეთ ფიქრი ადამიანის ძვლების თერხვია და გულზიდვა კუჭისთვის: მართლად, ბრუების სნეულებას ვუწოდებ მე მზგავსს ვარაუდს.

ბოროტს და ადამიანისათვის მავნეს ვუწოდებ ყველა მოძღვრებას მხოლოდისა და სრულისა, უძრავისა, მაძღრისა და წარუვალისათვის.

ყოველი წარუვალი მხოლოდ სიმბოლოა! და პოეტები ფრიად სცრუიან.

ხოლო დროისა და ყოფისათვის უნდა მეტყველებდნენ უკეთესი იგავნი; იგი ქება და გამართლება უნდა იქმნენ ყოველი წარმავალისა!

ქმედო - იგი ურვისაგან დიდი შვებაა და არსებობის შემსუბუქება. ხოლო მმქმედის წარმოშობისათვის ჯერ არს ურვა და მრავალი ცვლილებანი.

დიახ, მრავალი მწარე სიკვდილი უნდა განიცადოს ცხოვრებამ, თქვენ მმქმედნო! ესე იქმნებით მეოხენი და დამცველნი ყოველი წარმავლობისა!

რათა თვით მმქმედი ახლად დაბადებულ ჩვილად იქმნეს - ჰხამს ამისათვის სურვილი მშობიარედ ყოფნისა და მშობიარის ტკივილისა.

მართლად, ათას სულთა შორის ვლიდი მე ჩემ გზად და ათას აკვანთა და მშობიარეს ტკივილთა. არა ერთხელ მითქვამს მშვიდობით, ვიცნობ გულმმუსრავ უკანასკნელ საათებს.

ხოლო ეს ჰსურს ჩემს მმქმედ ნებას. ვსთქვათ უფრო გულწრფელად: სწორედ ამგვარი ბედი ჰსურს ჩემს ნებას.

ყოველი მგრძნობიარე იტანჯება ჩემს შორის და საპყრობილეშია: ხოლო ჩემი ნება მარად მოდის ჩემთან ვით მხსნელი და მახარებელი.

ნება იხსნის: ესეა ჭეშმარიტი მოძღვრება ნებისა და თავისუფლებისა - ამას გასწავლით ზარატუსტრა.

აღარ სურვილი, აღარ ფასდება, აღარ მმქმედობა! მარად შორს ჩემგან ესე დიდი დაღლილობა.

თვით მმეცნებაში მე ვგრძნობ მხოლოდ ნების შობისა და მყობადობის ხალისს, და თუ ჩემს მმეცნებაში უბიწოებაა, ამად რომ მის შორის შობის ნებაა.

შორს ღმერთისა და ღმერთებისაგან, ამას მიძახდა ჩემი ნება: რაღას შეჰქმნიდი, უკეთუ ღმერთები იარსებებდნენ.

ხოლო კვლავ და მარად ადამიანებისაკენ მიტაცებს იგი, ჩემი აღმსებელი მმქმედი ნება; ესე მიეტანა ქვას ჩაქუჩი.

ჰე, თქვენ ადამიანებო, ქვაში ჩაუძინია ჩემთვის სურათს, სურათს ჩემი სურათებისა! ჰე, რად სძინავს მას უმაგრეს, უმზგავსეს ქვაში!

აწ ჩემი ჩაქუჩი ამსხვრევს მის საკანს. ქვა იფშვნება: რად მენაღვლება? მსურს შევასრულო ესე: აჩრდილი მომიახლოვდა - ყოველთა უწინარესი და უმჩატესი მომიახლოვდა ოდესღაც!

ზეკაცის მშვენიერება შეწვია აჩრდილის სახით, ჰე, ძმანო! აწ ღმერთებისთვის რაღად ვიდარდებ! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა!

შემწყნარეთათვის

ძმანო, კიცხვა ესმა თქვენი მეგობრის ყურსა; „შეხედეთ ზარატუსტრას! განა იგი ჩვენს შორის, ვით მხეცთა შორის არ დაეხეტება?“.

უკეთესია, თქმულიყო: „ვით მხეცთა შორის ვლის მმეცნე კაცთა შორის“.

ხოლო წითელღაწვიან ცხოველს უწოდებს მმეცნე თვით ადამიანსა.

ვით ეწოდების ესრეთ? განა იმიტომ არა, რომ ხშირად შერცხვენია?

ჰო, მეგობრებო! ესე იტყვის მმეცნე! სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი - ეს არის ადამიანთა ისტორია!

ამად კეთილშობილი უარს ეტყვის სხვათა რცხვენას: რცხვენას აკისრებს იგი თავს ყოველ ტანჯულთა წინაშე.

ჭეშმარიტად, ვერ ამიტანია მოწყალენი, რომელნი ნეტარებენ თვის შეწყნარებით: იგინი ფრიად ურცხვნი არიან.

უკეთუ ჰხამს ჩემთვის შემწყნარედ ყოფა, მაინც არ მსურს მად ვიწოდებოდე; უკეთუ ოდესმე ვარ, ვამჯობინებ შორიდან.

სიამოვნებით თავს შევიბურავ და ვილტვი, ვიდრე მიცნობდნენ: იგივე ჰქმენით თქვენც, მეგობარნო!

მარად შემყაროს ჩემმა ბედმა თქვენებრ უწყალოთ და მათ, ვისთანაც იმედს, ჭამადს და თაფლს გავიზიარებ!

ჭეშმარიტად. ამ თუ იმ სახით მუდამ დავხმარებივარ ტანჯულს, ხოლო მე მეგონა მარად, რომ უკეთურად ვიქცეოდი, რომ ვსწავლობდი უკეთესად სიხარულს.

მას აქეთ, რომ ადამიანები არსებობენ, ნაკლები სიამოვნება უნახავს ადამიანს: ეს არის მხოლოდ, ძმანო, ჩვენი დასაბამი ცოდვა.

და ოდეს ვისწავლით უკეთესად სიხარულს, უკეთესად დავივიწყებთ სხვის ტანჯვას და მწუხარებათა ზღვას.

ამად ვიბან ხელს, რომელი ტანჯულთა მწე იყო, ამად შევიხოცავ ჩემს სულსაცა.

რადგან ოდეს ვხედავდი ტანჯულს ტანჯულად, მრცხვენოდა მისი სირცხვილისა და ოდეს ვეხმარებოდი, მის სიამაყეს მკაცრად შეურაცხვყოფდი.

დიდი დავალება მადლიერს არა ჰქმნის, არამედ შურის მაძიებელს, და უკეთუ მცირე სიქველესაც არ ივიწყებენ, იგი მხრელ მატლად გარდაიქმნება.

„იყავთ გულგრილნი, ოდეს მიიღებდეთ! თქვენ მიერ მიღება პატივის ცემა იყოს!“ - ამად ურჩევ ყოველთ, რომელთ გასაცემი არა აქვთ.

ხოლო მე გამცემი ვარ: სიხარულით გავცემ, ვით მეგობარი მეგობართა. უცხოთ და ღატაკთ თვით მოსწყვიტონ ჩემი ხისაგან ნაყოფი: ნაკლები დამცირებაა მათთვის.

ხოლო ხამს მათხოვართა მოსპობა! ჭეშმარიტად, საწყენია მათდამი წყალობის გაცემა, საწყენია არ გაცემაც.

მსგავსად მათისა ცოდვილითა და ბოროტი სინიდისისა! დამიჯერეთ, მეგობრებო. სინდისის ქენჯნა ნებისათვის გვაქეზებს.

ხოლო უარესია მცირე ზრახვა. ჭეშმარიტად უმჯობესია ბოროტის ქმნა, ვიდრე მცირედ ზრახვა!

თქვენ იტყვით: „მცირე ბოროტების სიხარული ზოგ დიდ ბოროტ საქმისაგან გვიფარავს“. ხოლო აქ არ ჰხამს სურვილი ზოგვისა.

წყლულის მზგავსია ბოროტი საქმე: გკრწნის, გექავება და გამოხეთქავს - იგი პატიოსნად მეტყველებს.

„შეხედე, მე ვარ სნეულება“ - ამადს იტყვის ბოროტი საქმე; ესეა მისი პატიოსნება.

ხოლო სოკოს მზგავსია მცირე ზრახვა: იგი დახოხავს და იმალვის და არსად უნდა ყოფნა - ვიდრე მცირე სოკოები მთელს სხეულს დაღრღნის და დააჭკნობს.

ხოლო მათ, რომელნი ეშმაკს შეუპყრია, ყურში უჩურჩულებს: „უკეთესია, იზარდოს შენი ეშმაკი! შენთვისაც არის კვლავ გზა დიდებისა“ –

ჰეი, ძმანო! ყოველი ჩვენთვის ფრიად ნაცნობია! და ზოგი ჩვენთვის გამჭვირვალია, მაგრამ მაინც არ ძალ გვიძს მისი განჭვრეტა.

ძნელია ადამიანებთან ცხოვრება, რადგან ეზომ ძნელია სიჩუმე.

არა წინააღმდეგობისათვის ვართ უფროსად უსამართლონი, არამედ მისთვის, რომელისთვის ჩვენ სულ გულგრილნი ვართ.

უკეთუ გყავს ტანჯული მეგობარი, იყავი მისი ტანჯვისათვის ადგილი შვებისა, და, აგრეთვე, მთავარი სარეცელი, სამხედრო სარეცელი: ესე ექმნება მისთვის უმეტესად სასარგებლო.

და უკეთუ მეგობარი ცუდად მოგეპყრობა, სთქვი ესე: „შემინდვია შენ მიერ ჩემდამი ჩადენილი, ხოლო რაც შ ე ნ თ ვ ი ს ჩაიდინე - როგორ შეგინდო!“.

ამას მეტყველებს ყოველი დიდი სიყვარული: იგი სძლევს თვით შენდობას და შებრალებას.

ჰხამს გულის სიმაგრე; მისი აყოლა ყველას თავს ბრუს ახვევს.

ჰეი, ქვეყანაზე სად ჩაუდენიათ უდიდესი სისულელე, თუ არ შემწყნარებელთა შორის? და რას მოუცია ქვეყნისათვის მეტი მწუხარება თუ არ შემწყნარებელთა შეშლილობას?

ვაი ყველა შეყვარებულთ, რომელთ ჯერ თვისი შეწყნარების მაღლა მყოფთ მწვერვალისათვის ვერ მიუღწევიათ!

ამას მეტყოდა ერთხელ ეშმაკი: „ღმერთსაც აქვს მისი ჯოჯოხეთი; იგი მისი სიყვარულია ადამიანთადმი“.

ამას წინათ ყური მოვკარი მის სიტყვებს: ღმერთი მკვდარია; ადამიანთადმი სიბრალულმა მოჰკლა ღმერთი“.

ესე, უფრთხილდით სიბრალულს: ი ქ ი დ ა ნ კვლავ მოდის მძიმე ღრუბელი ადამიანებისაკენ! ჭეშმარიტად, მე ვიცნობ ამინდის სასწაულს.

გახსოვდეთ აგრეთვე სიტყვანი: ყოველი დიდი სიყვარული სიბრალულზე მაღლაა: მას ჰსურს შეყვარებულის კვლა-ქმნა!

„თავსა ვწირავ მსხვერპლად ჩემს სიყვარულს, დ ა ჩ ე მ ს მ ო ყ ვ ა ს ს ჩ ე მ თ ა ნ ე რ თ ა დ“ - ამას იტყვიან ყველა მმქმედნი.

ყოველი მმქმედი მაგარია. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მღვდელთათვის

ერთ დღეს ზარატუსტრამ მოუთხრო თავის მოწაფეთ ერთი იგავი და ამას ეტყოდა:

„აგერ მღვდლები: იგინი ჩემი მტრებია, მაგრამ გაიარეთ მათ წინაშე დუმილით და მახვილით ქარქაშში!

მათ შორისაც არიან გმირები; მრავალ მათგანს ბევრი უტანჯია: ამად ჰსურთ სხვები სტანჯონ.

ბოროტი მტრები არიან: არაა შურისძიება უფრო სასტიკი, ვიდრე მათი მორჩილება. და ადვილად წაიბილწება მათთან შებრძოლებული.

ხოლო ჩემი სისხლი მათი მონათესავეა, და მსურს, რათა ჩემს სისხლს პატივი სცეთ თვით მათშიაც“.

და ოდეს გვერდით აუარეს, ზარატუსტრა შესწუხდა; დიდ ხანს არ შებრძოლებია იგი თვის ტკივილებს და შემდეგ ამას იტყოდა:

ეს მღვდლები მებრალებიან. კვლავ მეზიზღებიან; ხოლო ეს მე არ მაწუხებს მას შემდეგ, რაც ადამიანთა შორის ვცხოვრობ.

ხოლო მე მათთან ვიტანჯები და მიტანჯნია: ჩემთვის იგინი საპყარნი არიან და გამორჩეულნი. მან, რომელსაც იგინი მხსნელს უწოდებენ, მათ ხუნდები დაადო: -

ხუნდები ცრუ ღირებულებათა და ამაო სიტყვათა. ჰე, ნეტავ ვინმე იხსნიდეს მათ მათი მხსნელისაგან.

ოდეს ზღვა ბობოქრობდა, სწამდათ, რომ ერთხელ კუნძულს მიაღწევდნენ, მაგრამ, უყურეთ, იგი მძინარე მხეცი იყო!

ცრუ ღირებულებანი და ამაო სიტყვანი: ესაა უარესი მხეცები მოკვდავთათვის, - დიდხანს სძინავს ბედს და იცდის მათ შორის.

მაგრამ ბოლო იგი ახლოვდება, იღვიძებს, სთქვლეფს და აღრჩობს, ვინც მასზედ ქოხები ააშენა.

ჰე, შეხედე იმ ქოხებს, ამ მღვდლებს რომ აუშენებიათ! ტაძრებს უწოდებენ იგინი თვის სურნელოვან ხვრელებს!

ჰე, ეს მოჯადოებული სინათლე, ეს დამძიმებული ჰაერი! აქ სული ვერ მიაღწევს თვის მწვერვალს!

აქ მათი რწმენა ბრძანებს: „მუხლის ჩოქით ამოდით კიბით, თქვენ ცოდვილნო!“.

ჭეშმარიტად, მირჩევნია უსინდისოთა მზერა, ვიდრე მათი

სირცხვილისა და დაბრეცილი თვალებისა!

ვინ შეიქმნა მზგავსნი მღიმენი და სინანულის კიბენი? თუ არ მათ, ვისაც დამალვა ჰსურდათ და ერცხვინებოდათ უბიწო ცისა?

და მხოლოდ ოდეს უბიწო ცა დანგრეული თაღებით შიგ ჩაიხედება და შეხედავს დამსხვრეულ კედლებზე ბალახს და წითელ ყაყაჩოს, კვლავ აღვმართავ ჩემს გულს ღმერთის სამყოფელისაკენ.

იგინი უწოდებდნენ ღმერთს, რაც მათ ეწინააღმდეგებოდა და ტკივილს აგრძნობინებდა: „და ჭეშმარიტად, დიდი საქმე იყო მათი მოწიწება!

და მათ სხვაგვარად არ იცოდნენ ღვთის სიყვარული თუ არა ისე, როცა ადამიანი ჯვარს აცვეს.

ფიქრობდნენ, ვით ლეშებს ეარსებნათ, შავებით შეამკეს თვისი ლეშები, და თვით მათ სიტყვებით კვლავ სამცხედროს ავ სულსა ვგრძნობ.

და რომელ მათ მეზობლად სცხოვრობს, შავ ტბორეთა მეზობლად სცხოვრობს, სადაც გომბეშო ტკბილად სევდით მღერის თავის სიმღერას.

ჯერ არს მათ უკეთესი სიმღერა მიმღერონ, რათა ვისწავლო მათი მხსნელის რწმენა: ხსნილად რომ გამოიყურებოდნენ მისი მოწაფენი!

ტიტველნი მსურს იგინი ვიხილო: მხოლოდ სიშიშვლეს შვენის სინანულის ქადაგება. ხოლო ვის დააჯერებს ეს დაჩადრული მწუხარება!

ჭეშმარიტად, მათი მხსნელნიც თავისუფლებით არ მოვლენილან და თავისუფლებით მეშვიდე ცისა! ჭეშმარიტად, მათ აროდეს უვლიათ მმეცნების ხალიჩაზე!

სიცარიელეთაგან შეკოწიწდნენ მათი მხსნელები, ხოლო ყოველი სიცარიელე მათ თვისი შ ე შ ლ ი ლ ო ბ ი თ შეავსეს, თვისი თანაშემწით, რომელს ღმერთი უწოდეს.

მათმა შებრალებამ დაახრჩო მათი სული და ოდეს იგინი სივდებიან და იბერებიან სიბრალულით, ზედაპირზე მარად დიდი სისულელე ტივტივებს.

მათ ხალისით და ყიჟინით გარეკეს თავისი ფარა ბილიკით: თითქოს

მომავლისაკენ მხოლოდ ერთი ბილიკი მიდიოდა! ჭეშმარიტად ეს მწყემსნიც კვლავ ცხვრებს ეკუთვნოდნენ!

მცირე სული ჰქონდათ ამ მწყემსებს და ფართე [სამშვინველი; მაგრამ ძმანო ჩემნო, აქამდე კიდევ რაოდენ მცირე ქვეყანა იყო ფართე სამშვინველი!].

სისხლის ნიშნები დასწერეს მათ გზაზე, რომლითაც ვიდოდნენ და მათი შეშლილობა მეტყველებდა სისხლით ჭეშმარიტების მტკიცებას.

ხოლო სისხლი ჭეშმარიტების უხამსი მოწამეა; სისხლი სწამლავს უწმინდეს მოძღვრებას და ჰქმნის მას შეშლილობად და გულთა მძულვარებად.

და ოდეს ვინმე თვისი მოძღვრებისათვის ცეცხლში გაივლის, - რას მოწმობს ესე? ჭეშმარიტად, უფრო მეტია, ოდეს საკუთარი ცეცხლით საკუთარი მოძღვრება წარმოიშობა.

გასიებული გული და ცივი თავი: სადაც ესენი შეიყრებიან, იქ წარმოიშობა თერხვი - „მხსნელი“.

ჭეშმარიტად ჰგიებდნენ უფრო უდიდესნი და მაღალი წარმოშობისა, ვიდრე ისინი, რომელთ ხალხი მხსნელს უწოდებს, ეს წარმღნელი თერხვები!

ჯერ არს ხანა თქვენი, ძმანო, უფრო დიდი მხსნელისაგან, ვიდრე ყველა მხსნელები, უკეთუ გსურთ ჰპოვოთ გზა თავისუფლებისა.

არ ოდეს ყოფილა ზეკაცი, ტიტველი ვნახე ორივე - უდიდესი და უმცირესი ადამიანი: -

კვლავ ერთმანეთს ძლიერ ემსგავსებიან. ჭეშმარიტად, ვჰყვე, თვით უდიდესიც გადაჭარბებით ადამიანი იყო!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სათნოთათვის

ჰხამს ქუხილით და ელვით ელაპარაკო დუნე და მძინარე გრძნობათ.

ხოლო მშვენიერების ხმა ლაპარაკობს წყნარად. იგი მარტოდ უმახვილეს სულთ სწვდება.

დღეს წყნარად ირხეოდა და იცინოდა ჩემი ფარი; ესეა მშვენიერება

წმინდა სიცილისა და თრთოლვა.

სათნოებით სავსენო, თქვენ დაგცინოდათ ჩემი მშვენიერება. მეც მომესმა მისი ხმა: „მათ ჰსურთ სასყიდელიც მიიღონ!“

გსურთ საყიდელი, თქვენ სათნონო! გსურთ ჯილდო სათნოებისათვის, დედამიწისათვის ზეცა და მარადიულობა თქვენი დღეისათვის?

აწ მრისხავთ, რათა უარვყოფ ჯილდოს და სასყიდლის მომცემლის არსებობას? და ჭეშმარიტად, არ გასწავლით მასაც, რომ სათნოება თვით სასყიდელია.

ეჰ, ესაა ჩემი მწუხარება: საგანთა საფუძვლად მოტყუებით სასყიდელი და სასჯელი დაუდეს - და თქვენი სულის საფუძველსაც თქვენ, სათნონო!

ხოლო ჩემი სიტყვა, ვით ღოჯი ტახისა, გადააბრუნებს თქვენი სულის ნიადაგს: გუთანი მსურს ვიქმნე თქვენთვის.

თქვენი სიღრმეთა საიდუმლოება გამომზეურდება და ოდეს ამოთხრილნი და დამსხვრეულნი მზეში ეყრებით, თქვენი სიცრუე განეყოფა თქვენს სიმართლეს.

რადგან ესეა თქვენი სიმართლე: უწმინდესნი ხართ ამა სიტყვების უწმინდურებისათვის: შურისძიება, სასჯელი, სასყიდელი, სამაგიერო.

გიყვართ თქვენი სათნოება, ვით დედას შვილი, ხოლო ოდეს გსმენიათ, დედას ჰსურდეს სასყიდელი თქვენი სიყვარულისათვის?

უსაყვარლესი მეობა თქვენი სათნოებაა. თქვენ შორის რგოლის წყურვილია, რათა კვლავ თავის თავს მისწვდეს - ამად იდრეკს და ბრუნავს ყოველი რგოლი.

მზგავსია ვარსკვლავის, რომელი ქრება. ყოველი საქმე თქვენი სათნოებისა: მისი სინათლე კვლავ გზადაა და დაძრწის და როდის აღარ იქმნება იგი გზად?

ესრედ კვლავ გზადაა ნათელი თქვენი სათნოებისა, ოდეს საქმე მისი შესრულებულია. წარხდეს იგი და მიეცეს დავიწყებას: სხივი მისი სინათლისა კვლავ ცოცხლობს და დაძრწის.

იყოს სათნოება თქვენი, თქვენი მეობა და არა რამ უცხო, ქურქი: ესეა

ჭეშმარიტება თქვენი სულის სიღრმიდან, თქვენ სათნონო!

ჰგიებს სხვანი, რომელთა სათნოება მათრახის ქვეშ კრუნჩხვაა: თქვენ ბევრჯერ გსმენიათ მათი ჟრიამული!

და აგრეთვე ჰგიებენ, რომელნი სათნოებას თავისი ცოდვის დაძინებას უწოდებენ; და ოდეს მათი მძულვარება და შური გაშლის ასოთ, მათი „მართლმსაჯულება“ იღვიძებს და იფშვნეტს მძინარე თვალთა.

აგრეთვე ჰგიებს ისეთნიც, რომელთ ძირს ეწევიან, ეშმაკი ეწევა მათ, ხოლო რამდენად იძირებიან, იმდენად მეტად ბრწყინავს მათი თვალები და მეტად სწყურიათ მათ თვისი ღმერთი.

ჰე, მათმა ჟრიამულმაც მოაღწია თქვენს ყურს, თქვენ სათნონო: „რაც მე ა რ ვ ა რ, იგი, იგია ღმერთი ჩემი და სათნოება!“.

ჰგიებს სხვებიც, რომელნიც მძიმედ დაჭრიალებენ, ვით ურმები თავქვე რომ ქვები მიაქვთ: ბევრს ლაპარაკობენ ღირსებისა და სათნოებისათვის, - თვის საჭეს უწოდებენ იგინი სათნოებას.

ჰგიებენ სხვებიც, ვით დღითდღეობის მომართული საათები: გაიძახიან თავის ტიკ-ტიკს და ჰსურთ, რათა ტიკ-ტიკი სათნოება იყოს.

ჭეშმარიტად, იგინი მახარებენ მე, სადაც ვპოვებ ამგვარ საათებს ჩემი დაცინვით მოვმართავ, და მათ უნდა ღრიტინიც დაიწყონ!

ვიეთნი ამაყობენ თვისს ერთი მჭლე სამართლიანობით და მისი სახელით ყოველს ჰკიცხავენ: ესე ქვეყანა იღრჩობა მათ უსამართლობაში.

ჰე, ვით საზიზღარია მათი პირით თქმული სიტყვა: „სათნოება“! და ოდეს იტყვიან: „სამართლიანი ვარ“ იგი მარად მოისმის: „ჩემთვის სამართალი ჰქმნეს!“.

სათნოებით ჰსურთ თვის მტრებს თვალები გამოსთხარონ; და თვით მაღლდებიან მხოლოდ სხვათა დამცირებად.

კვლავ სხვებიც არსებობენ, რომელნი ჭაობში სხედან და ესე იტყვიან ლელოიანიდან: „სათნოება ჭაობში წყნარად ჯდომაა.

არვის ვკბენთ და გზას ვუცლით ყოველს, რომელი იკბინება; და ყოვლისათვის იმავე აზრისა ვართ, როგორც გვასწავლიან“.

კვლავ არიან, რომელთ პოზა უყვართ და ბჭობენ: სათნოება თავისებური პოზაა.

მათი მუხლები მარად მოდრეკილია და ხელნი აღმართულნი სადიდებელად სათნოებისა, ხოლო მათი გული არას უწყის ამისას.

კვლავ არიან, რომელნი სათნოებას უწოდებენ თქმას: „სათნოება საჭიროა“, ხოლო გულით არა რა სჯერათ, გარდა პოლიციის საჭიროებისა.

გარეთვე ვიეთნი, რომელთა არ ძალუძთ ადამიანის შორის მაღლის დანახვა, სათნოებას უწოდებენ, ოდეს ადამიანის სიმდაბლეს ფრიად ახლო ხედვიან: ესე თვით ბოროტ თვალს სათნოებას უწოდებენ.

და ვიეთთ ჰსურთ წრთნა და გასწორება და ამას სათნოებას უწოდებენ, სხვათ ჰსურთ დამხობა - და ამასაც სათნოებას უწოდებენ.

და ესე თითქმის ყველას სწამს, რომ წილი უდევს სათნოებაში და ყოველ მათგანსა ჰსურს იყოს მაინც მმეცნე „კეთილისა“ და „ბოროტისა“.

ხოლო არა მად მოვიდა ზარატუსტრა, რათა უთხრას ყველა ამ ცრუთ და რეგვენთ: „რა უწყით თქვენ სათნოების! რა უ ნ დ ა გცოდნოდათ თქვენ სათნოებისა“. –

არამედ, რათა თქვენ, მეგობრებო, მოგბეზრდეთ ძველი სიტყვები, რომელნი ისწავლეთ რეგვენთა და ცრუთაგან:

რათა მოგბეზრდეთ სიტყვანი; „საყიდელი“, „ანაზღაურება“, „სასჯელი“, „შურისძიება მართლმსაჯულებაში,-

რათა მოგბეზრდეთ: „იგი საქმე კეთილია, რადგან უანგარო“.

ჰე, მეგობრებო! იყოს თქვენი მეობა საქმეში, ვით დედა შვილში: ესე იყოს სიტყვა თქვენი სათნოებისა!

ჭეშმარიტად, ათასი სიტყვა წაგართვით და თქვენი სათნოების უსაყვარლესი გასართობნი; და აწ მიწყრებით, ვით ბავშვები სწყრებიან.

იგინი ზღვასთან თამაშობდნენ, - ტალღამ გადმოიარა და ჩანთქა სათამაშონი თავის წიაღში: აწ სტირიან.

ხოლო იგივე ტალღა მათ ახალ სათამაშოებს მოუტანს და ახალ ჭრელ ლოკოკინებს გამოლეკს.

ესე დაწყნარდებიან იგინი: მზგავსად მაგისა თქვენც მეგობრებო, მოიპოვებთ თქვენს ნუგეშს და ახალ ჭრელ ლოკოკინებს! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ბრბოისათვის

სიცოცხლე წყაროა სიხარულისა; ხოლო სად ბრბო სვამს, მოშხამულია იქ ყოველი წყარო.

მიყვარს ყოველი სპეტაკი: ხოლო ვერ ამიტანია ნადირთა ღრჭენა და წყურვილი უწმინდურთა.

მათ თვალი ესროლეს წყაროს: აწ მათი საზარელი სიცილი მესინათლება წყაროდან.

წმინდა წყალი მოშხამეს თვისი ბილწებით; და ოდეს თვის ბილწ სიზმრებს სიხარულს უწოდებდნენ, თვით სიტყვებს დაშხამავდნენ.

განრისხდება ცეცხლი, ოდეს იგინი თვის სველ გულს მას ზედა დასდებენ; თვით სული ქოთქოთებს და იკომლის, სად ბრბო ცეცხლს უახლოვდება.

მსუყე და ჭიანია მათ ხელთ ნაყოფი: აოხრებს და ახშობს ხილოსან ხეთ თვალი მათი.

და რომელმა პირი უბრუნა ცხოვრებას, მხოლოდ ბრბოს უბრუნა პირი; ბრბოსთან არა ჰსურს ზიარი წყარო და ცეცხლი და ხილი.

და რომელი უდაბნოდ განვიდა და იწყურლა მხეცებთან, რადგან არ ჰსურდა აქლემთა უწმინდურ ჩალანდრებიან აუზთან ჯდომა.

რომელი მოევლინა, ვით მმუსრავი და სეტყვა ნათესთა, რათა თვისი ფეხით სთელოს ბრბო და მას სუნთქვა დაუხშოს.

და არაა ლუკმა, რომლითაც მე უფროსად ვიშთობოდი, ცოდნა იმისა, რომ თვით ცხოვრება საჭიროებს შუღლსა, სიკვდილსა და ჯვარსა მოწამისასა.

არამედ ერთხელ ვიკითხე და თითქმის დავიშთე ჩემივე კითხვით: როგორ? ცხოვრება კვლავ ადამიანთა ბრბოს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ს?

საჭიროა მოშხამული წყარონი, მყრალი ცეცხლი, ბილწი სიზმრები და მატლები ცხოვრების პურში?

არა ჩემი მძულვარება, არამედ ჩემი ზიზღი ნთქავდა ჩემ სიცოცხლეს. ჰე, ხშირად მემძიმებოდა სული ჩემი, ოდეს ბრბოის შორისაც სულს აღმოვაჩენდი!

და ბრძანებელთ ვაქციე ზურგი, ოდეს ვიხილე აწ რასაც ბრძანებლობას უწოდებენ: ბრბოსთან ვაჭრობა და ჩარჩობა ხელმწიფებისათვის.

ვცხოვრობდი ხალხთა შორის მათთვის უცხო ენით და ყურდაცული, რათა არ მსმენოდა მათი სიტყვა და ჩარჩობა ხელმწიფებისათვის - ბრბოსთანა.

და ცხვირდახშული განვლე მე გულისწყრომით ყოველი გუშინ და დღეს: ჭეშმარიტად, ავი სუნი ასდის მწყრალი ბრბოის ყოველ გუშინსა და დღეს!

ვით სახიჩარი, რომელი ყრუდ და ღრმად, მუნჯად იქმნა: ესე ვცხოვრობდი მე დიდხანს, რათა არ მეცხოვრა მბრძანებელ, მწერალ და მხიარულ ბრბოსთან.

ჭირვებით ადიოდა სული ჩემი აღსავალს და ფრთხილად; სიხარულის მოწყალება იყო მისი ნუგეში; კვერთხზე ყრდნობილი ფორთხავდა ბრმის ცხოვრება.

რა მოხდა? ვით ვიხსენი თავი ჩემი ზიზღისაგან? ვინ განაახლა თვალნი ჩემნი? ვით მივაწიე სიმაღლეს, სად წყაროს ბრბო არ არტყია?

ნუუკუე თვით ჩემმა ზიზღმა არ შემასხა მე ფრთები და წყაროის მგრძნობი ძალა? ჭეშმარიტად, უნდა ზენად აღვფრენილიყავი, რათა კვლავ სიხარულის წყარო მენახა!

ჰეი, მე ვიპოვე იგი, ძმანო! უმწვერვალესზე გადმოჩქეფს ჩემთვის წყარო სიხარულისა! არის სიცოცხლე, რომელს ბრბო ჩემთან ერთად არ ეწაფება!

თითქმის აღმატი ძლიერებით სჩქეფ შენ ჩემთვის, წყარო სიხარულისა! და ხარბად კვლავ აქცევ სასმისს მისი ავსებით!

კვლავ უნდა ვისწავლო მეტი მორცხვებით შენთან მოახლოება: აღმავალ მოექანება გული ჩემი შენსკენ: -

გული ჩემი, სად ვარვარებს ზაფხული ჩემი, მოკლე, მხურვალე, სევდიანი, უნეტარესი: ვით ნდომობს ჩემი ზაფხული - გული შენ გრილოს!

განვლო ბრჯგუ სევდამ ჩემი გაზაფხულისა! განვლო ჩემი ჭირხლის ბოროტებამ ივნისისამ. ზაფხული ვარ და სამხრობა ზაფხულისა!

ზაფხული მწვერვალზე, ცივი წყაროებით და ნეტარი სიჩუმით: ჰეი, მოდით მეგობრებო, რათა ეს სიჩუმე უნეტარეს ჰყოფდეს!

ვინაიდან ეს ჩვენი მწვერვალია და ჩვენი სამშობლო: მაღლა და ციცაბოთ ვცხოვრობთ აქ ყოველ უწმინდურთა და მათი წყურვილისათვის.

დამზირეთ ჩემი სიხარულის წყარო თქვენი უმწიკვლო თვალით, თქვენ მეგობარნო! ვით აიმღვრეს იგი ამით! თ ვ ი ს ი უ ბ ი წ ო ე ბ ი ს სიცილით გიპასუხებთ!

მყობადის ხეზედ ვიკეთებთ ბუდეს; ორბი მოზიდავს ჩვენ მწირთათვის ჭამადს ჩარბითა!

ჭეშმარიტად, არა ჭამადსა მას, რომელს უწმინდურნი სჭამენ! ცეცხლად იგემებდნენ მას და წიაღს დაიწვავდნენ!

ჭეშმარიტად, უწმინდურთათვის თავშესაფარი არ მოგვიმზადებია! ყინულის მღვიმედ ყოფილა ჩვენი ბედნიერება მათი სხეულისა და სულისათვის!

ვით ქარნი ძლიერნი, ვიცხოვრებთ მათ ზენა, მეგობარნი ორბთა, მეგობარნი თოვლთა, მზის მეგობარნი: ესე ჰყოფენ ქარნი ძლიერნი.

ვით ქარი ოდესმე კვლავ დავბერ მათ შორის და ჩემი სულით მათ სულს შეუხუთავ: ესე ჰსურს ჩემს მყობადსა.

ჭეშმარიტად, ძლიერი ქარია ზარატუსტრა ყველა დაბლობთათვის, და ამას ურჩევს იგი თვის მოძულეთ და ყველას, რაც ინერწყვება, და აღებინებს:

„ერიდენით ქარის წინააღმდეგ ნერწყვას“. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ტარანტულთათვის

შეხედე, ეს ტარანტულის ხვრელია. გსურთ თვით მისი ნახვა? აგერ მისი ქსოვილი: ხელი შეახე, რათა შეინძრეს.

აგერ თვით გამოგეგება: სალამი ტარანტულს! შენს ზურგს შავი

ჰფარავს, შენი სამკუთხი და ნიშანი; და ისიც ვიცი, რა არის შენს სულში.

ღვარძლია [Rache] შენს სულში: სადაც დაჰკბენ, იქვე ავად წყლულდება; ღვარძლის თავბრუს ასხამს შენი შხამი სულსა!

ამას იგავით გეტყვით თქვენ, რომელნი აბრუებთ სულს, თქვენ მქადაგებელნო თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ა! ტარანტულები ხართ და ფარული შურისმგებელნი!

ხოლო დროა, ფარული თქვენი გამოვამჟღავნო: ამად დაგცინით პირში ჩემი სიცილით მწვერვალთა.

ამად ვმუსრავ თქვენს ქსელს, რათა თქვენმა ცოფმა თქვენი სიცრუის ხვრელიდან გამოგიტყუოთ და თქვენს სიტყვას „სამართლიანობა“ თან თქვენი შურისგება მოჰყვეს.

რ ა თ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ხ ს ნ ი ლ ი ქ მ ნ ა ს შ უ რ ი ს გ ე ბ ი ს ა გ ა ნ: ესეა ხიდი უმაღლესი იმედისაკენ და ცისარტყელა დიდი ავდრის შემდეგ.

ხოლო, ცხადია, ტარანტულთ სხვა სწადიათ. „ესეა სამართალი ჩვენი, რათა ქვეყანა აღივსოს ავდრით შურვებისა ჩვენითა“ - ამას ეტყვიან ურთიერთს.

„შურისგება გსურს და კიცხვა ყოველთა ჩვენ არდართა“ - ამასა ფიცავენ ტარანტულთა გულნი.

და „ნება თანასწორობისა“ - ამიერიდან ესე ეწოდებოდეს სიქველეს; და ყოველის წინააღმდეგ, რომელთ ხელმწიფება აქვთ, ჩვენ დიდის ხმით ვიღაღადებთ“.

თქვენ თანასწორობის მქადაგებელნო! ტირანთა უძლურების შეშლილობა ჰღაღადებს თქვენით „თანასწორობისათვის“: თქვენი საიდუმლო აღტკინება ტირანობისათვის ესე იჩადრება სათნოების სიტყვებით!

მძაფრი ამაოება, თავდაჭერილი შური, ვინ იცის, მამათა თქვენთა ამაოება და შური: თქვენიდან გამოხეთქს ეს, ვით ცეცხლი და შურისგების შეშლილობა.

რაც მამაში სდუმდა, შვილში ამეტყველება და ხშირად მინახავს შვილი, ვით ცხადყოფა მამის შიშველი საიდუმლოებისა.

შთაგონებულთ ემზგავსებიან იგინი: ხოლო არა გულია მათი

შთამგონებელი, - არამედ შურისგება, და უკეთუ იგინი გამახვილდებიან და განელდებიან, არა სული, არამედ შური ჰქმნის მათ მახვილად და ცივად.

შურს მიჰყავს იგინი მეაზროვნეთა ბილიკით; და ესეა ნიშანი მათი შურისა - მარად მეტად შორს მიდიან: და ბოლოს მათი დაღლილობა იძულებულია თოვლში დაწვეს დასაძინებლად.

ყოველი მათი გოდება შურისძიებას მეტყველებს, ყოველი ხოტბა ბოროტი ზრახვაა; და მსაჯულად ყოფნა მათთვის ბედნიერებაა.

ხოლო გირჩევთ მეგობრებო: არავის დაუჯეროთ, რომლის სწრაფვა სხვათა სასჯელად ძლიერია.

იგი ცუდი ჯიშისა და მოდგმის ხალხია: მათი სახით ჯალათი გამოიყურება და მეძებარი.

ნუ დაუჯერებთ, რომელნი თავის სამართლიანობისათვის ბევრს ლაპარაკობენ! ჭეშმარიტად, მათ სულს არა მხოლოდ თაფლი აკლია.

და ოდეს იგინი თავს „კეთილს და მართალს“ უწოდებენ, არ დაივიწყოთ, რომ ფარისევლობისათვის არა აკლიათ, თუ არ ძალაუფლება!

მეგობრებო, არა მსურს სხვებთან შერეულ და სხვებით შეცვლილ ვიქმნე.

არიან, რომელნი ქადაგებენ ჩემს მოძღვრებას ცხოვრებისათვის: და ამავ დროს იგინი თანასწორობის მქადაგებელნი არიან და ტარანტულები.

იგინი ცხოვრების გამართლებას მეტყველებენ, ეს შხამის მქსოველნი, და ამავე დროს თავის ხვრელში სხედან და ცხოვრებისადმი ზურგმიქცეულნი: ესე ჰსურთ მათ ბოროტი ჰყონ.

ბოროტი ჰსურთ მათთვის, რომელთ აწ ხელმწიფება აქვთ: რადგან ესენი ჩვეულ არიან სიკვდილის ქადაგებას.

რომ სხვანაირად ყოფილიყო, ტარანტულები სხვას იქადაგებდნენ: სწორედ იგინი სწამებდნენ ცილს ოდესღაც სოფელს და კოცონზე სწვავდნენ მწვალებლებს.

არა მსურს გამრიოთ და შემრიოთ თანასწორობის ამ მქადაგებლებთან, რადგან ესე მეუბნება მე სამართლიანობა:

„ადამიანები თანასწორნი არ არიან“.

არც უნდა იყვნენ! რა იქმნებოდა ჩემი სიყვარული ზეკაცისათვის უკეთუ სხვას ვიტყოდე?“

ათასი ხიდით და ბილიკით ჯერ არს მათთვის სწრაფვა მომავლისაკენ, კვლავ მეტი ომი და უთანასწორობა დაიდოს მათ შორის: ამას მეტყვის მე თქმად ჩემი დიდი სიყვარული.

ხატთა და მოჩვენებათა აღმომჩენნი უნდა შეიქმნან იგინი ურთიერთშორის მტრობაში და ამ ხატთა და მოჩვენებათა მწეობით იგინი იომებენ ურთიერთშორის უმაღლეს ომს!

კეთილი და ბოროტი, მდიდარი და ღატაკი, მაღალი და მცირე და ყოველნი სახელნი ღირებულებათა: ყოველი იარაღად იქმნება და ჟღარუნა სიმბოლოდ, რომ ცხოვრებამ კვლავ თავისი თავი უნდა სძლიოს!

თვით ცხოვრებას ჰსურს მწვერვალად აეგოს სვეტებით და კიბეებით: შორეულს ჰსურს მან უმზიროს, სად ნეტარი მშვენებაა - ა მ ა დ ს ა ჭ ი რ ო ე ბ ს იგი მწვერვალს!
და რადგან მწვერვალს საჭიროებს, ამად საჭიროებს იგი კიბეებს და წინააღმდეგობას კიბეთა და მით აღმავალთა! ცხოვრებას აღმასვლა სურს და აღმავლობით თვისი ძლევა.

უყურეთ მეგობრებო! აქ, სადაც ტარანტულის ხვრელია, ძველი ტაძრის ნანგრევები აღმართულა, მას სცოდნია ყოველი ცხოვრების საიდუმლოება, ვით უბრძნესს!

მშვენიერებაც არის ბრძოლა და უთანასწორობა, ომი ხელმწიფებისათვის და ზე ხელმწიფებისათვის: ამას გვასწავლის იგი აშკარა მაგალითით.

ვით ღვთაებრივად იგრიხება თაღები და რკალები დაჭიდებულნი; ვით ისწრაფიან ერთმანეთისკენ სინათლით და ჩრდილით, ღვთაებრივად მსწრაფელნი -

ჩვენც, მეგობრებო, ესრეთ მტკიცენი და მშვენიერნი ვიყვნეთ მტრები! კვლავ ღვთაებრივად ვესწრაფოდეთ ერმანეთს. –

ვაება! აგერ მეც მიკბინა ტარანტულმა, ჩემმა ძველმა მტერმა! ღვთაებრივად მტკიცემ და მშვენიერმა მიკბინა თითზე!

„სასჯელი და სამართლიანობა უნდა იყოს - ესე ჰფიქრობს იგი: არა

ჰხამს მისთვის მტრობის სიმღერათა აქ ამაოდ სიმღერა!“.

დიახ, მან შური იძია! და, ვაება! აწ შურისგებით ჩემს სულსაც ააფორიაქებს!

რათა არ ავფორიაქდე, მეგობრებო, მიმაბით ამ სვეტზე! უკეთესია მესვეტე ვიყო, ვიდრე თერხვი შურისგებისა!

ზარატუსტრა თერხვი და ქარბუქი არ არის და უკეთუ იგი მროკავია, არა ტარანტელას მროკავი.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ქებულ ბრძენთათვის

ხალხს მსახურებდით და ხალხის ცრურწმენას თქვენ ყველა, ცნობილნო ბრძენნო! - და ა რ ა ჭეშმარიტებას! ამად გცემდნენ თქვენ პატივს.

და ამად ითმენდნენ თქვენ ურწმუნებას, რადგან იგი იყო სიტყვა მახვილი და უკუღმართება ხალხისადმი. ესე უბოძებს ბატონი მონებს თავისუფლებას და იხარებს მათი უტიფრობით.

ხოლო ვინ სძულს ხალხს, ვით ქოფაკს მგელი: იგი თავისუფალი სულია, მტერი ხუნდებისა, არამლოცველი, ტყეში მობინადრე.

მისი სოროდან გამოდენა - ამას ხალხი მარად „სამართლიანობის გრძნობას“ უწოდებდა. კვლავ მის წინააღმდეგ უსისინებს იგი თავის ბასრკბილა ძაღლებს.

„ჭეშმარიტება იქ არის: იქ ხომ ხალხია! ვაი მაძიებელთ“ - ისმოდა ძველთაგანვე.

თქვენ ხალხისათვის გსურდათ შეგექმნათ საფუძველი მისი თაყვანისცემისა: ამას უწოდებდით „ნებას ჭეშმარიტებისა“, ჰეი ბრძენნო ცნობილნო!

და თქვენი გული მარად გეტყოდათ: „მე ხალხისაგან ვარ: მისგან მოესმა ღვთის ხმაცა“.

და მძლენი და გონიერნი, ვით სახედარი, თქვენ მარად ხალხის მეოხენი იყავით.

და ვიეთნი ძლიერნი, რომელთა კეთილი მგზავრობა ჰსურთ ხალხთან, თავის ცხენებს წინ ვირს შეუბამდნენ, ცნობილ ბრძენს.

და აწ მსურს, ბრძენნო ცნობილნო, რომ ბოლოს შორს ისროლოთ ლომის ტყავი!

ტყავი მტაცებელი მხეცისა, აჭრელებული ფაფარი მკვლევარისა, მაძიებლისა, დამპყრობლისა!

ჰე, რათა ვიწამო მე „სიმართლე“ თქვენი, ჯერ უნდა გასტეხოთ თქვენი მადიდებელი ნება.

მართალი - ესე უწოდებ მე მას, რომელი უღვთო უდაბნოს მიაშურებს და სტეხავს თავის მადიდებელ გულს.

ყვითელი ქვიშის შორის, დამწვარი მზით, შურით უმზერს წყლით უხვ ოაზისებს, სად სულდგმული დაბურული ხეების ქვეშ ისვენებს.

ხოლო მისი მაშვრალობა ვერ დააჯერებს მას, რათა ამ კმაყოფილთ დაემზგავსოს: სად ოაზისია, იქ კერპებიც არიან.

სიმშილი, მოძალეობა, მწირობა, უღვთობა: ესე ჰსურს თავისათვის ლომის ნებას.

თავისუფალი მონის ბედნიერებისაგან, ხსნილი ღმერთებისაგან და თაყვანისცემისაგან, უშიშარი და საშინელი, დიდი და განდეგილი: ესეა ნება მართალისა.

უდაბნოში სცხოვრობდნენ მარად მართალნი, თავისუფალნი, ვით უფალნი უდაბნოსი: ხოლო ქალაქში სცხოვრობენ მოძღვარნი, ცნობილნი ბრძენნი - ტვირთმზიდველი ცხოველები.

მარად მიათრევენ იგინი, ვით სახედარი - ხ ა ლ ხ ი ს უ რ ე მ ს.

არა ვზრახავ ამისათვის: ხოლო მსახურნი არიან იგინი და შეკაზმულნი, თუნდაც ბრწყინავდნენ ოქროს მოსართავებით.

და ხშირად იგინი კეთილი მსახრუნი იყვნენ და ჯილდოს ღირსნი. ამას იტყვის სათნოება: „უკეთუ მსახური უნდა იყოს, ეძიე ის, ვისაც შენი სამსახური მეტს ასარგებლებს!“

„იზარდოს სული და სათნოება შენი ბატონისა შენი მსახურებით: ესე შენც გაიზრდები მისი სულით და მისი სიქველით!“.

და ჭეშმარიტად, თქვენ ცნობილნო ბრძენნო, თქვენ მსახურნო ხალხისა! თქვენც იზრდებით ხალხის სულით და სათნოებით - და ხალხი თქვენით! თქვენდა სასიქადულოთ ვიტყვი ამას!

ხოლო ჩემთვის თქვენ კვლავ ხალხი ხართ თქვენი სათნოებით, ხალხი ბნელი თვალებით - ხალხი, რომელმა არ უწყის რა არის ს უ ლ ი!

სული ცხოვრებაა, რომელიც თვით ცხოვრებად იჭრება: საკუთარი ტანჯვით ამრავლებს თავის ცოდნას - ეს უკვე იცოდით თქვენ?

და სულის ნეტარება ესეა: ცხებულ იქმნეს და ცრემლებით განმზადებული ზვარაკად - ეს უკვე იცოდით თქვენ?

და სიბრმავე ბრმისა და მისი ძიება და ბოდიალი მზის ძლიერებას მეტყველებს, რომელს იგი თვალს უშტერებს - ეს უკვე იცოდით თქვენ?

და მთებით უნდა ისწავლოს შ ე ნ ე ბ ა მმეცნემ! არა კმარა სულმა მთელი ზვარაკად - ეს უკვე იცოდით თქვენ?

თქვენ იცნობთ მხოლოდ სულის ნაპერწკალს: ხოლო ვერ ამჩნევთ, რომ იგი გრდემლია და სისასტიკეს მისი ჩაქუჩისას!

ჭეშმარიტად, არ უწყით ცხოვრების ყიფობას, მით ნაკლებ აიტანდით სულის სიმშვიდეს, უკეთუ სულის სიმშვიდე ოდესმე ამეტყველდება!

და აროდეს ჩაგიგდიათ თქვენი სული თოვლის ორმოში: არა ხართ საკმაოდ ცხელნი! ესე არ იცნობთ მისი სიცივის სიტკბოებას.

ყველაფრით სულთან მეგობრულადა ხართ; და სიბრძნისაგან ხშირად ჰქმნიდით დავრდომილთა თავშესაფარს და საავადმყოფოს უბადრუკი პოეტებისათვის.

არა ხართ არწივები: ამად არ განგიცდიათ ნეტარება სულის საშინელებით და ვინც ფრინველი არ არის, მას არ ჰხამს უფსკრულებზე ფრენა.

ჩემთვის თბილნი ხართ: ხოლო ცივად მდინარებს ყოველი ღრმა მმეცნება. ვით ყინული ცივია უღრმესი წყარო სულისა: შვება ცხელი ხელებისათვის და მოქმედისათვის.

პატივცემულნი დგახართ ჩემ წინაშე, უდრეკნი და გაჭიმულნი, თქვენ ცნობილნო ბრძენნო! - არა ქარიშხალი, არა ნება არ გაფორიაქებთ.

გინახავთ ზღვაში მსრბოლელი იალქანი მორღვეული და მთრთოლავი ქარის ბრაზით?

ვით იალქანი, მთრთოლვარე სულის ქარიშხლით, რბის სიბრძნე ჩემი ზღვაში - ჩემი ველური სიბრძნე.

ხოლო თქვენ, მსახურნო ხალხისანო, თქვენ, ცნობილნო ბრძენნო - ვით შ ე ძ ლ ე ბ თ თან მომყვეთ! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ღამის სიმღერა

ღამეა: აწ უფროსად მეტყველებს ყოველი მჩქეფარე წყარო. და სულიც ჩემი მჩქეფარე წყაროა.

ღამეა: მხოლოდ აწ იღვიძებს მიჯნურთა სიმღერა. და სული ჩემიც ხომ მიჯნურის სიმღერაა.

უცხრი, უცხრომელია ჩემში: მას ხმიანობა ჰსურს. სიყვარულის წყურვილია ჩემში, იგი მეტყველებს მიჯნურის ენითა.

ნათელი ვარ: ჰოი, ნეტარძი ღამე ვიყო! ესეა მწირობა ჩემი, რომ ნათლითა ვარ მოსილი.

ჰოი, ნეტარძი ღამე ვიყო და ღამეული! ვით მოვწოვდი მე ჯიქანსა ნათლისასა!

და თქვენც დაგლოცდით, თქვენ, მოციმციმე მნათობნო და ცის ნათელნო მაღლარნო! - და ნეტარ ვიქმნებოდი თქვენი ნათლის ძღვნითა.

ხოლო ჩემი ნათლის შორისა ვცხოვრობ, ვსუნთქავ ალს, ჩემ შორისიდან ამონახეთქსა.

არა ვუწყი ბედნიერება ამღებისა; და მრავლად მზმანებია: პარვა უნეტარესი უნდა იქმნეს, ვიდრე აღება.

ღატაკი ვარ, რომ ხელი ჩემი აროდეს ისვენებს გაცემით; შურიანი ვარ, რომ ვუმზერ მოლოდინით აღვსილ თვალთ და სურვილით განათებულ ღამეთა.

ჰოი, ვაება, ყოველ გამღებთა! ჰოი, დაბნელება მზისა ჩემისა! ჰოი, წყურვილი სურვილისა! ჰოი, მაძღრებით უძღებო სიმშილო!

იგინი მიიღებენ ჩემგან: ხოლო ვეზიარები კვლავ მათ სულს. უფსკრულია გაცემასა და აღებას შორის, და უმცირეს

უფსკრულზედაც უძნელესია ხიდის გადება.

სიმშილი აღმოცენდა ჩემი მშვენიერებიდან: მსურს დამწუხრება ჩემს მიერ განათებულთა, ძარცვა მსურს ჩემ მიერ დაჩუქრებულთა: ესე მწყურის ბოროტეული.

უკან წავიღო ხელი, როცა მეორე ხელი უკვე გამოწვდილია; დავაყოვნო, ვით აყოვნებს ჩანჩქერი ვარდნისას! - ესე მწყურის ბოროტეული.

ეს შურისძიება სწყურის ჩემ სიუხვეს: ესე ზრახვა სჩქერის ჩემი მხოლოდობით.

ჩემი ნეტარება წარხდა გაცემით, თვისი სიჭარბით დაიშთო სათნოება ჩემი.

სირცხვილის განსაცდელშია, რომელი გასცემს, მარად გამღების სული და გული მარადი გაღებით დაკოჟრებული.

თვალთა ჩემთა აღარ ბინდავს მათხოვართა სირცხვილი; დაკორძდა ხელი ჩემი სავსე ხელთა თრთოლვისაგან.

სად გაქრა ცრემლი თვალთა ჩემთა და ჩვილობა გულისა ჩემისა? ჰოი, მხოლოდობა გამღებთა! ჰოი, სიჩუმე ყველა მნათობთა!

მრავალი მზე ტრიალებს უდაბურ სივრცეში: ყოველს ბნელს თვისი ნათელით ესიტყვება, - ჩემთვის სდუმს.

ჰეი, მძულვარება ნათლის მნათობისათვის; ულმობლად ვლის იგი თვის გზას.

უმართებულო ყოველ მნათობთათვის თვის გულის სიღრმით, ცივი მზეთათვის, - ესე დაძრწის ყოველი მზე.

რბიან მზენი, ვით ქარიშხალნი, ესეა ცხოვრება მათი. თვის ულმობელ ნებას მიჰყვებიან იგინი, ესეა სიცივე მათი.

ჰეი, თქვენ ბნელნო, თქვენ ღამეულნო, მხოლოდ თქვენ ჰქმნით სითბოს მნათობით! ჰეი, მხოლოდ თქვენ შესვამთ რძეს და სიტკბოებას ნათლის ჯიქნითა!

ჰეი, ყინულია ჩემს გარემო, ჩემს ხელს ყინულოვანი სწვავს! ჰე, წყურვილია ჩემ შორის. იგი სჭირვობს თქვენ წყურვილსა.

ღამეა: ჰეი, რად ჰხამს ჩემდა ნათლად ყოფნა! და წყურვილი ბნელისა!

და მხოლოდობა!

ღამეა: ვით წყარო სჩქეფს ჩემ შორიდან ჩემი სურვილი, - მეტყველებასა მთხოვს.

ღამეა: აწ უფროსად მეტყველებს ყოველი მჩქეფარე წყარო. ჩემი სულიც მჩქეფარე წყაროა.

ღამეა: მხოლოდ აწ იღვიძებს მიჯნურთა ყოველი სიმღერა. და ჩემი სულიც ხომ მიჯნურთა სიმღერაა. –

ესე იმღერდა ზარატუსტრა.

ცეკვის სიმღერა

ერთ საღამოს ზარატუსტრა თვის ჭაბუკებთან ტყეში მიდიოდა; წყაროს ძებნაში წააწყდა მწვანე ხეებით და ბუჩქებით წყნარად მოცულ ველს; იქ გოგოები ცეკვავდნენ. როგორც კი გოგოებმა ზარატუსტრა იცნეს, ცეკვა მიატოვეს; ხოლო ზარატუსტრა მიუახლოვდა მათ ეს ეტყოდა:

„ნუ შესწყვეტთ ცეკვას, ძვირფასო გოგოებო! არა ცელქობის დამგმობელი მოვიდა თქვენთან ბოროტი თვალით, არა გოგოების მტერი.

მე ღმერთის მეოხე ვარ ეშმაკის წინააღმდეგ: იგი სიმძიმის სულია. ვით ვიქნები, თქვენ, მსუბუქნო, ღვთაებრივი ცეკვის მტერი? ან გოგოების ფეხების, მშვენიერი ნაკვთებით?

მე ხომ ტყე ვარ და წყვდიადი ბნელი ხეებისა: ხოლო, ვინც ჩემს სიბნელეს არ ერიდება, ჩემი კიპარისების ქვეშ ვარდის ბუჩქებსაც აღმოაჩენს.

იგი პატარა ღმერთსაც ნახავს, რომელიც გოგოებს ძლიერ მოსწონთ: წყაროსთან წევს იგი მიყუჩებული, დახუჭული თვალით.

ჭეშმარიტად, ნათელ დღეს დაიძინა მან, ზარმაცმა! ალბათ ბევრი სდია პეპლებს?

ნუ გამიწყრებით, თქვენ მშვენიერნო მროკავნო, თუ მე პატარა ღმერთს ცოტა დავსჯი! იგი იყვირებს და იტირებს - ხოლო იგი სასაცილოა თვით ცრემლებითაც!

და ცრემლებით თვალებზე გთხოვოთ მან ცეკვა; და მე თვით ვიმღერებ სიმღერას მისი ცეკვისათვის:

სიმღერას ცეკვისა და სიმძიმის სულის გაკიცხვისა. იმ უმაღლესი, ყოვლად ძლიერი დემონის გაკიცხვისა, რომელსაც „ქვეყნის უფალს“ ეტყვიან. –

და ეს არის სიმღერა, რომელი ზარატუსტრამ იმღერა, ოდეს კუპიდონი და გოგოები ცეკვავდნენ:

ამას წინათ თვალი თვალში გაგიყარე, ო ცხოვრებავ! და მომეჩვენა თითქოს უძიროში ვიძირებოდი.

ხოლო შენ ამომიყვანე ოქროს ნემსკავით, კიცხვით იცინოდი, ოდეს შენ უძირო გიწოდე.

„ესე იტყვიან ყველა თევზები, მითხარი: რასაც ი ს ი ნ ი ვერ გაზომავენ უძიროა.

ხოლო მე ცვალებადი ვარ და ველური, და ყველაფრით დედაკაცი და - არასათნოიანი:

დაე თქვენთვის, მამაკაცნო, ვიყვე „ღრმა“, „ერთგული“, „მარადიული“, „იდუმალი“.

მაგრამ თქვენ, მამაკაცნო, თქვენი საკუთარი სიქველით გვასაჩუქრებთ. ჰე, თქვენ ქველნო“!

ესე იცინოდა იგი, თვალთმაქცი; ხოლო მას არასოდეს ვუჯერებ და მის სიცილს, ოდეს თავისი თავისთვის ცუდს ლაპარაკობს.

და ოდეს პირისპირ ჩემ ველურ სიბრძნეს ვესაუბრებოდი, მან მითხრა განრისხებულმა: „გსურს, ისწრაფი, გიყვარს, ამად მხოლოდ ადიდებ ცხოვრებას“!.

თითქმის ბოროტად ვუპასუხე და განრისხებულს სიმართლე ვუთხარი; და უფრო ბოროტი პასუხი არ არის, ვიდრე საკუთარი სიბრძნისათვის „ჭეშმარიტების თქმა“.

ესეა ჩვენ სამთა შორის. გულით მიყვარს მხოლოდ ცხოვრება - და ჭეშმარიტად უმეტესად მაშინ, ოდეს იგი მძულს!

ხოლო უკეთუ სიბრძნისადმი კეთილგანწყობილი ვარ და ხშირად ძლიერ კეთილგანწყობილი: რადგან იგი ძლიერ მაგონებს ცხოვრებას!

მას მისი თვალები აქვს, მისი სიცილი და მისი ოქროს ნემსკავიც: რა ვქნა, რომ ორივე ესოდენად ერთმანეთს ემზგავსება?

და ერთხელ ცხოვრებამ მკითხა: ვინ არის ეს სიბრძნე? - მე ვუპასუხე გაცხარებით: „ეხ დიახ! სიბრძნე!

იგი სწყურიათ, და ვერ გაძღებიან, სცდილობენ დანახვას ჩადრის ქვეშ, ბადით ეძებენ.

ლამაზია იგი? რა ვიცი! ხოლო თვით მოხუცი კობრებისათვის იგი მიმზიდველია.

ცვალებადია იგი და თავნება; ხშირად მინახავს იგი ტუჩებს იკვნეტდა და სავარცხლით თმას იბურძგნიდა.

შეიძლება იგი ბოროტი და ყალბია და ყველაფრით დედაკაცია, ხოლო ოდეს თავისი თავისათვის ცუდს ლაპარაკობს, მაშინ არის უმთავრესად მიმზიდველი“.

ოდეს ამას ვეტყოდი ცხოვრებას, მან ბოროტი სიცილით გაიცინა და თვალები დახუჭა. „ვიზე ლაპარაკობ მაინც? თქვა მან, ნუთუ ჩემზე?.

და თუნდაც მართალი იყო - განა ა მ ა ს პირში ეტყვიან! ახლა კი მითხარი რამ შენი სიბრძნისა“!

ეჰ, მაშინ კვლავ გაახილე თვალი, ო საყვარელო ცხოვრებავ! და მომეჩვენა, უფსკრულში ჩავვარდი.

ესე მღეროდა ზარატუსტრა. ხოლო ოდეს დამთავრდა როკვა და გოგოები წავიდ-წამოვიდნენ, მან მოიწყინა.

„მზემ დიდი ხანია გადაიარა, სთქვა მან ბოლოს; ველი დაინამა, ტყიდან ცივი სიო ჰქრის.

რაღაც უცნაურობაა ჩემს ირგვლივ და ჩაფიქრებული იყურება. რაო?. შენ კვლავ ცოცხალი ხარ ზარატუსტრა?

რატომ? რისთვის? რანაირად? საითკენ? სად? როგორ? განა სისულელე არ არის კვლავ ცხოვრება? –

ეჰ, ჩემო მეგობრებო, ესე საღამოა, რომ ჩემით კითხულობს? მომიტევეთ ჩემი მოწყენილობა!

საღამო მოვიდა: მომიტევეთ, რომ დასაღამოვდა“!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სასაფლაოს სიმღერა

„იქ საფლავთა კუნძულია, მდუმარე; იქვეა საფლავები ჩემი სიყრმისა. იქ მივიტან მე სიცოცხლის მარად მწვანე გვირგვინს“.

ესე გულისვსიტყვობდი, რა ვლიდი ზღვასა ზედა.

ჰე, სახენო და აჩრდილნო სიყრმისა ჩემისა! ჰე, თქვენ, მზერანო სიყვარულისა, თქვენ, ღვთაებრივო წამებო! ვით განმშორდით ეგრეთ მეყსეულად! დღეს გიხსენებ, ვით ჩემ მიცვალებულთ.

თქვენით ჰქარავს ტკბილი სურნელი, ჩემი სატრფო მიცვალებულნო, გულ და ცრემლ აღმძვრელი. ჭეშმარიტად, იგი შეაძრწუნებს და მსუბუქ ჰქმნის გულსა მარტოდ მცურავისასა.

კვლავ უმდიდრესი ვარ და შურის აღმძვრელი - მე უმწირესი! ვინაიდან მე გპყრობდით თქვენ და კვლავ თქვენ მე გპყრობთ: მარქვით ვისთვის რხეულა ხე ესეთი წითელი ვაშლებით?

კვლავ მემკვიდრე ვარ თქვენი სიყვარულისა და მიწა, ჭრელი ველური სათნოებით ყვავილდასხმული ხსოვნად თქვენდა, ჰე, თქვენ, სატრფონო.

ჰე, ჩვენ ურთიერთისათვის ვიყავით შექმნილნი, თქვენ წარმტაცნო, უცხო სასწაულნო: არა ვით მშიშარა ფრინველნი მესტუმრებოდით მე და ჩემს სურვილს, - არა, ვით ერთგულნი ერთგულსა!

დიახ, ერთგულებისათვის იყავით ქმნილნი, ვით მე, და ნაზი მარადისობისათვის: აწ ჰხამს ჩემდა ხმობა თქვენი ღალატის სახელით, თქვენ ღვთაებრივო მზერანო და წუთნო; სხვა სახელები ჯერ არ მისწავლია.

ჭეშმარიტად, ნაადრევად დამეხოცენით, თქვენ, ლტოლვილნო, ხოლო თქვენ ჩემით არა ილტვოდით, არცაღა მე თქვენით: უბრალონი ვართ ურთიერთისადმი ჩემს ღალატში.

ჩ ე მ დ ა კვლად თქვენ დაგაშთვეს, თქვენ, იმედთა ჩემთა მგალობელნო ფრთოსანნო! დიახ, თქვენკენ, სატრფონო, სტყორცნიდა ბოროტება მარად თვის ისარსა, კოდვად გულისა ჩემისა!

და მან დაჰკოდა! თქვენ ხომ ჩემი გულითადესნი იყავით, ჩემი კუთვნი, ჩემი საპყრობი: ა მ ა დ გმართებდათ ყრმად სიკვდილი და მეტად ნაადრევად!

ჩემთვის უსაკარებს სტყორცნიდნენ ისართა; იგი თქვენ იყავით, რომელთა კანი მზგავსია გერმისა და მეტად ღიმილისა, რომელი ერთი თვალკვრით კვდება.

ამა სიტყვას მტერთა ჩემთა ვეტყვი: რად დარობს მკვლელობა თქვენით ჩემდა ქმნილი!

მკვლელობისა უმეტესი ბოროტება ჰქმენით ჩემდა: კვლავ მოუვალით გაძარცვეთ მე: - ესე გეტყვით თქვენ, მტერნო ჩემნო!

თქვენ ხომ მოსრეთ სახე სიყრმისა ჩემისა და სასწაული სატურფალი! თქვენ წარმტაცეთ თანამსრბოლნი ჩემნი, ნეტარი სულები! მათ ხსოვნად დავსდებ ამა გვირგვინსა და ამა წყევას.

ესე წყევა თქვენზედა, მტერნო ჩემნო! ხომ თქვენ ჰყავთ ღამეულად ჩემი მარადიული, ვით ბგერა შემუსრული ცივ ღამეში! ძლივს თვალი მოვკარი, ვით ღთაებრივი თვალის გამოხედვას - ვით წამს!

ესე მეტყოდა ერთხელ ჟამი კეთილი ჩემი უბიწოებისა: „ღვთაებრივ უნდა ჰყოფდეს ყოველი არსი“.

მაშინ თავს დამესხით უწმინდური მოჩვენებებით; ჰე, სად გაჰქრა აწ იგი ჟამი კეთილი!

„ყველა დღე ჩემთვის წმიდა უნდა იყოს“ - ასე ამბობდა ოდესღაც სიბრძნე ჩემი სიყრმისა: ჭეშმარიტად, სიტყვა მხიარული სიბრძნისა!

მაგრამ მაშინ მომპარეთ, მტრებო, ჩემი ღამეები და შემიცვალეთ უძილო ტანჯვით: ჰე, სად გაჰქრა აწ ის მხიარული სიბრძნე?

ოდესღაც მსურდა ამომეცნო ჩიტი - ბედნიერების ნიშანი: თქვენ მომივლინეთ საზიზღარი ურჩხული - ბუ. სად გაჰქრა მაშინ ჩემი ნაზი სურვილი?

ოდესღაც აღთქმა მივეც, უარი მეთქვა ყოველგვარ ზიზღზე: მაშინ ჩემი ახლობელნი და უახლოესნი ჩირქოვან მუწუკებად გადააქციეთ. ჰე, სად გაჰქრა მაშინ უკეთილშობილესი აღთქმა?

ვითარცა ბრმა მივდიოდი მე ოდესღაც ნეტარი გზებით: მაშინ ჭუჭყი ისროლეთ ბრმის გზაზე და ახლა სძაგს მას თვისი ძველი გზა.

რა როს ჩემთვის უძნელესი რამ მოვიმოქმედე და ჩემს ძლევათა გამარჯვებას ვზეიმობდი, მაშინ, ისინი, ვისაც მე ვუყვარვარ, აიძულეთ ეყვირათ, რომ მე უბედურება მომაქვს მათთვის.

ჭეშმარიტად ეს იყო მუდამ თქვენი საქმე: თქვენ მიწამლავდით ჩემს საუკეთესო თაფლს და ჩემი საუკეთესო ფუტკრების გულმოდგინებას.

უწვართეს გლახაკთ უგზავნიდით მარად მოწყალებას; ურცხვთ ასხამდით თავს ჩემს სიბრალულსა. ესე თვისი რწმენით დაჰკოდეთ ჩემი სათნოება.

და ოდეს ჩემს უწმინდესს მსხვერპლად მივიტანდი, თქვენი „კეთილმსახურება“ ისწავიდა მოტანად მასთან მსუქან ზვარაკთა: ესე დაშთებოდა უწმინდესი ჩემი თქვენი ქონის ხრაწით.

და როკვა მსურდა ოდეს, ვით აროდეს მეროკვოს: ყოველ ცათა ზე მსურდა მე როკვა. და თქვენ ჩემი საყვარელი მომღერალი გადაიბირეთ.

და იგი მღეროდა მწუხრად, სევდიანად; ჰე, იგი ჩამჩხაოდა ყურში, ვით ნესტუნი სამწუხარი.

მომღერალო მაკვდინებელო, ჭურჭელო ბოროტეულისა, შენ უფროსად უბიწო! განმღებელ ვიყავი როკვად და შენი ხმით მოჰკალი ჩემი აღტკინება.

მხოლოდ ცეკვით ვუწყი მე თქმა მაღალი საგნებისა სიმბოლოთა: და აწ უმაღლესი სიმბოლო ჩემი უთქმელად დაშთა ჩემს სხეულში!

უთქმელია ყველა ჩემი მაღალი იმედი! და ჩემი სიყრმისა ყველა სახენი და ნუგეშნი დამეხოცნენ!

ვით გადვიტანე? ვით დავიტიე და ვძლიე ჭრილობანი ესე? ვით აღდგა სული ჩემი ამა საფლავით?

დიახ, არის ჩემს შორის უკოდველი და უმარხი, კლდეთა მმუსრავი: იგი ჩ ე მ ი ნ ე ბ ა ა. მდუმარე და უდრეკი ვლის იგი წლებსა.

თვისი საკუთარი სვლით ჰსურს მას ვლა ჩემი ფეხით, ჩემს ძველ ნებას; გულქვაა მისი გრძნობა და უკოდველი.

უკოდველი ვარ მხოლოდ ტერფით. კვლავ ცოცხალ ხარ და თვისდარი, შენ უდამთმენესო! კვლავ ზეამოიჭრები ყველა

საფლავებით!

კვლავ ცოცხალი შენ შორის ჩემი უცნობელი; და ვით სიცოცხლე და სიყრმე ჯდომილ ხარ აქ საფლავთა ყვითელ ნამუსრზე.

დიახ, კვლავ ჩემთვის ყველა საფლავთა მმუსვრელი ხარ: ჩემო ნებავ, სალამი შენ! და სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი.

ესე იმღერდა ზარატუსტრა.

თვითძლევისათვის

„ნება ჭეშმარიტებისათვის“ ესე არ უწოდებთ თქვენ უბრძნესნო იმას, რაც თქვენ გამოძრავებთ და გაცხოველებთ?

ნება მოაზრებადობისათვის ყოველი ყოფადისა: ესე ვუწოდებ მე თქვენ ნებას!

ყოველი ყოფადი გსურთ ჯერ მოაზრებადი ჰ ყ ო თ: რადგან ეჭვი გაქვთ კეთილი უნდობლობით, რომ იგი უკვე მოაზრებადია.

მაგრამ იგი თქვენ უნდა დაგემორჩილოთ და თქვენ წინაშე მოიხაროს! ეს ჰსურს თქვენს ნებას. უნდა გასწორდეს და სულს ქვემდებარებდეს, ვით მისი სარკე და ანარეკლი.

აქ არის თქვენი მთელი ნება, თქვენ უბრძნესნო, ვით ნება ხელმწიფებისა, და თვით მაშინაც, ოდეს კეთილისა და ბოროტებისათვის ლაპარაკობთ და ღირებულებათა შეფასებისათვის.

გსურთ კვლავ შექმნათ ქვეყანა, რომლის წინაშე მუხლთ მოიდრეკთ: ესეა თქვენი უკანასკნელი იმედი და სიმთვრალე.

მართალია, არაბრძენნი, ხალხი - იგი მდინარეს ემზგავსება, რომელშიც ნავი წინ მიცურავს; და ნავში სხედან მოზეიმე და შებურულნი ღირებულებათა შეფასებანი.

თქვენი ნება და თქვენი ღირებულებები ჩაუშვით ყოფადობის მდინარეში; ძველ ნებას ხელმწიფებისა ვხედავ მე იქ, სადაც ხალხს კეთილი და ბოროტებას სწამს.

ეს თქვენ იყავით, თქვენ უბრძნესნო, რომელთაც მზგავსნი სტუმრები ამ ნავში ჩასხით, შეკაზმეთ და ამაყი სახელები უწოდეთ, - თქვენ და თქვენი გაბატონებული ნება!

აწ წინ მიაქვს მდინარეს თქვენი ნავი: მან უ ნ დ ა ზიდოს. რას იზამს, თუ გადაწყვეტილი ტალღა აქაფდება და კიდეს მრისხანედ შეებრძოლება!

არა მდინარეა თქვენი ხიფათი და დასასრული თქვენი კეთილისა და ბოროტისა, თქვენ უბრძნესნო: ხოლო თვით ის ნება, ნება ხელმწიფებისა, - უშრეტი მმქმედი ნება ცხოვრებისა.

რათა გაიგოთ ჩემი სიტყვა კეთილისა და ბოროტისათვის, ამად გეტყვით სიტყვას ცხოვრებისათვის და ყველა არსთა ზნესათვის.

არსს [ყოველივე ცოცხალს] გავსდიე მე, ვვლიდი დიდი და მცირე გზებით, რათა შემეცნო მისი ზნე.

ათასწახნაგიან სარკით ვიჭერდი მის სახეს, ოდეს იგი სდუმდა: რათა მის თვალს ეთქვა რამ ჩემთვის. და მისი თვალი დამელაპარაკა.

ხოლო სადაც მარტო ცოცხალს ვპოვებდი, იქ მორჩილების სიტყვაც მესმოდა. ყოველი ცოცხალი რაღაც მორჩილია.

და აი მეორე: მას უბრძანებენ, რომელმა არ უწყის თავისთავისადმი მორჩილება. ესეა ზნე ცოცხალისა.

ხოლო ესე მესამე, ჩემ მიერ სმენილი: ბრძანება უფრო ძნელია, ვიდრე მორჩილება. და არ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ზიდავს ყოველ მორჩილთა ტვირთს და რომ ეს ტვირთი ადვილად გასრისავს მას: -

ცდას და შეუპოვრობას ვხედავ ყოველ ბრძანებაში. ოდეს ბრძანებს ცოცხალი. თავის თავს განსაცდელში აგდებს.

და თვით მაშინაც, ოდეს იგი თავის თავს უბრძანებს: მაშინაც უნდა გამოისყიდოს თვისი ბრძანება. თავისი საკუთარი კანონის მსაჯული უნდა შეიქმნეს იგი, შურისმგებელი და მსხვერპლი.
როგორ მოხდება ესე! ამას ვკითხულობთ. რა დააჯერებს ცოცხალს რათა მორჩილ იყოს და ბრძანებდეს, და ბრძანებს რა, მორჩილი იყოს?

მომისმინეთ, თქვენ უბრძნესნო! შეამოწმეთ სერიოზულად, შევიჭერი თუ არა თვით ცხოვრების გულში და მისი გულის ფესვებამდე!

სადაც ცოცხალი მინახავს, იქ ნებაც მიპოვნია ხელმწიფებისა; და თვით მსახურთა ნებაში მე მიპოვნია ნება ბატონად ყოფისა.

რათა უძლიერესს უსუსტესი ემსახუროს, ამას უკარნახებს მას თვის ნება, რომელს უსუსტესზე ბატონობა ჰსურს, მხოლოდ ამ

სიამოვნებისათვის არ შეუძლიან მას უარის თქმა.

და როგორც უმცირესი დანებდება უმცირესს, რათა მან ისიამოვნოს და იბატონოს უმცირესზე: ეგრეთ უდიდესი ნებდება და ხელმწიფებისათვის ხიფათში ჩააყენებს - ცხოვრებას.

ესეა უდიდესთა თავგანწირვა, რომ იგი გამბედაობაა, და ხიფათი, და სასიკვდილო კამათლის თამაში.

და სადაც მსხვერპლია, მსახურება და სიყვარულის გამოხედვა, იქ ბატონობის ნებაც არის. ფარული გზით მიიპარება უსუსტესი უძლიერესთა კოშკისა და გულამდე - და იქ იპარავს ხელმწიფებას.

და ეს საიდუმლოება თვით ცხოვრებამ გაამხილა: „უყურე, თქვა მან, მე ისა ვარ, რ ა ც მ ა რ ა დ თ ა ვ ი ს თ ა ვ ს უ ნ დ ა ს ძ ლ ე ვ დ ე ს“.

„მართლად, თქვენ მას მმქმედობის ნებას უწოდებთ ან სწრაფვას მიზნისაკენ, უმაღლესისაკენ, შორეულისაკენ, მრავალფერადისაკენ: ხოლო ყველა ეს ერთია და ერთი საიდუმლება.

„უკეთესია დავიღუპო, ვიდრე უარვყო იგი ერთი; და ჭეშმარიტად, სადაც წარხდომაა და ფოთლები სცვივა, იქ ცხოვრება ეწირება ხელმწიფებისათვის!

„ჰხამს ჩემდა ბრძოლა ვყო, და ყოფადობა [Werden], და მიზანი, და მიზნის წინააღმდეგობა! ჰე, ვინც ჩემს ნებას ამოიცნობს, გამოიცნობს, აგრეთვე, თუ როგორ უ ს წ ო რ- მ ა ს წ ო რ ო გზებით უნდა ვლიდეს იგი!

„რასაც უნდა ვქმნიდე და რანაირადაც უნდა მიყვარდეს იგი - მალე მოწინააღმდეგე უნდა შევიქმნე მისი და ჩემი სიყვარულისა: ესე ჰსურს ჩემს ნებას.

„და შენც, მმეცნე, ჩემი ნების ბილიკი ხარ და კვალი: ჭეშმარიტად, ჩემი ნებაც ხელმწიფებისა მისდევს კვალს ჭეშმარიტების შენი ნებისა.

„ვერ მოახვედრა, ცხადია, ჭეშმარიტებას, ვინც მას სტყორცნა სიტყვა „ნება არსებობისა“: ნება ესე არ არსებობს!

„რადგან რაც არ არის, მას არც სურვილი შეუძლია; რაც არსებობს, ვით შეუძლია მას კვლავ არსებობის სურვილი!

„ხოლო სად ცხოვრებაა, იქ ნებაცაა: ხოლო არა ნება ცხოვრებისა, არამედ - ამას გასწავი შენ - ნება ხელმწიფებისა.

„მრავალს აფასებს სულდგმული მეტად, ვიდრე ცხოვრებას, ხოლო თვით შეფასებით ლაპარაკობს: ნება ხელმწიფებისა“. –

ესე მასწავიდა ერთხელ ცხოვრება: და ამით ამოვიცნობ თქვენი გულის ამოცანას, თქვენ, უბრძნესნო.

ჭეშმარიტად, გეტყვით თქვენ: სიკეთე და ბოროტი უმუსრი არ არის! მარად ჯერ არს მათთვის თავის ძლევა.

თქვენი ღირებულებებით და სიტყვებით კეთილისა და ბოროტისათვის თქვენ ძალადობთ, თქვენ, ღირებულებათა შემფასებელნო; და ეს არის თქვენი ფარული სიყვარული და თქვენი სულის ბრწყინვალება. თრთოლა და სწრაფვა.

ხოლო უფრო ძლიერი ძალადობა იზრდება თქვენ ღირებულებათაგან და ახალი ძლევა: მასზედ იმსხვრევა კვერცხი და კვერცხის ნაჭუჭი.

და რონელი უნდა კეთილსა და ბოროტის მმქმედი იყოს: ჭეშმარიტად, ჯერ მმუსვრელი იყოს და დაამსხვრიოს ღირებულებანი.

ესე უზენაესი ბოროტება უზენაეს სიკეთეს ეკუთვნის: ხოლო ესე მმქმედია. –

მხოლოდ მისთვის ვილაპარაკოთ, თქვენ, ბრძენნო, მართალია, ესეც ცუდია. სიჩუმე უარესია. ყოველი ჭეშმარიტება, რომლისთვისაც სდუმან, შხამიანად იქმნება.

დეე დაიმსხვრეს ყოველი, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებაზე დამსხვრევა შეუძლიათ! კვლავ არა ერთი სახლია ასაშენებელი.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ამაღლებულთათვის

წყნარია ფსკერი ჩემი ზღვისა: ვინ იფიქრებდა, რომ იგი მასხარა უხამსებს ფარავს!

უძარცვია სიღრმე ჩემი: ხოლო იგი ციაგებს მცურავი ამოცანებით და ღიმილით.

დღეს ერთი ამაღლებული ვნახე, ზეიმიანი, სულით მონანიე; ჰოი,

ვით დასცინოდა ჩემი სული მის უმზგავსობას!

აღმართული გულმკერდით მათი მზგავსი, რომელნი ჰაერს ისუნთქავენ: ესე იდგა იგი, ამაღლებული და სდუმდა:

საზარელი ჭეშმარიტებებით დაკუნწლული, თავისი ნანადირევით და მდიდარი დაფრეწილი ტანსაცმლით; მრავალი ეკალი ეკიდა აგრეთვე მას - ხოლო არც ერთი ვარდი არ შემიმჩნევია.

ჯერ სიცილი და მშვენიერება არ შეესწავლა. დამწუხრებული დაბრუნდა ეს მონადირე მმეცნების ტყიდან.

ბრძოლიდან დაბრუნდა იგი ველური ცხოველებით: მისი ჯმუხობით კვლავ ველური ცხოველი გამოიყურება - დაუძლეველი!

იგი იქაა კვლავ, ვით ვეფხი, რომელს ნახტომი ჰსურს. ხოლო არ მიყვარს მე ეს დაძაბული სულები, არ მეგემება ყველა ეს გულჩათხრობილნი.

და თქვენ მეუბნებით, მეგობრებო, არა კამათობენ გემოვნებისა და ფერადებისათვის? ხოლო მთელი ცხოვრება კამათია გემოვნებისა და ფერადებისათვის!

გემოვნება: იგი ერთდროულად წონაა, სასწორის თეფში და მწონავი. და ვაი სულდგმულს, რომელი არ კამათობს წონისათვის, სასწორის თეფშისა და მწონავისათვის და ისე მოისურვებს ცხოვრებას.

უკეთუ ეს ამაღლებული მოიქანცება თვისი ამაღლებით: მაშინ აღიმართება მისი მშვენიერება და მხოლოდ მაშინ ვიგემებ მას და მეგემება.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის თავს ზურგს შეაქცევს, თავის ჩრდილს გადაახტება - და ჭეშმარიტად! თ ა ვ ი ს მზეში აღმოჩნდება.

ძლიერ დიდხანს იჯდა იგი ჩრდილში, ფერი წაუხდა სულით მონანიეს ღაწვებს: თითქოს მოკვდა იგი სიმშილით თავისი მოლოდინისა.

მის თვალებში კვლავ მძულვარებაა და ზიზღი მის ტუჩებზე. ეხლა მართალია ისვენებს. ხოლო მისი მოსვენება მზეში არ წამოწოლილა.

ჯერ არს მისთვის ყოფა მზგავსად მოზვერისა, მის ნეტარებას უნდა მიწის სული ჰქონდეს და არა მიწისადმი ზიზღისა.

ვისურვებდი მას თეთრ მოზვრად, ოდეს იგი ფრუტუნით და

ბღავილით გუთნის წინ მიდის: და მისი ბღავილი უნდა აქებდეს ყოველ მიწიერსა!

შავბნელია მისი გამოხედვა; ხელის ჩრდილი თამაშობს მასზე. კვლავ დაჩრდილულია მისი თვალების აზრი.

თვით საქმე მისი კვლავ ჩრდილია მასზე; ხოლო ხელი ჩრდილავს მით მოქმედს, მას ჯერ თვისი საქმე არ უძლევია.

ვით მიყვარს მისი ზურგი მოზვრისა: აწ მსურს დავინახო ანგელოსის თვალები.

კვლავ თავისი გმირული ნება უნდა დაივიწყოს: მსურს იყოს ამაღლებული და არა მხოლოდ მაღლნარი: - თვით ეთერმა უნდა აამაღლოს იგი, უნებო!

იგი სძლევდა უხამსებს, იგი ამოიცნობდა გამოცანებს: ხოლო ჰხამს მისდა ძლევა საკუთარ უხამსების და გამოცანებისა, იგინი მან ზეციერ ბავშვებად უნდა გარდაქმნას.

კვლავ მის მმეცნებას ღიმილი არ უსწავლია და უშურო ყოფნა; მისი მოზღვავებული ვნება კვლავ არ დამშვიდებულა თავისი მშვენიერებით.

ჭეშმარიტად, მაძღრობაში როდი უნდა გაინაბოს და ჩაიძიროს მისი სწრაფვა, არამედ სილამაზეში! მშვენიერება თან სდევს მაღალ განწყობილთა დიდსულოვნებას!
ხელით თავზე: ესე უნდა ისვენებდეს გმირი და ესე სძლევდეს თავის დასვენებას.

ხოლო სწორედ მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ა ყველაზე ძნელი გმირისათვის. უძლეველია მშვენიერება ყოველი ძალმომრე ნებისათვის.

ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები: სწორედ ეს არის აქ ბევრი, ეს არის ყველაფერი.

მოდუნებული კუნთებით გაჩერება და მოშვებული ნებით: ესაა უძნელესი ყველა თქვენთვის, თქვენ ამაღლებულნო!

როცა ძალაუფლება მოწყალე ხდება და ხილულში ჩამოდის: სილამაზეს ვუწოდებ ასეთ ჩამოსვლას.

არავისგან ვითხოვ სილამაზეს, როგორც შენგან, ძლიერო: შენი სიქველე იყოს შენი უკანასკნელი თვითდათრგუნვა.

ყოველ ბოროტების უნარიანად მიმაჩნიხარ: ამიტომ მოგთხოვ სიკეთეს.

ჭეშმარიტად, ხშირად და ვიცინოდი სუსტთ, რომელთ თავი კეთილად მიაჩნდათ, რადგან უძლური ხელები აქვთ!

ჰხამს შენდა სათნოების სვეტად სწრაფვა: რამდენად მაღლა მიდის, იმდენად ლამაზია და ნაზი, ხოლო შიგნით უფრო მაგარი და გამძლე.

დიახ, ამაღლებული, ერთ დროს უნდა ლამაზი შეიქნეს და საკუთარი სილამაზის წინ სარკე გეჭიროს.

მაშინ შენი სული ათრთოლდება ღვთაებრივი სწრაფვით; და თაყვანისცემა იქნება შენ ამაოებაში!

ესეა სწორედ სულის საიდუმლოება: მხოლოდ მაშინ, როდესაც გმირმა იგი მიატოვა, მას სიზმარში ზეგმირი უახლოვდება. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

განათლებული ქვეყნისათვის

ძლიერ შორს გავფრინდი მომავალში. შიშმა შემიპყრო.

და ოდეს გარშემო მივიხედე, მხოლოდ დრო იყო ჩემი ერთადერთი ტოლი.

მაშინ გამოვეშურე უკან, სახლისაკენ და კვლავ და კვლავ სწრაფად: მაშინ მოვედი, თქვენთან, თქვენ თანამედროვენო, და განათლების ქვეყანაში.
პირველად შეგამჩნიეთ კეთილ სურვილებით: ჭეშმარიტად, სევდით გულში მოვედი მე.

ხოლო რა დამემართა? მიუხედავად შიშისა, - უნდა გამეცინა! არასოდეს უნახავს ჩემს თვალს ესეთი რამ აჭრელებული!

ვიცინოდი და ვიცინოდი, მაშინ როდესაც კვლავ ფეხები და მასთან გული მიკანკალებდა: „აქ არის სწორედ ყველა ფერადთა ქოთნების სამშობლო!“ - ვსთქვი მე.

ორმოცდაათი ფერადით შეღებილი სახელებით და ასოებით; ესე ისხედით თქვენ ჩემდა საოცრებად, თქვენ თანამედროვენო!

და ორმოცდაათი - სარკით თქვენ გარშემო, რომელნიც

მლიქვნელობდნენ თქვენ წინაშე და გბაძავდნენ!

ჭეშმარიტად უკეთეს ნიღაბს ვერ ატარებდით, თქვენ თანამედროვენო, ვიდრე თქვენს საკუთარი სახეა! ვის შეეძლო თქვენი ცნობა!

სავსე წარსულის ნიშნებით და ეს ნიშნებიც დაფარული ახალი ნიშნებით: ესე კარგად დაგიფარავთ თავი ყველა ნიშნების განმარტებელთაგან!

და თუნდაც თირკმლის მკვლევარი იყოს: ვინ დაიჯერებდა, რომ თქვენ თირკმლები გაქვთ? თქვენ თითქოს ფერადებისაგან ხართ ქმნილნი და დაკოწიწებული იარლიყებისაგან.

ყოველნი დრონი და ხალხნი ჭრელად იცქირებიან თქვენი ჩადრიდან; ყველა ზნე და რწმენა ჭრელად ლაპარაკობს თქვენი მიხვრამოხვრით.

ვინ თქვენ ჩადრებს, წამოსასხამებს, ფერადებს და ჟესტებს ჩამოგაცლით: სწორედ იმდენი შერჩება ხელთ, რათა ამით ფრინველები დააფრთხოს.

ჭეშმარიტად, მე თვით დამფრთხალი ფრინველი ვარ, რომელმა თქვენ ერთხელ გაშიშვლებული დაგინახათ და შეუფერადებელი; და მე დავფრთხი, ოდეს ამ ჩონჩხმა სიყვარული მანიშნა.

უკეთესი იყო დღიური მუშის ხელობა საიქიოს და აჩრდილებთან წარსულისა! - საიქიოელნი უფრო სრულნი და ხორციანი არიან, ვიდრე თქვენ.

ესეა, ესეა, სიმწარე ჩემი წიაღისა, რომ ვერ ამიტანიხართ, ვერც შიშველნი და ვერც ჩაცმულნი, თქვენ თანამედროვენო!

რაც შემაძრწუნებელია მომავლისათვის და რაც ოდესღაც გზააბნეულ ფრინველთ აშინებდა. ჭეშმარიტად, გულთან მეტად ახლო და სათნოა, ვიდრე თქვენი „სინამდვილე“.

რადგან ამას იტყვით თქვენ: „ჩვენ შორის ყველაფერი სინამდვილეა რწმენისა და ცრურწმენის გარეშე“: ესე გულამაყობთ - ჰე, და კვლავ უგულოდ!

დიახ და როგორ შ ე გ ი ძ ლ ი ა თ თქვენ რწმენა, თქვენ აჭრელებულნო! - თქვენ სურათნო, ყოვლისა, რაც ოდესმე სწამდათ!

თქვენ მოძრავი უარყოფანი ხართ თვით რწმენისა და ყოველი აზრთა ნაკუწნი. მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ო: ესე გიწოდებთ, თქვენ, ნამდვილნო!

ყოველი დრონი ლაყბობენ ერთმანეთის წინაღმდეგ თქვენ სულში; და ყველა დროთა სიზმრები და ლაყბობა უფრო ნამდვილნი იყვნენ, ვიდრე თქვენი სიფხიზლეა!

ბერწნი ხართ, ა მ ი ტ ო მ გაკლიათ თქვენ რწმენა. ხოლო ვისთვისაც მმქმედობა ჯერ არს, მას მარად ცოცხალი სიზმრებიც უნახავს და ვარსკვლავის სასწაული - და რწმენა ჰქონია რწმენისა! –

ნახევრად გაღებული ჭიშკარი ხართ თქვენ, სადაც მესაფლავეები იცდიან, და ესეა თ ქ ვ ე ნ ი სინამდვილე: „ყველაფერი ღირსია წარხდომად“!

ჰე, სდგეხართ ჩემ წინაშე, ბერწნო, როგორ ჩაგვარდნიათ ფერდები! და ზოგიერთ თქვენგანს ეს თვითაც შეუმჩნევია.

და უთქვამს: „ალბათ ღმერთს ძილის დროს ჩემთვის რაღაც წაურთმევია? ჭეშმარიტად, საკმაოა დედაკაცის შესაქმნელად!

საკვირველია ჩემი ფერდების გამხდრობა!“ ესე უთქვამს უკვე ზოგ თანამედროვეს.

დიახ, სასაცილო ხართ ჩემთვის, თქვენ თანამედროვენო! და განსაკუთრებით, ოდეს თქვენი თავი გაკვირვებთ!

ვაი მე, უკეთუ ვერ შევძლებდი სიცილს თქვენი გაკვირვებისათვის და შევსვამდი თქვენი სასმისით ყველა საზიზღრობას!

ხოლო მსურს შეღავათით მოგეპყროთ, რადგან რაღაც მძიმე მაქვს სატარები; და რას მაწუხებს მე, უკეთუ ჭიები და მფრინავი მატლები ჩემ ტვირთზე დასხდებიან!

ჭეშმარიტად, ამით არ დავმძიმდები! და არა თქვენით მეწევა მე დიდი დაღლილობა, თანამედროვენო.

ჰე, სად უნდა ვიარო კვლავ ჩემი სევდით! ყოველი მთიდან ვუცქერი მე მამათა და დედათა მიწა-წყალს.

ხოლო სამშობლო არსად მიპოვნია; უბინაო ვარ მე ყოველ ქალაქში და ყოველ კართან - გამგზავრებული.

უცხონი არიან ჩემთვის და სასაცილო თანამედროვენი, მათთვის მომიწევდა ამას წინათ გული; და განდევნილი ვარ მამათა და

დედათა მიწაწყლიდან.

ესე მიყვარს მხოლოდ ჩ ე მ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ქვეყანა, აღმოუჩენელი, შორეულ ზღვებში: მის ძიებისათვის მოვუწოდებ და კვლავ და კვლავ ჩემ იალქანს.

ჩემ შვილებთან გამოვისყიდი, რომ მე მამათა შვილი ვარ: და მთელი მომავლით გამოვისყიდი ა მ თანა დროულობას! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

უბიწო მეცნებისათვის

გუშინ, როდესაც მთვარე ამოვიდა, მეგონა მზესა შვავდა: ესე მძიმედ იწვა იგი ცის კამარაზე.

მაგრამ მომატყუა თვისი ფეხმძიმობით: და უფრო დავიჯერებ, რომ მთვარე მამაკაცია, ვიდრე დედაკაცი.

ნამდვილად, იგი ნაკლებად ემზგავსება მამაკაცს, ეს მორცხვი, ღამის მეოცნებე. ჭეშმარიტად, ბოროტი სინდისით დახეტიალობს იგი სახლების სახურავებით.

რადგან იგი გავსებულია ნდომით და იჭვიანი, ბერი მთვარეში, ნდომით სავსეა მიწისა და მიჯნურთა ყველა სიტკბოებისათვის.

არა, არ მიყვარს ეს ხვადი კატა სახურავებზე! მეზიზღება ყველა, ვინ ნახევრად ღია ფანჯრებს ეპარება!

სათნოდ და მდუმარედ დახეტიალობს იგი ვარსკვლოვან ხალიჩაზე: ხოლო არ მიყვარს მე ფეხაკრეფით მოსიარულე მამაკაცი, რომლის ფეხები დეზებს არ აწკარუნებს!

ყოველი პატიოსნის ნაბიჯი მეტყველებს! კატა კი მიიპარება, მიწას ეკვრება. შეხედე, ვით კატა, უსინდისოდ ამოდის მთვარე. –

იგავს ამას გეტყვით თქვენ, გრძნობიარე ფარისეველნო, თქვენ „წმინდად მმეცნენო“, თქვენ გეძახით მე ლირწთ!

თქვენც გიყვართ მიწა და მიწიერი: კარგად ამოგიცანით! - ხოლო სირცხვილია თქვენ სიყვარულში და უკეთური სინდისი, - მთვარის მგზავსნი ხართ!

თქვენი სული დააჯერეს მიწიერის ზიზღისათვის და არა თქვენი წიაღი: ხოლო ი გ ი უძლიერესია თქვენ შორის!

და ერცხვინება თქვენ სულს, რომ იგი თქვენი წიაღის ანაბარაა და გაურბის თავის საკუთარ სირცხვილს ფარული და ცრუ გზით.

„ჩემთვის უძვირფასესი იქმნებოდა - ესე გეტყვით თქვენ თქვენი მატყუარა სული - ცხოვრებას უნდომელად უცქირო და არა ვით ძაღლმა, გადმოგდებული ენით:

„ბედნიერება მხოლოდ მზერით, მკვდარი ნებით, არა იერიშით და სიხარბით თავკერძობისა - ცივი და ნაცრისფერი მთელი სხეულით, ხოლო მთვარის მთვრალი თვალებით!

„უტკბესი იქმნებოდა ჩემთვის - ესე აცდენს თავს მცდარი - სიყვარული მიწისა, ვით იგი მთვარეს უყვარს, და მხოლოდ თვალებით ვხვდებოდე მის მშვენებას.

„და ამას ვუწოდებ ყველა ნივთთა უბიწო მმეცნებას, რომ არაფერს მოვისურვებდე ნივთთაგან: გარნა ვიწვე მათ წინაშე ვით სარკე ასთავიანი“.

ჰეი, თქვენ ორგულნო მგრძნობარენო, თქვენ ლირწნო! უბიწოება გაკლიათ წადილისათვის: ამად ავს იტყვით წადილისათვის!

ჭეშმარიტად, არა ვით მქმედთ, წარმოთ, ყოფით მხიარულთ გიყვართ თქვენ მიწა!

სად არის უბრალოება? სად წარმოშობის ნებაა. და რომელს თავის ზე მქმედობა სურს, იგია ჩემი უწმიდესი ნებითა.

სად არის მშვენიერება? სად წარმოშობის ნებაა. და რომელს თავის ზე მქმედობა სურს, იგია ჩემთვის უწმიდესი ნებითა.

სად არის მშვენიერება? სად ჩემთვის ჯერ არს ყოვლითა ნებით სურვილი; სად ცხოვრება მსურს და წარხდომა, რათა ხატი არა მხოლოდ ხატად ჰყოფდეს.

სიყვარული და წარხდომა: ესე ერთმანეთს ეტოლება მარად. ნება სიყვარულისა: ესე მზად ყოფაცა სიკვდილად. ამას გეტყვით თქვენ, მხდალნო!

ხოლო თქვენ ცვედან, ბეც გამოხედვას „მჭვრეტელობად“ ჰსურს წოდება. და რასაც მხდალი თვალებით შეეხება, ჰხამდეს

„მშვენიერის“ სახელით! ჰე, თქვენ შემრყვნელნო კეთილშობილ სახელთა!

ხოლო ესეა თქვენი წყევა, თქვენ უმანკონო, თქვენ უბიწო მმეცნენო, რომ აროდეს შვავდეთ: თქვენ რომ ცისკარზედაც იწვეთ სავსენი და მაკენი!

ჭეშმარიტად, ბაგე თქვენი სავსეა კეთილშობილი სიტყვებით: და უნდა ვიწამოთ, რომ გული თქვენი გადმოდუღს, თქვენ მატყუარანო?

ხოლო სიტყვანი ჩ ე მ ნ ი მცირენი არიან, სიტყვანი იძულებულნი, მახინჯნი: სიამოვნებით ვკრებ მე ნამუსრევსა თქვენი ტაბლისაგან გადმოცვინებულსა.

ამით მაინც შემიძლია მართალი გითხრათ თქვენ, ორგულნო! დიახ! ჩემი თევზის ძვლები, ნიჟარები და ეკლიანი ფოთლები უღუტუნებენ თქვენ ცხვირებსა.

ცუდი გუნება მეფობს მარად თქვენ და თქვენ ზეიმთა გარშემო: ჰაერშია თქვენი ლირწი აზრები, სიცრუე თქვენი და თქვენი თვალთმაქცობა!

გაჰბედეთ, საკუთარ თავს დაუჯეროთ - თქვენ თავს და თქვენ შინაგან! რომელს თავისი თავი არა სწამს, მარად ცრუობს.

ღმერთის ნიღაბით დაიფარეთ თავი თქვენივე თავიდან, თქვენ „უბიწონო“! ღმერთის ნიღაბში დაიმალა თქვენი საშინელი ჭიაყელა.

ჭეშმარიტად, ატყუებთ, თქვენ „მჭვრეტელნო“! ერთხელ ზარატუსტრაც მოატყუეთ თქვენი ღვთაებრივი ქურქებით; ვერ ამოიცნო მან გველების გრკალები, რომლით იგინი სავსენი იყვნენ.

ერთხელ ღმერთის სულის თამაშად მეჩვენა თქვენი თამაში, თქვენ უბიწო მმეცნენო! არა ვიცოდი უკეთესი ხელოვნება, ვიდრე თქვენი ჯამბაზობაა!

გველთა საძაგლობას და საზიზღარ სუნს ჩემგან სიშორე ჰფარავდა; და რომ ხვლიკის ეშმაკობა დახეტიალებდა აქ ბილწადა.

ხოლო მ ო გ ი ა ხ ლ ო ვ დ ი თ: მაშინ დღე გამითენდა მე - ეხლა თქვენთვისაც დადგება დღე, - მთვარის მიჯნურება გათავდა!

შეხეთ! იგი სდგას ზედწასწრებული და გაფითრებული - ცისკრის წინაშე!

რადგან იგი უკვე მოდის, მგზნებარე, - მოდის მ ი ს ი სიყვარული მიწისადმი! უბიწობა და ვნება მმქმედისა - ეს არის მზის სიყვარული.

შეხედეთ, როგორ მოუთმენლად ამოდის იგი ზღვასა ზედა! განა არა ჰგრძნობთ მის წყურვილს და მისი სიყვარულის ცხელ სუნთქვას?

მას სურს ზღვა სწოვოს და მაღლით შეჰსვას მისი სიღრმენი: და ათასი ძუძუთი აღიმართება ზღვის ვნება.

მას მზის მწყურვალების კოცნა ჰ ს უ რ ს და წოვნა; ჰ ს უ რ ს ჰაერი იყოს და მწვერვალი, ნათლის საფეხური და თვით ნათელი.

ჭეშმარიტად, მიყვარს ცხოვრება, ვით მზე, და ყველა ღრმა ზღვა.

და ამას ვუძახი მე მმეცნებას: ყოველი სიღრმე აღმართოს - ჩემი მწვერვალისაკენ! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მეცნიერთათვის

ერთხელ, როს მეძინა, ცხვარი კირჭნიდა სუროს გვირგვინს, თავს რომ მიმკობდა, - კირჭნიდა და თან ამბობდა: „ზარატუსტრა მეცნიერი აღარ არის“.

სთქვა და ამპარტავნად და ამაყად გაბრუნდა. ეს ერთმა ბავშვმა მიამბო.

სიამოვნებით ვწევარ აქ, სად ბავშვები თამაშობენ, დანგრეულ კედელთან, ბოყვერა ბალახისა და წითელი ყაყაჩოების შორის.

კვლავ მეცნიერი ვარ ბავშვებისა და ბოყვერა ბალახისა და წითელი ყაყაჩოებისათვის. უბიწონი არიან თვით თავის ბოროტებითაც.

ხოლო ცხოვრებისათვის ასე აღარა ვარ: ესე ჰსურს ჩემს ბედსა - კურთხეულ იყოს იგი.

ესეა ჭეშმარიტება: გამოველ მეცნიერთა სახლიდან და კარიც გამოვიჯახუნე.

ძლიერ დიდხანს უჯდა ჩემი დამშეული სული მათ სუფრას; მზგავსად მათდა, არ აღვმართულვარ მმეცნებისათვის, ვით კაკლის

სამტვრევად.

თავისუფლება მიყვარს მე და ჰაერი უბიწო მიწასა ზედა; უკეთესია დავიძინო ხარის ტყავებზე, ვიდრე მათ პატივსა და მათ ღირსებაზე.

ფრიად ცხელი ვარ და ჩემი საკუთარი აზრებით ფრიად მწვარი: ხშირად ეს სუნთქვას მიხუთავს! მაშინ საჭიროა სუფთა ჰაერი და გაქცევა ყოველი მტვრიანი ოთახებიდან.

ხოლო იგინი გრილად სხედან და გრილ ჩრდილში ჰსურთ ყველაფრის მაყურებელნი იყვნენ და გაურბიან ჯდომას იქ, სადაც მზე საფეხურებს ავარვარებს.

მათ მზგავსად, რომელნი ქუჩაში სდგანან და გამვლელ-გამომვლელთ შეჰყურებენ: ესრედ იგინი უცდიან და შეჰყურებენ სხვათა მიერ ნაფიქრებ აზრებს.

შეეხეთ ხელით, იგინი მტვერს დააყენებენ, ვით ფქვილის ტომრები, და უნებლიედ; ხოლო ვინ მიხვდება, რომ მათი მტვერი მარცვლებისაგან წარმოსდგება და ზაფხულის ყანების ყვითელი ნეტარებისაგან?

უკეთუ ისინი ბრძნობას ჩემულობენ, მათი თქმანი და ჭეშმარიტებანი მამცივნებენ: მათ სიბრძნეს რაღაც სუნი ასდის, თითქოს წუმპეს წარმოეშვას: და ჭეშმარიტად, იქიდან კიდეც მსმენია ბაყაყის ყიყინი!

ხერხიანები არიან, გამოცდილი თითები აქვთ: რა არის ჩემი მარტივობა მათ სირთულესთან! მათმა თითებმა ყველა ნაქსოვი, ნანასკვი და ნართავი იციან: ესე ჰქსოვენ სულის წინდებსა!

საათის კარგი მექანიზმები არიან: ხოლო იზრუნეთ, რათა კარგად მოიმართნონ! მაშინ უცდომელად აჩვენებენ დროს და ამასთან მოკრძალებით ხმაურობენ!

იღწვიან, ვით წისქვილნი და საჩეხელნი: ხოლო მიაწოდეთ საფქვავი! - მათ კარგად იციან მარცვლის დაბეგვა და მისი თეთრ მტვრად ქცევა.

კარგად აკვირდებიან ერთმანეთის თითებს და ერთმანეთს ძლიერ არ ენდობიან. ხერხიანები პატარა ეშმაკობისათვის, იგინი უდარაჯებენ მათ, ვისი ცოდნაც მოიკოჭლებს - უდარაჯებენ, ვით ობობა.

მარად ვხედავ, ფრთხილად შხამს ამზადებენ; და ამ დროს მარად მინის ხელთათმანებს იცვამენ.

ყალბი კამათლებით იციან თამაში; მინახავს იმდენად მხურვალედ უთამაშნიათ, რომ გაოფლიანებულან.

უცხონი ვართ ურთიერთისათვის და მათი სიქველე ჩემ გემოვნებას მეტად ეწინააღმდეგება, ვიდრე მათი სიყალბე და ყალბი კამათლები.

და ოდეს მათთან ვცხოვრობდი, მათ ზემოთ ვცხოვრობდი. ამად შემიძულეს.

გაგონებაც არა ჰსურთ, რომ მათ თავზე ვინმე დაიარება; და ამად დასდეს შეშა, მიწა და ნაგავი ჩემსა და თავის თავთა შორის.

ესე გაანელეს ჩემი ნაბიჯების ხმაურობა: დღემდე ყველაზე უარესად მეცნიერები მისმენდნენ.

ადამიანთა ყოველი უძლურება და შეცდომა მოათავსეს მათ თავისა და ჩემ შორის: - „ყალბ იატაკს“ უწოდებენ ამას თავის სახლებში.

ხოლო მიუხედავად ყოვლისა ჩემი აზებით დავიარები მათ თავებზე; და თვით მაშინ, ოდეს ჩემი საკუთარი შეცდომით მსურდეს სვლა, კვლავ მათ ზევით ვიქნები და მათ თავზე.

ადამიანები თანასწორნი ა რ არიან: ამას იტყვის სამართლიანობა, და რაც მე მსურს, არა ჰხამს მ ა თ თ ვ ი ს სურვილად.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

პოეტთათვის

„მას შემდეგ რაც სხეულს უკეთ ვიცნობ, - უთხრა ზარატუსტრამ ერთ თავის მოწაფეს - სული თითქოს მხოლოდ სულია; და ყოველი „წარუვალი“ აგრეთვე მხოლოს სიმბოლოა“.

„ესე ერთხელაც მსმენია შენგან, უპასუხა ყრმამ; და მაშინ თან დაუმატე: „ხოლო პოეტები ხშირად სცრუიან“. რატომ სთქვი, რომ პოეტები ფრიად სცრუიან?“

„რატომ? სთქვა ზარატუსტრამ. მეკითხები, რატომ? არ ვეკუთვნი მათ, რომელთ „რატომს“ ეკითხებიან.

განა ჩემი განცდები გუშინდლიდან დაიწყო? უკვე დიდი ხანია, რაც ჩემ აზრთა საფუძვლები განვიცადე.

განა მოგონებათა ჭურჭელი არ უნდა ვიყო, რომ ჩემს საფუძვლებს

თან ვატარებდე?

ისიც მეტია, რომ ჩემ აზრებს ვინახავ; და რამდენი ჩიტი მიფრინავს.

და მათ შორის ჩემს სამტრედეში ვპოულობ საიდანღაც მოფრენილ, ჩემთვის უცხო ცხოველს; იგი თრთის, ოდეს შევეხები.

მაგრამ რას გეტყოდა შენ ზარატუსტრა? რომ პოეტები ნამეტნავად ბევრსა ცრუობენ? - ხოლო ზარატუსტრაც პოეტია.

გწამს, რომ ამით მან მართალი სთქვა? რადა გჯერა?“.

ყრმამ უპასუხა: „მწამს ზარატუსტრასი“. ხოლო ზარატუსტრამ თავი გაიქნია და გაიცინა.

რწმენა არ მიხსნის, თქვა მან, თვით რწმენა ჩემი თავის.

ხოლო უკეთუ ვინმემ გულით სთქვა - პოეტები ნამეტნავად სცრუობენო; იგი მართალს იტყოდა, - ჩვენ ნამეტანს ვცრუობთ.

ძლიერ მცირე ცოდნა გვაქვს და ცუდადა ვსწავლობთ: ამად გვჭირდება სიცრუე.

რომელს ჩემგან პოეტთაგან არ შერყვნია ღვინო თვისი? რამდენი შხამიანი ხსნარი შეზავებულა ჩვენ სარდაფებში, აუწერელი რამ მოხდა იქ.

და ვინაიდან მცირედი ვიცით, ღატაკნი სულით გულით გვიყვარს უფროსად, უკეთუ ისინი ახალგაზრდა ქალები არიან.

ხარბნი ვართ საქმეთათვის, რომელთ მოხუცი დედაკაცები საღამოობით ერთმანეთს უამბობენ. ამას ვუწოდებთ ჩვენ შორის მარადიულ ქალურს.

და თითქოს ცოდნისათვის საკუთარი საიდუმლო ხვრელი არსებობდეს, რომელი იმათ მარხავს, რომელნი რასმეს სწავლობენ: ესე გვწამს ხალხი და მისი „სიბრძნე“.

ხოლო ესე სწამთ პოეტთ: რომელი მოლზე ან მწირ ფერდობზე მწოლარე ყურებს ცქვიტავს, იგი რაღაცას განიცდის ცისა და დედამიწის შორის მყოფ ნივთათვის.

და ოდეს მათ ნაზი აღტკინება ეწვევა, პოეტები ჰფიქრობენ, რომ თვით ბუნებაა მათზე შეყვარებული:

და რომ იგი ეპარება მათ ყურებს, რათა საიდუმლოება ჩასჩურჩულოს და მლოცი სიტყვები; ამით ამაყობენ და ამპარტავნობენ ყველა მოკვდავთა წინაშე!

ჰეი, ბევრი რამეა ცისა და დედამიწის შორის, რომელთათვის მხოლოდ პოეტები რასმე ოცნებობენ!

განსაკუთრებით ცის ზედა: რადგან ყველა ღმერთები პოეტთა სიმბოლოებია, პოეტთა თხზულება!

ჭეშმარიტად, მარად ზენად ვისწრაფით - ღრუბელთა სამეფოდ: მათ ზედა ვათავსებთ ჩვენ საფრთხობელებს და მათ ღმერთებს და ზეკაცებს ვუწოდებთ. –

იგინი ხომ საკმაოდ მსუბუქნი არიან სკამთათვის! - ყველა ეს ღმერთები და ზეკაცნი.

ჰეი, ვით დავიღალე ყოველი უბადრუკობით, რომელს უსათუოდ მოვლენად ყოფნა ჰსურს! ჰეი, ვით დავიღალე მე პოეტებით!

ოდეს ზარატუსტრა ამას ამბობდა, მისი მოწაფე ჯავრობდა, მაგრამ სდუმდა, და ზარატუსტრაც სდუმდა, თვალი თვისი შიგნით მიემართა, თითქოს შორით იქცირებოდა. ბოლოს ამოიოხრა და ისუნთქა.

დღეისა და ოდესღაცისა ვარ, სთქვა მან შემდეგ; ხოლო რაღაც არის ჩემ შორის, იგი ხვალინდელისაა, ზეგინდელისა და მყობადისა. დავიღალე ძველი და ახალი პოეტებით: ზერელედ მეჩვენებიან და დამშრალ ზღვებად.

მათ საკმაოდ არ უაზროვნიათ სიღრმით: ამად მათი გრძნობა საფუძველს ვერ სწვდება.

ცოტა სიამოვნება, ცოტა მოწყენილობა: ესეთია კიდევ მათი საუკეთესო აზრები.

ლანდების ოხვრად და ცქერად მეჩვენება მე მათი ქნარის ჟღერა: რა უწყიან მათ დღემდე ბგერათა მსვლელობისა! –

იგინი ჩემთვის არც საკმაოდ წმინდანი არიან: ყველა იგინი თავის წყალს ამღვრევენ, რათა ღრმა გამოჩნდეს.

სიამოვნებით თავი მომრიგებლად მოაქვთ, ხოლო ჩემთვის ამით შუამავლებად რჩებიან და შემზავებლად, ნახევარდ ნახევარნი და

უწმინდურნი!

ჰეი, ხშირად ვისროდი ბადეს მათ ზღვაში და კარგი თევზი მსურდა დამეჭირა; ხოლო ზევით მარად მოხუცი ღმერთის თავი ამომქონდა.

ესე მაშვრალს ზღვამ ქვა მისცა. იგინი ზღვის შთამომავალნი არიან.

ცხადია, მათ შორის მარგალიტიც იპოვნება: მით მეტად მაგარ ნიჟარებს ემზგავსებიან. და სულის მაგიერ ხშირად მათ შორის მლაშე ლორწო მინახავს.

ამაოებაც მათ ზღვისაგან ისწავლეს: განა ზღვა ფარშავანგთ ფარშავანგი არ არის?

თვით უსაზიზღრესი კამეჩის წინაშე ჰშლის იგი თავის ბოლოს, აროდეს მობეზრდება მას თვისი მარაოს ვერცხლი და აბრეშუმი.

კერპად უმზერს მას კამეჩი, სულით ახლოს ქვიშასთან, უფრო ახლო ჯაგნარისა, უფრო ახლო ჭაობისა.

რა არის მისთვის მშვენიერება, ზღვა და ფარშავანგის სამკაული! ამ იგავს ვეტყვი მე პოეტთ.
ჭეშმარიტად, მათი სული ფარშავანგთ ფარშავანგია და ზღვა ამაოებისა!

მზერალთ ეძიებს პოეტის სული: თუნდაც კამეჩი იყოს! –

ხოლო ეს სული მომბეზრდა მე: და ვხედავ მოვალს ჟამი მას თავი თვისი მოჰბეზრდება.

უკვე ვნახე შეცვლილი პოეტები და თვის წინააღმდეგ მიეპყრათ თვალნი. ვნახე მომავალნი - სულით მონანიენი: იგინი პოეტთაგან წამოიზარდნენ. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

დიდ მოვლენათათვის

ზღვაში ერთი კუნძულია - ზარატუსტრას ნეტარი კუნძულების სიახლოვით - სად მარად ცეცხლის მთა ჰბოლავს; ხალხი ამბობს, უფროსად მოხუცი დედაკაცები ხალხიდან ამბობენ, იგი ქვესკნელის კარს აწევს, ვით კლდის ლოდი: ხოლო თვით ცეცხლი მთაში ქვეშეთისაკენ ვიწრო გზა არის, რომელი ქვესკნელის ამ კარისაკენ

მიდის.

და, აი, ერთხელ, ოდეს ზარატუსტრა ნეტარ კუნძულზე ჰყოფდა, რომელიღაც ხომალდმა ღუზა ჩააგდო კუნძულთან, რომელზედაც ცეცხლის მთა აღმართულა; და მისი მეზღვაურნი გადმოვიდნენ ხმელეთზე კურდღლებზე სანადიროდ. ხოლო შუადღის ჟამს, ოდეს კაპიტანნი და მისი მეზღვაურნი კვლავ შეიკრიბნენ, უეცრად შეამჩნიეს ერთი კაცი ჰაერში, რომელიც მათ უახლოვდებოდა და რაღაც ხმამ მკაფიოდ წარმოსთქვა: დროა! დიდი ხანია დროა!“ ხოლო ოდეს ლანდი მიუახლოვდა - იგი გაფრინდა ვით ჩრდილი, ცეცხლის მთისაკენ - მათ, ფრიად განცვიფრებულთ, იცნეს - იგი ზარატუსტრა იყო ყველას უკვე ნანახი ჰყავდა, გარდა კაპიტნისა და უყვარდათ იგი, როგორც ხალხს უყვარს: თანაბარი სიყვარულით და შიშით.

„შეხედეთ! სთქვა მოხუცმა მესაჭემ; აგერ ზარატუსტრა ჯოჯოხეთს მიემართება!“ –
იმ დროს, ოდეს მეზღვაურნი ცეცხლის მთას მიადგნენ, დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ზარატუსტრა გაქრა; და ოდეს მის მეგობართ ეკითხებოდნენ, იგინი ამბობდნენ, რომ იგი ღამით ხომალდისაკენ წავიდა და არ უთქვამს, საითკენ ჰსურდა მოგზაურობა.

მაშინ დაიწყო მღელვარება; ხოლო სამი დღის შემდეგ ეს მღელვარება გამძვინვარდა მეზღვაურთა ნაამბით - და ხალხი იტყოდა, ზარატუსტრა ეშმაკმა წაიღოო. მართალია, მისი მოწაფენი სცინოდნენ ამ ხმებს და ერთმა მათგანმა კიდეც სთქვა: „უფრო დავიჯერებდი, რომ ზარატუსტრამ ეშმაკი წაიღო“. ხოლო ყველა იგინი შესწუხდნენ და შეშფოთდნენ სულის სიღრმით: ამად დიდი იყო სიხარული მათი, ოდეს ზარატუსტრა მეხუთე დღეს მათ შორის გამოჩნდა.

და ესეა ზარატუსტრას ნაამბობი ცეცხლის ძაღლთან ნალაპარაკევისა:

მიწას, სთქვა მან, გარსი აქვს და ამ გარსს - სნეულებანი. ერთ ამ სნეულებათაგანს, მაგალითად, „ადამიანი“ ეწოდება.

და მეორეს, ამ სნეულებათაგანს „ცეცხლის ძაღლს“ უწოდებენ: მასზედ ადამიანები ბევრ ცრუს იტყოდნენ და სიცრუეს ათქმევინებდნენ.

რათა საიდუმლოება ამომეცნო, გადავიარე ზღვა: და ვნახე ჭეშმარიტება შიშველი, ჭეშმარიტად, ფეხშიშველი ყელამდე.

აწ ვიცი ყოველი ცეცხლის ძაღლისა; და ყოველი აღმომხეთქ-

შთამხეთქ ეშმაკთა, რომელთა არა მხოლოდ მოხუც დედაკაცთ ეშინიათ.

„ზეამო შენი სიღრმიდან, ცეცხლის ძაღლო! შევყვირე მე, და აღიარე რამდენად ღრმაა სიღრმე შენი! საიდან არის, რასაც სიღრმით ამოიდორბლები?

ხარბად ჰსვამ ზღვას: ამას გვიმხელს შენი მლაშე მჭევრმეტყველება! მართლად, ქვესკნელის ძაღლისათვის ფრიად ბევრ საკვებს იღებ ზედაპირისაგან!

სულ ბევრი, მიწის მუცლით მოლაპარაკედ მიმაჩნიხარ: და ოდეს ვუსმენდი ამომხეთქ და შთამხეთქ ეშმაკთა ლაპარაკს, შენ მზგავსებას ვპოვებდი: იყვნენ მლაშენი, მატყუარნი და ზედაპირულნი.

თქვენ იცით ღრიალი და ნაცრით დაბნელება! საუკეთესო მკვეხარანი ხართ და საუკეთესოდ შეისწავლეთ ხელოვნება შლამის ათუხთუხებისა.

სად თქვენა ხართ, იქ უნდა მლაშიც ჰგიებდეს და მრავალი ღრუბლოვანი, დასვრეტილი და დაწრეტილი: ყველა იღწვის თავისუფლებისათვის.

„თავისუფლება“ - ღრიალებთ ყველა თქვენ დიდი მხურვალებით: ხოლო მე გადავეჩვიე „დიდ მოვლენათა“ რწმენას, რადგან მათ გარშემო დიდი ღრიანცელია და კვამლი.

დამიჯერე, მეგობარო, ჯოჯოხეთის ხმაურო! უდიდესი მოვლენანი - ესაა არა ჩვენი დიდი ხმაურის, არამედ ჩვენი ყველაზე ჩუმი საათები.

არა ახალი ხმაურის გამომგონების, არამედ ახალ ღირებულებათა აღმომჩენთა გარშემო ტრიალებს ქვეყანა; იგი ჩ უ მ ა დ ტრიალებს.

მაშ აღიარე! ოდეს შენი ღრიანცელი და კვამლი გაფანტულა, მარად აღმოჩენილა, რომ მხოლოდ ცოტა რამ მომხდარა. რა არის მერმე, რომ ერთი ქალაქი მუმიად ქცეულა და რომელიმე ქანდაკება ტალახში ჩაფლულა.

და ამას ვეტყვი კვლავ ქანდაკებათა დამხობთ. დიდი რეგვენებაა ზღვაში მარილისა და ქანდაკებათა ტალახში ჩაყრა.

თქვენი ზიზღის ტალახში ეგდო ქანდაკება: ხოლო ესეა მისი კანონი - იგი ზიზღით კვლავ სიცოცხლესა და მაცხოვარ მშვენიერებას შეიმოსავს!

მთელი ღვთაებრივი სახით აღსდგება იგი და წარმტაცი ტანჯვით: და ჭეშმარიტად! მადლობასაც გეტყვით, რომ დაამხეთ, თქვენ დამამხობელნი!

ხოლო მეფეთ და ეკლესიათ და ყოველთ, რომელნი მოხუცებულობით და სათნოებით უძლურნი არიან, ამ რჩევას ვაძლევ - დასთანხმდით დამხობას! რათა კვლავ ცხოვრებას დაუბრუნდეთ და თქვენ დაგიბრუნდეთ სათნოება!“

ამას ვეტყვი ცეცხლის ძაღლს: მაშინ შემაწყვეტინა ღრენით და მკითხა: „ეკლესია? რა არის ეკლესია?“.

„ეკლესია? ვუპასუხე, სახელმწიფოს მზგავსებაა, მზგავსება უფროსად მატყუარა. მაგრამ გაჩუმდი, შენ ცეცხლის ძაღლო! შენ ხომ უკეთესად იცნობ შენს მზგავსს!

მზგავსად შენდა, თვით სახელმწიფო ცბიერების ძაღლია; მზგავსად შენდა, იგი ღრიანცელით და კვამლით ლაპარაკობს, - რათა მზგავსად შენდა დააჯეროს, რომ იგი ნივთთა წიაღიდან ლაპარაკობს.

რადგან მას ჰსურს დედამიწაზე სრულიად უმნიშვნელოესი ცხოველი იყოს სახელმწიფო, და კიდევაც სჯერათ მისი“. –

ოდეს ამას ვიტყოდი, ცეცხლის ძაღლი შურით დაიკლაკნა, ვით შეშლილი. „როგორ? ჰყვიროდა ის, უმნიშვნელოესი ცხოველი ქვეყანაზე, და კიდევაც სჯერათ მისი? და იმდენი ორთქლი და შემზარავი ხმა აღმოხდა მისი პირიდან, რომ მეგონა ბრაზით და შურით დაიხრჩოდა.

ბოლოს დამშვიდდა და მისი ქშენა დაწყნარდა; ხოლო როდესაც გაჩუმდა სიცილით ვუთხარი:

„ბრაზი გერევა, ცეცხლის ძაღლო: მაშ მე მართალი ვყოფილვარ!

და რათა მართალი დავრჩე, მოისმინე ცეცხლის სხვა ძაღლისზეც: იგი მართლა მიწის გულიდან მეტყველებს.

ოქროს ამოსუნთქავს მისი გული და ოქროს წვიმას, ესე ჰსურს მის გულსა. რა არის მისთვის ფერფლი და კვამლი და ცხელი დორბლი!

სიცილი ამოხდება მას, ვით ჭრელი ღრუბელი; ეზიზღება მას შენი თუხთუხი, ფურთხი და ნაწლავების ყუყუნი!

ხოლო ოქროსა და სიცილს - მიწის წიაღიდან იღებს: რადგან, გაიგე, მ

ი წ ი ს გ უ ლ ი ო ქ რ ო ა“.

ოდეს ეს გაიგონა ცეცხლის ძაღლმა, აღარ ძალუძდა ჩემი მოსმენა. შერცხვენილმა კუდი ამოიძუა, წაილუღლუღა: ვაუ! ვაუ! და თავის სოროში შეხოხდა. –

ამას ამბობდა ზარატუსტრა. ხოლო მისი მოწაფენი თითქმის არ უსმენდნენ: იმდენად დიდი იყო მათი სურვილი, მისთვის ეამბნათ მენავეთა, კურდღლისა და მფრინავი ადამიანის ამბავი.

„რა უნდა ვიფიქრო ამისა! სთქვა ზარატუსტრამ, განა მოჩვენება ვარ?

ხოლო იგი, ალბათ, ჩემი ჩრდილი იყო. უკვე გსმენიათ ხომ ცოტა რამ მგზავრისა და მისი ჩრდილისა?

ერთი რამეა სწორი: იგი უნდა ცოტა შევამოკლო, თორემ სახელსაც გამიფუჭებს“.
და კვლავ ზარატუსტრამ თავი გაიქნია და განცვიფრდებოდა! „რა უნდა ვიფიქრო ამისა!“ - თქვა მან კვლავ.

„მაგრამ რად ჰყვიროდა მოჩვენება: „დროა! კარგა ხანია დროა!“ განა რ ი ს თ ვ ი ს არის ეს - კარგა ხანია დროა?“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მისანი

„ - და ვიხილე მწუხარება დიდი ეწვია ადამიანთა. უკეთესნი მოიქანცნენ თავისი საქმითა.

ახალი მოძღვრება გამოცხადდა, და მისი გვერდით ახალი სარწმუნოება: „ყველაფერი ცარიელია, ყველაფერი თანასწორია, ყველაფერი იყო!“

და ყოველი გორაკი ბანს აძლევდა: „ყველაფერი ცარიელია, ყველაფერი თანასწორია, ყველაფერი იყო!“

მართლაც, მოსავალი მოვიმკეთ: ხოლო რად დალპა და ჩაშავდა ყოველი ნაყოფი? რა ჩამოვარდა ბოროტი მთვარიდან უკანასკნელ ღამეს?

ამაო იყო ყოველი ღვაწლი, ჩვენი ღვინო შხამად იქმნა, ცუდმა

თვალმა ყვითლად გაახმო ჩვენი მინდვრები და გულნი.

დავშრით ყველა; და თუ ცეცხლი დაგვეცა, განვიბნევით, ვით ნაცარი: დიახ, ჩვენ თვით ცეცხლიც დავღალეთ.

ყველა წყარო დაშრა ჩვენთვის, ზღვამაც უკან დაიხია. ნიადაგი მზად არის რღვევად, ხოლო წიაღს არა ჰსურს ჩაგვყლაპოს!

„ჰეი, არის კვლავ სადმე ზღვა რომ დაგვახრჩობდეს“: ესე გაისმის ჩვენი ჩივილი - შორს დაბლობ-ჭაობსა ზედა.

ჭეშმარიტად, უკვე დავიღალეთ სიკვდილისათვის; კვლავ ვიღვიძებთ და ვცხოვრობთ - საფლავთა შინა!“ –

ესე ესმოდა ზარატუსტრას მისნისაგან; და მისი მკითხაობა მიხვდა მის გულსა და გარდაჰქმნა იგი. მწუხარედ დახეტიალობდა და მოქანცული; დაემზგავსა იგი მათ, რომლებზეც მისანმა ილაპარაკა.

ჭეშმარიტად, ამას ეტყოდა მოწაფეთა თვისთა, ცოტა კიდევ და მოვალს ბინდი იგი გრძელი. ჰეი, ვით გადავარჩინო მისგან სინათლე ჩემი!

რათა სული არ შეუგუბდეს ამ მწუხარებაში! შორეულ ქვეყანათათვის უნდა იყოს იგი ნათელი და უშორეს ღამეთათვის.

ესე შეპყრობილი გულით დაეხეტებოდა ზარატუსტრა; და სამ დღეს არა უსვამს და უჭამია. არ მოუსვენია

და სიტყვა დაჰკარგა. ბოლოს ღრმა ძილით ჩაეძინა. მოწაფენი გარს უსხდნენ უძილო, გრძელი ღამეები და შეწუხებულნი უცდიდნენ გაიღვიძებდა თუ არა, დაიწყებდა თუ არა ლაპარაკს და განიკურნებოდა თუ არა თვისი სევდისაგან.

ესეა სიტყვა, რომელი ზარატუსტრამ წარმოსთქვა ოდეს გაიღვიძა: ხოლო მისი სიტყვები მოწაფეთ თითქოს შორით ესმოდათ:

„ისმინეთ სიზმარი ჩემ მიერ ნახული, თქვენ მეგობრებო! და დამეხმარეთ ახსნად მისდა!

გამოცანაა კვლავ ჩემთვის სიზმარი ესე: მისი აზრი მისვე შორის არის ფარული და პყრობილი და კვლავ მას ზედა ვერ აფრენილა თვისი ფრთებით.

უარვყე ყოველი ცხოვრება, ესე მესიზმრა, ღამისა და საფლავთა გუშაგად გარდავიქმენი იქ, სიკვდილის მწირი მთის კოშკისა.

იქ მაღლა ვდარაჯობდი მის კუბოს: სავსე იყო შავ-ბნელი თაღები გამარჯვების ამ ნიშნებით. შუშის კუბოებით მიმზერდა მე ძლეული ცხოვრება.

მტვრიან მარადისობათა სუნს ვყნოსავდი. დამძიმებული და მტვრიანი განირთხა სული ჩემი. თვით აქაც ვინ შესძლებდა სულით განეხარა!

შუაღამის სინათლე კვლავ გარს მერტყა, მარტოობა მის ახლოს მოკუნტულიყო; და, მესამე, ხრიალი სიჩუმე, ჩემ მეგობართაგან უარესი.

გასაღები დამქონდა მე, გასაღები უჟანგესი; და მით ვიცოდი მე ყველა ჭიშკართა უხმიანესთა გაღება.

ვით ბოროტი ჩხავილი, ხმა რბოდა გრძელი დერეფნებით, როდეს ჭიშკრები განიღებოდა; უჟმურად ჰყვიროდა ეს ფრინველი, არ უყვარდა გაღვიძება.

ხოლო უსაშინელესი იყო და გულმომკვლელი, ოდეს კვლავ ყოველი დადუმდებოდა, ირგვლივ სიჩუმე იყო და მარტო ვიჯექი ამ ზარმხდომ სიჩუმის შორის.

ესე მიდიოდა ჩემთვის, მიცოცავდა დრო, თუ დრო კიდევ იყო: რა ვიცი! ხოლო ბოლოს მოხდა, რამაც გამაღვიძა.

სამჯერ დასცხეს კარს, ვით ქუხილმა, სამჯერ ბანი მისცა და იღრიალა თაღებმა. მაშინ მივაშურე ჭიშკარს.

ალპა! - ვიყვირე მე, - ვის მიაქვს ფერფლი თვისი მთად! ალპა! ალპა! ვის მიაქვს ფერფლი თვისი მთად?

და დავაწექი გასაღებს და ვაწვებოდი ჭიშკარს და ვძალობდი, ხოლო ოდნავადაც არ გაიღო იგი.
მაშინ ქარიშხალმა განახო ბჭენი მისნი: სტვენით და ჭრიალით და ზრიალით მან შავი კუბო მესროლა:

და კივილით და სტვენით და წრიალით დაიმსხვა კუბო და ათასგვარი სიცილი გადმოაფურთხა.

და ბავშვთა, ანგელოსთა, ჭოტთა, მასხარათა, ბავშვისტოლ პეპელათა ათასი უჟმური ხარხარებდა, დამცინოდა და მისტვენდა.

სასტიკად შემეშინდა: ძირს დავეცი და შიშით პყრობილი ვკიოდი,

როგორც არადეს მიკივლია.

ხოლო საკუთრმა კივილმა გამომაღვიძა: და გონს მოველ“.

ესე უამბო ზარატუსტრამ თავისი სიზმარი და გაჩუმდა: არ იცოდა თვისი სიზმრის მნიშვნელობა.ხოლო მოწაფე, რომელიც მას მეტად უყვარდა, სწრაფად წარმოსდგა, ზარატუსტრას ხელი ხელში ჩაავლო და სთქვა:

„თვით შენი ცხოვრება გვანიშნებს შენი სიზმრის მნიშვნელობას, ჰეი ზარატუსტრა!

განა შენ თვით ქარი არ ხარ მწივანა სტვენით, რომელი სიკვდილის კოშკს განაღებს?

განა შენ თვით კუბო არა ხარ, სავსე ჭრელი უკეთურებით და ცხოვრების ანგელოზთა უჟმურებით?

ჭეშმარიტად, ვით ბავშვთა ათასგვარი სიცილი, შედის ზარატუსტრა ყველა აკლდამაში და დასცინის ღამის და საფლავების დარაჯთ და ვინც ჟანგიან გასაღებთ ახმიანებს.

მათ შეაშინებ და გადააბრუნებ შენი ხარხარით; გონების დაკარგვა და გამოღვიძება დაამტკიცებს შენ ხელმწიფებას მათ ზედა.

და თუნდა გრძელი ბინდი ჩამოწვეს და სასიკვდილო მოდუნება, ჩვენ ცაზე არ ჩახვალ, შენ, ცხოვრების მეოხე!

ახალი ციაგნი გვიჩვენე და ღამის ახალი მშვენიერებანი. ჭეშმარიტად, თვით საცილს გვაფარებდი, ვით ჭრელ კარავსა.

ამიერიდან კუბოებიდან მარად ბავშვთა სიცილი იმდინარებს, ამიერიდან და მარად სასიკვდილო დაღლილობაზე გამარჯვებული ძლიერი ქარი დაჰბერავს: მისი მოწამე ხარ შენ და მისანი!

ჭეშმარიტად, თ ვ ი თ ი გ ი ნ ი ნ ა ხ ე ს ი ზ მ ა რ შ ი, შენი მტრები: ესე შენი უძნელესი სიზმარი იყო!
ხოლო, როგორც შენ თვით გამოგეღვიძა და გონს მოხვედი, ეგრედ ჰხამს მათთვის თავის თავისაგან გამოღვიძება - და შენთან მოსვლა!“
ამას იტყოდა მოწაფე: და სხვანიცა ეხვეოდნენ ზარატუსტრას, ხელსა სჭიდებდნენ და ჰსურდათ დაეჯერებინათ, რათა სარეცელიდან ამდგარიყო, მწუხარება მიეტოვებინა და მათ დაჰბრუნებოდა. ხოლო ზარატუსტრა სწორად იჯდა თავის ლოგინში და უცხო სახით. ვით დიდ მგზავრობის შემდეგ შინდაბრუნებული, უმზერდა თვის

მოწაფეთ და აკვირდებოდა მათ სახეებს; და კვლავ ვერ ეცნო. ხოლო ოდეს იგი წამოსწიეს და ფეხზე წამოაყენეს, მაშინ მეყსეულად იცვალა თვალი მისი; მიხვდა, რაც მოხდა, წვერზე ხელი მოივლო და ძლიერი ხმით წარმოსთქვა:
„ესე! აწ კი ყველაფერს თვისი დრო აქვს; ხოლო იზრუნეთ, მოწაფენო ჩემნო, რათა კარგი სადილი დაგვიმზადონ და მალე! ესე ვფიქრობ მე ცუდი სიზმრების მონანიებას!

მისანმა კი ჩემ გვერდით უნდა სჭამოს და ჰსვას: და ჭეშმარიტად მე კვლავ ვუჩვენებ მას ზღვას, სად მას დახრჩობა შეუძლია“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა. შემდეგ დიდ ხანს უმზერდა სიზმრის ამომცნობ მოწაფეს სახეში და ამასთან თავს აქნევდა.

ხსნისათვის

ერთხელ, ოდეს ზარატუსტრა დიდ ხიდზე მიდიოდა, მას ხეიბარნი და მათხოვარნი შემოესივნენ და ერთმა კუზიანმა ესე მიმართა:

„უყურე, ზარატუსტრა! ხალხიც სწავლობს შენგან და შენ მოძღვრებას ერწმუნება: ხოლო რათა სავსებით გერწმუნოს, მას კვლავ ერთი რამ სჭირდება - ჰხამს კვლავ ჩვენი, ხეიბართა, დაჯერება! აქ დიდი არჩევანი გაქვს და ჭეშმარიტად იშვიათი შემთხვევა! შეგიძლია უსინათლონი განკურნო და კოჭლთ სირბილი დააწყებინო და მათ, ვისაც ზურგზე დიდი ტვირთი აწევს, შეგიძლია აგრეთვე ცოტა რამ წაართვა: - ვფიქრობ ესე სწორი საშუალება იქმნება, რათა ხეიბართ ზარატუსტრა იწამონ“.

ხოლო ზარატუსტრამ მოლაპარაკეს ესე უპასუხა:

„უკეთუ კუზიანს კუზს წაართმევენ, ამით მას სულს წაართმევენ - ამას გვასწავლის ხალხი. უკეთუ უსინათლოს თვალს აუხელთ, იგი ქვეყანაზე ძლიერ ბევრ ცუდს დაინახავს: ესე დასწყევლის იგი მკურნალს. რომელი კოჭლს სირბილს ასწავლის, დიდ ზარალს მიაყენებს: რადგან ოდნავ სირბილს დაიწყებს, თვისი ნაკლი ყველგან თან გაჰყვება - ამას გვასწავლის ხალხი ხეიბართათვის. რად არ უნდა ისწავლოს ზარატუსტრამ ხალხისაგან, უკეთუ ხალხი ზარატუსტრასაგან სწავლობს?

უმნიშვნელოა ჩემთვის მას აქეთ, რაც ადამიანთა შორის ვცხოვრობ, ოდეს ვხედავ: „ამას თვალი აკლია, იმას ყური, მესამეს ფეხი. არიან,

რომელთ ენა დაუკარგავთ, ან ცხვირი, ან კიდევ თავი“.

ვხედავ და მინახავს უარესი და ხანდახან ისეთი საზიზღარი, რომ ყველასათვის ლაპარაკი არ მსურს და ზოგიერთისათვის ვერ გავჩუმდები: ადამიანთათვის, რომელთ ყველაფერი აკლიათ, გარდა იმისა, რომ მათ რაღაც ზედმეტი აქვთ - ადამიანთათვის, რომელნი სხვა არაფერნი არიან, თუ არა ერთი დიდი თვალი, ან დიდი პირი, ან დიდი მუცელი ან რაღაც დიდი, - უკუღმა ხეიბართ უწოდებ ესეთებს.

და ოდეს დავბრუნდი ჩემი მარტოობიდან და პირველად ამ ხიდზე გავდიოდი, ჩემ თვალებს არ დავუჯერე და ვიმზირებოდი და ბოლოს წარმოვსთქვი: „ეს ყურია! კაცი ოდენა ყური!“ უფრო დავაშტერდი და ჭეშმარიტად, ყურის ქვეშ რაღაც მოძრაობდა, რაღაც საცოდავი, პატარა, უბადრუკი და უძლური. მართლაც, უნახავი ყური, პატარა, თხელ ყლორტს ება, - და ყლორტი ადამიანი იყო! მინით შეიარაღებული თვალი შეამჩნევდა, პატარა შურიან სახეს; იგი აგრეთვე შეამჩნევდა ყლორტზე გასივებული, პატარა სული ირხეოდა. ხოლო ხალხი ამბობდა, დიდი ყური არა მარტო ადამიანია, არამედ დიდი ადამიანია, გენიაა. ხოლო ხალხს არასოდეს ვუჯერებდი, ოდეს იგი დიდ ადამიანთათვის ლაპარაკობდა - და დავრჩი რწმენით, იგი უკუღმა ხეიბარი იყო, რომელს ყველაფერი ნაკლები ჰქონდა და ერთი რამ ზედმეტი“.

უთხრა რა ესე ზარატუსტრამ კუზიანს და მათ, ვისთვისაც იგი ვექილი იყო, მიუბრუნდა დიდად უკმეხად თავის მოწაფეთა და ეტყოდა:

„ჭეშმარიტად, მეგობრებო, ვლი ადამიანთა შორის, ვით ადამიანთა ნამუსრთა და ნამსხვრევთა შორის!

ჩემი თვალისათვის საშინელია, ოდეს ვხედავ დამსხვრეულ ადამიანთა და გაბნეულთ, ვით ბრძოლისა და ბრძოლათა ველზე.

და უკეთუ თვალი ჩემი აწმყოდან წარსულით რბის: მარად მზგავსსა ჰხედავს - ნამუსრს და ნამსხვრევს და საშინელ შემთხვევათ - ხოლო არა ადამიანთ!

„აწ“ და „ოდესღაც“ დედამიწაზე - ჰე! მეგობრებო, - ესეა ჩემთვის უფროსად აუტანელი; და არ ძალმიძდა ცხოვრება, უკეთუ მკითხავი არ ვიქმებოდი, რაც მოსვლადა ჰხამს.

მკითხავი, მსურველი, მმქმედი, თვით მყობადი და ხიდი

მყობადისათვის - და ჰეი, თითქოს ხეიბარიც ამ ხიდზე: ყველა ესე ზარატუსტრაა:

და თქვენც ხშირად ეკითხებოდით თავსა: „რა არის ჩემთვის ზარატუსტრა? და უწოდოთ მას?“ და ჩემებრ, პასუხად კითხვით უპასუხებდით.

აღმთქმელია იგი? თუ აღმსრულებელი? დამპყრობი? თუ მემკვიდრე? შემოდგომა? თუ გუთანი? ექიმი? თუ განკურნებული?

მგოსანია იგი? თუ მართლის მთქმელი? განმათავისუფლებელი? თუ მთურგვნელი? კეთილი? თუ ბოროტი?

დავეხეტები ადამიანთა შორის, ვით მყობადის ნამუსრის შორის: მყობადის, რომელს მე ვხედავ.

და, ესეა ჩემი მთელი აზრი და სწრაფვა, რათა შევაერთო და შევკრიბო, რაც ნამსხვრევია და გამოცანა და საშინელი შემთხვევა.

ვით ავიტანდი ადამიანად ყოფას, თუ ადამიანი მგოსანი, გამოცანათა ამომცნობი და შემთხვევისაგან მხსნელი არ იქმნებოდა!

ვიხსნა აღსრულებანი და ყოველი „იყო“ გარდავქმნა ერთ „ესე მსურდა მედ“ - ამას ვეტყოდი მე მხოლოდ ხსნას.

ნება - ესეა სახელი მხსნელისა და კეთილის მახარობლისა: ამას გასწავლიდით თქვენ, მეგობრებო! ხოლო ესეც ისწავლეთ: თვით ნება კვლავ საპყარია.

სურვილი გვიხსნის, ხოლო რა ეწოდება მას, რაც თვით მხსნელს ხუნდებს დაადებს?

„ესე იყო“: ამას ეწოდება ნების კბილთა ღრჭენა და უმწირესი სევდა. უძლური აღსრულებულისათვის - იგი ბოროტი მაყურებელია ყოველი აღსრულებულისათვის.

არ ძალ უძს ნებას უსურველი; არ ძალ უძს სძლიოს დრო და დროის სრბოლა, - ესეა ნების მწირი მწუხარება.

სურვილი გვიხსნის: რას არ ჰფიქრობს თვით ნება, რათა თავი იქმნას თავის მწუხარებისაგან და დასცინის თვის საპყრობილეთა?

ჰეი, რეგვენია ყოველი საპყარი! რეგვენულად იხნის თავს პყრობილი ნებაცა.

დრო უკუ არ იქცევა, ესეა მისი ბრაზი; „რაც იყო“ - ამას ეწოდება ქვა, რომელს იგი ვერ აგორებს.

და ესე აგორებს იგი ქვებსა ბრაზით და შფოთით და შურს იძიებს მის მიმართ, რომელი მზგავსად მისისა ბრაზსა და შფოთს არა ჰგრძნობს.

ესე იქმნა ნება, მხსნელი, მტანჯველი: და ყველას მიმართ, რომელს ტანჯვა შეუძლია, შურს იძიებს, რადგან უკუქცევა არ ძალ უძს.

ესე, მხოლოდ ესეა თვით შ უ რ ი ს გ ე ბ ა: ნების უნებობა წინააღმდეგ დროისა და მისი „ესე იყო“ - სადმი.

ჭეშმარიტად, დიდი რეგვენობაა ჩვენი ნების შორის; და წყევად იქცა იგი ყველა კაცთათვის, რომ ამ რეგვენობამ სულისა ისწავლა!

ს უ ლ ი შ უ რ ი ს გ ე ბ ი ს ა: მეგობრებო, აქამდე ის ადამიანის უკეთესი აზრი იყო; და სად ტანჯვა იყო, იქ უნდა სასჯელიც ყოფილიყო.

„სასჯელი“ - ესე უწოდებს თავს შურისგება: ერთი ყალბი სიტყვით მას კეთილსინდისიერად მოაქვს თავი.

და ვინაიდან თვით მსურველს შორის ტანჯვაა, რადგან მას უკუქცევა არ ძალ უძს, - ამას ჰხამს თვით სურვილი და მთელი ცხოვრება - სასჯელი იყოს!

და ღრუბელი ღრუბელზე ჰგროვდებოდა სულსა ზედა: ვიდრე შეშლილობამ არ დაიწყო ქადაგება: „ყველაფერი წარხდება, ამად ყველაფერი ღირსია წარხდომად!“

და ესეა თვით მართლმსაჯულება, იგი კანონი დროისა, რომ მან თვისი შვილები უნდა შესჭამოს“. ამას ქადაგებდა შეშლილობა.

„ზნეობრივად არის ქვეყნიერება აგებული თანახმად სამართისა და სასჯელისა. ჰე, სად არის ხსნა ნივთთა მდინარებისაგან და „ყოფის“ სასჯელისაგან“? ამას ჰქადაგებდა შეშლილობა.

„არის ხსნა, უკეთუ მარადიული სამართალი არსებობს? ჰე, უძრავია „ეს იყო“ -ს ქვა: მარადნი არიან ყველა სასჯელნი“. ამას ჰქადაგებდა შეშლილობა.

„არა საქმე წაიშლება: სასჯელით ვით გარდაიქმნას საქმე! ესეა მარადიული „ყოფით“ სასჯელისა, რომ ყოფაც მარად საქმედ და დანაშაულად უნდა იქმნას!

„ვიდრე ნება ბოლოს თვით თავისაგან თავს არ იხსნის და სურვილი არასურვილად არ გარდაიქმნება -’’: ხოლო თქვენ უკვე იცით, ძმებო, ესე სიმღერა - არაკები შეშლილობისა.

გაშორებდით ამა არა-სიმღერათ, ოდეს გასწავლიდით: „ნება მქმედია“.

ყოველი „ესე იყო“ ნამუსრია, გამოცანა, საშინელი შემთხვევა - ვიდრე ნება მქმედი არ იტყვის: „ხომ ასე მსურდა“!

ვიდრე ნება მმქმედი არ იტყვის: „მაგრამ მე ასე მსურს! მე ასე ვისურვებ“!

ხოლო სთქვა მან ესე და როდის მოხდა ეს? განა განთავისუფლდა ნება თვისი რეგვენობით?

განა ნება თავისთავის მხსნელი იქმნა და კეთილ-მახარებელი? დაივიწყა მან სული შურისგებისა და კბილთა ღრჭიალი?

და ვინ ასწავა მას შერიგება დროსთან და ყოველ შურისგებასთან შედარებით უმაღლესთან?

ჰხამს სურვილი, უმაღლესი ყოველი შერიგებისა ჰხამს ნებისათვის, რომელი ნებაა ხელმწიფებისადმი -: და როგორ მიაღწევს იგი ამას? ვინა ასწავის უკუსურვილს?“.

ხოლო საუბრის ამ ადგილს ზარატუსტრა მეყსეულად გაჩერდა და იმზირებოდა, ვით უაღრესად

შეშინებული. შეშინებული თვალებით შეხედა მან მოწაფეთ; მისი თვალი სჭვრეტდა, ვით ისრით, მათ აზრებს და საიდუმლო აზრებს. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაიცინა და დაწყნარებულმა სთქვა:

„ძნელია ადამიანებთან ცხოვრება, რადგან ესრედ ძნელია სიჩუმე. უფროსად მოლაყბეთათვის.
ესე იტყოდა ზარატუსტრა. კუზიანი უსმენდა ბაასს და ამასთან სახე დაიფარა; ხოლო ოდეს მოესმა ზარატუსტრას სიცილი, ცნობისმოყვარეობით შეხედა და ნელა წარმოსთქვა:

„მაგრამ რად გველაპარაკება ზარატუსტრა ჩვენ სხვანაირად, ვიდრე თავის მოწაფეთ?“

ზარატუსტრამ უპასუხა: აქ რა გაკვირვებს! კუზიანთან კუზიანად უნდა ლაპარაკი!“

„კეთილი, სთქვა კუზიანმა, და მოწაფეებთან უნდა სასწავლებლიდან ილაყბო.

ხოლო რად ელაპარაკება ზარატუსტრა მოწაფეთ სხვას, ვიდრე თავის თავს?“ –

ადამიანთა სიბრძნისათვის

არა მწვერვალი, ფერდობია საშინელი!

ფერდობი, სად თვალი ძ ი რ ს დაექანება და ხელი მ ა ღ ლ ი თ მწვერვალსა ეჭიდება. მაშინ ბრუის გული თვისი მარჩბივი ნებითა.

ჰე, მეგობრებო, ამოიცანით ჩემს გულშიც ნება მარჩბივი?

ესე, ესეა ფერდობი ჩ ე მ ი და ხიფათი ჩემი, რომ თვალი მაღლით ისწრაფვის და ჩემს ხელს ჰსურს მოეკიდოს და დაეყრდნოს - სიღრმეს!

ადამიანთ ებღაუჭება ნება ჩემი, ჯაჭვით ვეკვრი ადამიანთ, რამეთუ მაღლით ზეკაცი მიტაცებს: მისკენ ჰსურს ჩემს მეორე ნებასა.

და ამად ვცხოვრობ მე ბრმად კაცთა შორის: თითქოს არ ვიცნობდე: რათა ჩემმა ხელმა სულ არ დაჰკარგოს რწმენა თვისი მყარისა.

არ გიცნობთ, ადამიანებო: ესე წყვდიადი და ნუგეში ხშირად მომიცავს.

მჯდომარე ვარ ჭიშკართან ყოველი გაიძვერასათვის და ვკითხულობ: ვისა ჰსურს ჩემი მოტყუება?

ესეა ჩემი ადამიანური პირველი სიბრძნე, რომ თავს ვატყუებინებ, რათა მატყუარების არ მეშინოდეს.

ჰე ადამიანებზე რომ თვალი მეჭიროს: ვით იქმნებოდა ადამიანი ღუზა ჩემი ბუშტისა! ძლიერ ადვილად მომგლეჯდა და ამისროდ-დამისროდა!

ესე განგება ჩემი ბედის ზედა, რათა გაუფრთხილებელი ვიყო.

და რომელს ადამიანთა შორის არა ჰსურს სიკვდილი წყურვილით, ჯერ არს მისდა ცოდნა ყველა სასმისიდან სმისა; და რომელს კაცთა

შორის უმანკოება ჰსურს, ჯერ არს იცოდეს ბანვა ჭუჭყიანი წყლითა.

და ესე ვანუგეშებდი ჩემ თავსა. „კარგი, კარგი! მოხუცო გულო! ერთმა უბედურებამ გიღალატა; იხარებდე ამით, ვით შენი ბედნიერებით“.

ხოლო ესეა მეორე ჩემი ადამიანური სიბრძნე: უკეთ დავინდობ ა მ ა ო თ, ვიდრე ამაყთ.

განა შეურაცხყოფილი ამაოება დედა არაა ყველა ტრაგედიისა? მაგრამ სად სიამაყე შეურაცხყოფილია, იქ სხვა რამ უკეთესი იზრდება, ვიდრე სიამაყე.

რათა ცხოვრება კარგი სანახავი იყოს, ჰხამს კარგი ცოდნა მისი თამაშისა: ამად საჭიროა კარგი მსახიობნი.

კარგი მსახიობები არიან ამაონი: თამაშობენ და ჰსურთ სიამოვნებით უცქერდნენ, - მთელი სული მათი ამ ნებასთან არის.

იგინი თავს წარმოიდგენენ, გამოიგონებენ; მათი სიახლოვით მიყვარს მე ცხოვრების მზერა, - ესე მძიმე გუნებიდან ჰკურნავს.

ამად ვინდობ ამაოთ, რადგან ჩემი მძიმე გუნების მკურნალნი არიან და ადამიანებთან მაახლოვებენ, ვით სანახაობასთან.

და შემდეგ: ვინ განსაზღვრავს ამაოს მორიდებულობის სიღრმეს! კეთილი ვარ და თანამოზიარე მისდამი მისი მორიდებულობისათვის.

თქვენთანა ჰსურს ისწავლოს რწმენა თავის თავისადმი; იგი თქვენი მზერით საზრდოობს, თქვენი ხელიდან თქვლეფავს იგი ქებას.

კვლავ თქვენ სიცრუეს უჯერებს, ოდეს მისთვის კარგად ჰსცრუობთ: რადგან სიღრმით ოხრავს მისი გული; „რა ვარ მე!“.

და უკეთუ იგია ჭეშმარიტი სათნოება, რომელმა თვისი თავისა აღარა იცის: ესე ამაომ არა იცის თვისი მორიდებულობა!

ესეა ჩემი მესამე ადამიანური სიბრძნე, რათა დანახვა ბოროტთა არ შეზიზღდებოდეს თქვენი მხდალობისათვის.

ბედნიერი ვარ ცხელი მზით გამოჩეკილი სასწაულებით: ვეფხვებით, პალმებით და ჩხრიალა გველებით.

ადამიანთა შორისაც არის ცხელი მზის მშვენიერი გამონაჩეკი და მრავალი სასწაულია ბოროტთა შორის.

და ვით თქვენი უბრძნესნი ეგზომად ბრძენნად არ მეჩვენება: ეგრედ გამოვნახე ადამიანთა ბოროტება მისი ცუდი სახელის ქვეშ.

და ხშირად თავისქნევით ვეკითხებოდი თავსა: ნეტავ რად უმღერით თქვენ ეჟვანიანო გველებო?

ჭეშმარიტად, ბოროტისათვისაც არის მყობადი! და უცხელესი სამხრეთი კვლავ ადამიანთათვის არ აღმოჩენილა...

რამდენია დღეს უკვე უცუდეს ბოროტებად წოდებული, რომელიც მხოლოდ თორმეტი ადლია სიგანით და სამი თვე სიგრძით! ოდესმე უფრო დიდი ვეშაპები გაჩნდებიან ქვეყნად.

რათა ზეკაცს თვისი ვეშაპი, ზევეშაპი არ აკლდეს, რომელი მისი ღირსი იქნება: ამად ჯერ არს ბევრი ცხელი მზე ვარვარებდეს ნოტიო ტყეთა ზედა.

თქვენი გარეული კატები ჯერ ვეფხვებად უნდა იქმნენ და თქვენი შხამიანი გომბეშონი - ხვითქებად: კარგ მონადირეს კარგი ნადირობა უნდა ხვდეს!

და ჭეშმარიტად, თქვენ კეთილნო და მართალნო! ბევრით სასაცილონი ხართ და უფროსად თქვენი შიშით მისთვის, რასაც დღემდე „ეშმაკი“ ეწოდება!

ესე უცხონი ხართ დიდსა თქვენი სულით, რომ ზეკაცი თქვენთვის ს ა შ ი ნ ე ლ ი იქმნებოდა თავის ქველობით.

და თქვენ ბრძენნო და მმეცნენო, თქვენ გაექცეოდით სიბრძნის მზიურ სიცხეს, რომელშიც ზეკაცი სიამოვნებით თვის სიშიშვლეს აბანავებს!

თქვენ კაცნო, უფროსად მართალნო, რომელნი ჩემთ თვალთ უნახავს! ეჭვი ჩემი თქვენდამი და ჩემი იდუმალი სიცილი ასეა: ვგონებ თქვენ ჩემ ზეკაცს ეშმაკს უწოდებთ!

ჰე, მოვიქანცე უმაღლესობით და უკეთესობით! მათი „სიმაღლით“ მაღლით ვისწრაფი, გარეთ, შორს, ზეკაცისაკენ!

საშინელება დამაწვა მე, ოდეს ეს უკეთესი შიშველნი ვნახე: მაშინ შემესხა ფრთები ფრენად შორი მყობადისაკენ.

უფრო შორ მყობადთა შორის, უფრო სამხრეთ მხარეთა შორის, ვიდრე იგი რომელიმე ხელოვანს ესიზმრებოდა. იქით, სად

ღმერთებს ტანსაცმლის რცხვენიათ!

ხოლო თ ქ ვ ე ნ ჩაცმულთ მსურს გხედავდეთ, თქვენ მოყვასნო და თანაძმანო, და კარგად მორთულთა და ამაყთ და პატივსაცემთ. თქვენ „კეთილნო და მართალნო“, -

და ჩაცმული მსურს თქვენ შორის ვიდგე - რათა ვერ ვიცნო ჩემი თავი და თქვენ: ესეა სწორედ ჩემი ბოლო ადამიანური სიბრძნე. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ჟამი უწყნარესი

რა მოხდა მეგობრებო? მხედავთ, მოშლილი ვარ, დევნილი, უნებურად მორჩილი, წასვლად მზა - ჰოი, თქვენით წასვლად!

კვლავ ჰხამს ზარატუსტრა დაუბრუნდეს თავის მარტოობას: ხოლო უგუნებოდ უბრუნდება ამჯერად დათვი თვის ბუნაგსა!

რა მოხდა? ვინა ბრძანებს ამას? - ჰეი, ესე ჩემს კაპას ქალბატონსა ჰსურს, მან ესე მიბრძანა; დამისახელებია ოდესმე იგი?

გუშინ საღამოს მელაპარაკა ჩემი უწყნარესი ჟამი: ესე სახელია ჩემი საშინელი ქალბატონისა.

და ესე მოხდა, - ყველა უნდა გითხრათ, რათა არ დამძიმდეს გული თქვენი მეყსეულად მიმავლისადი!

იცნობთ ძილად გამზადებულის შიშსა?

ფეხის ფრჩხილებამდე ეშინი მას, მიწა ეცლება და სიზმარი იწყება.

ამას იგავად გეტყვით. გუშინ ჟამს უწყანრესსა მიწა გამომეცალა: სიზმარი დაიწყო.

ისარი მოახლოვდა, ჩემი ცხოვრების საათმა სუნთქვა შეიგუბა - აროდეს სმენია ჩემ გარშემო ესეთი სიჩუმე: და შიშმა შეიპყრო გული.

და მითხრა უხმოდ: „ე ს ი ც ი შ ე ნ, ზ ა რ ა ტ უ ს ტ რ ა?“ –

ამა ჩურჩულზე შიშით შევჰყვირე და ფერი წამივიდა; ხოლო ვსდუმდი.

მაშინ კვლავ უხმოდ მომმართა: „ეს იცი შენ ზარატუსტრა, და ამას არ ამბობ!“

და მე მხოლოდ ვუპასუხე კერპად: „ესე ვიცი, ხოლო ამის თქმა არა მსურს!“

მაშინ კვლავ უხმოდ მითხრა: „არა გ ს უ რ ს ზარატუსტრა? ეს მართალია? ნუ იმალები შენს სიჯიუტეში!“

და მე ვსტიროდი და ვკანკალებდი, ვით ბავშვი და ვუთხარი: ჰე, მსურს, ხოლო ვით შევძლო! მიხსენ მხოლოდ ამისაგან! ესე არ ძალმიძს“!

მაშინ კვლავ უხმოდ წარმოსთქვა: „შენ რა, ზარატუსტრა! სთქვი შენი სიტყვა და დაიმსხვერი!“

და მე ვუპასუხე: „ჰოი, ესე ჩ ე მ ი სიტყვაა? ვინ ვარ მე? ვუცდი უფრო ღირსეულს, არა ვარ ღირსი თვით მსხვრევისა მისთვის“.

მაშინ კვლავ უხმოდ მითხრა: „შენ რა, ზარატუსტრა. არა ხარ საკმაოდ კნინი ჩემთვის. კნინებას ძლიერ უხეში კანონი აქვს“. –
და მე ვუპასუხებდი; „რა არ აუტანია ჩემი კნინების ტყავსა! ჩემი მწვერვალის ტერფზე ვცხოვრობ: მაღალნი არიან მწვერვალნი ჩემნი? ჯერ არავის უთქვამს. ხოლო კარგად ვიცნობ ჩემ ხეობათ“.
მაშინ კვლავ უხმოდ მითხრა: „ჰე, ზარატუსტრა, რომელი მთებს აღფრქვავს, იგი ხეობათაც აღფრქვავს და მდაბლობთ“. –

და მე ვუპასუხე: „კვლავ არა მთა აღუფქვავს სიტყვასა ჩემსა და რასა ვიტყოდი, კაცთ ვერ აღწევდა. მართლად ადამიანებისაკენ მივდიოდი, ხოლო ჯერ ვერ მიმიღწევია“.

მაშინ კვლავ უხმოდ მითხრა: „რა იცი შენ ამისა! ნამი ეცემა ბალახსა, ოდეს რამე უფროსად მდუმარებს“. –

და მე ვეტყოდი: „იგინი მკიცხავდნენ, ოდეს საკუთარი გზა ვპოვე და ვლიდი; და, ჭეშმარიტად, მაშინ ცახცახებდნენ ფეხნი ჩემნი.

და ამას მეტყოდნენ: გზა აგერია, აწ სიარულიც გავიწყდება!“

მაშინ კვლავ უხმოდ მითხრა: „რა არის კიცხვა მათი! შენ იგი ხარ, რომელს მორჩილება დაავიწყდა: აწ ბრძანება გშვენის.

არ ვიცი ვინ არის იგი, რომელი ყოვლისათვის უფროსად საჭიროა? რომელი დიდსა ბრძანებს.

დიდის აღსრულება ძნელია: ხოლო უფრო ძნელია დიდის ბრძანება.

არ გეპატიება შენ: ხელმწიფება გაქვს და არა გსურს ფლობელობა“.

და მე ვეტყოდი: „არა მაქვს ხმა ლომისა, ბრძანებად“.

მაშინ თითქოს ჩურჩულით მეტყოდა: „უწყნარესი სიტყვებია, რომელნი ქართ აღძრავენ. აზრები, რომელნი მტრედის ფეხებით მოვლენ, ქვეყანას მართავენ.

ჰე, ზარატუსტრა, ჰხამს იყო ჩრდილი მისი, რაც მომავალ არს: ესე იბრძანებლებ და ბრძანებ, რა ვლი წინ“ –

და მე ვეტყოდი: „მრცხევნის“.

მაშინ იგი უხმოდ მეტყოდა: „ჰხამს ყოფა ბავშვად და ურცხვენლად.

კვლავ სიყრმით ამაყობა გაწევს, გვიან გეწვია სიყრმე: ხოლო რომელს ბავშვად ყოფა ჰსურს, ჯერ უნდა ამისთვის სიყრმის ძლევაც“.

და მე დიდ ხანს ვფიქრობდი და ვთრთოდი. ხოლო ბოლოს წარმოვსთქვი, რაც პირველად ვსთქვი: „არა მსურს“.

მაშინ გარშემო სიცილი გაისმა. ვაი, მე სიცილი იგი შიგნეულს მგლეჯდა და გულს მინგრევდა!

და უკანასკნელად გაისმა ჩემდამი: ჰეი ზარატუსტრა, მწიფეა ნაყოფი შენი, ხოლო შენ არა ხარ მწიფე ნაყოფთა შენთათვის!

ესე კვლავ ჰხამს შენთვის მარტოობა: რადგან უნდა კვლავ დამწიფდე.“ –

და კვლავ გაიცინა და ილტვოდა: მაშინ ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, ვით ორმაგი სიჩუმე. მე კი მიწაზე ვიწექი და ოფლი მდიოდა.

- აწ მოისმინეთ ყოველი, რად ვუბრუნდები ჩემ მარტოობას. არარა დამიფარავს თქვენთვის მეგობრებო.

ხოლო ესეც გაიგეთ ჩემგან, ვინ მარად ადამიანთა შორის უჩუმესია და მად ჰსურს ყოფა!

ჰე, მეგობრებო! გეტყოდით კვლავ რამეს, კვლავ რასმე მოგცემდით! რად არ გაძლევთ? განა ძუნწი ვარ?

ხოლო ოდეს ზარატუსტრამ ესე სთქვა, ძლიერი სევდა მოაწვა და მეგობრებთან განშორების სიახლოვე, ესე სტიროდა იგი ხმითა

დიდითა; და არავინ ძალ უძდა ნუგეშისცემად. და ღამით განვიდა მარტოდ და დასტოვა თვისი მეგობრები.

ნაწილი მესამე

თქვენ მაღლით იმზირებით, ოდეს ამაღლებას ეძიებთ,
და მე ძირს ვიხედები, რადგან ამაღლებული ვარ.
ვის ძალუძს თქვენ შორის ერთსა და იმავე დროს
იცინოდეს და ამაღლდეს?
რომელი უმაღლეს მთებს ავლის, იგი დასცინის
ყოველ ტრაგედიას და ყოველ სევდას.
ზარატუსტრა, კითხვისა და წერისათვის.

ყარიბი

შუაღამე იყო და ზარატუსტრა გაუდგა გზას კუნძულის მთით, რათა დილით ადრე მეორე ნაპირს მიეღწია: იქ ჰსურდა ხომალდზე ჩამჯდარიყო. იქ მშვენიერი ნავსაყუდელი იყო, სად უცხო ხომალდებიც სიამოვნებით სდგებოდნენ ღუზად; მათ თან დაჰყავდათ იგინი, რომელთ ნეტარი კუნძულებიდან ზღვით მგზავრობა სურდათ. ოდეს ზარატუსტრა მთას ადიოდა, გზაში მოიგონებდა მრავალ მწირ ხეტიალს სიყრმისას და რაოდენი მთა და მთაგრეხილი და მწვერვალი გადაეარა.

ყარიბი ვარ და მთათმავალი, გულზრახვიდა, არ მიყვარს მდაბლობები და თითქოს დიდ ხანს მშვიდად ჯდომა არ ძალმიძს.

და აწ რაც უნდა ბედი და განცდა მომელოდეს - მგზავრობა იქნება მათ შორის და მთად ვლა; ბოლოს მხოლოდ საკუთარ თავს განვიცდით.

წავა დრო, ოდეს შემთხვევა შემეყრებოდა; და რა უნდა შემემთხვეს კვლავ, რაც უკვე ჩემი საკუთრება არაა!

მიბრუნდება, ბოლოს სახლში მიბრუნდება ჩემი საკუთარი მე და რაც მისგან დიდხანს უცხოეთში იყო გაბნეული ყველა ნივთთა და შემთხვევათა შორის.

და კვლავ ერთი რამ ვიცი: ვსდგევარ ჩემი უკანასკნელი მწვერვალისა და მის წინაშე, რაც ჩემთვის დიდხანს წერილი იყო. ჰე, ჩემ უმძიმეს გზას უნდა გავუდგე! ჰე, დავიწყე ჩემი უმწირესი მგზავრობა!

ხოლო რომელი ჩემი მზგავსია ვერ აიცილებს ამ ჟამსა: ჟამი, რომელი მას ეტყვის: „მხოლოდ ახლა ვლი შენი გზით დიდებისა! მწვერვალი და უფსკრული ერთად იქმნა!

მიდიხარ შენი გზით დიდებისა, აწ შენი უკანასკნელი საფარია, რასაც დღემდე შენი უკანასკნელი საფრთხე ეწოდებოდა!

მიდიხარ შენი გზით დიდებისა: აწ შენი უკეთესი საყრდენი იყოს იგი, რომ შენ უკან გზა აღარ ჰგიებდეს!

მიდიხარ შენი გზით დიდებისა: აქ შენ არავინ უკნიდან გეპარება! შენმა ფეხმა თვით წაშალა შენს უკან გზა და მას ზედა წერილ არს: შეუძლებლობა.

და უკეთუ არა კიბე გექმნება; ჰხამს იცოდე ასვლა საკუთარი თავით: სხვაფრივ ვით ვლიდე მაღლით?

შენი საკუთარი თავით და მაღლით შენი საკუთარი გულით! აწ უნაზესი შენ შორის იქმნეს კვლავ უსასტიკესი.

რომელი მარად თავსა ზოგავდა, იგი ავადმყოფობს მრავალი სიფრთხილით. ქება, რაც მაგრად ჰხდის! არ ვაქებ ქვეყანას, სად ერბო და თაფლი მდინარებს.

ა რ უ ნ დ ა ხ ე დ ა ვ დ ე საკუთარ თავს, ამის ცოდნა საჭიროა, რათა ბ ე ვ რ ს ხედავდე: - ამა სისასტიკეს საჭიროებს ყოველი მთათმავალი.

ხოლო რომელი თვალით მჭრიახია, ვით მმეცნე, ვით ნახოს მან ყველა ნივთში უმეტეს მათი გარსისა!

ხოლო შენ, ზარატუსტრა გსურდა ყოველი საგნის საფუძვლის ნახვა და ქვესაფუძვლისა: ესე ჰხამს შენდა თავსა ზე ასვლა, - უფრო მაღლა, მაღლა, ვიდრე ვარსკვლავნიც შენ ქ ვ ე შ არ მოექცევიან!

დიახ! მაღლით ჩემ თავს ვუმზერდი და ჩემ ვარსკვლავთ: ამას ვუწოდებდი მხოლოდ ჩემ მწვერვალს, მხოლოდ ეს დარჩა ჩემთვის უკან ჩემ უკანასკნელ მწვერვალად! –

ასე გულზრახვიდა ზარატუსტრა, ავიდა რა მთას, და სასტიკი სიტყვებით გულს ინუგეშებდა: რადგან სწუხდა გული მისი, ვიდრე

�ოდეს. და ოდეს მთის მწვერვალს მიაღწია, მის წინაშე სხვა ზღვა გადაშლილიყო: და იგი შეჩერდა უძრავი და უტყვი დიდ ხანს. ხოლო ღამე მწვერვალზე ცივი იყო, ნათელი და ვარსკვლავიანი.

მეცნაურება ბედი ჩემი, სთქვა მან ბოლოს მწუხარებით. ესე! მზადა ვარ. აწ დაიწყო ჩემი უკანასკნელი მარტოობა.

ჰოი, ეს შავი სევდიანი ზღვა ჩემ ქვეშ. ჰოი, ეს მძიმე ღამის უმადურება! ჰოი, ბედო და ზღვა! თქვენსკენ უნდა ქვედავეშვა!

ჩემი უმაღლესი მწვერვალის წინაშე ვდგევარ და ჩემი უგრძესი მგზავრობისა: ამად ჯერ არს უფრო ძირს დავეშვა, ვიდრე ოდესმე მაღლა ავსულვარ:

- ძირს, უფრო ღრმად ტანჯვაში, ვიდრე ოდესმე მაღლა ავსულვარ, შიგნით, უშავეს ტალღამდე! ესე ჰსურს ჩემ ბედსა: ესე! მზადა ვარ.

საით წარმოსდგნენ უმაღლესი მთები? ესე ვიკითხე ერთხელ. მაშინ გავიგე, რომ ზღვიდან ამოდიან.

ესე მოწმობა წერილია მათ კლდეთა და მათ თხემთა კედელთა შინა. უღრმესიდან უმაღლესი თვის მწვერვალად უნდა აღვიდეს. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა მთის მწვერვალზე, სად სიცივე იყო; ხოლო ოდეს ზღვას მიუახლოვდა და ბოლოს მარტოდ კლდეთა შორის იდგა, გზით დაღლილობა და სევდა ეწვია, ვიდრე წინედ.

აწ კვლავ ყველაფერს სძინავს, სთქვა მან: სძინავს ზღვასაც. ძილით მთვარეულად და უცხოდ მიყურებს მისი თვალი.

ხოლო თბილად სუნთქავს, ამას ვგრძნობ მე. და ვგრძნობ კიდევ, იგი სიზმარშია, სიზმარში ეხეთქება მაგარ ბალიშებს.

ჩუ! ჩუ! ვით გმინავს მძიმე მოგონებით! ან ბოროტი მოლოდინით?

ჰე, თანაზიარი ვარ შენი, შენ, ბნელო უჟმურო, და შენთვის ჩემ თავსაც უსაყვედურებ.

ჰე, რად არ არის ხელი ჩემი საკმაოდ ძლიერი! ჭეშმარიტად, სიხარულით გიხსნიდი ბოროტი სიზმრებისაგან! –

და იტყოდა რა ამას ზარატუსტრა, სევდიანად დასცინოდა თავს და მწარედ! როგორ! ზარატუსტრა! სთქვა მან, გსურს ზღვასაც ნუგეში სცე?

ჰე, სიყვარულაღვსილო რეგვენო ზარატუსტრა, შენ ზენეტარო ნდობით! ხოლო ესე იყავი მარად: მარად მიდიხარ ნდობით ყოველი საშინელებისადმი.
ყოველი უჟმურის ლაქუცი გსურდა. ოხვრა თბილი სუნთქვისა, ცოტა თბილი ბალანი თათზე: - და მყის მზად იყავ მისი სიყვარულისა და ახლოობისათვის.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ხიფათია უმწირესის, სიყვარული ყველასადმი უ კ ე თ უ ი გ ი ც ო ც ხ ა ლ ი ა! სასაცილოა, ჭეშმარიტად, ჩემი რეგვენობა და ჩემი მოკრძალება სიყვარულში!

ესე იტყოდა ზარატუსტრა და კვლავ გაიცინა: აქ გაახსენდა დატოვებული მეგობრები, - და თითქოს თავის ფიქრებით მათ წინაშე შეეცოდნა, განურისხდა თავს თავისი აზრებისათვის. და მალე მოხდა ის, რომ მომცინარმა ტირილი დაიწყო: - ბრაზითა და სევდით სტიროდა ზარატუსტრა მწარედ.

ჩვენებისა და გამოცანისათვის

1.

ოდეს მეზღვაურთა შორის ხმა გავრცელდა, რომ ზარატუსტრა ხომალდზეა, რადგან მასთან ერთად გემში ჩაჯდა ერთი კაცი, რომელიც ნეტარი კუნძულებიდან მოდიოდა, - იყო დიდი განცვიფრება და მოლოდინი. ხოლო ზარატუსტრა ორ დღეს სდუმდა და ცივი იყო და ყრუ მწუხარებით ისე, რომ არც მზერაზე და არც კითხვაზე არ უპასუხებდა. მეორე დღეს საღამოს გააღო ყურნი თვისნი, მართალია, კვლავ სდუმდა, რადგან ბევრი არაჩვეულებრივი და სახიფათოს გაგონება შეიძლებოდა ამ ხომალდზე, რომელიც შორიდან მოვიდა და უფრო შორს მიდიოდა. ხოლო ზარატუსტრა მეგობარი იყო იმათი, რომელნი შორით მგზავრობენ და უხიფათოდ ვერა სცხოვრობენ. და ესე სხვათა ყურისგებამ საკუთარი ენა გაუხსნა და მისი გულის ყინული დაადნო: - მაშინ ამას იტყოდა:

თქვენ, გულად მაძიებელთ, გამომცდელთა და ყველას, რომელთ ვერაგი აფრებით საშინელ ზღავში უცურნიათ.

თქვენ, მთვრალთ გამოცანებით, ბინდით მხიარულთ, რომელთა

სულს სალამურით იზიდავს ყოველნი მაცდურნი წიაღნი ზღვისანი:

- რადგან არა გსურთ მხდალი ხელით ძაფის გაყოლა და სად ა მ ო ც ნ ო ბ ა შეგიძლიათ, იქ გძულთ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა.

მხოლოდ თქვენ გეტყვით გამოცანას, რომელი მე ვ ნ ა ხ ე - ჩვენება უმწირესისა. –

დაღვრემილი ვლიდი მე ამას წინათ, ცხედრისფერ ბინდის შორის, - დაღვრემილი და სასტიკი, შეკუმშული ტუჩებით. არა ერთი მზე ჩავიდა ჩემთვის.

ბილიკი, კაჭართა შორის რომ მიდიოდა, ბოროტი, მწირი, რომელს აღარც ბალახი, არც ჯაგნარი მოსწონდა: მთის ბილიკი ხრაშუნებდა ჩემ ფეხის უპოვრობის ქვეშ.

უხმოდ ვაბიჯებდი კაჭარის დამცინავ ხმაურობას, ვფხვნიდი ქვას, მე რომ მაბორძიკებდა: ესე იძალებდა ჩემი ფეხი მაღლით სვლას.

მაღლით: - წინააღმდეგ სულისა, რომელიც მას ძირს სწევდა, უფსკრულისაკენ სწევდა, წინააღმდეგ, სიმძიმის სულისა, ჩემი დემონისა და მოსისხლე მტრისა.

მაღლით: მართალია, ზედ შემჯდომოდა ნახევრად ჯუჯა, ნახევრად თხუნელა; კოჭლი, მოკოჭლებული; ჩემ ყურში ტყვიის, ტყვია-აზრების ჩემ ტვინში ჩამსხმელი.

„ჰე, ზარატუსტრა, ჩამჩურჩულებდა დაცინვით მარცვლობრივ, შენ ქვაო, სიბრძნისა! მაღლით აისროლე თავი, ხოლო ყოველი ნასროლი ქვა უნდა ძირს დაეცეს!

ჰე, ზარატუსტრა, შენ ქვაო სიბრძნისა, ქვაო შურდულისა, შენ ვარსკვლავთა მმუსრავო! ძლიერ მაღლით ისვრი შენს თავსა, - ხოლო ყოველი ნასროლი ქვა უნდა ძირს დაეცეს!

მისჯილი გაქვს შენი საკუთარი თავის ჩაქვავება: ჰე, ზარატუსტრა, შორს ისვრის ქვასა, - ხოლო იგი შ ე ნ ვ ე დაგეცემა!“

აქ ჯუჯა გაჩუმდა და ესე დიდხანს გაგრძელდა. ხოლო მისი სიჩუმე

მაწვებოდა: და ესე ტყუპად უფრო მწირია ადამიანი, ვიდრე მარტო!

ავდიოდი, ავდიოდი, ვოცნებობდი, ვფიქრობდი, - ხოლო ყოველი ზედ მაწვებოდა. სნეულს ვემზგავსებოდი, რომელს თვისი ცუდი ტანჯვა ჰღლის და რომელს უფრო ცუდი სიზმარი აღვიძებს.

ხოლო ჩემ შორის რაღაც არის, რომელს გულადობას ვუწოდებ: იგი დღემდე ჰკლავდა ჩემ შორის ყოველ უკმაყოფილებას. ამა გულადობამ მიკარნახა ბოლოს გაჩერება და თქმა: „ჯუჯა! შენ! ან მე!“ –

გულადობა უკეთესი სასიკვდილო იარაღია, - გულადობა, რომელიც თ ა ვ ს ე ს ხ მ ი ს: რადგან ყოველ თავდასხმაში გამარჯვების მახარობელი მუსიკაა.

ხოლო ადამიანი უგულადესი ცხოველია: ამით სძლია მან ყოველ ცხოველს. გამარჯვების მახარობელი მუსიკით სძლია მან ყოველი ტანჯვა, ხოლო ადამიანური ტანჯვა უღრმესი ტანჯვაა.

გულადობა სძლევს თვით თავბრუს უფსკრულის კიდეზე: და ოდეს არ იდგა ადამიანი უფსკრულთა შორის? განა თავისი თავის მზერა უფსკრულის მზერა არ არის?

გულადობა უკეთესი სასიკვდილო იარაღია: გულადობა ჰკლავს თვით თანაგრძნობას. ხოლო თანაგრძნობა უღრმესი უფსკრულია: რადგან რამდენად ღრმადაც უყურებს ადამიანი ცხოვრებას, იმდენად ღრმად უყურებს ტანჯვასაც.

ხოლო გულადობა უკეთესი სასიკვდილო იარაღია, გულადობა, რომელი თავს ესხმის: იგი სიკვდილსაცა ჰკლავს, რადგან ესე ამბობს; „ეს ცხოვრება იყო? მაშ ესე! ერთხელ კიდევ!“

ამ თქმაში ბევრი გამარჯვების მაუწყებელი მუსიკაა. ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

2.

„შეჩერდი! ჯუჯა! ვსთქვი მე. მე! ან შენ! ხოლო ჩვენ ორ შორის მე

უძლიერესი ვარ -: შენ არ იცნობ ჩემს უძირო აზრს. მ ა ს ვერა ზიდავდი!“ –

მაშინ მოხდა, რაც მე მსუბუქ მყო: რადგან ჯუჯა ჩამოხტა ჩემი მხრებიდან, ცნობისმოყვარე! და მოიკუნტა ერთ ქვაზე ჩემ წინ. ხოლო აქ ჭიშკარი იყო, სადაც ჩვენ შევჩერდით.

„შეხედე ამ ჭიშკარს! ჯუჯა! განვაგრძე: მას ორი სახე აქვს. აქ ორი გზა ურთიერთ შეეყრება: არავის გაუვლია მათით ბოლომდე.

ესე გრძელი გზა უკან; იგი მთელი მარადისობა გრძელდება. იგი გრძელი გზა წინ - იგი მეორე მარადისობაა.

ესე ეწინააღმდეგებიან ურთიერთს, ეს გზები; იგინი ერთმანეთს ეხლებიან: - და აქ, ამ ჭიშკართან, ერთდებიან. სახელი ჭიშკარისა მაღლით სწერია: „წუთი“.

ხოლო უკეთუ ვინმე ერთი მათგანით ვლის, უფრო შორს და უფრო შორს: ჰფიქრობ შენ ჯუჯა, რომ ეს გზები ერთმანეთს მარად ეწინააღმდეგებიან? –

„ყოველი სწორი სტყუის, ზიზღით წაიბუტბუტა ჯუჯამ. ყოველი ჭეშმარიტება მრუდეა, თვით დროც წრეა“.

„შენ სულო სიმძიმისა! ვსთქვი ბრაზით, ნუ ეპყრობი ამას ესე მსუბუქად! აწ დაგტოვებ მოკუნტულს, სადაც მოკუნტულხარ, კოჭლფეხა, - და მე ხომ მ ა ღ ლ ი თ მიმქონდი!

შეხედე, გავნაგრძე მე, ამ წუთს! ამ ჭიშკრიდან წუთისა გრძელი, მარადი გზა რბის უ კ ნ ი თ: ჩვენ უკან მარადისობაა.

განა ყოველს, რასაც ვლა ძალუძს, არ უნდა განევლო ერთხელ ეს გზა? განა ყოველი, რაც ჯერ არს ყოფად, არ უნდა ყოფილიყო, ქმნილიყო, განვლილიყო?

და უკეთუ ყოველი იქმნა: რასაც ჰფიქრობ, ჯუჯა, ამ წუთისათვის? ეს ჭიშკარიც განა უკვე ერთხელ აქ არ უნდა ყოფილიყო?

და ყოველნი ნივთნი გადახლართულნი არ არიან ესე მჭიდროდ, რომ

ესე წუთი ყ ო ვ ე ლ მომავალ ნივთთ თან წარიტაცებს? თვით - თავის თავსაც?

რადგან რასაც სვლა ძ ა ლ უ ძ ს: ამ გრძელი გზით წინ კვლავ უნდა განვლოს!

და ესე ნელი ობობა, რომელი თვარის შუქზე მიცოცავს, და თვით ეს მთვარის შუქი, და მე და შენ ჭიშკართან მოჩურჩულენი, მოჩურჩულენი მარადიულ ნივთებზე, - განა ყველანი ერთხელ აქ არ უნდა ვყოფილიყავით?

- და განა კვლავ არ უნდა დავბრუნდეთ და სხვა გზით წარვიდეთ, წინ ამ გრძელი, საშინელი გზით - განა მარად უკან არ უნდა ვბრუნდებოდეთ? –„

ესე ვიტყოდი მე და უფრო და უფრო წყნარად: რადგან მეშინოდა ჩემი საკუთარი აზრებისა და იდუმალი აზრებისა. უცებ ახლოს მომესმა ძაღლის ყ მ უ ი ლ ი.

მსმენია მე ოდესმე ძაღლის ეს ყმუილი? ფიქრით უკუვიქეცი, დიახ! ოდეს ბავშვი ვიყავი, შორეულ ბავშვობაში:

- მაშინ გამიგონია ძაღლის ესეთი ყმუილი. იგი კიდევ მინახავს ბალან აყრილი, ზევით აწეული თავით, მთრთოლავი ჩუმ ღამეში, ოდეს ძაღლებსაც მოჩვენება სწამთ:

- და შემეცოდა იგი. სწორედ მაშინ სრული მთვარე ამოდიოდა, სიკვდილივით მდუმარე, სახლსა ზედა; და შესდგა მრგვალი მხურვალება, - ჩუმი, ბრტყელ სახურავებზე, ვით სხვის საკუთრებაზე: -

მაშინ შეძრწუნდა ძაღლი: ძაღლებს სჯერათ ქურდები და მოჩვენებანი. და ოდეს კვლავ მომესმა მისი ყმუილი, კვლავ შევიცოდე.

რა იქმნა ჯუჯა? და ჭიშკარი? და ობობა? და ყოველი ჩურჩული? სიზმარში ვიყავი მაშინ? გამომეღვიძა? ველურ კლდეთა შორის გავჩნდი მეყსეულად, მარტო, უდაბურად, მთვარის უდაბურ შუქში.

დ ა ი ქ ი წ ვ ა ადამიანი! ძაღლი მხტომარე, ბალან აყრილი, წკმუტუნებდა - მან დამინახა მიმავალი - კვლავ დაიყმუვლა და შ ე ჰ ყ ვ ი რ ა: გამიგონია ძაღლის ესეთი ყვირილი დახმარებისათვის?

და, ჭეშმარიტად, რაც ვნახე, მზგავსი რამ არ მინახავს. ყრმა მწყემსი დავინახე მე, იკლაკნებოდა, სული ეხუთებოდა, იკვლანჭებოდა, სახე შეშლოდა, მისი პირიდან შავი მძიმე გველი გადმოკიდებულიყო.

განა მინახავს ამდენი ზიზღი და ფერწასული საშინელება სახეზე? ალბათ ეძინა მას? მაშინ გველი შეუძვრა სასაში და მაგრად მოეკიდა.

ჩემმა ხელმა გამოსწია გველი და გამოსწია: - ამაოდ! ვერ ამოაძრო გველი სასიდან. მაშინ ამომხდა: „მოკვნიტე! მოკვნიტე!

თავი მოჰგლიჯე! მოკვნიტე!“ - ამას ყვიროდა ჩემი საშინელება ჩემი მძულვარება, ჩემი ზიზღი, ჩემი სიბრალული, მთელი ჩემი კეთილი და უკეთური ჰყვიროდა ერთი ძახილით.

თქვენ, აგდებულნო, ჩემს გარშემო! თქვენ მაძიებელნო, მცდელნო, ვერაგი აფრებით უდაბურ ზღვაში რომ დასცურავთ! თქვენ მოყვარულნო გამოცანებისა!

მაშ ამოიცანით გამოცანა, მე რომ ოდესღაც ვნახე, გამოიცანით ჩვენება უმწირესისა!

რამეთუ იგი ჩვენება იყო და წინაგაგება: - რა ვნახე მე მაშინ სიმბოლოს შორის? და ვ ი ნ არის, რომელი ოდესღაც უნდა მოვიდეს?

ვ ი ნ არის მწყემსი, რომელს გველი სასაში შეუძვრა? ვინ არის ადამიანი, რომელს აგრეთვე ყოველი უმძიმესი, უშავესი სასაში შეუძვრება?

- და მწყემსმა მოკვნიტა, ვით ჩემმა ძახილმა ურჩია, კარგად მოკვნიტა! შორს გადააფურთხა გველის თავი: და წამოხტა. –

არა მწყემსი, არა კაცი - გარდაქმნილი, ნათელმოსილი, რომელი ი ც ი ნ ო დ ა! აროდეს მინახავს ქვეყანაზე კაცი მცინარე, როგორც იგი იცინოდა!

ჰე, ძმებო, მესმა სიცილი, რომელი არა ადამიანის სიცილი იყო, - და აწ მაწვალებს წყურვილი, სევდა გაუნელებელი.

ჩემი სევდა ამ სიცილისა მტანჯავს მე: ჰე, ვით ავიტანო კვლავ სიცოცხლე? და ვით ავიტანო მე აწ სიკვდილი! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ნების წინააღმდეგი ნეტარებისათვის

ამა გამოცანებით და სიმწარით მგზავრობდა ზარატუსტრა ზღვაში. და ოდეს იგი ოთხი დღის სავალი გზით დაშორებული იყო ნეტარი კუნძულებისა და თვისი მეგობრებისაგან, მაშინ სძლია მხოლოდ თავისი მწუხარება: ძლევამოსილებით და მტკიცე ფეხი დაადგა იგი თავის ბედს. და მაშინ ზარატუსტრა ესიტყვა თავის მოზეიმე სინდისს:

კვლავ მარტო ვარ და მსურს ვიყო მარტო წმიდა ცასთან და თავისუფალ ზღვასთან; და კვლავ გარშემო ნაშუადღევია.

ნაშუადღევს ვპოვე მე ერთხელ მეგობრები, ნაშუადღევსვე მეორეჯერ: - ჟამს ოდეს ყოველი სინათლე წყნარდება.

რადგან რაც ბედნიერებისა ცისა და მიწის შორის გზად არის, იგი ეძიებს აწ თავშესაფრად ნათელ სულსა: აწ ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი თ ყოველი სინათლე უფრო წყნარად იქმნა.

ჰეი, ნაშუადღევო ჩემი ცხოვრებისა! ერთხელ ჩ ე მ ი ბედნიერებაც ბარად დაეშვა თავშესაფრისათვის: მაშინ ჰპოვა ესე გაშლილი და სტუმართმოყვარე სულნი.

ჰე, ნაშუადღევო ჩემი ცხოვრებისა! რას არ განვიღებდი, რათა ერთი რამ მქონდეს: ესე ცხოველი ნერგვა ჩემი აზრებისა და ესე დილის ნათელი ჩემი უდიდესი იმედისა!

თანამგზავრთ ეძიებდი ოდესღაც მმქმედი და შვილთ თავისი იმედისა: და აჰა, მან ჰპოვა, რომ ვერ ჰპოვიდეს მათ, თუ ჯერ თვით არ შეჰქმნის.

ესე ვარ ჩემი საქმის შუაგულში, მივდივარ ჩემ შვილებთან და მათგან

ვბრუნდები: თვის შვილთა გულისათვის ზარატუსტრამ უნდა თავი თვისი სრულყოფილ ქმნას.

რადგან გულით უყვართ მხოლოდ თვისი შვილი და საქმე; და სად თავისი თავის დიდი სიყვარულია, იქ ნიშანია მუცლადღებისა: ეს ვპოვე მე.

კვლავ მწვანედ ხარობენ ჩემი შვილები თავისი პირველი გაზაფხულით; ურთიერთ ახლო მდგარნი და ერთბაშად ქართა მიერ რხეულნი, ხენი ბაღისა ჩემისა და უკეთესი მამულისა.

და ჭეშმარიტად! სად მზგავსნი ხენი ერთმანეთის ახლოს იზრდებიან, იქ ნეტარი კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი ა!

ხოლო ოდესმე ამოვთხრი მათ და ყოველს ცალ-ცალკე დავრგავ: რათა იგი მწირობას შეეჩვიოს, ამტანობას და სიფრთხილესა.

ნუჟრიანი და გაღუნული, მოქნილი სიმაგრით უნდა იდგნენ იგინი ზღვისპირას, ცოცხალი შუქურა უძლეველი სიცოცხლისა.

იქ, სად ქარიშხალი ზღვაში შთახდება და ხორთუმი მთათა წყალსა სვამს, იქ ყოველი ოდესმე გუშაგობდეს, დღით და ღამით, თ ვ ი ს გამოცდად და მმეცნებად.

შეცნობილ და გამოცდილ უნდა იქმნეს იგი, რათა ვიცოდე, ჩემი მოდგმისა და შთამომავლობისაა იგი თუ არა, უფალია თუ არა გრძელი ნებისა, უტყვია იგი, თვით ოდეს ლაპარაკობს და დამთმობი, თითქოს გაცემით მ ი ი ღ ე ბ დ ე ს: -

რათა ოდესმე ჩემი თანამგზავრნი იქმნეს და თანამქმედი და თანამოზეიმე ზარატუსტრასი - იგი, რომელი ჩემი ნებით ჩემ ფიცართა ზედა სწერს: ნივთთა ყოველთა უფრო სრულყოფად.

მისი გულისათვის და მზგავსთა მისთა უნდა ჩ ე მ ი თ ა ვ ი სრულვყო: ამად ველტვი ჩემ ბედნიერებას და ვეჭირები ყოველ უბედურებას - ჩემი უკანასკნელი გამოცდისა და შეცნობისათვის.

და ჭეშმარიტად, ჟამი იყო ჩემი წასვლისა; და ყარიბის ჩრდილი და სევდა უგრძელესი და საათი უჩუმესი - ყოველი ამას მეტყოდა: „დიდი ხანია დროა!“

ქარი შემოიჭრა გასაღების ხვრელით და მითხრა: „წამოდი“. კარი ცბიერი გაიღო და მითხრა: „წადი!“.

ხოლო მე ვიდექი ჩემ შვილებზე სიყვარულით მიჯაჭვული: სურვილმა დამადო ეს ხუნდები, სიყვარულის სურვილმა. ესე შევიქენი წილი ჩემ შვილთა და მათთვის თავი დავკარგე.

სურვილი - ჩემთვის - ჩემი თავის დაკარგვაა. თ ქ ვ ე ნ ა მ ყ ე ხ ა რ თ შ ვ ი ლ ე ბ ო! ამა ქონებაში ყოველი სიმტკიცე უნდა იყოს და არა იყოს სურვილად.

ხოლო მზე ჩემი სიყვარულისა ვარვარებდა ჩემ ზედა, თვის წვენში იხარშებოდა ზარატუსტრა, - მაშინ ზედ გადამიარეს ჩრდილმა და ეჭვმა.

ყინვას და ზამთარს ვნატრობდი უკვე: „ჰო, ნეტავ ყინვამ და ზამთარმა მომგვაროს კანკალი და კბილთა ხრჭენა!“ ვოხრავდი მე: მაშინ ჩემის შორით წამოიშალნენ ყინულოვანი ღრუბლები.

წარსულმა ჩემმა დაამსხვრია თავისი საფლავები, მრავალმა ცოცხლად დაფლულმა ტკივილმა გაიღვიძა - მხოლოდ გამოიძინა დაბურვილმა სუდარით.

ესე ყველაფერი მიძახდა მე ნიშნებით: დროა!“ ხოლო მე ყურს არ ვუგდებდი: ვიდრე ბოლოს არ შეირყა უფსკრული ჩემი და ფიქრმა ჩემმა არ მიკბინა.

ჰეი, ფიქრო უძირო, რომელი ჩ ე მ ი ფიქრი ხარ! როდის ვპოვებ მე ძალას, რათა შენს თხრას ვუსმინო და აღარა ვკანკალებდე?

სასამდე მიძგერს გული, ოდეს შენს თხრას ვუსმენ! შენს დუმილსაც ჩემი დახრჩობა ჰსურს, შენ, ჩუმო, ვით უფსკრული!

არ ოდეს გამიბედნია შენი მ ა ღ ლ ი თ ამოძახება, საკმარისია, რომ ჩემთან გატარებდი! ჯერ არ ვყოფილვარ საკმაოდ ძლიერი ლომის უკანასკნელი გაბედულებისა და გაბედვის სურვილისათვის.

საკმაოდ საშინელი იყო ჩემთვის სიმძიმე შენი: ხოლო ოდესმე ვპოვებ მე ძალას და ლომის ხმას, რომელი შენ მაღლით ამოგიძახებს!

და ოდეს ჩემ შორის ამასა ვძლევ, მაშინ ჩემ შორის უფრო დიდსა ვძლევ: და გამარჯვება უნდა ჩემი დასრულების ბეჭედი იქმნეს! –

ვიდრემდე კვლავ ვხეტიალობ უდაბურ ზღვათა ზედა, შემთხვევა მიღიმის ენაწყლიანი; წინ და უკან ვიმზირები - ბოლოს ჯერ ვერ ვხედავ.

კვლავ არ მოწეულა ჟამი ჩემი უკანასკნელი ბრძოლისა, - თუ იგი აწ მოიწევს? ჭეშმარიტად, ვერაგი მშვენიერებით მიმზერს მე გარემო, ზღვა და ცხოვრება!
ჰეი, ნაშუადღევო ჩემი ცხოვრებისა! ჰეი, ბედნიერება საღამოს წინ!

ჰეი, ნავდსადგურნო მარად ზღვაში! ჰეი მშვიდობა უცნაურის შორის! ვით არ გენდობით ყველა თქვენ!

ჭეშმარიტად, უნდობი ვარ თქვენი ვერაგი მშვენიერებისა! შეყვარებულს ვემზგავსები, რომელი მეტად ხავერდოვან ღიმილის არ ენდობა.

როგორც იგი ეჭვიანი უსაყვარლეს ხელსა ჰკრავს, კვლავ ნაზი თვის სიმკაცრეში, - ეგრეთ უკუ ვისვრი მე ამ ნეტარ ჟამსა.

შორს ჩემგან, შენ ჟამო ნეტარო! შენთან მეწვია მე ნეტარება წინააღმდეგ ნებისა! მზად ჩემი უღრმესი ტკივილისათვის ვსდგევარ აქ: უდროოდ მოდიხარ!

შორს ჩემგან, შენ ჟამო ნეტარო! უკეთესია თავი შეაფარო იქ ჩემ შვილებს! ესწრაფე და აკურთხე ისინი საღამო ჟამს - ჩ ე მ ი ბედნიერებითა!

უკვე ახლოვდება საღამო: მზე ჩადის. მისკენ - ჩემი ბედნიერება.

ესე იტყოდა ზარატუსტრა და უცდიდა თავის უბედურებას მთელ ღამეს: ხოლო უცდიდა ამაოდ. ღამე ნათელი იყო და წყნარი და ბედნიერება თვით უახლოვდებოდა და უახლოვდებოდა. ხოლო გათენებისას ზარატუსტრამ გულში გაიცინა და ხუმრობით სთქვა: „ბედნიერება თანამდევს. ესე იმიტომ ხდება, რომ მე დედაკაცთა არ დავსდევ. ხოლო ბედნიერება დედაკაცია“.

მზის ამოსვლის წინარ

ჰოი, ცაო ჩემ ზედა! შენ უბიწოო! ღამევ! შენ უფსკრულო ნათლისაო! ღვთაებრივი ჟინით ვკრთი მე მზერალი შენი.

შენი სიმაღლით აღინთქე - ესეა სიღრმე ჩ ე მ ი! შენი უბიწოების შორის დავიმარხო - ესეა უმანკოება ჩ ე მ ი!

ღმერთსა თვისი მშვენიერება ჰფარავს: ესე მარხავ შენ ვარსკვლავთა შენთა. არა მეტყველებ: ესე მაუწყებ მე სიბრძნესა შენსა.

ჩუმად აღმოხედ დღეს ჩემთვის ზღვასა მძრწოლავსა, სიყვარული შენი და რიდი შენი ემხილება რყეულსა სულსა ჩემსა.

მოხვედი ჩემთან, მშვენიერო, დაბურული მშვენიერებით შენითა, უხმოდ მესიტყვები, შენი სიბრძნით განცხადებული:

ვით არ მცნო რიდი ყოველი სულისა შენისა, მზის ამოსვლის წ ი ნ ა რ მოხვედ ჩემთან, უმწირესთანა.

მეგობრები ვართ დასაბამით: ზიარია ჩვენთვის მწუხარება, შიში და შინაარსება; ზიარია ჩვენთვის თვით მზე.

არარას ვეტყვით ურთიერთს, რამეთუ ბევრეულად ბევრი ვიცით: - ვსდუმვართ, ვუღიმით ურთიერთ ჩვენ ცოდნასა.

არ ხარ ნათელი ცეცხლისა ჩემისა? მკვდარი არ არის შენ შორის სული, და გონებისა ჩემისა?

ერთად ვისწავლიდით ყოველს; ერთად ვისწავლიდით ჩვენ ზედა ჩვენდა აღსავალსა და უღრუბლო სიცილსა -

- დაბლით უღრუბლო სიცილი, ნათელი თვალით და შორის შორითა, ოდეს ჩვენ ქვეშე ძალადობა, მიზანი და დანაშაული, ვით წვიმა ინისლებოდა.

და ვლიდი რა მწირად: რ ა სწყუროდა ჩემ სულსა ღამით და მცდარ ბილიკთა შორის? ავლიდი რა მთებს, ვ ი ს ვეძიებდი თუ არ შენ, მთებსა ზედა?

და ხეტიალი ჩემი და მთებით ვლა: ესე ჭირვებით იყო და მწეობით უმწეურისათვის: - ფ რ ე ნ ა ჰსურს მხოლოდ ყოველსა ნებასა ჩემსა, შორით შენდა აღფრენა.

და ვინა მძულდა უმეტეს ვიდრე ღრუბელი მოძრავი და ყოველი, რაიცა შენ გბილწავს? და ვიძულებდი მძულვარებასა ჩემსა რამეთუ იგი გბილწავდა შენ!

მოძრავი ღრუბელი მძულს, ესე ფეხაკრებილი კატა მტაცებელი: იგინი გვტაცებენ შენ და მე ჩვენ საზიაროს - უზომო და უსაზღვრო ჰოის და ამინის თქმასა.

ესე შუამავალნი და ამრევნი გვძულს - მოძრავი ღრუბლები: ესე გაოხრებულნი და შერეულნი, რომელთ არც კურთხევა ისწავლეს, არცა გულით წყევა.

უკეთესია ვიჯდე კასრში დახშული ცის ქვეშ, უკეთესია უცაოდ უფსკრულში, ვიდრე გხედვიდე შენ, ცაო - ნათლისაო, შერყვნილი მოძრავი ღრუბლებითა!

ხშირად მდევდა ჟინი ელვის დაკბილული ოქროს მავთულით მათი შეჭედვისა, რათა მზგავსად ქუხილისა მათ ქვაბ-მუცელზე ვით დოლზე დამეკრა: -

რისხვის დოლზე, რამეთუ წარმტაცეს მათ შენი ჰოი და ამინი! შენ ზეცაო, შენ უბიწოო! ნათელო! შენ უფსკრულო ნათელისაო! - რამეთუ წარგტაცეს შენ ჩემი ჰოი და ამინი.

რამეთუ უკეთესია ხმიანობა და ქუხილი და წყევა ქარიშხლისა, ვიდრე ესე ფრთხილი, ეჭვიანი კატის შვება; თვით ადამიანთა შორის უფროსადა მძულს ყველა ფეხაკრეფილნი, ნახევრად ნახევარნი და ეჭვიანნი და ბორძიკნი მოძრავნი ღრუბლები.

და „რომელმა კურთხევა არ უწყის, ჯერ არს წყევა ისწავლოს!“ - ეს ნათელი მოძღვრება ნათელი ციდან ჩამოვარდა, ესე ვარსკვლავი კვლავ სდგას შავ ღამეში ჩემ ცაში.

ხოლო მე ვარ მაკურთხებელი და ჰოის მთქმელი, უკეთუ შენ გარმერტყმი, შენ უბიწოო! ნათელო! შენ უფსკრულო ნათელისა! - ყოველ უფსკრულში მიმაქვს მაშინ ჩემი მაკურთხებელი ჰოის თქმა. მაკურთხებელი ვიქმენი და ჰოის მთქმელი: დიდხანს ვიბრძოდი და მოჭიდავე ვიყავ, რათა ოდესმე მქონოდა ხელი თავისუფალი კურთხევად.

ხოლო ესეა კურთხევა ჩემი: ყოველსა ნივთსა ზედა ვყობდე მის საკუთარ ცად, რგვალ გუმბათად, ლაჟვარდ ზარად და მარადიულ სიმყარედ: და ნეტარია ვინ ესე აკურთხებდეს!

რამეთუ ყოველი ნივთი უკვდავების წყაროშია ნათელღებული და ბოროტისა და კეთილის გაღმით; კეთილი და ბოროტი მხოლოდ ლტოლვილი ჩრდილები და სველი სევდა და მგზავრი ღრუბლებია.

ჭეშმარიტად კურთხევაა ესე, არა გმობა, ოდეს ვასწავი: - ყოველ ნივთთა ზედა ცა შემთხვევისა სდგას, ცა უმანკოებისა, ცა ანაზდეული, ცა ამპარტავანი“.

„ანაზდეულად“ - ესეა ქვეყნიერების უხუცესი კეთილშობილი, რომელი ყოველ ნივთთა უკან დავუბრუნე, იგი ვანთავისუფლე მე მიზნის მონობის უღლით.

შვებას ამას და ციურ სიწმინდეს დავადგენდი მე ყოველთა ნივთთა ზედა, მზგავსად ლაჟვარდი ზარისა, ოდეს ვასწავლიდი, რომ მათ ზედა და მათ მიერ არა „მარადიულ ნებასა“ - ჰსურს.

ამ ამპარტავნობას და ამ სიგიჟეს დავადგენდი მე იმ ნების ადგილზე, როცა ვასწავლიდი: „ყველგან ერთია შეუძლებელი - გონიერება“.

ვარსკვლავით ვარსკვლავამდე გაბნეულია მ ც ი რ ე დ ი გონიერება, თესლი სიბრძნისა - ესე საფუარი ყოველ ნივთსა ურევია: რეგვენისათვის ურევია სიბრძნე ყოველ ნივთთა!

შესაძლებელ აქვს კვლავ სიბრძნე მცირედი; ხოლო ეს ნეტარი მტკიცე ვპოვე მე ყოველ ნივთთა შორის: უპირატეს შემთხვევის ფეხებით რ ო კ ვ ე ნ.

ჰოი, ცაო, უბიწოო!.. მაღალო! უბიწოება შენი აწ ჩემდა ესეა, რომ არა ჰგიებს მარადიული გონიერების ობობა და ობობის ქსელი: -

რომ ჩემდა ადგილი ხარ როკვისა ღვთაებრივი შემთხვევისათვის, რომ ღმერთის სუფრა ხარ ღვთაებრივი კამათლებისა და კამათლის მოთამაშეთათვის! –

განა შენ წითლდები? გითხარი შენ უთქმელი? ვგმობდი, ოდეს შენი კურთხევა მსურდა?

თუ სირცხვილი გაწითლებს, რომ ორნი ვართ? ბრძანებ წავიდე და ვსდუმდე, რამეთუ აწ დ ღ ე ახლოვდება?

ღრმაა, ქვეყანა: - და უმეტეს ღრმა, ვიდრე ოდესმე დღეს უფიქრია. არა ყოველს აქვს კადნიერება სიტყვისა წინარე დღისა. ხოლო დღე ახლოვდება: აწ განვშორდეთ!

ჰოი, ზეცაო, შენ მოკრძალე! მხურვალეო! ჰოი, ნეტარება მზის ამოსვლის წინარ! დღე ახლოვდება: მაშ აწ განვშორდეთ! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

დამაკნინებელი სიქველისათვის

1.

ოდეს ზარატუსტრა კვლავ ხმელეთს გავიდა, იგი პირდაპირ თავის მთადდა მღვიმეთ არ წასულა. არამედ ბევრი იარა, გამოიკითხა და

ბევრი შეიტყო და ესე იტყოდა თავის თავისათვის: „ჰა, მდინარე, რომელი მრავალი ხვეულით თავის წყაროს უბრუნდება!“ რამეთი ჰსურდა გამოეძიებინა. თუ რა ჰხდა ა დ ა მ ი ა ნ ს მისი არყოფნის დროს: უფრო დიდი იქმნება, თუ უფრო პატარა. და ერთხელ ნახა სახლთა ახალი რიგი; მაშინ განცვიფრდებოდა და იტყოდა:

„რას ნიშნავს ეს სახლები? ჭეშმარიტად, არა დიდ სულს აუშენებია იგინი, მზგავსად თავისა თვისისა!

ამოიღო იგი სულელმა ბავშვმა თვისი სათამაშო ყუთიდან? რათა მეორე ბავშვმა თვის ყუთში ჩასდოს!

და ეს ოთახები და საკუჭნაონი: შეუძლია კ ა ც თ შესვლა და გასვლა? თითქოს აბრეშუმის ჭიებისათვის აუშენებიათ ან მსუნაგ კატებისთვის, რომელნი თავს სხვებსაც აჭმევინებენ“.

და ზარატუსტრა შეჩერდა და ჩაფიქრდა. ბოლოს სევდიანად სთქვა: „ყ ო ვ ე ლ ი დამცირებულა!

ყველგან დაბალ ჭიშკართ ვხედავ: რომელი ჩემი მზგავსია, იგი კვლავ გაეტევა მათ შორის, - ხოლო უნდა მოიხაროს!

ჰე, როდის დაუბრუნდები ჩემ სამშობლოს, სად აღარ მოვიხრები - აღარ მოვიხრები მ ც ი რ ე თ ა წ ი ნ ა შ ე“. - და ზარატუსტრა სტიროდა და შორით იმზირებოდა. –

ხოლო დღესა ამასვე სთქვა მან სიტყვა თავისი დამაკნინებელი სიქველისათვის.

2.

ვლი ამა ხალხის შორის და თვალნი ღიაა მაქვს: არ შემინდობენ, რომ არა ვარ შურიანი მათი სიქველისათვის.

იგინი მიღრენენ, რამეთუ ვეტყვი მათ: პატარა ადამიანთათვის საჭიროა პატარა სიქველენი - და რამეთუ ძნელია გაგება რომ პატარა ადამიანები საჭირო არიან!

აქ კვლავ ვემზგავსები მამალს სხვის ეზოში, რომელს ქათმებიც

ძიძგნიან. ხოლო ამ ქათმებს უკეთურად არ ვეპყრობი.

ზრდილი ვარ მათ მიმართ, ვით ყოველი მცირე უსიამოვნებისა; მცირედისადმი ეკლიანობა ზღარბის სიბრძნედ მეჩვენება.

იგინი ჩემთვის ლაპარაკობენ, ოდეს საღამოობით კერასთან სხედან, იგინი ჩემთვის ლაპარკობენ, ხოლო ჩემთვის არავინ ფიქრობს!

ესეა ახალი სიჩუმე, რომელს გასწავიდი: ხმიანობა მათი ჩემს გარშემო ჩადრს აფარებს ჩემ აზრებს.

იგინი ხმაურობენ ერთმანეთ შორის: „რა უნდა ჩვენგან ამ შავ ღრუბელს? ფრთხილად ვიყვნეთ, რათა მან მოარული არ მოგვიტანოს!“

და ამას წინედ ერთმა დედაკაცმა გამომტაცა ბავშვი, ჩემსკენ რომ იწევდა: „მოაცილეთ ბავშვები! შეჰყვირა მან; ესეთი თვალები სწვავენ ბავშვთა სულებს“.

იგინი ახველებენ, ოდეს ვლაპარაკობ: ფიქრობენ ხველება წინააღმდეგობაა ძლიერ ქართათვის, - მათ ვერარა გაუგიათ ჩემი ბედნიერების ხმაურებისა!

„ჯერ არა გვცალიან ზარატუსტრასათვის“. - ამას იტყვიან; ხოლო რა არის დრო იგი, რომელს ზარატუსტრასათვის „არა სცალიან“?

და თვით ოდეს მადიდებენ: ვით შევძლებ დაძინებას მათ დიდებაზე? ეკლის სარტყელია ჩემთვის მათი დიდება: იგი მჩხვლეტავს, თვით ოდეს შეიხსნი მას.

და ესეც ვისწავლე მათ შორის: მადიდებელს თავი მოაქვს, თითქოს თანანადებს აძლევდეს, ხოლო სინამდვილით მეტის მიღება ჰსურს!

ჰკითხეთ ჩემ ფეხს მოსწონს მათი დიდებისა და მოწოდების ხმა! ჭეშმარიტად, ამა ტაქტით და ტიკ-ტაკით მას არც როკვა ძალუძს და არც წყნარად ყოფა.

იგინი სცდილობენ თვისი პატარა სიქველით მიიზიდონ და აქებენ მაქს; პატარა ბედნიერებისტილ-ტაკით სცდილობენ იგინი ჩემი ფეხი

დააჯერონ.

ვვლი ამ ხალხის შორის და თვალები ღია მაქვს: იგინი უფრო დამცირებულან და უფრო მცირდებიან: - ხ ო ლ ო ა მ ა ს ჰ ქ მ ნ ი ს მ ა თ ი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ა დ ა ს ი ქ ვ ე ლ ი ს ა.

იგინი თვით სიქველითაც მოკრძალენი არიან - რამეთუ ეძიებენ კმაყოფას. ხოლო კმაყოფას მხოლოდ კრძალი სიქველე შეურიგდება.

იგინი სწავლობენ თავისებურად სიარულსაც და წინსვლას; ამას ვუწოდებ ბ ო რ ძ ი კ ს. - და ამით აბრკოლებენ ყოველთ, რომელნი იჩქარიან.

და ზოგი მათგანი წინ მიდის და ამასთან უკან იმზირება, კისერდაგრძელებული: მათ სიამოვნებით ვეჯახები.

ფეხი და თვალი არ უნდა ცრუობდნენ, არც ერთმანეთს სიცრუეს აბრალებდნენ. ხოლო დიდი სიცრუეა პატარა ადამიანთა შორის.

ვიეთთ მათგანთ ჰსურთ, ხოლო უმრავლესობა სხვის სურვილს ემსახურება. ვიეთნი მათგანნი გულწრფელნი არიან, ხოლო უმრავლესობა ცუდი აქტიორები.

მათ შორის არიან უცნაური აქტიორები და აქტიორები უნებლიედ - წრფელნი მარად იშვიათია, უფროსად - წრფელი აქტიორები.

მამაკაცისა აქ ცოტა რამეა: ამად მათი დედაკაცნი მამაკაცებად იქმნებიან. რამეთუ რომლის შორის მამაკაცური საკმარისია, მხოლოდ იგი ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ს დ ე დ ა კ ა ც ს დედაკაცში.

და ეს ორგულობა ვპოვე შორის უარესი; იგინი, ვინც ბრძანებენ, მომსახურეთა სათნოებას იჩემებენ.

„მე ვმსახურებ, შენ მსახურებ, ჩვენ ვმსახურებთ“ - ესე ლოცულობს აქ მბრძანებელთა ორგულობა, - და ვაი, უკეთუ პირველი ბატონი მ ხ ო ლ ო დ პირველი მსახურია!

ჰე, მათ ორგულობის შორის შეფრინდა ჩემი თვალის ცნობისმოყვარება; და კარგად გამოვიცანი ყოველი მათი ნეტარება

ბუზისა და მათი ბზუილი ფანჯრის მზიან მინაზე.

რაოდენ კეთილად ვხედავ, იმდენსავე უძლურებას. რაოდენი სამართლიანობა და სიბრალულია, იმდენი უძლურებაა.

მრგვალი, პატიოსანნი და კეთილნი არიან იგინი ურთიერთადმი, ვით ქვიშის ხორბლის მრგვალი, პატიოსანნი და კეთილნი არიან ქვიშის ხორბალთადმი.

მოკრძალებით მხარი მოხვიონ პატარა ბედნიერებას - ამას უწოდებენ იგინი „ბედისადმი მორჩილებას“ და ამასთან მოკრძალებით იყურებიან ახალი პატარა ბედნიერებისათვის.

არსებითად მათ თვისი უბრალოებით ერთი რამ ჰსურთ: რათა მათ არავინ ტანჯვა არ მიაყენოს. ესე თავაზიანნი არიან ყოველის მიმართ და სიკეთეს იქმნიან მათდამი.

ხოლო ეს ს ი მ ხ დ ა ლ ე ა: თუნდაც მას „სიქველეს“ უწოდებდნენ.

და ოდეს იგინი უხეშად ლაპარაკობენ, ეს პატარა ადამიანები, მე მესმის მხოლოდ ხრინწი, - რამეთუ ყოველი ორპირი ქარი მათ ხრინწს დამართებს.

გაიძვერანი არიან, მათ სათნოებას გაიძვერა თითები აქვს. ხოლო მათ მუშტები აკლიათ, მათ თითებმა არ იციან მუშტად შეკუმშვა.

სათნოებაა მათთვის, რაც მოკრძალედ და შინაურად ჰქმნის: ამით მგლიდან ძაღლსა ჰქმნიან და ადამიანთ თვით ადამიანის უკეთეს შინაურ პირუტყვად.

„დავსდეთ ჩვენი სკამი შუაში - ამას მეტყვის მათ ღიმილი - და აგრეთვე შორს მომაკვდავი მოკრივესაგან, ვით შორს - კმაყოფილი ღორებიდან“.

ხოლო ესაა - შ უ ა ლ ო ბ ა: თუნდაც მას ზომიერებას უწოდებდნენ. –

3.

ვვლი ხალხის შორის და ძირს ვისვრი მრავალ სიტყვას: ხოლო მათ არ

უწყიან არც აკრეფა, არც შენახვა.

უკვირთ, რომ არ მოვედი ლირწებისა და ნაკლის დასაგმობად და ჭეშმარიტად, არც ჯიბგირების წინააღმდეგ გასაფრთხილებლად მოვსულვარ!

უკვირთ, რამეთუ სურვილი არა მაქვს მათი სიბრძნე ვამახვილო და ვლესო: თითქოს არა ჰყავდეთ ჭკვიანი ხალხი, რომლის ხმა ჩემთვის ღრიჭინებს თითქოს გრიფელი!

და ოდეს ვიძახი: „წყევა ყველა მხდალ ეშმაკთ თქვენ შორის, რომელთა სიამოვნებით ჰსურთ ჭყავილი და გულხელდაკრეფა და თაყვანის-ცემა“, იგინი ჰყვირიან: „ზარატუსტრა უღმერთოა“.

და უფროსად გაჰყვირიან ამას მათი მოძღვარნი მორჩილებისა - ხოლო სწორედ მიყვარს მათ ყურში ჩავძახო: დიახ, ზარატუსტრა ვარ, უღმერთო!

ესე მოძღვრება მორჩილებისა! ყოველგან, სადაც მცირეა და სნეულება და ლპობა, იგინი ფუთფუთებენ, მზგავსად ტილებისა; და ხოლო ჩემი ზიზღი მიშლის მათ სრესვას.

ჰეი, ესეა ქადაგება ჩემი მათ ყურთათვის: ზარატუსტრა ვარ, უღმერთო, იგი იტყვის: „რომელი უმეტესად უღმერთოა ვიდრე მე, რათა მისი წვრთნით განვიხარო?“

ზარატუსტრა ვარ, უღმერთო: სადა ვპოვო მზგავსი ჩემი?“ და იგინი არიან მზგავსნი ჩემნი, რომელნი თავის ნებას აჰყვებიან და მორჩილებას განიძარცვავენ.

ზარატუსტრა ვარ, უღმერთო: მე ვხარშავ ყოველ შემთხვევას ჩ ე მ ქვაბში. და მხოლოდ ოდეს იქ კარგად გამოისრისება, ვესალმები ვით ჩ ე მ ჭამადსა.

და ჭეშმარიტად, შემთხვევა ბრძანებით მოსულა ჩემთან: ხოლო ნ ე ბ ა ჩემი უფრო ბძანებით ელაპარაკებოდა, - და მაშინ იგი მუხლად დაემხობოდა ვედრებით.

ვედრებით, რათა ჩემთან თავშესაფარი ეპოვა და გული და მლიქვნელურად ამბობდა: „შეხედე ზარატუსტრა, ესე მხოლოდ მეგობარი მიდის მეგობართანა!“ –

ხოლო რად ვლაპარაკობ, სად არავის აქვს ჩ ე მ ი გული! და ესე ყველა ქართ შევძახებ:

თქვენ მარად მცირდებით, თქვენ, პატარა ადამიანებო! თქვენ ქუცმაცდებით, თქვენ, კმაყოფის მსურველნო! თქვენ უკვე იღუპებით -

- თქვენი მრავალი პატარა სიქველით, თქვენი მრავალი პატარა დაუდევრობით, თქვენი მრავალი პატარა მორჩილებით!

ნამეტანი დანდობა, ნამეტანი დათმობა. ესეა ნიადაგი თქვენი! ხოლო რათა ხე დ ი დ ი იზარდოს, ამად შემოეხვევა იგი მაგარი ფეხებით მაგარ კლდეთ!

და რასაც არ დასდევთ, წააქსოვს ქსოვილს მთელი კაცობრიობის მყობადისასა; თქვენი არარაც ობობის ქსელია და ობობა, რომელი მყობადის სისხლით საზრდოობს.

და ოდეს იღებთ, თითქოს იპარავთ, თქვენ, სათნო არარაობანო! ხოლო გაიძვერათა შორისაც პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა ლაპარაკობს: „იქ უნდა მოიპარო, სად წართმევა არ შეიძლება“.

„მოგეცემის“ - ესეც მორჩილების მოძღვრებაა. ხოლო მე გეტყვით თქვენ, კმაყოფის მოტრფიალენო: წ ა ი ღ ე ბ ა და უფრო მეტი წაიღება თქვენგან!

ჰე, ნეტავი მოიშორებდეთ ყოველ ნახევარ სურვილს და გულადები იქმნებოდეთ ზარმაცობაში და საქმეში!

ჰე, ნეტარძი გაიგებდეთ ჩემ სიტყვას; „ჰ ქ მ ე ნ ი თ რაც გსურთ, - ხოლო ჯერ იყავნით ისეთნი, რომელთ ს უ რ ვ ი ლ ი შ ე უ ძ ლ ი ა თ!“

„გიყვარდეთ მარად თქვენი მახლობელნი, ვით თავნი თქვენნი, - ხოლო იყავნით იგინი, რომელთ თ ა ვ ი თ ვ ი ს ი უ ყ ვ ა რ თ -

- დიდი სიყვარულით სიყვარული, დიდი ზიზღით სიყვარული! - ესე იტყოდა ზარატუსტრა, უღმერთო. –

ხოლო რად ვლაპარაკობ, სად არავის აქვს ჩ ე მ ი ყური! აქ კვლავ ერთი საათით ადრეა ჩემთვის.

ჩემი საკუთარი წინამორბედი ვარ ამ ხალხს შორის, ჩემი საკუთარი მამლის ყივილი ბნელ ქუჩათა შორის.

ხოლო მათი ჟამი ახლოვდება! და ჩემიც ახლოვდება! საათობით პატარავდებიან, ღატაკდებიან, ბერწდებიან, - საცოდავი მწვანე! საცოდავი ნიადაგი!

და მალე იდგებიან, ვით მხმარი ბალახი, ვით სტეპი და ჭეშმარიტად, თავისი თავით მოღლილი - და ტანჯულნი, მეტად წყურვილი ცეცხლისა, ვიდრე წყლისა!

ჰოი, ჟამო კურთხეულო ელვისა! ჰოი, იდუმალება შუადღის წინარ! - მარბენალ ცეცხლად ვქმნი მათ ოდესმე და მაუწყებლად ცეცლხის ენებით:

- ოდეს იგინი ცეცხლის ენებით აუწყებენ: იგი მოდის, იგი ახლოა, დ ი დ ი შ უ ა დ ღ ე!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მთასა ზედა ზეთისხილისა

ზამთარი, უკეთური სტუმარი, ზის ჩემ სახლში; გამილურჯდა ხელები მისი მეგობრული ხელისჩამორთმევით.

პატივსა ვცემ მას, ამ უკეთურ სტუმარს, ხოლო სიამოვნებით ვსტოვებ მას მარტო. სიამოვნებით გავრბივარ მისგან; და თუ კ ა რ გ ა დ გაიქცევი, თავს დააღწევ!

თბილი ფეხებით და ტკბილი ფიქრებით მივრბივარ იქ, სად ქარი ჩამდგარია, ჩემი ზეთისხილის მთის მზიან კუთხეებისაკენ.

იქ დავცინი ჩემ მკაცრ სტუმარს და მადლიერი ვარ, რომ სახლში ბუზებს იჭერს და ბევრს პატარა ხმაურობას აჩუმებს.

იგი ვერ იტანს, ოდეს ერთი კოღო სიმღერას მოისურვებს, თუნდაც ორიც; თვით ქუჩას მწირად ჰქმნის და თვით მთვარეს ეშინიან იქ ღამითა.

მკაცრი სტუმარია, - ხოლო მე პატივსა ვცემ მას და არა თაყვანსა ვცემ, მზგავსად ფაქიზთა, დიდმუცელა ცეცხლის კერპებს.

უმჯობესია ცოტა კბილთა ღრჭენა, ვიდრე კერპთა თაყვანისცემა - ესე ჰსურს ჩემ მოდგმას. და უმეტესად მძულს მე ცეცხლის აღტკინებული, კვამლიანი და მხუთავი ღმერთი.

თუ ვინმე მიყვარს, ზამთარში უფრო მიყვარს, ვიდრე ზაფხულში; აწ უკეთ დავცინი ჩემ მტრებს და უფრო გულადად, მას შემდეგ რაც ზამთარი მეწვია.

გულადად, ჭეშმარიტად, თვით მაშინაც, ოდეს ლოგინში ვძვრები - მაშინ იცინის და ლაღობს ჩემი მალული ბედნიერება, იცინის ჩემი მაცდური სიზმარი.

მე - მძრომი? არადეს ვძრომილვარ ძლიერთა წინაშე; და თუ ოდესმე ვცრუობდი, ვცრუობდი სიყვარულით. ამად ვარ მხიარული თვით ზამთრის ლოგინში.

ღარიბი ლოგინი უკეთესად მათბობს, ვიდრე მდიდარი, რამეთუ ეჭვიანი ვარ ჩემი სიღატაკისადმი. და ზამთრობით იგი ჩემთვის უერთგულესია.

ბოროტებით ვიწყებ ყოველ დღეს, დავცინი ზამთარს ცივი აბანოთი: ამად ბუზღუნებს ჩემი სახლის სასტიკი მეგობარი.

სიამოვნებით ვუღუტუნებ კიდეც თაფლის სანთლით; რათა ბოლოს შვება მისცეს ცას ნაცრისფერი ბინდით.

უფროსად ბოროტი ვარ დილაობით; ნაადრევ ჟამს, ოდეს ვედრო ჭასთან ხრიჭინებს და ქუჩაში ცხენები თბილად ხვიხვინებენ: -

მოუთმენლად ველი მაშინ, რათა ბოლოს ნათელი ცა გამობრწყინდეს, თოვლწვერა ზამთრის ცა ზამთრის ცა, მოხუცი თეთრი თავით. –

ზამთრის ცა, მდუმარე, რომელი ხშირად თავის მზეს ამდუმარებს!

ვისწავლე მისგან ხანგრძლივი ნათელი მდუმარება? თუ მან ესე ჩემგან ისწავლა? თუ თვითოეულმა ჩვენთაგანმა იგი თვით აღმოაჩინა?

ყოველ კეთილ საგანთა დასაბამი მრავალგვარია, - ყოველი კეთილი, მხნე საგნები ისწრაფიან ყოფად სიამოვნებით: ვით ჰქმნიდნენ ამას მხოლოდ ერთხელ?

კეთილი მხნე საგანი ხანგრძლივი სიჩუმეც არის და კარგია, მსგავსად ზამთრის, ცისა ჭვრეტა ნათელი მრგვალი თვალებით: -

- მზგავსად ამისა, ჰმარხავდე შენს მზეს და მის უდრეკ მზიურ ნებას: ჭეშმარიტად, ესე ხელოვნება და ესე ზამთრის მხნეობა კ ა რ გ ა დ ვისწავლე!

ესეა ჩემი უსაყვარლესი ბოროტება და ხელოვნება, რომ ჩემმა მდუმარებამ ისწავლა, თავისი თავი მდუმარებით არ გაამხილოს.

სიტყვებისა და კამათლების ჩხაკუნით მოვატყუებ ზეიმით მოლოდინეს; ყველა ამ სასტიკ მეთვალყურეს უნდა გაუსხლტეს ნება ჩემი და მიზანი.

რათა არავინ ჩასწვდეს ჩემ სიღრმეს და უკანასკნელ ნებას, - ამად ვპოვე ჩემთვის ხანგრძლივი და ნათელი მდუმარება.

ესე ვპოვე მრავალი გონიერი: რომელი სახეს იბურვიდა და თავის წყალს ამღვრევდა, რათა არავის განეჭვრიტა იგინი.

ხოლო სწორედ მათთან მიდიოდნენ უგონიერესნი უნდობნი და მაძიებელნი: სწორედ მათ გამოსტყუებდნენ ღრმად დაფარულ თევზებს!

არამედ ნათელნი, გაბედულნი და გამჭვირვალენი - იგია ჩემთვის უგონიერესი მდუმარე: ეზომად ღ რ მ ა ა ძირი მისი, რომ უწმინდური წყალიც ვერ ამჟღავნებს. –

შენ, თოვლწვერა ზამთრის ცაო, შენ, მრგვალთვალება თეთრო თავო ჩემ ზედა! ჰე, შენ, ციურო სიმბოლო სულისა ჩემისა და მისი მხნეობისა!

და არ უ ნ დ ა დავიმარხო, ვით იგი, რომელს ოქრო ჩაუყლაპია, - რათა სული არ განმიპონ?

არ უ ნ დ ა ვლიდე ორჩოფეხებით, რათა არ შ ე ნ ი შ ნ ო ნ ჩემი გრძელი ფეხები, - ყველა ამ შურიანთ და მწუხარეთ ჩემ ირგვლივ?

ესე შეკვამლული, განაზებული, გაცვეთილი, ფერწასული, დამჟავებული სული - ვით ა ი ტ ა ნ დ ა მათი შური ჩემ ბედნიერებას!

ესე ვუჩვენე მე მხოლოდ ყინული და ზამთარი ჩემ მწვერვალებზე - და არა, რომ ჩემ მთას გარს მზის ყველა სარტყელები არტყია!

მათ ესმით მხოლოდ ჩემი ზამთრის ქარიშხლის სტვენა: და არა, რომ თბილ ზღვებზეც დავქრივარ, ვით ვნებიანი, მძიმე, სამხრეთის ქარი.

იგინი მიბრალებენ ჩემი უბედობის და შემთხვევებისათვის: ხოლო ჩემი სიტყვაა: „გზა მიეცით ჩემსკენ შემთხვევას, უბიწოა იგი, ვით ბავშვი!“

ვით აიტანდნენ იგინი ჩემ ბედნიერებას, თუ ჩემ ბედნიერებას შემთხვევას და ზამთრის გაჭირვებას და თეთრი დათვების ქუდებს და თოვლიან ცის საფარს არ შემოვუწყობდი!

- და თვით მე არ აღვივსებოდი სიბრალულით მათი სიბრალულისადმი: ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი ს ა დ მ ი ამ შურიანთა და მწუხარეთა!

- თუ თვით მე მათ წინაშე გულამოსკვნით არ ვიტირებდი და სიცივით არ ვიძაგძაგებდი, და მოთმინებით მათი სიბრალულით შ ე ვ ი მ ო ს ე ბ ო დ ი თ!

ესეა ბრძენი მხნეობა და კეთილნებობა სულისა ჩემისა, რომ იგი ა რ ა ჰ ფ ა რ ა ვ ს თვის ზამთარს და მის ცივ ქარს; იგი არც თვის ცივ ცახცახს ჰფარავს.

ერთისადმი მარტოობა ავადმყოფის ლტოლვაა; მეორისათვის მარტოობა ლტოლვაა ა ვ ა დ მ ყ ო ფ თ ა გ ა ნ.

ესმოდეთ ჩემი კანკალი და ზამთრის სიცივით ოხვრა ყველა საცოდავ, შურიან, ცუღლუტთ ჩემ გარშემო! ამ ოხვრით და კანკალით ვილტოდი მე მათი გამთბარი ოთახებიდან.

მიბრალებდნენ და ოხვრიდნენ ჩემი ზამთრის კანკალისათვის; „იგი გ ა ი ყ ი ნ ე ბ ა მმეცნების ყინულზე“ - ამას სჩივიან იგინი.

ამ დროს თბილი ფეხებით ვრბივარ ყველგან ჩემ მთასა ზედა ზეთისხილისასა: მზიან კუნჭულში ჩემი ზეთისხილის მთისა ვმღერი და დავცინი ყოველ შებრალებას. –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

გზადავლისათვის

ესე მრავალ ხალხთა და სხვადასხვა ქალაქთ შორისით, ნელი ნაბიჯით, ხვეული გზებით უბრუნდებოდა ზარატუსტრა თავის მთას და თავის გამოქვაბულს. და, შეხე, მეყსეულად მიადგა ერთი დიდი ქალაქის კარს: ხოლო აქ მას გაშლილი ხელებით მივარდა დორბლიანი რეგვენი და გზა გადაუღობა. ხოლო ეს იყო იგივე რეგვენი, რომელს ხალხი „ზარატუსტრას მაიმუნს“ უწოდებდა: რადგან მცირე რამ გადაეღო მისი სიტყვისა და ლაპარაკისა და სიამოვნებით სესხულობდა მისი სიბრძნის საუნჯიდან. და რეგვენი ამას ეტყოდა ზარატუსტრას:

„ჰე ზარატუსტრა, აქ დიდი ქალაქია: აქ არაფერი გაქვს საძიებელი, დაკარგვით ყველაფერს დაჰკარგავ.

რად მოგისურვებია ამ წუმპეში ჩაფლობა? შეიბრალე შენი ფეხები! უკეთესია შეაფურთხე ქალაქის კარს და გაბრუნდი!

აქ ჯოჯოხეთია მწირის აზრებისათვის: აქ დიდ აზრებს ცოცხლად ადუღებენ და ხარშვით ამცირებენ.

აქ ლპება ყველა დიდი გრძნობა: აქ მხოლოდ მხმარ მცირედ გრძნობათ შეუძლია ხმაურობა!

განა არა ყნოსავ სასაფლაოს და სულის სამიკიტნოებს? განა ამ ქალაქს დაკლული სულის სიმყრალის ოხშივარი არ ასდის?

განა ვერ ჰხედავ სულს, გაფრენილს ბინძური, რბილი ძონძებივით? და იგინი ამ ძონძებისაგან გაზეთებსაც აკეთებენ!

განა არ გესმის, რომ სული სიტყვათა თამაშად იქცა? იგი სიტყვის საზიზღარ ნარეცხს გადმოანთხევს! - და იგინი გაზეთებსაც ჰქმნიან სიტყვის ამ ნარეცხიდან.

იგინი ერთმანეთს ერეკებიან და არ უწყიან საით? იგინი ერმანეთს უსისინებენ და არ უწყიან რატომ? იგინი აჟრიალებენ. იგინი აწკრიალებენ თავის ოქროს.

იგინი ცივნი არიან და სითბოს ეძიებენ არაყში; იგინი გახურებულნი არიან და სიგრილეს გაყინულ სულებთან ეძიებენ; იგინი ყველა გამხრჭვალნი არიან და სნეულნი საზოგადო აზრით.

ყოველი ბილწება და ღირწება აქ შინაურია; ხოლო აქ ქველნიც არიან, დიდია აქ ხერხიანი და მოკალათებული ქველობა: -

დიდია მოკალათებული ქველობა მწერალი თითებით და მაგარი საჯდომით - და მომთმენი ხორცით, მოკაზმული პატარა სამკერდული ვარსკვლავებით და ჩალით გატენილი უგავო დიაცებით.

აქ დიდი ღვთისმოსაობაცაა და ბევრი მორწმუნე მლიქვობა და დაბალმსახურება მხედრობის ღმერთის წინაშე.

„მაღლით“ ეცემა ვარსკვლავი და მოწყალე ფურთხი; მაღლით ისწრაფის ყოველი უვარსკვლავო მკერდი.
მთვარეს თავისი სასახლე აქვს და სასახლეს თავისი ამალა ჰყავს: ხოლო რაც სასახლედან გამოდის, მას ლოცულობს ღატაკი ხალხი და ყოველი მოხერხებული სიქველე.

„მე ვმსახურებ, შენ მსახურებ, ჩვენ ვმსახურებთ“ - ესე ლოცულობს ყოველი მოხერხებული სიქველე თავადთა შორის: რათა დამსახურებული ვარსკვლავი ბოლოს ვიწრო მკერდზე მიეკრას!

ხოლო მთვარე გარუვლის ყოველ მიწიერს, ესე უვლის გარს თავადი ყოველს მიწიერის მიწიერს; - ხოლო ესეა ოქრო ვაჭართა.

ღმერთი მხედრობისა არაა ღმერთი ოქროს ზოდებისა; თავადი ფლობს, ხოლო ვაჭარი - განაწესებს!

გაფიცებ, რაც შენ შორის ნათელია, ძლიერი და კეთილი, ჰე, ზარატუსტრა! შეაფურთხე ამ ვაჭართა ქალაქს და გაბრუნდი!

აქ ყველა ძარღვებით მდინარებს წამხდარი ნელ-თბილი და ქაფიანი სისხლი: შეაფურთხე დიდ ქალაქს, რომელი უწმინდურების დიდი ორმოა, სად ყოველი ქაფი ქაფდება!

შეაფურთხე ქალაქს დაკნინებულ სულთა და ჩავარდნილ მკერდთა, კუწუბიან თვალთა, ლორწოიან ხელთა -

- ქალაქს ბრიყვთა, უსირცხვთა, მჯღაბნელთა, მყვირალთა, გახუნებულ პატივმოყვარეთა: -

- სად ყოველი წამხდარი, მყრალი, ლირწი, მწუხარე ფაშარი მუწუკიანი, ვერაგი ერთად არეულა: -

შეაფურთხე დიდ ქალაქს და გაბრუნდი“.

აქ ზარატუსტრამ შეაჩერა გაცოფებული რეგვენი და ხმა გააწყვეტინა.

„კმარა, გაჩერდი! შეჰყვირა ზარატუსტრამ, უკვე დიდი ხანია

მომწყინდა შენი ლაპარაკი და შენი მანჭვა!

რად სცხოვრობ ესე დიდხანს წუმპეში, რომ თვით გარდაიქმენი ბაყაყად და გომბეშოდ?

არა სჩქებს აწ შენ ძარღვებში წამხდარი, დუჟიანი, წუმპის სისხლი, რომ გისწავლია ესეთი ყიყინი და კიცხვა?

რად არ წახვედი ტყეში? ან მიწას არა ხნავ? განა ზღვა სავსე არ არის მწვანე კუნძულებით?

მეზიზღება შენი ზიზღი; და თუ შენ მე მაფრთხილებ, - რად არ გააფრთხილე შენი თავი?

მხოლოდ სიყვარულით აფრინდება ჩემი ზიზღი და ჩემი გამაფრთხილებელი ფრინველი: და არა წუმპით! –

შენ ჩემ მაიმუნს გიწოდებენ, შენ დორბლიანო რეგვენო: ხოლო მე გიწოდებ შენ ღრუტუნა ღორს, - ღრუტუნით მიფუჭებ ჩემ ქებას რეგვენობისა.

მაშ რა იყო, რომ შენ ღრუტუნი დაგაწყებინა? რომ არა ვინ საკმაოდ არ მ ლ ი ქ ვ ნ ე ლ ო ბ დ ა შენ წინაშე: ამად ზიხარ ამ ნაგვის ახლოს, რათა საბაბი გქონდეს მეტი ღრუტუნისათვის, -

რათა საბაბი გქონდეს მეტი შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. შურისძიებაა შენ, ავო რეგვენო, შენი დორბლი, კარგად გამოვიცანი!

ხოლო შენი რეგვენი სიტყვა მ ე მავნებს იქაც, სად შენ მართალი ხარ! და თუნდაც ზარატუსტრას სიტყვა ასჯერ მართალი ი ყ ო ს: შენ ჩემი სიტყვით მარად მ ა ვ ნ ე ბ!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა; და უმზერდა დიდ ქალაქს, ოხრავდა და დიდხანს სდუმდა. ბოლოს ესე სთქვა:

მეზიზღება ეს დიდი ქალაქიც და არა მხოლოდ ეს რეგვენი. აქაც და იქაც არაფერია გასასწორებელი, არაფერია გასაფუჭებელი.

ვაი ამ ქალაქს! - და მე ვისურვებდი დამენახა ცეცხლის სვეტი, რომელშიაც იგი გადაიწვებოდა!

რადგან ამგვარი ცეცხლის სვეტები უნდა დიდ შუადღეს წინ უძღოდეს. ხოლო ამას თავისი დროს აქვს და თავისი ბედი. –

ამა მოძღვრებას გაძლევ შენ, რეგვენო, დამშვიდობებისას: სად

სიყვარული აღარ შეიძლება, იქ უნდა - გ ვ ე რ დ ზ ე ჩ ა ვ ი ა რ ო თ!

ესე იტყოდა ზარატუსტრა და მხარი აუქცია რეგვენს და დიდ ქალაქს.

განმდგართათვის

1.

ჰე, ყველაფერი უკვე დაჭკნა და გაფითრდა, რაც ამ ველზე მწვანე და ჭრელი იყო! და რამდენი თაფლი იმედისა წამიღია აქედან ჩემ საკანში!

ეს ყრმა გულნი ყველა მოხუცდნენ - და არც მოხუცდნენ! ხოლო მოიქანცნენ, დაეცნენ, მოისვენეს: - ამას ეტყვიან ისინი „ჩვენ კვლავ ღვთისმოსავნი შევიქმნებით“.

ამას წინედ ვხედავდი მათ როგორ მორბოდნენ გათენებისას გაბედული ფეხებით: ხოლო მათი ფეხები მმეცნებისა მოიქანცნენ და აწ თვის განთიადის გაბედულებასაც აგინებენ!

ჭეშმარიტად, არა ერთს უწევია ერთ დროს ფეხი, ვით მროკავს, ჩემი სიბრძნის სიცილით წაქეზებულს: - ეხლა გამოერკვია. ეს არის ეხლა ვნახე იგი მოკრუნჩხული, ჯვრისაკენ მიცოცავდა.

ნათელისა და შვების გარშემო ფრინავდნენ, ვით კოღოები და ახალგაზრდა პოეტები. მცირედ უფროსნი, მცირედ მეტი სიცივე; იგინი უკვე ჩამქრობნი, მოალყენი და უქნარანი არიან.

განა მისთვის დაჩლუნგდა გული მათი, რომ მე მარტოობამ მსჩანთქა, ვით ვეშაპმა? იქნებ მათი ყური დიდხანს სევდით ა მ ა ო დ მისმენდა მე და ჩემს საყვირებს და მახარობელთა ნესტუნებს?

- ჰე, მცირედნი ხართ, რომელთა გულს მძლე მხნეობა აქვს და გაბედულება. ასეთების სულიც გამძლეა. დანარჩენნი მ ხ დ ა ლ ნ ი არიან.

დანარჩენნი: იგინი მარად უმრავლესნი არიან, ყოველდღიურობა, ზედმეტობა, მრავალთაგან მრავალი - ყველა ესე მხდალია!

ვინც მე მემზგავსება, მას გზაში ჩემი თავგადასავლის მზგავსი შეეყრება: ესე მისი პირველი ამხანაგები უნდა ცხედრები იქმნენ და მასხარები.
ხოლო სხვა ამხანაგებს მისი მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი ეწოდება: ცოცხალი

ხროვა, ბევრი სიყვარული, ბევრი სისულელე, ბევრი უწვერო პატივისცემა.

ამ მორწმუნეთ არ უნდა დაუკავშიროს გული თვისი მან, ვინც მე კაცთა შორის მემზგავსება; ამ გაზაფხულს და ჭრელ მინდვრებს არ ჯერ არს დაუჯეროს მან, ვინც იცნობს მერყევ, მხდალ ადამიანთა მოდგმას.

სხვანაირად რომ ძ ა ლ უ ძ დ ე თ, სხვას ი ს უ რ ვ ე ბ დ ნ ე ნ. რაც ნახევარია, ყოველ მთელს ანადგურებს. რომ ფოთლები ჭკნებიან - რა არის აქ სამწუხარო!

მიუშვი იფრინონ და ჩამოცვივდნენ, ჰე, ზარატუსტრა, და ნუ სწუხარ! უკეთესია დაჰბეროს მათ მოშრიალე ქარით, -

დაჰბერე ამ ფოთებს ჰე, ზარატუსტრა: რათა ყოველი მ ჭ კ ნ ა რ ი უფრო ჩქარა ილტოდეს შენგან! -

2.

„ჩვენ კვლავ ღვთისმოსავნი ვართ“ - ამას აღიარებენ განმდგარნი; და ზოგი მათგანი კვლავ ფრიად მხდალია, რათა ეს აღიაროს.

მათ უმზერ თვალებში, - მათ ვეტყვი პირში და ღაწვთა სიწითლეში: თქვენ ისინი ხართ, რომელნი კვლავ ლ ო ც უ ლ ო ბ ე ნ!

ხოლო ლოცვა სამარცხვინოა! არა ყველასათვის, არამედ შენთვის და ჩემთვის, და რომელს თავში სინდისი აქვს. შენთვის ლოცვა სამარცხვინოა!

ეს კარგად იცი: შენი მხდალი ეშმაკი შენ შორის, რომელი სიამოვნებით განაპყრობს ხელებს და გულხელს დაიკრეფს და მოსვენება სურს: - ეს მხდალი ეშმაკი გეუბნება „ა რ ს ე ბ ო ბ ს ღმერთი“.

ამად ეკუთვნი შენ მოდგმას, რომელს სინათლისა ეშინიან, რომელს სინათლე მოსვენებას არ აძლევს; აწ ყოველ დღე ჰხამს შენდა შენი თავი უფრო ღრმად ჩაჰფლა სიბნელეში და სიბინძურეში!

და ჭეშმარიტად, კეთილი ჟამი აგირჩევია: რადგან აწ კვლავ გამიფრინდებიან ღამის ფრინველნი. მოაწია ჟამმა ხალხისათვის, რომელს სინათლისა ეშინიან, საღამომ და უსაქმობის საათმა, ოდეს არ - „უქმობენ“.

მესმის და ვყნოსავ ამას; მოაწია მათ ჟამმა ნადირობისა და

ლიტანიებისა, და არა ველური ნადირობისა, არამედ შინაური, დაავადებული, მყნოსავი ფეხაკრეფილი ჩუმად მლოცველი ნადირობისა, -

- ნადირობისა სულით აღტაცებულ ფარისევლებზე; გულის ყველა ხაფანგები კვლავ დადგმულია! და სადაც მე ფარდას ავწევ, იქ ფარვანა გამოვარდება.

იქ იმალება იგი სხვა ფარვანებთან ერთად? რადგან ყველგან ვყნოსავ მე პატარა ფარულ მრევლს; და სად თავშესაფარია, იქ ახალი თანამლოცველია და სიმყრალე თანამოძმე ძმათა.

გრძელი საღამოები ერთად სხედან და ლაპარაკობენ: „ვიყვნეთ, ვით ბალღები და ვუხმობდეთ „საყვარელ ღმერთსა!“ - პირით და სტომაქით, სათნო მეშაქარლამეთა მიერ გაფუჭებული რომაა.

ან უმზერენ გრძელ საღამოებს გაიძვერა ჩასაფრებულ ჯვარ-ობობას, რომელი თვით უქადაგებს სიბრძნეს ობობათ და ამას ასწავლის: „ჯვართა ქვეშ კარგია ქსელის ქსოვა“.

ან მთელი დღეები სხედან ანკესებით ჭაობებთან და ამით იგი ღ რ მ ა დ მიაჩნიათ; მაგრამ რომელი იქ თევზაობს, სად თევზი არ არის, მათ ზერელეთაც არ ვუწოდებ!

ან იგინი მხიარულნი სწვალობენ არფის დაკვრას მგოსანთან, რომელი სიამოვნებით ჩაძვრება ახალგაზრდა ქალების გულში: რადგან იგი მოიქანცა მოხუცი ქალებით და მათი ქებით.

ან იგინი სწავლობენ შიშს მეცნიერ ნახევარ რეგვენთან, რომელი ბნელ ოთხში უცდის, რათა მას სულები გამოეცხადონ - და სული იქიდან სრულიად გაქრება!

ან იგინი უსმენენ მოხუც მოხეტიალე ქსუ მესტვირეს, რომელმა სევდიანი ქარებისაგან ბგერათა სევდა ისწავლა; აწ ქარს აყოლებს სტვირს და სევდიანი ბგერით ჰქადაგებს სევდას.

ზოგიერთი მათგანი ღამის დარაჯებად გარდაიქმნენ: აწ მათ იციან საყვირში ჩაბერვა და ღამეობით შემოვლა და ძველ საქმეთა გაღვიძება, რომელთ უკვე დიდი ხანია დაიძინეს.
ხუთი სიტყვა მომესმა გუშინღამ ბაღის კედელთან ძველი საქმისათვის: მათ ამბობდნენ ესეთი ძველი, სევდიანი, განმხმარი ღამის დარაჯები.

„თავისი ბავშვებისათვის იგი არა ზრუნავს საკმაოდ, როგორც მამას შეჰფერის: კაცთა მამანი ამას უკეთ ახერხებენ!“

„იგი ძლიერ მოხუცია! იგი აღარ ზრუნავს თავისი შვილებისათვის“ - ესე უპასუხა მეორე ღამის დარაჯმა.

„განა მას შვილები ჰ ყ ა ვ ს? არავის შეუძლიან ამის დამტკიცება, უკეთუ თვით არ დაამტკიცებს. დიდი ხანია მსურს ერთხელ საფუძვლიანად დაამტკიცოს ეს“.

„დაამტკიცოს? თითქოს მას ოდესმე რამე დაემტკიცებინოს! დამტკიცება ძნელად ეხერხება; მისთვის უმჯობესია, რათა მისი სწამდეთ“.

„დიახ! დიახ! რწმენა ნეტარებას ჰქმნის, რწმენა მისი. ესაა მოხუც ხალხთა ხელობა! ჩვენც იგივე გვემართება!“ –

- ესე ბაასობდა ორი მოხუცი ღამის დარაჯი და სინათლის მოშიშარი, და სევდიანად ჰბერავდნენ საყვირებს. ესე მოხდა გუშინღამ ბაღის კედელთან.

მე გული ამიტოკდა სიცილით და სურდა გადმოხეთქვა და არ იცოდა საით. და დაიმალა დიაფრაგმაში.

ჭეშმარიტად ჩემი სიკვდილი იქმნება სიცილით გაგუდვა, ვხედავ რა მთვრალ ვირებს და მესმის ღამის დარაჯნი ღმერთ ეჭვობენ.

განა დ ი დ ი ხ ა ნ ი არ არის დრო მოსჭამა მზგავსმა ეჭვმა? ვის შეუძლია გააღვიძოს ესეთი მოხუცი, მიძინებული, ნათელის მოშიშარი საგნები!

ძველ ღმერთებს ბოლო მოეღოთ უკვე დიდი ხანია: - და ჭეშმარიტად, მათ კარგი, მხიარული, ღვთაებრივი ბოლო ჰქონდათ!

იგინი „დაიბინდნენ“ არა სიკვდილად - ამის თქმა სიცრუეა! წინააღმდეგ: მათ ერთხელ თავი მოიკლეს - სიცილით!

ეს მოხდა, ოდეს უღვთო სიტყვა თვით ღმერთის მიერ იქმნა წარმოთქმული, - სიტყვა: „არის ერთი ღმერთი! და ჩემს გარდა სხვა ღმერთი არ უნდა გყავდეს!“ –

- მოხუცმა წვერა ღმერთმა, ეჭვიანმა ესე დაივიწყა თავი:

- და ყველა ღმერთები იცინოდნენ მაშინ და ქანაობდნენ თავის ტახტებზე და ჰყვიროდნენ: „განა ღვთაებროება ის არ არის, რომ

ღმერთები არიან და არა ღმერთი?“

ვისაც ყური აქვს, ისმინოს. –

ამას იტყოდა ზარატუსტრა ქალაქში, რომელი მას უყვარდა, და რომელის სახელია „ჭრელი ძროხა“. აქედან მას მხოლოდ ორი დღე დარჩენოდა, რათა კვლავ გამოქვაბულს დაბრუნებულიყო და თავის ცხოველებს; სული მისი მარად ხარობდა უკან დაბრუნების მოახლოვებით.

შინ დაბრუნება

ჰე, მარტოობა! შენ, ჩემო ს ა მ შ ო ბ ლ ო, მარტოობა! მეტად დიდხანს ვცხოვრობდი ველურად, ველურ უცხოეთში, რათა ცრემლებით არ დაგიბრუნდე!

აწ დამემუქრე თითით, ვით დედა იმუქრება, ან გამიღიმე, ვით დედა იღიმება, ან მითხარი: „ვინ იყო ერთხელ რომ ჩემგან, ვით ქარიშხალი, ილტოდა? –

„ - დამშვიდობებისას ჰყვიროდა: დიდ ხანს ვყოფდი მარტოობასთან, აქ სიჩუმეს გადავეჩვიე! - ეხლა ხომ ისწავლე ი გ ი?

„ჰე, ზარატუსტრა, ჩემთვის ყოველი ცნაურია: ისიც, რომ მრავალთა შორის უფრო ო ბ ო ლ ი იყავ, შენ მხოლოდო, ვიდრე ოდესმე ჩემთან!

„სხვა არის ობლობა, სხვა არის მარტოობა: ესე ისწავლე აწ! და რომ კაცთა შორის არად ველური და გარეშე იქმნება:

„ველური და გარეშე მაშინაც, ოდეს მათ უყვარხარ: რადგან უპირველესად ყოვლისა ჰსურთ, რათა დ ა ნ დ ო ბ ი ლ იქმნენ!

აქ კი შენ სახლში ხარ და სამშობლოში; აქ შეგიძლიან ყოველი გამოსთქვა და ყოველი სიღრმე ამობღოტო, არარას რცხვენის აქ ფარულ, გახევებულ გრძნობათა.

„აქ ყოველი ნივთი ისწრაფის ალერსით შენი სიტყვისაკენ და პირმოთნეობს; რადგან ჰსურთ ზურგზე შეგსხდნენ. ყოველ სიმბოლოთი აქ ყოველი ჭეშმარიტებისკენ ისწრაფი.

„პირუთნელად და დაურიდებლად შეგიძლია ელაპარაკო ყველა ნივთს; და ჭეშმარიტად, ვით ხოტბა ესმის მათ ყურებს, ოდეს ვიეთი ყველას პირუთვნელად ელაპარაკება!

„ხოლო სხვა არის ობლობა. ხომ გახსოვს, ჰე ზარატუსტრა? მას ჟამს ოდეს შენი ფრინველი თავს დაგჩხაოდა, ოდეს ტყეში იყავ და მერყეობდი: საით? არამცოდნე, ცხედრის ახლოს: -

„ - ოდეს იტყოდი: წინ მიძღოდნენ ცხოველნი ჩემნი! ადამიანთა შორის ჩემთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე ცხოველთა შორის: - ესე ობლობა იყო.

„და გახსოვს ხომ, ჰე ზარატუსტრა? ოდეს შენ კუნძულზე იჯექი, წყარო ღვინისა ცარიელ საწყაულთა შორის, მისცემდი და განსცემდი მწყურვალთა შორის, მჩუქებელი და მაჯილდოვებელი.

„ - ვიდრე ბოლოს მსმელთა შორის მწყურვალე არ სჯექ და ღამეობით სჩიოდი: „აღება მეტად ნეტარია, ვიდრე გაცემა? და პარვა მეტად სანეტარო, ვიდრე აღება?“ - ე ს ე ობლობა იყო.

და გახსოვს ხომ, ზარატუსტრა? ოდეს შენი უჩუმესი ჟამი მოვიდა და შენ შენს თავს წაგართვა, ოდეს ბოროტი ჩურჩულით ამბობდა: „სთქვიო და დაიმსხვერი!“ –

„ - ოდეს მან განანა შენი მოლოდინი და მდუმარება და შენი მორჩილი ძალა სასოწარკვეთა. ესე ობლობა იყო!“ –

ჰე, მარტოობა! შენ, ჩემო სამშობლო, ობლობა! ვით წყნარად და ნაზად მესაუბრება შენი ხმა!

ურთიერთ არ ვეკითხებით, ურთიერთ არ ვუჩივით, ხშირად ურთიერთ ღია კარით ვვლით.

რადგან შენთან ღიაა და ნათელი; და საათებიც აქ მსუბუქ ფეხებით რბიან. ბნელში კი დრო მეტად სამძიმოა, ვიდრე სინათლეში.

აქ გაიხსნება ყოველი ყოფის სიტყვა და სიტყვათა საუნჯე: ყოველი ყოფა აქ სიტყვად ისწრაფის, ყოველ [ქმნადობას] ჩემგან ჰსურს ლაპარაკი ისწავლოს.

იქ, ქვემოთ - ყოველი სიტყვა ამაოა! იქ დავიწყება და გზად გავლა უკეთესი სიბრძნეა: ესე ვისწავლე აწ!

ვისაც ადამიანთა ყოველის გაგება ჰსურს, მან ყოველი უნდა წაართვას. ხოლო ამისათვის მეტად სუფთა ხელები მაქვს.

უკვე ვეღარ ვისუნთქებ მათი სუნთქვით; ჰე, რომ ესე დიდ ხანს მათი ხმაურობისა და საზიზღარის სუნთქვის შორის ვცხოვრობდი!

ჰოი, ნეტარო სიჩუმე ჩემ გარშემო! ჰოი, წმიდაო სურნელება ჩემ გარშემო! ჰოი, ვით ღრმა გულით წმიდად სუნთქავს ეს მდუმარება! ჰოი, ვით უსმენს, ეს ნეტარი სიჩუმე!

ხოლო იქ, ქვემოთ - ყველაფერი ლაპარაკობს, იქ არაფერს უსმენენ. თუნდაც ზარებით აუწყე შენი სიბრძნე: ვაჭრები მოედანზე გროშების წკარუნით გაჯობებენ!

ყველაფერი მათ შორის ლაპარაკობს, არავინ უწყის გაგება, ყოველი წყალში ვარდება, არღარა ვარდება ღრმა ჭაში.

ყველაფერი მათ შორის ლაპარაკობს, აღარაფერი ხერხდება და ბოლოვდება. ყველაფერი კაკანებს, მაგრამ ვისა ჰსურს კვლავ ჩუმად ბუდეში ჯდომა და კვერცხების ჩეკვა?

ყველაფერი მათ შორის ლაპარაკობს, ყველაფერი წყალნარევია, და რაც გუშინ მეტად მაგარი იყო თვით დროისათვის და მისი კბილებისათვის: დღეს გამოხრილი და გამოჭმულია დღევანდელთა დინგებიდან.

ყოველი ლაპარაკობს მათ შორის, ყველაფერი გახმაურებულია, და რასაც ერთ დროს საიდუმლოებას უწოდებდნენ და ფარულობას ღრმა სულთა, დღეს ქუჩის მესტვირეთა და სხვა პეპელათა ეკუთვნის.

ჰე, ადამიანის არსება, შენ უცნაურო! შენ ხმაურობა ბნელ ქუჩებში! აწ დაწექი ჩემს უკან: ჩემი უდიდესი ხიფათი ჩემს უკანა წევს!

დანდობა იყო და შებრალება უდიდესი ჩემი ხიფათი; და ყოველ ადამიანის არსებას დანდობა ჰსურს და შებრალება.

ფარული ჭეშმარიტებით, რეგვენის სულით და გასულელებული გულით და მდიდარი პატარა ტყუილებით შებრალებისა. ესე ვსცხოვრობდი მე მარად კაცთა შორის.

გადაცმული ვიყავ მე, მჯდომარე მათ შორის, მზა - თავი არ მეცნო, რათა იგინი ამეტანა და სიამოვნებით თავს ვაჯერებდი: „რეგვენო არ იცნობ ადამიანთ!“

ადამიანთ ველარ იცნობ, ოდეს ადამიანთა შორის სცხოვრობ: ყველა ადამიანთ ნამეტანი გარეგნობა აქვთ, - რა საქმე აქვთ იქ შორსმჭვრეტელ, შორმხედველ თვალთ!

და ოდეს ველარა მცნობდნენ: მე რეგვენი მათ მეტად ვინდობდი ამისათვის, ვიდრე ჩემ თავსა; ჩვეული სისასტიკეს ჩემდა მიმართ,

ხშირად ჩემი თავის წინააღმდეგ ვიძიებდი შურს ამ დანდობისათვის.

დაკბენილი შხამიანი ბუზების მიერ და გამოხრული ვით ქვა, ბოროტების მრავალი წვეთით, ესე ვიჯექი მე მათ შორის და ამას ვეუბნებოდი თავს: „უბრალოა ყოველი მცირე თვისი სიმცირისათვის!“

უფროსად იგინს, რომელნი თავს „კეთილს“ ეძახიან, ვპოვებდი ყველაზე შხამიან ბუზებად; იგი ჰკბენენ ყოველი უბრალოებით, იგინი სტყუიან ყოველი უბრალოებით; ვით შ ე ძ ლ ო თ მათ ჩემდა მიმართ სამართლიანობა!

რომელი კეთილთა შორის სცხოვრობს, მას შებრალება სიცრუეს ასწავლის. შებრალება ჰაერს ამძიმებს თავისუფალ სულთათვის. რეგვენობა კეთილთა ხომ განუზომელია.

თავი დავიმარხო და ჩემი სიმდიდრე - ე ს ე ვისწავლე იქ დაბლა; რადგან ყოველს კვლავ სულით ღატაკს ვპოვებდი. ესე იყო სიცრუე ჩემი შებრალებისა, რომ ყველასათვის ვიცოდი:

- რომ ყველასათვის ვხედავდი და ვყნოსდი, რამდენი იყო მისთვის ს ა კ მ ა რ ი ს ი სული და რამდენი იყო სულისა მისთვის ნ ა მ ე ტ ა ნ ი!

მათი გახევებული ბრძენნი: მათ ბრძენთ ვუწოდებდი, არა გახევებულთ - ესე ვისწავლე სიტყვათა ყლაპვა. მათი მესაფლავენი; მათ ვუწოდებდი მაძიებელთ და გამომცდელთ, - ესე ვისწავლე სიტყვათა არევა.

მესაფლავენი ამოსთხრიან თავისთვის სნეულებათ. ძველი ნაგვის ქვეშ სძინავს მავნებელ ორთქლს. არ უნდა აამღვრიო ჭაობი. ჰხამს მთებზე ცხოვრება.

ნეტარი ნესტოებით ვსუნთქავ მე მათთა თავისუფლებას! თავისუფალია ჩემი ცხვირი ადამიანთა მოდგმის სუნით.

ბასრი ჰაერით გახალისებული, ვით აქაფებული ღვინით, ც ხ ვ ი რ ს ა ც ე მ ი ნ ე ბ ს ჩემი სული, - ცხვირს აცემინებს და თავს ესალმება: იცოცხლე!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სამჯერი ბოროტისათვის

1.
სიზმარში, უკანასკნელ დილის სიზმარში დღეს თავი კოცონზე ვპოვე, - ქვეყნიერების გადაღმა, მეჭირა სასწორი და ქვეყანას ვსწონიდი.

ჰე, ვით ადრე მეწვია დილის რიჟრაჟი: მან მხურვალემ გამომაღვიძა, ეჭვიანმა! ეჭვიანია იგი მარად ჩემი დილის სიზმრების მხურვალებისათვის.

ზომად-ჯერადი, რომელს დრო აქვს, წონად-ჯერადი კარგი მწონელისათვის, მიღწევად-ჯერადი ძლიერ ფრთათათვის, ამოცნობად-ჯერადი ღვთაებრივ ამომცნობელთათვის: ესე ეჩვენა ქვეყანა ჩემ სიზმარს: -

ჩემი სიზმარი, გულადი მეზღვაური, ნახევრად ხომალდი, ნახევრად ქარი, ჩემი, ვით პეპელა, მოუთმენელი ვით მიმინო: ვით ჰპოვა მან დღეს დრო და მოთმინება ქვეყნიერების ასაწონად!
თუ ჩემმა სიბრძნემ საიდუმლოდ ჩააგონა, ჩემმა მცინარე მღვიძარე სიბრძნემ დღისა, რომელი დასცინის „დაუსრულებელ ქვეყანათ“? რადგან იგი იტყვის: „სად ძალაა, ი ქ რ ი ც ხ ვ ი ც ქალბატონია: მას მეტი ძალა აქვს“.

ვით დაჯერებული უსმენდა სიზმარი ამ სასრულ ქვეყანას, არა ცნობისმოყვარეობით, არა ხარბად, არა შიშით, არა ლოცვით:

- თითქოს დიდი ვაშლი იზიდებოდა ჩემი ხელით, მწიფე ოქროს ვაშლი, გრილ-ნაზი ხავერდის ქურქით: - ესე მეჩვენა ქვეყანა:

- თითქოს ერთი ხე თვალს მიშვებოდა, - ფართე ტოტებით, ძლიერ ნებიანი, მოკუზული გზით მოქანცულთა საყრდნობელად და ფეხთა დასასვენებლად: ესე იდგა ქვეყანა ჩემ კონცხზე: -

- თითქოს მოხდენილ ხელებს ჩემსკენ კიდობანი მოჰქონდათ, - კიდობანი, ღია მორცხვ მათაყვანებელ თვალთა აღფრთოვანებად. - ესე მეჩვენა დღეს ქვეყანა: -

- არა საკმაოდ გამოცანა, ადამიანის სიყვარულის უკუგდებად, არა საკმაოდ ამოცნობა, ადამიანთა სიბრძნის დასაძინებლად: - ადამიანურად კეთილი იყო ჩემთვის დღეს ქვეყანა, რომლისათვის ესე ბოროტს იტყვიან.

ვით მადლიერი ვარ, ჩემო დილის სიზმარო, რომ დღეს ადრიანად ქვეყანაც ავწონე! ვით ადამიანურად კეთილი მეწვია იგი, ვით

სიზმარი და ნუგეშის მცემი.

და დღით ვიქმნე მზგავსად მისისა და გადვიღებდე და ვისწავლიდე მისგან, რაც მას უკეთესი აქვს: აწ მსურს სამი უბოროტესი საქმე დავსდო სასწორზე და ადამიანურად კარგად ავწონო -

ვინც დალოცვას ასწავლიდა, იგი წყევასაც ასწავლიდა: რა არის ქვეყანაზე სამი უკეთესად წყეული საგანი? ეს მინდა დავსდო სასწორზე.

ლირწება, ხელმწიფების მოყვარეობა, თავისმოყვარეობა: ესეა სამეული დღემდე უფროსად წყეული და უფროსად გაკიცხული და ცილნაწამი, - ამ სამს ავწონი მე კარგად ადამიანურად.

კარგი! აქ არის ჩემი კონცხი და აგერ ზღვა: იგი ჩემკენ მოგორავს - ბანჯგვლიანი, პირმოთნე, ერთგული, ბებერი ასთავიანი ძაღლი, ურჩხული, რომელი მიყვარს.

კარგი! აქა მსურს მე სასწორი ავწიო მშფოთვარე ზღვაზე და ერთ მოწმესაც ავირჩევ, რათა თანაუმზერდეს, - შენ მწირო ხეო, შენ მძლავრო ტოტიანო, ფართე გუმბათიანო - ჩემ მიერ შეყვარებულო! –

რომელი ხიდით მიდის მყობადით აწმყო? ვის იძულება აიძულებს მაღალს დაბლად? და რა მოუწოდებს უმაღლესს მაღლით ძვრას? –

აგერ სასწორი სწორია და უძრავი: სამი მძიმე საკითხი დაუდე მას, სამი მძიმე პასუხი აწყვია მეორე თეფშზე.

2.

ლირწება: ყოველი ცრუმონანიეთა და ხორცის მძულვარეთათვის ნესტარი და სარი, და საიქაელთათვის, ვით „ამა ქვეყნისა“ წყეული: რადგან იგი დასცინის და ასულელებს მცდარ სიცრუეს მოძღვართა.

ლირწება: ბრბოსათვის ნელი ცეცხლი, რომლითაც იგი იწვის; ყოველი დაჭიანებული ხისათვის, ყოველი მყარი ძონძისათვის მზა აგზნებული ქოთქოთა ღუმელი.

ლირწება: თავისუფალ გულთათვის უბირო და თავისუფალი, ბაღი ბედნიერების მიწაზე, ყოველი მყობადის მადლიერების სიჭარბე აწმყოს მიმართ.

ლირწება: მხოლოდ მჭკნარისათვის ტკბილი შხამი, ხოლო ნებით ლომთათვის გულის დიდი მამაგრებელი და საგანგებოდ შენახული ღვინო ღვინოთა.

ლირწება: დიდი ნიშანი ბედნიერებისა უმაღლესი ბედნიერებისათვის და უმაღლესი იმედობისათვის. მრავალთათვის აღთქმული იყო ქორწინება და უმეტეს ვიდრე ქორწინება, -

- მრავალთათვის, რაც უცხოა ურთიერთისათვის ვიდრე მამაკაცი და დედაკაცი: - და ვინ სცნო სავსებით, ვით უცხონი არიან ურთიერთისათვის მამაკაცი და დედაკაცი!

ლირწება: - მაინც მსურს ღობე ჩემი აზრებისათვის და ჩემი სიტყვებისათვის: რათა ჩემ ბაღებში ღორები და აღტკინებულნი არ შემოიჭრნენ! –

ხელმწიფების მოყვარეობა: აღგზნებული მათრახი უცივეს ცივგულთათვის; საშინელი ტანჯვა, რომელი თვით უსასტიკესისათვის არის განმზადებული; მწარე ალი ცოცხალ კოცონთა. –

ხელმწიფების მოყვარეობა: ბოროტი ლაგამი უამაოეს ხალხთათვის დადებული; იგი მკიცხველი ყოველი საეჭვო სათნოებისა; რომელი ყოველი რაშით და ყოველ ამპარტავნობით დაიარება.

ხელმწიფების მოყვარეობა: მიწის ძვრა, რომელი ყოველ დამპალს და ფუტუროს ანგრევს და ამსხვრევს; მგორავი, მქუხარა, დამსჯელი, მმუსრავი ყოველ შემკულ კუბოთა; მოელვარე კითხვითი ნიშანი დღენაკლულ პასუხების გვერდით.

ხელმწიფების მოყვარეობა: რომლის მზერით ადამიანი ქვემავლობს, იდრიკება, დამცირდება და უფრო მცირედ იქმნება, ვიდრე გველი და ღორი: - ვიდრე დიდი ზიზღი მის შორის არ ჰღაღად ყოფს -

ხელმწიფების მოყვარეობა: საშინელი მასწავლებელი დიდი ზიზღისა, რომელი ქალაქთ და სამეფოთ პირში ეტყვის „შორს ჩემგან!“ - ვიდრე თვით მათ ორის არ ჰღაღად ყოფენ: „შორს ჩემგან“.

ხელმწიფების მოყვარეობა: რომელიც ხიბლით თვით უბიწოთ და მწირთ და მაღლით თვითკმაყოფ მწვერვალთ აღწევს, მხურვალე, ვით სიყვარული, რომელი ხიბლივით ჰხატავს მეწამულ ნეტარებას მიწიერ ცაზე.

ხელმწიფების მოყვარეობა: ვინ უწოდებს მას სწრაფვას, ოდეს მაღალი დაბლით ხელმწიფებად ისწრაფის! ჭეშმარიტად, არაფერი აქვს სნეული და დავრდომილი ამ სწრაფვას და ძირს დაშვებას!

რათა მწირი მწვერვალი არა მარადის განდგომილი და თვითკმაყოფილი ჰყოფდეს; რათა მთა ხეობად დაეშვას, და ქარი მწვერვალისა ბარად; -

ჰე, ვინ იპოვნიდა ნამდვილი ნათლობის და სათნოების სახელს მზგავსი სურვილისათვის! გამღები სიქველე“ - ესე უწოდა გამოუთქმელს ოდესღაც ზარატუსტრამ.

და მაშინ მოხდა აგრეთვე - და ჭეშმარიტად, პირველად მოხდა! - რომ მისმა სიტყვამ ქება სთქვა თავის მოყვარეობისა, წმინდა, ჯანსაღი, თავის მოყვარეობისა, ძლიერი სულით რომ გადმოხეთქს: -

- ძლიერი სულით, რომელს მაღალი სხეული ეკუთვნის, მშვენიერი, გამარჯვებული, გამხნევებული, რომელის ირგვლივ ყოველი საგანი სარკედ იქმნება:

- მოქნილი, მაჯერებელი სხეული, მროკავი, რომელის სიმბოლო და სახეობა თვით-მხიარული სულია. ეს თვით-მხიარულება ამა სხეულთა და სულთა თავს „სიქველეს“ უწოდებს.

თავისი სიტყვებით სიკეთისა და ბოროტებისათვის ესე თვით-მხიარულება გაიმიჯნება, ვით საღვთო ჭალაკებით, თავისი ნეტარების სახელით იგი უკუაგდებს თავიდან ყოველ საზიზღარს. უკუაგდებს ყოველ მხდალს; იგი იტყვის: ცუდი - ე ს ე მხდალია! მისთვის საზიზღარია მარად მზრუნავი, ოხრავი მოჩივარი და იგიც, ვინც უმცირეს მოგებას მოაგროვებს.
მას ეზიზღება აგრეთვე ყოველი მწუხარე სიბრძნე: რადგან ჰგიებს, ჭეშმარიტად, სიბრძნეც, რომელი სიბრძნეში ჰყვავის, ღამის ჩრდილთა სიბრძნეს: რომელი მარად ოხრავს „ყოველი ამაოებაა“.

იგი არარად აგდებს მხდალ უნდობლობას და ყოველს, რომელს ჰსურს ფიცი, ნაცვლად ხედვისა და ხელებისა: აგრეთვე ყველა მეტად უნდობელ სიბრძნეს, რამეთუ ესეა მხდალ სულთა მოდგმა.

უფრო მცირედად მიაჩნია მას გზანი სამსახურისათვის, ძაღლურნი, რომელნი მყისვე ზურგზე წვებიან, მორჩილნი; არის სიბრძნე მორჩილი, ძაღლური, სათნო და მზა მსახურებად.

საზიზღარია მისთვის, გულამრევი, რომელი თავს არ იცავს, რომელი შხამიან ნაფეხურს და ბოროტ თვალს ჩაჰყლაპავს, მეტად მომთმენი, ყველას ამტანი და ყველაფრით კმაყოფილი, რამეთუ ესეთია მონათა მოდგმა.

მონებს ვიეთი ღმერთს და ღვთაებრივ ნაბიჯთ, ან ადამიანთ და ბეც ადამიანთა აზრებს: ყ ო ვ ე ლ ს მონურს იგი ჰნერწყვავს. ეს ნეტარი თავის მოყვარეობა!

ცუდს: ესე უწოდებს ყველას დამცირებულს და დამცირებულ-მონურს, მოხამხამე პყრობილ თვალთ, შემუსვრილ გულთ და იმ ყალბ დამთმობ მოდგმას, რომელი ფართე მხდალი ტუჩებით ჰკოცნის.

და ყალბი სიბრძნე: ესე უწოდებს ყოველს, რისთვისაც ყმანი, მოხუცნი და მოქანცულნი ბჭობენ, და განსაკუთრებით მთელ უკეთურ ყალბ ბრძნულ მღვდელთა ზებრძნულ რეგვნობას!

ხოლო ყალბითბრძენნი, ყველა მღვდელები, ქვეყნით მოქანცულნი და ვისი სულიც ქალური და მონურია, - ჰე, ვით უკეთურ სამსახურს უწევდა მარად მათი თამაში თავის მოყვარეობას!

და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო სიქველე და სიქველე უნდა ეწოდებოდეს, რ ო მ სასტიკად სდევნიდე თავის და „ყმობა“ მოყვარეობას! ჰსურდათ საფუძვლიანად ყველა ამ დაღლილთ ქვეყნიერებით, მხდალთ და ჯვარობობათ!
ხოლო მათთვის თენდება დღე, მახვილი სამართლისა, დ ი დ ი შ უ ა დ ღ ე: იქ ბევრი გამოაშკარავდება!

და რომელი „მე“ -ს ჯანსაღად და ღვთაებრივად სთვლის და თავის მოყვარეობას ნეტარებად, ჭეშმარიტად, იგი იტყვის, რაც იცის, ვით მკითხავი: „ჰ ხ ე დ ვ ი დ ე თ ი გ ი მ ო დ ი ს, ი გ ი ა ხ ლ ო ა, დ ი დ ი შ უ ა დ ღ ე!“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სიმძიმის სულისათვის

1.

ბაგე ჩემი ერის ბაგეა: მეტად უდგრეშად და წრფელად ვმეტყველებ მე სათუთ ბაჭიათათვის. და მეტად უცხოდ ხმიანებს სიტყვა ჩემი მელნის თევზთათვის და კალმის მელიათათვის.

ხელი ჩემი რეგვენის ხელია: ვაი ყველა მაგიდასა და კედელთ და ყოველს, რაც ადგილს აძლევს რეგვენის სამკაულთა და რეგვენის ბღაჯნას!

ფეხი ჩემი - ცხენის ფეხია; ამით ვხლტი და დავჯირითობ აღმადაღმა ტყესა და დღესა ზედა და ვით ეშმაკი ვხარობ ყოველი სწრაფი რბენითა.

ჩემი კუჭიც ალბათ არწივის კუჭია? მას უფროსად ბატკნის ხორცი უყვარს. უეჭველია კი - ის ფრინველის კუჭია.

უმანკო საზრდოთი კვებილი და მცირედით: მზა და უთნო ფრენისათვის და გაფრენისათვის - ეს ვარ მე: ვით არ იყოს ესე მცირედად ფრინველისეული!

და უმეტესად რომ მტერი ვარ სიმძიმის სულისა - ესეც ფრინველისეულია: და ჭეშმარიტად გეტყვით, მტერი მოსისხლე, დაფიცული მტერი, მტერი დასაბამით. ჰე, სად არ ფრენილა და არ შეფრენილა ჩემი მტრობა!

ამისათვის უკვე ვიმღერდი სიმღერას - და მ ს უ რ ს ვიმღერო; თუნდ ცარიელ სახლში მარტოდა ვყოფ და ჩემ საკუთარ ყურთ ვუმღერ.

ჰგიებენ სხვა მომღერალნიც, რომელთა სასას მხოლოდ სავსე სახლი არბილებს, სულს მჭევრმეტყველსა ჰქმნის, თვალთ მეტყველად და გულს აფხიზლებს: არ ვარ მზგავსი მათი.

2.

რომელი ადამიანთ ფრენას ასწავლის, იგი ყველა მიჯნებს შესძრავს; ყოველი მიჯნა მისთვის თვით ჰაერში აფრინდება; მიწას ახლადა სცემს იგი ნათელს, ვით „მსუბუქსა“.

ფრინველი სირაქლემა უფრო ჩქარა რბის, ვიდრე უსწრაფესი ცხენი, ხოლო თავსა ჰმარხავს მძიმე მიწაში: აგრეთვე ადამიანი, რომელი ჯერ ფრენას არ ჩვეულა.

მძიმეა მისთვის მიწა და ცხოვრება; და ესეა ს უ რ ვ ი ლ ი სიმძიმის სულისა! ხოლო რომელს მსუბუქად ყოფა ჰსურს და ფრინველობა, მას თავი უნდა უყვარდეს: - ამას ვასწავლი მე.

არა სიყვარულით სნეულთა და დავრდომილთა: მათი თავის სიყვარულსაც შმორის სუნი ასდის.

უნდა ისწავლოთ თავის სიყვარული - ამას გასწავით - საღი და მხნე სიყვარულითა: რათა თავთან დარჩეთ და არ დაწოწიალებდეთ.

ამ წოწიალს „მოყვასის სიყვარული“ ეწოდების: ამა სიტყვებით დღემდე მეტად სცრუობდნენ და ორგულობდნენ, და უფროსად,

რომელნი ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვნენ.

მართალს გეტყვით, ესე არა არის ცნება სადღეისო და სახვალიო - თავის სიყვარულის ს წ ა ვ ლ ა: ყველა ხელოვნებათა შორის ეს უსათუთესია, მეტად გაიძვერა, უკანასკნელი და მეტად მომთმენი.

მესაკუთრისათვის საკუთრება კარგად დამარხულია; და ყველა განძეულობის ორმოთაგან საკუთარს უკანასკნელად ამოსთხრიან, - ამას ჰქმნის სული სიმძიმისა.

თითქმის აკვანშივე განგვზიდავენ მძიმე სიტყვებითა და ღირებულებით: „კეთილი“ და „ბოროტი“ ესე ეწოდება ამ მზითვს. მათი გულისათვის შეგვინდობენ სიცოცხლეს.

და მცირეთ ბავშვთ თავისთან მიუშვებენ, რათა დროზე აუკრძალონ მათ თავის სიყვარული: ამას ჰქმნის სული სიმძიმისა.

და ჩვენ - ჩვენ ერთგულად მივათრევთ ნაბოძარს, კორძიანი მხრებით უსიერ მთებში! და თუ ოფლით ვიწურებით, გვეტყვიან: „სიცოცხლე ძნელი ასატანია“.

მხოლოდ ადამიანისათვისაა თავსი ტარება სამძიმო! მეტად უცხო ტვირთსა ზიდავს ის თვისი ზურგით. ვით აქლემი იჩოქებს ის და თავს მძიმედ ატვირთინებს.

უფროსად ძლიერი, მძლე ადამიანი, აღჭურვილი თაყვანისცემით: მეტად ბევრი უ ც ხ ო მძიმე სიტყვათა და ღირებულებათა ტვირთით იტვირთება - და ცხოვრება მას უდაბნოდ ეჩვენება!

და ჭეშმარიტად! თვით ვიეთი ს ა კ უ თ ა რ ი ს ზიდვაც სამძიმოა! და მრავალი რამ ადამიანის შორის ლოკოკინის მზგავსია, საზიზღარი, ლოპრიანი და ძნელად ხელსაყოფი -

ეს პატიოსანი ქერქი და პატიოსანი სამკაული შეიქმნება მისი მეოხე. ხოლო ჰხამს ამ ხელოვნების შესწავლაც: ქერქის ქ ო ნ ე ბ ა და ლამაზი გარეგნობა და გონიერი სიბრმავე!

ხოლო მრავალით შეგვიძლიან კვლავ ადამიანში შევცდეთ, რომ ვიეთი ქერქი მცირედია, მწუხარე და მეტად ქერქი. მრავალი დამარხული დოვლათი და ძალა აროდეს არის აღმოჩენილი; უძვირფასესი გემრიელი საჭმელები ვერ ჰპოვებენ დამგემოვნებელთ.

დედაკაცებმა იციან ეს, უძვირფასესებმა: მცირედ მსუქანი, მცირედ მჭლე - რამდენი ბედია მცირედთა შორის!

ძნელი აღმოსაჩენია ადამიანი, ხოლო თავის აღმოჩენა უძნელესი; ხშირად სიცრუეს იტყვის სული სულისათვის. ამას ჰქმნის სული სიმძიმისა.
ხოლო მან თავი თვისი ჰპოვოს, რომელმან სთქვას: ესეა ჩ ე მ ი კეთილი და ბოროტი: ამით მუნჯ ჰყო თხუნელა და ქონდრისკაცი, რომელი იტყვის; „კეთილი ყველასათვის, ბოროტი ყველასათვის“.

ჭეშმარიტად, არ მომწონს ისინიც, რომელნი ყოველს კეთილს უწოდებენ და ამ ქვეყანას უკეთესს. ამათ ვუწოდებ უმეტესად კმაყოფილთ.

უმეტესი კმაყოფილება, რომელი ყოველს გემრიელად თვლის - ეს უკეთესი გემოვნება არ არის! პატივსა ვცემ ურჩ, გემოკეთილ პირს და სტომაქს, რომელნი იტყვიან „მე“ და „დიახ“ და „არა“.

ყოველის ცოხნა და მონელება სწორად ღორულია მარად „ი -ა“ -ს თქმა მხოლოდ ვირმა ისწავლა და ყოველმა მზგავსმა მისმა! –

თალხი ყვითელი და ციაგი წითელი ფერი: ესე ჰსურს ჩემ გემოვნებას, - იგი სისხლს შეურევს ყოველ ფერსა. ხოლო რომელი თავის სახლს თეთრად შეღებავს, თავის შეღებილ სულს ამჟღავნებს.
ვიეთს მუმიები უყვარს, ვიეთს მოჩვენება; და ორივე ერთნაირად მტერია ყოველი სხეულისა და სისხლისა - ჰე, ვით ეზიზღება ჩემ გემოვნებას ორივე! - მე სისხლი მიყვარს.

და იქ არა მსურს ცხოვრება და დარჩენა, სად ყოველი ნერწყვავს და აფურთხებს: ესეა ჩემი გემოვნება, - უკეთესია მპარავთა და ფიცის დამრღვევთა შორის ყოფდე. არავის დააქვს ოქრო პირით.

მეზიზღება უმეტეს ყოველი მსუნაგი: და უსაზიზღრეს ცხოველს, რომელი ვპოვე ადამიანთა შორის, მუქთახორა ვუწოდე; მას სიყვარული არა ჰსურდა, ხოლო სიყვარულიდან ცხოვრება. –

უბედურთ ვუწოდებ მათ - ყოველთ, რომელთ მხოლოდ ეს არჩევანი აქვთ: ბოროტ ცხოველად ყოფა ან ცხოველთ ბოროტ მხედნავად: მათ შორის ქოხს არ ავიშენებდი.

უბედურთ ვუწოდებ მათაც, რომელთა მარად გ უ შ ა გ ო ბ ა ჰხამს, - მეზიზღებიან ყველა მებაჟენი, ჩარჩები და მეფენი და სხვანი ქვეყნისა და დუქნების მცველნი.

ჭეშმარიტად, მეც ვისწავლე გუშაგობა, საფუძვლიანად, ხოლო გუშაგობა ს ა კ უ თ ა რ ი თავისა. და უფროსად ყოვლისა ვისწავლე

დგომა და სიარული და სირბილი და ხტუნვა და ცოცვა და ცეკვა.

ხოლო ესეა მოძღვრება ჩემი: რომელმა ფრენა ისურვოს. ჯერ არს დგომა, სიარული და სირბილი და ცოცვა და ცეკვა ისწავლოს: ჰხამს ფრენას შეჩვევა!

ბაწრის კიბით ვისწავლე მე მრავალი ფანჯრისაკენ აცოცება; მარდი ფეხებით ავცოცდებოდი მაღალ ანძებზე; შემეცნების მაღალ ანძაზე ჯდომა ჩემთვის მცირე ნეტარება არ იყო, -

- მაღალ ანძათა ზედა ცეცხლის მცირე ალივით რყევა; მცირე ნათელით, ხოლო დიდი ნუგეშად გზააბნეულ ხომალდთათვის და ღელვატეხილთათვის: -

მრავალი გზით და სახით მივედ მე ჩემ ჭეშმარიტებასთან: არა ერთი კიბით აველ მე მწვერვალს, საიდან ჩემი თვალი ჩემ შორეულისაკენ ისწრაფის.

და უხალისოდ ვეკითხებოდი მე მარად გზებს: ეს მარად მეზიზღებოდა! უფრო თვით ვიძიებდი და ვიკვლევდი გზებს.

ძიება და კითხვა იყო მთელი ჩემი სვლა: და ჭეშმარიტად, ჯერ არს პასუხის სწავლაც ამგვარი მკითხველისათვის! ესეა გემოვნება ჩემი.

- არა კარგი, არა ცუდი, არამედ ჩ ე მ ი გემოვნება, რომლის არა მრცხვენის და არა ვფარავ.

„ესე ჩ ე მ ი გზაა - სად არის თქვენი?“ ესე ვუპასუხე მე მათ, რომელნი „გზას მეკითხებიან“. რამეთუ გზა ს ა ე რ თ ო დ არ არის!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ძველ და ახალ ფიცართათვის

1.

აქა ვზივარ და ველოდები; ჩემ გარშემო - ძველი, დამსხვრეულნი ფიცრები და ახალნი ნახევრად წერილნი. ოდეს მოიწიოს ჟამმა ჩემმა?

- ჟამმა დახრისა ჩემისა და დასავლისა: მაშინ კვლავ მსურს მოვხედო ადამიანთა.

ამას ველოდები აწ: რამეთუ ჯერ არს სასწაულ მეყოს, რომ ეს ჩემი

ჟამი - ესეა ლომი მცინარი მტრედთა გუნდითა.

აწ კი ვესიტყვები თავს ვიეთისათვის, რომელი მოცლილა. არავინ მომითხრობს ახალს: ესე მე თვით მოვუთხრობ ჩემ თავსა. -

2.

ოდეს მოვედ ადამიანებთან, ვპოვე იგინი მჯდომარე ძველ ცრურწმენასა ზედა: ჰგონებდნენ, დიდი ხანია უკვე უწყიდნენ რა არის ადამიანისათვის სიკეთე და ბოროტება.

ძველ აბეზარ საქმედ ეჩვენებოდათ ყოველი სიტყვა სათნოებისა და რომელს შვებით ძილი ჰსურთ, იგიც ძილის წინ კვლავ „სიკეთისას“ და „ბოროტისას“ ლაპარაკობდა.

ესე მძინარე დავაფრთხე, ოდეს ვასწავიდი: კ ვ ლ ა ვ ა რ ა ვ ი ნ უ წ ყ ი ს რა არის სიკეთე და ბოროტება; - უკეთუ თვით არ არის მმქმედი.

- ხოლო ესეა, რომელი ჰ ქ მ ნ ი ს მიზანს ადამიანისათვის და აძლევს მიწას აზრსა და მყობადსა; იგი, რომელი პირველადა ჰქმნის მას, რაც სიკეთე არს და ბოროტება.

და მოვუწოდე დამხობად ძველ კათედრათა და ყოვლისა, რომელსა ზედა იგი ძველი ცრურწმენა მჯდომარებდა; მე მოვუწოდე მათ კიცხვად თვის სიქველის დიდთა მოძღვართა და წმიდათა და მგოსანთა და მხსნელთა ქვეყნისათა.

მათ ბნდუ ბრძენთა კიცხვად მოვუწოდებდი და ყოვლისა ცხოვრების ხეზედ ოდესმე მჯდომარე საფრთხობელასი.

მათი საფლავების დიდი გზის კიდეს ვჯდებოდი მე მძორთა და ქორებთან ერთად - დავსცინოდი მათ ყოველ ნამყოს და მის დამპალ, გახრწნილ, დიდ მშვენიერებას.

ჭეშმარიტად, ვით სინანულის მქადაგებელი და შეშლილი, ვუხმობდი რისხვას და წყევას ყოველ მათ დიდსა და მცირესა ზედა - მათი უკეთესი ესეც მცირედია! - ესე ვიცინოდი მე.

ჩემი ბრძენი სწრაფვა ხმიანობდა და იცინოდა ჩემში, იგი მთასა ზედა

იშვა, ჭეშმარიტად, შმაგი სიბრძნე! - დიდი, ფრთახმოსანი სწრაფვა ჩემი.

- იქით, შორეულ მყობადით, რომელი არა სიზმარს უხილავს, უმცხუნვარეს სამხრეთით, რომელი არა მხატვარს ზმანებია: იქით, სად ღმერთთ მროკავთ ყოველი სამოსლისა რცხვენით: -

- ამას ვიტყვი იგავით და ვით მგოსანი ვბორძიკობ და ვლუღლუღებ: და ჭეშმარიტად მრცხვენის, რომ უნდა კვლავ მგოსანი ვიყო! –

სად ყოველი ყოფადობა ღმერთთა როკვად და ღმერთთა ლაღობად მეჩვენებოდა და ქვეყანა თავის თავით მსწრაფ, ხსნილად და შვებულად.

- ვით მრავალ ღმერთთა მარადიული ლოტოლვა თავადთა და თავადთა კვლავ ძიება, ვით მრავალ ღმერთთა ნეტარი თავადი წინააღმდეგობა, თავადი განმეორება, თავის თავთან კვლავ დაბრუნება: -

სად ყოველი დრო ნეტარ მყისთა დაცინვად მეჩვენებოდა, სად გარდაუვალობა თვით თავისუფლებაა, რომელი ნეტარად თავისუფლების ნესტარს ეთამამებოდა: -

სად კვლავ ჩემი ძველი ეშმაკიც ვპოვე და დაფიცული მტერიც, სული სიმძიმისა და ყოველი მის მიერ ქმნილი: იძულება, კანონი, გარდაუვალობა, შედეგი, მიზანი, ნებისყოფა, სიკეთე და ბოროტება: -

ართუ ჯერ არს სუფევდეს რა, რომელსა ზედა ჰშვენის როკვა და როკვით სრბოლა? ართუ ჯერ არს მსუბუქად და უფროსად მსუბუქთა გულისათვის - ყოფა თხუნელათა და მძიმე ჯუჯათა? -

3.

იქვე გზად ვპოვე მე სიტყვა „ზეკაცი“ და რომ ადამიანი რაობაა, რომლის ჯერ არს ძლევა.

- რომ ადამიანი ხიდია და არა მიზანი: იგი ხარობს თვისი შუადღით და სამხრით, ვით გზით ახალი ცისკრისაკენ:

- ზარატუსტრას სიტყვა დიდი შუადღისათვის და რაც აღვაგე ადამიანთა ზედა, მზგავსი მეწამული მეორე დაისისა.

ჭეშმარიტად, ახალი მთიებნიც ვაჩვენე მათ და ახალი ღამენი; და ღრუბელთა ზედა და დღესა და ღამესა ზედა სიცილი გავჭიმე მე, ვით ჭრელი კარავი.

ვასწავე მათ ყოველი ჩემი აზრი და სწრაფვა: ერთბაშად შეთხზვა და ერთად ზიდვა ყოვლისა, რაც ადამიანის შორის ნამუსრევი საცნაურია და საშინელი შემთხვევა, -

ვით მგოსანი, მკითხავი და შემთხვევისაგან მხსნელი ვასწავიდი ქმნას მყობადისა და რაც იყო - ხსნას ქმნით.

ადამიანის შორის წარსულის ხსნა და ყოველი „იყოს“ გარდაქმნა, ვიდრე ნება იტყოდეს: ხოლო ესე მსურდა! ესე იქნება სურვილი ჩემი - ’’

- ამას ვუწოდებდი ხსნას, ამას ვასწავიდი მხოლოდ მიეჩნიათ ხსნად.

- აწ ჩ ემ ს ხსნას ველოდები, - რათა უკანასკნელად მივჰხედო მათ.

კვლავ ერთხელ მსურს მივჰხედო ადამიანთ; მათ შორის მსურს სიკვდილი; მომაკვდავი გადავსცემ მათ ჩემ მდიდარ ძღვენს!

მზისაგან ვისწავლე, ოდეს დაიხრება იგი უუხვესი: ოქროს უყრის ის ზღვას თვის უძლეველ სიმდიდრისაგან.

- ესე თვით უღარიბესი მეთევზეც ოქროს ნიჩბით უსვამს! ესე ვიხილე ერთხელ და ვუმზერდი რა, ვერა ვძღებოდი ცრემლით. –

ვით მზე ჰსურს ზარატუსტრად ჩავიდეს: აწ აქა ზის და ელოდება; მის გარემოა ძველი, შემუსრული ფიცრები და ახალი ფიცრებიც, - ნახევრად დაწერილი.

4.

იხილე ესე ახალი ფიცარი: ხოლო სად არიან ძმანი, რომელნი ჩემთან ერთად მას ხეობათ წაიღებენ და ხორცოვან გულებისაკენ? –

ესეა სიყვარული ჩემი შორეულისა: ნ უ დ ა ი ნ დ ო ბ მ ო ყ ვ ა ს ს ა შ ე ნ ს ა! ადამიანი რაობაა, რომლის ჯერ არს ძლევა.

მრავალია გზა და სახე ძლევისა: თ ვ ი თ ეძიე! მხოლოდ მასხარა ჰფიქრობს: „ადამიანს შეიძლება გ ა დ ა ვ ა ხ ტ ე“.

სძლიე თავსა თვით შენი მოყვასის შორის: და უფლებას, რომლის მონადირება ძალგიძს, სხვა ნუ გიბოძებს!

რაოდენსა ჰქმნი, არავინ ჰქმნას ეს კვლავ შენთვის. იხილე, არა ჰგიებს სამაგიერო.

რომელი თავს არა ხელმწიფებს, მისთვის ჯერ არს მორჩილება. და მრავალთ ძ ა ლ უ ძ თ ხელმწიფება, ხოლო მრავლით ნაკლოვან არიან, რათა თავსა თვისსაც მორჩილებდნენ!

5.

ესეა მოდგმა კეთილშობილ სულთა: არაფერი ჰსურთ უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ, უფროსად სიცოცხლე.

რომელი ბრბოისაა, მას უსასყიდლო ცხოვრება ჰსურს; ხოლო ჩვენ სხვანი, რომელთ სიცოცხლე მიეცა, - მარად ვბჭობთ, რა უკეთესი მივცეთ ს ა მ ა გ ი ე რ ო დ!

და ჭეშმარიტად, ესეა სიტყვა კეთილშობილი, რომელი იტყვის: „რას ჩვენ ცხოვრება აღგვითქვამს - ჩვენ გვსურს ცხოვრებას აღვუსრულოთ!“

უჯეროა სურვილი სიამისა, სად სიამე თვით არ მოგვეცემის. და არ ჯერ არს ს უ რ ვ ი ლ ი სიამისა!

უფროსად მორცხვია სიამე და უბრალოება: არა ჰსურთ, რათა ეძიებდნენ. ჰ ხ ა მ ს გაქვნდეს, - ხოლო უმჯობესია ძ ი ე ბ ა ბრალისა და ურვისა! –

6.

ჰე ძმანო, მარად პირმშო შეიწირების, ხოლო აწ ჩვენ პირმშონი ვართ.

ყველა სისხლით ვიღვრებით იდუმალ სამსხვერპლოებზე, ყველა ვიწვით და ვიდაგებით ძველ კერპთა სადიდებლად.

ჩვენი უკეთესი კვლავ ნორჩია: ის ძველ ცას აღიზიანებს. ჩვენი ხორცი ნაზია, ჩვენი ტყავი მხოლოდ კრავის ტყავია: - ვით არ გავაღიზიანოთ ძველ კერპთა ქურუმნი!

თ ვ ი თ ჩ ვ ე ნ შ ო რ ი ს სუფევს კვლავ ძველ კერპთა ქურუმი, ჩვენ უკეთესს რომ სწვავს თავის საზეიმოდ. ჰე ძმანო, ვით არ იყოს პირმშო მსხვერპლად შეწირული!

ხოლო ესე ჰსურს ჩვენ მოდგმასა; და მე მიყვარს, რომელნი თავს არ იზოგვიდნენ. წარმხდომნი მიყვარს მთელი ჩემი სიყვარულით: ისინი გაღმით ეშურებიან.

7.

მართალი ყოფა - მცირედთ ძ ა ლ უ ძ თ! და რომელთ ძალუძთ, კვლავ არა ჰსურთ! ხოლო უფროსად არ ძალუძთ ესე კეთილთ.

ჰე, ესე კეთილნი! კ ე თ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ა რ ო დ ე ს ი ტ ყ ვ ი ა ნ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს, სულისათვის მზგავსი სიკეთე სნეულებაა.

უთმობენ, კეთილნი ესე, იხრებიან, მათი გული ბანს აძლევს, გონება მორჩილებს: ხოლო რომელი მორჩილებდეს, მ ა ს თ ა ვ ი ს ა ღ ა რ ს მ ე ნ ი დ ე ს.

ჰხამს ყოვლისა კეთილთა მიერ ბოროტად წოდებულის თანაყოფა, რათა ერთი ჭეშმარიტება იშვას: ჰე, ძმებო, საკმაოდ ბოროტნი ხართ ა მ ა ჭეშმარიტებისათვის?

უტეხი კადნიერება, ხანგრძლივი უნდობლობა, მკაცრი უარყოფა, ზიზღი, ცოცხლის ჭრა - ვით იშვიათია ა მ ი ს ი თანაყოფა! - ხოლო ამა თესლით - წარმოიშვის ჭეშმარიტება!

არა წმინდა სინდისის გვერდით იზრდებოდა დღემდე ყოველი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა! შემუსრეთ, შემუსრეთ, თქვენ მმეცნენო, ძველი ფიცრები!

8.

ოდეს წყალსა ზედა ძელები გასდეს და მდინარესა ზედა ბოგირები და მოაჯირები: ჭეშმარიტად, არავინ რწმენიდეს, ოდეს იტყოდეს: „ყოველივე მდინარებს“.

თვით რეგვენნი წინ აღუდგნენ მას. ვით? იტყოდნენ რეგვენნი, ყოველივე მდინარებს? ძელები და მოაჯირები ხომ მდინარესა ზ ე დ ა ა?“

„მდინარესა ზედა ყოველივე მკვდარია, ყველა ნივთთა ფასეულობა, ხიდები, ცნებანი, ყოველი „სიკეთე“ და „ბოროტება“. ეს ყოველი მკვიდრია“.

და ოდეს სასტიკი ზამთარი მოდის, მდინარეთა დამგები: თვით მქირდავნიც შეეჭვდებიან: და ჭეშმარიტად, არა მხოლოდ რეგვენნი იტყვიან მაშინ „განა ყოველი უ ძ რ ა ვ ი არ არის?“

არსებით ყოველივე უძრავია,“ - ესე ზამთრის ჭეშმარიტი სიმღერაა, კეთილი საქმე ბერწი დროისათვის, კეთილი იმედი ზამთარში მძინარეთა და ნაცარქექიათათვის.

„არსებით ყოველივე უძრავია“ - ხოლო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს ღაღადებს ქარი გამლღობი!

ქარი გამლღობი ხარია, არა მხვნელი ხარი, - ცოფიანი ხარი, მმუსვრელი, რისხვის რქებით რომ ყინულსა ა მ ს ხ ვ რ ე ვ ს!

ჰე ძმანო, აწ ყოველივე არა მდინარებს? განა ყოველი ბოგირი და მოაჯირიც წყალში არ ჩავარდება? ვინღა მოეჭიდოს „სიკეთესა“ და „ბოროტსა“?

„ვაი ჩვენ! გვიხაროდენ! გამლღობი ქარი ჰბერავს!“ ამას ჰქადაგებდეთ, ჰეი, ძმანო, ყოველთა გზასა შინა!

9.

არის ძველი შეშლილობა, მას სიკეთე და ბოროტება ეწოდება. მკითხავთა და ვარსკვლავთმრიცხველთა ირგვლივ ბრუნავდა დღემდე ბორბალი ამ შეშლილობისა.

ოდესღაც ჰსწამდათ მკითხავებისა და ვარსკვლავთმრიცხველთა: ამისათვის ჰსწამდათ „ყოველი ბედია: შენ მოვალე ხარ, რამეთუ ჯერ არს შენთვის!“

შემდეგ კვლავ მკითხავებისა და ვარსკვლავთმრიცხველთა არარა სჯეროდათ: და ამისათვის სწამდათ „ყოველი თავისუფლებაა: ძალ გიძს, რამეთუ გსურს!“

ჰე, ძმანო, ვარსკვლავთა და მომავლისას დღემდე არა უწყიდნენ, არამედ მხოლოდ ვარაუდობდნენ: ა მ ი ს ა თ ვ ი ს სიკეთისა და ბოროტისას დღემდე ვარაუდობდნენ, არა უწყიდნენ!

10.

„არ უნდა ძარცვო! არ უნდა კაც ჰკლა!“ - ამა სიტყვებს ოდესღაც წმიდას უწოდებდნენ; მათ წინაშე თავსა და მუხლთ იდრეკდნენ და ფეხთ იხდიდნენ.

ხოლო გეტყვით თქვენ: სადა ჰყავდა ქვეყანას ამ წმიდა სიტყვებზე უკეთესი ავაზაკნი და კაცისმკვლელნი?

განა თვით ცხოვრებაში არ არის ავაზაკობა და მკვლელობა? და განა ამა სიტყვათა წმიდათ აღიარება ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს მკვლელობა არ არის?

ანუ სიკვდილის ქადაგება არ არის წმიდათ აღიარება ყოვლისა, რაც ცხოვრებას ეწინააღმდეგება და ებრძვის?

ჰე ძმანო, შემუსრეთ, შემუსრეთ ძველი ფიცარნი!

11.

ესეა ჩემი სიბრალული ნამყოსადმი, რამეთუ ვხედავ: ბედის ანაბარად დარჩენილია, -

- მოწყალებისა, სულისა, ყოველი თაობის სიგიჟის ანაბარა, თაობისა, რომელი მოდის და ყოველს, რაც იყო, თავის ხიდად ჰქმნის!

შესაძლებელ არს მოვიდეს მტარვალი ბატონი, ბოროტი ურჩხული,

რომელი თვისი წყალობითა და წყრომით ყოველ მყობადს აიძულებდეს და ძალმომრეობდეს: ვიდრე იგი არ შეიქმნეს მისთვის ხიდად მომასწავებლად და მახარობლად და მამლის ყივილად.

ხოლო ესე მეორე ხიფათია და ჩემი მეორე სიბრალული: - რომელი ბრბოისაა, მისი მეხსიერება მამის მამას აღარ სცილდება, - ხოლო მამის მამასთან დროს ბოლო ეღება.

ესე ყოველი ნამყო ბედის ანაბარაა: რამეთუ შესაძლებელ არს მოხდეს - ბრბო ბატონი შეიქმნეს და ყოველი დრო თხელ წყალში დაიხრჩოს.

ამისათვის, ძმანო, ჰხამს ყოფა ა ხ ა ლ კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ თ ა, რომელი ყოველი ბრბოსა და ყოველ ტირანების წინააღმდეგია და ახალ ფიცარზე კვლავ სწერს სიტყვას „კეთილშობილი“.

მრავალ კეთილშობილი და მრავლით კეთილშობილებია საჭირო, რ ა თ ა კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ თ ა მ ო დ გ მ ა ჰ გ ი ე ბ დ ე ს! ან, ვით ოდესღაც იგავითა ვსთქვი: „არიან ღმერთები, არა ღმერთი, ესეა ღვთაებრივობა!“

12.

ჰე, ძმანო, ახალ კეთილშობილებისათვის მოგიწოდებთ და დაგადგენთ თქვენ: იყავნთ მქმედნი და აღმზრდელნი და მყობადის მთესავნი -

- ჭეშმარიტად, არა კეთილშობილებისათვის, რომელს ყიდულობ, ვით ვაჭარი და ვაჭრის ოქროთი: მცირეა ღირებულება ყოვლისა, რომელს თავის ფასი აქვს.

არა საიდან მომავალ ხართ იყოს ამიერით სახელი თქვენი, არამედ საით მიმავალ ხართ! თქვენი ნება და თქვენი ნაბიჯი, რომელი თქვენ წინ გისწრებთ, - ესე იყოს თქვენი ახალი სახელი!

ჭეშმარიტად, არა სამსახური თავადისათვის - რა ფასი აქვს აწ თავადებს! - ან ბურჯად ყოფა მყარად მდგარისა, რათა უფრო მტკიცედ იდგეს!

არა სასახლეებში თქვენი მოდგმის კარისკაცობა და ცოდნა მზგავსად ჭრელი ფლამინგოსი თხელ გუბეში ცალი ფეხით საათობით დგომისა.

რამეთუ უ ნ ა რ ი დგომისა კარისკაცებისათვის დამსახურებაა; და ყველა კარისკაცს საიქაო ნეტარებად ჯდომის ნ ე ბ ა რ თ ვ ა ჰსწამს! –

არა აგრეთვე სული, წმიდას რომ ვუწოდებთ, თქვენ წინაპართ წინ უძღოდა აღთქმულ ქვეყნებისაკენ, რომელს არ ვაქებ; რამეთუ სად უარესი ყველა ხეთა იზრდებოდა - ჯვარი, - ამ ქვეყანაში საძებარი არაფერია! –

- და ჭეშმარიტად, სადაც არ უნდა წაეყვანა ამ „წმიდა სულს“ თვისი რაინდნი, ამ ლაშქრობად წ ი ნ უძღოდნენ - თხები და ბატები, რეგვენნი და შეშლილები! –

ჰე, ძმანო, არა უკან იხედებოდნენ თქვენნი კეთილშობილნი, არამედ წინ! იყავით გაძევებულნი ქვეყნით მამათა თქვენთა და წინაპართა!

გიყვარდეთ ქ ვ ე ყ ა ნ ა თქვენი შვილებისა: ეს სიყვარული იყოს თქვენი ახალი კეთილშობილება - არ ცნაური, მდებარე შორეულ ზღვაში! ეძიონ, ეძიონ იგი, მოვუწოდებ თქვენ აფრებს.

თქვენი შვილებით გ ა მ ო ი ს ყ ი დ ე თ მამათა თქვენთა შვილობა: ესე გამოისყიდეთ ყოველ წარსულს! ამა ახალ ფიცარს აღვმართავ თქვენ თავსა ზედა!

13.

„რა აზრი აქვს სიცოცხლეს? ყოველივე ამაოებაა! სიცოცხლე - ბზის ლეწვაა; ცხოვრება - თავის წვაა და კვლავ უთბობა.“ –

ესე ძველი ლაყბობა კვლავ „სიბრძნედ“ არის მიჩნეული. ხოლო მას სიძველისა და შმორის სუნისათვის კვლავ მეტად პატივსა სცემენ. ობიც აკეთილშობილებს: -

ბავშვებმა თქვან ესე: ცეცხლისა ეშინიათ, დაუწვია! მრავალი რამ ბავშვურია ძველ წიგნთა და სიბრძნეთა შორის.

და ვინ „ბზესა ლეწავს“ ვით კადნიერებდეს ლეწვის ქირდვასა! ამა რეგვენებს ჰხამს პირი აუკრან!

მზგავსნი მოუსხდებიან სუფრას და თან არაფერს მოიტანენ, თვით ჯანსაღ სიმშილსაც კი: - და ყოველსა ჰქირდავნე: „ყოველივე ამაოებაა!“

ხოლო კარგად ჭამა და სმა, ჰე ძმანო, ამაო ხელოვნება არ არის! შემუსრეთ, შემუსრეთ ფიცარინი აროდეს მხიარულთა!

14.

„წმიდისათვის ყოველი წმიდაა“ - ამას იტყვის ხალხი. ხოლო მე ვიტყვი: ღორისათვის ყოველი ღორია!

ამისათვის იტყვიან ფანატიკოსნი და თავმდაბალნი, რომელთა გულიც დავრდომილია: „თვით ქვეყანა ბილწი ურჩხულია“.

რამეთუ ყოველნი ესენი სულით უწმინდურნი არიან; უფროსად იგინი, რომელთაც არც შვება აქვთ და არც მოსვენება, თუ არა ოდეს ქვეყანას ზ უ რ გ ი დ ა ნ უ ც ქ ე რ ი ა ნ - ს ა ი ქ ა ო ს ა ნ ნ ი!

მ ა თ ვეტყვი უბოდიშოდ. თუნდაც ურიგოდ ხმიანობს: ქვეყანა მით ემზგავსება ადამიანთ, რომ უკანა ნაწილი აქვს - ე ს მართალია! ქვეყანასა შინა ბევრი სიბილწეა: ეს მართალია! ხოლო ამით ქვეყანა ბილწი ურჩხული არ არის!

ბრძნულია, რომ ქვეყანასა შინა მრავალს ცუდი სუნი აქვს: თვით ზიზღი ქმნის ფრთებს და წყაროსმგრძნობ ძალას!

თვით უკეთესს შორის არის რაღაც საზიზღარი; და თვით უკეთესიც რაობაა, რომლის ჯერ არს ძლევა! –

ჰე, მეგობარნო, დიდი სიბრძნეა, რომ ქვეყანასა შინა მრავალი სიბილწეა! –

15.

მსმენია ამა სიტყვებით გულისთხობდნენ სათნონი საიქაოსანნი და,

ჭეშმარიტად, არა ღვარძლითა და სიცრუითა იტყოდნენ - თუმცა ქვეყანაზე არაფერია, უფრო ცრუ და ღვარძლიანი.

„დეე, ქვეყანა ქვეყნობდეს! ნუ აღიღებ მის წინააღმდეგ თითსაც“.

„დეე, ვისაცა ჰსურს ხალხი არბიოს, ჰსწვას, ჰგმიროს, მას ტყავი გააძროს: ნუ აღიღებ მის წინააღმდეგ თითსაცა! ამით ისწავიან ქვეყნის უარყოფას“.

„და შენ საკუთარი გონება - შენ თვით უნდა დაარჩო და წააღრძო; რამეთუ იგი ამა ქვეყნის გონებაა, - ამით ისწავლი ქვეყნის უარყოფას“. –

შემუსრეთ, შემუსრეთ, ძმანო, სათნოთა ეს ფიცრები! შემუსრეთ სიტყვანი ესე ქვეყნის მაგინებელთა.

16.

„რომელი ბევრსა ჰსწავლობს ყოველ ძლიერ სურვილს ივიწყებს“ - ესე ჩურჩულებენ დღეს ყოველ ბნელ ქუჩაში.

„სიბრძნე ჰქანცავს; ჯილდო არაფერსა აქვს; არ უნდა გსურდეს!“ - ესე ახალი ფიცრები ვნახე ჩამოკიდებული თვით ბაზრებში.

შემუსრეთ, ძმანო, შემუსრეთ ესე ა ხ ა ლ ი ფურცლები! სიცოცხლით მოჭანგებულთ და სიკვდილის მქადაგებელთ დაჰკიდეს ისინი და მესაპყრეთა: იხილეთ, ესეც ქადაგებაა მონობისა! –

მათ ცუდად უსწავლიათ და საუკეთესო არა, და ყოველი ნაადრევად და ყოველი ასწრაფებულად: ცუდათა ს ჭ ა მ დ ნ ე ნ, ამან მოუშალა მათ კუჭი, -

- მოშლილი კუჭია მათი სული: რ ო მ ე ლ ი სიკვდილს მათ შთააგონებს; ჭეშმარიტად, ძმანო, სული კუჭია!

სიცოცხლე სიხარულის წყაროა: ხოლო რომელით მოშლილი კუჭი ლაპარაკობს, მამა მწუხარებისა, მისთვის ყოველი წყარო მოშხამულია.

მმეცნება: ესე ლომისნებიანთა ს ი ხ ა რ უ ლ ი ა! ხოლო ვინც მოიქანცება, ის თვით მხოლოდ „ნასურვებია“, მას ყოველი ტალღა ეთამაშება.

და ესეა მარად სუსტ ადამიანთა მოდგმა: იგინი ჰკარგავენ თავს გზებში და ბოლოს მათი დაღლილობა ეკითხება: „რისთვის ვვლიდით ჩვენ ოდესღაც გზებს? ყველგან ერთია!“

მ ა თ თ ვ ი ს საამური გასაგონია ქადაგება: „ჯილდო არაფერსა აქვს! ნუ ისურვებთ!“ ხოლო ესე მონობის ქადაგებაა.

ჰე ძმანო, გრილი ქარის ქროლვით მოდის ზარატუსტრა გზებით მოქანცულთათვის; მრავალთა ცხვირს დააცემინებს ის კვლავ!

თვით კედლებს გაჰსჭვალავს ჩემი თავისუფალი სუნთქვა და საპყრობილეთა და საპყარ სულთ!

სურვილს შვება მოაქვს: სურვილი მქმედობაა: ამას ვასწავლი და მ ხ ო ლ ო დ მქმედობისათვის უნდა ისწავლოთ!

და სწავლაც მხოლოდ ჩემგან უნდა ისწავლოთ, კარგად სწავლა! - ვისაც ყური აქვს, ისმინე!

17.

ნავი მზად არის, - იქ გაღმით იქნებ დიდ არარაისში შეხვალ. - ხოლო ვინ ისურვებს ამ „იქნებისაკენ“ გამგზავრებას?

არავინ თქვენგანი ჩაჯდება სიკვდილის ნავში! ვითღა გსურთ ქ ვ ე ყ ნ ი თ მ ო ქ ა ნ ც უ ლ ნ ი იყვნეთ!

ქვეყნით მოქანცულნო! და ჯერ მიწაც არ უარგიყვიათ. ლირწით სავსე მეჩვენებოდით მიწისათვის, კვლავ შეყვარებულნი საკუთარ ქვეყნით დაღლილობაზე!

ამაოდ არ ჩამოგიშვიათ ძირს ტუჩი: - მას ზედა კვლავ მიწის პატარა სურვილი ზის! და თვალში არ დასცურავს მიწის დაუვიწყარი მხიარულების პატარა ნისლი?

ქვეყანასა ზედა მრავალი კეთილი აღმოჩენაა, ვიეთი სარგო, ვიეთი საამო: მათი გულისათვის ღირს მიწის სიყვარული.

და ვიეთი კეთილი აღმოჩენაა იქ, ვით დედაკაცის მკერდი: სარგო და საამოც.

ხოლო თქვენ, ქვეყნით მოქანცულნო! თქვენ მიწისათვის დაუდევარნო!

თქვენ საცემი ხართ სახრეებით! სახრის ჩემით უნდა კვლავ თქვენ ფეხებს სიმხნევე მიენიჭოს.

უკეთუ სნეულნი არა ხართ და გადამხრჭვალნი არსნი, რომელი მიწას მოსწყინდა, ცბიერი, ზანტი

ცხოველები უნდა იყოთ, ან პირის პატივის მოყვარულნი ჩასაფრებული ლირწი კაცები. და უკეთუ კვლავ მხიარულად ს ი რ ბ ი ლ ი არა გსურთ, მაშინ - აღიგავენით!

არა ჰხამს სურვილი განუკურნავთა მკურნალობისა: ამას ასწავლის ზარატუსტრა: ჰხამს აღიგავოთ!

ხოლო საჭიროა მეტი მხნეობა, რათა დააბოლოვო, ვით ახალი ლექსი ჰქმნა: ეს იციან მკურნალთ და მგოსანთ. –

18.

ჰე, ძმანო, ჰგიებს ფიცარი, რომელნი დაღლილობამ ჰქმნა და ფიცარნი, რომელნი ზარმაცობამ ჰქმნა დამპალმა: ერთსა რომ იტყვიან, ხოლო ჰსურთ რათა არაერთნაირად უსმენდნენ.

მოხედეთ ამ მაშვრალთ! მხოლოდ ერთი წყრთით არის დაშორებული მიზანს, ხოლო მოქანცული კერპად დაწოლილა აქ მტვერში: ეს გამბედავი!

მოქანცული მთქნარებით უმზერს ის გზას, მიწას, მიზანს და თავის თავს: არც ერთი ნაბიჯის გადადგმა სურს წინ, - ეს გამბედავი!

აწ მზე აცხუნებს მას და ძაღლები ლოკვენ მის ოფლს: ხოლო ის წევს

კერპად და ამჯობინებს ურვას: -

- ერთი წყრთით დაშორებული მიზანს - ურვა! ჭეშმარიტად, მოგიხდებათ თავისი თმებით ასწიოთ ცისაკენ - ეს გმირი!

უკეთესია მიატოვოთ სადაც დაწოლილია, რათა ეწვიოს ძილი ნუგეშის მცემელი, გამაგრილებელი წვიმის ხმაურით;

მიატოვეთ მწოლიარე, ვიდრე თვით გამოფხიზლდეთ, - ვიდრე თვით არ უარყოფს ყოველ მოქანცულობას და ყოველსა, რასაც მოქანცულობა მისი პირით ასწავლიდა!

ხოლო, ძმანო, მოაშორეთ მას ძაღლები, ზარმაცი თვალთმაქცნი და მთელი ხროვა მძრომთა: -

- ყოველი მოგროვებული მძრომელნი „განათლებულთა“, რომელნი ყოველ გმირთა ოფლს შეექცევიან.

19.

წრეს შემოვივლებ და წმიდა მიჯნებსა; მერმედ და მერმედ მცირედნი აღვლენ ჩემთან კვლავ და კვლავ მაღალ მთებს: ვაშენებ მთაგრეხილს კვლავ უფროსად წმიდა მთებით. –

ხოლო სადაც არ უნდა ახვიდეთ ჩემთან ერთად, ძმანო, ყური უგდეთ, რათა თქვენთან ერთად მ უ ქ თ ა ხ ო რ ა არ ამოვიდეს!

მუქთახორა: მატლია, მცოცავი, მოქნილი, რომელსა გასუქება ჰსურს თქვენ სნეულ, დაკოდილ კუნჭულებში.

ხოლო ე ს ა ა მისი ხელობა, რომ ის ზემავალ სულთა დაღლილობას შეიტყობს: თქვენ მწუხარებაში და უძლურებაში, თქვენ ნაზ მორცხვობაში ააშენებს ის თავის უმზგავს ბუდეს.

სად ძლიერი უძლურია, სად კეთილშობილი მეტად ჩვილია - იქ იკეთებს ის თავის უმზგავს ბუდეს: მუქთახორა იქა სცხოვრობს, სად დიდს დაკოდილი კუნჭულები აქვს.

რა არის ყოველ მყოფთა ზენარი მოდგმა და რა - უმდაბლესი?

მუქთახორაა უმდაბლესი, ხოლო სად ზენარი მოდგმისა ჰყოფს, იქ იკვებება მუქთახორათ უმრავლესობა.

რამეთუ სული, რომელს უფროსად გრძელი კიბე აქვს და რომელი უფროსად ღრმაში ჩავა: ვით არ დაიბუდონ მის ზედა მრავალ მუქთახორათ? –

- უდიდესი სული, რომელი თავის შორის უშორესად რბის, დახეტიალებს და ძრწის; აუცილებელი, რომელი სიამის გულისათვის შემთხვევას შთაექანება: -

- სული მყოფადი, რომელი მყოფადობას დაინთქმება; მქონე, რომელს ჰ ს უ რ ს ნება და სურვილი: -

- რომელი თავის თავს გაურბის და თავს უფართეს წრეში მიეწევა; უბრძნესი სული, რომელს შეშლილობა უტკბილესად თავისაკენ უხმობს: -

- რომელს თავი უფროსად უყვარს, რომელსა შორის ყოველივე თვის სწრაფვას ჰპოვებს და უკუსწრაფვას და მიქცევას და მოქცევას: ჰე, ვით არ იყოს უ ზ ე ნ ა ე ს ი ს უ ლ ი ს შორის უსაზიზღრესი მუქთახორა?

20.

ჰე ძმანო, სასტიკი ვარ? ხოლო ვიტყვი: რაც ძირს ეცემა, მას ხელიცა ჰკარ!

ყოველივე, რაც სადღეისოა - ძირს ეცემა, იხრწნება; ვისა ჰსურს მას მხარი შეუდგას! ხოლო მე - მე მ ს უ რ ს ხელიცა ვკრა!

იცნობთ სიამოვნებას, რომელი ლოდებს ციცაბო უფსკრულებად დააქანებს? - ესე ადამიანები სადღეისო: შეხედე, ვით შთაექანებიან ჩემ უფსკრულებში!

პრელუდია ვარ უკეთეს მოთამაშეთათვის, ჰე ძმანო! მაგალითი! მ ი ჰ ბ ა ძ ე თ ჩემ მაგალითსა!

და რომელთ ფრენა ვერ ასწავლოთ, ასწავლეთ - ს წ რ ა ფ ა დ დ ა ე ც ნ

ე ნ.

21.

მიყვარს მამაცნი: ხოლო არა კმარა მახვილ მარჯვეობა, - ჰხამს ცოდნა ვ ი ს ა სცემ.

და ხშირად თავისდაჭერა და გვერდის ავლა მეტი მამაცობაა: რ ა თ ა ამით თავი შეინახო უფრო ღირსეული მტრისათვის!

გყავდეთ მტრები, ღირსნი მძულვარებისა, არა მტრები, ღირსნი ზიზღისა: იყავნთ ამაყი მტრით: ამას გასწავიდეთ უკვე ერთხელ.

უფრო ღირსეული მტრისათვის, მეგობრებო, უნდა შეინახოთ თავი: მისათვის მრავალსა გვერდი უნდა აუაროთ, -

- უფროსად ბრბოთა ხროვებს, რომელნიც ყურში ჩაგყვირიან ხალხისა და ხალხისათვის.

გაუფრთხილდით თვალებს მათი „ჰოისა“ და „არა“ -სგან. იქ მრავალი სამართლიანია, მრავალნი - უსამართლო: მომზერალს ბრაზი მოერევა.

მაყურებლობა და დარტყმა - ერთი წუთის საქმეა; ამისათვის გადით ტყედ და თქვენი მახვილი ქარქაშში შეინახეთ!

ვლიდეთ თ ქ ვ ე ნ ი გზით! დეე ხალხი და ხალხნი გზით თვისით ვლიდნენ. ბნელი გზებით, ჭეშმარიტად, რომელს იმედის ერთი ელვაც არ ანათებს!

იმეფოს მოვახშემ, სად ყოველი, რომელი ბრწყინავს, ვაჭრის ოქროა! აწ მეფეთა დრო აღარ არის: რაც დღეს თავს ხალხს უწოდებს, მეფის ღირსი აღარ არის.

შეხედეთ, ვით ჰბაძავს ხალხი ვაჭრებს: წვრილ სარგებელს ეძებენ ყოველი ნაგვიდან.

ისინი ერთმანეთს უთვალთვალებენ, ისინი რასმე უთვალთვალებენ ერთმანეთს, - ამას უწოდებენ „კეთილ მეზობლობას“. ჰე, ნეტარო

შორეულო დროება, ოდეს ხალხი თავს ეუბნებოდა: „მსურს ხალხთა ზედა ბატონი ვიყო!“

ესე, ძმებო: ჰხამს უკეთესი ბატონობდეს, უკეთესს ჰსურს კიდეც ბატონობა! და სად სხვას მოძღვრობენ - იქ უკეთესნი ა რ ა რ ი ა ნ.

22.

მათ რომ პური უსასყიდლოთ ეშოვებოდეს, ვაგლახ! რიღასთვის იყვირებდნენ! საკვები - ესეა მათი გართობა; ჰპოვონ მძიმე ღვაწლით!

მტაცებელი ცხოველნი არიან: მათი „მუშაობის“ შორის კვლავ მტაცებლობა იმალება, მათ „მოგების“ შორის კვლავ მოტყუებაა! ამისათვის ჰხამს მძიმე ღვაწლით ჰპოვონ!

ესე უკეთესი მტაცებელნი ცხოველნი უნდა შეიქმნენ, უფრო გაიძვერანი, გონიერნი, ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ზ ა გ ა ვ ს ნ ი: ადამიანი უკეთესი მტაცებელი ცხოველია.

ყველა ცხოველს უკვე წაართვა ადამიანმა მისი სათნოებანი: ამისათვის ადამიანს უფროსად უმძიმს კვების მოპოვება.

მხოლოდ ფრინველნი დგანან მასზე მაღლა და უკეთუ ადამიანი ფრენას ისწავლის, ვაგლახ! ს ა ი თ არ იფრენს მისი მტაცებლობა.

23.

ესე მსურს მამაკაცი და დედაკაცი: ერთი ომის, მეორე შვილოსნობის უნარით, ხოლო ორივე თავით და ფეხით ცეკვის უნარით.

იყოს დაკარგული დღე, ოდეს ერთხელ მაინც არ გვიცეკვნია! ცრუ იყოს ჩვენთვის ყოველი ჭეშმარიტება, რომელს სიცილი არ სდევს.

24.

თქვენი ქორწინება! გაფრთხილდით, რათა იცი ცუდი დ ა ს კ ვ ნ ა არ გამოდგეს! ნაადრევად დაასკვნით: შ ე დ ე გ ი - ქორწინების დარღვევა.

უმჯობესია ქორწინების დარღვევა, ვიდრე ქოწინებით მოიდრიკო,

ქორწინებით იცრუო! - ესე მითხრა ერთმა დედაკაცმა: „გავსტეხე ქორწინება, ხოლო პირველად ქორწინებამ მე გამტეხა“.

ცუდად შერჩეულთ მარად ჟამს შურისმაძიებლად ვპოვებდი: ისინი შურს იძიებდნენ მთელი ქვეყნის წინააღმდეგ, რამეთუ უკვე ცალ-ცალკე სიარული არ შეუძლიათ.

ამისათვის მართალნი ეტყოდნენ ერთმანეთს: „ერთმანეთი გვიყვარს: ვნახოთ, გვეყვარება კვლავაც! ანუ აღთქმა ჩვენი შეცდომა იქნება?“

მოგვეცით ვადა და დღემოკლე ქორწინება რათა ვნახოთ, რომ გამოვსდგებით დიდი ქორწინებისათვის! დიდი საქმეა მუდამ ერთად ყოფნა ორისა“.

ამას ვურჩევ ყველა მართალთ; და რა უნდა იყოს სიყვარული ჩემი ზეკაცისადმი და ყოვლისადმი, რაც მომავალ არს, უკეთუ სხვას ვურჩევ და ვეტყვი!

არა მხოლოდ გამრავლება არამედ ამაღლება - ამისათვის ძმანო, მწე იყო თქვენი ქორწინების ბაღი.

25.

რომელმა ძველი წყაროებით მოიპოვა სიბრძნე, იგი დასასრულს მყობადის წყაროებს დაუწყებს ძიებას და ახალ ნაკადებს. –

ჰე ძმანო, დიდ ხანს არ დააყოვნებს, აღმოცენდება ახალი ხალხნი და ახალი წყაროები დაექანება შხუილით ახალ უფსკრულთაკენ.

მიწისძვრა მრავალ წყაროთ რომ დაჰფარავს. იგი ჰქმნის მრავალ მწყურვალთა: იგივე აღმოაცენებს შინაგან ძალებს და საიდუმლოებას.

მიწისძვრა ახალ წყაროთ აღმოაჩენს. ძველ ხალხთა მიწისძვრით ახალი წყაროები გადმოდინდება.

და რომელი შესძახებს: „შეხედეთ, აგერ წყარო მრავალ მწყურვალთათვის, ერთი ნება მრავალ იარაღთათვის“: მის გარემო იკრებს თავს ხალხი, ესე არს: სიმართლე განმცდელთა.

რომელს ბრძანება შვენის, რომელსა მორჩილება - ესე იქ გამოიცდების. ჰე, ვით გრძელი ძიებით, მიხვედრით და შეცდომით, შესწავლით და ახალი ცდით!

ადამიანთა საზოგადოება: ესე ცდაა, ამას გასწავით, - ხანგრძლივი ძიება: ხოლო იგი ბრძანებელს ეძიებს! –

- ცდა, ჰე ძმანო! არა „აღთქმა!“ შემუსრეთ, შემუსრეთ სიტყვაი ესე ჩვილ გულთა და ორჭოფთა!

26.

ძმანო, ვის შორის არის დამარხული განსაცდელი ადამიანთა ყოველი მყობადისა? თუ არა კეთილთა და მართალთა შორის? –

- თუ არა მათ შორის, რომელნი იტყვიან და გულით ჰგრძნობენ: „უკვე ვიცით, რა არის კარგი და მართალი, ეს კიდეცა გვაქვს; ვაი აქ კვლავ მაძიებელთა!“

და ვით დიდი იყოს ვნება, მოტანილი ბოროტთა მიერ: კეთილთა მიერ ვნება უფროსად საზარალო ვნებაა!

და ვით დიდი იყოს ვნება ქვეყნის უარმყოფელთა: ვნება კეთილთა უფროსად საზარალო ვნებაა.

ჰე ძმანო, ოდესღაც ჩახედა კეთილთა და მართალთა გულს, რომელმან სთქვა: „ესე ფარისეველნი არიან“. ხოლო ვერ მიუხვდნენ.

კეთილთ და მართალთ არ ძალ უძთ მისი მიხვედრა: მათი სული წრფელი სინიდისით არის პყრობილი. კეთილთა რეგვენობა უძიროდ გონიერებაა.

ხოლო ესეა ჭეშმარიტება: კეთილთათვის ჰ ხ ა მ ს ფარისევლობა, არჩევანი არა აქვთ!

ჰხამს, კეთილთათვის ჯვარცმა იმისა, რომელი თვის სიქველესა ჰპოვებს! ესეა ჭეშმარიტება!

ხოლო მეორე, რომელმან მათი ქვეყანა აღმოაჩინა, ქვეყანა, გული და

კეთილთა მართალთა სამყარო: იყო იგი, რომელი იკითხავდა: „ვინა სძულთ უფროსად?“

მქმედი სძულთ მათ უფროსად: რომელი ფიცართ შემუსრავს და ძველ ფასეულობად მმუსვრელი, - მას ბოროტისმოქმედს უწოდებენ.

კეთილთ არ ძ ა ლ უ ძ თ ქმნა: მარად ბოლოს დასაბამი არიან: -

ჯვარს აცმევენ, რომელი ახალ ცნობათა სწერს ახალ ფიცართა ზედა, მსხვერპლად ი წ ი რ ა ვ ე ნ მყობადს, - ჯვარს აცმევენ ადამიანთა ყოველ მყობადს!

ქველნი მარად ბოლოს დასაბამი ყოფილან.

27.

ძმანო, შეისმინეთ ეს ჩემი სიტყვაც? და რაც ოდესღაც ვსთქვი „უკანასკნელ ადამიანთათვის?“ –

ვისშია დამარხული საშიშროება ადამიანთა ყოველი მყობადისა? თუ არა კეთილთა და მართალთა შორის?

შემუსრეთ, შემუსრეთ კეთილნი და მართალნი! - ჰე, ძმანო, შეისმინეთ ეს სიტყვაც?

28.

გამირბიხართ? გეშინისთ? ამ სიტყვამ შეგაძრწუნათ?

ჰე ძმანო, ოდეს კეთილთა შემუსვრას მოგიწოდებდით და კეთილთა ფიცართა: მაშინ პირველად განვამზადე ადამიანი თავის შარა ზღვაში ცურვად.

მაშინ პირველად ეწვია მას დიდი შიში, დიდი სიფრთხილე, დიდი სნეულება, დიდი ზიზღი, დიდი ზღვა-გვემულება.

ცრუ ნაპირთ და ცრუ უშიშროებას გასწავიდნენ კეთილნი; კეთილთა სიცრუეში იშვენით და მით ხართ შებოჭილნი. კეთილთა მიერ ყოველი საძირკველამდე დამახინჯებულია და გაბრუდებული.

ხოლო რომელმა ქვეყანა „ადამიანი“ აღმოაჩინა, აღმოაჩინა ქვეყანაც „ადამიანის მყობადი“. აწ იყავით მეზღვაურნი გულადნი და დაუღალავნი!

სწორ ვლიდეთ, დროა, ძმებო, ისწავეთ სწორი სიარული! ზღვა ღელავს, მრავალი აღსდგა თქვენ წინააღმდეგ.

ზღვა ღელავს: ყოველი ზღვაშია. მაშ მხნეობა! თქვენ, გამოცდილნო მეზღვაურთა გუნდნო!

რა არის სამშობლო! ი ქ ი თ ჰსურს ჩვენ აფრას, სად ჩვენ შ ვ ი ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ა. იქით, შორისაკენ უფრო მღელვარეა, ვიდრე ზღვა, ჩვენი დიდი სურვილის სევდა...

29.

„რისთვის ხარ ესე მაგარი! - უთხრა ერთხელ ნახშირმა ალმასს, განა ჩვენ ახლო ნათესავნი არა ვართ?“ –

რისთვისა ხართ ესე რბილნი? ძმანო, ამას გეკითხებით: განა ჩემი ძმები არა ხართ?

რისთვის ესე რბილნი, დამთმობნი, დამყოლნი? რისთვისაა თქვენი გული ესე უარმყოფი, უკუმთქმელი? თქვენი გამოხედვა - ესე მცირედი ბედით?

და უკეთუ არა გსურთ ბედი იყოთ და შეუწყნარებელნი: ვით შესძლოთ ჩემთან ერთად გამარჯვება?

და უკეთუ სიმაგრესა თქვენსა არა ჰსურს ელვარება, ჭრა და გაჭრა, ვით შესძლოთ ოდესმე ჩემთან ერთად - ქმნა?

ქმნელნი მრავალნი არიან. ნეტარებად მიგაჩნდეთ თქვენი ხელი ათასწლებზე აღბეჭდოთ, ვით სანთელზე;

- ნეტარებად ათასწელთა ნებაზე წეროთ, ვით სპილენძზე, - უმაგრეს სპილენძისა, უკეთილშობილეს სპილენძისა. ხოლო უკეთილშობილესია უფროსად მაგარი.

ახალ ფიცარს ვდგამ თქვენს მაღლა, ჰე ძმანო: ი ყ ა ვ ნ ი თ მ ა გ ა რ ნ ი! –

30.

ჰეი, ნება ჩემი! შენ, რიდე ყოველ ჭირვებისა, შენ, ჩემო აუცილებლობავ მფარვიდე ყოველი მცირე გამარჯვებისაგან!

შენ ხარ ხვედრი სულისა ჩემისა, რომელს ბედს ვუწოდებ! შენ ჩემ შორის, ჩემ ზედა! მფარვიდე და მინახავდე მე ერთი დიდი ბედისათვის.

და შენი უკანასკნელი სიდიადე, ნებაო ჩემო, შეინახე შენი ბოლოსათვის, - რათა დაუნდობელ იყო შენი გამარჯვებით! ჰე, ვინ არ დაუმარცხებია თვის გამარჯვებას!

ჰე, ვისი თვალი არ დათალხულა ამ დამთრობ ბინდბუნდში! ჰე, ვისი ფეხი არ წაბორძიკებულა და გადაჩვეულა გამარჯვებას - დგომას! –

- რათა ერთხელ მზა ვიყო და მწიფე დიდი შუადღისათვის: მზა და მწიფე, ვით მხურვალე სპილენძი, ღრუბელი ელვით მოცული და ჯიქანი რძით აღვსილი: -

- მზე ჩემთვის და ჩემი ფარული ნებისათვის; მშვილდი მგზნებარე თვის ისრისათვის, ისარი მგზნებარე თვის ვარსკვლავთათვის.

- ვარსკვლავი მზა და მწიფე თვისი შუადღისათვის; აგზნებული, განგმირული, ნეტარი წინაშე მმუსრავი მზის სხივებისა: -

- თვით უდრეკი მზე და უდრეკი მზის ნება, მზა მუსვრად გამარჯვებაში!

ჰე, ნება, შენი, რიდე ყოველი ჭირვებისა შენ, ჩ ე მ ო აუცილებლობავ! მფარვიდე დიდი გამარჯვებისათვის.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

გამოჯანსაღებული

1.

ერთ დილით, მალე თავის გამოქვაბულში დაბრუნების შემდეგ, წამოხტა ზარატუსტრა სარეცლიდან, ვით შეშლილი, საშინელი აზრით ჰყვიროდა და ხელთ იქნევდა თითქოს სარეცელზე ვიღაც სხვა იწვა, რომელს ადგომა არ ჰსურდა; და ეზომად ძლიერი იყო ზარატუსტრას ყვირილი, რომ დამფრთხალნი მისი ცხოველნი მოცვივდნენ მასთან, და ყოველი მეზობელნი გამოქვაბულიდან და ნაპრალიდან ცხოველნი გაიფანტნენ, - ფრენით, ფართხალით, ცოცვით, ხტომით, - ვის რისთვის ჰქონდა ფეხები და ფრთები; ხოლო ზარატუსტრა ესე იტყოდა:

აღსდექ უძირო აზრო, სიღრმით გამო! მე ვარ შენი მამალი და დილის რიჟრაჟი, მიძინებულო მატლო; აღსდექ! აღსდექ! ჩემმა ხმამ უნდა გაგაღვიძოს!

მოიხსენ სახივი შენი ყურებისა: მისმინე! მეცა მსურს გისმინო! აღსდექ! აღსდექ! აქ საკმაოდ ქუხილია, რათა თვით საფლავთ ისწავლონ სმენა.

და მოიშორე ძილი და ყოველი სიბეცე და სიბრმავე შენ თვალთაგან! მისმინე თვალებითაც: ჩემი ხმა წამალია თვით ბრმად შობილთათვის.

და ოდეს გამოიღვიძებ, მარად ფხიზელი დარჩები, ჩ ვ ე უ ლ ი ა რ ვ ი ყ ო დიდები გამოვაფხიზლო - რათა მათ კვლავ ძილისაკენ მოვუწოდო!

ჰბორგავ, იზმორები, ხრიალებ? აღსდექ! აღსდექ! არა ხრიალი - უნდა მელაპარაკო! ზარატუსტრა მოგიწოდებს შენ, უღმერთო!

მე ზარატუსტრა, მეოხე ცხოვრებისა, მეოხე ურვისა; მეოხე წრისა - შენ მოგიწოდებ, ჩემ აზრთაგან უღრმესო!

ვიხარებდე! მოდიხარ, - მესმის შენი ხმა! ჩემი სიღრმე ხ მ ი ა ნ ო ბ ს, ჩემი უკანასკნელი სიღრმე ამოვზიდე მე ქვეყნად!

ვიხარებდე! აქეთ! ხელი მომეცი - ჰა! გამიშვი! ხა, ხა - ზიზღი, ზიზღი, ზიზღი, - ვაი ჩემდა!

2.

ხოლო ზარატუსტრამ, წარმოსთქვა რა ეს სიტყვები, უცებ მკვდარივით დაეცა და დიდ ხანს მკვდარივით იდო. ხოლო ოდეს გონს მოვიდა, მიწის ფერი ედო და ცახცახებდა და იწვა და დიდ ხანს ჭამა-სმა არა ჰსურდა. ამგვარად იყო შვიდ დღესა; ხოლო მისი ცხოველები დღე და ღამ არ შორდებოდნენ, ხოლო არწივი გაფრინდებოდა საზრდოს მოსატანად. და რასაც ის ჰპოვებდა და მოიტაცებდა, ზარატუსტრას სარეცელს აგროვებდა: ესე ზარატუსტრა იწვა წითელ-ყვითელი ხილის შორის, ყურძნისა, ვარდისფერ ვაშლთა, სურნელოვან ბალახთა და კედარის კაკალთა შორის. ხოლო მის ფეხებთან ორი ბატკანი გაჭიმულიყო, არწივს რომ მათი მწყემსისათვის წაერთმია.

ბოლოს, შვიდი დღის შემდეგ წამოჯდა ზარატუსტრა თავის სარეცელზე, აიღო ვარდისფერი ვაშლი, იყნოსა და მისი სუნი მოეწონა. მუნ ცხოველთ იფიქრეს, დადგა ჟამი მასთან გამოლაპარაკებისა.

„ჰე, ზარატუსტრა, სთქვეს მათ, აგერ შვიდი დღე ესე წევხარ დამძიმებული თვალებით: არა გსურს კვლავ ფეხზე წამოსდგე?

გამოვედ შენი გამოქვაბულით: ქვეყანა გელოდება, ვით ბაღი. ქარი ცელქობს მძიმე სურნელებით, რომელი შენსკენ ისწრაფვის: და ყოველ ნაკადთ შენი თანდევნა ჰსურთ.

ყოველივე შენთვის ჰსწუხს, რომ შვიდი დღე მუნჯად დაჰყავი - გამოვედ შენი გამოქვაბულით! ყოველს ჰსურს შენი მკურნალი იყოს!

ახალი მმეცნება მოგევლინა, მწარე, მძიმე? ვით გაფუებული ცომი იდევი, შენი სული ამოვიდა და გადალახა ყველა კიდურები“.

- ჰე, ჩემო ცხოველნო, მიუგო ზარატუსტრამ, განაგრძეთ ლაყბობა და ყური დამაგდებინეთ! თქვენი ყბედობა მახალისებს: სად ყბედობენ,

იქ ქვეყანა იშვება ჩემთვის, ვით ბაღი.

ვით საამურია, რომ ჰგიებს სიტყვა და ბგერა: სიტყვა და ბგერა ცისარტყელა არ არის და მოჩვენებითი ხიდები მარად გათიშულთათვის?

ყოველ სულს თვისი სამყარო აქვს; ყოველი სულისათვის მეორე სული საიქაოა.

მხოლოდ ძალზე მზგავსთა შორის უმეტესად მშვენიერია მოჩვენების სიცრუე; უმცირესი ნაპრალი უძნელესია გასახიდად!

ჩემთვის - ვით იყოს რა ჩემს გარე? გარე არ ჰგიებს! ხოლო ამას ვივიწყებთ ყველა ბგერათა წყალობით; ვით საამოა, რომ ვივიწყებთ!

საგანთ მისთვის არა აქვთ მიცემული სახელები და ბგერები, რათა ადამიანი იხარებდეს? ლაპარაკი ლამაზი სისულელეა: ამით როკავს ადამიანი ყოველ საგანთა ზედა.

ვით საამოა ყოველი სიტყვა და ყოველ ბგერათა სიცრუე! ბგერათა წყალობით როკავს ჩვენი სიყვარული ფერად ცისარტყელათა ზედა. –

- ჰე, ზარატუსტრა, სთქვეს ცხოველთ, მათთვის, რომელი ჩვენებრ ჰფიქრობს, თვით საგნები როკავენ: ესე მოდის და ხელს აწვდის და იცინის და მირბის - და უკან მოდის.

ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა. ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა.

ყოველი წარხდების, ყოველი ახლად ეწყობა; მარად შენდება იგივე სახლი ყოფისა. ყოველი განიყრება. ყოველი ახლად შეიყრება; მარად ერთგულია თავისა წრე ყოფისა.

ყოველი წუთი ყოფის დასაბამია; ყოველი „აქ“ - ას ირგვლივ ტრიალებს ბურთი „იქ“. შუაგული ყოველგან არის. მრუდეა ბილიკი მარადისობისა“.

ჰე, თქვენ, თვალთმაქცნო და არღნებო! უპასუხა ზარატუსტრამ და

კვლავ გაიღიმა, ვით ისწავეთ, რაც ჯერ იყო შვიდ დღეში აღსრულებად: -

და ვით ის ურჩხული სასაში ჩამიძვრა და მახრჩობდა! ხოლო მე თავი მოვწყვიტე და შორს გადავაფურთხე.

და თქვენ - თქვენ ეს ქუჩის სიმღერად აქციეთ! ხოლო ვწევარ აქ კვლავ მოქანცული ამ მოწყვეტითა და გაფურთხებით, კვლავ ავადმყოფი საკუთარი ხსნითა.

და თ ქ ვ ე ნ უ მ ზ ე რ დ ი თ ყ ვ ე ლ ა ს ა მ ა ს? ჩემო ცხოველნო, თქვენც სასტიკნი ხართ? გსურდათ ჩემი დიდი ტკივილებისათვის გემზირათ, ვით ადამიანებს? ადამიანია უფროსად სასტიკი ცხოველი.

ტრაგედიებით, ხაზების ბრძოლით და ჯვარცმით დღემდე ის უმაღლეს სიამოვნებასა გრძნობდა დედამიწაზე; და ოდეს მან ჯოჯოხეთი გაიჩინა, იგი დედამიწაზე მის ცად შეიქმნა.

ოდეს დიდი ადამიანი ჰყვირის - მყისვე მასთან პატარა მიირბენს და ენა გადმოუგდია სიამოვნებით: ხოლო იგი ამას თავის „თანაგრძნობას“ უწოდებს.

პატარა ადამიანი, უფროსად მგოსანი, - რა მხურვალებით ბრალსა სდებს ცხოვრებას სიტყვით! მოუსმინეთ, ხოლო არ გამოგეპაროთ სიხარული, რომელი ყოველ ჩივილშია!

ცხოვრების მოჩივარნი: მათ ცხოვრება სძლევს ყოველ წამს. „გიყვარვარ? იტყვის იგი უტიფარი, მომითმინე, შენთვის ჯერ არ მომიცლია“.

ადამიანი თვით არის თვის წინააღმდეგ სასტიკი ცხოველი; და ყოვლისაგან, რომელი თავს „ცოდვილს“ და „ჯვარის მზიდავს“ და „მონანიეს“ უწოდებს, არ გამოგეპაროთ სიხარული, რაც ამ ჩივილისა და ბრალდების შორის არის!

და თვით მე - ადამიანთა ბრალმდებლობა მსურს? ჰე, ჩემო ცხოველებო, დღემდე ეს ვისწავლე, რომ ადამიანი საჭიროებს თვის

უბოროტესს თვისივე უკეთესისათვის, -

- რომ უფროსად ბოროტი მისი უკეთესი ძალაა და უმაგრესი ქვა უმაღლესი ქმნელისათვის; და რომ ჯერ არს ადამიანისათვის უკეთესი და უბოროტესი იქმნებოდეს. –

არა მისთვის ვიქმენ მოწამეობის ბოძს მიკრული, რომ ვიცი: ადამიანი ბოროტია; - არამედ ვყვიროდი, ვით კვლავ არავის უყვირია:

„ჰე, მისი უარესი ბოროტება ესე მცირედია! ჰე, მისი უკეთესი ესე მცირედია“.

დიდი ზიზღი ადამიანისადმი - ის მარჩობდა და სასაში მიძვრებოდა: და რას მკითხავი მიწინასწარმეტყველებდა: „სული ერთია, არაფერს აქვს ჯილდო, ცოდნა არჩობს“.

გრძელი ბინდი გადაშლილიყო ჩემ წინ, სასიკვდილოდ მოქანცული, სასიკვდილოდ მთვრალი მწუხარება, რომელი მთქნარებით იტყოდა:

„მარად უკუ მოიქცევა ის, ადამიანი, რომლით შენ მოიქანცე, პატარა ადამიანი“ - ესე ამთქნარებდა მწუხარება ჩემი, ფეხებს მიათრევდა და ვეღარ დაეძინა.

გამოქვაბულად გარდაიქმნა ჩემთვის ადამიანის დედამიწა, მისი მკერდი ჩაიზნიქა, ყოველი არსი ჩემთვის ადამიანის ჩირქი იყო და ძვლები და დამპალი ნამყო.

გოდება ჩემი იჯდა ადამიანთა ყველა საფლავსა ზედა და ვერ ამდგარიყო; ჩემი გოდება და კითხვებით ირჩობოდნენ, ხრავდნენ და სჩიოდნენ დღე და ღამ:

„ჰე, ადამიანი მარად უკუ მოიქცევა! პატარა ადამიანი კვლავ მარად უკუ მოიქცევა!“

შიშველნი ვნახე ოდესღაც ორივენი, დიდი და პატარა ადამიანი: მეტად მზგავსნი ურთიერთის, - მეტად ადამიანურია კვლავ თვით უდიდესი!

მეტად პატარაა უდიდესი! - ესე იყო ჩემი ზიზღი ადამიანისადმი! -

და უკუ მობრუნება უპატარევისაც კი - ესე იყო ჩემი ზიზღი ყოველი ყოფისადმი!

ჰე, ზიზღი! ზიზღი! ზიზღი! ესე იტყოდა ზარატუსტრა და სტიროდა და ცახცახებდა - გაიხსენა თვისი სნეულება. ხოლო მის ცხოველთ აქ ლაპარაკი აღარ განაგრძობინეს.

„ნუღარას იტყვი, შენ, განკურნების გზას დამდგარი! - ესე უპასუხებდნენ ცხოველები, არამედ გამოვედ, სად ქვეყანა გელოდება, ვით ბაღი.

გამოვედ ვარდებთან და ფუტკრებთანა და მტრედების გუნდებთან! უფროსად მომღერალ ჩიტებთან: რათა მათგან ს ი მ ღ ე რ ა ისწავლო.

სიმღერა შვენის განკურნებულს, ჯანსაღმა დეე ილაპარაკოს. და ოდეს ჯანსაღსაც სიმღერა ჰსურს, მას ხომ სხვა სიმღერა ჰსურს ვიდრე განკურნებულს“.

- „ჰე, თქვენ თვალთმაქცნო და არღნებო, დადუმდით! უპასუხებდა ზარატუსტრა და ეცინებოდა თავის ცხოველებზე. რა კარგად იცით, რა ნუგეში ვპოვე ჩემთვის შვიდ დღეში!

ჰხამს ჩემდა კვლავ სიმღერა, - ესე ნუგეში ვპოვე ჩემთვის და ესე განკურნება: გსურთ ამითაც მყისვე ქუჩის სიმღერა შესთხზათ?“

- „ნუღარას იტყვით, უპასუხებდნენ კვლავ მისი ცხოველები; უკეთესია, შენ განკურნებულო, გაიკეთე ქნარი, ახალი ქნარი!

ხომ ხედავ ჰე, ზარატუსტრა! შენი ახალი სიმღერანი ახალ ქნარს საჭიროებენ.

იმღერდე და ხმიანობდე, ჰე ზარატუსტრა, განკურნე სული შენი ახალი სიმღერებით: რათა ჰზიდო შენი დიდი ბედი, რომელი არა ადამიანის ბედი ყოფილა.

რამეთუ შენ ცხოველთ იციან, ჰე ზარატუსტრა, ვინა ხარ და უნდა იქმნა: შეხედე, შენ ხ ა რ მ ო ძ ღ ვ ა რ ი მ ა რ ა დ უ კ უ ქ ც ე ვ ი ს ა - ესეა ბედი შენი!

ჰხამს უპირველესად მოძღვრობდე ამ მოძღვრებასა - ვით არ იყოს ესე დიდი ბედი შენი უდიდესი განსაცდელი და სნეულება!

შეხედე, ვიცით რასა მოძღვრობ: ყოველნი საგანნი მარად უკუ იქცევიან და ჩვენც მათთან; და ჩვენ უკვე დაუსრულებლად აქ ვიყავით და ყოველი საგანი ჩვენთან.

ჰმოძღვრობ, არის დიდი წელი ყოფადისა, საშინელი დიდი წელი: მზგავსად ქვიშის საათისა იგი მერმე და მერმე უნდა ბრუნავდეს, რათა კვლავ მდინარებდეს და ცარიელდებოდეს: -

- წელნი ესენი ერთმანეთის მზგავსნი არიან დიდით და მცირედითაც, ესე თვით ჩვენც, ყოველი დიდი წელის შორის, ჩვენივე მზგავსნი ვართ დიდით და მცირედითაც.

და თუ აწ სიკვდილს ისურვებდი, ჰე ზარატუსტრა, იცოდე ჩვენ ვიცით, თუ რას ეტყოდი თავს: ხოლო შენ ცხოველები გთხოვენ ჯერ არ მოკვდე!

იტყოდი არაა შეშფოთებული, არამედ უფრო ნეტარი სუნთქვით: რამეთუ დიდი სიმძიმე და ურვა მოგშორდებოდა, შენ უმომთმენესო! –

„აწ ვკვდები და ვქრები, იტყოდი, წუთში არარად ვიყო. სულნი მოკვდავ არიან, ვით სხეულნი.

ხოლო ნასკვნი მიზეზთა ზედა კვლავ ბრუნდებიან და მათ შორისა ვარ მე ჩახლართული, - იგი კვლავ მექმნის! მე თვით მარად უკუბრუნვის მიზეზისა ვარ!

კვლავ მოვალ ამა მზესთან ერთად, ამა მიწასთან, ამა არწივთან, ამა გველთან - არა ახალ ცხოვრებას, ან უკეთესად, ან მზგავსად.

- კვლავ მარად უკუ ვიქცევი ამა და ამავე ცხოვრებად, დიდით და მცირედით, რათა კვლავ ვასწავო ყველა საგანთა მარადი უკუქცევა, -

- რათა კვლავ ვსთქვა სიტყვა მიწისა და ადამიანის შუადღისა, რათა კვლავ ვაუწყო ადამიანთ ზეკაცი.

მე ვსთქვი ჩემი სიტყვა, ჩემი სიტყვით წარვხდები: ესე ჰსურს ჩემ მარადიულ ბედსა - ვით მაუწყებელი წარვხდები მე!

აწ მოაწია ჟამმა, რათა ჩამავალმა თავისი თავი აკურთხოს. ესე - ბოლოვდება ზარატუსტრას დასავალით“. –

ოდეს ცხოველთ ეს სიტყვები წარმოსთქვეს, დასდუმდნენ და უცდიდნენ, რათა ზარატუსტრას ეთქვა რამ მათთვის: ხოლო ზარატუსტრას არ ესმოდა მათი სიჩუმე: წყნარად იწვა დახუჭული თვალებით, მზგავსად მძინარესი, და არ ეძინა: იგი თავის სულს ებაასებოდა. ხოლო გველმა და არწივმა, ნახეს რა ეზომად დადუმებული, პატივი სცეს დიდ სიჩუმეს მის გარშემო და ფრთხილად მოშორდნენ.

დიდი სევდისათვის

ჰე სულო ჩემო, გასწავლე თქმა „დღეს“, ვით „ოდესღაც“ და „უწინარეს“ და ფერხული ყოველ „აქასა“ და „იქასა“ და „იქითასა“ ზედა.

ჰე, სულო ჩემო, გიხსენ ყოველ ხვეულთაგან, აგხოცე მტვერი, აბლაბუდა და ბინდი.

ჰე სულო ჩემო, განგბანე სირცხვილი მცირედი და ცრუ სათნოება და დაგაჯერე შიშველი დგომა მზის თვალის წინაშე.

ქარიშხლით, რომლის სახელი „სულია“, დავბერე შენ აღელვებულ ზღვას; განვაბნიე ყოველი ღრუბელი შენ ზედა, დავარჩე თვით მახრჩობელა, რომელს „ცოდვა“ ეწოდების.

ჰე, სულო ჩემო, უფლება მოგეც „არაის“ -ს თქმისა, ვით ქარიშხალი იტყვის და „ჰოი“ -ს თქმისა, ვით ცა განხმული იტყოდეს. აწ სდგეხარ წყნარი, ვით ნათელი და განვლი უარყოფის ქარიშხალით.

ჰე სულო ჩემო, მოგეც კვლავ თავადობა ყოველ ქმნილსა და არაქმნილსა ზედა: და ვინ უწყიდეს, ვითარ შენ უწყი სიამე მყობადისა?

ჰე სულო ჩემო, გასწავლე მძულვარება, არა რომელი მოვალს ვით ფუტურო, არამედ მძულვარება სიყვარულით, რომელს უფროსად უყვარს, სად უფროსად სძულდეს.

ჰე სულო ჩემო, გასწავლე დაჯერება, რათა ფუძენი შენით ისწრაფოდნენ, ვით მზე, რომელი აჯერებს ზღვას მისი სიმაღლით წარიტაცოს.

ჰე სულო ჩემო, აგხოცე ყოველი მორჩილება, მუხლთა დრეკა და ყმობა; ვით გარქვ სახელი „ფარი ურვისა“ და „ბედი“.

ჰე სულო ჩემო, ახალი სახელები გიძღვენი შენ და ფერადი თავშესაქცევნი; გარქვ „ბედი“. „სივრცე სივრცეთა“, „უპე დროის“ და „ლაჟვარდი ზარი“.

ჰე სულო ჩემო, შენს ნიადაგს ვასვი ყოველი სიბრძნე, ყოველი ახალი ღვინო და ყოველი უხსოვრად ძველი ღვინო სიბრძნისა.

ჰე, სულო ჩემო, ყოველი მზე დავღვარე შენ ზედა და ყოველი ღამე და ყოველი სიჩუმე და ყოველი სევდა: - და აღზარდე ვით ვენახი.

ჰე სულო ჩემო, უხვი და მძიმე სდგეხარ, ვაზი გატენილი ძუძუებით და თალხი მჭიდროდ კრულ ოქროს მტევნებით: -

- დახრილი და დაზიდული შენი ნეტარებით, ელოდები ბარაქასა, კვლავ მორცხვი შენი მოლოდინითა.

ჰე სულო ჩემო, აწ არარა ჰგიებს სული უფროსად მოსიყვარულე, უფროსად ყოვლისმომცველი და უფროსად ყოვლის დამტევი! სად იყოს მყობადი და ნამყო ურთიერთ ახლოს, ვით შენდა?

ჰე სულო ჩემო, ყოველი მოგეც შენ და ხელნი ჩემნი დაცარიელდა შენთვის; და აწ! აწ მითხარ სიცილით და სავსე სევდით: „რომელს ჩვენთაგანსა ჰმართებს მადლობა? –

ვით არ იხარებდეს გამცემი, რომ ამღებმა აიღო? გაცემა საჭიროება არ არის? აღება - შეწყალება?“

ჰე, სულო ჩემო, მესმის სიცილი შენი სევდისა: შენი სიუხვე თვით იწვის სევდიან ხელთ.

სავსეობა შენი უმზერს მგმინავ ზღვასა და ეძიებს და უცდის: სევდა სიუხვისა იმზირება შენი მოცინარი თვალთა ციდან!

და ჭეშმარიტად, ჰე, სულო ჩემო! ვინ ნახოს სიცილი შენი და არ

დაილიოს ცრემლით. თვით ანგელოსნი ილევიან ცრემლით ზე-სათნო შენი სიცილითა. –

სიქველეს შენსა და ზე-ქველობასა შენსა არა ჰსურს გოდება და ტირილი: ხოლო, ჰე სულო ჩემო, სიცილი იღწვის შენ ცრემლთა და აცახცახებული ბაგენი მოთქმასა?

„ყოველი გოდება ჩივილი არ არის? და ყოველი ჩივილი - ბრალდება?“ ამას გულისთხრობდი, ამად, ჰე, სულო ჩემო, შენი ტანჯვის მოთქმას სიცილს ამჯობინებ. –

- ცრემლთა ჩანჩქერით იღვრება ყოველი ურვა თვის სავსეობასა ზედა და ვენახის მოლოდინისა მევენახისა და მევენახის დანისათვის!

ხოლო თუ ტირილი არა გსურდეს და შენი მეწამული სევდის გამოტირება, ჰხამს, მღეროდე, ჰე სულო ჩემო! მოხედე, მე თვით ვიცინი, მე, რომელიც ამას გიხმობ:

- მღეროდე, შმაგი სიმღერით, ვიდრე ყოველი ზღვა არ დადუმდეს, რათა შენ სევდას უსმინოს. –

- ვიდრე წყნარ სევდიან ზღვათა ზედა ნავი არა ჩნდეს, ოქროს სასწაული, რომლის ოქროს ირგვლივ შფოთავს ყოველი კეთილი, უკეთური, საკვირველი: -

და მრავალი დიდი და მცირე ცხოველი და ყოველი, რომელს მსუბუქი საკვირველი ფეხი აქვს, რათა რბოდეს იისფერი ბილიკებით, -

- იქით, ოქროს სასწაულისა, თავისუფალი ნავისა და მისი უფლისაკენ: ხოლო ესე მევენახეა, რომელი ელოდება ალმასის დანით, -

- შენი დიდი მხსნელი, ჰე სულო ჩემო, უსახელო - მას მყობადი სიმღერები უპოვიან სახელს! და ჭეშმარიტად, მყობად სიმღერათა სურნელებით აღევსო სუნთქვა შენი, -

- უკვე იგზნები და ოცნებობ, მწყურვალი შესვამ ყოველ ღრმა, ნუგეშის მოჩუხჩუხე წყაროებს, უკვე იშვებს სევდა შენი ნეტარებით მყობად სიმღერათა.

ჰე სულო ჩემო, მოგეც ყოველი, ჩემი უკანასკნელიც და ხელნი ჩემნი შენით დაცარიელდნენ; - ს ი მ ღ ე რ ა დ გ ი ხ მ ო ბ დ ი, ხედვიდე, ესე იყო ჩემი უკანასკნელი ძღვენი.

სიმღერად გიხმობდი: აწ სთქვი: რომელმა ჩვენგანმა სთქვას მადლობა? მაგრამ უკეთესია მიმღერე, იმღერე, ჰე სულო ჩემო! დეე, მე ვიყო მადლიერი! –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მეორე საცეკვაო სიმღერა

1.

„შენს თვალებში ჩავიხედე, დიდი ხანი არ არის, ჰე ცხოვრებავ: ოქრო ბრწყინავდა შენ უკეთურ თვალებში, - გული შეჩერდა ამა ვნების წინაშე:

- ოქროს ნავი დავინახე, ბრწყინავდა დათალხულ წყალში, ოქროს აკვანი იძირებოდა, ყვინთავდა, კვლავ თვალს მიშვრებოდა!

ჩემ ათამაშებულ ფეხს თვალი ესროლე, მომცინარე, მკითხავი მალღობელი მარწევი თვალი;

მხოლოდ ორჯერ შეეხე პატარა ხელებით შენ საგოგმანოს - და ჩემი ფეხი ირწეოდა როკვის ჟინითა. –

ჩვენი ფეხისგულები მოსწყდა მიწას, ფეხის თითები შენ გისმენდნენ და ელოდნენ ნიშანს: მროკავს ხომ ყურები ფეხის თითებში აქვს!

შენსკენ გადმოვხტი: და უკუ იქეც და ჩემით იზიდა ცოდვილ, მფრინავ თმათა ენებმა!

შენით უკუ ვხტი და შენ გველთაგანა: და შენ უკვე შეჩერდი, ალმაცერად მობრუნებული, სურვილებით აღვსილი თვალებით.

ალმაცერი გამოხედვით - მასწავი ალმაცერ გზებს; ალმაცერ გზაზე სწავლობს ჩემი ფეხი - მზაკვრობასა!

მეშინის ახლოს, შორით მიყვარხარ; შენი ლტოლვა მიტაცებს, შენი ძიება მაქვავებს: ტანჯული ვარ, ხოლო რასა არ ვიქმნდე სიამოვნებით შენთვის!

რომლის სიცივე ააგზნობს, რომლის მხურვალება აცდუნებს, რომლის ლტოლვა აქვავებს, რომლის დაცინვა- აღელვებს:

- ვინ არ შეგიძულოს შენ, შენ დიდო შემკვრელო, ქსელში გაბმულო, გამომცდელო, მაძიებელო, მპოვნელო! ვინ არ შეგიყვაროს შენ, შენ უბიწო, უთმენელო, ქარსწრაფო ცოდვილო ბავშვის თვალებით!

სად მიგყევარ აწ შენ, სასწაულო ჩემო უხედნო. კვლავ ილტვი ჩემით შენ ტკბილო, ცელქო, წყნარო, ველურო და უმადურო!

როკვით მოგდევ, მდევ კვალ და კვალ. სადა ხარ? მომეცი ხელი! თუ მხოლოდ ერთი თითი!

აქ გამოქვაბულებია და ჯაგნარი: გზას დავკარგავთ! - შესდექ! დადუმდი! ვერა ხედავ მსრბოლ ჭოტებსა და ღამურებს!

შენ, ჭოტო! შენ, ღამურა! ჩემი გახელeბა გსურს? სადა ვართ? ძაღლთაგან გისწავლია ეს ყმუილი და ყეფა?

საყვარლად იღრინები თეთრი კბილებით, შენი ბოროტი თვალები ნაპერწკალს მაყრის ხუჭუჭა ფაფრისა ქვეშით!

ესე როკვაა აღმა-მაღლა: მონადირე ვარ, გსურს ჩემი ძაღლი იყო თუ ჩემი ქურციკი?

აწ ჩემსკენ! და სწრაფად, შენ ბოროტო კუნტრუშა! ზემოთ! იქით! - ვაი მე! გადავხტი, თვით დავეცი!

ჰე, მხედავ წავიქეცი, შენ ამაყო და წყალობასა გთხოვ! უკეთესია შენთან საამო ბილიკით ვლიდე!

- სიყვარულის ბილიკით წყნარ, ჭრელ ბუჩქთა შორის! ან იქ, ტბის ნაპირით: იქ ოქროს თევზები სცურავენ და ჰსცეკვავენ!

დაიღალე? აგერ ცხვარი და ბინდბუნდი: საამოა ძილი ოდეს მწყემსი სალამურსა უკრავს?

ესე მოიქანცე? წაგიღებ იქ, ჩამოუშვი მკლავები! გწყურიან, - რასამე ვიპოვიდე, ხოლო შენ პირი ამას არა სვამს! –

- ჰე, ეს წყეული მოქნილი, მარგი გველი და ჭინკა! საით? ხოლო სახეზე ვგრძნობ ორ შენ ნახელურს და წითელ ლაქას!

დავიღალე შენი მწყესობით! შენ, კუდიანო, აქამდე გიმღერდი, აწ შ ე ნ უნდა იყვირო!

ჩემი მათრახის ტყლაშა-ტყლუშით მიცეკვებ და იყვირებ! მათრახი ხომ არ დამვიწყებია? - არა!“ -

2.

მუნ ეს მიპასუხა ცხოვრებამ და თავისი ნაზი ყურები დაიცო:

„ჰე, ზარატუსტრა! ნუ ატყლაშუნებ შენ მათრახს ეგრე საშინლად! ხომ იცი: ხმაურობა ფიქრსა ჰკლავს, - და აწ მეწვია ნაზი ფიქრები.

ჩვენ ორივენი უვარგისნი ვართ სიკეთისა და ბოროტისათვის. სიკეთისა და ბოროტის გაღმა ვპოვეთ ჩვენი კუნძული და ჩვენი მწვანე ველი - ჩვენ მარტო ორნი ვართ! ამისათვის უკვე გვმართებს ურთიერთის სიყვარული.

და თუნდ გულით ერთმანეთი არ გვიყვარდეს და ხშირად ძლიერ მიყვარხარ, ეს იცი: და ამის მიზეზია ეჭვი შენი სიბრძნისადმი! ჰე ეს სულელი მოხუცი რეგვენი სიბრძნე!

უკეთუ ოდესმე შენმა სიბრძნემ თავი მიგანება, ჰე! მაშინ ჩემი სიყვარულიც სწრაფად დაგტოვებდა“. –

აქ ცხოვრებამ დაფიქრებულმა მიიხედ-მოიხედა და სწრაფად წარმოსთქვა; „ჰე, ზარატუსტრა, საკმაოდ ერთგული არა ხარ!

იმდენად არ გიყვარვარ, ვით ამას იტყვი: ვიცი, ჰფიქრობ, მალე მიმატოვო.

არის ერთი ძველი, მძიმე, ხმიანი ზარი: მისი ხმა ღამით ისმის შენ გამოქვაბულში:

- გესმის შუა ღამისას ამ ზარის ხმა, ამასა ჰფიქრობ პირველისა და თორმეტის შორის:

- ამას ჰფიქრობ, ჰე ზარატუსტრა, ეს ვიცი რომ მალე უნდა დამტოვო!“ –

„დიახ, ვუპასუხე მე ყოყმანით, ხოლო ისიც იცი“ და რაღაც ვუთხარი ყურში, აწეწილ, ყვითელ, შეშლილ ნაწლავებში.

„შენ ეს ი ც ი, ჰე ზარატუსტრა? ეს არავინ იცის. – ’’

და ჩვენ შევხედეთ ერთმანეთს და გადავხედეთ მწვანე ველს, რომელსა ზედა აწ გრილი საღამო ჩამორბოდა და ერთად ვსტიროდით. - ხოლო მაშინ ცხოვრება უფრო საყვარელი იყო, ვიდრე მთელი ჩემი სიბრძნე.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

3.

ერთი!

ჰე, ადამიანი, ყური დაუგდე!

ორი!

რას იტყვის ღრმა შუა ღამე?

სამი!

„მეძინა, მეძინა -„,

ოთხი!

„ღრმა ძილისაგან გამომეღვიძა“

ხუთი!

„ქვეყანა ღრმაა“,

ექვსი!

და უფრო ღრმაა, ვიდრე დღე იფიქრებდა“.

შვიდი!

„ღრმა არის ურვა -’’,

რვა!

„სიხარული უფრო ღრმაა, ვიდრე გულის მწუხარება“:

ცხრა!

„ურვა იტყვის: წარვედ!“

ათი!

ხოლო ყოველ სიხარულს მარადიულობა ჰსურს - ,

თერთმეტი!

„ - ჰსურს ღრმა მარადიულობა!“

თორმეტი!

შვიდი ბეჭედი (ანუ: სიმღერა ჰოი და ამინ)

1.

უკეთუ მისანი ვარ და აღვსილი მისნური სულით, რომელი ორი ზღვის შორის კლდესა ზედა დაძრწის, -

ნამყოსი და მყობადის შორის დაძრწის ვით ღრუბელი, - მტერი შემხუთავი ბარისა და ყოვლისა მოქანცული ცოცხალ-მკვდრისა:

მზა ელვისათვის ბნელ მკერდში და მხსნელი ნათლის სხივისათვის, მუცლად ღებული ელვით, რომელი იტყვის „ჰო!“ ჰოით გაიცინებს, მზა ელვის სხივთათვის: -

- ხოლო ნეტარია ესე მუცლად ღებული! და ჭეშმარიტად, ჰხამხს

დიდ ხანს ეკიდოს მთას ავი ამიდით, რომელმაც ერთხელ მყობადის ნათელი უნდა აანთოს! –

- ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, - უკუქცევის რკალით!

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც მე შვილები მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს: რამეთუ შენ მიყვარხარ, ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

2.

უკეთუ მრისხანება ჩემი ოდესღაც ანგრევდა, მიჯნას აბრუნებდა და მცნებათა ძველ შემუსრულ ფიცრებს ციცაბო უფსკრულში ისროდა.

უკეთუ დაცინვა ჩემი ოდესღაც ხრწნილ სიტყვათ, ვით ნაგავს, აღგვიდა და მე ვით ცოცხი ვევლინებოდი ობობათ და განმწმენდი ქარივით დახშულ აკლდამათ:

უკეთუ ოდესღაც მხიარულად ვიჯექ, სად მოხუც ღმერთთა საფლავებია; ვლოცავდი ქვეყანას, მიყვარდა ქვეყანა, ვიჯექ ქვეყნის მქირდავთა ძეგლების ახლოს.

- თვით ეკლესიებიც მიყვარს და ღმერთის საფლავები, ოდეს მათი დანგრეული თაღების ცა ნათელი თვალით იცქირება; მიყვარს, მზგავსად ბალახისა და წითელი ყაყაჩოსი, დანგრეულ ტაძრებზე ჯდომა, -

ჰე, ვით არ ვისწრაფი მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, უკუქცევის რკალით?

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისაგან მე შვილები მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს, რამეთუ შენ მიყვარხარ, ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

3.

უკეთუ ოდესღაც მოიწევდა ოხვრა ჩემ ზედა ქმედი ოხრისაგან და ციური აუცილებლობისაგან, რომელი თვით შემთხვევას აიძულებს ვარსკვლოვან ფერხულთათვის:

უკეთუ ოდესღაც სიცილით მმქმედი ელვისა ვიცინოდი, რომელს მორჩილად თანსდევს საქმის გრძელი ქუხილი:

უკეთუ ოდესღაც მიწის ღმერთთა მაღლობზე ღმერთებს კამათელს ვეთამაშებოდი და მიწა იძროდა და სკდებოდა და ცეცხლის მდინარეთ აღმოაფრქვევდა: -

რამეთუ მიწა ღმერთთა მაგიდაა, მძრწოლარე ახალმმქმედ სიტყვათა და ღმერთთა კამათლებით:

ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, - უკუქცევის რკალით?

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც შვილები მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს: რამეთუ შენ მიყვარხარ, ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

4.

უკეთუ ოდესღაც სავსე შესმით ვსვამდი აქაფებული სასმისით სურნელი სანელებლით შეზავებულს, სად ყველა საგნები კარგად შერეულია:

უკეთუ ხელი ოდესღაც შორეულს უახლოესს ურევდა და ცეცხლს სულს, და სიხარულს - ურვას და უარესს- უკეთესს:

უკეთუ მე თვით მხსნელი მარილის კბილი ვარ, რომელი ყოველ საგანთ სასმისში კარგად შეაზავებს: -

- არის მარილი სიკეთესა და ბოროტს რომ აერთებს; და უბოროტესიც ღირსია სანელებლისა და უკანასკნელი ამოქაფებისა: -

ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, უკუქცევის რკალით!

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც შვილები მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს: რამეთუ შენ მიყვარხარ: ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

5.

უკეთუ ზღვა მიყვარს და ყოველი, რაც ზღვის მოდგმისაა, და უფროსად ოდეს მწყრალად მეწინააღმდეგება:

უკეთუ ძიების ის სიხარულია, რომელი აფრას უცნაურისაკენ მიაფრენს, უკეთუ მეზღვაურის სიხარულია ჩემ სიხარულში:

უკეთუ ოდესღაც მხიარულება ჩემი ხმიანობდა: „ნაპირი გაქრა - ყოველი ჯაჭვით თავისუფალი ვარ -

უსაზღვრო ირყევა ჩემს ირგვლივ, შორს ბრწყინავს სივრცე და დრო, მხნედ! მხნედ! მოხუცო გულო!“

ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, უკუქცევის რკალით!

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც შვილი მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს: რამეთუ შენ მიყვარხარ, ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

6.

უკეთუ ჩემი სიქველე მროკავის სიქველეა და ხშირად ორივე ფეხით ოქრო-ზურმუხტოსანი აღტაცებით სჩანვითქებოდი:

უკეთუ ჩემი ბოროტება მომცინარი ბოროტებაა ვარდის ბუჩქთა და შროშანათა ღობის ქვეშ:

რამეთუ სიცილში ყოველი ბოროტია მოგროვილი, ხოლო ცნობილია საღვთოთ და გამართლებულია თვისი საკუთარი ნეტარებით:

და უკეთუ ჩემი ალფა და ომეგაა, რათა ყოველი მძიმე მსუბუქი იქმნეს, ყოველი სხუელი მროკავად, ყოველი სული ფრინველად: და ჭეშმარიტად, ესეა ჩემი ალფა და ომეგა! –

ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, უკუქცევის რკალით - უკუქცევის რკალით!

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც შვილები მესურვოს, გარდა ერთისა, რომელი მიყვარს: რამეთუ შენ მიყვარხარ, ჰე მარადისობა!

რ ა მ ე თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

7.

უკეთუ ჩემ ზედა წყნარ ცას გადავჭიმავდე და ჩემი ფიქრებით ჩემ ცაში ვფრენდი:

უკეთუ ლაღად ნათლის შორეულებით ვცურავდი და ფრინველი სიბრძნისა მოფრინდებოდა ჩემ თავისუფლებასთან: -

- ხოლო ამას იტყვის ფრინველი სიბრძნისა: „შეხედე, რა არის მაღლა, არც დაბლა! გადავარდი მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, უკან, შენ, მსუბუქო! მღერდე! ნუღარას იტყოდე!

- ყველა სიტყვა მძიმეთათვის არ არის შექმნილი? განა ყოველი სიტყვა მსუბუქს არ ჰღალატობს! მღერიდე! ნუღარას იტყვი! –

ჰე, ვით არ ვისწრაფოდე მარადისობით და საქორწინო რკალთა რკალით, - უკუქცევის რკალით!

არ მიპოვნია დედაკაცი, რომლისგანაც შვილები მესურვოს, გარდა ერთი დედაკაცისა, რომელი მიყვარს: რამეთუ მიყვარხარ, ჰე მარადისობავ!

რ ა მ თ უ შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჰ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა!

მეოთხე და უკანასკნელი ნაწილი

ჰეი, ქვეყანაზე სად ჩაუდენიათ უდიდესი
სისულელე, თუ არ შემწყნარებელთა შორის? და რას
მოუცია ქვეყნისათვის მეტი მწუხარება, თუ არ
შემწყნარებელთა შეშლილობას?
ვაი ყველა შეყვარებულთ, რომელთ ჯერ თვისი
შეწყნარების მაღლა მყოფ მწვერვალისათვის ვერ მიუღწევიათ:
ამას მეტყოდა ერთხელ ეშმაკი; „ღმერთსაც აქვს
თვისი ჯოჯოხეთი: იგი მისი სიყვარულია ადამიანთადმი“.
ამას წინათ ყური მოვკარი მის სიტყვებს: „ღმერთი
 მკვდარია; ადამიანთადმი სიბრალულმა მოჰკლა ღმერთი“.
ზარატუსტრა, შემწყნარეთათვის

მსხვერპლი თაფლისა

და კვლავ რბოდნენ ზარატუსტრას სულსა ზედა თვენი და წელნი, და ის ვერ ამჩნევდა მათ; ხოლო თმა ჭაღარა შეექმნა. ერთ დღეს, ოდეს ქვაზე იჯდა თავისი გამოქვაბულის წინ და წყნარად შორით იმზირებოდა, - ხოლო აქედან აზვირთებულ უფსკრულთა ზედა სჩანდა ზღვა -, მის ირგვლივ მისი ცხოველები ნაღვლიანად დადიოდნენ და ბოლოს მის წინაშე გაჩერდნენ.

„ჰე, ზარატუსტრა, ეტყოდნენ ცხოველები, შენ ბედნიერებას ეძიებ?“ „რა არის ბედნიერება! მიუგო მან, დიდი ხანია ბედნიერებას აღარ ვესწრაფი, ვესწრაფი ჩემ საქმეს“. „ჰე ზარატუსტრა, კვლავ უთხრეს ცხოველებმა, იტყოდე ვით ვინმე, რომელს ზედმეტი სიკეთე აქვნდეს. არ განისვენებ ცისფერ ზღვაში ბედნიერებისა?“ „ - თქვენ თვალთმაქცნო, უპასუხა ზარატუსტრამ და გაეცინა, ვით მოხერხებულადა სთქვით! ხოლო იცით აგრეთვე ჩემი ბედნიერება მძიმეა და არა მზაგვსი თხიერი ტალღისა: მაწუხებს და არა მშორდება, ვით კუპრი“. –

კვლავ ჩაფიქრდნენ ცხოველები მის ირგვლივ და კვლავ მის წინაშე გაჩერდნენ. „ჰე, ზარატუსტრა, იტყოდნენ, იმისათვისაა ეს, რომ შენ მეტად ყვითლდები და შავდები, ხოლო შენი თმა თეთრდება და ბამბას ემზგავსება? შეხედე, შენ კუპრში ზიხარ!“ - „რას უბნობთ,

ცხოველებო, წარმოსთქვა ზარატუსტრამ და გაიცინა, ჭეშმარიტად ძვირს ვიტყოდი, ოდეს კუპრისას ვლაპარაკობდი. რაც ჩემ თავსა არის, იგივეა ყველა მომწიფებული ხილის თავსა. ეს თ ა ფ ლ ი ა ჩემ ძარღვებში და ასქელებს ჩემ სისხლსა და ჩემ სულს უფრო აწყნარებს“. „ესე იყოს, ჰე ზარატუსტრა, მიუგეს ცხოველთ და მიუახლოვდნენ; ხოლო არა გსურს დღეს ერთ დიდ მთას ახვიდე? ჰაერი სუფთაა და დღეს ქვეყანისა მეტის სჩანს, ვიდრე ოდესმე“. - დიახ, ჩემო ცხოველნო, მიუგო მან, თქვენი რჩევა მშვენიერია და გულს ეამება: დღეს მსურს ერთ დიდ მთას ავიდე! ხოლო იზრუნეთ, რათა იგი თაფლი მქონდეს, ყვითელი, თეთრი, კარგი, ყინულივით გრილი ფიჭის თაფლი. იცოდეთ იქ მაღლა მსურს თაფლის მსხვერპლი შევწირო“. –
ხოლო ოდეს ზარატუსტრა მთას ავიდა, ცხოველები, რომელნიც მას წაჰყვნენ, სახლში გაგზავნა, და ნახა, მარტოდ დარჩენილიყო: - მუნ გაიცინა მთელი გულით, მიიხედ-მოიხედა და ესე იტყოდა:

ვსთქვი შეწირვა და თაფლის შეწირვა, ხოლო ესე ჩემი სიტყვის ეშმაკობა იყო, ჭეშმარიტად, სასარგებლო სისულელე! აქ ზემოთ, მე უფროსად თავისუფლად ვილაპარაკებ, ვიდრე განდეგილთა ხვრელებისა და მათი შინაური ცხოველების წინაშე.

მსხვერპლი! ვაბნევ, რაც მებოძების, მე მხარჯველი ვარ ათასი ხელით: ვით ვუწოდებდე ამას - მსხვერპლსა!

და თუ თაფლი ვისურვე, ვისურვე სამსალა ტკბილი წვენი, რომლისათვის ბუზღუნა დათვებს და უცნაურ, ნაღვლიან, ბოროტ ფრინველთაც სული მისდით.

- სამსალას უკეთესსა, მონადირეთა და მეთევზეთ რომ სჭირდებათ. უკეთუ ქვეყანა ბნელ ცხოველთა ტყეა და ველური მონადირეთა ბაღი სიამისა, ის უფრო და უფრო მეტად უძირო ზღვად მეჩვენება.

- ზღვად სავსედ ფერადი თევზებითა და კიბოებითა, რომელი თვით ღმერთს აღუძრავს სურვილს თევზაობისა და ბადისმსროლელთა: ესე მდიდარია ქვეყანა დიდი და მცირე საკვირველებით.

უფროსად ადამიანთა სამყარო, ადამიანთა ზღვა: - მას ვესვრი აწ ჩემ ოქროს ნემსკავს, და ვიტყვი: განიხსენ შენ, უფსკრულო ადამიანთა!

განიხსენ და გადმომიყარე შენი თევზები და ბრწყინვალე კიბოები! ჩემი უკეთესი სამსალით ვატყვილებ დღეს საკვირველ ადამიანთა თევზებს.

- ჩემ ბედნიერებას ვისვრი მე შორით და შორეულით, აღმოსავლით, სამხრეთით და დასავლით, რათა ვნახო ადამიანთა მრავალი თევზი ისწავლის ჩემი ბედნიერების წვერზე წამოგებასა და სხმარტალს.

ვიდრე წამოგებულნი ჩემ მახვილ, ფარულ ნესკავს, უფსკრულის ფერადი კლდის თევზები ჩემ სიმაღლეზე, მეთევზეთა შორის უბოროტესის სიმაღლემდე არ ამაღლდებიან.

ე ს ე ვარ სიღრმით და დასაბამით, მომწევი, გამომწევი, ამწევი, ამომწევი, აღმზრდელი, მწრთვნელი და მოძღვარი, რომელი ერთხელ არა ამაოდ იტყოდა: „ჰყოფდე, როგორიცა ხარ!“

მოვიდენ ადამიანნი ჩემთან მ ა ღ ლ ა: რამეთუ კვლავ ვუცდი სასწაულსა ჩემი სამხრის ჟამის მოწევისა: მე თვით არ ჩავდივარ, ვით ჰხამს ჩემდა ადამიანთა შორის.

ამად ველოდები აქ, ცბიერი და მქირდავი, მაღალ მთათა ზედა, არა სულსწრაფი, უფრო ვიეთი, რომელს მოთმინება დავიწყებია, რამეთუ აღარ „ითმენს“.

ჩემი ბედი მაცდის: დავავიწყდი? ჩრდილში თუ დიდ ქვას ამოჰფარებია და ბუზებს იჭერს?

და ჭეშმარიტად, მადლიერი ვარ ჩემი მარადიული ბედისა, რომ არ მერეკება და არ მაჩქარებს და დროს არ მაძლევს ხუმრობისა და ბოროტებისათვის: ესე სათევზაოდ ამოველ მე ამ მაღალ მთასა.

უთევზავნია ადამიანს ოდესმე მაღალ მთათა ზედა: დეე რეგვენობა იყოს, რაც აქ ზემოთა მსურს და ვაკეთებ: უკეთესია ეს ვიდრე ვიყო იქ, ქვევით მოლოდინი მხიარული, მწვანე და ყვითელი -

მოლოდინით მრისხანედ გაბერილი, წმიდა მთის ღრიალა ქარიშხალი, სულმოკლე, რომელი ხეობათ ზემოდან დაჰყვირის: „მისმინეთ, თუ არა დაგსჯით ღვთის მათრახით!“

არა ძვირსა ვგრძნობდე ამ მრისხანეთათვის: ისინი მხოლოდ სიცილსა მგვრიან! სულმოკლენი უნდა იყვნენ ეს დიდი საგანგაშო დოლები, რომელთა დღეს ეკუთვნის სიტყვა, ან აროდეს!

ხოლო მე და ჩემი ბედი „დღეს“ არ ველაპარაკებით, არც „ხვალეს“ ველაპარაკებით: სალაპარაკოდ მოთმინება გვაქვს, დრო და ზედმეტი დრო. ის ერთ დროს ხომ მოვა და გზად ვერ აგვიქცევს.
ვინ მოვალს ერთხელ და გზად ვერ აგვცდება? ჩვენი დიდი

შემთხვევა, ესე არს ჩვენი დიდი შორეული ადამიანის სამეფო, ათასწლეულის სამეფო ზარატუსტრასი. –

ვით შორს არის ესე „შორეული“? რა არის ჩემთვის! ხოლო ამისათვის ნაკლებად მყარი არ არის, - ორივე ფეხით მტკიცედა ვსდგევარ ამ ფუძეს.

- მარადიულ ფუძეს, მაგარ პირველქმნილ კლდეთა ზედა ამ უმაღლეს, უმტკიცეს პირველქმნილ კლდეთა ზედა, სად ყველა ქარნი იყრებიან, ვით ქარიშხლების მიჯნასთან და კითხულობენ: სად? საიდან? საით?

აქ იცინოდე, იცინოდე, ჩემო წმინდა, ჯანსაღო ბოროტება! მაღალ მთებით ძირს ისროდე მოელვარე დამცინავ სიცილს! მოინადირე შენი ელვარებით ულამაზესი ადამიანთა თევზები!

და რაც ყველა ზღვებში მ ე მეკუთვნის, რაც ჩემია და ჩემთვის ყოველისა შორის - ი ს დამიჭირე, ი ს ამომიტანე აქ, ზემოთ: ამას ველოდები მე უბოროტესი მეთევზეთა შორის.

შორს, შორს, ჩემო ანკესო! ღრმად, ღრმად ჩემო ბედნიერების სამსალა! იწვეთე უტკბილესი შენი წამით, ჩემი გულის თაფლო! მოეკიდე ჩემო ნესკავო მუცელს ყოველი შავი სევდისა!

შორს, შორს ჩემო თვალო! ჰეი, რა სიმრავლეა ზღვათა ჩემს ირგვლივ, ადამიანთა მყობადის რა ცისკრები! და ჩემ ზედა - რა ვარდისფერი სიჩუმე! რა უღრუბლო სიჩუმე!

ხმა მღაღადებელი მწეობისათვის

მეორე დღეს ზარატუსტრა კვლავ თავის ქვაზე იჯდა გამოქვაბულის წინ, მისი ცხოველები გარე დაძრწოდნენ სახლში საჭმლის მოსატანად, - და ახალი თაფლისაც; ძველი თაფლი ზარატუსტრამ უკანასკნელ წვეთამდე გამოლია და დახარჯა. ხოლო ვიდრე ესე მჯდომარე იყო კვერთხით ხელში, და მიწაზე თავის ჩრდილს ხაზვიდა და ჩაფიქრებული, - და ჭეშმარიტად! არა თავისა და თავისი

ჩრდილისათვის - უეცრად შეკრთა და იძრწოლა: რამეთუ თავისი ჩრდილის ახლოს მეორე ჩრდილიც დაინახა. და ოდეს მყის უკუ მოიხედა და ფეხს წამოდგა, ნახა მის ახლოს მისანი იდგა, რომელმა ოდესღაც მასთან პური სჭამა და სვა, წინასწარმეტყველი დიდ დაღლილობისა, რომელი ასწავლიდა: „ყველაფერი ერთია, არაფერს აქვს ჯილდო, ქვეყანა უაზრობაა, ცოდნა არჩობს“. ხოლო მისი სახე მას აქეთ შეცვლილიყო; და ოდეს ზარატუსტრამ მას თვალებში ჩახედა, კვლავ შეშინდა გული მისი: ეგზომად მრავალი ცუდი უწყება და ნაცრისფერი ელვა რბოდა მის სახესა ზედა.
მისანი, მიხვდა რა, თუ რა ხდებოდა ზარატუსტრას სულში, სახეზე ხელი წაისვა, თითქოს ჰსურდა ესე აეხოცა. იგივეს იქმნდა ზარატუსტრა და ოდეს ორივე დუმილით ესე დამშვიდნენ, ერთმანეთს ხელი მისცეს ნიშნად ურთიერთის კვლავ ცნობის სურვილისა.

„კეთილი იყოს მოსვლა შენი, სთქვა ზარატუსტრამ, შენ მისანო დიდი დაღლილობისა, არა ამაოდ იყავი ერთხელ ჩემი თანამეინახე და სტუმარი. სჭამდე და სვამდე დღესაც ჩემთან და შემინდე, უკეთუ მხიარული მოხუცი მოუჯდება სუფრას შენთან ერთად!“ - „მხიარული მოხუცი? მიუგო მისანმა თავის ქნევით; ვინც უნდა იყო, ან ვიეთი ყოფად ისურვებდე, ჰე ზარატუსტრა, მეტად დიდხანს დარჩი აქ ზემოთ, - შენი ნავი მალე აღარ იდგება ხმელეთზე!“ „განა ხმელეთზე ვზივარ?“ - ჰკითხა ზარატუსტრამ სიცილით. - „ტალღები შენი მთის ახლოს, უპასუხა მისანმა, სულ ზევით და ზევით იზიდებიან, ტალღები დიდი უბედურებისა და ჭმუნვისა: მალე მოსწვდებიან შენ ნავსაცა და შენც წაგიღებენ აქედან“. - ზარატუსტრა დადუმდა და გაკვირვებული უსმენდა. - „ჯერ არაფერი გესმის? განაგრძო მისანმა: არა ბობოქრობს და ღმუის სიღრმით?“ - ზარატუსტრა კვლავ სდუმდა და უსმენდა: მუნ ესმა გრძელი ყვირილი, რომელს სიღრმენი ერთმანეთს ესროდნენ და გადასცემდნენ, რამეთუ არც ერთსა ჰსურდა მისი დატოვება: ისე ბოროტად ხმიანობდა.

„შენ საბედისწერო მისანო, სთქვა ბოლოს ზარატუსტრამ, ეს უბედურების ყვირილია და ყვირილი ადამიანისა, ალბათ შავი ზღვით მოდის. ხოლო რა არის ჩემთვის ადამიანის უბედურება? ჩემი უკანასკნელი ცოდვა, ჩემთვის შენახული, - იცი მისი სახელი?“ „სიბრალული! - უპასუხა მისანმა აღვსილი გულით და აღაპყრო ხელები - ჰე, ზარატუსტრა, მოველ რათა შეგიყვანო შენ უკანასკნელ ცოდვაში!“

და ითქვა რა ეს სიტყვები, კვლავ გაისმა ყვირილი და უფრო ხანგრძლივი და საშინელი, ვიდრე ამას წინედ

და უფრო ახლოც. „გესმის? გესმის? ჰე ზარატუსტრა? შეჰყვირა მისანმა, შენდამია ეს ყვირილი, შენ გიხმობს: მოვედინ, მოვედინ, მოვედინ, დროა, დიდი ხანია დროა!“

ზარატუსტრა სდუმდა შეძრწუნებული და მღელვარე; ბოლოს იკითხა, ვით თავის თავის მერყევმა: „ვინ არის, რომელი მე მიხმობს?“

„შენ ხომ იცნობ მას, უპასუხა აღელვებით მისანმა, რატომ ჰმალავ? მაღალი ადამიანია, შენ რომ გიხმობს!“

„მაღალი ადამიანი? შესძახა ზარატუსტრამ შეშფოთებულმა: რა ჰსურს მას? მაღალ ადამიანს! რა უნდა მას აქ?“ - და მას ოფლი დაასხა.

ხოლო მისანმა არ უპასუხა ზარატუსტრას შიშს, არამედ უსმენდა და უსმენდა უფსკრულს. ხოლო ოდეს იქ დიდხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მოიხედა და დაინახა ზარატუსტრა ფეხზე ამდგარიყო და ძრწოდა.

„ჰე, ზარატუსტრა, დაიწყო მან სევდიანი ხმით, სდგეხარ არა მზგავსად ვიეთისა, რომელს ბედნიერება ატრიალებს: უნდა იცეკვო, რათა არ წამექცე!

ხოლო უკეთუ ისურვებდით ჩემ თვალწინ ცეკვასა და ყველა შენი ნახტომებით ხტომას: არავინ გაჰბედავს მითხრას: „შეხედე, აქ უკანასკნელი მხიარული ადამიანი ცეკვავს“.

ამაოდ მოვალს ამა მაღლობზე ის, რომელი ა მ ა ს ეძიებდეს: გამოქვაბულთ ჰპოვებდა ის და გამოქვაბულში გამოქავბულთ, სამალავთ დამალულთათვის, არა ბედნიერების ორმოებსა და საუნჯეთა სალაროს და ბედნიერების ოქროს ფერებს.

ბედნიერება - ვით აქებდეს ბედნიერება ესეთ დამარხულთა და მწირთ!“ ვეძიო უკანასკნელი ბედნიერება ნეტარების კუნძულებზე და შორს დავიწყებულ ზღვათა შორის?

ხოლო სულ ერთია, არაფერი აქვს ჯილდო, ამაოა ყოველი ძიება, აღარც ნეტარი კუნძულებია!“ –

ესე ოხრავდა მისანი; ხოლო ის უკანასკნელ ოხვრასთან ერთად ზარატუსტრა კვლავ გაბრწყინდა და განმტკიცდა ვიეთისამებრ, რომელი ღრმა უფსკრულით ზე ამოვა, „არა! არა! სამჯერ არა! შეჰყვირა ძლიერი ხმით და წვერს ხელი დაისვა - ეს მე უკეთ ვიცი!

კვლავ არის ნეტარი კუნძულები! ნუღარას იტყვი ა მ ი ს ა თ ვ ი ს, შენ ოხრავო მწუხარების გულო!

ნუღარ კურკურებ ამისათვის, შენ წვიმის ღრუბელო შუადღის წინ! განა არ დასველდი შენი მწუხარებით, ვით გაზუნზლული ძაღლი?

აწ გავიბერტყები და მოგშორდები, რათა კვლავ გავშრე: ნუ გაიკვირვებ! უზრდელად გეჩვენები? აქ ხომ ჩ ე მ ი სასახლეა.

ხოლო შენი მაღალი ადამიანისათვის: რა ვქნა მყისვე მოვძებნი იმ ტყეებში: იქიდან მესმოდა მისი ყვირილი. იქნებ მას საშინელი ნადირი სდევნის.

ის ჩემ სამფლობელოშია: ამისათვის არ უნდა ევნოს! და ჭეშმარიტად, ჩემთან მრავალი ბოროტი ცხოველია“.–

ამ სიტყვებით გაბრუნდა წასასვლელად. მუნ სთქვა მისანმა: „ჰე, ზარატუსტრა, შენ გაიძვერა ხარ!

ვიცი, გსურს მიმატოვო! სიამოვნებით ტყედ გაიჭრები და გარეულ ცხოველთა სდევნი!

ხოლო რა შვებას მოგცემს ეს შენ? საღამოს კვლავ დამიბრუნდები; შენ საკუთარ გამოქვაბულში ვიჯდები, სულგრძელი და მძიმე, ვით კუნძი - და მოგელოდები!“

„ესე იყოს, სთქვა ზარატუსტრამ უკვე წასულმა: და რაც ჩემია ჩემ გამოქვაბულში, შენიც არის, ჩემი ძვირფასი სტუმრისა!

უკეთუ იქ თაფლი იპოვე, რა ვქნა, ალოკე, ბუზღუნა დათვო და სული გაახარე! საღამოს ორივე მხიარულები ვიქნებით.

- მხიარულები და კმაყოფილნი, რომ ეს დღე გავიდა! და თვით შენ აჰყვები ჩემ სიმღერას და იცეკვებ, როგორც ჩემი მროკავი დათვი. –

არა გჯერა ეს! თავს აქნევ? რა ვქნა! ვნახოთ! მოხუცო დათვო! ხოლო მე - მეც მისანი ვარ“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

საუბარი მეფეებთან

1.

ზარატუსტრას ერთი საათის გზაც არ გაუვლია თავის ტყესა და ღრეში და მეყსეულად შენიშნა უცნაური მგზავრები. იმ გზით, რომლითაც ის თავქვე მოდიოდა, ორი მეფე მოდიოდა გვირგვინებით და მეწამული სარტყელებით შემკულნი, ვით ფლამინგო ფრინველები: ისინი ერთ დატვირთულ ვირს მოერეკებოდნენ. „რა საქმე აქვთ მეფეთ ჩემ სამფლობელოში?“ გაკვირვებით გულისთხრობდა ზარატუსტრა და ერთ ბუჩქს ამოეფარა, ხოლო ოდეს მეფენი მოახლოვდნენ, წარმოსთქვა ნელი ხმით, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა; „უცნაურია! უცნაურია! რა ამბავია? ორ მეფესა ვხედავ და ერთ ვირსა!“

აქ მეფენი შეჩერდნენ, გაიცინეს, მოხედეს ადგილს, საიდანაც ხმა გაისმა და შემდეგ ერთმანეთს შეხედეს. „ესე ჰფიქრობს მრავალი ჩენ შორისაც, წარმოსთქვა მეფემ მარჯვნივ, ხოლო არ ლაპარაკობენ“.

ხოლო მეფემ მარცხნივ მხრები აიწია და მიუგო: „ეს ალბათ თხების მწყემსია, ან განდეგილი, რომელიც მეტად დიდხანს სცხოვრობდა კლდეთა და ხეთა შორის. უსაზოგადოებოდ ცხოვრება ხრწნის კეთილ ზნე-ჩვეულებას“?

„კეთილი ზნე-ჩვეულება? უპასუხა მეორე მეფემ გულმოსულმა და მწარედ: ვის გაურბივართ? თუ არა კეთილ ზნე-ჩვეულებასა?“ ჩვენ „კარგ საზოგადოებასა“?

უკეთესია ჭეშმარიტად, განდეგილთა და თხების მწყემსთა, ვიდრე ვარაყიან, ცრუ, განგოზილ ბრბოს შორის ცხოვრება, - მართალია ის თავს „კარგ საზოგადოებას“ უწოდებს.

- მართალია, თავს „კეთილშობილს“ უწოდებს, ხოლო ყველაფერი იქ თვალთმაქცობაა და დამპალი, სისხლით მოყოლებული, ძველ ცუდ სნეულებათა და ცუდ მკურნალთა წყალობით.

უკეთესია და უფრო საყვარელი ჩემთვის დღეს ჯანსაღი გლეხი, უხეში, გაიძვერა, კერპი, ამტანი: დღეს ეს უწარჩინებულესი მოდგმაა.

გლეხი დღეს უკეთესია და გლეხთა მოდგმასა ჰხამს ბატონობა! ხოლო აწ ბრბო მეფობს, - და მე აღარ მოვტყუვდები. ხოლო ბრბოს სახელია: არევდარევა.

ბრბოს დომხალი: მის შორის ყოველი არეულია, წმიდანი და უკეთური, აზნაური და ურია და ყოველი პირუტყვი ნოეს

კიდობანისა.

კეთილი ზნე-ჩვეულება! ჩვენ შორის ყველაფერი თვალთმაქცობაა და დამპალი. აღარავინ იცის პატივისცემა: მ ა ს გაურბივართ სწორედ. მლიქვი, აბეზარი ძაღლები, ისინი პალმის ფოთლებს ავარაყებენ.

ეს ზიზღი მახრჩობს, რომ თვით ჩვენ მეფეები გავყალბდით, შეკაზმული ვართ და გადაცმული მამა-პაპათა დიდების ძველი, გახუნებული სამოსლით, საჩვენებელი მედლები ვართ რეგვენთათვის და გაიძვერათათვის და ყოვლისათვის, რომელიც დღეს ხელმწიფებით წვრილმან ვაჭრობას ეწევა.

პირველები ა რ ა ვ ა რ თ - და უნდა ესე გ ა მ ო ვ ი ყ უ რ ე ბ ო დ ე თ; მოგვწყინდა და შეგვზიზღდა ბოლოს ეს ტყუილი.

ნაძირალებს გამოვექეცით, მყვირალებს და მურდალ მწერალ ბუზებს, მეწვრილმანეთა სიმყრალეს, პატივმოყვარეობის კრუნჩხვას, მყრალ სუნთქვას - ფუი, ნაძირალათა შორის ცხოვრებასა.

- ფუი, ნაძირალათა შორის თავის პირველად მოჩვენებას! ჰე, ზიზღი! ზიზღი! ზიზღი! რაღანი ვართ ჩვენ მეფენი!“

„შენ ძველმა სნეულებამ მოგიარა, უთხრა მეფემ მარცხნივ, ზიზღმა მოგიარა, საბრალო ძმობილო. მაგრამ ხომ გახსოვს, ვიღაც ყურს რომ გვიგდებს“.

ზარატუსტრა, რომელიც ამ ბაასს თვალით და გულით უსმენდა, მყისვე გამოვიდა სამალულით, მიუახლოვდა მეფეთ და ეტყოდა:

„ზარატუსტრაა მისი სახელი, ვინც თქვენ გისმენდათ, სიამოვნებით გისმენდათ, მეფენო.

მე ზარატუსტრა ვარ, რომელმა ერთხელ სთქვა: რაღანი არიან მეფენი!“

ხოლო აქ ჩ ე მ ი სამეფოა და ჩემი სამფლობელო: რას უნდა ეძიებდეთ ჩემ სამფლობელოში? იქნებ გზად ჰპოვეთ, რასაც მე ვეძიებ: მაღალ ადამიანს“.

ესმათ რა ეს მეფეთ, ხელით გულს იცემდნენ და ერთბაშად სთქვეს: „გვიცნეს!.

ამა სიტყვის მახვილით სჭრი შენ ჩვენ გულთა დიდ სიბნელესა. აღმოაჩინე ჩვენი მწუხარება, შეხედე! გზას დავადექით, რათა მაღალი

ადამიანი აღმოგვეჩინა. –

- ადამიანი უფრო მაღალი, ვიდრე ჩვენა ვართ: მართალია მეფენი ვართ, მასთან მიგვყავს ეს ვირი. ჰხამს უმაღლესი ადამიანი უმაღლესი მბრძანებელიც იყოს.

არა არის უბედურება მთელი ადამიანის ბედის შორის, ოდეს ძლიერნი ამა ქვეყნისანი პირველი ადამიანები არ არიან. ესე ყოველი ყალბდება, ბრუნდება და საშინელ იქმნების.

და თუ ისინი უკანასკნელნიც არიან და უფრო პირუტყვები, ვიდრე ადამიანები: ბრბოს ფასი ემატება და ემატება და ბოლოს იტყვის სათნოება ბრბოისა: „მომხედე, მე ვარ მხოლოდ სათნოება!“

რა მესმის? უპასუხა ზარატუსტრამ; რაოდენი სიბრძნე ჰქონიათ მეფეთ! აღტაცებული ვარ და ჭეშმარიტად განწყობილი ამისი ლექსი გამოვსთქვი:

- თუნდაც ლექსი იყოს, რომელსაც ყველა ყური ვერ მოისმენს. დიდი ხანია ყურადღებას არ ვაპყრობ გრძელ ყურებსა. ესე! აბა!

(ხოლო აქ მოხდა ის, რომ ვირმაც ლაპარაკი იწყო: და ცუდი განზრახვით და გარკვევითა სთქვა: ი-ა)

ეგრეთ, ვგონებ ქრისტეს მოსვლის პირველ წელსა,

სთქვა სიბილამ მთვრალმა არა ღვინით:

„ვაგლახ, აწ ყველაფერი დამცირდა.

„დაცემა! დაცემა! აროდეს დაცემულა ქვეყანა ესე დაბლა!

რომი გარდაიქმნა მეძავად და სამეძაოდ,

„რომის კეისარი პირუტყვად, თვით ღმერთი გახდა ურია!“

2.

მეფენი სტკბებოდნენ ზარატუსტრას ამ ლექსით; ხოლო მეფემ მარჯვნივ წარმოსთქვა: „ჰე, ზარატუსტრა, რა კარგი ვქენით, რომ შენ სანახავად წამოვედით!

შენმა მტრებმა დაგვანახეს შენი სახე თავის სარკეში: იქ ეშმაკის სახე გქონდა და გესლიანი სიცილი: ესე გვეშინოდა შენი.

ხოლო რა მერმე! კვლავ და კვლავ გვკბენდი ყურსა და გულში შენი

თქმებით. ბოლოს ვსთქვით: რა ჩვენი საქმეა, როგორ გამოიყურება!

უნდა მ ო უ ს მ ი ნ ო თ მას, რომელი ასწავის: ჯერ არს გიყვარდეთ ზავი, ვით საშუალება ახალი ომისა და ხანმოკლე ზავი, ვით ხანგრძლივი!“

არვის უთქვამს ესეთი საომარი სიტყვები: რა არის კარგი? მამაცობაა კარგი. კარგი ომია, რომელი ყოველ საგანს აკურთხებს“.

ჰე, ზარატუსტრა, ჩვენ მამათა სისხლი ატოკდა ამ სიტყვებით: ეს იყო ვით გაზაფხულის სიტყვა ძველ ღვინის ჭურჭლისადმი.

ოდეს ხმალი ხმალს ეკვეთებოდა, ვით ალისფერად დაფოთლილი გველები, ჩვენ მამათ სიცოცხლის ხალისი ჰქონდათ; ზავის ყოველი მზე ფერწასულად და ნელთბილად ეჩვენებოდათ, ხანგრძლივი ზავი სირცხვილსა ჰგვრიდა.

ვით ოხრავდნენ მამანი ჩვენნი, ოდეს კედლებზე გაპრიალებულ დაჩლუნგებულ ხმლებსა ჰხედავდნენ! ამათ მზგავსად სწყუროდათ მათ ომი. მახვილს სისხლი სწყურია და ნაპერწკალს ისვრის ვნებით“.
–
- და ოდეს მეფენი ესე მხურვალებით ლაპარაკობდნენ მამათა ბედნიერებასა და ლაყბობდნენ, ზარატუსტრას არა მცირედი სურვილი აღეძრა მათი მხურვალების სასაცილოდ აგდებისა: ნათლადა სჩანდა მის წინაშე ძლიერ მშვიდობიანი მეფენი იყვნენ, ძველი ნაკვეთი სახეებით. ხოლო მან ძლია თავს. „ესე!“ სთქვა მან, აგერ გზა ზარატუსტრას გამოქვაბულისა, დღევანდელ დღეს აქვნდეს გრძელი საღამო! აწ კი უბედურების ხმაურობა სწრაფად მიწოდებს.

ჩემი გამოქვაბულისათვის პატივისცემაა, უკეთუ მეფენი იქ დასხდებიან და მოიცდიან: ხოლო მართლად დიდ ხანს დაგჭირდებათ ლოდინი!

ესე! რა ვუყოთ! სადა სწავლობენ დღეს უკეთ ცდას, თუ არა სასახლეებში? და მეფეთა ის ღირსებაღა არ შერჩათ, რომელს დღეს უწოდებენ ლოდინის უ ნ ა რ ს?“

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

წურბელა

ზარატუსტრა ფიქრმორეული განაგრძობდა გზას და თავქვე

მიდიოდა ტყეებთა და ჭაობთა გვერდით; ხოლო ვით ყოველს, რომელი ძნელსა ჰფიქრობს, ემართება, მოულოდნელად ერთ ადამიანს ფეხი წამოჰკრა. და უეცრად თავს დაატყდა მწუხარების ხმა და ორი წყევა და ოცი გინება: ესე შეშინებულმა ჯოხი მოიღერა და ფეხწამოკრულს დასცხო. ხოლო მალე გონს მოვიდა; და გულში ჩაეცინა ჩადენილი სისულელისათვის.
შემინდე, უთხრა გათელილს, რომელიც განრისხებული წამოდგა და დაჯდა, შემინდე და უფროსად მოისმინე იგავი.

ვით მგზავრი, მიმართა ფეხწაკრულს, შორეულ საგანთათვის მეოცნებე, მოულოდნელად ყრუ ქუჩაში მზეზე მძინარე ძაღლს შეეფეთება:

- ვით ორივე ზე წამოვარდება, ერთმანეთს სისხლისმსმელი მტერისავით დაეტაკება, ეს ორი სასიკვდილოდ ელდა ნაცემი: ესე დაგვემართა ჩვენ.

- და მაინც! და მაინც! - ცოტაღა აკლდა, რათა ერთმანეთისათვის მოეალერსებინათ ამ ძაღლსა და ამ განდეგილსა! ორივე ხომ - მწირნი არიან!“

- ვინც უნდა იყო, სთქვა გათელილმა გაჯავრებულმა, კვლავ მეტად მიახლოვდები შენი იგავით და არა მხოლოდ ფეხებით!

„შემხედე, განა ძაღლი ვარ?“ - და მჯდომარე წამოდგა და თვისი შიშველი ხელი ჭაობიდან ამოიღო. ის ჯერ მიწაზე გაშხლართულიყო, ფარული და უცნობი, მზგავსად ჭაობის ნადირთა მაძიებელთა.

„რა დაგმართნია!“ შეჰყვირა შეშინებულმა ზარატუსტრამ, შეამჩნია რა შიშველ მკერდზე მდინარე სისხლი. - „რა დაგემართა? უმზგავსმა ცხოველმა გიკბინა, უბედურო?“

სისხლმდინარემ გაიცინა, კვლავ გაჯავრებულმა. „რად გეკითხება! წარმოსთქვა და ჰსურდა გზას გადგომოდა. აქ ჩემ სახლში ვარ და ჩემ სამფლობელოში, მკითხოს ვინც უნდა იყოს: ხოლო ყოველ ბრიყვს არ ვუპასუხებ“.

„სცდები, მიუგო ზარატუსტრამ თანაგრძნობით და შეაჩერა, სცდები: აქ შენ სახლში არ ხარ, არამედ ჩემ სამეფოში და ამისათვის აქ არ უნდა დაუშავდეს რა.

მიწოდე, რაც გსურდეს, - ვარ, ვინც უნდა ვიყო. ჩემ თავს ზარატუსტრას ვუწოდებ.

აგერ! იქ, ზემოთ გზა არის ზარატუსტრას გამოქვაბულისაკენ: შორი არ არის, - არა გსურს შენი ჭრილობა ჩემთან ირჩინო?

ამ ცხოვრებაში ბედი არ გქონია: ჯერ ცხოველმა დაგკბინა და შემდეგ - ადამიანმა გაგთელა!“ –

ხოლო გაიგონა რა გათელილმა ზარატუსტრას სახელი, შეიცვალა. „რა მემართება! შეჰყვირა, ვინ მაწუხებს ამ ქვეყნად, თუ არა ეს ერთი ადამიანი, ზარატუსტრა და ის ერთი ცხოველი, რომელი სისხლითა სცხოვრობს, წურბელა.

წურბელას გულისათვის ვიწექი აქ ამ ჭაობთან, ვით მეთევზე, ჩემ შიგ ჩაშვებულ ხელს უკვე ათჯერ უკბინეს და კვლავ უფრო მშვენიერი ცხოველი იწყებს ჩემი სისხლის წოვას, თვით ზარატუსტრა!

ჰე ნეტარება! ჰე სასწაულო! კურთხეულ იყოს დღე, რომელსაც ამ ჭაობს ჩავვარდი! კურთხეულ იყოს ცოცხალთა შორის უკეთესი კოტოში, კურთხეულ იყოს სინდისის დიდი წურბელა ზარატუსტრა!“ –
ესე იტყოდა გათელილი; და ზარატუსტრა ხარობდა მისი სიტყვებით და მათი თავაზიანი იერით. „ვინ ხარ შენ? ჰკითხა და ხელი გაუწოდა, ჩვენ შორის მრავალი რამ გამოსაძიებელია და გამოსარკვევი: ხოლო მგონია ნათელი დღე დგება“.

„მ ე ვ ა რ პ ა ტ ი ო ს ა ნ ი ს უ ლ ი თ, უპასუხა შეკითხულმა, და სულის საქმეში ძნელი საპოვარია მეტად სასტიკი, მტკიცე და მკაცრი, ვიდრე მე, გარდა ვისგან ეს ვისწავლე, ვით ზარატუსტრასი.

უმჯობესია არაფრის ცოდნა, ვიდრე მრავლის ნახევრად ცოდნა! უკეთესია რეგვენობა თავისი თავით, ვიდრე ბრძენობა უცხოთა აზრებით! მე - ფუძეს ვეძიებ:

- რაც უნდა იყოს ის - დიდი თუ მცირე, მას ზედა ეწოდება თუ ჭაობი. ხელისგულივით პატარა ფუძე ჩემთვის საკმარისია: უკეთუ ის მართლად ფუძე და ნიადაგია!

- ერთი ხელისგულივით პატარა ფუძე: მასზე დგომა შეიძლება, ცოდნის ჭეშმარიტი პატიოსნებისათვის არც დიდია, არც მცირედი“.

„იქნებ წურბელის მმეცნე ხარ? იკითხა ზარატუსტრამ, და იძიებ წურბელას უკანასკნელ ფუძემდე, შენ პატიოსანო სულით?“

„ჰე ზარატუსტრა, მიუგო გათელილმა, ეს საშინელება იქნებოდა, ვით

გავბედავდი ამას.

რის ოსტატი ვარ და მმეცნე - ეს წურბელას ტ ვ ი ნ ი ა: - ეს ჩ ე მ ი სამყაროა!

და ესეც სამყაროა! შემინდე, უკეთუ აქ ჩემი სიამაყე მეტყველებს, აქ მე ჩემი დარი არა მყავს. ამისათვის ვთქვი: „აქ ჩემ სახლში ვარ“.

რამდენი ხანია ერთ რასმე ვეძიებ, წურბელას ტვინს, რათა სლიპი ჭეშმარიტება არ გამისხლტეს! აქ ჩ ე მ ი სამეფოა!

- ამისათვის ყველაფერი დავსტოვე, ამისათვის გულგრილი ვარ დანარჩენისათვის; და ჩემი ცოდნის გვერდით დაბანაკებულია ჩემი შავი უვიცობა.

ჩემი სულის პატიოსნებას ესა სწადია, რათა ე რ თ ი ვიცოდე და დანარჩენი არ ვიცოდე: მძულს ყველა სულით გაორებული, ყველა ბუნდოვანი, მეოცნებე, აღტაცებული.

სად ჩემი პატიოსნება თავდება, იწყება ჩემი სიბრმავე და მსურს ბრმა ვიყო. ხოლო სად მე ცოდნა მსურს, მსურს პატიოსანი ვიყო, ძლიერი, მკაცრი, სასტიკი, შეუწყნარებელი.

ერთხელ იტყოდა ზარატუსტრა: „სული ცხოვრებაა, რომელი თვით ცხოვრებასა სჭრის“, ამან შემაცდინა მე და შენ მოძღვრებასთან მომიყვანა. და ჭეშმარიტად, სისხლით გავიმრავლე მე ჩემი ცოდნა!“

- „ვით ამას საბუთი ამტკიცებს“, ჩაურთო ზარატუსტრამ; რამეთუ პატიოსანს შიშველი მკლავიდან კვლავ სისხლი გადმოსდიოდა. ათიოდე ჭიაყელა მოჰკიდებოდა მას.

„ჰე, შენ უცნაურო მეგობარო, რაოდენს მასწავის ეს საბუთი, ესე არს შენი თავი! და იქნებ ყველაფერი არ უნდა ჩამესხა შენ სასტიკ ყურებში!

აბა! აქ გავშორდეთ! სიამოვნებით კვლავ შეგხვდებოდი! იქ, მაღლა გზა მიდის ჩემი გამოქვაბულისაკენ: დღეს ღამით ჩემი სასურველი სტუმარი იქნები!

სიამოვნებით განვკურნავ შენ სხეულსაც, ზარატუსტრამ რომ ფეხით გასთელა: ამას ვიფიქრებ, ხოლო აწ უბედურებისა ხმაურობა მეძახის“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ჯადოქარი

1.

ხოლო ოდეს ზარატუსტრამ მოუხვია ერთ კლდესა, ძირს, ახლო სწორ გზაზე ერთი ადამიანი შეამჩნია, რომელიც კანკალებდა, ვით ავი სულით შეპყრობილი და ბოლოს მუცლით ძირს დაეცა. „შესდექ, სთქვა ზარატუსტრამ გულში, ეს უნდა იყოს უმაღლესი ადამიანი, მისი ტანჯული ხმა მესმოდა, - ვნახავ თუ რით შემიძლიან დავეხმარო“. მიირბინა რა ალაგს, სადაც ადამიანი მიწაზე იწვა, ჰპოვა ერთი აცახცახებული მოხუცი გაშტერებული თვალებით; ბევრს ეცადა ზარატუსტრა ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ. არც ეტყობოდა უბედურს, რომ ახლოს ვისმე გრძნობდა. შესაბრალისად აქეთ იქით იმზირებოდა, ვით ქვეყნის მეირ დატოვებული და მარტო. ბოლოს დიდი ცახცახისა, კლანჭვისა და კრუნჩხვისა, ესე მწარედ გოდებდა:

ვინ გამათბობს, ვისღა ვუყვარვარ?
მომეცით თბილი ხელები!
მომეცით აგზნებული გულის სათბობი!
ვარ ძირს განრთხობილი, შეშინებული,
ნახევარ მკვდარი, ჰე უცნაური ციებით
აკანკალებული, მახვილი ცივი ყინულის ისრების წინაშე
შენ მიერ დევნილი, აზრო!

დაუსახელებელო! შებურვილო! საშინელო!
შენ, მონადირე, ღრუბელს ამოფარებულო!
ელვა ნაკრავი შენ მიერ,
შენ დამცირებულო თვალო, ბნელეთით რომ მიმზერ - ესე ვწევარ.

ვიკაკვები, ვიხლიწები, წამებული
ყოველი მარადიული წამებით
დაკოდილი

შენ მიერ, შეუბრალებელო მონადირე,
შენ უცნაურო - ღმერთო!
დამცხე მეტად ღრმად!
კვლავ დამცხე
გამგმირე, დაამსხვრიე ეს გული!
რისთვის უნდა იყოს ეს წამება
ბლაგვი ისრებით?
რა მიცქერი კვლავ,

ადამიანის ტანჯვით არ მოღლილო,
ბოროტებით მხიარული ღმერთის ელვარე თვალებით?
არა გსურს მომკლა,
მხოლოდ მაწამო, მაწამო?
რისთვის - ჩემი წამება,
შენ ბოროტებით მხიარულო, უცნაურო ღმერთო? –
ხა-ხა! მეპარები
ამ შუაღამისას
რა გწადიან? სთქვი!
მაწუხებ, მავიწროვებ -
ხა! უკვე სულ ახლოს!
მომშორდი! მომშორდი!
გესმის ჩემი სუნთქვა,
შენ უსმენ ჩემ გულს,
შენ ეჭვიანო -
რისთვის ეჭვიანობ?
მომშორდი! მომშორდი! რისთვის გინდა კიბე?
გსურს შიგნით
გულში
ჩამოხვიდე, ჩემ საიდუმლო
ფიქრებში ჩამოხვიდე?
უსინდისო! უცნაურო ქურდო!
რა გსურს შენთვის მოიპარო?
რა გსურს შენთვის გაიგონო?

რა გსურს შენთვის გამომტყუო,
შენ მწამებელო!
შენ - ღმერთო ჯალათო!
თუ მზგავსად ძაღლისა,
უნდა შენ წინაშე ვფორთხავდე?
დამყოლი, მთვრალი, და გრძნობა დაკარგულმა
შენ სიყვარული შემოგთავაზო?

ამაოდ! დამკარ კვლავ,
შენ შეუბრალებელო ნესტარო! არა,
ძაღლი არა ვარ - შენი ნადავლი ვარ,
შეუბრალებელო მონადირევ!
შენი უამაყესი ტყვე,

შენ ყაჩაღო ღრუბლების უკან!
სთქვი ბოლოს,

რა გსურს, შენ ყაჩაღო ჩემგან?
შენ, ელვის უკან ჩასაფრებულო! უცნაურო! სთქვი
რა გ ს უ რ ს, უცნაურო ღმერთო?
რა? გამოსასყიდი ფული?
რა გამოსასყიდი ფული?
მომთხოვე ბევრი - ამას ჩემი სიამაყე მირჩევს!
და მოკლედა სთქვი - ამას ჩემი სიამაყე მირჩევს!

ხა, ხა!
მე - გინდივარ? მე?
მე - სულ?...

ხა! ხა!
და მაწამებ, რეგვენო, როგორიც შენა ხარ,
სწიწკნი ჩემ სიამაყეს?
მომეცი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი - ვინღა გამათბობს?
ვისღა უყვარხარ? მომეცი ცხელი ხელები,
მომეცი გულის სათბური ნაკვერჩხალი.

მომეცი, მე უმწირესს
ყინული, ჰე! შვიდჯერ ყინული
მტრებისაკენ, თვით
მტრებისაკენ სწრაფვას ასწავლის,
მომეცი, ჩამბარდი
შეუბრალებელო მტერო,
შ ე ნ - მე! –
გამშორდა!
თვით გაიქცა.
ჩემი უკანასკნელი ერთადერთი ამხანაგი,
ჩემი დიდი მტერი
ჩემი უცნაური,
ჩემი ჯალათი ღმერთი! –
არა, დაბრუნდა,
ყველა შენი წამებით!
უკანასკნელად ყოველ მწირთა შორის

ჰე, დაბრუნდი!
ყველა ჩემი ცრემლების ნაკადები რბიან
შენსკენ სირბილით!
და ჩემი გულის უკანასკნელი ალი -
შენთვის აღიგზნო!
ჰე დაბრუნდი,
ჩემო უცნაურო ღმერთო! ჩემო ტკივილო! ჩემო უკანასკნელო
ბედნიერება!

2.

ხოლო აქ ზარატუსტრამ ვეღარ მოითმინა, აიღო თავისი ჯოხი და მთელი ძალით დასცხო მგოდებელს. „შეჩერდი! დაუყვირა ბრაზიანი სიცილით, შეჩერდი, კომედიანტო! შენ ყალბი ფულის მჭრელო! შენ დასაბამით მატყუარა! გიცანი!

გაგითბობ ფეხებს, შენ უკეთურო ჯადოქარო, კარგად ვიცი ხელობა შენი მზგავსების შეხურებისა!“

- „იკმარე, სთქვა მოხუცმა და წამოხტა, ნუღარა მცემ, ჰე ზარატუსტრა! ყველაფერი ეს კომედია იყო!

ეს ჩემი ხელოვნებაა; შენ თვით მსურდი გამომეცადე ამ ნიმუშის ჩვენებით! და ჭეშმარიტად კარგად გამოიცანი!

ხოლო შენც - პატარა ნიმუში არ მიჩვენე: სასტიკი ხარ, ბრძენო ზარატუსტრა! სასტიკად იცემები შენი „ჭეშმარიტებით“, შენი კეტი მაიძულებს ამ ჭეშმარიტების აღსარებას!“

- „ნუ მლიქვობ, მიუგო ზარატუსტრამ, კვლავ აღელვებულმა და დაღვრემილმა, შენ დასაბამით კომედიანტო! შენ ცრუ ხარ: რად ახსენებ - ჭეშმარიტებას!

შენ ფარშავანგო ფარშავანგთა, შენ ზღვაო ამაოებისა: რა როლსა თამაშობდი ჩემ წინაშე, შენ ბოროტო ჯადოქარო, ვ ი ს თ ვ ი ს უნდა დამეჯერებინა ამ როლში რომ ჰგიებდი?“

„სულით მონანიეს, სთქვა მოხუცმა, მას წარმოვადგენდი: ოდესღაც შენ თვით აღმოაჩინე ეს სიტყვა -

- მგოსანსა და ჯადოქარს, რომელი თავის წინააღმდეგ მიმართავს თავის სულსა, ფერისცვალებულს, რომელი თავისი ბოროტი ცოდნითა და სინიდისით იყინება.

აღიარე მხოლოდ: დიდი ხანი დაგჭირდა, ჰე ზარატუსტრა, ვიდრე ჩემ ხელობისა და სიცრუეს აღმოაჩენდი! გჯეროდა ჩემი მწუხარება, ორივე ხელით რომ თავს მიწევდი, -

- მესმოდა გოდება „ის ძლიერ ნაკლებად უყვარდათ, ძლიერ ნაკლებად უყვარდათ!“ რომ ესე მოგატყუე, იხარებდა ჩემ შიგნით ბოროტება ჩემი“.

„უფრო თვალთმაქცთ მოატყუებდი, ვიდრე მე, სთქვა ზარატუსტრამ მკაცრად, მატყუარებს არ ვერიდები, ჰ ხ ა მ ს ჩემდა გაუფრთხილებლობა: ესე ჰსურს ჩემს ბედსა.

ხოლო შენთვის ჯ ე რ ა რ ს ტყუილი: ესე გიცნობ! მარად ორჯერ,

სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ უნდა იყო! რაც შენ აღიარე, არც საკმაოდ მართალი ჩემთვის და არც საკმაოდ ტყუილი!

შენ ბოროტი ყალბი ფულის მჭრელო, ვით ჰქმნიდე სხვას! შენ სნეულებასაც კი განგოზავდი, შენ ექიმს რომ შიშველი ეჩვენო.

შენ ტყუილსაც კი განგოზავ ჩემ წინაშე ოდეს იტყვი: „ეს მხოლოდ კ ო მ ე დ ი ა იყო!“ აქ ს ი მ ა რ თ ლ ე ც იყო, შენ ცოტაოდენად სულით მონანიეცა ხარ!

გცნობილობ: შეიქმენი ჯადოქარი ყველასათვის, ხოლო შენთვის აღარ დაგრჩენია ტყუილი და გაიძვერობა, - შენ შენთვის ჯადო ხსნილი ხარ!

შენ მოიმკი ზიზღს, ვით შენ ერთადერთ ჭეშმარიტებას. მართალი სიტყვა აღარა გაქვს, ხოლო პირი შენი მართალია: მართალია, ზიზღი შენ პირს მიკრული“.

ვინ ხარ?! შესძახა მოხუცმა ჯადოქარმა ამაყი ხმით, ვინ ბედავს ჩემთან ესეთ ლაპარაკს, უდიდესთან დღეს ცოცხალთა შორის?“ და მწვანე ელვა ეკვეთა მის თვალთაგან ზარატუსტრას. ხოლო მყისვე შეიცვალა ის და სევდიანად წარმოსთქვა:

„ჰე ზარატუსტრა, დავიღალე, შემზიზღდა ჩემი ხელობა, არა ვარ დიდი, რისთვის მომაქვს თავი! ხოლო იცი - დიდს ვეძიებდი.

დიდი ადამიანი მსურდა წარმომედგინა და ბევრი დავაჯერე: ხოლო ეს ტყუილი ჩემ ძალას აღემატება, მან დამამსხვრია.

ჰე ზარატუსტრა, ჩემ შორის ყოველი ტყუილია; ხოლო რომ ვიმსხვრევი - ესე ჩემი მსხვრევა უ ტ ყ უ ა რ ი ა!“

„ეს პატივსაცემია, სთქვა ზარატუსტრამ მოღუშულად და გვერდზე მიხედვით, პატივსაცემია, რომ დიდს ეძიებდი, ხოლო იგივე გამხელს, შენ დიდი არა ხარ.

შენ უკეთურო მოხუცო ჯადოქარო, ე ს ე ა შენი უკეთესი და უმართლესი, რასაც მე შენ შორის პატივსა ვცემ, რომ შენი თავით

მოიღალე და ესე სთქვი: „მე დიდი არა ვარ!“

ა მ ი ს ა თ ვ ი ს პატივსა გცემ, ვით სულით მონანიეს და თუნდაც ერთი წუთით, ამ ერთ წუთს შენ მართალი იყავი.

ხოლო მითხარი, რას ეძიებ ჩემ ტყეთა და კლდეთა შორის? და ოდეს შენ ჩემთვის იწექი გზაზე, რის ნიმუში გსურდა ჩემგან? –

- რას განმცდიდი?“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა და მისი თვალები ნაპერწკალსა ჰყრიდა. მოხუცი ჯადოქარი ცოტა ხანს სდუმდა, შემდეგ სთქვა: „შენ გაგნცდიდი? მე მხოლოდ ვეძიებ.

ჰე, ზარატუსტრა, ვეძიებ უტყუარს, მართალს, უბრალოს, უთვალთმაქცოს, სიბრძნის ჭურჭელს, მმეცნების წმიდანს, დიდ ადამიანს!

არ იცი ზარატუსტრა? მე ვ ე ძ ე ბ ზ ა რ ა ტ უ ს ტ რ ა ს“.

- და აქ ორივე დიდ ხანს სდუმდა; ხოლო ზარატუსტრა ფიქრს მიეცა და თვალები დახუჭა. შემდეგ დაუბრუნდა თავის თანამესაუბრეს, ჯადოქრის ხელს ხელი წაავლო და მიმართა დიდი თავაზიანობით და ეშმაკობით:

„კარგი! იქ ზევით გზა არის, იქ არის ზარატუსტრას გამოქვაბული. იქ შეგიძლიან ეძიო, ვისი პოვნაც გსურდა.

და ჩემ ცხოვრებასა ჰკითხე რჩევა, ჩემ არწივსა და ჩემ გველს: დაგეხმარებიან ძებნაში. ხოლო ჩემი გამოქვაბული დიდია.

მე თვით, - მართალია, - მე დიდი ადამიანი არ მინახავს. რაც დიდია, მათთვის თვით უმახვილესთა თვალიც უხეშია. აწ ბრბოს სამეფოა.

ესე ბევრი მინახავს, რომ იჭიმებოდნენ და იბერებოდნენ და ხალხი ჰყვიროდა: „აგერ, დიდი ადამიანი!“ ხოლო რას გიშველის ყველა საბერველები! ბოლოს ჰაერით დაიცლებიან.

ბოლოს გასკდება ბაყაყი, ესე დიდხანს რომ იბერებოდა: ჰაერით

დაიცლება. გაბერილს მუცელში უჩხვლიტო, მოსწრებული ხუმრობაა. გესმოდეთ, ბავშვებო!

დღევანდელი დღე ბრბოისაა; ვ ი ნ ი ც ი ს იქ რა არის დიდი, რა არის პატარა! ვის უძებნია იქ წარმატებით სიდიდე! მხოლოდ რეგვენს: რეგვენებსა აქვთ ბედი.

ეძიებ დიდ ადამიანს, შენ უცნაურო რეგვენო? ვინ გ ა ს წ ა ვ ა შენ ეს? ამის დროა დღეს? ჰე ბოროტო მაძიებელო - რასა მცდი?“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა ნუგეშცემული და გაუდგა გზას სიცილით.

უსამსახურო

არ გასულა დიდი დრო მას შემდეგ, რაც ზარატუსტრამ ჯადოქარი მოიშორა, კვლავ ნახა ვინმე მის გზად მჯდომარე, ერთი მაღალი კაცი, გამხდარი, ფერწასული სახით: მან ზიზღი მოჰგვარა; ვაგლახ; სთქვა მან გულში, აგერ ზის ნიღბიანი მწუხარება, მგონი მღვდელთა მოდგმისაა: რა ჰსუთ მათ ჩემ სამეფოში?

როგორ! ძლივს თავი დავაღწიე იმ ჯადოქარს და კვლავ მეორე ჯადოქარმა უნდა გადამიჭრას გზა, -

- ვიღაც კუდიანების უსტაბაშმა, ბნელმა სასწაულმქმედმა ღვთის წყალობით, მირონცხებული ქვეყნის ცილისმწამებელი, რომელი ეშმაკსაც წაუღია!

ხოლო ეშმაკი აროდეს არის იქ, სადაც საჭიროა: მარად იგვიანებს, ეს წყეული ჯუჯა და ფეხმოგრეხილი!“ –

ესე იწყევლებოდა ზარატუსტრა მოუთმენლად თავის გულში და ფიქრობდა თუ პირმობრუნებულს როგორ აექცია გზა ამ შავი ადამიანისათვის: მაგრამ სხვა მოხდა. ამ წუთს მჯდომარემ შენიშნა; და მზგავსად ვიეთისა, რომელი მოულოდნელ ბედნიერებას წააწყდა, წამოხტა და მიაშურა ზარატუსტრას.

„ვინც უნდა იყო, შენ მგზავრო, სთქვა მან, დაეხმარე გზადაბნეულს, მაძიებელს, მოხუცს, რომელს აქ ხიფათი ელის!

ეს ქვეყანა ჩემთვის უცხო და შორია და ნადირთა ყმუილიც შემომესმა; ის კი, რომელიც მე დამიფარავდა, აღარა ჰგიებს.

ვეძიებდი უკანასკნელ სათნო ადამიანს წმიდანსა და განდეგილსა, რომელს თვით ტყეში ჯერ არა სმენია რა, რაც მთელმა ქვეყანამ იცის“.

„რა იცის დღეს მთელმა ქვეყანამ? ჰკითხა ზარატუსტრამ, იქნებ ის, რომ მოხუცი ღმერთი აღარ სცოცხლობს, რომელიც ოდესღაც მთელ ქვეყნიერებასა სწამდა?“

„შენა სთქვი ესე, უპასუხა მოხუცმა დამწუხრებულმა, მე ვმსახურებდი იმ მოხუც ღმერთს უკანასკნელ ჟამამდე.

აწ უსამსახურო ვარ, უბატონო, და არც თავისუფალი, არც ერთ ჟამს მხიარული, თუ არა მოგონებით.

ამისათვის მოვედ ამ მთას, რათა კვლავ დღესასწაული გადავიხადო, ვით მოხუც პაპსა შვენის და ეკლესიის მამასა! - დღესასწაული სათნო მოგონებათა და ღვთის სამსახურისა.

აწ ის თვით მკვდარია, უსათნოესი ადამიანი, ის წმიდანი ტყეში, რომელი თავის ღმერთს მარად გალობითა და ჩურჩულით ადიდებდა.

ის თვით ვეღარა ვპოვე, როდესაც ვპოვე მისი ქოხი, - მხოლოდ ორი მგელი, მის სიკვდილისათვის რომ ყმუოდნენ - ყოველ ცხოველს უყვარდა ის. იქიდან გამოვიქეცი.

ამად მოვედ ამ ტყეს და მთებში? გულმა გადასწყვიტა სხვა მოვძებნო უსათნოესი მათ შორის, რომელთ ღმერთი არა სწამთ, - ვეძიო ზარატუსტრა!“

ესე იტყოდა მოხუცი და მახვილი თვალით უმზერდა მის წინაშე მდგომს; ხოლო ზარატუსტრამ აიღო მოხუცი პაპის ხელი და დიდ ხანს გაკვირვებით უმზერდა.

„უყურე, სთქვა შემდეგ, როგორი ლამაზი და გრძელი ხელია. ეს ხელი მარად კურთხევის ბოძებას შეჩვეული ხელია. ხოლო აწ მას ის უჭირავს, რომელს ეძიებ, ზარატუსტრა.

მე ვარ უღმერთო ზარატუსტრა, რომელი იტყვის: ვინ იყოს უფრო უღმერთო, ვიდრე მე, რათა ვიხარებდე მისი მოძღვრებით?“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა და სჭვრეტდა თვის შეხედვით ფიქრებს და უკანა ფიქრებს მოხუცი პაპისა. ბოლოს სთქვა უკანასკნელმა:

„რომელს ის უფროსად უყვარდა და ფლობდა, მან უფროსად მეტი

დაჰკარგა:

- აგერ ორ ჩვენ შორის აწ მე უფრო უღმერთო არ ვარ? ხოლო ვის უხაროდეს ეს!“ –

- „მას უკანასკნელ ჟამამდე ემსახურე, სთქვა ზარატუსტრამ ჩაფიქრებულმა, შემდეგ ღრმა სიჩუმისა, იცი რ ო გ ო რ გარდაიცვალა? მართალია, რასაც ამბობენ, რომ ის სიბრალულმა დააღჩო.

- რომ მან ნახა ა დ ა მ ი ა ნ ი ჯვარცმული და ესე ვერ აიტანა, რომ ადამიანთა სიყვარული მისი ჯოჯოხეთი და ბოლოს მისი სიკვდილი იყო?“ –

პაპმა პასუხი არ გასცა, არამედ გაბრაზებული, სევდიანი და მწუხარე სახით გვერდზე იყურებოდა.

„თავი დაანებე, სთქვა ზარატუსტრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ და კვლავ მოხუცს თვალებში უმზერდა.

თავი დაანებე, ის აღარ არის. და მართალია ეს შენი პატივია, რომ გარდაცვალებულისათვის მხოლოდ კარგს ამბობ, შენ კარგად იცი, როგორც მე, ვ ი ნ იყოს ის: და რომ ის უცნაური გზით ვლიდა“.

„სამ თვალთა შორის რომ ითქვას, სთქვა გამოცოცხლებულმა პაპმა (ის ერთი თვალით ბრმა იყო), ღვთის საქმეებში მე მეტი ვიცი, ვიდრე თვით ზარატუსტრამ - და უნდა ვიყო კიდეც ასეთი.

ჩემი სიყვარული მას დიდხანს მსახურებდა, ჩემი სურვილი მის სურვილებს მისდევდა. კარგმა მსახურმა ყველაფერი იცის და ზოგიერთი რამ, რომელსაც ბატონი თავის თავსაც უმალავს;

ის ფარული ღმერთი იყო, საიდუმლოებით აღვსილი ჭეშმარიტად, ვაჟთანაც კი უცნაური გზით მიდიოდა. მისი რწმენის დირესთან მრუშობა სდგას.

რომელი მას, ვით სიყვარულის ღმერთს ადიდებს, ის სიყვარულისათვის საკმაოდ მაღლა არ ჰფიქრობს. ამ ღმერთს მსაჯულობაც არ ჰსურდა? ხოლო ვისაც უყვარს, უყვარს გარეშე ჯილდოსი და სასჯელისა.

ოდეს ის ახალგაზრდა იყო, ეს ღმერთი აღმოსავლეთიდან, სასტიკი იყო და შურისმაძიებელი და აღაგო ჯოჯოხეთი თავის საყვარელთა გასართობად.

ბოლოს მოხუცდა, შერბილდა, განაზდა და სიბრალულით აღივსო, მზგავსი პაპისა ვიდრე მამისა, ხოლო უფრო მზგავსი მოცახცახე დიდედისა.

დანაოჭებული სახით იჯდა ცეცხლის პირას, თავის დაუძლურებულ ფეხებს ითბობდა, ქვეყნით მობეზრებული, ნება მოდუნებული და დაირჩო ერთ დღეს თავისი მეტად დიდი სიბრალულით“ –

„შენ მოხუცო პაპო, სთქვა ზარატუსტრამ, ეს ყველა შენი თვალით ნახე? შესაძლებელია ეს მოხდა: ესე და სხვაფრივაც. ოდეს ღმერთები იხოცებიან, მრავალგვარი სიკვდილით იხოცებიან.

მაშ ესე! ესე თუ ისე - ის აღარ არის! ის ჩემ ყურებსა და თვალთ არ ეამებოდა, უარესად არ მოვიხსენებ.

მიყვარს ყოველი, რაც ნათლად გამოიყურება და გულწრფელად ლაპარაკობს. ხოლო ის - შენ იცი მოხუცო მღვდელო, ის რაღაც შენი მზგავსი იყო, მღვდელთა მოდგმისა - ის ორჭოფი იყო.

ის ბუნდოვანიც იყო, რისთვის გვრისხავდა ის ბრაზიანი, რომ ცუდად გესმოდა მისი! რისთვის არა ლაპარაკობდა უფრო გარკვეულად?

და თუ ეს ჩვენი ყურების ბრალი იყო, რისთვის მოგვცა ყურები, რომელთ მისი ცუდად ეყურებოდათ? თუ ჩვენ ყურებში [შლამი] იყო, ვიღამ ჩასდო ეს შიგ?

ბევრი რამ არ ეხერხებოდა ამ მეჭურჭლეს, რომელიც ოსტატი ვერ შეიქმნა! ხოლო მისი შურისძიება თვის

ქოთნების და ქმნილებათა წინააღმდეგ იმისათვის, რომ კარგად ვერ გააკეთა, - ცოდვა იყო კ ა რ გ ი გ ე მ ო ვ ნ ე ბ ი ს წინააღმდეგ.

თვით სათნოებაშიც არის კარგი გემოვნება: მ ა ნ სთქვა ბოლოს: შორს ა მ გ ვ ა რ ი ღმერთი! უკეთესია უღმერთობა, უკეთესია ბედი საკუთარი მუშტით გამოსჭედო, უკეთესია რეგვენობა, უკეთესია თვით ღმერთობა!“

„ - რა მესმის! სთქვა პაპმა ყურების დაცქვეტით; ჰე ზარატუსტრა, შენ უფრო სათნოიანი ხარ, ვიდრე ამასა ჰფიქრობ, მზგავსი ურწმუნოებით. რომელიღაც ღმერთმა შენ შორის მოგივლინა შენი უღმერთოება.

შენი სათნოება არ არის, რომელი შენ ღმერთს აღარ გაწამებინებს? და შენი უდიდესი პატიოსნება სიკეთისა და ბოროტების გაღმით

გაგიყვანს!

რაღა გაკლია! გაქვს თვალი და ხელი და პირი, დასაბამით კურთხევისთვის განჩინებული. არა მხოლოდ ხელით აკურთხებენ.

შენ გვერდით, მართალია გსურს უღმერთო იყო, ვგრძნობ იდუმალ სურნელებას გრძელ კურთხევათა: აქ კარგადა ვარ და მწუხარეც.

ნება მიბოძე შენი სტუმარი ვიყო, ჰე ზარატუსტრა, მხოლოდ ერთი ღამით! არსად დედამიწაზე უკეთ არ ვიგრძნობ თავსა, ვიდრე შენთან!“ –

„ამინ! ესე იყოს! სთქვა ზარატუსტრამ დიდი განცვიფრებით, იქ ზემოთ გზა მიდის, იქ ზარატუსტრას გამოქვაბულია.

სიამოვნებით თვით გაგაცილებდი იქ, შენ პატივსაცემო, რამეთუ მიყვარს სათნოიანი ხალხი. ხოლო აწ მწუხარების ხმა მიწოდებს.

ჩემ სამფლობელოში არავის უნდა ევნოს რა; ჩემი ბუნაგი კარგი ნავთსაყუდელია. და დიდად მესიამოვნება, ყოველი მწუხარე მტკიცე ნიადაგს და მტკიცე ფეხზე დავაყენო.

ხოლო ვინ იკისროს შ ე ნ ი სევდა? ამისათვის მე ფრიად უძლური ვარ. დიდ ხანს, ჭეშმარიტად, უნდა ველოდებოდეთ, ვიდრე ვინმე გააღვიძებს შენ ღმერთსა.

ეს მოხუცი ღმერთი აღარა ჰგიებს: ის საბოლოოდ მოკვდა“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

უმზგავსესი ადამიანი

და კვლავ რბოდნენ ზარატუსტრას ფეხნი მთათა და ტყეთრა შორის და მისი თავნი ეძიებდნენ, და არსად ჩანდა ის, რომელიც მათ ძლიერ ჰსურდათ, დიდი გაჭირვებით შეპყრობილი და ჭირვებით მყვირალი. გზად გულით ხარობდა და მადლიერი იყო: „რა კარგი რამ მაჩუქა დღევანდელმა დღემ, ამბობდა, ჯილდოდ, რომ ის ცუდად დაიწყო! რა უცნაური მესაუბრენი ვპოვე!

მათი სიტყვები დიდხანს უნდა ვიცოხნო, ვით კარგი მარცვლები; ჩემ კბილთ უნდა ფქვან და გადაფქვან, ვიდრე რძესავით სულში არ ჩამეწვეთებიან!“ –

ხოლო ოდეს გზამ ერთ კლდესთან მოუხვია, უეცრად სანახაობა შეიცვალა და ზარატუსტრა შევიდა სიკვდილის სამეფოში. აქ აზიდულიყო შავი და წითელი კლდეები: არსად ხალხი, არსად ხე, არსად ფრინველთა ხმიანობა. ეს იყო ხეობა, რომელს ყოველი ცხოველი გაურბის, თვით მტაცებელი მხეცები; ხოლო ერთი მოდგმა საზიზღარი, მსხვილი, მწვანე გველებისა, ოდეს ბერდებიან, აქ მოდიან სასიკვდილოდ. ამისათვის უწოდეს მწყემსთ ამ ხეობას „გველთა სიკვდილი“.

ხოლო ზარატუსტრამ თავი მისცა შავ მოგონებას, ეჩვენებოდა თითქოს ერთხელ ამ ხეობაში ყოფილიყოს. მრავლად დამძიმდა მისი სული: ნელა და უფრო ნელა მიდიოდა ის და ბოლოს შეჩერდა. ხოლო აქ, გაახილა რა თვალები, ნახა რაღაც გზად მჯდომარე, ადამიანის მზგავსი და არც თითქოს ადამიანი, რაღაც უთქმელი. და უეცრად ზარატუსტრა დიდმა სირცხვილმა შეიპყრო, რომ თვის თვალით ესეთი რამ ნახა: გაწითლებულმა თავის ჭაღარა თმების ძირებამდე, პირი იბრუნა და უკვე ფეხი გადასდგა ამ უბედური ადგილიდან გასაქცევად. ხოლო აქ მკვდარი უდაბნო ახმიანდა: მიწიდან გაისმა სისინი, ხრიალი, ხავილი, ვით წყლისა, ღამით რომ დახშულ მილებში სისინებს და ხრიალებს; და ბოლოს იქმნა ადამიანის ხმად და ადამიანის სიტყვად: - იგი ამას იტყოდა:

„ზარატუსტრა! ზარატუსტრა! გამოიცან ჩემი გამოცანა! სთქვი, სთქვი! რ ა ა რ ი ს მ ო წ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა?

უკან დაიხი, აქ ლიპი ყინულია! გაფრთხილდი, გაფრთხილდი, რათა შენმა სიამაყემ აქ ფეხი არ მოიტეხოს!

თავი ბრძენად მოგაქვს, შენ ამაყო ზარატუსტრა! მაშ გამოიცანი გამოცანა, შენ მაგარი კაკლის მტეხველო, - გამოიცან მე რომ ვარ: ვინ ვარ მე!“

ხოლო ესმა რა ზარატუსტრას ეს სიტყვები, რასა ჰფიქრობთ, რა დაემართა მის სულს? ს ი ბ რ ა ლ უ ლ მ ა შ ე ი პ ყ რ ო ის. და უეცრად ძირს დაეცა, ვით მუხა, მრავალ ხისმჭრელთ რომ უძლებს, - მძიმედ, უეცრივ და დააფეთებს თვით მის მჭრელთ. ხოლო ფეხზე წამოდგა და მისი სახე სასტიკი იყო.

„გიცნობ, წარმოსთქვა სპილენძის ხმით: შ ე ნ ღ მ ე რ თ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი ხ ა რ! გამიშვი წავიდე.

ვერ ა გ ი ტ ა ნ ი ა, ვინც დაგინახა, - ვინც მარად გჭვრეტდა და

განგჭვრეტდა, შენ უმზგავსესო ადამიანო! შენ შურს იძიებ ამ მოწმისას!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა და წასვლას აპირებდა; ხოლო გამოუთქმელი მოეკიდა მისი სამოსის კალთას და კვლავ შეუდგა ღრუტუნსა და სიტყვების ძებნასა. „დარჩი!“, სთქვა მან ბოლოს -

- დარჩი! გზას ნუ ამიქცევ! გავიგე რა ცულმაც დაგცა ძირს; დიდება შენდა, ზარატუსტრა, რომ კვლავ ფეხზე წამოდექი!

შენ ამოიცანი, კარგად ვიცი, რა ყოფაშია ის, ვინც მოჰკლა - ღმერთის მკვლელი. დარჩი! მომიჯექ, ეს ამაო არ იქნება.

ვის მივმართო თუ არა შენ? დარჩი, დაჯექი! ხოლო ნუ შემხედავ! პატივი ეც ამითი ჩემ უმზგავსოებას!

მდევნიან! შენ ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი ხარ, ა რ ა თვისი მძულვარებით, ა რ ა თვისი მდევრებითა: ჰე, ამგვარი დევნა სასაცილო იქნებოდა, ამით ვიამაყებდი და ვიხარებდი!
განა დღემდე გამარჯვება კარგად დევნილთა მხარეს არ იყო? და ვინც კარგადა სდევნის, ადვილად სწავლობს გ ა ყ ო ლ ა ს: - ის ხომ უკვე არის უკნიდან! ხოლო ეს მათი ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი ა -

ეს მათი სიბრალულია, მე რომ გავურბი და შენით ვისწრაფი. ჰე, ზარატუსტრა, მფარვიდე, ჩემო უკანასკნელო თავშესაფარო, შენ ერთადერთო ჩემო გამომცნობო:

- გამოიცანი რა ყოფაშია მ ი ს ი მკვლელი, დარჩი! და თუ წასვლა გსურს, შენ მოუთმენელო: ნუ წახვალ იმ გზით, რომლით მე მოველ. ის გზა ცუდია.

მიჯავრდები მეტად ბევრს რომ ვლაპარაკობ დამტვრეულად? რომ უკვე რჩევას გაძლევ? ხოლო იცოდე მე ვარ უმზგავსესი ადამიანი - რომელს უდიდესი, უმძიმესი ფეხებიც აქვს. სადაც გავიარე, გზა გაფუჭდა. ყველა გზას სიკვდილადა ვქმნი და სირცხვილად.

ხოლო ჩუმად რომ გამიარე, რომ გაწითლდი, მე ეს დავინახე: ამით გიცანი, შენ ზარატუსტრა.

ყოველი სხვა მოწყალებას გადმომიგდებდა, თავის სიბრალულს, თვალითა და სიტყვით. ხოლო ამისათვის საკმაოდ მათხოვარი არა ვარ, ეს გამოიცანი შენ -

ამისათვის მეტად მდიდარი ვარ, მ დ ი დ ა რ ი დიდი საშინელებით,

საზიზღარით, გამოუთქმელით! შენმა სირცხვილმა პ ა ტ ი ვ ი მ ც ა მე!

ძლივს დავაღწიე თავი შემბრალებელთა ბრბოს, რათა მეპოვნა ერთადერთი, რომელი დღეს ასწავის „სიბრალული მოსაბეზრებელია“ - შენ, ჰე ზარატუსტრა!

- ღვთისა იყოს თუ ადამიანის სიბრალული: ის სირცხვილის წინააღმდეგია. და სურვილი არ დახმარებისა იქნებ უფრო კეთილშობილია, ვიდრე არამკითხე სათნოება.

ხოლო ამას სათნოება ეწოდება ყოველ პატარა ადამიანთა შორის სიბრალულს: - მათ პატივისცემა არა აქვთ დიდი უბედურებისა, დიდი უმზგავსოებისა, დიდი მარცხისა!.

ყველა ამათ გადავცქერი, ვით ძაღლი გადასცქერის ფარაში არეულ ცხვართა ზურგს. ესენი პატარა, კარგ მატყლიანი, კეთილისმსურველი, რუხი ხალხია.

ვით ბაყაყის ყლაპია მძულვარებით გადასცქერის სწორ ჭაობებს უკან თავ გადაგდებული; ესე დავცქერი მე პატარა რუხ ტალღათა ქოთქოთს, პატარა სურვილთა და პატარა სულთა.

დიდი ხანია ამათ, ამ პატარა ხალხს უფლება მისცეს - აწ ასწავიან: „კარგი მხოლოდ ის არის, რასაც პატარა ადამიანები კარგს უწოდებენ“.

და „ჭეშმარიტება დღეს ეწოდება იმას, რასაც მქადაგებელი იტყვის, რომელიც თვით მათგან გამოვიდა, ეს უცნაური წმიდანი და პატარა ადამიანთა მეოხე, რომელი თავის თავისათვის ჰმოწმობდა: „მე ვარ ჭეშმარიტება“.

უპასუხებდნენ ოდესმე მოურიდებელს უფრო თავაზიანად? - ხოლო შენ ზარატუსტრა წინ გაუარე და სთქვი: „არა! არა! სამჯერ არა!“

შენ აფრთხილებდი მისი ცდომილებიდან, შენ პირველმა გააფრთხილე სიბრალულიდან - არა ყველა, არა ყოველი, არამედ შენ თავსა და შენი მოდგმისასა.

შენ გრცხვენის დიდ ტანჯულთა სირცხვილისა; და ჭეშმარიტად, ოდეს იტყვი „სიბრალულით მოდის მძიმე ღრუბელი, გაფრთხილდით ადამიანებო!“

- ოდეს მოძღვრობა: „ყოველნი მმქმედნი სასტიკნი არიან, ყოველი დიდი სიყვარული მათ სიბრალულზე მაღლაა“, მგონია კარგად უნდა

გესწავლოს დროთა სასწაული!

შენ თვით - შენი თავი გააფრთხილე შ ე ნ ი სიბრალულისაგან! მრავალი ადგია გზას შენსკენ, მრავალი ტანჯული, გაორებული, სასოწარკვეთილნი, რომელნიც ირჩობიან, იყინებიან. –

გაფრთხილებ, მეც გამიფრთხილდი. შენ ამოიცანი ჩემი უკეთესი, უსაშინლესი გამოცანა, მე თვით და ჩემ მიერ ჩადენილი. ვიცნობ ცუდს, შენ რომ დაგცემს.

ხოლო ის უნდა მომკვდარიყო: ის იხედებოდა თვალებით, რომელნი ყოველს ხედვიდნენ, - ის ხედავდა ადამიანთა სიღრმეთ და უფსკრულთ, ყოველ მათ ფარულ სირცხვილს და უმზგავსობას.

მისმა სიბრალულმა სირცხვილი არ იცოდა: ის ჩემ უბილწეს კუთხეებში მოძღვრობდა. ეს ზე ცნობის მოყვარე, ზე აბეზარი; ზე შემწყნარებელი უნდა მომკვდარიყო.

ის მარად მ ე მხედავდა: ამ მოწმის წინააღმდეგ უნდა შური მეძია - ან თვით ცოცხალი აღარა ვყოფილიყავი.

ღმერთი, რომელი ყოველს ხედვიდა, ადამიანსაც: ეს ღმერთი უნდა მომკვდარიყო! ადამიანი ვერ აიტანს ამგვარი მოწმის სიცოცხლეს“.

ესე იტყოდა უმზგავსესი ადამიანი, ხოლო ზარატუსტრა წამოდგა და წასვლა დააპირა; გულ-მუცლამდე გაცივდა.

„შენ გამოუთქმელო, სთქვა მან, მაფრთხილებ შენი გზით. მადლობად გიქებ ჩემ გზასა. აგერ მაღლა ზარატუსტრას ხვრელია.

ჩემი ხვრელი დიდია და ღრმა და მრავალი კუნჭული აქვს: იქ უფროსად ფარული თავის სამალავს ნახავს.

და სულ ახლოს მასთან ათასი ნაპრალია და განახეთქი მცოცავი, მფრინავ, მხტუნავ ცხოველთათვის.

შენ განკვეთილო, შენ თავს რომ თვით განკვეთავ, აღარა გსურს ადამიანთა და ადამიანთა სიბრალულის შორის ცხოვრება? ესე, ჰქმენ, ვით მე! შენც ჩემგან ისწავლი; მხოლოდ მმქმედი ისწავლის.

და ებაასე, პირველად, ჩემ ცხოველთ! უამაყესი ცხოველი და უგონიერესი ცხოველი - ჩვენი ორივეს უტყუარი მრჩეველნი იყვნენ!“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა და წავიდა თავისი გზით, ფიქრით

შეპყრობილი და უფრო ნელის ნაბიჯით, ვიდრე წინედ: იგი თავს მრავალს ეკითხებოდა და ადვილად ვერ უპასუხებდა თავსა.

„ვით ღატაკია ადამიანი! გულისთხრობდა, ვით უმზგავსია, ხრიალა, ვით სავსეა ფარული სირცხვილით!

ამბობენ ადამიანს თავი უყვარსო: ჰე ვით დიდი უნდა იყოს თავის სიყვარული! რაოდენი მძულვარება აქვს მას წინააღმდეგ!

ამასაც უყვარდა თავი, როგორც თავი სძულდა - დიდი სიყვარულის პატრონია ეს ჩემთვის და დიდი მძულვარე.

არავინ მიპოვნია ჯერ, რომელს მეტად სძულდეს თავი: ესე მწვერვალია. ვაგლახ, იქნებ ის იყოს მაღალი ადამიანი, რომლის ყვირილი შემომესმა?

მიყვარს დიდი მოძულენი. ხოლო ადამიანი რაა, რომელი უნდა ძლეულ იქნას“.

მოხალისე მათხოვარი

დასტოვა რა უმზგავსესი ადამიანი, ზარატუსტრას შესცივდა და თავი მწირად იგრძნო; მრავალმა ცივმა და მწირმა აზრმა გაუარა, და ამისათვის გაუცივდა მას სხეული. ის უფრო შორს შორს მიდიოდა, მთა და ველით, ხან მწვანე იალაღების და ხან ველურ, რიყიან ხრიოკებს გვერდით, სად ოდესღაც ასწრაფებული ნაკადულის კალაპოტი იყო და უეცრად კვლავ დასთბა და გამხნევდა.

„რა ამბავია ჩემ თავსა? გულისთხრობდა, რაღაც თბილი და ცოცხალი მამხნევებს, ეს ჩემ ახლოს უნდა იყოს.

უკვე ნაკლებად მარტო ვარ; უცნობი თანამგზავრნი და ძმები დახეტიალობენ ჩემ ირგვლივ, მათი თბილი სუნთქვა სულს აღელვებს“.

ხოლო ოდეს თვალი მიმოავლო და თვისი მარტოობის ნუგეშისმცემელთ ეძიებდა: მაღლობზე ძროხები დაინახა, რომელთა სიახლოვემ და სუნმა მას გული გაუთბო. ხოლო ეს ძროხები თითქოს ერთ მეტყველს უსმენდნენ და ახლად მოსულს ყურადღებას არ აპყრობდნენ.

ხოლო ოდეს ზარატუსტრა სულ ახლოს მივიდა, მოესმა გარკვევით

ძროხათა შორის ადამიანის ხმა მეტყველებდა; და სჩანდა ყველას მათ თავები მეტყველისაკენ მიებრუნებინათ.

მუნ ზარატუსტრა მკვირცხლად ავარდა და ცხოველები მიმოფანტა. ეშინოდა რათა აქ არავის მწუხარება არა სწვეოდა, რომელსაც ძროხების სიბრალული ძნელად დაეხმარებოდა. მაგრამ მოსტყუვდა; მიწაზე ადამიანი იჯდა და თითქოს ცხოველებს აჯერებდა, რათა მისი შიში არა ჰქონოდათ, - მშვიდობიანი ადამიანი და მთის მქადაგებელი, რომლის თვალთაგან თვით სიქველე ჰქადაგებდა. „რას ეძიებ აქ?“ შესძახა ზარატუსტრამ განცვიფრებით.

„რას ვეძიებ აქ? მიუგო მან, იგივეს რასაც შენ მშვიდობის დამრღვევო! ვეძიებ მიწის ბედნიერებას.

ეს მინდა ამ ძროხებისაგან ვისწავლო. იცი უკვე ნახევარი დილაა ველაპარაკები და უკვე უნდა პასუხი გაეცათ. რისთვის შეუშალე ხელი?

უკეთუ არა უკუვიქცევით და ვით ძროხები არ ვიქნებით, ვერ შევალთ სასუფეველსა. ერთი რამ უნდა ვისწავლოთ მათგან: ცოხნა.

და ჭეშმარიტად, ადამიანმა მთელი ქვეყნიერებაც რომ შეიძინოს და ერთი რამ არ ისწავლოს - ცოხნა: რას უშველის! ის თავის მწუხარებას თავს ვერ დააღწევს.

- თავის დიდ ურვას: რომელს დღეს ზ ი ზ ღ ი ეწოდება. ვის არ აქვნდეს დღეს გული, პირი და თვალები სავსე ზიზღით? შენც! შენც! ხოლო შეხედე ამ ძროხათ!“ –

ესე იტყოდა მთის მქადაგებელი და შემდეგ ზარატუსტრას მიაპყრო თვალები, - აქამდე ის სიყვარულით უმზერდა ძროხებს - აქ უეცრად შეიცვალა. „ვინ არის რომ ვერალაპარაკები, შეჰყვირა შეშინებულმა და ზეზე წამოხტა.

ეს ადამიანია, რომელს ზიზღი არა აქვს. ეს თვით ზარატუსტრაა, დიდი ზიზღის დამთრგუნველი, ეს თვით ზარატუსტრას თვალია, ეს პირია, ეს გულია“. და ამას იტყოდა რა, ამბორ ჰყო ხელნი მისნი, ვისაც ესიტყვებოდა, ცრემლით სავსე თვალებით და ისე იქცეოდა ვით ვინმე, რომელს მოულოდნელად ციდან საჩუქარი და საუნჯე ჩაუვარდა. ხოლო ძროხები ყველაფერს უცქეროდნენ და განცვიფრდებოდნენ.

„ნურას იტყვი ჩემთვის, შენ უცნაურო! საყვარელო! სთქვა

ზარატუსტრამ და თავს იცავდა მისი ალერსისაგან, შენი რამ მითხარი ჯერ! მოხალისე მათხოვარი არა ხარ, რომელმან ოდესღაც უარჰყო დიდი სიმდიდრე.

- თვისი სიმდიდრისა ეშინოდა და მდიდართა; და უღარიბესთაკენ ისწრაფოდა და მათ თვისი სიუხვე და თვისი გული უთავაზა? ხოლო მათ იგი არ მიიღეს“.

„ხოლო მათ არ მიიღეს, სთქვა მოხალისე მათხოვარმა, ეს შენც იცი. ესე წავედ ბოლოს ცხოველებთან და ამ ძროხებთან“.

„იქ ისწავლე, შეაწყვეტინა ზარატუსტრამ მეტყველს, თუ რა ძნელია კარგად გაცემა, ვიდრე აღება და რომ ბოძება ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა და უკანასკნელი, უბრძენესი ხელოვნება სიქველისა“.

„უფროსად ჩვენ დროს, უპასუხა მოხალისე მათხოვარმა: დღეს, როდესაც ყოველი მდაბალი ამბოხდა, უნდობლობას იჩენს და თავისებურად გაამაყდა: ვით ბრბოს შეჰფერის.

მოაწია ჟამმა, შენ იცი, დიდი დამღუპავი, ხანგრძლივი, ნელი ბრბოისა და მონათა ამბოხებისა: ის იზრდება და იზრდება! აწ მდაბალნი აღსდგებიან ყოველი სიკეთისა და მცირე მოწყალების წინააღმდეგ; გაფრთხილდნენ, ვინც უფროსად მდიდარია!

ვინც დღეს, მზგავსად დაბერილი სურებისა, სწვეთავს ფრიად ვიწრო ყელით: - ამგვარ სურებს დღეს სიამოვნებით მოსტეხენ ყელსა.

ლირწიანი გაუმაძღრობა, ნაღველის შური, შენელებული შურისძიება, ბრბოის სიამაყე: ყოველი ესე თვალში მეცა. აღარ არის ჭეშმარიტება, რომ ღატაკნი ნეტარნი არიან. ხოლო სუფევა ზეცისა ძროხათა შორის არის“.

„და რისთვის არ არის ის მდიდართა შორის?“ ჰკითხა ზარატუსტრამ მაცდურად, ჰრეკდა რა ძროხებს, მშვიდობის მქადაგებელს რომ მეგობრულად ჰსუნთქავდნენ.

„რისთვისა მცდი? უპასუხა მქადაგებელმა, უკეთ უწყი, ვიდრე მე, რა მიზიდავდა უღარიბესთაკენ, ჰე ზარატუსტრა? განა არა ზიზღი ჩვენი უმდიდრესებისადმი?

- სიმდიდრის პატიმართადმი, რომელნი ყოველი ნაგვისაგან სარგებელს შოულობენ, ცივი თვალებით, ლირწი ფიქრებით, ამ ნაძირლებისაგან სიმყრალე ადის ცისაკენ.

- ამ განგოზილ ყალბ ბრბოისადმი, რომელთა მამები ჯიბგირები იყვნენ, ყვავ-ყორანნი ან მენაგვეები, ქალების მუსუსნი, ლირწნი, გულმავიწყნი: ყველა ისინი არ განსხვავდებოდნენ მეძავთაგან. –

ბრბო ზემოთ, ბრბო ქვემოთ! რა არის დღეს „ღარიბნი“ და „მდიდარი“! ეს განსხვავება დამავიწყდა, - და გავიქეც იქიდან შორს, სულ შორს, ვიდრე ამ ძროხებს არ მოვაღწიე“.

ესე იტყოდა მშვიდობის მქადაგებელი და ქშინავდა და ოფლსა ჰღვრიდა თავის სიტყვებით, ისე, რომ ძროხები კვლავ განცვიფრდებოდნენ. ხოლო ზარატუსტრა მას სიცილით სახეში უყურებდა, ვიდრე ის ესე სასტიკად ლაპარაკობდა და გაჩუმებული თავს აქნევდა.

„შენ შენ თავს აძალებ, შენ, მთის მქადაგებელო, თუ ესეთ სასტიკ სიტყვებს საჭიროებ. ამგვარი სიმკაცრისათვის შენ არც პირი გაქვს და არც თვალი.
მგონია, თვით შენი კუჭიც: მას აწყენს ყოველი მრისხანება და მძულვარება და აქაფება. შენ კუჭს უფრო ნაზი საჭმელი ჰსურს: შენ ყასაბი არა ხარ.

მგონი უფრო მემწვანილე და მებალახე ხარ. იქნებ მარცვალსა ღეჭავ. ალბათ სიამოვნებას არა ჰპოვებ ხორცით და თაფლი გიყვარს“.
„კარგად გამომიცანი, უპასუხა მოხალისე გლახაკმა შემსუბუქებული გულით, მიყვარს თაფლი, ვღეჭავ მარცვალს, რამეთუ ვეძიებ, რაც გემრიელია და სუფთა სუნთქვას იძლევა.

- აგრეთვე, რაც დიდ დროს მოითხოვს და რისთვისაც მთელი დღეობით იღწვიან ზარმაცებისა და მუქთახორების პირები.

ხოლო ყველაზე შორს ეს ძროხები წავიდნენ: მათ აღმოაჩინეს ცოხნა და მზეში წოლა. და თავს იჭერენ ყოველი ძნელი ფიქრისაგან, რომელიც გულს ღალავს“.

„ესე! სთქვა ზარატუსტრამ, შენ უნდა ჩ ე მ ი ცხოველებიც ნახო, ჩემი არწივი და ჩემი გველი, მათი მზგავსნი დედამიწაზე არა მოიპოვება რა.

აგერ იქ არის გზა ჩემი ხვრელისაკენ: ამ ღამ იყავ მისი სტუმარი და ებაასე ჩემ ცხოველთ, ცხოველთა ბედნიერებისა, -

- ვიდრე მე თვით დავბრუნდები. ეხლა კი უბედურების ხმაურობა სწრაფად მიწოდებს. ჩემთან ახალ თაფლსაცა ნახავ, მაგრილებელ

ფიჭის ოქროსფერ თაფლს: სჭამე.

აწ კი მყისვე გამოეთხოვე შენ ძროხებს, შენ უცნაურო! საყვარელო! თუნდაც ეს შენთვის ძნელი იყოს - ისინი ხომ შენი საუკეთესო მეგობრები არიან და ოსტატები!“ –

„ - ერთი გამონაკლისით, რომელიც მე უფრო მიყვარს, უპასუხა მოხალისე მათხოვარმა, შენ თვით კეთილი ხარ და უკეთესი, ვიდრე ძროხა, ჰე ზარატუსტრა!“

„შორს, შორს ჩემგან! შენ მდაბალო მლიქვნელო! შესძახა ზარატუსტრამ გაბოროტებულმა, რისთვის მღუპავ მზგავსი ქებითა და მლიქვი თაფლით?“

„შორს, შორს ჩემგან!“ შეჰყვირა მან კვლავ და ნაზ მათხოვარს ჯოხი მოუღერა: ხოლო ის სწრაფად გაიქცა.

ჩრდილი

ის იყო გაიქცა მოხალისე მათხოვარი და ზარატუსტრა კვლავ მარტო დარჩა, რომ ზურგიდან მოესმა ახალი ხმა; ის უხმობდა: შესდექ! ზარატუსტრა! მომიცადე! ეს მე ვარ, ჰე ზარატუსტრა, მე შენი ჩრდილი!“ ხოლო ზარატუსტრა არ შეჩერდა, უეცრად ზიზღი მოერია - მის მთებში დიდი ბრბოის და ყრილობისათვის. „სად გაჰქრა ჩემი მარტოობა? სთქვა მან.

ეს ნამეტანია; მთებში ფუსფუსია, ჩემი სამეფო ამ ქვეყნისა აღარ არის, ახალ მთებს ვსაჭიროებ.

ჩემი ჩრდილი მიხმობს? რა არის ჩემი ჩრდილი! დეე მდიოს! გავექცევი“.

ესე გულისთხრობდა ზარატუსტრა და მირბოდა. ხოლო მის უკან მყოფი მისდევდა: ესე სამი ერთმანეთს მისდევდა, წინ მოხალისე გლახაკი, შემდეგ ზარატუსტრა და სულ უკან მისი ჩრდილი. დიდ ხანს არ ურბენიათ ესე, ზარატუსტრამ იგრძნო თავისი რეგვნობა და უცბად მოიშორა წყენა და ზიზღი.

„როგორ! სასაცილო საქმე არ გემართებოდა დიდი ხანია ჩვენ - მოხუც განდეგილთ და წმინდანთ?

ჭეშმარიტად, ჩემი რეგვნობა ძლიერ იზარდა მთებში! მესმის ექვსი

მოხუცი რეგვენის ფეხი ერთმანეთს მისდევს!

ხოლო განა ზარატუსტრას უნდა ეშინოდეს ჩრდილისა? და ბოლოს, მგონია, მას ფეხებიც უფრო გრძელი აქვს, ვიდრე მე“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა, იცინოდა რა თვალითა და მთელი არსებით, შეჩერდა და სწრაფად მიბრუნდა - და თითქმის ძირს დასცა თვისი მდევარი და ჩრდილი: ისე ახლოს ფეხდაფეხ მისდევდა ის და სუსტი იყო. შეხედა რა თვალით, შეეშინდა, ვით უეცარი ლანდისა: ისე გამხრჭვალი, გაშავებული, ქანცმილეული და მოხუცი იყო ეს მდევარი.

„ვინა ხარ? ჰკითხა ზარატუსტრამ მოურიდებლად, რას აკეთებ აქ? და რისთვის უწოდებ თავს ჩემ ჩრდილს? არ მომწონხარ“.

„შემინდე, უპასუხა ჩრდილმა, რომ ეს მე ვარ; და თუ არ მოგწონვარ, ჰე ზარატუსტრა! ამისათვის გაქებ შენ და შენ გემოვნებას.

მგზავრი ვარ, რომელი უკვე ბევრს დაგდევს ფეხდაფეხ: მარად გზად მდგარი, ხოლო უმიზნოდ და უსახლკაროც: ესე, ჭეშმარიტად, ცოტაღა მიკლია მარად ურიაობას, მე მარადიული არა ვარ და არც ურია.

როგორ? უნდა გზად ვიდგე? ყოველი ქარით ნათრევი, [ნაწოწიალები], მოტაცებული? დედამიწა, შენ ჩემთვის მეტად მრგვალი ხარ!

ყოველ ზედაპირს ვმჯდარვარ, ვით დაღლილი მტვერი, მძინებია სარკეებისა და ფანჯრების მინებზე: ყოველს ჩემგან მიაქვს, არაფერს მაძლევს, ვხდები, - თითქმის ჩრდილისავით.

შენ კი ზარატუსტრა, ყველას მეტს მოგდევდი და გდევდი და თუ გემალებოდი, მაინც შენი უკეთესი ჩრდილი ვიყავი: სადაც შენ დაჯდებოდი, მეც იქ ვჯდებოდი.

შენთან ერთად მოვიარე უშორესი, გაყინული ქვეყნები, ვით მოჩვენებამ, თვისი ხალისით რომ ზამთარში სახურავებითა რბის და თოვლში.

შენთან ერთად ვისწრაფოდი ყოველი აკრძალულისა, უკეთურისა და უშორესისადმი: და თუ ჩემ შორის რაიმე სათნოებაა - ეს ის არის, რომ არა აკრძალული ხილისა არ მეშინოდა.

შენთან ერთად შევმუსრე, რასაც ჩემი გული ოდესღაც პატივსა

სცემდა, ყოველი მიჯნა და ხატი გარევისროლე, უხიფათეს სურვილებს ვსდევდი, - ჭეშმარიტად, ყოველი ბოროტქმედება ერთხელ გავიარე.

შენთან ერთად დავივიწყე რწმენა სიტყვისა და ფასეულობათა და დიდ სახელთა, ოდეს ეშმაკი ტყავს იცვლის, მისი სახელიც არ იკარგება? ისიც ტყავია, ეშმაკი თვით იქნებ ტყავია.

„არ არის ჭეშმარიტება, ყველაფერი ნებადართულია“: ამას ვეტყოდი თავს. გაყინულ წყალში ვვარდებოდი თავითა და გულით. ჰე, ვით ხშირად ვიდექ ამისათვის შიშველი, ვით წითელი კიბო!

ჰე, სად გაჰქრა ყოველი ქველობა და სირცხვილი და ყოველი რწმენა სიქველისა! ჰე, სად არის იგი ცრუ უბიწოება, ერთხელ რომ მქონდა, უბიწოება ქველთა და მათი კეთილშობილი სიცრუე!

მეტად ხშირად, ჭეშმარიტად, ვსდევდი ფეხდაფეხ ჭეშმარიტებასა: და მან უკუ მიგდო. ზოგჯერ ვფიქრობდი ტყუილი მეთქვა, და ჰეი! მხოლოდ მაშინ შევეყარე მე - ჭეშმარიტებას.

მეტად ბევრი გამოირკვა ჩემთვის: აწ აღარაფერი მეხება. აღარა სცოცხლობს, რაც მე მიყვარდა, - ვით მიყვარდეს თავი?

„ცხოვრება, ვით მომწონს, ან არა ცხოვრება“: ესე მსურს, ესე ჰსურს უწმიდესსაც! მაგრამ ვაგლახ! შოვნილა ჩ ე მ თ ვ ი ს სიხარული?

მაქვს კვლავ - მიზანი? ნავსაყუდი, საით ჩ ე მ ი აფრა რბის?

კეთილი ქარი? ჰე, ვინ გზა უწყის, უწყის, რომელია კარგი ქარი, მგზავრის ქარი.

რაღა შთენილა ჩემთვის? გული მოქანცული და უტიფარი; მოუსვენარი ნება; ფართხუნა ფრთები; გატეხილი ხერხემალი.

ესე ძიება ჩემი სახლისა: ჰე ზარატუსტრა, შენ უწყი, ესე ძიება ჩემი სასჯელი იყო, იგი მღრღნის.

„სად არის ჩემი სახლი?“ ამასა ვკითხულობ და ვეძიებ და ვეძიებდი, ესე ვერა ვპოვე. ჰე მარადო ყველგან, ჰე მარადო არსად, ჰე მარადო ამაოდ“.

ესე იტყოდა ჩრდილი და ზარატუსტრას სახე დაგრძელდა მისი სიტყვებით „შენ ჩემი ჩრდილი ხარ!“ სთქვა ბოლოს მწუხარებით.

შენი განსაცდელი მცირე არ არის, შენ, თავისუფალო სულო და

მგზავრო! ცუდი დღე გქონდა, გაფრთხილდი, რათა უარესი საღამო არ დაგიღამდეს!

შენებრ შფოთისათვის, ვგონებ, საპყრობილეც ნეტარებაა. გინახავს ოდესმე ვით სძინავს შეპყრობილ ბოროტმქმედთ? წყნარად სძინავთ, სტკბებიან უშიშროებით.

გაფრთხილდი, რათა ბოლოს კვლავ ვიწრო რწმენამ არ შეგიპყროს, სასტიკმა, ძლიერმა შეცდომამ! აწ შენ გაცდენს და გამოგცდის, რაც ვიწროა და მყარი.

დაკარგე მიზანი: ვაგლახ, ვით იწუხო ან ინუგეშო ეს დანაკარგი? ამით შენ გზაც დაჰკარგე!

შენ საბრალო მოხეტიალე [მეოცნებე,] შენ ღონემიხდილო პეპელა! გსურს ამაღამ თავშესაფარი და მოსვენება? წადი ჩემ ხვრელში!

ეს გზა ჩემი ხვრელისაკენ მიდის. და აწ კი უნდა გაგშორდე. უკვე თითქოს ჩრდილი მეხება.

მარტოდ ვრბი, რათა ჩემს ირგვლივ განათლდეს. კვლავ დიდხანს მხიარულად უნდა ვიყო და ფეხზე. ამ საღამოს კი ჩემთან იცეკვავენ!“ –

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

შუადღისას

და ზარატუსტრა მირბოდა და მირბოდა და ვერავის შეხვდა და მარტო იყო და თვის თავსთა ჰპოვებდა და იხარებდა და სტკბებოდა თვისი მარტოობით და - ჟამობით კარგ საქმეთათვის ფიქრობდა. ხოლო შუადღისას, ოდეს მზე ზარატუსტრას თავს ადგა, მან ერთ მოხუც, დაღრეცილ, ნუჟრიან ხეს გაუარა, რომელიც გარე შემორტყმული იყო მდიდარი სიყვარულით ვაზისა და თავის თავიდან დაფარული იყო: მას უხვად ეკიდა ოქროსფერი მტევნები და მგზავრს თავს სთავაზობდა. მას მოეხალისა, მცირე მწყურვალება ჩაექრო და ერთი მტევანი მოეგლიჯა; ხოლო გასწია რა ხელი, სხვა რამ უფრო დიდი მოეხალისა: ხის გვერდით დაწოლა სრული შუადღის ჟამსა და ძილი.

ესე ჰქმნა ზარატუსტრამ; და დაწვა რა მიწაზე, ჭრელი ბალახის იდუმალი სიჩუმის შორის, უკვე თავისი მცირე წყურვილი

დაავიწყდა და მიეძინა. რამეთუ, როგორც ზარატუსტრას ანდაზა იტყვის, ერთი უფრო საჭიროა, ვიდრე მეორე. ხოლო მას თვალები ღია დარჩა: ვერ გამძღარიყვნენ ხისა და ვაზის სიყვარულის ცქერითა და ქებითა. ძილს მისცა რა თავი, ზარატუსტრა ესე გულისთხრობდა:

ჩუმად! ჩუმად! ქვეყანა სრულ არ იქმნა? რა არის ჩემ თავსა?

ვით ნაზი ქნარი უხილავად გლუვ ზღვასა ზედა ცელქობდა, მჩატე, მსუბუქი, ვით ბუმბული: ესე - როკავს ჩემზედ ძილი.

თვალს არ მიხუჭავს, სულს ფხიზლად სტოვებს. მსუბუქია, ჭეშმარიტად, ბუმბულისებრ მსუბუქი.

მაჯერებს, არ ვიცი ვით? მეხება შიგნით ალერსიანი ხელით, მაიძულებს, დიახ, მაიძულებს და სული ჩემი იზმორება: -

- ვით დაგრძელდა და მიქანცა ჩემი უცნაური სული! მოვიდა მწუხარი მეშვიდე დღისა მისთვის სწორედ შუადღისას? დიდ ხანს დახეტიალობდა ის ნეტარი კეთილ და მწიფე საგანთა შორის.

დიდ ხანს იზმორება, გრძელი, - უფრო გრძელი! ჩუმადა სწევს ჩემი უცნაური სული. მეტად ბევრი კარგი იგემა მან; ესე ოქროსფერი სევდა აწუხებს მას, ბაგეთ უხშობს.
- ვით ხომალდი თავის უწყნარეს ნავსაყუდელს შესული: - აწ ის მიწას ეკრობა, მოქანცული გრძელი მგზავრობით და უცნობი ზღვებით. მიწა უფრო ერთგული არ არის?

ვით ხომალდი მომდგარი ხმელეთს, ეხუტება მას: - ესე კმარა, რათა ობობამ ხმელეთით მას ზედა ქსელი გააბას. უფრო მაგარი თოკი არ უხმს მისთვის.

ვით ესე დაღლილი გემი უწყნარეს ნავთსაყუდელში, ესე ვისვენებ აწ მიწის ახლოს, ერთგული, მინდობილი, მომლოდინე უმსუბუქესი ძაფებით მასთან მიკრული.

ჰე ბედნიერება! ჰე ბედნიერება! გსურს იმღერო, ჩემო სულო? ბალახში წევხარ. ხოლო ესე იდუმალი დიდია ჟამი, ოდეს მწყემსი სალამურს არ უკრავს.

ფრთხილად იყავი! ცხელ შუადღესა სძინავს ყანასა ზედა. ნუ იმღერებ! სიჩუმე. ქვეყანა სრულყოფილია.

ნუ იმღერებ, ბალახის ფრინველო, სულო ჩემო? არც იჩურჩულო! შეხედე - სიჩუმეა! მოხუც შუადღესა სძინავს, ტუჩებს ანძრევს: ხომ არ

შეგსვამს ერთ წვეთ ბედნიერებასაც -

- ერთ წვეთს, შავ წვეთს ოქროს ბედნიერებისა, ოქროს ღვინისა? ბედნიერება იცინის. ესე იცინის ღმერთი. სიჩუმე!

- „ბედნიერებისათვის, ვით მცირედია საჭირო ბედნიერებისათვის!“ ამას ვიტყოდი ოდესღაც და თავი გონიერი მეგონა. ხოლო ეს ზრახვა იყო: აწ ა მ ა ს ვასწავიდი. გონიერი რეგვენნი უკეთესს იტყოდნენ.

უმცირესი, უწყნარესი, უმსუბუქესი, ხვლიკის გასრიალება, ქარის ოხვრა, წამი, წუთი - მცირედი ჰქმნის ბედნიერების უ კ ე თ ე ს ს, სიჩუმე!

რა დამემართა: ჩუ! დრო თუ გაფრინდა? ვვარდები? ჩავვარდი, ჩუ, მარადისობის წამში?

- რა დამემართა? ჩუ! მჩხვლეტავს - ვაგლახ - გულში? გულში! ჰე დაიმსხვერ, დაიმსხვერი გულო, ამ ბედნიერების შემდეგ, ამ ჩხვლეტის შემდეგ!

როგორ? ქვეყანა სულ არ იქმნა? მრგვალი და მწიფე? ჰე ოქროს რგვალო დისკო - სად მორბის? მე მას მივსდევ! ჩუ!

ჩუ - ’’(აქ ზარატუსტრა გაიზმორა და იგრძნო, რომ ეძინა).

„ადე! უთხრა თავს, შენ მძინარა! შენ შუადღის მძინარა! ადექი, წამოდექით მოხუცო ფეხებო! დროა და ზედმეტი დრო, კვლავ კარგა გზა დაგრჩათ გასავლელი -

ეხლა თქვენც გეძინათ, დიდ ხანს? ნახევარი მარადისობა! ადექი! წამოდექ ჩემო მოხუცო გულო! რამდენი დრო გჭირდება ამგვარი ძილის შემდეგ - რათა გამოიღვიძო?“

ხოლო აქ კვლავ დაეძინა და სული მისი უარობდა, თავს იცავდა და კვლავ დაწვა) - „,დამეხსენ! ჩუ! ქვეყანა ეხლა სრულყოფილ არ იქმნა? ჰე, ოქროს მრგვალო დისკო!“ –

„ადექი, სთქვა ზარატუსტრამ, შენ პატარა ქურდო, შენ ზარმაცო! როგორ? კვლავ წამოწვა, ამთქნარებს, ოხრავს; ღრმა ჭაში ჩაწვა?

ვინ ხარ! ჰე ჩემო სულო!“ (აქ მას შეეშინდა; მზის სხივი გადმოვარდა ზეცით და მის სახეს დაეცა).

ჰე ზეცაო ჩემ ზედა, სთქვა ოხვრით და წამოჯდა, მე მიმზერ? შენ უსმენ ჩემ უცნაურ სულს?

როდის შესვამ ნამით ამ წვეთს, რომელი ყველა მიწიერს დაეცა, - როდის შესვამ ამ უცნაურ სულს -

- როდის, წყარო მარადისობისა! შენ მხიარულო საშინელო შუადღის უფსკრულო! როდის შესვამ ჩემ სულს.

ესე იტყოდა ზარატუსტრა და წამოდგა თავის საწოლიდან ხესთან, ვით უცხოდ მთვრალი: და მზე კვლავ მას თავს ადგა. აქედან შეიძლება ეფიქრნათ, რომ მაშინ ზარატუსტრას დიდ ხანს არ უძინია.

მისალმება

მხოლოდ გვიან ნაშუადღევს, შემდეგ ხანგრძლივი ამაო ძიებისა და ხეტიალისა, ზარატუსტრა დაუბრუნდა თავის ბუნაგს. ხოლო შეჩერდა და მის წინაშე, არა უშორეს ოცი ნაბიჯისა, მოხდა ის, რასაც ის აწ ყველაზე ნაკლებად ელოდა: სულ ახლოს მოესმა გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს დიდი ყ ვ ი რ ი ლ ი! და საკვირველება! ამჯერად თვისი საკუთარი ბუნაგიდან. ხოლო ეს იყო გრძელი, რთული, უცნაური ყვირილი და ზარატუსტრამ გაარჩია, რომ ის მრავალ ხმათაგან შესდგებოდა; ხოლო შორიდან შეიძლებოდა მისი მიღება ერთი პირიდან მომავალ ხმად.

მაშინ ზარატუსტრა მივარდა თავის გამოქვაბულს და აგერ რა სურათი ელოდა მას ამ გუნდის შემდეგ! იქ ისხდნენ ერთმანეთს ახლოს ყველა, ვისთანაც მან დღეს გაატარა: მეფე მარჯვნივ და მეფე მარცხნივ, მოხუცი ჯადოქარი, პაპი, მოხალისე გლახაკი, ჩრდილი, სულით სინდისიერი, სევდიანი მისანი და ვირი; ხოლო უმზგავსეს ადამიანს თავს გვირგვინი დაედო და ორი მეწამული სარტყელი შემოერტყა, - როგორც ყველა უმზგავსებს, მასაც უყვარდა კარგად ჩაცმა და გალამაზება. ამ მწუხარე საზოგადოების შორის ზარატუსტრას არწივი იდგა აქოჩრილი და შეწუხებული: მას ბევრი რამისათვის უნდა გაეცა პასუხი, რისთვისაც მის სიამაყეს პასუხი არ ჰქონდა; გონიერი გველი კი მას კისერზე ჩამოჰკიდებოდა. ყველა ამას ზარატუსტრა დიდის განცვიფრებით უმზერდა; შემდეგ კი ყოველ თავის სტუმარს ცალკე დააკვირდა კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობით, ჰკითხულობდა მათ სულს და ჰკვირობდა სულ ახლად. ამასობაში შეყრილნი წამოდგნენ და პატივისცემით ელოდებოდნენ, რათა ზარატუსტრას ხმა ამოეღო. ხოლო ზარატუსტრა ესე იტყოდა:

„თქვენ სასოწარკვეთილნო! თქვენ უცნაურონო! მაშ თ ქ ვ ე ნ ი ვაება მესმოდა? და აწ უკვე ვიცი სად ვეძიო ის, რომელს დღეს ამაოდ ვეძიებდი: მაღალი ადამიანი -:
- ჩემ საკუთარ ბუნაგში ზის ის მაღალი ადამიანი! რად მიკვირს! განა მე თვით არ მოვიზიდე ის თაფლის მსხვერპლით და ჩემი ბედნიერების მაცდური ხერხით.

მგონია, არა ვარგიხართ ურთიერთის საზოგადოებისათვის, თქვენ ერთმანეთს ამწუხრებთ, თქვენ ვაების მყვირალნი, აქ ერთად მჯდომარენი. ჯერ არს მოვიდეს ვიღაც,

- ვიღაც, თქვენ რომ კვლავ გაგაცინებთ, ერთი კარგი ხუმარა, მოცეკვავე, თავზე ხელ აღებული, ვიღაც მოხუცი რეგვენი; - როგორ გგონიათ?

შემინდეთ, თქვენ სასოწარკვეთილნო, ესე უბრალო სიტყვით რომ მოგმართავთ. ის შეუფერებელია, ჭეშმარიტად, ამგვარ სტუმართათვის! ხოლო ვერ გამოგიცვნიათ, თუ რა ამხნევებს ჩემ გულს:

- შემინდეთ, თქვენ და თქვენი სანახაობა! ყოველი მხნეობას მოიპოვებს, რომელი სასოწარკვეთილს უმზერს. სასოწარკვეთილთან ლაპარაკისათვის - ყველას თავი საკმაოდ მძლავრად მიაჩნია.

თქვენ მომეცით ეს ძალა, - კარგი საჩუქარია, ჩემო მაღალო სტუმრებო! ნამდვილი სტუმართა ძღვენი. მაშ აწ ნუღარ გაბრაზდებით, თუ ჩემსასაც გიძღვნით.

აქ ჩემი სამეფოა და ჩემი ხელმწიფება: ხოლო რაც ჩემია, ამ საღამოს და ღამით თქვენიც იყოს. ჩემი ცხოველები გემსახურებიან: ჩემი გამოქვაბული თქვენი სავანე იყოს.

ჩემთან, ჩემ კერასთან არავინ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას. ჩემს მამულებში ყველას ვიცავ მის გარეულ ცხოველთაგან. და ეს პირველია, რასაც გთავაზობთ: უვნებლობა!

ხოლო მეორეა: ჩემი ნეკი. და თუ ის თქვენია, მთელი მკლავიც აიღეთ და გულიც მასთან! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კეთილი იყოს, ჩემო სტუმრებო!“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა და იცინოდა სიყვარულითა და ბრაზით. ამ მისალმების შემდეგ სტუმართ კვლავ თავი მოუხარეს და პატივისცემით სდუმდნენ; ხოლო მეფემ მარჯვნივ უპასუხა მათი

სახელით.

„შენი ხელის თავაზითა, ჰე ზარატუსტრა, და სალამით გცნობთ შენ, ვით ზარატუსტრას. შენ თავი დაიმდაბლე ჩვენ წინაშე; თითქოს შეურაცხჰყავ ჩვენი შენდამი პატივისცემა -

- ხოლო ვინ შესძლებდა თავის დამდაბლებას მზგავსი სიამაყით? ეს გვამხნევებს, ეს ჩვენ თვალთა და გულთა სიამოვნებაა.

მხოლოდ ამის ნახვისათვის უფრო მაღალ მთებს ავვლიდით, ვიდრე ეს მთა. სანახაობის მოყვარულებად მოვედით აქ, გვსურს ნახვა, რაც მწუხარე გამოხედვას ანათებს.

და მოხედე, ბოლო მოეღო ყველა ჩვენ ურვის გოდებას. სხნილ არის აზრი და გული ჩვენი და აღტაცებული. ცოტა რამ გვაკლია: და ჩემი მამაცობა მხნე იქმნება.

არაფერი იზრდება, ჰე ზარატუსტრა, მიწასა ზედა უფრო სასიხარულო, ვიდრე მაღალი, ძლიერი ნება: ის მისი უმშვენიერესი ნაყოფია. მთელ გარემოს ახალისებს ერთი ამგვარი ხე.

კედარს ვამზგავსებ მე, ჰე ზარატუსტრა, იმას, ვინც შენებრ იზრდება: წერწეტი, მდუმარე, მაგარი, მარტო მყოფი, უკეთესი მოქნილი ხისაგან ქმნილი, მშვენიერი, -

- ხოლო, ბოლოს, ძლიერი, მწვანე ტოტებით შორს მიიზიდება თვის სამფლობელოდ, ძლიერი კითხვით ეკითხება ქართა და ქარიშხალთ და ყოველს, რაც დასაბამით სიმაღლეებთან ახლოა.

- მეტად ძლიერად მოპასუხე, მბრძანებელი, ძლევამოსილი: ჰე ვინ არ ავიდეს მაღალ მთებს, რათა ესე მცენარენი იხილოს.

შენი ხე, ჰე, ზარატუსტრა, ახარებს თვით მწუხარესა და უბედოთ, შენი შეხედვით თვით შფოთი დასცხრება და გული მისი ინკურნება.

და ჭეშმარიტად, შენი მთისადმი და ხისადმი მრავალი თვალია მიმართული, დიდი მჭმუნვარება იქმნების და მრავალი ისწავლის კითხვას; ვინ არის ზარატუსტრა?

და ყოველი, რომელს ოდესღაც სიმღერა და შენი თაფლი ყურს ჩააწვეთე: ყოველანი ფარულნი, მწირნი, წყვილად მყოფნი ერთბაშად ეტყოდნენ გულსა;

„ცოცხალია კვლავ ზარატუსტრა? აღარა ღირს ცხოვრება, ყველაფერი

ერთია, ყველაფერი ამაოა: ანდა ჩვენ ზარატუსტრასთან უნდა ვიცხოვროთ“.

„რისთვის არ მოდის, ვინც დიდი ხანია უკვე თავისი თავი გვაუწყა? ამას კითხულობს ბევრი; მარტოობამ ხომ არ დაახჩო? თუ ჩვენ უნდა წავიდეთ მასთანა?“

აწ ხდება რომ მარტოობა იხრწნება და ირღვევა, ვით საფლავი, რომელიც ირღვევა და თავის მკვდარს ვეღარ დაიტევს. ყველგან მკვდრეთით აღდგომილთა ჰხედავ.

აწ მაღლით იზრდება და იზრდება ტალღები შენი მთის ირგვლივ, ჰე, ზარატუსტრა. და მართალია, მაღალია სიმაღლე შენი, მრავალნი უნდა შენთან ამოვიდნენ; შენი ნავი დიდხანს აღარ უნდა იყოს მშრალზე მჯდომარე.

და რომ ჩვენ, იმედდაკარგულნი, შენს გამოქვაბულში მოვედით და უკვე აღარ სასოწარკვეთით: ნიშანია მხოლოდ და მაუწყი, რომ უკეთესნი შენსკენ გზას ადგიან, -

- თვით ის არის შენსკენ გზად, ღმერთის უკანასკნელი ნაშთი კაცთა შორის, ესე არს: ყოველნი ადამიანნი დიდი ურვისა, დიდი ზიზღისა, დიდი ნაკლოვანებისა.

- ყოველნი, რომელთ სიცოცხლე არა ჰსურთ, უკეთუ კვლავ ი მ ე დ ს არ ისწავლიან, უკეთუ შენგან, ჰე ზარატუსტრა, დ ი დ იმედს არ ისწავლიან!“

ამას იტყოდა მეფე მარჯვნივ და ზარატუსტრას ხელს მოავლო ხელი, რათა ამბორ ეყო; ხოლო ზარატუსტრამ აიშორა მისი პატივისცემა და შეშინებულმა უკან დაიხია, დუმილით, და უეცრივ, ვით შორეული შორით მსწრაფმა. ცოტა ხნის შემდეგ ის უკვე თავის სტუმრებთან ერთად იყო, უმზერდა ნათელი, მხილავი თვალებით და იტყოდა:

„ჩემო სტუმრებო, თქვენ მაღალო ადამიანებო, მე მსურს გერმანულად და გარკვეულად გელაპარაკოთ. არა თ ქ ვ ე ნ გელოდებოდით ამ მთებში“.

(„გერმანულად და გარკვეულად! ღმერთი გფარავდეთ! სთქვა მეფემ მარცხნივ, თავისათვის. ეტყობა ის საყვარელ გერმანელთ არ იცნობს, ეს აღმოსავლელი ბრძენი.

ხოლო მას უნდა სთქვას „გერმანულად და უხეშად“ - იყოს ასე! ეს ჩვენ

დროს კიდევ უარესი გემოვნება არ არის!“)

„შესაძლებელია, ჭეშმარიტად, ყველა ერთად მაღალი ადამიანები იყოთ, განაგრძო ზარატუსტრამ: ხოლო ჩემთვის საკმაოდ მაღალნი და ძლიერნი არა ხართ.

ჩემთვის: შეუწყნარებლისათვის, რაც ჩემს შორის სდუმს, ხოლო მარად არ იქმნება დადუმებული. და თუ თქვენ მე მეკუთვნით, არა ისე, ვით ჩემი მარჯვენა ხელი.

ვინც თვით სნეულ და სუსტ ფეხებზე სდგას, მზგავსად თქვენისა, მას უფროსად ყოვლისა ჰსურს, იცის ეს თუ თავის თავს უმალავს: რათა ზ ო გ ა ვ დ ნ ე ნ.

ხოლო ჩემ მკლავთ და ჩემ ფეხთა არა ვზოგავ, ჩ ე მ მ ე ო მ ა რ თ ა რ ა ვ ზ ო გ ა ვ: ვით იყვნენ ჩ ე მ ი მეომარნი?

თქვენთან ერთად დავღუპავდი ყოველ გამარჯვებას. და მრავალი თქვენთაგანი ძირს დავარდებოდა, ოდეს ჩემი დოლის ხმას გაიგონებდა.

არა საკმაოდ ლამაზნი და კეთილშობილნი ხართ ჩემთვის. ვსაჭიროებ სუფთა, სადა სარკეებს ჩემი მოძღვრებისათვის; თქვენ ზედაპირზე თვით ჩემი საკუთარი ხატი ბრუნდება.

თქვენ მხრებს მრავალი ტვირთი ამძიმებს, მრავალი მოგონება. მრავალი ბოროტი ჯუჯა დამალულა თქვენ კუნჭულებში. თქვენ შორისაც ფარულად არის ბრბო.

დეე თქვენ მაღალნი იყვნეთ და მაღალი მოდგმისა: მრავალი რამ თქვენ შორის ბრუდეა და უმზგავსი. ქვეყანას არა ჰყავს მჭედელი, რომელი შეგასწორებთ და გაგასწორებთ.

მხოლოდ ხიდები ხართ: რათა უფრო მაღალი მოდგმა თქვენით გაღმა გავიდეს! თქვენ ნიშნავთ საფეხურებს: ესე ნუ შერისხავთ, რომელი თქვენით მაღლა თ ა ვ ი ს სიმაღლით მიდის!

თქვენი თესლისაგან შეიძლება მეც ერთხელ ნამდვილი ვაჟი და სრულყოფილი მემკვიდრე აღმეზარდოს: ხოლო ეს შორია. თქვენ არ იყვნეთ, რომელთ ჩემი მემკვიდრეობა ეკუთვნის და სახლი.

არა თქვენ გელოდებით აქ ამ მთებში, არა თქვენთან ერთად უკანასკნელად ჩავალ დაბლა. ვით მხოლოდ მაუწყენი მოვალთ თქვენ ჩემდამი, რომ უფრო მაღალნი უკვე ჩემსკენ მოდიან, -

- არა ადამიანები დიდი ურვისა, დიდი ზიზღისა, დიდი ნაკლოვნობისა და არა ის, რასაც თქვენ ღვთის ნიშანს უწოდებთ.

- არა! არა! სამჯერ არა! სხვას ველი აქ ამ მთების შორის და უმათოდ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი.

- უფრო მაღალთ, უფრო ძლიერთ, ძლევამოსილთ, მხიარულთ, მათ ვინც სწორკუთხებით არიან აგებულნი სხეულითა და სულით: და მ ც ი ნ ა რ ე ლ ო მ ე ბ ი უნდა მოვიდნენ!

ჰე ჩემო სტუმრებო, თქვენ უცნაურნო, - ჯერ არაფერი გსმენიათ ჩემი შვილებისა? და რომ ისინი ჩემით ისწრაფიან?

მითხარით ჩემი ბაღებისა, ჩემი ნეტარი კუნძულებისა, ჩემი ახალი მშვენიერი მოდგმისა - რისთვის ამისას არაფერს მეტყვით?

სტუმართა ამ ძღვენს ვთხოვ თქვენ სიყვარულს, რათა მითხრათ ჩემი შვილებისა. მათით ვარ მდიდარი, მათით გავღატაკდი: რა არ მივეცი; -

რას არ მივცემდი, რათა ერთი რამ მქონდეს; ეს შვილები, ეს ცოცხალი მცენარენი, ეს ცხოვრების ხენი ჩემი ნებისა და ჩემი უდიდესი იმედისა!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა და უეცრად შესწყვიტა სიტყვა: მას თვისი სევდა მოაწვა, და მან დახუჭა თვალები და ბაგენი. ესე დიდი იყო მისი გულის ფეთქვა. და ყველა მისი სტუმარნიც დადუმდნენ და ჩუმად და დარცხვენილნი იდგნენ: მხოლოდ მოხუცი მისანი ხელის მოძრაობითა და სახის გამომეტყველებით ნიშნებს იძლეოდა.

სერობა

აქ მისანმა შეაჩერა ზარატუსტრას და მის სტუმართა მისალმება და წინ წამოვიდა, ვიეთისებრ, რომელს დროის დაკარგვა არ შეუძლიან, ზარატუსტრას ხელი ხელში აიღო და შესძახა: „ხოლო, ზარატუსტრა!

ერთი უფრო საჭიროა, ვიდრე მეორე, ამას თვით იტყვი: აწ ერთი უფრო საჭიროა ჩ ე მ თ ვ ი ს, ვიდრე ყ ო ვ ე ლ ი რამე.

რა სიტყვის პასუხია: განა სერობად არ დამპატიჟე! აქ ბევრია ისეთი, რომელთ დიდი გზა გაუვლიათ. შენ ხომ სიტყვებით არ გაგვიმასპინძლდები?

მეტად ბევრი ილაპარაკეთ გაყინვისა, დახრჩობისა, გაგუდვისა და სხეულის სხვა უძლურებათათვის. ხოლო არავინ იფიქრა ჩემი უბედურებისათვის, სიმშილით სიკვდილისა“ –

(ესე იტყოდა მისანი; ხოლო ესმათ რა, ზარატუსტრას ცხოველნი შიშით აქეთ იქით გაიფანტნენ, დაინახეს რა რომ დღეს მოტანილი მხოლოდ მისანსაც კი ვერ გააძღობდა).

„აგრეთვე წყურვილით სიკვდილისათვის, განაგრძო მისანმა, და მართალია, აქ წყლის ჩუხჩუხი მესმის, ვით სიტყვანი სიბრძნისანი, უხვი და უშრეტი: მე ღ ვ ი ნ ო მინდა!

არა ყოველი, მზგავსად ზარატუსტრასი, დაბადებით წყლის მსმელია. წყალი არ ვარგა დაღლილთა და მჭკნართათვის: ჩ ვ ე ნ ვსაჭიროებთ ღვინოს, - ის იძლევა მხოლოდ უეცრივ გამოჯანსაღებას და მოულოდნელ ჯანსაღობას!“.

მისანის ამ სიტყვება ღვინისათვის შემთხვევა არ მისცა ჩუმ მარცხენა მეფეს ხმის ამოღებისა. „ღვინისათვის, სთქვა მან, ჩვენ ვიზრუნეთ, ჩემ ძმასთან, მეფე მარცხნივთან ერთად: ღვინო ბევრი გვაქვს, ვირი ღვინითაა დატვირთული. არა გვაკლია, გარდა პურისა“.

„პური? მიუგო ზარატუსტრამ და გაეცინა, განდეგილთ სწორედ პური არა აქვთ. ხოლო ადამიანი მარტო პურით კი არ საზრდოებს, არამედ ხორცით კარგი ბატკნისა - მე ორი მყავს;

- ეხლავე დაკლან ისინი, მოამზადონ შეზავებული ზაფრით: ესე მიყვარს მე. ბევრია აგრეთვე მწვანილი და ხილი, საკმაოდ კარგი თვით მსუნაგ პირთა და მადიანთათვის; არ გვაკლია აგრეთვე კაკალი და სხვა გამოცანები სახრამუნოდ.

ესე, მოკლედ ჩინებული სერობა გვექნება. ხოლო ვისაც ჭამა უნდა, ხელი უნდა გაანძრიოს, თვით მეფეთაც. ზარატუსტრასთან მეფესაც შეუძლია იმზარეულოს“.

ეს ყველას მოეწონა: ხოლო მოხალისე მათხოვარი უარს ამბობდა ხორცისა, ღვინისა და მწვანილისა.

„ყური დაუგდეთ ამ მსუნაგ ზარატუსტრას! იტყოდა ხუმრობით: განა იმისათვის მიდიან გამოქვაბულში და მაღალ მთებზე, რომ ესეთი სერობა გამართონ?

ეხლა კი მესმის, რას გვასწავლიდა ის ოდესღაც: „დიდება მცირე

სიღატაკეს!“ და რისთვისა ჰსურს მათხოვართა მოსპობა“.

„გამხიარულდი, უპასუხა ზარატუსტრამ, როგორც მე ვარ. ჩვეულებისამებრ მოიქეცი, მშვენიერო, ღეჭე შენი მარცვლები, სვი შენი წყალი, ადიდე შენი საკვები; თუკი ის გამხიარულებს!

მე კანონი ვარ ჩემიანებისთვის, არა ვარ კანონი ყველასთვის, ხოლო ვინც მე მეკუთვნის, მაგარი ძვლები უნდა ჰქონდეს და მსუბუქი ფეხები, -

- იყოს მხიარული ომში და ზეიმში, და არა მოწყენილი მეოცნებე, მზა იყოს უმძიმესისათვის, ვით თვის ზეიმისთვის, ჯანსაღი და უვნებელი.

უკეთესი ეკუთვნის ჩემიანებს და მე; და უკეთუ არ გვაძლევენ, ძალით ავიღებთ: უკეთესს საჭმელს, უწმინდეს ცას, უძლიერეს აზრებს, უმშვენიერეს ქალებს!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა; ხოლო მეფემ მარჯვნივ უპასუხა: „უცნაურია! სმენია ვინმეს ოდესმე მზგავსი ჭკვიანი აზრები ბრძნის პირიდან?

და ჭეშმარიტად, იშვიათია ბრძენი, რომელიც ჭკვიანი იყოს და ამასთან ვირი არ იყოს“.

ესე იტყოდა მეფე მარჯვნივ და ჰკვირობდა, ხოლო ვირმა ბოროტი განზრახვით დაუმატა მის სიტყვას „ი-ა“. ესე იყო დასაწყისი გრძელი პურადობისა, რომელს ისტორიის წიგნში სერობას უწოდებენ. ამ დროს სხვა არაფერს ლაპარაკობდნენ, თუ არა მ ა ღ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს.

მაღალი ადამიანისათვის

1.

ოდეს პირველად წაველ ადამინებთან, მე განდეგილთა რეგვნობა ჩავიდინე, დიდი რეგვნობა; ბაზარში მივედი.

და ველაპარაკებოდი რა ყველას, არავის ველაპარაკებოდი. საღამოს ჯამბაზები ჩემი ამხანაგები შეიქმნენ და ცხედრები; და თვით მე ვით ცხედარი.

ახალმა დილამ ახალი ჭეშმარიტება მომცა: მაშინ ვისწავლე თქმა; „რა არის ჩემთვის ბაზარი და ბრბო და ბრბოს აურზაური და ბრბოს გრძელი ყურები!“

თქვენ, მაღალო ადამიანებო, ისწავლეთ ესე ჩემგან: ბაზარში არავისა სწამს მაღალი ადამიანებისა. და თუ გსურთ იქ ლაპარაკი! ბრბო თვალებს აახამხამებს: „ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ“.

„თქვენ მაღალნო ადამიანნო, - ესე ახამხამებს თვალებს ბრბო, - მაღალი ადამიანები არ არიან, ყველანი თანასწორნი ვართ, ადამიანი ადამიანია, ღვთის წინაშე - ყველა თანასწორია“.

ღვთის წინაშე! - აწ ეს ღმერთი მოკვდა. ბრბოს წინაშე ჩვენ თანასწორობა აღარა გვსურს. თქვენ მაღალო ადამიანნო, ერიდეთ ბაზარს!

2.

ღვთის წინაშე! აწ ეს ღმერთი მოკვდა! თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ეს ღმერთი თქვენი უდიდესი საფრთხე იყო.

მას შემდეგ, რაც ის საფლავშია, თქვენ პირველად აღსდექით მკვდრეთით. აწ მოდის მხოლოდ დიდი შუადღე, აწ იქნება მხოლოდ დიდი ადამიანი - ბატონი!

შეისმინეთ თქვენ სიტყვანი ესე, ჰე ძმანო? შეგეშინდათ: შეშფოთდა თქვენი გული? აქ თქვენთვის უფსკრული იშლება? აქ ჯოჯოხეთის ძაღლი გიყეფთ?

ესე! წინ! თქვენ, მაღალნო ადამიანნო! აწ შვავს მხოლოდ მთა ადამიანის მყობადსა. ღმერთი მოკვდა; აწ გვსურს ჩ ვ ე ნ, რათა ზეკაცი სცხოვრობდეს.

3.

უფროსად მზრუნველნი კითხულობენ დღეს; „ვით ინახავდეს თავს ადამიანი?“ ხოლო ზარატუსტრა ჰკითხულობს, ვით ერთადერთი და პირველი: „ვით ი ძ ი ო ს ადამიანი?“

ზეკაცი ახარებს ჩემ გულსა. ი გ ი ა ჩემი პირველი და მხოლოდ, - და არა ადამიანი: არა მოყვასი, არა უღატაკესი, არა ტანჯული, არა უკეთესი, -

ჰე ძმანო, ადამიანი მიყვარს იმისათვის, რომ ის გარდამავლობაა და ჩამავლობა, და თქვენ შორისაც ბევრი რამაა, რაც სიყვარულსა და იმედს მიღვიძებს.

რომ გძულთ, თქვენ მაღალნო ადამიანნო, ეს იმედს მიღვიძებს: დიდი მოძულენი დიდი თაყვანისმცემელნი არიან.

რომ იმედსა ჰკარგავთ, ეს დიდი პატივისცემის ღირსია. რამეთუ ვერ ისწავლეთ მორჩილება, ვერ ისწავლეთ პატარა გონიერება.

დღეს პატარა ხალხია მბრძანებელი: იგინი ჰქადაგებენ მორჩილებასა და მოკრძალებას და გონიერებსა და ბეჯითობას და სიფრთხილესა და გრძელ „და სხვას“ პატარა სათნოებათა.

რაც დედაკაცურია, რაც მონათა მოდგმისაა და უფროსად ბრბოს ნაძირალებისა: მას ჰსურს ადამიანის ბედის ბატონობა - ჰე, ზიზღი! ზიზღი! ზიზღი!

კითილობენ და კითხულობენ და არ იღლებიან; ვით შეინახოს ადამიანმა თავი უკეთესად, უფრო და უფრო სიამით?“ ამისათვის - ისინი დღეს ბატონები არიან.

სძლიეთ დღევანდელ ბატონებს, ჰე ძმანო, - ამ პატარა ადამიანთ; ი ს ი ნ ი ზეკაცის უდიდესი ხიფათია!

სძლიეთ თქვენ, მაღალნო ადამიანნო, პატარა სათნოებათ, პატარა გონიერებას, სიფრთხილეს, ჭიანჭველათა ფუსფუსს, საცოდავ კმაყოფილებას, „უმრავლესობის ბედნიერებას“! –

და უმჯობესია სასოება დაჰკარგოთ, ვიდრე დანებდეთ. და ჭეშმარიტად, მიყვარხართ, რამეთუ დღეს თქვენ ცხოვრება არ უწყით. თქვენ, მაღალნო ადამიანნო! რამეთუ თქვენ ესე ცხოვრობთ, უკეთესია!

4

ვაჟკაცობა გაქვთ, ჰე ძმანო? გულადები ხართ? არა ვაჟკაცობა მოწმეთა წინაშე, არამედ ვაჟკაცობა განდეგილისა და არწივის, რომელს თვით ღმერთიც აღარ უყურებს?

ცივ სულთ, ჯორებს, ბრმათ, მთვრალთ არა აქვთ, რადაც მე ვაჟკაცობას ვუწოდებ. მხოლოდ მას აქვს ვაჟკაცობა, ვინც იცის შიში, მაგრამ ძ ლ ე ვ ს მას, ვით უფსკრულსა ჰხედავს, ხოლო ა მ ა ყ ა დ.

ვინც უფსკრულსა ჰხედავს, ხოლო არწივის თვალით, - ვინც უფსკრულს ჩაავლებს არწივის ბრჭყალებით: მას აქვს ვაჟკაცობა. –

5.

„ადამიანი ბოროტია“ - ამას მეტყოდნენ ნუგეშად ყველა ბრძენნი. ჰე, ნეტარძი ეს დღეს მართალი იყოს! ბოროტება ადამიანის უკეთესი ძალაა.

„ადამიანი უნდა უკეთესი და უფრო ბოროტი იქმნეს“ - ამას ვასწავი. უბოროტესი უხმს ზეკაცის სიკეთისათვის.

სიკეთეა, იქნებ, იმ მქადაგებელთათვის პატარა ხალხისა, რომ ის იტანჯა და ადამიანის ცოდვები იტვირთა. ხოლო მე მახარებს დიდი ცოდვა, ვით ჩემი დიდი ნ უ გ ე შ ი. –

ხოლო ესე თქმული არ არის გრძელ ყურთათვის. არც ყოველი სიტყვა შეჰფერის ყოველ დინგსა. ესე ფაქიზი შორი საქმეა: ცხვრის ფეხები მათ არ უნდა მოხვდეს.

6.

თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ჰფიქრობთ, აქ იმისათვის ვარ, რათა გავასწორო, რასაც თქვენ ცუდად აკეთებთ?

ან მსურს, ამიერით თქვენ, ურვით შეპყრობილნი, უკეთ მოგასვენოთ? ან თქვენ, შფოთნო, გზა აბნეულნო, მთებში დაკარგულნო, ახალი უფრო ადვილი ბილიკები გიჩვენოთ?

არა! არა! სამჯერ არა! კვლავ მეტი კვლავ უკეთესნი თქვენი მოდგმისა უნდა წარხდნენ, - თქვენ უნდა მეტი ცუდი ნახოთ, მეტი გაჭირვება. ესე მხოლოდ.

- ეს მხოლოდ იზრდება ადამიანი იმ მწვერვალამდე, სად მას ელვა ეწევა და წარსწყმედს: ელვისათვის საკმაოდ მაღლა!

მცირედისადმი, ხანგრძლივისადმი, შორეულისადმი არის მიმართული ჩემი აზრი და ჩემი ურვა: რა არის ჩემთვის თქვენი პატარა, ბევრი, მოკლე გლახობა!

არა იყვნეთ საკმაოდ მწუხარენი! რამეთუ თქვენ თქვენთვისვე ჰწუხართ, თქვენ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს მწუხარება არ გინახავთ. ტყუილს იტყვით, უკეთუ სხვას იტყოდეთ! არა თქვენგანი სწუხს, რისათვისაც მე ვწუხდი.

7.

ჩემთვის არა კმარა, რომ ელვას ვნება აღარ მოაქვს. არა მსურს მისი აცდენა: მან უნდა ისწავლოს ჩ ე მ თ ვ ი ს მუშაობა.

ჩემი სიბრძნე გროვდება უკვე დიდი ხანია, ვით ღრუბელი, უფრო სდუმდება და ითალხება: ესე სჩადის ყოველი სიბრძნე, რომელმან ერთ დროს უნდა ე ლ ვ ა შვას. –

დღევანდელ ადამიანთათვის არა მსურს ნ ა თ ე ლ ი ვიყო. მათ მე დავაბრმავებ: ელვა ჩემი სიბრძნისა! გამოსწვი მათ თვალები!

8.

არა ისურვოთ გარეშე თქვენი შეძლებისა: ცუდი ტყუილი თან სდევს მას, რომელი თვისი შეძლების მეტს ისურვებს.

უფროსად, ოდეს დიდი საქმე ჰსურთ! რამეთუ აღვიძებენ უნდობლობას დიდი საქმის წინააღმდეგ - ეს მოხერხებული ყალბი ფულის მჭრელნი და მასხრები: -

ვიდრე თვის თავის წინაშეც კი ყალბნი არიან, ელამები, გარეთ განგოზილნი, დიდი სიტყვებით დაჩადრულნი, საჩვენებელი

სათნოებით, ბრწყინვალე ყალბი საქმეებით.

აქ გაფრთხილდით, თქვენ, მაღალნო, ადამიანნო, დღეს არაფერია მეტად ძვირფასი და იშვიათი, ვიდრე პატიოსნება.

დღევანდელი დღე ბრბოისა არ არის? ხოლო ბრბომ არ იცის რა არის დიდი და პატარა, სწორი და მართალი: ის გულუბრყვილოდ ბრუდეა, მარად სცრუობს.

9.

დღეს ეჭვიანები იყავით, თქვენ მაღალნო ადამიანნო, თქვენ გულადებო, თქვენ გულახდილნო! და ფუძენი თქვენნი საიდუმლოდ დაიცავით! დღევანდელი დღე ბრბოისაა.

რასაც ოდესღაც ბრბო უსაფუძვლოდ უჯერებდა, ვის შეეძლო მისი გაბათილება საფუძვლებით?

და მოედნებზე ნიშნებით აჯერებენ. ხოლო ფუძენი ბრბოს ეჭვსა ჰგვრის.

და თუ ოდესღაც იქ ჭეშმარიტებას გაუმარჯვნია, ჰკითხეთ თავს ეჭვით: „რომელი ძლიერი შეცდომა იბრძოდა მისთვის?“

დაიცვით თავი მეცნიერთაგან! მათ ეზიზღებით, ისინი ბერწნი არიან! მათ ცივი, გამხმარი თვალები აქვთ, მათ წინაშე ყოველი ფრინველი გაბურტყნულია.

მათ თავი მოაქვთ, რომ არა სტყუიან, ხოლო უძლურება ტყუილისათვის ჭეშმარიტების სიყვარული არ არის. გაფრთხილდით!

ჭეშმარიტად, ციების თავისუფლება სრულიად მმეცნება არ არის. ვისაც ტყუილი არ შეუძლიან, არ იცის რა არის ჭეშმარიტება.

10.

უკეთუ მაღლა ასვლა გსურთ, ისარგებლეთ საკუთარი ფეხებით! ნებას ნუ მისცემთ წ ა გ ი ღ ო ნ, ნუ შეჯდებით სხვის თავსა და

ზურგს!

შენ ცხენს შეაჯექი? აწ სწრაფად მიჰქრი შენი მიზნისაკენ? ჰეი, მეგობარო! ხოლო შენი კოჭლი ფეხიც შენთან ერთად ზის ცხენზე!

ოდეს მიზანს მიაღწევ, შენ ცხენიდან ჩამოხტები: შენი ს ი მ ა ღ ლ ი თ, შენ მაღალო ადამიანო, - ფეხს წამოჰკრავ!

11.

თქვენ მქმედნო, თქვენ მაღალნო ადამიანნო! ორსულობა მხოლოდ საკუთარი ბავშვით არის.

ნუ მისცემთ უფლებას შეგაცდინონ, დაგიყოლიონ! ვინ არს თ ქ ვ ე ნ ი მოყვასი? და თუ თქვენც „მოყვასისათვის“ მოქმედებთ - მისთვის ხომ არასა ჰქმნით!

დაივიწყეთ ეს „თვის“, თქვენ მქმედნო: თქვენ სათნოებასა ჰსურს ესე, რათა თქვენ არა გააკეთოთ რა „თვის“, „გამო“, „ვინაიდან“, ამ პატარა ყალბი სიტყვების წინააღმდეგ თქვენ უნდა ყურები დაიცვათ.

„მოყვასისათვის“ მხოლოდ პატარა ხალხის სათნოებაა: მათთან იტყვიან: „თანასწორი და თანასწორი“ და „ხელი ხელსა ჰბანს“ - მათ არც უფლება აქვთ, არც ძალა თ ქ ვ ე ნ ი თავკერძობისათვის.

თქვენი თავკერძობა, მქმედნო ორსულის სიფრთხილეა და წინგანჭვრეტა! რაც არავის თვალით უნახავს, ნაყოფი: იგი იფარავს, მზრუნველობს და ასაზრდოებს მთელ თქვენ სიყვარულს.

სადაც თქვენი მთელი სიყვარულია - თქვენ ბავშვთან, იქვეა თქვენი მთელი სათნოება! თქვენი საქმე, თქვენი ნება არის თქვენი „მოყვასი“: ნებას ნუ მისცემთ დაგიყოლიონ ყალბი ფასეულობით.

12.

თქვენ მქმედნო, თქვენ მაღალნო ადამიანნო! ვინც უნდა შვას, ის ავადმყოფია; ვინც შვა, ის უწმინდურია.

ჰკითხეთ დედაკაცებს: შვავენ თუ არა სიამოვნებისათვის. ტკივილი

ქათმებს და მგოსნებს აკაკანებს.

თქვენ მქმედნო, თქვენ შორის ბევრი უწმინდურებაა. ესე, რათა თქვენ დედანი უნდა იყვნეთ.

ახლად დაბადებული: რაოდენი ახალი ჭუჭყი მოვიდა მასთან ქვეყანაში! ჩამოეცალეთ! ვინც შვა, განიბანოს სული თვისი.

13.

ნუ იქნებით სათნონი, ვიდრე ძალა შეგწევთ! და ნურას მოსთხოვთ თავს დაუჯერებელს.

მისდიეთ კვალს, რომლითაც მამათა თქვენთა სათნოება უკვე ვლიდა! ვით ახვალთ მაღლა, უკეთუ თქვენთან მამათა თქვენთა ნება თქვენთან ერთად არ ავა?

ხოლო რომელს პირმშობა ჰსურს, გაფრთხილდით, რათა უმრწემესი არ შეიქმნეს! და სად მამათა ბიწია, იქ წმიდანობას ნუ დაიჩემებთ.

ვისი მამანიც დედაკაცებს მისდევდნენ და მაგარ ღვინოებსა და გარეულ ტახებს: რა იქნება უკეთუ იგი თავს უმანკოებას მოსთხოვს?

რეგვენობა იქნებოდა ეს! ასეთისათვის, ჭეშმარიტად, ვფიქრობ ბევრია, უკეთუ ის ორი ან სამი დედაკაცის ქმარი იქნება.

და უკეთუ ის მონასტერს დააარსებს და კარს დააწერს: „გზა წმიდანისადმი“, - ვიტყვი: რისთვის! ეს ახალი რეგვენობაა!

მან დააარსა თავისათვის გამასწორებელი სახლი და თავშესაფარი: შეერგოს! ხოლო მე ეს არა მჯერა.

მარტოობით იზრდება, რაც ყოველს იქ მიაქვს, თვით შინაგანი ცხოველიც. ამისათვის ბევრს მარტოობას არ ვურჩევ.

განა დღემდე ქვეყანაზე უმურტალესი ცხოველი არსებობდა, ვიდრე მეუდაბნოენი? მათ ირგვლივ არა მხოლოდ ეშმაკი იწყვეტავდა თავს, - არამედ ღორიც.

14.

შეშინებულნი, დარცხვენილნი, უგერგილონი, მზგავსნი ვეფხისა, რომელი ნახტომმა მოატყუა: ესე მინახავხართ, თქვენ, მაღალნო ადამიანნო, მიიპარებოდით შეუმჩნევლად. კ ა მ ა თ ე ლ ი ვერ მოგივიდათ.

რა ვუყოთ, ხოლო თქვენ კამათლის მოთამაშენო! თქვენ არ გისწავლიათ თამაში და სიცილი, ვით თამაში და სიცილი ჯერ არს! არა ვუსხედვართ მარად თამაშისა და დაცინვის დიდ მაგიდას?

და უკეთუ დიდი ვერ მოახერხეთ, თვით თქვენ უბედონი ხართ? და უკეთუ უბედონი ხართ, უბედოა ამისათვის - ადამიანი? უკეთუ ადამიანი უბედოა: რა ეშველება!

15.

რამდენი საგანი მაღალი ხარისხისაა, იმდენად იშვიათად [გამოსადეგი] საგანია, თქვენ, მაღალნო ადამიანნო, თქვენ ყველა ხომ - ვერ გამოდექით?

გამხნევდით, რა ეშველება! რაოდენ მრავალი არს კვლავ შეუძლებელი! ისწავლეთ თქვენი თავის დაცინვა, ვით ჯერ არს სიცილი!

რა საკვირველია, რომ ვერ გამოდექით და ნახევრად გამოდექით, თქვენ ნახევრად დამსხვრეულნო! არა ჰკრთება და შფოთავს თქვენ შორის ადამიანთა მ ყ ო ბ ა დ ი?

ადამიანის უშორესი, უღრმესი, ვარსკვლავები მაღალი, უდიდესი ძალა: ყოველი არა სდუღს თქვენ ქვაბში?

რასაკვირველია, ზოგი ქვაბი ტყდება! ისწავლეთ თავთა თქვენდა საცინლად აგდება, ვით ჯერ არს სიცილი! თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ჰე რაოდენ მრავალი არს კვლავ შესაძლებელი!

და ჭეშმარიტად, რაოდენი გამოდგა უკვე! ვით მდიდარია ქვეყანა მცირე სრულყოფილი საგნებით, სრულიად გამომდგარებით!

გარშეიკრიბეთ პატარა, კარგი სრულყოფილი საგნები, თქვენ,

მაღალნო ადამიანნო! მათი ოქროს სიმწიფე არჩენს გულს. სრულყოფილი იმედს გვასწავის.

16.

რომელი იყო აქ დედამიწაზე დღემდე უდიდესი ცოდვა? არ იყო ეს სიტყვა მისი, რომელმა სთქვა: „ვაი მათ, რომელნი აქ იცინიან!“

ვერა ჰპოვა თვით მან ქვეყანასა ზედა სასაცილო? მაშ ცუდად უძებნია. თვით ბავშვი ჰპოვებს აქ სასაცილოს.

მას საკმაოდ არ უყვარდა; თორემ ჩვენც ვეყვარებოდით, ჩვენ მოცინარნი! ხოლო მას ვძულდით და გვარცხვენდა ჩვენ, ყმუილი და კბილთა ღრჭენა აღგვიქვა ჩვენ.

განა უნდა მყისვე დასწყევლო, სად არ გიყვარს? ეს, მგონია, ცუდი გემოვნებაა. ხოლო ესე ქმნა მან, შეუნდობელმა. ის ბრბოისა იყო.

და თვით მას არ უყვარდა საკმაოდ: თუ არ, ნაკლებად განრისხდებოდა, რომ ის არ უყვარდათ. ყოველ დიდ სიყვარულს სიყვარული არა ჰსურს: - მეტი ჰსურს.

ჩემოეცალეთ ყველა მზგავს შეუნდობელთ! მათ მძიმე ფეხები აქვთ და გასიებული გული: - მათ ცეკვა არ იციან, ვით იყოს მზგავსთათვის მიწა მსუბუქი!

17.

ბრუდე გზით უახლოვდება ყოველი კარგი საგანი თვის მიზანს. კატებისათვის წელში იდრიკებიან, ისინი კრუტუნებენ თვისი ახლო ბედნიერებით, - ყოველი კარგი საგანი იცინის.

ნაბიჯი ამჟღავნებს, მიდის ადამიანი თ ვ ი ს ი გზით თუ არა: შემხედეთ, ვით დავდივარ! ხოლო რომელი მიზანს მიუახლოვდეს, იცეკვოს.

და ჭეშმარიტად, ძეგლად არ ვიქმნები, არა ვსდგევარ უძრავი, ბლაგვი, გაქვავებული, ვით სვეტი; მიყვარს სწრაფი სირბილი.

და თუ ქვეყანასა ზედა ჭაობიც არის და დიდი მწუხარება: რომელს მარდი ფეხები აქვნდეს, რბის ჭაობსა ზედა და ცეკვავს, ვით მოგვილ ყინულზე.

ზე გაქვნდნენ გულნი, ძმანო, ზე! უფრო მაღლა და ნუ დაივიწყებთ ფეხებსაც! ასწიეთ თქვენი ფეხებიც, თქვენ, მარდო მროკავნო, და უკეთესი; ყირამალაც დადექით!

18.

ეს გვირგვინი მცინარისა, ეს ვარდის გვირგვინი: მე თვით დავიდგი თავს ეს გვირგვინი, მე თვით ვცან ღვთაებრივად ჩემი სიცილი. ამისათვის დღეს საკმაოდ ძლიერი არავინ მინახავს.

ზარატუსტრა მოცეკვავე, ზარატუსტრა მსუბუქი, რომელი ფრთებსა შლის, მზა გასაფრენად, ყველა ფრინველი რომ თვალს უშვრება, მზა და მარდი, ნეტარ მსუბუქ-მარდი; -

ზარატუსტრა მისანი, ზარატუსტრა მცინარი, არა მოუთმენარი, არა შეუწყნარებელი, რომელს ხტომა უყვარს და გვერდზე ხტომა; მე თვით დავიდგი ეს გვირგვინი.

19.

ზე გაქვნდნენ გულნი, ძმანო, ზე! უფრო მაღლა! ნუ დაივიწყებთ ფეხებსაც! ასწიეთ თქვენი ფეხებიც, თქვენ, კარგო მროკავნო, და უკეთესი: ყირამალაც დასდექით!

თვით ბედნიერებაშიც არიან მძიმე ცხოველნი, არიან ტლანქები დაბადებით. ისინი იღწვიან, ვით სპილონი, რომელი იღწვის ყირამალა დადგეს.

უკეთესია სასაცილო იყო ბედნიერებით, ვიდრე სასაცილო უბედურებით, უმჯობესია ტლანქად ცეკვა, ვიდრე კოჭლობით სიარული. ესე ისწავეთ ჩემი სიბრძნე: თვით უარესსაც აქვს ორი კარგი უკანა მხარე, -

- თვით უარესსაც აქვს საცეკვაო ფეხები: ესე ისწავეთ თვით თქვენ,

მაღალნო ადამიანნო, თქვენ უტყუარ ფეხებზე დგომა!

ესე დაივიწყეთ მწუხარება და სევდა და ბრბოს მოწყენილობა! ჰე, ვით მწუხარე მეჩვენებიან დღეს ხალხის მასხარანი! ხოლო დღევანდელი დღე ბრბოისაა.

20.

მიჰბაძენით ქარს, ოდეს მთის ბუნაგებით გადმოვარდება; თვისი საკუთარი სალამურით ცეკვავს ის, ზღვანი შეინძრევიან და ხტებიან მის ფეხქვეშ!

რომელი ვირთ ფრთებს აძლევს, ლომებს სწველის, - კურთხეულ იყოს ეს კეთილი, უცხრომელი სული, რომელი ყოველ „დღეს“ და ყოველ ბრბოს, ვით ქარიშხალს ევლინება, -

- მტერია ყოველი ნარშავისა მჭკნარი ფოთლებისა და ღვარძლ ბალახისა: კურთხეულ იყოს ეს ველური, კეთილი, და ლაღი ქარიშხლის სული, რომელი ჭაობთა და მწუხარებასა ზედ, ვით ველთა ზედა ცეკვავს!

რომელს ბრბოს ჭლექიანი ძაღლები სძულს და ყოველი უვარგისი მოწყენილი მოდგმა: კურთხეულ იყოს ეს სული ყველა თავისუფალ სულთა, ქარიშხალი მცინარე, რომელი ყოველს შავად მხედვარეს და იარებით სავსეს მტვერს თვალებში აყრის!

რაოდენია კვლავ შესაძლებელი! ისწავეთ სიცილი თქვენ ზედა! ზე გაქვნდნენ გულნი, თქვენ კოხტა მცეკვარნო, მაღლა! უფრო მაღლა! და ნუ დაივიწყებთ კარგ სიცილსაც!

რაოდენია კვლავ შესაძლებელი! ი ს წ ა ვ ე თ სიცილი თქვენ ზე! ზე გაქვნდნენ გული, თქვენ კოხტა მცეკვარნო, მაღლა! უფრო მაღლა! და ნუ დაივიწყებთ კარგ სიცილსაც!

ეს გვირგვინი მოცინარისა, ეს გვირგვინი ვარდებისა: თქვენ გესვრით ამ გვირგვინს, ჩემო ძმებო! მე ღვთაებრივად ვაღიარე სიცილი; თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ი ს წ ა ვ ეთ სიცილი!

სევდის სიმღერა

1.

წარმოსთქვა რა ეს სიტყვანი, ზარატუსტრა თავისი გამოქვაბულის შესავალთან გაჩერდა; ხოლო უკანასკნელ სიტყვებთან ერთად უჩნეულად მოშორდა თავის სტუმართ და მცირე დროით გარეთ გავიდა.

„ჰე წმიდა სურნელება ირგვლივ, შესძახა, ჰე ნეტარი სიჩუმე ირგვლივ! ხოლო რა იქნენ ჩემი ცხოველნი? აქეთ, აქეთ, ჩემო არწივო და ჩემო გველო!

მითხარით, ჩემო ცხოველნო: ამ მაღალ ადამიანთ ყველას, იქნებ, ცუდი სუნი ასდით? ჰე წმინდა სურნელება ირგვლივ! მხოლოდ აწ ვიცი და ვგრძნობ, ვით მიყვარხართ, თქვენ, ჩემო ცხოველნო!“.

- და ზარატუსტრა კვლავ იტყოდა; „მიყვარხართ თქვენ, ჩემო ცხოველნო!“ არწივი და გველი მიუახლოვდნენ მას ამ სიტყვებს რომ იტყოდა და უმზერდნენ. ესე იდგნენ სამივე გაჩუმებულნი და ერთად ყნოსავდნენ კარგ ჰაერს. აქ გარეთ ჰაერი უკეთესი იყო, ვიდრე მაღალ ადამიანებთან.

2.

ხოლო დასტოვა რა ზარატუსტრამ გამოქვაბული, წამოხტა მოხუცი ჯადოქარი, ეშმაკურად მიიხედ-მოიხედა და სთქვა: „გასულა!

და თქვენ მაღალნო ადამიანნო, ნება მიბოძეთ მზგავსად მისისა, რათა ქებისა და ლაქუცის სახელით გიღიტინოთ - უკვე მაწვება ჩემი გაიძვერა და მაცდური სული, ჩემი სევდის ეშმაკი,

- რომელიც ამ ზარატუსტრას მოწინააღმდეგეა სულის სიღრმეში: შეუნდეთ! აწ ჰ ს უ რ ს მას თქვენ წინაშე იჯადოქროს, სწორედ ეხლა ჟამი დ ა უ დ გ ა: ამაოდ ვებრძვი მე ამ ბოროტ სულსა.

ყველას თქვენ, რანაირიც უნდა იყოს პატივისცემა სიტყვებით, რომელიც თქვენ თავს შეიძლება მისცეთ: „თავისუფალნი სულით“, შეგიძლიათ უწოდოთ, ან „მართალნი“, ან„სულით მონანიე“, ან „ხუნდებისაგან თავისუფალნი“, ან „დიდი მწუხარენი“,

- ყველას თქვენ, რომელნი იტანჯებით დიდი ზიზღით ჩემდა მზგავსად, რომელთათვის ძველი ღმერთი გარდაიცვალა და ახალი ღმერთი ჯერ შეარტახებულიც აკვანში არა სწევს, - ყველას თქვენ გეამებათ ჩემი ბოროტი სული და ჯადოქარი ეშმაკი.

გიცნობთ, თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ვიცნობ მას, - ვიცნობ ამ ურჩს, რომელი სურვილის წინააღმდეგ მიყვარს, ამ ზარატუსტრას: ის თვით ხშირად მეჩვენება მზგავსად ლამაზი წმიდანის ნიღაბისა,

- მზგავსად ახალი საკვირველი მასკარადისა, რომელიც ჩემ ბოროტ სულს, მწუხარე ჩემ ეშმაკს მოსწონს; - მიყვარს ზარატუსტრა, ესე მგონია ხშირად, ჩემი ბოროტი სულის გულისათვის.

ხოლო ის უკვე თავს მატყდება, სულს მიხუთავს, ეს სული მწუხარებისა, ეს საღამოს დაისი ეშმაკი, ჭეშმარიტად, თქვენ მაღალნო ადამიანნო, მას ნებავს -

- თვალები გაახილეთ! - ნებავს შიშველი მოვიდეს, მამაკაცის ან დედაკაცის სახით. ჯერ ვიცი: ხოლო ის მოდის, თავს მატყდება, ვაგლახ! გახსენით თქვენი გრძნობა!

დღე ილევა, ყველას დაუდგება საღამო, თვით უკეთესსაც: ისმინეთ და ნახეთ, თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ვითარია ეშმაკი, მამაკაცი ან დედაკაცი, ეს სული საღამოს სევდისა!“

ესე იტყოდა მოხუცი ჯადოქარი. ეშმაკურად მიიხედ-მოიხედა და ხელი წაავლო თავის ქნარს.

3.

როდეს ჰაერი განათდება
ოდეს უკვე ნამის ნუგეში
მიწაზე ჩამოსწვეთს,

უხილავი და ჩუმი -
ვინაიდან ფაქიზ ფეხსაცმელებს ატარებს -
ნუგეშის ნამი მზგავსად ყველა წყნარი ნუგეშისმცემელის -:
მოიგონე მაშინ, მოიგონე, ცხოველო გულო,
ვით ერთ დროს გწყეროდა
ზეციური ცრემლები, ნამის წვეთები,
მიხრწნილს და დაღლილს გწყეროდა,
ვინაიდან ყვითელ ბალახიან ბილიკზე
ბოროტი საღამოს მზის თვალები
შავ ხეთა შორის შენს გარშემო რბოდა,
დამაბრმავებელი მზის მხურვალე თვალები, მავნებლობით
მხიარულნი?
„ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს რაინდი? შენ? - ესე დაგცინოდნენ ისინი -
არა მხოლოდ მგოსანი!
ცხოველი, გაიძვერა მტაცებელი მოხეტიალე,

რომელმა უნდა იტყუოს,
რომელმა ნებსით უნდა იტყუოს;
მსხვერპლს ჩაუსაფრდეს
ჭრელი ნიღაბით,
თვით ნიღაბი,
თვით თვისი მსხვერპლი -
ჭეშმარიტების რაინდი? შენ?
არა! მხოლოდ რეგვენი! მხოლოდ მგოსანი,
მხოლოდ ჭრელად მოლაპარაკე,
რეგვენის ნიღბით ჭრელად მყვირალი,
მოხეტიალე, ცრუ სიტყვების ხიდებით,
ჭრელი ცისარტყელებით,
ყალბ ცათა შორის,
და ყალბ მიწათა შორის
მოხეტიალე, მაწანწალა, -
მ ხ ო ლ ო დ რეგვენი! მ ხ ო ლ ო დ მგოსანი!
ესე - ჭეშმარიტების რაინდი?

არც ჩუმი, უდრეკი, სწორი, ცივი,
სურათად ქმნილი,
ღვთის სვეტად,
არ დადგმული ტაძართა წინაშე
ღვთის კარის დარაჯი:
არა! მტრულად განწყობილი მზგავსი ჭეშმარიტების ძეგლებისადმი,
ყოველი ველურობის უფრო შინაური, ვიდრე ტაძართა წინაშე,
აღვსილი კატის მხნეობით,
ყოველ ფანჯარაში მხტომი
[სკუპით,] ყოველ შემთხვევაში,
ყოველ უდაბურ ტყეში დაძრწი
მაძებარი - ვნებით აუწყებ,
რომ უდაბურ ტყეებში
ჭრელად დაფოთლილ მტაცებელ ცხველთა შორის
ცოდვილად ჯანსაღი და ჭრელი, და კარგად რბოდი,
ლირწი ყბებით
ნეტარად დამცინავი, ნეტარად ჯოჯოხეთური, ჯოჯოხეთურად
სისხლის მწყურავი.
მძარცვავი, მოხეტიალე, მატყუარა რბოდი: -
ან ვით არწივი, რომელი დიდხანს,

დიდხანს გაშტერებული უფსკრულებს დასცქერის,
თ ა ვ ი ს უფსკრულებს: -
თუ როგორ ის ძირს,
ძირსა, სულ ძირს
უფრო და უფრო ღრმა სიღრმეში ტრიალებს!
შემდეგ
უეცრივ, პირდაპირი ხაზით
შეკუმშული ფრთებით
ბ ა ტ კ ნ ე ბ ს თავს ატყდება.
[უეცრივ] ზემოდან, მწარედ მშიერი,
მაძებარი ბატკნებისა,
მოძულე ყველა ცხვრის სულის პატრონთა,

მოძულე, რაც გამოიყურება
მზგავსად ცხვრისა, ცხვრის თვალებით, ხუჭუჭ მატყლიანისა,
რუხი ბატკან-ცხვართა კეთილი განწყობილებით!
ესე,
ვით არწივი, ვით ვეფხვი
არიან მგოსნის სევდიანი სურვილები,
არიან შ ე ნ ი სევდიანი სურვილები ათას ნიღაბ ქვეშ;
შენ რეგვენო! შენ მგოსანო!

შენ ადამიანი იცან
ღმერთად და ცხვარად; -
ღმერთი დ ა ფ ლ ე თ ი ლ ი ადამიანის შორის
ვით ცვარი ადამიანის შორის
და დაფლეთის დროს მცინარე; -
ე ს ე ა, ესე შენი ბედნიერება!
ვეფხისა და არწივის ბედნიერება,
მგოსნისა და რეგვენის ბედნიერება!

ოდეს ჰაერი განათდება
და უკვე მთვარის ნამგალი
მწვანედ, შეწამულ დასავლის შორისით
და შურით იპარება
დღის მტერი,
ყოველი ნაბიჯით იდუმალი,
თაიგულებს ვარდისას

სჭრის, ვიდრე თავს არ დაჰკიდავენ
ღამით ფერწასულნი თავჩაქინდრულნი: -

ესე დავკიდე თავი მეცა ოდესღაც
ჩემი ჭეშმარიტების შეშლილობით,
ჩემი დღის სურვილებით,
დღით მოქანცული, სნეული შუქით,
თავი დავკიდე ძირს, საღამოთი, ჩრდილში:
ერთი ჭეშმარიტებით

დამწვარი და მწყურვალი:
მოიგონე, მოიგონე კვლავ, მხურვალე გულო,
როგორ მწყუროდა მაშინ?
რომ მე გაძევებული ვიყავი
ყველა ჭეშმარიტებიდან,
მხოლოდ რეგვენი!
მხოლოდ მგოსანი!

მეცნიერებისათვის

ესე მღეროდა ჯადოქარი; და ყველანი, ერთად მყოფნი, მოხვდნენ შეუმჩნევლად მისი მაცდური, დამწუხრებული ლირწების ბადეში. ხოლო სულით სინდისიერი არ იქმნა შეპყრობილი: მან წაართვა ქნარი ჯადოქარსა და შესძახა: ჰაერი! შემოუშვით სუფთა ჰაერი! შემოუშვით ზარატუსტრა! შენ ჰხუთავ და სწამლავ ამ გამოქვაბულსა, შენ, ბოროტო მოხუცო ჯადოქარო!

შენ გვიტყუებ, შენ ყალბო და გამოცდილო, უცნობ ვნებათა და უდაბნოებისაკენ. და ვაგლახ, თუ შენებრნი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს სალაპარაკოდ ხდიან და საგნად!

ვაი ყოველთ თავისუფალთ სულით, რომელნი არ ერიდებიან შ ე ნ ე ბ რ ჯადოქართ! გაქრა მათი თავისუფლება: შენ ასწავი და იტყუებ უკან საპყრობილისაკენ, -

- შენ ბებერო, სევდიანო ეშმაკო, შენ, გოდებით წარმტაცო სალამურო, ემზგავსები მათ, რომელნი თვისი ქებით უბიწოებისა გარყვნილებად მოუწოდებ!“

ესე იტყოდა სინდისიერი; ხოლო მოხუცი ჯადოქარი აქეთ-იქით იხედებოდა, სტკბებოდა თავისი გამარჯვებით და ჰყლაპავდა წყენას, სინდისიერის მიერ გამოწვეულსა. „გაჩუმდი! სთქვა მან კრძალვითი ხმით, კარგი სიმღერები კარგ ბანსა ჰპოვებს; კარგი სიმღერების შემდეგ დიდხანს სიჩუმე უნდა.

ესე სჩადიან ყველა ეს მაღალი ადამიანნი, ხოლო შენ ცოტას მიხვდი ჩემ სიმღერისას? შენ შორის მცირედია ჯადოქრობის სული“.

„მაქებ, მიუგო სინდისიერმა, როცა შენგან განმასხვავებ, რა ეშველება! ხოლო თქვენ დანარჩენნო, რასა ვხედავ? თქვენ კვლავ ზიხართ

ლირწი თვალებით -

თქვენ თავისუფალნო სულით, სად გაჰქრა თქვენი თავისუფლება! თითქმის მათ ემზგავსებით, რომელნი დიდხანს მროკავ ტიტველ, გახრწნილ დიაცებს უმზერდნენ: თქვენი სულები როკავენ!

თქვენ შორის, მაღალნო ადამიანნო, ჰხამს ბევრია ისეთი, რასაც ჯადოქარი თავის ბოროტ ჯადოქარს და სიცრუის სულს უწოდებს: - ჩვენ უნდა განვსხვავდებოდეთ.

და ჭეშმარიტად, საკმაოდ ვლაპარაკობდით და ვფიქრობდით ერთად, ვიდრე ზარატუსტრა თავის გამოქვაბულს დაუბრუნდებოდა, რათა ვიცოდეთ, რომ ჩვენ განვსხვავდებით.

აქ, მაღლა, თქვენ და მე ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ვ ე ძ ი ე ბ თ. მე ვეძიებ მეტ სიმყარეს, ამისათვის მოველ ზარატუსტრასთან - იგი უფროისად მყარი კოშკია და ნება.

- დღეს, როდესაც ყველაფერი მერყეობს, როდესაც დედამიწა ინძრევა, ხოლო თქვენ, ოდეს თქვენ თვალებს ვუმზერ, თქვენს გამომეტყველებას, თითქმის მგონია, თქვენ უფრო ა რ ა ს ი მ ყ ა რ ე ს ეძებთ,

- მეტ შიშს, მეტ განსაცდელს, მეტ მიწისძვრას, თქვენ გეხალისებათ, თითქმის მგონია ესე, შემინდეთ ჩემი ვარაუდი, თქვენ მაღალნო ადამიანნო, -

- თქვენ გეხალისებათ უმძიმესი, უფროსად ხიფათიანი ცხოვრება, რაც მე უდიდეს შიშსა მგვრის, ცხოვრება გარეულ ცხოველთა ტყეებში, გამოქვაბულში, ციცაბო მთებში, გაუვალ ხეობებში.

და არა წინამძღვარი გ ა ნ ს ა ც დ ე ლ ი თ მოგწონთ თქვენ უფრო, არამედ რომელნი ყველა გზებს აგიბნევენ, გზის ამბნევი. ხოლო უკეთუ ესეთი ხალისი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ გაქვთ თქვენ, ის მგონია მაინც შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ.

შიში - ადამიანის სამემკვიდრე და დასაბამითი გრძნობაა; შიშით აიხსნება ყოველი, მემკვიდრეობითი ცოდვა და მემკვიდრეობითი სათნოება. შიშით იზრდება ჩ ე მ ი სათნოებაც. მას მეცნიერება ეწოდება.

შიში გარეულ ცხველთა - ეს ადამიანს ყველაზე დიდხანს ენერგება იმ ცხოველის შიშთან ერთად, რომელსაც ადამიანი თავის შორის მალავს

და ეშინის: - ზარატუსტრა ამას „შინაურ პირუტყვს“ უწოდებს.

ესეთი დიდი ხნის, ძველი შიში ბოლოს გაფაქიზდა, განსულიერდა - დღეს მგონია წოდებულია: მეცნიერებად“. –

ესე იტყოდა სინდისიერი; ხოლო ზარატუსტრამ, რომელი ის იყო თავის გამოქვაბულში დაბრუნდა და უკანასკნელი სიტყვები მოისმინა და მათი აზრი გამოიცნო, სინდისიერს ერთი მუჭა ვარდებისა ესროლა და სასაცილოდ აიგდო მისი „ჭეშმარიტებანი“. „როგორ, შესძახა მან, რა მესმა? ჭეშმარიტად, მგონია რეგვენი ხარ ან მე უნდა ვიყო რეგვენი: და შენ „ჭეშმარიტებას“ მყის ყირამალა დავაყენებ.
შიში - ჩვენთვის გამონაკლისია. ვაჟკაცობა და ბედის ძიება და უცნაურის ხალისი, გასაგებად ძნელისა - ვაჟკაცობა მგონია ადამიანის მთელი პირველყოფილი ისტორია.

უველურეს, უვაჟკაცეს ცხოველთა ყველა სათნოება შეშურდა მას და გაძარცვა ისინი: ესე შეიქმნა მხოლოდ ადამიანად.

ეს ვაჟკაცობა ბოლოს გაფაქიზდა და განსულიერდა, ეს ადამიანის ვაჟკაცობაა. არწივის ფრთებით და გველის გონიერებით: მას მგონია დღეს უწოდებენ - „

„ზარატუსტრას!“ შეჰყვირეს ყველა ერთადმყოფთ თითქოს ერთი პირით და ამასთან ხმამაღლა გაიცინეს; ხოლო მათგან თითქოს მძიმე ღრუბელი ავარდა, თითქოს ჯადოქარიც იცინოდა და გონივრულად სთქვა: „რა ეშველება! მომშორდა ჩემი ბოროტი სული! განა არ გაფრთხილებდით, რას გეუბნებოდით, ეს სული სიცრუისა და ტყუილისა მატყუარაა?

უფროსად, ოდეს შიშველი გვეჩვენება. ხოლო განა მე ვარ მოპასუხე მისი მზაკვრობისა! განა მე შევქმენი ქვეყნიერება და ის?

რა ეშველება! ვიყვნეთ კვლავაც კეთილნი და მხიარულნი! და ზარატუსტრა უკვე მრისხანედ გამოიყურება, შეხედეთ! მე მირისხდება: -

- ვიდრე დაღამდებოდეს, ისწავით ჩემ სიყვარულსა და ქებასა, არ ძალუძს სიცოცხლეს, თუ ამგვარ რეგვნობას არ ჩაიდენს.

მას უყვარს თვისი მტერი: ეს ხელოვნება იცის ყველაზე უკეთესად, ვინც კი მინახავს, ხოლო ის შურს იძიებს ამისთვის - თავის მეგობართა წინააღმდეგ!

ესე იტყოდა მოხუცი ჯადოქარი და მაღალნი ადამიანნი ეთანხმებოდნენ: ესე. რომ ზარატუსტრამ ჩამოუარა ბრაზით და სიყვარულით თავის მეგობართ, ხელს ართმევდა ბრაზით და სიყვარული - მზგავსად ვიეთისა, რომელი ყველას წინაშე ბოდიშს იხდის და ყველას ამშვიდებს, ხოლო ოდეს მივიდა თავის გამოქვაბულის კართან, კვლავ მოეხალისა გარეთ სუფთა ჰაერი და თვისი ცხოველები, და ჰსურდა გარეთ გაპარულიყო.

უდაბნოს დიაცთა შორის

„ნუ წახვალ! სთქვა ყარიბმა, თავს რომ ზარატუსტრას ჩრდილს უწოდებდა, დარჩი ჩვენთან, - თორემ ძველი შემხუთავი მწუხარება დაგვაწვება.

ჯადოქარმა უკვე მოგვცა თვისი უარესი და უყურე, კეთილ მსახურ პაპს ცრემლი მოერია და მწუხარების ზღვას მისცა თავი.

ხოლო ეს მეფენი კვლავ მხნეობენ ჩვენ წინაშე: ყველაზე კარგად მათ ჩვენგან ეს ისწავლეს დღეს! მოწმენი რომ არა ჰყოლოდათ, ნიძლავსა ვსდებ, ისინი კვლავ ცუდ თამაშს მიჰყოფდნენ ხელსა, -

-ბოროტ თამაშს ზლაზნია ღრუბლებისა, ნოტიო სევდისა, დაბურული ცისა, მოპარულ მზეთა, შემოდგომის ღრიალა ქართა.

- ბოროტ თამაშს ჩვენი გოდებისა და მწუხარების ძახილისა: დარჩი ჩვენთან ზარატუსტრა! აქ ბევრი ფარული სიღატაკეა, რომელს სიტყვა ჰსურს. ბევრი სიბნელეა, ბევრი ღრუბლები, ბევრი შემხუთავი ჰაერი!

გვიმასპინძლდებოდი ვაჟკაცთა ჭამადით და გამამაგრებელი სიტყვებით: ნუ იზამ, რათა სადილის შემდეგ არ შეგვიპყროს დედაკაცთა განაზებულმა სულმა!

მხოლოდ შენ ჰქმნი ჰაერს შენს გარშემო ძლიერსა და ნათელს! განა დედა მიწაზე მიპოვნია ისეთი კარგი ჰაერი, როგორიც ვიპოვე შენთან შენ გამოქვაბულში?

მრავალი ქვეყანა ვნახე, ჩემმა ცხვირმა ბევრი რამ ისწავლა, ჰაერის

შემოწმება და დაფასება: ხოლო შენთან სტკბება ჩემი ნესტოები შენი დიდი ჰაერით!

გარდა, - გარდა, - შემინდე ძველი მოგონება! შემინდე ძველი სუფრული სიმღერა, რომელი მე ოდესღაც უდაბნოს დიაცთა შორის შევსთხზე: -

მათთანაც კარგი ნათელი აღმოსავლური ჰაერი იყო; იქ ფრიად დაშორებული ვიყავი ღრუბლის, ნოტიო, სევდიან ძველ ევროპას!

მაშინ მიყვარდა ისინი, აღმოსავლეთის დიაცები და სხვა ლურჯი ციური სამეფო, რომელსა არა ღრუბელი ჰკიდია და ფიქრები.

არ დაიჯერებთ, ვით საყვარლად ისხდნენ ისინი, ოდეს არ როკავდნენ, ღრმა, უაზრო, ვით პატარა საიდუმლოებანი, ვით შემკობილი გამოცანები, ვით სადესერტო კაკლები -

ჭრელნი და უცხონი, ჭეშმარიტად! ხოლო უღრუბლო: გამოცანები, რომელთა ამოცნობა შეიძლებოდა: ესეთი დიაცების სიყვარულით შევთხზე მაშინ ერთი სუფრის ფსალმუნი“.

ესე იტყოდა ყარიბი და ჩრდილი; და ვიდრე სხვა უპასუხებდა, მან უკვე აიღო ხელთ მოხუცი ჯადოქრის ქნარი, მოიკეცა და წყნარად და ბრძნულად იყურებოდა: - ნესტოებით ნელა და გამოცდით შეისუნთქა ჰაერი, ვიეთისებრ, ახალ ქვეყნებში რომ ახალ უცხო ჰაერსა სინჯავს. შემდეგ დაიწყო მოთქმის მზგავსად სიმღერა.

2.

უდაბნო იზრდება**:** ვაი მას**,** რომელი უდაბნოს იფარავს**.**

- ჰა! მხიარულად!
მართლა მხიარულად!
ღირსეული დასაწყისი!
აფრიკულად მხიარული!
ლომის ღირსი
ან ერთი მორალის - მყვირალა მაიმუნისა -
ხოლო არა თქვენთვის,

თქვენ უსაყვარლესო მეგობარნო ქალნო,
რომელთა ფეხებთან მე,
ჭირვეულად
ევროპელს პალმების ქვეშ
მიხდება ჯდომა,
სალამი.
ჭეშმარიტად, საყვარელია!
აქ ვზივარ აწ
უდაბნოს ახლოს და აგრეთვე
ესე შორს უდაბნოდან,
აგრეთვე არაფრით განადგურებული:
სახელდობრ, ჩაყლაპული
ამ პატარა ოაზისით -:
მან გააღო სწორედ მაშინ მთქნარების დროს
თვისი საყვარელი ტუჩები,
უფროსად სურნელოვანი ყველა ტუჩებზე;
ჩამოვვარდი თქვენ შორის
ზევიდან, შიგ - თქვენ შორის

თქვენ უსაყვარლესო მეგობარო ქალნო! სალამი.

დიდება, დიდება იმ ვეშაპს,
უკეთუ თავის სტუმარს
კარგად ეპყრობოდა! თქვენ გესმით
ჩემი სწავლული ნიშანი?
დიდება მის მუცელს,
თუ ის აგრეთვე
საყვარელი ოაზისი - მუცელი იყო,
როგორც ეს არის: რის ეჭვიც მაქვს.
ამისათვის მოვედ ევროპიდან,
რომელიც უფრო ეჭვიანია ვიდრე ყველა
ხანში შესული ცოლი.
უკეთესი ჰქმნას ღმერთმა!
ამინ!

აქ ვზივარ აწ!
ამ მცირედ ოაზისში;
ვით ხურმა
თალხი, მეტად ტკბილი, ოქროსფერი, მენატრება
რგვალი გოგოს პირი
ხოლო უფრო გოგოს
ცივი, ვით ყინული, ბასრი,
კბენარა კბილები: რომლებისთვისაც
სევდით ივსებიან ყველა ცხელი ხურმები. სალამი.
აქ სამხრეთის ხილის
მზგავსი, ძლიერ მზგავსი,
აქ ვწევარ,
მფრინავ მწერთა მიერ
გარშემორტყმული, ისინი გარშემო მითამაშებდნენ.
აგრეთვე გარშემორტყმული მცირე
სულელური ცოდვით
სურვილებით და ჟინით, -
გარემოცული თქვენ მიერ
თქვენ, ჩუმნო და წინათგრძნობით აღვსილნო
დიაცნო-კატებო
დუდუ და ზულეიკა,

მ ო ს ფ ი ნ ქ ს ე ბ უ ლ ი, რათა ამ ერთ სიტყვაში
ბევრი გრძნობა დავფარო:
შემინდე, უფალო,
ენის ეს შეცდომა!
ვზივარ აქ, მსუნთქავი უმშვენიერესი ჰაერისა
ჭეშმარიტად სამოთხის ჰაერით,
ნათელი მსუბუქი ჰაერით ოქროთი დაფოთლილით,
ესეთი კარგი ჰაერი აროდეს
მთვარიდან არ ჩამოვარდნილა -
არც შემთხვევით, არც ანცობით
როგორც ძველი მგოსნები გვიამბობდნენ.

ხოლო მე ეჭვიანს ეჭვი მაქვს,
მე ხომ მოველ
ევროპიდან,
რომელიც უფრო ჭკვიანია, ვიდრე
ყველა ხანშიშესული ცოლი.
უკეთესი ჰქმნას ღმერთმა!
ამინ!
ვსვამ რა ამ მშვენიერ ჰაერს
ნესტოებით გაფართოებულით, ვით თასები,
უმყობადოდ, უმეხსიერებოდ
ესე ვზივარ აქ, თქვენ
უსაყვარლესნო მეგობარნო ქალნო!
და ვუმზერ პალმას,
რომელიც მზგავსად მროკავი ქალისა
იღუნება, იზნიქება, თეძოებით ირწევა,
შენ ჰბაძავ, თუ დიდ ხანს უცქერი!
ვით მროკავი ქალი, რომელიც, მგონია,
ფრიად დიდ ხანს, სახიფათოდ დიდ ხანს,
კვლავ და კვლავ მხოლოდ ცალ ფეხზე იდგა,
მას დაავიწყდა, მგონია,
მეორე ფეხი?
ამაოდ, ყველა შემთხვევაში,
ვეძებდი დავიწყებულ
ტყუპის სამკაულს
მეორე ფეხს -
წმიდა მეზობლობაში

მათი საყვარელი, ჰაეროვანი,
შრიალა, ბრჭყვიალა, მარაოსებრი ქვედატანებისა.
დიახ, თუ თქვენ, ტურფა მეგობარნო ქალნო,
სრულიად მერწმუნებით,
მან დაჰკარგა ის!
აღარ არის!

სამუდამოდ აღარ არის
მეორე ფეხი!
ჰე, ვით სამწუხაროა მეორე საყვარელი ფეხის დაკარგვა!
სად შეიძლებოდა ის დარჩენილიყო აწ დატოვებული
დამწუხრებული?
მარტოფეხი?
შეშინებული, იქნებ,
ქერა ურჩხულის მეირ,
გამოხრული, შეჭმული - საცოდავად, ვაგლახ! ვაგლახ! შეჭმული!
სალამი.

ეჰ, ნუ სტირით,
ჩვილნო გულნო!
ნუ სტირით, თქვენ
ხურმის გულებო! რძის მკედრნო!
თქვენ, ტკბილი ხის გულთა
პარკუჭებო!
ნულარა სტირი,
ფერმკრთალო დუდუ!
იყავი კაცი, ზულეიკა! გამხნევდით! გამხნევდით!
ან იქნებ
რაღაც გასამხნევებელი, გულის გასამაგრებელი
აქ, ამ ადგილს უფრო შეეფერება?
სურნელოვანი ანდაზა?
მხიარული თქმა? –
ჰა! აღსდექ! ღირსება!
სათნოების ღირსება! ევროპელის ღირსება!
დაჰბერე, დაჰბერე კვლავ
სათნოების საბერველო!
ჰე!
კვლავ იღრიალე,
მოღალულად იღრიალე,
ვით მოღალულმა ლომმა

უდაბნოს დიაცთა წინაშე იღრიალე!
ვინაიდან სათნოების ღრიალი
თქვენ საყვარელნო დიაცნო,
მეტია, ევროპელის სულის მხურვალებაზე, ევროპელის ვნებაზე!
და აგერ, აქ ვარ,
ვით ევროპელი,
მე სხვაფრივ არ შემიძლიან, ღმერთი იყოს ჩემი მწე!
ამინ.

უდაბნო იზრდება: ვაი მას, რომელი უდაბნოს იფარავს.

გამოღვიძება

1.

ყარიბის სიმღერისა და ჩრდილის სიმღერის შემდეგ გამოქვაბული კვლავ მყის ხმაურობითა და სიცილით აივსო: და ვინაიდან თავმოყრილნი სტუმარნი ყველანი ერთად ლაპარაკობდნენ და ვირიც ამ წაქეზებით ჩუმად ვეღარა სძლებდა, ზარატუსტრა მცირედმა ზიზღმა შეიპყრო და დამცინავის გრძნობამ თავის სტუმართათვის: მართალია, უხაროდა მათი მხიარულება, ვანაიდან მას ეს გამოჯანსაღების ნიშანი ეგონა. ესე გაიპარა გარეთ და უთხრა თავის ცხოველთ.

„სად არის აწ მათი მწუხარება? სთქვა მან და უკვე თავისი პატარა ზიზღი გაიქარწყლა, - ჩემთან დაივიწყეს მათ, როგორც მგონია, მწუხარების ყვირილი!

მართალია, სამწუხაროდ, არა - ყვირილი“, და ზარატუსტრამ ყურები დაიცო, ვინაიდან ამ დროს შეერია „ი-ა“ ვირისა, საკვირველად უერთდებოდა მხიარულების ხმაურობას ამ დიდ ადამიანთა.

„ისინი მხიარულობენ, დაიწყო მან კვლავ, და ვინ უწყის იქნებ მათი მასპინძლის ხარჯით; და თუ ისწავლეს ჩემგან სიცილი, ეს ჩ ე მ ი სიცილი არ არის, რაც მათ ისწავლეს.

ჰეი! მოხუცი ხალხია: თავიანთებურად ჯანმრთელდებიან,

თავიანთებურად იცინიან; ჩემ ყურთ უარესი გადაუტანიათ და ამით ბრაზიანები არ შეიქმნენ.

ეს დღე გამარჯვებაა: ის უკვე მიდის, მირბის, ს უ ლ ი ს ი მ ძ ი მ ი ს ა ჩემი ძველი დაფიცული მტერი! რა კარგად მთავრდება ეს დღე, ესე ცუდად და მძიმედ რომ დაიწყო!

მას ბოლო ჰ ს უ რ ს. უკვე საღამო დგება: ზღვასა ზედა მოჰსცურავს კარგი მხედარი. ვით ირწევა, ნეტარი, შინით მოშურე, თვის მეწამულ უნაგირში!
ცა ნათლად იმზირება, ქვეყანა ღრმად ისვენებს: ჰე, თქვენ ყველანო, უცნაურნო„ ჩემთან მოსულნო, ღირს ჩემთან ცხოვრება!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა და კვლავ მოისმა ყვირილი და სიცილი მაღალ ადამიანთა გამოქვაბულით: ზარატუსტრამ კი სულ ახლად იწყო.

ისინი ჰკენკავენ, ჩემი ნესკავი მოქმედებს და მათ შორდება აგრეთვე მათი მტერი, სული სიმძიმისა. უკვე სწავლობენ თავის თავის დაცინვას: კარგად მესმის?
ჩემი ვაჟკაცური ჭამადი მოქმედებს, ჩემი ცვრიანი სიტყვები და ძლიერი: და ჭეშმარიტად, მათთვის მუცლის გამბერავი მწვანილეულობა არ მიჭმევია! არამედ ჭამადი მეომართა, დამპყრობთა ჭამადი: ახალი ვნებანი აღვუძარი.

ახალი იმედებია მათ მკლავსა და ფეხს, მათი გული იზმორება. ახალ სიტყვათ ჰპოვებენ, მალე მათი სული ვაჟკაცურად ისუნთქებს.

ეს ჭამადი ყრმათათვის არ არის, არც მოწყენილ მოხუც და ახალგაზრდა დედაკაცთათვის. სხვაფრივ დაიყოლიებენ მათ შიგნეულს; მათი მკურნალი და მოძღვარი არა ვარ მე!

ზ ი ზ ღ ი შორდება ამ მაღალ ადამიანთ: ჰე, ეს რომ გამარჯვებაა. ჩემ სამეფოში უშიშრად არიან, ყოველი რეგვნული სირცხვილი მირბის, ისინი იფურჩქნებიან.

იფურჩქნებიან გულით, კეთილი ჟამი უბრუნდებათ, ზეიმობენ და იცოხნიან - მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ი იქმნებიან.

ეს საუკეთესო ნიშნად მიმაჩნია: მადლიერნი იქმნებიან. ცოტა ხანი კიდევ და უქმეებს გამონახავენ და თავის მოხუც მხიარულებას ძეგლებს დაუდგამენ.

ისინი გამოჯანსაღების გზას დამდგარნი არიან!“ ესე ეტყოდა ზარატუსტრა სიხარულით თავის გულს და შორს იმზირებოდა; ხოლო მისი ცხოველნი მიუახლოვდნენ მას და პატივსა სცემდნენ მის ბედნიერებასა და მის სიჩუმეს.

2.

უეცრივ ზარატუსტრას ყურს ზარი დაეცა: გამოქვაბულში, აქამდე რომ ხმიანობითა და სიცილით სავსე იყო, ერთბაშად სამარის სიჩუმე ჩამოვარდა; - ხოლო მისმა ცხვირმა იყნოსა კეთილ შეზავებული კომლი და სურნელება, ვით ცეცხლმოდებული კედართა.

„რა ხდება? რას სჩადიან?“ ჰკითხა თავსა და ჩუმად მივიდა შესავალთან, რათა შეუმჩნევლად თვალი დაეკრა თავის სტუმართათვის. საკვირველება საკვირველებათა! რა ნახა საკუთარი თვალებით! –

„კვლავ მორწმუნენი გამხდარან, ლოცულობენ, შეშლილან!“ - სთქვა და განცვიფრდა ზედმეტად. და მართლაც! ყველა ეს მაღალნი ადამიანნი, ორი მეფე, პაპი უსამსახურო, უკეთური ჯადოქარი, მოხალისე მათხოვარი, ყარიბი და ჩრდილი, მოხუცი მისანი, სულის სინდისიერი და უმზგავსესი ადამიანი; ყველა ბავშვებივით და მორწმუნე მოხუც დედაბრებივით ძირს დამხობილიყვნენ მუხლებზე და ვირსა

ლოცულობდნენ: და ისე დაიწყო უმზგავსესმა ადამიანმა შრიალი და სტვენა. თითქოს რაღაც გამოუთქმელს უნდოდა მისგან ამოსვლა; ხოლო ოდეს მართლაც მოახერხა სიტყვის თქმა, ეს იყო სათნო, იშვიათი ლიტანია ქებად ვირისა, რომელსაც ლოცულობდნენ და უკმევდნენ, ესე იყო ლიტანია:

ამინ! და დიდება და პატივისცემა და სიბრძნე და მადლობა და ქება და ძლიერება, ჩვენ ღმერთს, უკუნითი უკუნისამდე!

ხოლო ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

ის ზიდავს ჩვენ ტვირთს, მან მიიღო მსახურება, ის მომთმენია გულით და არადეს იტყვის „არა“; და ვისაც თვისი ღმერთი უყვარს, ის მას სჯის.

- ხოლო ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

ის არ ლაპარაკობს: ეს ნიშანია, რომ მის მიერ ქმნილ ქვეყანას მარად „ჰოს“ ეტყვის: ესე აქებს თვის ქვეყანას. მისი ეშმაკობაა ეს, რომელიც

არა ალაპარაკებს: ესე იშვიათად სცდება.

- და ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

შეუმჩნევლად მიდის ის ქვეყანაში. რუხია, ტანის ფერია, რომელშიაც იგი ჰფარავს თავის სათნოებას. თუ მას სული აქვს, ჰფარავს; ხოლო ყოველსა სწამს მისი დიდი ყურები.

- ხოლო ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

ვლი სწორი და ბრუდე გზით; შენ ნაკლებად გაწუხებს, რა გვეჩვენება. ჩვენ ადამიანებს სწორედ და ბრუდეთ. შენი სუფევა კეთილისა და ბოროტის გაღმაა. შენი უმანკოებაა, რომ შენ იცი რა არის უმანკოება.

- ხოლო ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

გიყვარს დედალი ვირები და ახალი ლეღვი. არა ხარ საჭმლის წყენია. იონჯა გულს გიტოვებს, ოდეს გშიან. ესეა ღმერთის სიბრძნე.

- ხოლო ვირმა დაჰყროყინა ი-ა.

ვირის ზეიმი

1.

ლიტანიის ამ ადგილას ზარატუსტრამ ვეღარ მოითმინა, თვით შესძახა ი-ა. უფრო ხმამაღლა ვიდრე ვირმა და გადახტა თავის შეშლილ სტუმართა შორის. „რას აკეთებთ აქ, ძენო კაცთანო? შეჰყვირა მან და მლოცველნი წამოაყენა. ვაი, თუ გარდა ზარატუსტრასი სხვაც დაგინახავდათ:
ყოველი იფიქრებდა, რომ თქვენ თქვენი ახალი სარწმუნოებით ღვთის უსაშინლესი მაგინებელნი შეიქმენით ან ურეგვენესნი ყველა მოხუც დედაკაცთა შორის!

და თვით შენ, შენ მოხუცო პაპო, როგორ მოგივიდა, რომ ამგვარად ვირს აქ ღმერთისათვის ლოცულობ?“ –

„ჰე, ზარატუსტრა, მიუგო პაპმა, შემინდე, ხოლო ღვთის საქმე მე უკეთ მესმის, ვიდრე შენ. და ესე მართალია.

უმჯობესია ღმერთი ესეთი სახით ვილოცოთ, ვიდრე არა სახით! იფიქრე ამ სიტყვებისათვის, ძვირფასო მეგობარო: შენ სწრაფად

მიხვდები, ამ სიტყვებში სიბრძნეა დაფარული.

მან, რომელმა სთქვა „ღმერთი სულია“ - იგი დღემდე ყველაზე დიდ ნაბიჯს და ნახტომს აკეთებს დედამიწაზე ურწმუნოებისაკენ: მზგავსი სიტყვები სამწუხაროდ დედამიწაზე ძნელად გასწორდება.

ჩემი მოხუცი გული ხტის და ფართხალებს, რათა ქვეყანას ჰყავდეს რაიმე სალოცავად. შეუნდე ესე, ჰე ზარატუსტრა, მოხუც მორწმუნე პაპის გულს!“ –

- „და შენ, უთხრა ზარატუსტრამ, ყარიბს და ჩრდილს, შენ თავს თავისუფალს უძახი და ესეთი გგონია თავი? და აქ ესეთ კერპთაყვანისმცემელთა და მღვდლების სამსხურს ასრულებ?

ჭეშმარიტად, უარესსა ჰქმნი აქ, ვიდრე შენ გარყვნილ, შავგვრემან გოგოებთან, შენ ახალო გაიძვერა მორწმუნე!“

„საკმაოდ უარესსა, მიუგო ყარიბმა და ჩრდილმა, მართალს იტყვი, ჰე ზარატუსტრა, რაც გინდა სთქვი.

უმზგავსესი ადამიანი ყველაზე მეტად დამნაშავეა: მან ის კვლავ მკვდრეთით აღადგინა და ოდეს იტყვის, რომ მან ის ოდესღაც მოჰკლა: სიკვდილი ღმერთებთან მხოლოდ ცრურწმენაა“.

- „და შენ, სთქვა ზარატუსტრამ, შენ უკეთურო მოხუცო ჯადოქარო, რასა ჰქმნი! ვინ დაგიჯეროს ამ თავისუფალ დროს ამიერით, უკეთუ შენ ვირღმერთები გწამს?

რეგვენობაა, რასაც შენ ჰქმნი: ვით შეგეძლო შენ, შენ გონიერო, მზგავსი რეგვენობა ჩაგედინა!“.

„ჰე, ზარატუსტრა, მიუგო ჭკვიანმა ჯადოქარმა, მართალი ხარ, რეგვენობა იყო, - მეც ძვირად დამიჯდა“.

„და შენც, სთქვა ზარატუსტრამ სულით სინდისიერს, იფიქრე და თითი ცხვირზე მიიდე! აქ შენ სინდისს არაფერი უშლის ხელს? შენი სული მეტად უბიწო არ არის ამ ლოცვისათვის და საკმევლისათვის ამ ლოცვის ძმათა?“

„არის რაღაც, უპასუხა სინდისიერმა და თითი ცხვირზე მიიდო, არის რაღაც ამ კომედიაში, რაც ამ სინიდისს არგებს.

იქნებ, მე არ უნდა მწამდეს ღმერთი: მაგრამ უტყუარია, რომ ამ სახით ღმერთი მეტად სარწმუნო მგონია.

ღმერთი უნდა მარადიული იყოს მორწმუნეთა მოწმობით: ვისაც ესე ბევრი დრო აქვს, დროისათვის არა სწუხს. ისე ნელად და რეგვენულად, როგორც კი შესაძლებელია: ა მ ი თ მას შორს შეუძლიან წავიდეს.

და ვისაც სულისა ზედმეტი აქვს, მას შეუძლია სისულელეში და რეგვენობაში თვით გასულელდეს. იფიქრე შენი თავისათვის, ჰე ზარატუსტრა!

შენ თვით - ჭეშმარიტად! - შენც შეგიძლია სიჭარბითა და სიბრძნით ვირად იქმნე.

განა არ ვლის სრულყოფილი ბრძენი ბრუდე გზებით? გარეგნობა ამტკიცებს ამას, ჰე, ზარატუსტრა, შენი გარეგნობა!“.

- „და შენ თვით ბოლოს, მიმართა ზარატუსტრამ და მიუბრუნდა უმზგავსეს ადამიანს, რომელიც კვლავ ძირს იწვა ვირისადმი აპყრობილი ხელით (ის მას ღვინოს ასმევდა). სთქვი შენ, გამოუთქმელო, რა ჰქმენ!

მგონია ფერი იცვალე, შენი თვალი აგზნებულია, წამოსასხამი ამაღლებულისა აცვია შენს უმზგავსოებას: რა ჰქმენი?

მართალია, რასაც იგინი იტყვიან, რომ შენ კვლავ მკვდრეთით აღადგინე ის? და რისთვის? არ იყო ის საბოლოოდ მოკლული?

შენ თვით მეჩვენები მკვდრეთით აღდგომილად: რა ჰქმენ? რა გარდაჰქმენ? რისთვის იცვალე ფერი? სთქვი, შენ უთქმელო!“.

„ჰე, ზარატუსტრა, მიუგო უმზგავსესმა ადამიანმა, შენ გაიძვერა ხარ!

კვლავ ცოცხალია ის, მკვდრეთით აღსდგა თუ საბოლოოდ მოკვდა, - რომელმა ჩვენგანმა უწყის ეს? გეკითხები.

ერთი რამ ვიცი - შენგან ვისწავლე ეს ოდესღაც, ჰე ზარატუსტრა: რომელსაც საბოლოო მკვლელობა ჰსურს, იცინის.
„არა მრისხანებით, არამედ სიცილით ჰკლავენ“ - ამას იტყოდა ოდესღაც. ჰე ზარატუსტრა, შენ იდუმალო, შენ მმუსვრელო არა მრისხანებით, შენ სახიფათო წმინდანო, - შენ გაიძვერა ხარ!“.

2.
ხოლო აქ ზარატუსტრამ, განცვიფრებულმა მზგავსი გაიძვერა პასუხებით, თვისი გამოქვაბულის კარს მიაშურა და მიმართა რა თვის სტუმართ, მაღალი ხმით შესძახა;

„ჰე, თქვენ რეგვენნო, თქვენ მასხარებო! რას ჰმალავთ და ჰფარავთ ჩემგან!

როგორ სცემდა ყოველი თქვენგანის გული სიხარულითა და სიბრაზით, რომ თქვენ ერთხელ კვლავ ეგრეთვე იქმენით ვით ბავშვები, გახდით ღვთისმოსავნი.

- რომ თქვენ ბოლოს იქცეოდით, ვით ბავშვები იქცევიან, ესე არს ლოცულობდით გულხელიკრეფდით და - „საყვარელო ღმერთო“ იძახდით!

ხოლო აწ დასტოვეთ ეს საბავშვო ოთახი, ჩემი საკუთარი გამოქვაბული, სად დღეს ყოველი ბავშვობა შინაურია. გააგრილეთ აქ გარეთ თქვენი გაცხელებული, ბავშვური მოუსვენრობა და გულის ძვრა!

ჭეშმარიტად, უკეთუ არ იქმთ მზგავსად ბავშვებისა, ვერ დაიმკვიდრებთ სასუფეველს. (და ზარატუსტრა ხელებით მაღლა მიუთითებდა).

ხოლო ჩვენ არცა გვსურს სასუფეველი ცათა: მამაკაცებად გვინდა ყოფნა, - ე ს ე გ ვ ს უ რ ს ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი მ ი წ ი ს ა“.

3.

და კვლავ იწყო ზარატუსტრამ ლაპარაკი. „ჰე ჩემო ახალნო მეგობარნო, სთქვა მან. - თქვენ უცნაურნო, თქვენ მაღალნო ადამიანნო, ვით მომწონხართ აწ -

- რაც კვლავ გამხიარულდით! ჭეშმარიტად, ყველა თქვენთაგანი აყვავდა; მგონია, თქვენი მზგავსი ყვავილები ა ხ ა ლ ზ ე ი მ ს საჭიროებს, - ერთ გაბედულ უაზრობას, თუნდაც ღვთისმსახურებას და ვირის ზეიმს, რეგვენ ზარატუსტრას, ქარს, რომელი თქვენ სულს ნათლად გააღვიძებს.

ნუ დაივიწყებთ ამ ღამეს და ამ ვირის ზეიმს, თქვენ მაღალნო ადამიანნო! ეს თქვენ ჩემთან აღმოაჩინეთ, ა მ ა ს კეთილ სასწაულად მივიღებ, - მზგავსს მხოლოდ გამოჯანსაღებულნი ჰპოვებენ!

კვლავ იუქმეთ ეს ვირის ზეიმი, ჰქმენით ესე თქვენი თავისადმი სიყვარულით, ჩემი სიყვარულითაც! და მოსახსენებლად ჩემდა“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სიმთვრალის სიმღერა

1.

ხოლო ამ დროს ერთი მეორის მერე გარეთ გავიდნენ გრილ, ჩაფიქრებულ ღამეში; ხოლო ზარატუსტრას თვით მიჰყავდა ხელით უმზგავსესი ადამიანი, რათა ეჩვენებინა თვისი ღამის სამყარო, დიდი, მრგვალი მთვარე და ვერცხლის ჩანჩქერი მისი გამოქვაბულის ახლოს. ბოლოს ყველანი იდგნენ ჩუმად, ყველა მოხუცი ადამიანები, ხოლო გამხნევებული, გაბედული გულით და ჰკვირობდნენ თავსა. რომ ასე კარგად იყვნენ; ხოლო ღამის იდუმალება უფრო ახლო და ახლო ეპარებოდა მათ გულს. და ზარატუსტრა კვლავ გულსიტყვობდა: „ჰე, ვით მომწონან ეს მაღალნი ადამიანნი!“ - ხოლო ეს ხმამაღლა არ უთქვამს, რამეთუ პატივსა სცემდა მათ ბედნიერებასა და მათ სიჩუმეს. –

ხოლო აქ მოხდა ის, რაც იმ განსაცვიფრებელ, გრძელ დღეს უფროსად განსაცვიფრებელი იყო: უმზგავსმა ადამიანმა კვლავ და უკანასკნელად იწყო ხრიალი და ფრუტუნი და ოდეს სიტყვა გამოსთქვა, მისი პირით ერთი მრგვალი და სუფთა კითხვა გამოსთქვა, - ერთი კარგი, ღრმა ნათელი კითხვა, რომელმან მის ყველა მსმენელთა გული და სხეული შეარყია.

„მეგობრებო ერთობ, სთქვა უმზგავსმა ადამიანმა, რა გგონიათ? დღევანდელი დღის გულისათვის - მე პირველად ვარ კმაყოფილი, რაც კი მიცხოვრია.

და რომ ამას ვმოწმობ, ეს ჩემთვის საკმარისი არ არის. დედამიწაზე ცხოვრება ღირს: ერთმა დღემ, ერთმა ზეიმმა ზარატუსტრასთან, მასწავლა მიწის სიყვარული.

„ეს ცხოვრება იყო?“ ვეტყვი სიკვდილს, ჰე! კვლავ ერთხელ!“

„მეგობრებო, როგორ გგონიათ? განა არ ეტყვით ჩემებრ სიკვდილს: ეს ცხოვრება იყო? ზარატუსტრას გულისათვის, ჰე! კვლავ ერთხელ!“ –

ეს იტყოდა უმზგავსი ადამიანი და შუაღამე მოახლოებული იყო. და

რასა ფიქრობთ, რა მოხდა მაშინ? როგორც კი მაღალ ადამიანთ მისი კითხვა მოისმინეს, უეცრივ შეიმცნეს თვისი ცვალება და გამოჯანსაღება და რომელმან ეს მიანიჭა; მივარდნენ ზარატუსტრას მადლობით, პატივისცემით, ალერსით ხელებს უკოცნიდნენ, როგორც ყოველი მათგანი ჩვეული იყო: ესე ვიეთი იცინოდა, ვიეთი სტიროდა, მოხუცი მისანი კი სიამოვნებით ცეკვავდა; და თუ ისიც, როგორც ამას ვიეთი მეამბე ჰფიქრობს, მაშინ ტკბილ ღვინით იყო მთვრალი, იგი კვლავ მეტად მთვრალი იყო ტკბილი ცხოვრებით და უკუაგდებდა ყოველ დაღლილობას. არიან აგრეთვე, რომელნიც იტყვიან, თითქოს მაშინ, ვირსაც ეცეკვოს: ამაოდ არ უსმევია მისთვის უმზგავსეს ადამიანს ღვინო. ესე იყო, თუ სხვაფრივ, და მართლა იმ ღამეს ვირს არ უცეკვნია,

მაშინ დიდი და იშვიათი საოცრება მოხდა, ვიდრე ვირის ცეკვა. მოკლედ ვით ზარატუსტრას ანდაზას იტყვის „რა ვუყოთ!“

2.

ხოლო ზარატუსტრა, როდესაც ეს მოუხდა უმზგავსეს ადამიანს, იდგა ვით მთვრალი: ჩამქრალი თვალებით, მოლუღლუღე ენით, აკანკალებული ფეხებით. და ვის შეეძლო გამოეცნო, რა აზრები რბოდა ზარატუსტრას სულში? სჩანდა, მისმა სულმა უკან დაიხია და წინ გაფრინდა და შორით, შორს იყო და თითქოს „მაღალ მთაგრეხილზე, როგორც ეს დაწერილა, ორი ზღვის შორის,

- ნამყოსი და მყობადისა, მზგავსად მძიმე ღრუბლისა“. ნელ-ნელა, მაშინ, როდესაც ის მაღალ ადამიანთ ჩახუტებული ჰყავდათ, ცოტაოდნად გონს მოვიდა და ხელებით მოიშორა პატივისმცემელთა და მზრუნველთა ხვევნა-ალერსი; ხოლო არას იტყოდა. უეცრივ მოიბრუნა თავი, ვინაიდან თითქოს რაღაც მოესმა, თითი ტუჩზე მიიდო და სთქვა „წ ა ვ ი დ ე თ!“.

და მყისვე ირგვლივ სიჩუმე და სიწყნარე ჩამოვარდა; ხოლო სიღრმით გაისმა გრძელი ხმა ზარისა. ზარატუსტრამ ყური დაუგდო. აგრეთვე მაღალ ადამიანთაც; მაშინ კვლავ მიიდო თითი ტუჩზე და კვლავ სთქვა: „წავიდეთ! წავიდეთ! შუაღამე ახლოვდება!“ - და მისი

ხმა იცვალა. ხოლო ჯერ ადგილიდან არ იძროდა: მეტი სიჩუმე და იდუმალება ჩამოვარდა და ყოველი უსმენდა, ვირიც და ზარატუსტრას საპატიო ცხოველები, არწივი და გველი, ზარატუსტრას გამოქვაბული, დიდი გრილი მთვარე და თვით ღამე, ხოლო ზარატუსტრამ მესამედ მიიდო თითი ტუჩზე და სთქვა:

„წავიდეთ! წავიდეთ! წავიდეთ! ეხლა ვიხეტიალოთ! დროა: წავიდეთ ღამეში ვიხეტიალოთ!“.

3.

თქვენ მაღალნო ადამიანნო, შუაღამე ახლოვდება: მსურს რაღაც გითხრათ ყურში, ვით ამას ის ძველი ზარი ჩემ ყურს ეტყვის -

- ესე საიდუმლოდ, ესე საშინლად, ესე გულით, ვით ის შუაღამის ზარი მეტყვის, რომელს მეტი განუცდია ვიდრე ადამიანს:

- რომელი თქვენს მამათა მტკივნეულ გულისცემასა სთვლის - ჰე! ჰე! ვით ოხრავს! ვით იცინის სიზმარში! მოხუცი ღრმა, ღრმა შუაღამე!

ჩუ! ჩუ! ისმის ის, რასაც არ შეუძლია დღისით რამე სთქვას, ახლა კი სუფთა ჰაერზე, როცა თქვენი გულთა

ხმაური წყდება - ლაპარაკობს, ისმენს, იპარება ღამის მღვიძარა სულებში: ჰე! ჰა! ვით ოხრავს! ვით იცინის სიზმარში!

- არ გესმის ვით იდუმალად, საშინლად, გულით გესიტყვება მოხუცი, ღრმა შუაღამე?

ჰე ადამიანო, ყური დაუგდე!

4.

ვაგლახ მე! სად გაჰქრა დრო? ღრმა ჭაში ხომ არ ჩავარდა? ქვეყანას სძინავს -

ჰე! ჰე! ძაღლი ღმუის, მთვარე ანათებს. სიკვდილს ვამჯობინებ, ვიდრე გითხრათ აწ რასა ჰფიქრობს ჩემი შუაღამის გული.

უკვე მოვკვდი. მორჩა. ობობა, რასა ქსოვ ჩემ ირგვლივ? სისხლი

გსურს? ჰა! ჰე! ნამი ეცემა, ჟამი ახლოვდება -

- ჟამი, ოდეს ვირთვილები და ვიყინები, ჟამი რომელი მკითხავს: „ვის აქვს ამისათვის საკმაო გამბედაობა?

- ვინ უნდა ეუფლოს მიწასა? ვინ იტყვის: ესე უნდა რბოდეთ, თქვენ დიდნო და მცირე მდინარენო!“

- ჟამი ახლოვდება: ჰე ადამიანო, შენ მაღალო ადამიანო, გაფრთხილდი! ეს სიტყვა მახვილი ყურისათვის არის! შენი ყურისათვის - რას იტყვის ღრმა შუაღამე?

5.

მიტაცებს, სული ჩემი როკავს! დღის ღვაწლი! დღის ღვაწლი! ვინ უნდა ეუფლოს მიწას?

მთვარე გრილია, ქარი სდუმს. ჰე! ჰე! უკვე საკმაოდ მაღლა აფრინდით? იცეკვეთ: ხოლო ფეხები ხომ ფრთა არ არის.

თქვენ მარდნო მცეკვარნო, აწ ყოველი სიხარული გაჰქრა: ღვინო დაჭანგდა, თასები დაიმსხვრა, საფლავთ ენა ამოიდგეს.

თქვენ ვერ იფრინეთ საკმაოდ მაღლა: აწ ენა ამოიდგეს საფლავთ; „იხსენით მკვდრები! რად არის ღამე ესე გრძელი? მთვარე თუ გვათრობს?“

თქვენ მაღალნო ადამიანნო, იხსენით საფლავნი, გამოაღვიძეთ მკვდრები! ჰე, რასა ხრავს კვლავ მატლი? ახლოვდება, ახლოვდება ჟამი -

- ყრუდ გუგუნებს ზარი, გული კვლავ ხრიალებს, კვლავ ოხრავს ხის მატლი, გულის მატლი ჰე! ჰე! ქვეყანა ღრმაა!

6.

ტკბილო ქნარნო! ტკბილო ქნარნო! მიყვარს შენი ბგერა, შენი მათრობელი ერთფერი ბგერა! - რა დიდ ხანს, ვით შორის მესმის შენი ბგერა, შორით სიყვარულის ტბებით!

შენ, მოხუცო ქარო, შენ, ტკბილო ქნარო! ყოველი სევდა შენ გულს გიპობდა, მამათა სევდა, წინაპართა სევდა, შენი სიტყვა დამწიფდა, -

დამწიფდა, ვით ოქროსფერი შემოდგომა და სამხარი, ვით ჩემი განდეგილის გული - აწ ალაპარაკდი; თვით ქვეყანა დამწიფდა, ვაზი შეწითლდა.

- მას სიკვდილი ჰსურს, ნეტარებით სიკვდილი. თქვენ მაღალნო ადამიანნო, გესმით სუნი. საიდუმლოდ კვამლი ადის.

- სურნელება და სუნი მარადისობისა, ვარდისფრად ნეტარი მოხუცი თალხი, ოქროსფერ ღვინის სურნელება,

- მთვრალი შუაღამის სიკვდილის ნეტარებით, რომელი იმღერს: ქ ვ ე ყ ა ნ ა ღ რ მ ა ა, დ ა უ ფ რ ო ღ რ მ ა ა, ვ ი დ რ ე დ ღ ე ი ფ ი ქ რ ე ბ დ ა.

7.

თავი მანებე! თავი მანებე! მე მეტად უბიწო ვარ შენთვის. ნუ მეკარები! განა ჩემი ქვეყანა სრულყოფილ არ იქმნა?

ჩემი კანი მეტად უბიწოა შენი ხელისათვის. თავი მანებე, შენ რეგვენო, სულთამხუთავო, ბნელო დღე! შუაღამე უფრო ნათელი არ არის?

უბიწოთ ჰხამს ქვეყნის ბატონობა, გამოუცნობელთ, უძლიერესთა, შუაღამის სულთ, რომელნი მეტად ნათელი და ღრმა არიან, ვიდრე ყოველი დღე.

ჰე, დღე, უკან მძიმედ მომდევ, ხელებს იწვდი ჩემი ბედნიერებისათვის? შენთვის მდიდარი ვარ. მარტო, შენთვის საუნჯის მაღარო, ოქროს სალარო?

ჰე ქვეყანა, მე გსურვარ? შენთვის განა მე ამ ქვეყნისა ვარ? განა ღვთის მოშიში ვარ? განა მორწმუნე ვარ? ხოლო დღე და ქვეყანა თქვენ მეტად ტლანქნი ხართ, -

- გაქვნდეთ უფრო მარჯვე ხელები, მისწვდეთ ღრმა ბედნიერებას, ღრმა უბედურებას, მისწვდეთ რომელიმე ღმერთს, ჩემსკენ ნუ

იწვდით ხელებს;

- ჩემი უბედურება, ჩემი ბედნიერება ღრმაა, შენ უცნაურო დღე, ხოლო მე ღმერთი არა ვარ, არც ღმერთის ჯოჯოხეთი: ღრმაა თ ქ ვ ე ნ ი უ რ ვ ა.

8.

ღვთის მწუხარება უფრო ღრმაა, შენ უცნაურო ქვეყანა! მისწვდი ღვთის მწუხარებას და არა მე! რა ვარ! მთვრალი ტკბილი ქნარი; -

- შუაღამის ქნარი, ზარის ხმა, რომლის არავის გაუგია, ხოლო უნდა ილაპარაკოს ყურთა წინაშე, თქვენ მაღალნო ადამიანნო! რამეთუ თქვენ ჩემი არ გესმით!

აღსრულდა! აღსრულდა! ჰე ახალგაზრდობა! ჰე შუადღე! ჰე სამხარო! აწ დადგა საღამო და ღამე და შუაღამე, - ძაღლი ყმუის, ქარია:

- ქარი ძაღლი არ არის? წკმუტუნებს, ყეფს, ყმუის. ჰე! ჰე! ვით ოხრავს, ვით იცინის, ვით ღრიალებს და ღმუის, ეს შუაღამე?

ვით საღად ლაპარაკობს - ეს მთვრალი მგოსანი ქალი! იქნებ გადალახა თვისი სიმთვრალე? მეტად ფხიზელი შეიქმნა? იცოხნის?

- თვის მწუხარებას იცოხნის სიზმარში, მოხუცი, ღრმა შუაღამე და მეტად უფრო თვის სიხარულსა. სიხარული, ოდეს მწუხარება ღრმაა: ს ი ხ ა რ უ ლ ი უ ფ რ ო ღ რ მ ა ა, ვ ი დ რ ე გ უ ლ ი ს მ წ უ ხ ა რ ე ბ ა.

9.

შენ, ვაზო! რისთვის მაქებ? ეს მე მოგჭერი! სასტიკი ვარ, სისხლი დაგდის -: რა ჰსურს შენ ქებას ჩემი მთვრალი დაუნდობლობისა?

„რაც სრულყოფილ იქმნა, ყოველს მწიფეს - სიკვდილი ჰსურს!“ ამას იტყვი შენ. კურთხეულ იყოს დანა მევენახისა! ხოლო მკუხეს სიცოცხლე ჰსურს; ვაგლახ!

მწუხარება იტყვის; „წარვედ! წარვედ, მწუხარება!“ ხოლო რაც

იტანჯება, იმას ცხოვრება ჰსურს, რათა დამწიფდეს. მხიარული და ვნებით აღვსილი.

- ვნებით აღვსილი შორეულისათვის, მაღლისათვის, ნათლისათვის. „მე მსურს მემკვიდრენი, ამას იტყვის ყოველი, რომელი იტანჯება, მე ბავშვები მსურს, მე არა მსურს ჩ ე მ ი თავი“, -

სიხარულს კი მემკვიდრეობა არა ჰსურს, არც ბავშვები - მხიარულებას თავისი თავი ჰსურს, ჰსურს მარადისობა, ჰსურს უკუქცევა, ჰსურს ყოველი მარადიულად თვისი მზგავსი.

მწუხარება იტყვის: „გასკდი, სისხლით დაიცალე გულო! იარე, ფეხო! ფრთებო, იფრინეთ! შორით! მაღლით! სევდა!“ იყოს! ე, ჩემო მოხუცო გულო: ურვა იტყვის: „წარვედ!“

10.

თქვენ, მაღალნო ადამიანნო, როგორ გგონიათ? მე მისანი ვარ? მეოცნებე? მთვრალი? სიზმრის გამომცნობი? შუაღამის ზარი?

ნამის ცვარი? ორთქლი და სურნელება მარადისობისა? განა არ გესმით? არა სუნთქავთ? აწ იქმნა ქვეყანა ჩემი სრულყოფილი, შუაღამე შუადღეც არის, -

სევდა სიხარულიც არის, წყევა კურთხევაც არის, ღამე მზეც არის, - წარვედ ან ისწავლეთ: ბრძენი რეგვენიც არის.

გითქვამთ ოდესმე „ჰო“ მხიარულებისათვის? ჰე, ჩემო მეგობრებო, მაშინ „ჰო“- ი გითქვამს ყოველი მწუხარებისათვის. ყველაფერი გადაჯაჭვულია, ერთმანეთში არეული და შეყვარებული, -

- გისურვებიათ ოდესმე, რათა ერთი ორი ყოფილიყოს, გითქვამთ ოდესმე „მომწონხარ ბედნიერება! წამო! წუთო!“ ესე გსურთ ყოველის უკან დაბრუნება!

- ყოველი ხელახლად, ყოველი მარადიულია, ყოველი გადაჯაჭვულია, შერეულია, შეყვარებულია, ჰე ე ს ე გ ყ ვ ა რ ე ბ ი ა თ ქ ვ ე ყ ა ნ ა, -

- თქვენ მარადიულნო, გიყვარდეთ ის მარად და ყოველსა ჟამსა: და თვით მწუხარებასაც ეტყოდეთ: წავედ, ხოლო დაბრუნდი! რ ა მ ე თ უ ყ ო ვ ე ლ ს ი ხ ა რ უ ლ ს - მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა ჰ ს უ რ ს.

11.

ყოველ სიხარულს ყოვლის მარადისობა ჰსურს, ჰსურს თაფლი, ჰსურს გასაფუებელი, ჰსურს მთვრალი შუაღამე, ჰსურს საფლავები, ჰსურს საფლავთა ზედა ფრქვეულ ცრემლების ნუგეში, ჰსურს ოქროსფერი მზის ჩასვლა -

- რა არა ჰსურს სიხარულს! ის უფრო მწყურვალია, უფრო გულიანი, მშიერი. საშინელი, იდუმალი, ვიდრე ყოველი მწუხარება, მას თავისი თავი ჰსურს; ის თავის შორის იკბინება, წრის ნება იბრძვის მის შორის, -

- მას სიყვარული ჰსურს, მას მძულვარება ჰსურს, ის მეტად მდიდარია, გასცემს, ჰფანტავს, ითხოვს, რათა ვინმემ აიღოს ის, მადლობას უძღვნის ამღებს, ჰსურს რათა სძულდეს, -

- ესე მდიდარია სიხარული, რომ მან მწუხარება სწყურის, ჯოჯოხეთი, მძულვარება, სირცხვილი, სიმახინჯე, ქვეყანა, - რამეთუ ამ ქვეყანას ჰე, თქვენ იცნობთ მას!

თქვენ, მაღალნო ადამიანნო, თქვენთვის სწუხს სიხარული, შეუბორკავი, ნეტარი, - თქვენი მწუხარებისათვის, თქვენ უბადრუკნო! ყოველი უბადრუკებისათვის სწუხს ყოველი მარადი სიხარული.

რამეთუ ყოველ სიხარულს თავისი თავი ჰსურს, ამისათვის ჰსურს მას გული სევდაც! ჰე, ბედნიერება, ჰე, ურვა! ჰე გასკდი გულო! თქვენ მაღალნო ადამიანნო, ისწავლეთ, სიხარულს მარადისობა ჰსურს,

სიხარულს ყოველის მარადისობა ჰსურს, ჰსურს ღრმა, ღრმა მარადისობა!

12.

ისწავლეთ ამ ჩემი სიმღერა? გამოიცანით რა ჰსურს მას? ესე იქმნა! თქვენ, მაღალნო ადამიანნო, მიმღერეთ ჩემი საფერხულო სიმღერა!

იმღერეთ თქვენ თვით სიმღერა, რომლის სახელია „კვლავ ერთხელ“, რომლის აზრია „აწ და მარადის!“ - იმღერეთ თქვენ, მაღალნო ადამიანნო, ზარატუსტრას სიმღერა!

ჰე ადამიანო! ყური დაუგდე!
რას ამბობს ღრმა შუაღამე?
„მე მეძინა, მე მეძინა - ,
„ქვეყანა ღრმაა;
„და უფრო ღრმა, ვიდრე დღეს ეგონა,

„ღრმაა თქვენი მწუხარება -
„სიხარული - უფრო ღრმა, ვიდრე გულის მწუხარება:
„მწუხარება იტყვის: წარვედ!
„ხოლო ყოველ სიხარულს მარადისობა ჰსურს -
„ -ჰსურს ღრმა, ღრმა მარადისობა!“

სასწაული

ამ ღამის მეორე დილით ზარატუსტრა წამოხტა თვისი სარეცლიდან, წელს შემოირტყა და თვისი გამოქვაბულიდან გარეთ გავიდა, მხურვალე და ძლიერი, ვით დილის მზე, რომელი შავი მთებით მოვალს.

„შენ დიდო მნათობო, იტყოდა ის, ვით ოდესღაც უთქვამს, შენ ბედნიერების ღრმა თვალო, რა იქმნებოდა შენი ბედნიერება, უკეთუ არ გეყოლებოდა, ვისაც უნათებ!

და უკეთუ ისინი თავის სახლებში დარჩებიან, ოდეს შენ კვლავ მღვიძარე ხარ და მოდიხარ და გასცემ და ანაწილებ; ვით განრისხდებოდა ამაყი მორცხვობა შენი!

ესე! მათ კვლავ სძინავთ, ამ მაღალ ადამიანთ, ოდეს მე მღვიძარი ვარ:

ესენი ჩემი უტყუარი თანამგზავრნი არ არიან! აქ ჩემ მთებში მათ არ ვუცდი.

ჩემ საქმეს შევუდგე, ჩემ დღეს: ხოლო მათ არ უწყიან, რა არის სასწაული დღისა ჩემისა, ჩემი ნაბიჯი - მათთვის გაღვიძების მოწმობა არ არის.

კვლავ სძინავთ ჩემ გამოქვაბულში, მათი სიზმარი კვლავ სიმთვრალის ჩემ სიმღერებსა სვამს. ყური, რომელი მ ე მისმენს, - მ ო რ ჩ ი ლ ი ყური აკლიათ მათ“.

- ესე გულსიტყვობდა ზარატუსტრა, ოდეს მზე ამოდიოდა: მაშინ კითხვით შეხედა მაღლა, რამეთუ მოესმა მკაცრი ძახილი თვისი არწივისა. „ესე! შეჰყვირა მან, ესე მომწონს და მშვენის მე. ჩემ ცხოველთ ღვიძავთ, რამეთუ მე მღვიძავს.

ჩემ არწივს გაუღვიძნია და ადიდებს მზეს, ვით მე. არწივის კლანჭებით ეჭიდება ის ახალ ნათელს. თქვენ ჩემი შესაფერისი ცხოველნი ხართ; მიყვარხართ.

ხოლო კვლავ ჩემი შესაფერისი ადამიანები მაკლია!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა; ხოლო მოესმა უეცრივ თითქოს შემოერტყა უთვალავი ირგვლივ მფრინავი ფრინველნი, - ხმაურობა ეგოდენ ფრთათა და ჭედვა თავის გარშემო ეზომად დიდი იყო, რომ მან თვალები მოხუჭა და ჭეშმარიტად, მას თავს დაატყდა ისართა ღრუბლის მზგავსი, რომელნი ახალ მტერს ატყდება. ხოლო, შეხედეთ, ეს იყო ღრუბელი სიყვარულისა, და ახალი მეგობრის თავს.

„რა არის ჩემ თავს?“ გულისთხრობდა გაკვირვებით ზარატუსტრა და ნელა დიდ ქვას ჩამოჯდა, მისი გამოქვაბულის შესავალთან რომ იდო. ხოლო ოდეს ის ხელებით ირგვლივ, ზევით, ქვევით იგერიებდა ნაზ

ფრინველთ, მოხედე, კვლავ უცნაურობა მოხდა: მისი ხელი შეუმჩნევლად სქელ, ბალნიან, თბილ ფაფარს მოხვდა, და იმავე წუთს გაისმა მისგან ღრიალი, - მშვიდი, გრძელი - ლომის ღრიალი.

„სასწაული მომავალს“, სთქვა ზარატუსტრამ და მისი გული იცვალა. და ჭეშმარიტად, ოდეს მის წინაშე განათდა, მის ფეხთ ქვეშ ყვითელი ძლიერი ცხოველი იწვა და მის მუხლებს ეკვროდა და ვერ შორდებოდა მას სიყვარულითა, ვით ძაღლი თვის მოხუც პატრონს რომ კვლავ იპოვის. ხოლო მტრედები არა ნაკლებ ერთგულნი იყვნენ თვისი სიყვარულით; და როდესაც კი მტრედი ლომს ცხვირწინ

ჩაუფრენდა, ლომი თავს გაიქნევდა და განცვიფრდებოდა და იცინოდა.

ყველას ზარატუსტრა ერთი სიტყვებით მიმართავდა: „შ ვ ი ლ ე ბ ი, ა ხ ლ ო ს ა რ ი ა ნ, ჩ ე მ ი შ ვ ი ლ ე ბ ი“. - შემდეგ, დადუმდა. ხოლო გული მისი იშვებდა და მის თვალთაგან ცრემლები სცვიოდა და ხელებს ეცემოდა. და ის არაფერს იღებდა ყურად, იჯდა უძრავი და ცხოველთაც აღარ იგერიებდა. მტრედები ფრინავდნენ, მას მხრებზე ასხდებოდნენ და უალერსებდნენ მის ჭაღარა თმას და არ იღლებოდნენ ნაზობითა და ნეტარებით. ძლიერი ლომი კი ლოკავდა ცრემლთ, ზარატუსტრას ხელთ რომ ეცემოდა და ღრიალებდა კრძალვით. ესე იქცეოდნენ ეს ცხოველნი.

ესე ყველაფერი დიდ ხანს გაგრძელდა ან ცოტა ხანს: რამეთუ, უკეთ ვსთქვათ, ამგვარისათვის ქვეყანაზე დრო არ არსებობს, - ამ დროს მაღალ ადამიანთ ზარატუსტრას გამოქვაბულში გამოეღვიძათ და ჩამწკრივდნენ, რათა ზარატუსტრას შეჰყროდნენ და დილა მშვიდობისა ეთქვათ: რამეთუ ჰპოვეს, ოდეს გამოფხიზლდნენ, რომ ის მათ შორის აღარ იყო. ხოლო მივიდნენ რა გამოქვაბულის კარს და მათი ფეხის ხმაურობამ წინუსწრო, ლომმა მრისხანედ ყურები ცქვიტა, ზურგი აქცია მყისვე ზარატუსტრას და მივარდა საშინელი ღრიალით გამოქვაბულს; ხოლო მაღალ ადამიანთ ესმათ რა მისი ღრიალი, შეჰყვირეს თითქოს ერთი პირით და უკუ იქცნენ და გაჰქრნენ ერთ წუთში.

ხოლო ზარატუსტრა, დაყრუებული და გარიდებული, წამოდგა საჯდომიდან, მიმოიხედა, განცვიფრებული იდგა, ეკითხებოდა გულს, იფიქრა და მარტო დარჩა. „რა მომესმა? სთქვა მან ბოლოს ნელა, რა დამემართა?“

და მოგონება დაუბრუნდა, და ერთბაშად გაიგო, თუ რა მოხდა გუშინდელისა და დღეის შორის. „აგერ ქვა, სთქვა მან და წვერს ხელი გადაივლო, ვიჯექი გუშინ დილით და აქ მოვიდა ჩემთან მისანი და აქ მესმა პირველად ყვირილი, ეხლა რომ მესმა, დიდი ურვის ყვირილი.
ჰე, თქვენ მაღალნო ადამიანნო, თქვენი ურვა იყო, რომელს მაუწყებდა გუშინ დილით ის მოხუცი მისანი,

- თქვენი ურვისათვის ჰსურდა მას შევეცდინე და გამოვეცადე: ჰე, ზარატუსტრა, მეტყოდა ის, მოვალ, რათა შენი უკანასკნელი ცოდვისათვის გაცდინო.

ჩემი უკანასკნელი ცოდვისათვის? შესძახა ზარატუსტრამ და მრისხანედ გაეცინა თვისი სიტყვების: რა არის ჩემთვის დატოვებული სულ უკანასკნელ ცოდვად?“

- და კვლავ თავი მისცა ფიქრსა და კვლავ დაჯდა დიდ ქვაზე და ფიქრობდა. უეცრივ წამოხტა,

- „ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი! ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი მ ა ღ ა ლ ა დ მ ი ა ნ თ ა დ მ ი!“ შესძახა და მისი სახე სპილენძად იქცა. ჰე! ესე - იყო!

ჩემი მწუხარება და ჩემი სიბრალული - რა არის!

ბედნიერებას ვეძიებ? ვეძიებ ჩემ ს ა ქ მ ე ს!

ჰე! ლომი მოვიდა, ჩემი შვილები მოახლოვდნენ, ზარატუსტრა დამწიფდა, ჩემი ჟამი მოწეულ არს: -

ესე ჩემი დილაა, ჩ ე მ ი დღე ამოდის, ა ღ ს დ ე ქ ა წ, ა ღ ს დ ე ქ, შ ე ნ დ ი დ ო შ უ ა დ ღ ე!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა და მიატოვა თვისი გამოქვაბული, მხურვალემ და ძლიერმა, ვით დილის მზემ, შავი მთებით რომ მოდის.

თამაზ ბუაჩიძე – ფრიდრიხ ნიცშე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“

1.გზა „ზარატუსტრასკენ“

დრო უსამართლოდ მოექცა ნიცშეს. სანამ მძიმე სენს შეჭიდებული ეს შესანიშნავი გერმანელი მოაზროვნე ღრმა ფილოსოფიური ძიებებით აღსავსე თხზულებებს ქმნიდა, ეძებდა თვისი ნამოღვაწარის გამგებთ და შემფასებელთ, მისი პიროვნება და შემოქმედება უცნობი რჩებოდა ფართო საზოგადოებისათვის. 1889 წელს სულიერმა დაავადებამ გონება დაუბნელა ფილოსოფოსს, 1900 წელს კი იგი

აღესრულა. სწორედ აქედან იწყება ნიცშეს დიდების გზა.

„ზარატუსტრას“ ავტორის პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა, დღეს კი გაგვიჭირდება დავასახელოთ მოაზროვნე, რომლის გავლენაც აღემატება ნიცშესას. ჩვენი დროის უამრავი სერიოზული მოაზროვნე - ფილოსოფოსი იქნება ის თუ ფსიქოლოგი, სოციოლოგი თუ პოლიტიკოსი, მწერალი თუ კომპოზიტორი, თავს მოვალედ თვლის გამოეხმაუროს ნიცშეს, პასუხი გასცეს „წყეულ“ კითხვებს, ასეთი სიღრმითა და სიმწვავით სწორედ მან რომ დასვა პირველად.

ეს განსაკუთრებული ყურადღება ნიცშესადმი, ცხადია, არ არის შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ თავისი ფილოსოფიური ევოლუციის ყველა საფეხურზე „ზარატუსტრას“ ავტორის დაინტერესების საგანი იყო ყოველი ადამიანისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო პრობლემები: მას, ადამიანის ჭეშმარიტი რაობის, ჭეშმარიტი მოწოდების ღრმა გააზრების საფუძველზე, სურდა გაერკვია ადამიანის მდგომარეობა თანადროული კულტურის - მორალის, რელიგიის, ფილოსოფიის, სამართლის, სახელმწიფოს, ხელოვნების - გაშლა-განვითარების პირობებში. გერმანელი ფილოსოფოსი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ თანამედროვე ევროპული კულტურა, ყველა თავისი განშტოებით, გვთავაზობს ცხოვრების ისეთ ყალიბებს, რომლებიც ადამიანის ნამდვილი არსებისა და მოწოდების საპირისპირონი არიან. ნიცშეს ყველა მნიშვნელოვანი თხზულება თავისებური მოწოდებაა მკითხველისადმი: „იცოდე, შენი ცხოვრების წესი შენსავე არსებას ეწინააღმდეგება!“ „ზარატუსტრას“ ავტორის მიერ დასმული დიაგნოზი და ამ დიაგნოზის საფუძველზე მოცემული პროგნოზიც, არსებითად, ჭეშმარიტი აღმოჩნდა: ნიცშემ ჩვენი დროის ადამიანის ექსისტენციური შეჭირვების მრავალ სიმპტომს მიაგნო. ამან, ბუნებრივია, გერმანელ ფილოსოფოსს უდიდესი პოპულარობა მოუტანა თანამედროვე სამყაროში.

ქართული აზროვნება, რომელიც თავისი ისტორიული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე საკაცობრიო კულტურის ყოველი

ახალი მონაპოვრის გათავისებისაკენ ისწრაფვოდა, ყურადღების გარეშე არ დარჩენია ნიცშეს შემოქმედება. გერმანელი მოაზროვნის გავლენა განიცადა „ორგანოტროპიზმის“ შემქმნელმა ქართველმა ფილოსოფოსმა კონსტანტინე კაპანელმა. „ზარატუსტრას“ ავტორის მრწამსი თავისებურად აირეკლა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. იმ ფაქტს, რომ საქართველოში ნიცშეს ქმნილებებს მკითხველთა ძალზე ფართო წრე ჰყავდა, ვფიქრობ, ზემოაღნიშნულის გარდა სხვა მიზეზებიც ჰქონდა: გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი (და არა გადაგვარებული) ქართველი ადამიანის მსოფლგანცდისა.

ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, მდორე, უშფოთველი არსებობისა, „პაწია“ ბედნიერებისა და „პაწია“ კეთილდღეობისა; ქართული სულის მისწრაფებებთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათით და რისკით აღსავსე „დიონისურ“ ცხოვრებას, უშურველ, ანგარიშიანი განსჯის მოთხოვნათა უარმყოფელ, ლაღ, გულუხვად გამცემ, ბრძენსა და მამაც ადამიანს. სულთა ამ ნათესაობას უნდა ვუმადლოდეთ, ალბათ, იმასაც, რომ შესანიშნავმა ქართველმა მეცნიერმა ერეკლე ტატიშვილმა მრავალი წელი შესწირა უაღრესად ძნელ საქმეს - „ზარატუსტრას“ თარგმნას და შესაძლებლობა მისცა ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მსოფლიო ფილოსოფიური აზრის დიად ძეგლს.

ეს თხზულება ავტორის ფილოსოფიური რევოლუციის ბოლო პერიოდში დაიწერა, როცა ნიცშეს მრწამსი განთავისუფლდა გარეშე გავლენებისაგან. „ზარატუსტრა ჩაფიქრებული იყო როგორც ფართო ტილო, რომელშიც ორიგინალური ფორმით მოცემულია გერმანელი მოაზროვნის ფილოსოფიური თვალსაზრისის ყველა ძირითადი მომენტი. თხზულებაში ვხვდებით ყველა იმ ძირითად პრობლემას, რომლებზეც ფილოსოფოსი ადრეც ბევრს ფიქრობდა. ახლა ისინი წარმოსდგებიან ახალი გააზრების საფუძველზე, ახალი სახეებისა და

ახალი იდეების კონტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ „ზარატუსტრაში“ თავისებური სახით „განსხეულებულია: ნიცშეს აზროვნებისა და განცდების მთელი სიმდიდრე, ნიცშეს ძნელი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა.

ეს გზა გერმანიის სოფელ რიოკენში იწყება. სწორედ აქ, 1844 წლის 15 აგვისტოს, პროტესტანტი პასტორის კარლ ლუდვიგ ნიცშეს ოჯახში დაიბადა მომავალი ფილოსოფოსი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კარლ ლუდვიგის მეუღლე - ფრანცისკა - პასტორის ქალიშვილი იყო, ადვილი წარმოსადგენი იქნება ის ღრმა ღვთისმოსავობის ატმოსფერო, რომელიც სუფევდა ამ ოჯახში.

1849 წელს კარლ ლუდვიგი მოულოდნელად გარდაიცვალა. მომდევნო წელს ოჯახი ნაუმბურგში გადასახლდა. გიმნაზიაში სწავლის წლებში, დამოუკიდებლობისა და განმარტოების მოყვარული „პატარა პასტორი“ (ასე ეძახდნენ ფრიდრიხს მისი ამხანაგები) გაიტაცა პოეზიამ, მუსიკამ; ის წერს ლექსებს, ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებებს. 1858 წლიდან ნიცშე სწავლას განაგრძობს „შულფორტაში“ - იმდროინდელი გერმანიის ფართოდ ცნობილ სასწავლებელში. აქ სწავლის პერიოდში იწყება ნიცშეს ბრძოლა საკუთარ თავთან - საკუთარ ღვთისმოსავობასთან. ეს შებმა ქრისტიანულ მრწამსთან, ცხადია, არ იყო შემთხვევითი: ნიცშეს სწავლის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ევროპაში, განსაკუთრებით ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმის აღსასრულის შემდეგ, ანტირელიგიური ტენდენცია სულ უფრო ძლიერი ხდებოდა. ამ ანტიქრისტიანული მოძრაობის განმტკიცებაში ძალზე დიდი როლი ითამაშა ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებამ“, რომელიც 1841 წელს გამოვიდა. ფოიერბახი შეეცადა თეოლოგიური პრობლემების ძირი ადამიანის ბუნების თავისებურებაში დაენახა. ნიცშეს დაბადების წელს გამოქვეყნდა და დიდად გახმაურდა მაქს შტირნერის „ერთადერთი და მისი საკუთრება“, რომელშიც ანტროპოლოგიზმი უკიდურესი ეგოიზმის გასამართლებად იყო მოხმობილი. აქვე უნდა გავიხსენოთ გაცილებით ადრე - 1818

წელს - გამოსული თხზულება „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“, რომლის ავტორი - არტურ შოპენჰაუერი სამყაროს გამოცანის ახსნისათვის მიმართავს არა ღმერთს, არამედ ბრმა ნებას.

1864 წლიდან ნიცშე ბონის უნივერსიტეტში ეუფლება კლასიკურ ფილოლოგიას, ღრმად სწავლობს ანტიკურ კულტურას. ერთი წლის შემდეგ ის ლაიფციგში გაჰყვა თავის მასწავლებელს, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტს ფრიდრიხ ვილჰელმ რიჩლს. ლაიფციგში გაეცნო ნიცშე შოპენჰაუერის თხზულებას „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“. ამ წიგნთან შეხვედრამ წარუშლელი კვალი დატოვა მთელ მის ცხოვრებაზე.

1869 წელს ნიცშე მიიწვიეს ბაზელის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის პროფესორის თანამდებობაზე, უნივერსიტეტში დაძაბული მუშაობის ნაყოფი იყო 1872 წელს გამოსული შრომა „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. ეს თხზულება არ წარმოადგენდა ფილოლოგიური ან ისტორიული ხასიათის გამოკვლევას: ბერძნული ტრაგედიის წარმოშობის პრობლემა წიგნის ავტორმა ფილოსოფიურად გაიაზრა, მეტაფიზიკური კუთხით წარმოაჩინა. სამი ძალა შთააგონებდა ახალგაზრდა პროფესორს ამ წიგნის შექმნას - ანტიკური სამყაროს სიყვარული, შოპენჰაუერით გატაცება და მოწიწება რიხარდ ვაგნერის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი: ამ დროს ნიცშეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ გერმანელ კომპოზიტორთან.

შოპენჰაუერის ფილოსოფიური მრწამსი - ნების მეტაფიზიკა - მიესადაგა „ტრაგედიის დაბადების ავტორის უარყოფით პოზიციას ქრისტიანული პრინციპების მიმართ. ბერძნული ტრაგედიის წარმოშობის პრობლემა ნიცშემ სწორედ ნების მეტაფიზიკასთან დააკავშირა. ხელოვნება წარმოიდგინა როგორც სამყაროს საფუძველში მდებარე ძალების თავისებური გამოვლენა.

რომელია ეს ძალები?

ხელოვნების განვითარება „ტრაგედიის დაბადებაში“ გააზრებულია

ჰერაკლიტესებურად - როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა: ერთმანეთს ებრძვის ხელოვნების ორი სახე - აპოლონური და დიონისური. აპოლონი სიმბოლოა სინათლისა, ჰარმონიის, წესრიგისა, ზომიერებისა; დიონისე - სიბნელისა, ზომისა და ზომიერების უარყოფისა, ორგიასტურ-ქაოსურისა, ინსტინქტების თარეშისა, სქესობრივი აღვირახსნილობისა. ტრაგედია, ნიცშეს თანახმად, ხელოვნების ის ფორმაა, რომელშიც არაპლასტიკური, სახეებს მოკლებული, მუსიკის სულით გაჟღენთილი დიონისური ხელოვნება უერთდება სახოვან აპოლონურ ხელოვნებას: ლ ტ ო ლ ვ ა უკავშირდება ხ ა ტ ს.

„ტრაგედიის დაბადების“ ავტორი არ იზღუდება ხელოვნების განხილვით, ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ორი სახე ს ა მ ყ ა რ ო ს ორი საწყისის - აპოლონურისა და დიონისურის - გამოვლენაა. სამყაროს მეტაფიზიკურ საწყისთა ამგვარი გაგებიდან, ნიცშეს თანახმად, შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ხელოვნება, ადამიანი, კულტურა მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა მათში ორგანულად არის შერწყმული სამყაროს ორივე

საწყისი. ტრაგედია სწორედ ამ სრულყოფილების ნიმუშია. მაგრამ ხელოვნების ამ სახეს ა ღ ს ა ს რ უ ლ ი ც ჰქონდა. ნიცშეს აზრით, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ანტიკურ სამყაროში ახალი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, მსოფლმხედველობა, რომელიც მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი სულით იყო გამსჭვალული და აღარ უწევდა ანგარიშს დ ი ო ნ ი ს უ რ ს. ტრაგედია, სამყაროს ტრაგიკული განცდა მოჰკლა განსჯის, ლოგიკის, მეცნიერების ადამიანმა, შმაგი დიონისე შეიწირა „თეორეტიკოსმა“ სოკრატემ, მითი - ცოდნამ. ასე დაიწყო ევროპული კულტურის ისტორიაში დაცემის ხანა, წარმოიშვა მეცნიერულ მსოფლგაგებაზე დამყარებული ახალი კულტურა - ალექსანდრიული. ნიცშეს თანახმად, თანამედროვე ადამიანი ამ, დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს. სწორედ ამით აიხსნა „ტრაგედიის დაბადების“ ავტორის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია თანადროული კულტურისა და, საერთოდ, თანადროული ეპოქის

მიმართ (რუდოლფ შტაინერმა ნიცშეს შესახებ დაწერილ წიგნს შემთხვევით როდი მისცა ასეთი სათაური: „ფრიდრიხ ნიცშე. თავისი დროის წინააღმდეგ მებრძოლი“). „ტრაგედიის დაბადების“ ავტორი ხედავს შეუსაბამობას ადამიანის ჭეშმარიტ დანიშნულებასა და თანამედროვე კულტურას შორის, მაგრამ ის ოპტიმისტურადაა განწყობილი: კანტისა და შოპენჰაუერის ფილოსოფიურ კონცეფციებში, რომლებიც მეცნიერული შემეცნების შეზღუდულობაზე ლაპარაკობენ, ბახის, ბეთჰოვენის და, განსაკუთრებით, თავისი უფროსი მეგობრის - რიხარდ ვაგნერის მუსიკაში ნიცშე დიონისური მსოფლმხედველობის დაბრუნების ნიშნებს ხედავს.

ეპოქის კრიტიკას ნიცშე აღრმავებს ოთხ თხზულებაში - „დავით შტრაუსი, როგორც აღმსარებელი და მწერალი“, „ისტორიის სიკეთე და სიავე სიცოცხლისათვის“, „შოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი“ და „რიხარდ ვაგნერი ბაიროითში“. ეს ნაწარმოებები, რომლებსაც აერთიანებს სათაური „არათანადროული ფიქრები“ ავტორი შენატრის თავის ეპოქაზე მაღლა მდგომ ძლიერ ინდივიდს, გამორჩეულს, გენიოსს, საკუთარი ნების კარნახით მოქმედ ადამიანს. ის თვლის, რომ ისტორიის მიზანია სწორედ ასეთი, „კაცობრიობის უმაღლესი ეგზემპლარების“ შექმნა. შემდგომ, „ზარატუსტრაში“ ეს აზრი „ზეკაცის“ შესახებ მოძღვრებად გადაიქცევა.

1878 წელს გამოქვეყნებული წიგნით „ადამიანური, ერთობ ადამიანური“ ნიცშეს შემოქმედებაში ახალი პერიოდი იწყება. ახლა ფილოსოფოსი უკვე უარყოფს მეტაფიზიკას - განსაკუთრებით შოპენჰაუერის თვალსაზრისს. ნების მეტაფიზიკა, რომელიც სამყაროს აორებდა - ყოფდა ნებად და წარმოდგენად, თავისთავად სამყაროდ და მოჩვენებით სამყაროდ - ნიცშეს აღარ აკმაყოფილებს. „ადამიანური, ერთობ ადამიანურის“ ავტორისთვის არსებობს მხოლოდ ერთი - გრძნობადი - სამყარო. მეტაფიზიკა ცხადდება ცრუ მეცნიერებად, ილუზიების წყაროდ. ერთადერთ სანდო ცოდნად მიიჩნევა „მეცნიერული ცოდნა“. დიონისე ადგილს უთმობს თეორიულ ადამიანს - სოკრატეს.

ნიცშე შორდება ვაგნერს, ეთხოვება ძველ ოცნებებსა და იმედებს, მაგრამ ძველებურად განაგრძობს ბრძოლას თავის ეპოქასთან. ამჯერად, ამ ბრძოლის იარაღია არა მეტაფიზიკა, არამედ თავისებური სახის ფსიქოლოგია. ნიცშეს კვლევის ცენტრში ექცევა ადამიანის შინაგანი სამყარო. ამ სფეროს შესწავლის საფუძველზე ფილოსოფოსი ცდილობს ნიღბები ჩამოხსნას თავისი დროის მეტაფიზიკას, რელიგიას,

ხელოვნებას, მორალს, სამართალს; ცდილობს დაამტკიცოს, რომ კულტურის ამ და სხვა დარგთა ამაღლებული ხაზების უკან იმალება ჩვეულებრივი, „მიწიერი“, „ერთობ ადამიანური“ ლტოლვები. თანადროული კულტურა, ნიცშეს მტკიცებით, ილუზიებისა და სიყალბის სარბიელია. ამიტომ ამ პერიოდში ნიცშეს იდეალია „თავისუფალი გონი“, რომელიც „შებოჭილი გონისაგან“ განსხვავებით, უპირისპირდება ტრადიციულ კულტურას, თავისუფალია მისი ილუზიებისაგან.

1879 წელს, ავადმყოფობის გამო, ნიცშე თავს ანებებს აკადემიურ მოღვაწეობას. ფილოსოფოსს აწუხებს აუტანელი თავის ტკივილები, სისუსტე, უქვეითდება მხედველობა. იწყება ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. ლევ შესტოვი სწორად წერს: „ამ მწერალს მოწამებრივი გვირგვინი ადგას თავზე. მას წაერთვა ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას და დააწვა ისეთი მძიმე ტვირთი, როგორიც იშვიათად უტარებია ვინმეს“ (2,34). მძიმე სენი აიძულებს ნიცშეს ხშირად იცვალოს საცხოვრებელი ადგილი. იგი ცხოვრობდა სილს-მარიაში, გენუაში, ნიცაში, ვენეციაში, მენტონაში, ტურინში... აქ იქმნება ახალი შრომები „მგზავრი და მისი ჩრდილი“, „მხიარული მეცნიერება“, ეს უკანასკნელი 1882 წელს გამოვიდა. მასში უკვე იგრძნობა, რომ გერმანელი მოაზროვნე გარდატეხის წინაშეა.

„ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ამ გარდატეხის მაუწყებელია. ამ წიგნის წერა ნიცშემ 1883 წლის თებერვალში, გენუის მახლობლად, რაპალოში დაიწყო. თხზულების პირველი ნაწილი დაიწერა ათ დღეში. მეორე ნაწილი ასევე ათ დღეში შეიქმნა, იმავე წლის

ზაფხულში სილს-მარიაში ყოფნისას. მესამე ნაწილი იწერებოდა 1884 წელს ნიცაში. მეოთხე ნაწილი კი 1884-1885 წლებში ციურიხში, მენტონაში და ნიცაში დაიწერა.

2. „ესე იტყოდა ზარატუსტრა. წიგნი ყველასათვის და არავისთვის“

ამ სათაურს ადვილად შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი თავის წიგნში ზოროასტრიზმის ცნობილ მოძღვრებას გადმოსცემს. სინამდვილეში ეს ასე არ არის. თხზულების უკვე პირველი გვერდების გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება: ის, რასაც ამბობს ნიცშეს ზარატუსტრა, არ უთქვამს და არც შეიძლება ეთქვა ზოროასტრიზმის შემოქმედს. მიუხედავად ამისა, ზოროასტრიზმის შემქმნელის სახელი შემთხვევითობის ან ახირების შედეგად როდი „დასახლდა“ გერმანელი ფილოსოფოსის თხზულებაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ენიჭება იმ გარემოებას, რომ ნიცშეს თანახმად, სწორედ ზოროასტრიზმის დამაარსებელმა გაიაზრა პირველად სამყარო როგორც ორი, ზნეობრივი ბუნების მქონე საწყისის - სიკეთისა და ბოროტების - ბრძოლის სარბიელი, სწორედ მან შექმნა „ეს უაღრესად საბედისწერო ცდომილება, მორალი (11,213). ზოროასტრიზმის დამაარსებელმა შექმნა მორალი, - მცდარი მორალი, - რომლის სული და გულია „სიკეთე და ბოროტება“ - პირველ ყოვლისა, ნიცშეს ეს თვალსაზრისი უნდა გავითვალისწინოთ, როცა გვსურს გავიგოთ, თუ რატომ იქცა ზარატუსტრა გერმანელი ფილოსოფოსის თხზულების გმირად. უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება, რასაც ეხება ნიცშე თავის „Eccehomo“ -ში, საქმე ისაა, რომ გერმანული ფილოსოფოსის აზრით, ზოროასტრიზმის შემოქმედის მორალში უმაღლეს სიკეთედ მიჩნეული იყო სიმართლისმოყვარეობა: „ზარატუსტრა უფრო მეტადაა სიმართლის მოყვარული, ვიდრე რომელიმე სხვა მოაზროვნე“ (11,213). ამას კი, ნიცშეს აზრით, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ზოროასტრიზმისათვის საბედისწერო შედეგები. მართალია, ფიქრობს ნიცშე, ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ ზოროასტრიზმი არ მისულა, ამ შედეგებამდე, მაგრამ ლ ო გ ი კ უ რ ა დ ეს შედეგები აუცილებელი იყო. დიახ, რადგან ზოროასტრიზმის მორალში უმაღლესი სათნოება სიმართლისმოყვარეობა იყო, ამ მორალის მქადაგებელს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ, შ ი ნ ა გ ა ნ ი ლ ო გ ი კ ი ს ძ ა ლ

ი თ უნდა შეეცნო თავისი ქმნილების მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ო ბ ა, მ ც დ ა რ ო ბ ა და უარეყო თავად ეს მცდარი მორალი. მართალია, რეალურად ამგვარი რამ არ მომხდარა, მაგრამ ლოგიკის ძალით უნდა მომხდარიყო. ის რაც არ მოხდა ისტორიაში, ხდება გერმანელი ფილოსოფოსის განაზრებაში: ზოროასტრიზმის, „სიკეთე-ბოროტების“ მორალის შემოქმედი თავისივე მორალის უმაღლესი სათნოების - სიმართლისმოყვარეობის საფუძველზე უ ა რ ყ ო ფ ს თავისსავე ქმნილებას. ასე იბადება ახალი - ნიცშეს - ზარატუსტრა, არა „მორალისტი“, არამედ „იმორალისტი“, სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომი და, გასაგებია, რომ მისი მოძღვრება ზოროასტრიზმის საპირისპირო იქნება: ის ხომ ზოროასტრიზმის თ ვ ი თ უ ა რ ყ ო ფ ი ს შედეგია. სახელი ზარატუსტრა, წერდა ნიცშე, თვითდაძლევაა მორალისტებისა მათ საპირისპიროში - ჩ ე მ შ ი“ (11, 213). შეგვიძლია ვთქვათ: ნიცშეს ზარატუსტრას სახელით ლაპარაკობს ყოველი შემოქმედი მორალისა, რომელმაც თავისივე მორალის უმაღლესი პრინციპის საფუძველზე დასძლია საკუთარი თავი, იცვალა სახე. როგორც ვთქვით, ნიცშესეული ზარატუსტრას მოძღვრება ძირეულად განსხვავდება „ტრადიციული“ ზარატუსტრას მოძღვრებისაგან, მაგრამ გერმანელი ფილოსოფოსის გმირს მაინც აქვს საერთო ზოროასტრიზმის შემოქმედთან - ისიც მოქადაგეა, მასაც სურს დაამკვიდროს ახალი მსოფლმხედველობა, ადამიანთა ცხოვრების ახალი წესი.

მსოფლმხედველობა, რომელსაც ამკვიდრებს „ზარატუსტრა“, მიმართულია ნიცშეს თანადროული კულტურისა და ცხოვრების წესის წინააღმდეგ. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ზარატუსტრას“ პრობლემატიკას და ძირეულ იდეათა წრეს ჰკვებავენ ევროპული კაცობრიობის წიაღში მიმდინარე კრიზისული პროცესები. უფრო მეტიც, მსოფლიო ლიტერატურაში, ალბათ, ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც „ზარატუსტრასთვის“ დამახასიათებელი ფილოსოფიური საფუძვლიანობითა და პოეტური სახოვნებით გვიხატავს დასავლური საზოგადოების მძიმე სენს.

3. „ზარატუსტრას“ პირველი ნაწილის ძირითადი პრობლემები.

ღმერთის სიკვდილი, ზეკაცი და უკანასკნელი ადამიანი თანამედროვე დასავლური კულტურის ღრმა კრიზისზე ნიცშე ლაპარაკობს თავისი ქმნილების უკვე პირველსავე მონაკვეთში, რომლის სათაურია „ზარატუსტრას წინასიტყვა“. ამ კრიზისის შინაარსი გადმოცემული მოკლედ, მაგრამ ტევადი დებულებით: „ღმერთი მკვდარია“.

ღმერთის სიკვდილის თემა „ზარატუსტრაში“ ერთ-ერთი ძირითადია. მეტსაც ვიტყვით - ის ამოსავალია თხზულებისა და ამავე დროს ფონია, რომელზეც გაიშლება და განვითარდება ყველა სხვა თემა.

რას ნიშნავს ღმერთის სიკვდილი?

თეზისი „ღმერთი მკვდარია“ გამოხატავს იმ სიღრმისეულ პროცესს, რომელიც ხდება ნიცშეს თანადროული ევროპული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, ძველი, ტრადიციული უმაღლესი ღირებულებების გაუფასურებას. ღმერთის სიკვდილი ნიშნავს იმას, რომ ტრადიციულმა ქრისტიანულმა ღირებულებებმა, იდეალურ, იმქვეყნიურ ღირებულებათა სამყარომ, რომელიც მყარ ორიენტირებს აძლევს ადამიანს, დაკარგა თავისი ძალა, „ღვთიური“, „ზეგრძნობადი“. ტრანსცედენტური სამეფო ილუზია, ცდომილება აღმოჩნდა. ადამიანი რჩება თავისი თავის ანაბარა, მას „ზემოთ“ არავის იმედი არ შეიძლება ჰქონდეს. დგება ნიჰილიზმის ეპოქა.

ზარატუსტრამ იცის, რომ ღმერთი მკვდარია. სწორედ ამიტომ, ათი წლის განდეგილობის შემდეგ, ის უბრუნდება ადამიანებს: ურთიერთობა შეიძლება გქონდეს მხოლოდ ცოცხალ ადამიანებთან და არა „მკვდარ“ ღმერთთან. ზარატუსტრას ანტიპოდია განდეგილი, რომელიც ტყეში შეხვდა მას. ამ ქრისტიანული ყაიდის ასკეტმა არ იცის, რომ ღმერთი მკვდარია და სურს შვება ღმერთთან ურთიერთობაში ჰპოვოს. ზარატუსტრასთვის ამგვარი ცხოვრება თავის მოტყუებაა, ის მიისწრაფვის ადამიანებისაკენ, რათა მიუტანოს „ძღვენი“ - ასწავლოს მათ, თუ როგორ არ უნდა იყოს და როგორი უნდა იყოს ადამიანი იმ სამყაროში, რომელშიც „ღმერთი მკვდარია“.

ნიცშე ძალზე ხელშესახებად გვიხატავს იმას, თუ როგორი არ უნდა

იყოს ადამიანი - ამ მიზნით „ზარატუსტრას წინასიტყვაში გამოჩნდა „უკანასკნელი ადამიანი“.

„უკანასკნელი ადამიანი“ ღმერთის სიკვდილის პირმშოა. ღმერთი მკვდარია და ამიტომ ადამიანი აღარ ცხოვრობს მაღალი მიზნით, მასში ჩაქრა ღვთიური ცეცხლი, ის კნინდება და „ყოველს ამცირებს“, ჩასჭიდებია „პაწია“ ბედნიერებას, „მცირე სიამოვნებას სადღეისოდ და მცირე სიამოვნებას საღამოდ“. „უკანასკნელი ადამიანი“ - ფილისტერი თავისი რაციონალიზმით, „დემოკრატიული“ იდეებით, „პაწია“ ზრახვებით - ნიცშეს ყველაზე მეტად სძაგს.

მაგრამ, ნიცშეს თანახმად, „უკანასკნელი ადამიანი სულაც არაა ღმერთის სიკვდილის ერთადერთი შედეგი.

ზარატუსტრა ხედავს ადამიანის ცხოვრების სხვა წესსაც, ხედავს როგორც პერსპექტივას, მომავალს, შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობაა - ზეკაცი.

ასე შემოვიდა ახალი თემა „ზარატუსტრაში“. ზეკაცი უპირისპირდება „უკანასკნელ ადამიანს“, უპირისპირდება ადამიანს, რომელიც ტრადიციული მსოფლმხედველობის - განსაკუთრებით ქრისტიანულის - წიაღშია აღზრდილი, უპირისპირდება საერთოდ აქამდე არსებულ ადამიანს. ის იდეალია, მიზანია, რომელიც ჩნდება, როცა აშკარა ხდება, რომ ღმერთი მკვდარია: „ადამიანი არის რაობა, რომლის ძლევა ჰხამს“. ადამიანმა უნდა დაძლიოს თავისი თავი, რათა შეიქმნას ზეკაცი: „ადამიანი თოკია ცხოველისა და ზეკაცის შორის“, „გზად ყოფნაა“, „გარდამავლობაა“, „წარხდომაა“, ის მიზანი კი არ არის, არამედ ხიდია ზეკაცისაკენ.

ზეკაცი არ არის ახალი ბიოლოგიური სახე (როგორც ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე), ის უმაღლესი ტიპის ადამიანია - სრულყოფილი არსება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „მცენარისა და მოჩვენების ნაზავთან“, ე. ი. ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის დუალიზმით დაავადებულ არსებასთან, ზეკაცი „ამქვეყნიურია“, მთლიანია, სრულია, ერთგულია „მიწისა“, - აქ „მიწა“ უნდა გავიგოთ როგორც სიცოცხლე და არა როგორც რაღაც ინერტული მასა - სიცოცხლის სავსეობა, ადამიანის არსებაში მოცემული პოტენციური ძალების მაქსიმალური რეალიზაცია. სწორედ ამიტომ ის სიცოცხლის უმაღლესი მიზანია - „მიწის აზრია“.

გზა ზეცისაკენ რთულია. ის, პირველ ყოვლისა, მოითხოვს უზომო

სიძულვილს ყველა ძველი ღირებულებისა - ტრადიციულად გაგებული ბედნიერებისა, გონებისა, სიკეთე-ბოროტებისა. გზა ზეცისაკენ ხიფათიანია, ის „თოკია უფსკრულს ზედა“ - მასზე ყველა ვერ გაივლის, ის ხიფათიანია, როგორც გზა იმ ჯამბაზისა, რომელიც თოკიდან ვარდება „ზარატუსტრაში“. რთულია არა მხოლოდ გზა, არამედ უკვე მოწოდებაც ზეკაცისაკენ: გართობას მოწყურებულ ადამიანებს არ აინტერესებთ ზეკაცი. ზარატუსტრაში აშკარა ხდება: ადამიანები, რომელთაც შემოქმედების ცეცხლი განელებული აქვთ, ზეკაცისაკენ მიმავალ გზას ვერ დაადგებიან: ისინი მკვდრები არიან. ზარატუსტრა გაეცლება მკვდრებს - ის ეძებს ცოცხალ „თანამგზავრებს“ - „შემოქმედთ, მოსამკლეთ, მოზეიმეთ“, მხოლოდ ისინი გაუგებენ ზარატუსტრას, მხოლოდ ისინი გაკაფავენ გზას ზეკაცისაკენ. სწორედ ამიტომ ის მიმართავს ყველას ვინც შემოქმედია, და არ მიმართავს არავის ისეთს, ვინც ამ უნარს მოკლებულია: „ზარატუსტრა“ არის „წიგნი ყველასათვის და არავისთვის“.

სულის ცვალება და „მიწის“ მოღალატენი

„ზარატუსტრას სიტყვანი“ იწყება საუბრით სულის უცნაური სახეცვლილების შესახებ: სული იქცევა აქლემად, შემდეგ ლომად და ბოლოს ბავშვად.

რას ნიშნავ სულის ეს სამი სახე?

აქლემი - ეს ყველაფერის ამტანი, ღონიერი, მორჩილი ცხოველი „ზარატუსტრაში“ განასახიერებს ღვთისმოსავ ადამიანს, რომელიც თაყვანს სცემს ღმერთს და უდრტვინველად ეზიდება უმძიმეს ტვირთს - ტრანსცედენტური სამყაროს არსებობის რწმენას. ნიცშეს ამ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტი ქრისტიანის რთული ცხოვრების გზა აქვს მხედველობაში: ღვთის მოშიში ადამიანი ზღუდავს პიროვნულს და თავის ქცევას მთლიანად უქვემდებარებს იმპერატორს - „შენ ხარ მოვალე“, - რომლის წყაროც იდეალური ღირებულებათა სამეფოა, ღმერთია.

აქლემის სახე ნიცშესთან კაცობრიობის ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზეც მიუთითებს. ესაა პერიოდი, როცა კაცობრიობამ გაიზიარა სამყაროს პლატონისეული სურათი.

პლატონმა გრძნობად, ცვალებად, მოძრავ სამყაროს დაუპირისპირა უცვლელი, მარადიულ იდეათა სამყარო - „ნამდვილი სინამდვილე“ - და უპირატესობა მისცა ამ უკანასკნელს. ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ, ნიცშეს თანახმად, ჭეშმარიტად მიიჩნია ეს მცდარი გაორება და აქლემი თავისებური გამოხატულებაა კაცობრიობისა, რომელიც, ღმერთის ღრმა რწმენით აღვსილი, ერთგულად ემსახურება „იმქვეყნიურ, მარადიულ, უცვლელ ღირებულებებს, „ჯერარსს“.

მაგრამ სიყალბე არ შეიძლება არ გამომჟღავნდეს. თავად ქრისტიანობის წიაღშივეა ამ გამომჟღავნების იარაღი - სიმართლისმოყვარეობა. „უმწირეს უდაბნოში“ განმარტოებული აქლემი - ადამიანი, რომლის სამართლისმოყვარეობამაც სავსებით ბუნებრივად მოითხოვა ღრმა ჩაფიქრება, სამყაროს თაობაზე, ღრმა მედიტაციები - თანდათან ეჭვით აღივსება. ესაა ეჭვი, რომლის საგანიცაა სამყაროს მეტაფიზიკური გაორება. ეჭვი თანდათან იქცევა მყარ პოზიციად - ადამიანი ი ლ ა შ ქ რ ე ბ ს „იმქვეყნიურის წინააღმდეგ, აქლემი იქცევა ლომად, ლომისათვის ღმერთი მკვდარია, ამდენად, ტრანსცედენტური სამყაროს ღირებულებები და იმპერატივები - „შენ ხარ მოვალე“ - მოჩვენებითია. ადამიანს აღარ სურს მორჩილება, მას სურს იყოს ყოველივეს ბატონ-პატრონი. იმპერატივს - „შენ ხარ მოვალე“ ლომი უპირისპირებს თავის თავისუფლებას: მას არ ძალუძს ა ხ ა ლ ი ღირებულებების შექმნა, მაგრამ ის უარყოფს ძ ვ ე ლ ღირებულებებს და ამით უმზადებს საფუძველს ახალი ღირებულებების შექმნას.

ლომი, ისევე როგორც აქლემი, ნიცშეს ნააზრევში კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ ეპოქაზე მიგვითითებს. ესაა თავად „ზარატუსტრას“ ავტორის თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ი ეპოქა - ნ ი ჰ ი ლ ი ზ მ ი ს ეპოქა. უშფოთველი, მშვიდი, მორჩილი აქლემი იქცა ლომად, რომელიც ღვთაებრივ „არას“ ეუბნება ყველა ძველ მაღალ ღირებულებას, მოვალეობას! ძველი ინგრევა, ჰკარგავს ფასს. რა უნდა აკეთოს ადამიანმა ამ

ღირებულებით ვაკუუმში?

ნიცშესთვის გამოსავალი ასეთია: ძველი, შეცდომაზე აგებული ღირებულებები უნდა შეცვალოს ახალმა ღირებულებებმა - სწორ საფუძველზე გამომუშავებულმა. ყველაფერი უნდა დაიწყოს თ ა ვ ი დ ა ნ. ლომმა უნდა მიიყვანოს თავისი საქმე ბოლომდე - უარყოს

დრომოჭმული ღირებულებები. შემდეგ კი ამ წმინდა უ ა რ მ ყ ო ფ ე ლ მ ა ადგილი უნდა დაუთმოს მ შ ე ნ ე ბ ე ლ ს, შ ე მ ო ქ მ ე დ ს, იმას, ვინც არ არის დამძიმებული ძველით და ყველაფერს თავიდან იწყებს - ლომი უნდა იქცეს ბ ა ვ შ ვ ა დ. ბავში „ახალი დასაბამია“, მას ძველი არ ამძიმებს, ის უშუალობაა, უმანკოებაა, პირველსაწყისია, „თვითძრული ბორბალია“, რაც მთავარია - ბავშვი შიშველი „არა“, შიშველი ნგრევა და უარყოფა, ე.ი. უ ა რ ყ ო ფ ი თ ი თავისუფლება კი არ არის, არამედ შენებაა, ქმნაა, პ ო ზ ი ტ ი უ რ ი თავისუფლებაა, „ღვთაებრივი დასტურის“ თქმაა, შემოქმედებაა, ანუ „თ ა მ ა შ ი ა“. სამყარო, სადაც აღარ ისმის შემოქმედი ღმერთის ხმა, შემოქმედი უნდა იყოს თავად „მიწის“ ერთგული ადამიანი. მოთამაშე ბავშვად გადაქცევა გზაა ზეკაცისაკენ და თავად ზეკაცობის აუცილებელი ელემენტიცაა.

ზარატუსტრამ იცის, რომ ახალი ღირებულებების დამკვიდრებას ბევრი რამ და ბევრი ვინმე ეღობება წინ, შემოქმედ თამაშს ბევრი ჰყავს მტერი - შეგნებული და უნებური.

აი კათედრაზე დგას ბრძენი და საოცარი სერიოზულობით მოგვიწოდებს დავიცვათ ძველი სათნოებანი, დავიცვათ, რათა მშვიდად გვეძინოს. მთავარია უშფოთველი ძილი: „პატივი და მოკრძალება ძილის წინაშე! ეს არის პირველი!“ შემოქმედებას, ბრძოლას, ძიებას უპირისპირდება ძილი, ახალ ღირებულებებს - ძველი.

აი, ჩვენს წინაშეა „საიქაოს მოტრფიალე“. მას ყველაზე ღირებული და ძვირფასი სამყაროს „მიღმა“ ეგულება. ის შვებას ელის ღმერთისაგან და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ამბობს ზარატუსტრა, „ტანჯვამ და უძლურებამ შექმნა ყოველი საიქაონი“. ღმერთი ზარატუსტრასთვის ქმნილებაა სნეულთა, დაღლილთა, ძაბუნთა, ის მოჩვენებაა, ტყუილია და ღმერთის იმედით ყოფნა ტყუილში ცხოვრებაა.

აი, „სხეულის მეძულე“. მას სხეული ღირებულებას მოკლებულად მიაჩნია და მხოლოდ სულის კეთილდღეობაზე ზრუნავს. ზარატუსტრას არ სწამს სულის აბსოლუტური დამოუკიდებლობა - აქ ნიცშე ტრადიციული იდეალიზმის მოპირისპირეა. ღმერთის სიკვდილის ერთადერთი შედეგი სხეულის რეაბილიტაციაა: ზარატუსტრასთვის „სხეული დიდი გონებაა“, სული კი „მცირე გონებაა“, მხოლოდ იარაღია სხეულისა.

ზარატუსტრას განსაკუთრებული სიძულვილის საგანია

„სიკვდილის მქადაგებელი“ - მოწუწუნე, სულით „ჭლექიანი“, სიცოცხლით დაღლილი ადამიანი. სიკვდილის მქადაგებლისათვის სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვაა, ის ყველაფერში ეძებს საბუთს სიცოცხლის უარყოფისათვის.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ სიკვდილის მქადაგებელთა შორის ნიცშეს ეგულება ის ადამიანიც, რომელსაც ერთ დროს ეთაყვანებოდა, - არტურ შოპენჰაუერი. სიცოცხლის უარმყოფელი პესიმისტური მსოფლმხედველობა - შოპენჰაუერის „ნების მეტაფიზიკა“ იქნება ეს, ბუდიზმი, თუ თავისებურად ინტერპრეტირებული ქრისტიანობა - ზარატუსტრაში მხოლოდ ზიზღს იწვევს: „ჯერ ადამიანადაც არ ქმნილან ეს საშინელები, დეე იქადაგონ ცხოვრების უარყოფა და თვით აღიგავონ!“

ადამიანი, შემოქმედი, ღირებულება

ღმერთის სიკვდილის აღიარება ნიცშესთვის იმის მტკიცებასაც ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი არის ა დ ა მ ი ა ნ ი დ ა ა რ ა ღ მ ე რ თ ი . „ზარატუსტრას“ ავტორის თანახმად, ადამიანი არის შემოქმედი უწინარეს ყოვლისა ღირებულებებისა, რომელთა საფუძველზეც შენდება და წარიმართება მისი ცხოვრება - ჭეშმარიტიცა და ყალბიც - ადამიანის და მხოლოდ ადამიანის შემოქმედების ნაყოფია - სწორედ ამას უმტკიცებს თავის მოწაფეებს ზარატუსტრა; „ჭეშმარიტად, ძმანო, ადამიანთ თვით შეჰქმნეს ყოველი თვისი სიქველე და ბოროტება. ჭეშმარიტად, იგი არავისგან აუღიათ, არ უპოვნიათ, არ ჩამოვარდნილა იგი, ვით ხმა ზეცისა“, ადამიანი აფასებს საგნებს და ამ შეფასების აქტში, ნიცშეს აზრით, ჩნდება „კარგი“ და „ცუდი“, „კეთილი და ბოროტი“. შეფასების აქტით იქმნება ღირებულება, საზრისი ენიჭება საგნებს, შინაარსით ივსება „ყოფის კაკალი“: ტყუილად როდი თვლის ზარატუსტრა შეფასების უნარს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად - „ამად ეწოდება მას „ადამიანი“, ეს არს: ფასმდებელი“.

ნიცშეს ამ სუბიექტივისტურ აქსიოლოგიას თავისი კრიტიკული პათოსიც აქვს. საქმე ისაა, რომ ღირებულებას, ზარატუსტრას ავტორის თანახმად, ქმნის სუსტი, უღონო, დაავადებული სიცოცხლეც, შურიც შეიძლება იქცეს ღირებულების შემოქმედად, შური, რომელიც სიკეთის ნიღაბს აფარებს თავს. ქრისტიანული ღირებულებები, ტრადიციული „სიკეთე“ და „ბოროტება“ სწორედ

სუსტი სიცოცხლის ნაყოფად ესახება ნიცშეს. უნდა ითქვას, რომ ძალზე ხშირად ნიცშეს მიერ გაკეთებული ფსიქოლოგიური ანალიზი ღრმაცაა და სწორიც; განა „უანგარობის“, „მოყვასის სიყვარულის“, „უმანკოების“ ნიღაბქვეშ იშვიათად გვინახავს ანგარება, სიძულვილი, მანკიერება?! ნიცშე ადამიანის სულის დაფარული კუნჭულების მიგნების ოსტატია. მისი „ფსიქოლოგიის“ მიზანია კეთილზნიან ფასადს მიღმა იპოვოს ბნელი მოტივი. კაცი, რომელსაც სურს შური იძიოს, მაგრამ ამის ძალა არ შესწევს, აცხადებს სიკეთე და პატიებაა მაღალი ღირებულება და მე კეთილი და მპატიებელი ვართო; მშიშარა და ლაჩარი გვეუბნება, ქვეყანაზე ყველაზე ძნელი საქმე ჭირთა დათმენაა. ავხორცობა - გვეუბნება ზარატუსტრა - ხშირად ნიღბავს თავის თავს: როცა თავის საწადელს ვერ აღისრულებს, იწყებს ჩივილს იმაზე, რომ მას დააკლეს რაღაც მაღალი - სულიერი. სუსტი სიცოცხლე უმტკიცებს ძლიერს - უმაღლესი ღირებულება სიყვარულიაო, შთააგონებს ამას მხოლოდ იმიტომ, რომ გადარჩენა და საკუთარი სიცოცხლის განმტკიცება სურს - ცხვარი შთააგონებს არწივს, გიყვარდეს მოყვასიო და არწივი - ომისათვის გაჩენილი ეს ფრინველი - გადაიქცევა შინაურ, „ყველას მოყვარულ“ არსებად.

ცხადია, ნიცშეს დაკვირვებები არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ ქრისტიანობის წარმოშობის ნიცშესეული კონცეფცია აშკარად ბადებს უკმარისობის გრძნობას: სიყვარული და უანგარობა შეიძლება იყოს ნიღაბი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მხოლოდ ნიღბის სახით არსებობენ. ნიცშე ზედმეტად ეჭვიანია: ის ნიღაბს ეძებს იქაც, სადაც ეს ნიღაბი არ არსებობს, სადაც სიყვარული მართლაც სიყვარულია და არა იარაღად ქცეული სიძულვილი.

ქრისტიანობას ნიცშე აფასებს სიცოცხლის ფილოსოფიის კონტექსტში - უყურებს როგორც სუსტი

სიცოცხლის გამოხატულებას. სწორედ ამიტომ ებრძვის ტრადიციულ ქრისტიანულ მცნებებს, ებრძვის თანალმობისაკენ, მოყვასის სიყვარულისაკენ მოწოდებას. ისინი, ნიცშეს აზრით, საბოლოო ანგარიშით, სიცოცხლეს ასუსტებენ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნიცშე კაცთმოძულეა (სამწუხაროდ, ჩვენში ამას ხშირად გაიგონებთ). „დუნე, „ჭაობისებური ცხოვრების დიდი სიძულვილი, „პაწია“ ბედნიერების მაძიებლის, ფილისტერის ზიზღი, ზარატუსტრას ავტორს ბევრ, მკითხველის ყურისთვის ძნელად მოსასმენ სიტყვას ათქმევინებს, მაგრამ თავი და თავი ამ

სიტყვებისა არის ზრუნვა სიცოცხლის - ადამიანის ცხოვრების სრულქმნაზე: სიცოცხლე უნდა იყოს სისხლსავსე, მძაფრი, ჰეროიკული, რისკით და ხიფათით სავსე.

ამგვარად გაგებული იდეალი სიცოცხლისა, ცხადია, ვერ იგუებს სანტიმენტალობას. „თანასიბრალული მეგობრისადმი დაჰფარავს მაგარი ნაჭუჭით, გმართებს ამით ილესდე კბილს. მაშინ იგემებ შენ მის სინაზეს და სიტკბოს“, და კიდევ: „იყოს შენი თანასიბრალული ამოცნობად, ჯერ სცანი, ჰსურს თუ არა შენს მეგობარს შენი თანასიბრალული. იქნებ მას შენი უდრეკი თვალი უყვარს და გამოხედვა მარადისობისა“.

„მიწის“, ე.ი. სიცოცხლის ერთგულება „ჭაობის“ ნაცვლად ითხოვს მოძრაობას, ომს, მამაცობას, ბრძოლას. ეს ერთგულებაა საფუძველი ჭეშმარიტი მეგობრობისა - შემოქმედ-მებრძოლთა მეგობრობისა, რომელიც, ზარატუსტრას თქმით, არც მონას ძალუძს და არც ტირანს: „მონა ხარ? მეგობრობა არ ძალგიძს. ტირანი ხარ? მეგობართ ვერ მოიპოვებ“.

მოყვასის სიყვარულს ზარატუსტრა უპირისპირებდა „სიყვარულს შორეულისას“. ვინც შორეულს - ზეკაცს არ უმზერს, ის აწმყოს ყოველდღიურობაში გაითქვიფება - ასეთია ნიცშეს თეზისი. სიყვარული შორეულისა, სიყვარული საგანთა და ლანდებისა“ - ზარატუსტრას მოძღვრების ერთ-ერთი დედაბოძია. ის, რასაც ჩვენ ლანდებად, მოჩვენებად ვთვლით - უანგარო იდეალები, ზოგადი სიქველენი ზეკაცის ცხოვრებისა, რომლებიც ქრისტიანობის საპირისპირო არიან - ადამიანთა ორიენტირები უნდა გახდნენ. შემოქმედება უნდა გახდეს ბრძოლად ამ იდეალების საგნად ქცევისათვის; „მყობადი და შორეული იყოს მიზეზი შენი დღეისა. შენ მეგობარში გიყვარდეს ზეკაცი“.

მაგრამ შორეულზე ზრუნვა, ზარატუსტრას თანახმად, ცხადია, არ გამორიცხავს თავისებურ ზრუნვას, მიმართულს აწმყოზე, რომლის გამოხატულებაცაა ნიცშეს მიერ ოსტატურად აღწერილი ფენომენი „გამღები სიქველისა“.

ზარატუსტრას სძაგს ეგოიზმი, „უღატაკესი“, დამშეული“ თავკერძობა, „რომელს მარად ქურდობა ჰსურს, იგი სნეულთ თავკერძობაა, სნეული თავკერძობა“ „კატებთან და მგლებთან“. ეგოიზმის პრინციპი - „ყოველი ჩემთვის“ ზარატუსტრასთვის ადამიანის ღრმა გადაგვარების ნიშანია.

ხარბთა და დავრდომილთა ამ თავკერძობას ნიცშე უპირისპირებს „საღსა და წმიდა“ თავკერძობას, რომლის

გამოხატულებაცაა გამღები სიყვარული. ის თავკერძობაა, რადგან ყველა ღირებულებათა მიმთვისებელია, სურს მოიხვეჭოს ყველა საუნჯე. მაგრამ გამღები სიყვარულის ეს თავკერძობა „საღი და წმიდაა“. რადგან ეს აურაცხელი სიმდიდრე გამღებ სულს მითვისებული აქვს მხოლოდ იმისთვის, რათა გასცეს, გაასაჩუქროს. ეგოისტი თავს ედება საკუთარ პერსონას, მას მოპოვებული კეთილშობის შენარჩუნება სურს და, ამდენად, ყოველგვარი ცვალებადობა და მოძრაობა აშინებს. გამღებ სულს სწყურია მსხვერპლად თავის მიტანა, საკუთარი თავის მთლიანად „დახარჯვა“ - ამდენად, ის სიმყარის, გაქვავების, გაყინვის მოძულეა. მისი სტიქიაა გასაჩუქრება იმისა, რაც აბადია.

ეს გასაჩუქრება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დაჩაგრულისათვის მოწყალების გაღება, ეს ნიცშეს გაყალბება იქნებოდა. გასაჩუქრებას, გაღებას ნიცშესთან ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ს ა ვ ს ე ო ბ ა უდევს საფუძვლად. გამჩუქებელია სისხლსავსე სიცოცხლე: ის იმდენად სავსეა, რომ არ შეუძლია არ გასცეს, არ აჩუქოს. საჩუქარი კი არ გაიღება, არამედ „იღვრება“ სიყვარულისა და სიცოცხლის ძალთა სიჭარბის გამო. ამ სიჭარბის შედეგი სწორედ „საჩუქარია“ და არა „დახმარება“, „მოწყალება“, ის პირველ ყოვლისა ღირებულია თავისთავად და არა როგორც რაიმე მიზნის მიღწევის საშუალება.

...ნიცშეს თხზულების პირველი ნაწილი „გამღები სიყვარულის“ შესახებ მოძღვრებით მთავრდება. გამღებ სიქველეზე საუბარს მოსდევს ზარატუსტრას უცნაური სიტყვები: „მომშორდით და ერიდენით ზარატუსტრას... იქნებ გატყუებდათ“: ზარატუსტრას არ სურს იყოს ბრმა თაყვანისცემის საგანი, არ სურს იყოს კერპი. ადამიანი ჭეშმარიტებასთან საკუთარი გამოცდილებით უნდა მივიდეს - მოწაფე არ უნდა დარჩეს მარად მოწაფედ. ზარატუსტრა შორდება თავის მოწაფეებს, რათა მომავალში შეხვდეს მათ, როგორც იმ ადამიანებს, რომლებმაც იპოვეს საკუთარი თავი. თავის მოწაფეებთან ერთად ის იზეიმებს „დიდად შუადღეს“ - ადამიანის დაისს, დროს, როცა მათი ნება ასეთი იქნება: „მკვდარნი არიან ყველა ღმერთები. აწ ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს“.

4. „ზარატუსტრას“ მეორე ნაწილის ძირითადი პრობლემები

ყოფიერება და დრო
ნიცშეს თხზულების მეორე ნაწილის დასაწყისი პირველის დასაწყისს მოგვაგონებს: ზარატუსტრა კვლავ განმარტოებით ცხოვრობს მთებში, ის გაშორდა თავის მოწაფეებს, გაშორდა, რადგან არ სურდა ყოფილიყო ბნელი თაყვანისცემის საგანი, კერპი: მას არაფერი აქვს საერთო „ფიურერებთან“, „ბელადებთან“, ჩვენს დროშიც რომ ბევრი გვინახავს. ზარატუსტრას პიროვნებებთან სურს დიალოგი და არა მონუსხულ ბრბოსთან, მისთვის აუცილებელია ურთიერთობა, კომუნიკაცია ადამიანებთან, მაგრამ ეს ადამიანები ღრმა განცდით, ღრმა კრიტიკული ალღოთი დაჯილდოებული უნდა იყვნენ. სულის სწორედ ამ თავისუფლებას, სიფხიზლეს, სინათლეს გულისხმობს ნიცშეს თხზულების მეორე ნაწილის ეპიგრაფი, „ზარატუსტრას“ პირველი ნაწილიდან ცნობილი სიტყვები: „და ოდეს ყველანი უარმყოფთ, კვლავ დაგიბრუნდებით...“

და, აი, ზარატუსტრა კვლავ უბრუნდება თავის მოწაფეებს: „მან თესლი დათესა“ - დაუტოვა თავის მოწაფეებს საკუთარი მოძღვრება თავისუფალ განსჯისათვის, თავად კი იყო „მელოდინე, მზგავსად მთესავისა“. ახლა, სიზმარში ნანახი აბრუნებს მას მოწაფეებთან: ზარატუსტრას მოძღვრება განსაცდელშია, „მტერნი გაძლიერებულან“ და მისი მოძღვრების სახე დაუმახინჯებიათ. (ნიცშე აქაც წინასწარმეტყველი აღმოჩნდა; მისი მოძღვრება მრავალგზის დაუმახინჯებიათ ამ მოძღვრების მტრებსაც და ვაი-მოკეთეებსაც).

მოწაფეებთან ახალი შეხვედრისას ზარატუსტრა აღრმავებს და აზუსტებს თავის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ონტოლოგიური მნიშვნელობის მქონე დებულებებს. ამ დებულებების კრიტიკის ძირითადი ობიექტია ტრადიციული სურათი სამყაროს აგებულებისა, პლატონისეული გაგება „ნამდვილი სინამდვილისა“, იდეალურისა, ღმერთისა. ნიცშეს ყურადღების ცენტრში დგება პრობლემა ყოფიერებისა და დროის ურთიერთმიმართებისა.

მოძღვრება, რომლის თანახმადაც ღმერთი, ე. ი. იდეალური,

მარადიული, უცვლელი სამყარო, დროის განზომილების არამქონე სამეფო უმაღლესი ღირებულებებისა არის „ნამდვილი სინამდვილე“ ნიცშესთვის ადამიანის არსების საწინააღმდეგოა: „ბოროტს და ადამიანისთვის მავნეს ვუწოდებ ყველა მოძღვრებას მხოლოდისა და სულისა, უძრავისა, მაძღრისა და წარუვალისათვის“. ღმერთის აღიარება ზარატუსტრასთვის ნიშნავს დროის გაუფასურებას, ეს კი - შემოქმედების, საერთოდ ქმნადობის, გაუფასურებას, რადგან ქმნადობა დროის გარეშე არ არსებობს: „ღმერთი აზრია, რომელი ყოველს სწორს ბრუდსა ჰქმნის და მყარს მოძრავად. როგორ? გაქრნეს დრო და ყოველი, რაც წარმავალია, სიცრუე იქმება?’

ნიცშეს პოზიცია პლატონისეული მეტაფიზიკის საპირისპიროა: „ნამდვილი სინამდვილე“ დროში არსებული, ქმნადი, ცვალებადი, წარსულის, აწმყოსა და მომავლის მქონე სინამდვილეა: დრო ყოფიერების არსებითი ნიშანია, ყოფიერება ქმნადობაა. ის რაც იცვლება, რაც წარუვალია, ზარატუსტრასთვის, მხოლოდ სიმბოლოა: „ყოველი წარუვალი მხოლოდ სიმბოლოა და პოეტები ფრიად სცრუიან“. (გავიხსენოთ გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილის დასასრული; „ყოველი წარმავალი არის მხოლოდ სიმბოლო“). ღმერთი თავისი უცვლელი იმპერატივებით ნიცშეს ესახება როგორც ადამიანის შემოქმედებითი თავისუფალი

მოღვაწეობის შემბორკავი ძალა. მაგრამ ასეთი ღმერთი, ზარატუსტრას სიტყვებით, მხოლოდ „ვარაუდია“. ის ვარაუდია, რომელიც ადამიანის თავმა დაბადა, ის მცდარი ვარაუდია. ღმერთის არსებობის ცნობილი არგუმენტების საპირისპიროდ ზარატუსტრას ღმერთის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს საბუთი მოჰყავს: „უკეთუ ღმერთები იარსებებენ, ვით ავიტანდი ღმერთი არ ვყოფილიყავი! მაშ, ღმერთი არა ჰგიებს“. ძლიერი სისხლსავსე სიცოცხლე, ამაყი სული, „არწივი“ ვერ აიტანდა მასზე ძლიერს, მასზე სრულყოფილს - ის თავად იქცეოდა ამ სრულყოფილ არსებად; და რადგან ეს არ მოხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთის არსებობა ილუზია იყო, რომ ღმერთი არსებობდა მხოლოდ როგორც „ვარაუდი“ და არა როგორც „ნამდვილი სინამდვილე“.

ნიცშეს აზრით, „ღმერთის სიკვდილი“ გზას უხსნის ადამიანის შემოქმედებას. ის სამყარო, რომელიც „აგებული“ იყო ღმერთის თვალთახედვით, დაინგრა. ახლა ადამიანმა უნდა ააგოს ახალი სამყარო - ადამიანური. ყველაფერი უნდა გარდაიქმნას „ადამიანისთვის სააზრო, ადამიანისთვის სანახავ, ადამიანისთვის

საგრძნობლად... და რასაც ქვეყანას უწოდებთ, იგი ჯერ თქვენ მიერ ქმნილ უნდა იყოს“. ადამიანმა უნდა ააგოს ადამიანის სამყარო და მან უნდა არსებითად შეცვალოს საკუთარი თავიც. ეს ახლის ქმნა მხოლოდ დროში არსებობს, ეს შემოქმედება მხოლოდ იმით სულდგმულობს, რომ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი.

ადამიანის ამ შემოქმედებით მოღვაწეობაში, ნიცშეს თანახმად, გამოვლენას პოულობს სამყაროს არსება - „მიწა“, რომელიც უნდა ვიაზროთ როგორც სიცოცხლე. ტრადიციული მეტაფიზიკა სვამდა კითხვას ყოფიერებაზე, არსებულზე როგორც არსებულზე“, არსებულის ყოფიერებაზე. ნიცშეს ამ კითხვაზე თავისი პასუხი აქვს: სამყაროს ყოფიერება არის სიცოცხლე, ჰერაკლიტისეული ქმნადობა, „დიონისური“ ლტოლვა. „მიწა“, რომელიც ნიცშეს მოძღვრებაში იკავებს ღმერთის ადგილს, სწორედ სიცოცხლის მიმნიჭებელი ძალაა, თავად სიცოცხლეა, ე. ი. დროში და სივრცეში გაშლილი შემოქმედებითი პროცესია. სიცოცხლე ნიცშესთვის სამყაროს ძირია, სამყაროს არსებაა, ხოლო ადამიანის შემოქმედება, - როცა ის სწორი გზით მიდის და თავად სიცოცლხეს არ ღალატობს - ყველაზე ადეკვატური და სრულყოფილი გამოხატულებაა ამ ძირისა. სიცოცხლე მოქმედების სურვილი, „ქმნის ნებაა“. ეს არის ნება, რომელიც ანგრევს ძველს, დრომოჭმულს, გახევებულს, მკვდარს, იმას, რაც ამძიმებს და ტანჯავს ადამიანს: „ყოველი მგრძნობიარე იტანჯება ჩემს შორის და საპყრობილეშია, ხოლო ჩემი ნება მარად მოდის ჩემთან ვით მხსნელი და მახარობელი. ნება იხსნის - ესეა ჭეშმარიტი მოძღვრება ნებისა, თავისუფლებისა“.

აქ კარგად ჩანს, რომ შოპენჰაუერის „ნების მეტაფიზიკა“, მართალია, ძალზე შეცვლილი სახით, მაინც ძალაში რჩება ნიცშეს მოძღვრებაში. სიცოცხლე ნებაა, რომელიც სიცოცხლის სულ ახალ და ახალ ფორმებს ქმნის, ის ძალაა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს გადალახოს თავისი თავი და დააახლოვოს ის „ზეკაცის მშვენიერებასთან“.

სიცოცხლე ზარატუსტრას ესახება როგორც ნებათა ბრძოლა. სადაც არ არის ბრძოლა, იქ სიკვდილია, არარაა. ნიცშე ებრძვის ყველას, ვინც სიცოცხლის ბრძოლაში აღმოცენებული უთანასწორობის მტერია.

„ტარანტული“, რომელზეც ლაპარაკობს ზარატუსტრა, სწორედ თანასწორობის მოქადაგეა. რა უბიძგებს მას ამ ქადაგებისაკენ? ნიცშე აქაც თავისი „სიღრმის ფსიქოლოგიის“ ერთგულია. თანასწორობას

ქადაგებს ის, ვინც უძლურია, ვისაც სურს, მაგრამ არ შეუძლია ბატონობა; და სწორედ რადგან არ შეუძლია, შურით და შურისძიებით განმსჭვალული თანასწორობას ქადაგებს; „თქვენ, თანასწორობის მქადაგებელნო! ტირანთა უძლურების შეშლილობა ჰღაღადებს თქვენით „თანასწორობისათვის“: თქვენი საიდუმლო აღტკინება ტირანობისათვის ესე იჩადრებს სათნოების სიტყვებით!“ სიცოცხლე თავისი თავის ძლევაა და ამ ძლევის პროცესში ტრადიციულ სამართალზე და თანასწორობაზე ლაპარაკი ნიცშეს მკრეხელობად მიაჩნია. სიცოცხლისა და ნების შესატყვისად აგებულ სამყაროში მას მკრეხელობად მიაჩნია ასევე ტრადიციულად გაგებული მოწყალება, მორჩილება, შებრალება, შურისძიება, სასჯელი, სასყიდელი. ამ ტრადიციულ ცნებათა კრიტიკისას, რომელიც ხშირად სწორიცაა და მახვილიც, „სიცოცხლის ფილოსოფიისათვის“ დამახასიათებელი თვითნებობის გამართლების საშიში ტენდენციაც კარგად ჩანს.

სამყარო როგორც ნება

„ზარატუსტრას“ კითვისას თანდათან ნათელი ხდება ნიცშეს ონტოლოგიური მრწამსი. ზარატუსტრამ თავიდანვე მოუწოდა ადამიანებს, ყოფილიყვნენ „მიწის“ ერთგულნი, რადგან ზეგრძნობადი იდეალური სამყარო უმაღლესი ღირებულებებისა - ღმერთი ილუზია აღმოჩნდა. შემდეგ გაირკვა, რომ „მიწა“ რაღაც პასიური, ინერტული ნივთიერი საწყისი კი არ არის, არამედ „სიცოცხლეა:, „ცხოვრებაა“, მონაკვეთში „თვითძლევისათვის“ განსაკუთრებით კონკრეტდება „სიცოცხლის“ ცნებაც. ზარატუსტრა ამბობს: „ხოლო სად ცხოვრებაა, იქ ნებაცაა, ხოლო არა ნება ცხოვრებისა, არამედ - ამას გასწავი შენ - ნება ხელმწიფებისა“. ირკვევა, რომ „მიწა“ ნებაა, ნება კი ყოველთვის ნებაა ძალაუფლებისა, არის „ნება ხელმწიფებისა“.

„ნება ცხოვრებისა“, „ნება არსებობისა“ - შოპენჰაუერის მეტაფიზიკის ძირეული ცნებაა. ნიცშე, მზგავსად თავისი ყოფილი მასწავლებლისა, „ვოლუნტარისტია“, მაგრამ მას უკვე არ აკმაყოფილებს „ნება არსებობისა“. „ვერ მოახვედრა, ცხადია, ჭეშმარიტებას, ვინც მას სტყორცნა სიტყვა „ნება არსებობისა“: ნება ესე არ არსებობს! რადგან რაც არ არის, მას არც სურვილი შეუძლია; რაც არსებობს, ვით შეუძლია მას კვლავ არსებობის სურვილი!“ - ეს სიტყვები შოპენჰაუერის წინააღმდეგაა მიმართული: სამყარო ძალაუფლების

ნებაა და არა არსებობის ნება.

პლატონისეული ონტოლოგია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პლატონური აქსიოლოგია აქ თავდაყირაა დაყენებული. სამყაროს საფუძველში მდებარედ უკვე აღარ იგულისხმება გონებისეული, მყარი, უცვლელი, იდეალური; სამყარო - „მიწაა“, „სიცოცხლეა“ ანუ „ნებაა ძალაუფლებისა“, ის ირაციონალურია, დიონისურია, მარადი ბრძოლაა სხვასთან და საკუთარ თავთან. სიცოცხლე ქმნადობაა, ჭეშმარიტად ქმნადი და ცოცხალი ნიცშესათვის არის ინდივიდი, ერთეული, „აი ეს“ და არა აბსტრაქტული იდეა. ონტოლოგიურ შებრუნებას თან ახლავს აქსიოლოგიური შემობრუნებაც: უმაღლესი ღირებულებისაა არა ზოგადი, იდეალური, უცვლელი, არამედ ინდივიდუალური, კონკრეტული, დროსა და სივრცეში არსებული, უმაღლესი ღირებულებისაა ძალაუფლების ნების მქონე ერთეული არსებულთა ბრძოლა. ღმერთის სიკვდილი, სხვა მრავალ შედეგთან ერთად, ზოგადის და რაციონალურის ღირებულების გაუფასურებასაც ნიშნავს; უნიკალურობა, ძალაუფლების ნების განუმეორებელი, „ერთჯერადი“ გამოვლენა პიროვნებაში, განსჯის ზოგად წესს დაუმორჩილებელი ქმედება ადამიანისა - აი, რა არის ღირებული ნიცშესთვის. ზოგადისა და იდეალურის კულტს ცვლის ინდივიდუალურისა და „მიწიერის“ კულტი. ამ პოზიციის ჩამოყალიბებაში უეჭველად დიდი როლი ითამაშა გერმანელი ფილოსოფოსის უაღრესად უარყოფითმა დამოკიდებულებამ მისი დროის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მანკიერებასთან; პიროვნების ნიველირებასთან, ცხოვრების მექანიზაციასთან, სტანდარტიზაციასთან, ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანის გაუცხოებასთან. ნიცშე ინდივიდის უდიდესი ქომაგია, პიროვნების ინდივიდუალობის სრული გამომჟღავნების გზას კი ის ხედავს ყოველი არსებულისა და, მაშასადამე, აგრეთვე, ადამიანის ფუნდამენტური, არსებითი მისწრაფების სრულსა და სწორ რეალიზაციაში, სხვა სიტყვებით, ისეთ რეალიზაციაში, რომლის დროსაც ძალაუფლების ნება უღალატებს თავის თავს, არ შექმნის მოჩვენებით იდეალურ, ზეგრძნობად სამყაროს, არ გაუცხოვდება, დარჩება თავისი თავის და „მიწიერი“ სამყაროს ერთგული.

ის, ვინც სამყაროს საფუძვლად აზრისეულ საწყისს მიიჩნევს, - გავიხსენოთ თუნდაც ჰეგელი, - ცხადია, სამყაროს ფილოსოფიური დახასიათების მიზნით მიმართავს ც ნ ე ბ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა ს, მკაცრ დასაბუთებას, „რაციოს“ საშუალებებს. ნიცშესთვის სამყარო ნებაა,

ირაციონალურია. სწორედ ეს განსაზღვრავს „ზარატუსტრას“ ფორმას, ენას, სტილს: ეს თხზულება შორსაა ყოველგვარი სისტემურობისაგან, შორსაა თეორიული ბჭობისაგან. სამყარო, რომლის ფუძე ნებაა ძალაუფლებისა, ადეკვატურად გადმოიცემა იმ ენით, რომელიც ახლოსაა ხელოვანის, პოეტის ენასთან. შემთხვევითი როდია, რომ „ზარატუსტრაში“ მკითხველი ხვდება „სიმღერებს“: ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიცშე მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან ტრაგედიას, დიონისურს და მუსიკის სულს. სამყაროს სიონისური საწყისი თავისი გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას „სიმღერაში“ პოულობს. „ზარატუსტრას“ მეორე ნაწილში სამი სიმღერაა: „ღამის სიმღერა“, „ცეკვის სიმღერა“ და „სასაფლაო სიმღერა“. პირველი „მიჯნურთა სიმღერაა“. ამ ენით ლაპარაკობს „სიყვარულის წყურვილი“, დიონისური სწრაფვა და ტანჯვა. მიჯნური აქ სინათლეა, მარტოდ დარჩენილი „ნათელია“, მისი სიყვარულის საგანი კი არის ღამე, ბნელის არსებობის წესი, სიბნელე, რომელიც „აღებით“, „ნათლის ძღვნით“ ბედნიერია, მუდამ მოლოდინით და სურვილით აღვსილია. „ღამის სიმღერა“ დითირამბია, მიძღვნილი სიბნელისადმი, როგორც სიცოცხლის აუცილებელი და მაღალი ღირებულების მქონე ელემენტისადმი; „ჰეი, თქვენ ბნელნო, თქვენ ღამეულნო, მხოლოდ თქვენ ჰქმნით რძეს და, სიტკბოებას ნათლის ჯიქნითა! „ცეკვის სიმღერა“ სიცოცხლეს ეხება: ქალთა ცეკვა, ზარატუსტრას აღტაცებას რომ იწვევს, სწორედ სიცოცხლის გამოხატულებაა; სიცოცხლის, როგორც მარად მოძრავისა და „მოუხელთებელის“, გამოხატულებაა თავად ქალიც: „ხოლო მე ცვალებადი ვარ და ველური და ყველაფრით დედაკაცი და არასათნოიანი“. „სასაფლაოს სიმღერა“ ეძღვნება სიყრმის გატაცებებს, იმედებს, იდეალებს, აწ დამსხვრეულთ, „მიცვალებულთ“. ამ სიმღერის ბოლო ნაწილში სევდას ცვლის ოპტიმისტური განცდა: ზარატუსტრამ იცის, რომ მასში - და ყველა ადამიანში - არის ისეთი რაიმე, რასაც ვერ გაანადგურებ - ნ ე ბ ა, რომელიც თან ახლავს ადამიანის მთელ ცხოვრებას. ნება კი განახლების იარაღია: „დიახ, არის ჩემ შორის უკოდველი და უმარხი, კლდეთა მმუსრავი: იგი ჩ ე მ ი ნ ე ბ ა ა. მდუმარე და უდრეკი ვლის იგი წლებსა, თვისი საკუთარი სვლით ჰსურს მას ვლა ჩემი ფეხით, ჩემ ძველ ნებას; გულქვაა მისი გრძნობა და უკოდველი“. ნების ამ „უკოდველობაში“ ჩანს მისი ერთერთი ძირითადი ნიშანი - ის თ ვ ი თ ძ ლ ე ვ ი ს იარაღია. ძალაუფლების ნება არ არის მისწრაფება პასიური შეგუებისაკენ, ის აქტიურია, შემოქმედებითია, მას ბატონობა, ზრდა და განმტკიცება სურს, ის გარემოს კი არ ეგუება, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას,

გარემოს იგუებს. ეს განმტკიცება-განვითარება გულისხმობს არ მარტო ბატონობას გარემოზე, არამედ საკუთარი თავის დაძლევასაც. ის, რაც დღეს საოცნებოა, ხვალ უნდა მიიცვალოს, საფლავს მიებაროს. ასე ხდება სიცოცხლის ამაღლება და განმტკიცება. აქედან ნათელი ხდება, რომ ღირებულია მხოლოდ ის, რაც ამ ამაღლება-განმტკიცებას ემსახურება, ე.ი. ემსახურება მიწას, „სიცოცხლეს“, „ძალაუფლების ნებას“. თვით ისეთი პროცესიც კი როგორიცაა აზროვნება, სამყაროს „დაუინტერესებელი“ გააზრება, ნიცშეს თანახმად, აუცილებელ პირობად მოითხოვს ინტერესს, ძალაუფლების ნების მოქმედებას: ნებას შეაქვს წესრიგი სამყაროში, ნება აძლევს არსებულს ისეთ სახეს, რომელიც შეიძლება გააზრებული იყოს. მყარი კანონები, მყარი ცნებები და კატეგორიები ნების ის იარაღებია, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს იბატონოს სამყაროზე: „ყოველი ყოფადი გსურთ ჯერ მოაზრებად ჰყოთ: რადგან ეჭვი გაქვთ კეთილი უნდობლობით, რომ იგი უკვე მოაზრებადია. მაგრამ იგი
თქვენ უნდა დაგემორჩილოთ და თქვენ წინაშე მოიხაროს! ესე ჰსურს თქვენს ნებას. უნდა გასწორდეს და სულს ქვემდებარებდეს, ვით მისი სარკე და ანარეკლი“.

ნება, სნეულება და ხსნა

თანადროულობასთან შეურიგებელი ნიცშე ხშირად მეტად „ბნელ“ პრედიკატებს მიაწერს მას. მაგალითად, მონაკვეთში „დიდ მოვლენათათვის“ ადამიანი დახასიათებულია როგორც სნეულება: „მიწას... გარსი აქვს და ამ გარსს სნეულებანი, ერთ ამ სნეულებათაგანს, მაგალითად, „ადამიანი“ ეწოდება“, აქვე დახასიათებულია მეორე სნეულება - „ცეცხლის ძაღლი“, წარმომადგენელი „აღმომხეთქ-შთამხეთქ ეშმაკთა, რომელთა არა მხოლოდ მოხუც დედაკაცთ ეშინიათ“.

„ცეცხლის ძაღლი სიმბოლოა მნგრეველი, სოციალური გადატრიალებების პრეტენზიის მქონე მოძრაობებისა, რომელთა შედეგი, ზარატუსტრას აზრით, მხოლოდ ხმაური და ნგრევაა; „თქვენ იცით ღრიალი და ნაცრით დაბნელება! საუკეთესო მკვეხარანი ხართ და საუკეთესოდ შეისწავლეთ ხელოვნება შლამის ათუხთუხების“! „ცეცხლის ძაღლი გაყვირის თავისუფლებაზე, მაგრამ რაიმე დადებითი, ჭეშმარიტი ღირებულების დადგენა არ მოსდევს ამ ყვირილს, რადგან ცეცხლის ძაღლი სინამდვილეში არ არის მიწის ერთგული, ის „ფრიად ბევრ საკვებს იღებს ზედაპირისაგან“. ის

სულაც არ ლაპარაკობს „ნივთთა წიაღიდან“, „მიწის გულიდან“. „ცეცხლის ძაღლის“ სიღრმე არც ისე ღრმაა, როგორც გვეჩვენება. „ცეცხლის ძაღლი ზედაპირულია: ის გაჰყვირის, ანგრევს და ამით სურს „დიდ მოვლენად“ მოგაჩვენოს თავი. მაგრამ იქ, სადაც მოვლენა არ არის ფესვგადგმული მიწაში, სიცოცხლეში, საქმე თავდება „ღრიანცელით და კვამლით“ და არა ახალი ღირებულებების აღმოჩენით. ზარატუსტრასთვის კი დიდი მოვლენები სწორედ ახალი სიცოცხლის ერთგული ღირებულებების დადგენის პროცესებია: „უდიდესი მოვლენანი - ესაა არა ჩვენი დიდი ხმაურების, არამედ ჩვენი ყველაზე ჩუმი საათები, არა ახალი ხმაურების გამომგონებლების, არამედ ახალი ღირებულებების აღმომჩენთა გარშემო ტრიალებს ქვეყანა: იგი ჩ უ მ ა დ ტრიალებს“.

ადამიანი იქნება „სნეულება“, თუ მზგავსად ცეცხლის ძაღლისა, „ზედაპირით“ - იმქვეყნიურით ისაზრდოებს, თავის ცხოვრებას მიწის ჭეშმარიტ სიღრმეს არ შეუსატყვისებს. ამ ორი სნეულების - ცეცხლის ძაღლისა და ადამიანის დაძლევის გზაზე ცისაკენ მიმავალი გზაა. ამ გზის მაჩვენებელია მეორე ცეცხლის ძაღლი, რომელიც მართლა „მიწის გულიდან ლაპარაკობს“, მიწის გულიდან, რომლისგანაც იღებს „ოქროსა და სიცილს“. მიწის ძახილი ნამდვილი სიცოცხლისაკენ, ნიჰილიზმიდან თავის დაღწევისაკენ, ადამიანის მიერ თავისი თავის დაძლევისაკენ მოწოდებაა. ამავე მონაკვეთში ნიცშე უცნაურ ამბებს ყვება: მეზღვაურებმა შეამჩნიერს ჰაერში კაცი, რომელმაც მათთან მოახლოებისას წარმოსთქვა: „დროა! დიდი ხანია დროა!“ ეს კაცი ზარატუსტრაა: ის ლაპარაკობს იმაზე, რომ დრო დადგა ადამიანის განკურნებისა, დრო დადგა იმ ჭეშმარიტების გაცხადებისა, რომელიც ადამიანს სწორ გზაზე დააყენებს, ნიჰილიზმის მიერ შექმნილ ღირებულებათა ვაკუუმიდან გაანთავისუფლებს.

სნეული ადამიანის სახეს მკითხველი ეცნობა მონაკვეთში „მისანი“. მისანი ესაა ადამიანი, რომელსაც ძვალში და რბილში გაჯდომია ნიჰილიზმი, ე.ი. რომლისთვისაც გაუფასურებულა ყველა მაღალი ღირებულება. აი, მისი სიტყვები: ამაო იყო ყოველი ღვაწლი, ჩვენი ღვინო შხამად იქცა, ცუდმა თვალმა

ყვითლად გაახმო ჩვენი მინდვრები და გულნი. დავშრით ყველა; და თუ ცეცხლი დაგვეცა, განვიბნევით, ვით ნაცარი: დიახ, ჩვენ თვით ცეცხლით დავიღალეთ. ყველა წყარო დაშრა ჩვენთვის, ზღვამაც უკან დაიხია. ნიადაგი მზად არის რღვევად, ხოლო წიაღს არა ჰსურს

ჩაგვყლაპოს“... შემთხვევითი არ არის, რომ მისნის საუბარმა უდიდესი ზეგავლენა მოახდიან ზარატუსტრაზე: მწუხარე და მოქანცული დახეტიალობდა და თავად დაემზგავსა სნეულთ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მისნის სიტყვებში ჭეშმარიტებაც იმალება: ღმერთი მართლაც მკვდარია. მაგრამ ზარატუსტრა არ არის პასიური ნიჰილიზმის მომხრე; ნიჰილიზმით უნდა დაავადდე და შემდეგ განიკურნო. სიზმარი, რომელსაც ხედავს ზარატუსტრა, სწორედ ამას გვეუბნება. სიზმარში ზარატუსტრა უარყოფს ცხოვრებას და სიკვდილის მთის კოშკის დარაჯი გახდება: ის დარაჯობს საფლავებს, სიკვდილის კუბოებს, ძლეულ სიცოცხლეს. ერთ დღეს კოშკის კარს სამჯერ დასცხეს. „ვის მიაქვს ფერფლი თვისი მთად?“ - ფიქრობს დარაჯი. ძლიერმა ქარიშხალმა გააღო კარი და შავი კუბო შემოისროლა. კუბო დაიმსხვრა, გაისმა სიცილი: „ბავშვმა, ანგელოზთა, ჭოტთა, მასხარათა, ბავშვისტოლ პეპელათა ათასი უჟმური ხარხარებდა! დამცინოდა და მისტვენდა“ - ამბობს ზარატუსტრა. სიზმრის ამხსნელი - ზარატუსტრას მოწაფე - ეუბნება თავის მასწავლებელს, რომ ქარი, რომელმაც გააღო კოშკის კარები და კუბო, სავსე მოცინარი არსებებით, - ეს თავად ზარატუსტრაა. „ღამის და საფლავების დარაჯ“ ზარატუსტრას, ნიჰილისტს და უილაჯოს, უპირისპირდება „სიცოცხლის დარაჯი“, მოცინარი ზარატუსტრა. ეს თავად ზარატუსტრამ მიიტანა თვისი ფერფლი - საკუთარი შენი ნიჰილიზმისა - მთად. მან იპოვა საკუთარი თავი, როცა მიაგნო გზას სიცოცხლის, „მიწის“ ერთგულებისა.

ადამიანის კიდევ ერთი სენია აღწერილი მონაკვეთში „ხსნისათვის“: ადამიანი დაქუცმაცებულია, დამსხვრეულია, მთლიანობას მოკლებულია. ის ან ერთი დიდი თვალია, ან დიდი პირი, ან დიდი მუცელი. ასე იყო წარსულში და ასეა დღეს: „და უკეთუ თვალი ჩემი აწმყოდან წარსულით რბის: მარად მზგავსსა ჰხედავს - ნამუსრს და ნამსხვრევს და საშინელ შემთხვევათ - ხოლო არა ადამიანთ“. ამ სნეულ ადამიანს, ზარატუსტრას თანახმად, სნეული სული აქვს, უკეთ - სნეული მსოფლმხედველობა, ესაა „შურისგების სული“.

ჰაიდეგერი სავსებით სწორია, როდესაც წერს: „შურისგება აქ არ არის თემა მორალისა, და შურისგებისაგან ხსნა - ამოცანა მორალური აღზრდისა, ასევე არაა შურისგება და შურისმძიებლობა საგანი ფსიქოლოგიისა. შურისგების არსებას და მნიშვნელობას ნიცშე მეტაფიზიკურად უყურებს (6, 104) „შუსრიგების სული“, რომელზედაცაა ლაპარაკი მონაკვეთში „ხსნისთვის“, ნიცშეს ესმის როგორც ნ ე ბ ი ს უძლურების თავისებური გამოვლენა ადამიანში,

სახელდობრ, გამომჟღავნება იმისა, რომ ნება უძლურია წარსულის მიმართ: „ესე, მხოლოდ ასეა თვით შ უ რ ი ს გ ე ბ ა: ნების უნებობა წინააღმდეგ დროისა და მისი „ესე იყო“ -სადმი“. იმას, რაც იყო, ვერ შეცვლი. ესაა ნების ღრმა მწუხარებისა და ტანჯვის მიზეზი. ეს წუხილი გამოსავალს ეძებს და ბოლოს პოულობს: ნების წუხილი გარდაიქმნება შურისძიების გრძნობად იმათ მიმართ, ვინც არ იცის ეს წუხილი და ტანჯვა. შურისძიების სული თავზე ახვევს ყველას ტანჯვისმომტან მსოფლგაგებას. ის აცხადებ, რომ ყოველგვარი არსებობა, სიცოცხლე დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ა, ხოლო ტანჯვა, - ეს ხვედრი ყოველი ცოცხალი არსებისა, - სავსებით გამართლებული ს ა ს ჯ ე ლ ი ა.

„ზარატუსტრას“ ავტორის ამ მტკიცებისას, პირველ ყოვლისა, შოპენჰაუერის მოძღვრება უნდა გავიხსენოთ. „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ გვიმტკიცებს, რომ ყოველი ინდივიდუაციის აქტი, ე. ი. სამყაროს ერთიანი ძირიდან ერთეულის გამოყოფა, ინდივიდად ქცევა დანაშაულია. „მარადიული სამართალი“ ამ დანაშაულის დასჯას ითხოვს. ეს სასჯელია ნებასთან განუყრელად დაკავშირებული ტანჯვა. სწორედ ამიტომ ხსნა შოპენჰაუერს ესახება როგორც ნების უარყოფა, სამყაროზე უარის თქმა. ნიცშესათვის მიუღებელია ხსნის ამგვარი გზა. „ზარატუსტრას ავტორის აზრით, ამქვეყნიურის უარმყოფელი თვალსაზრისები ხსნის მხოლოდ ყალბ გზებს სახავენ: ხსნას ვერ მოგვანიჭებს ასკეტიზმი, ნირვანა, ქრისტიანი წმინდანის ცხოვრების წესი. ხსნის ამგვარი საშუალებები თავად აღმოცენებული არიან მცდარ მსოფლმხედველობაზე. ადამიანი „სნეულებაა“ სწორედ იმიტომ, რომ მისი მოქმედების საძირკველში ამგვარი ფუნდამენტური ცდომილებები დევს. სწორად შენიშნავს იასპერსი - ნიცშესთვის ადამიანი გადაიქცა „ადამიანად“ მხოლოდ ილუზიისა და სიბრმავის გამოო (7,128).

ზემოთქმულიდან უფრო ნათელი ხდება ხსნის გზა, რომელსაც გვთავაზობს ნიცშე. ზოგადად თუ ვიტყვით, ეს გზაა ამაღლება ზეკაცამდე. ზეკაცი დაძლევაა იმ ცდომილებებისა და ცალმხრივობებისა, რომლებიც ადამიანს „სნეულად“ აქცევენ. ეს დაძლევა ნიშნავს განთავისუფლებას ყალბი მსოფლმხედველობებისაგან, ყალბი შეფასებებისაგან. ამგვარი დაძლევა კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი თავს დააღწევს საკუთარი თავის გაუკუღმართების პირველმიზეზს - შურისგების სულს, რომლის მასაზრდოებელია

ნების უძლურება წარსულის მიმართ.

შურისძიების სულის საფუძველია ნებისა და დროის კონფლიქტი, ნებისა და წარსულის დაპირისპირება. ხსნა შეუძლებელია ამ კონფლიქტის მოხსნის გარეშე. მაგრამ როგორ უნდა მოისპოს ეს წინააღმდეგობა? განა შეიძლება წარსული აწმყოს დაემორჩილოს? ამ კითხვაზე ზარატუსტრას ასეთი პასუხი აქვს: ზეკაცი იმიტომაა ზეკაცი, რომ წარსულს შეხედოს თავისებურად - განიხილოს ის როგორც ს ა კ უ თ ა რ ი ს უ რ ვ ი ლ ი ს ხორც შესხმა, ნაყოფი. ამით ადამიანის ცხოვრების წესში ხდება რადიკალური ცვლილება: წარსულისადმი უძლურება კარგავს „შემოქმედებით“ ძალას, ვეღარ ქმნის შურისგების სულს. „იყო“ იგივეა, რაც „მე ასე მსურდა“. ძლიერი, სიცოცხლით სავსე ადამიანი ურიგდება წარსულს, წარსულის მიმართ წარმოთქმული ეს „ჰო“ კი ნიშნავს წარსულის კურთხევას, აუცილებლობის, ბედის სიყვარულს: ტყუილად როდი შენიშნავდა ნიცშე, რომ amor fati, მისთვის არის ადამიანის სიდიადის ფორმულა. ზეკაცს სურს ის, რაც „იყო“, უყვარს ბედი, უყვარს სამყარო, სიცოცხლე თავისი ტანჯვითა და სიხარულით. ესაა ხსნის გზა, ესაა გზა, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს შურისძიების სურვილისაგან და ამ სულით ნასაზრდოები ცდომილებებისაგან, ადამიანის სენისაგან. ზეკაცის არსებობა უკვე აღარ არის დანაშაული, ცხოვრება არ არის სასჯელი: ის, რაც „იყო“, ზეკაცს სურდა.

სამყარო, ისეთი როგორიც არის, ზეკაცის სურვილია და არა „სასჯელი“. ზარატუსტრა უფრო შორსაც მიდის; ძლიერის ნებამ უნდა თქვას არა მარტო „მე ასე მსურდა“, არამედ „მე ასე მსურს“. ძლიერის ნებას სურს წარსული, სურს „იყო“. რამდენად გამართლებულია ეს სურვილი? განა ის არ ეწინააღმდეგება დროის

არსებას? რაც იყო, ხოლო აღარ იქნება! ამგვარ სურვილს თითქოს არა აქვს არავითარი ონტოლოგიური გამართლება.

დიახ, ეს ასეა, თუ დრო სწორხაზოვანია. მაგრამ იქნებ დრო სავსებით სხვაგვარია, იქნებ ის წრისებურია და არა სწორხაზოვანი. მაშინ ხომ ამგვარი სურვილი ონტოლოგიურადაც გამართლებული იქნება: წრის ფორმის მქონე დროში წარსული მომავალია და მომავალი წარსული. თუ წარსული მომავალიცაა, ნება აღარ გამოდის მთლად უძლური წარსულის მიმართ!

...ზარატუსტრასთვის დგება „ჟამი უწყნარესი“ - ჟამი თავად ჟამის არსებობაზე ღრმა ჩაფიქრებისა. ჟამის, დროის არსებაზე ფიქრი

განმარტოებას მოითხოვს და ზარატუსტრაც ტოვებს თავის მეგობრებს. ამ განშორებაზე თხრობით მთავრდება თხზულების მეორე ნაწილი.

5. „ზარატუსტრას“ მესამე ნაწილის ძირითადი პრობლემები

მარადიული განმეორება
ნიცშეს თხზულების მესამე ნაწილის დასაწყისი კვლავ განმარტოებულ ზარატუსტრას ამბავს გვიყვება. კუნძულზე მარტოდ მყოფი ზარატუსტრა გადაწყვეტს გაემართოს მთებისაკენ, რათა კუნძულის მეორე ნაპირს მიაღწიოს და იქიდან ხომალდით გაემგზავროს.

ეს ასვლა მთაზე თავისებური სიმბოლოა. ის ჭეშმარიტების მწვერვალზე ასვლას ნიშნავს. ეს ამაღლება ამავე დროს ცხოვრების უფსკრულის ხედვაცაა: „მწვერვალი და უფსკრული ერთად იქმნება“. ამგვარი ხედვა აქვს იმას, ვინც დასძლია თავისი თავი. მთებზე ასვლა სწორედ საკუთარი თავის დაძლევას, საკუთარ თავზე ამაღლებას, საკუთარი თავის დავიწყებას ნიშნავს. არ უნდა ხედავდე საკუთარ თავს - ამბობს ზარატუსტრა - რათა ბევრს ხედავდე, სახელდობრ ხედავდე ნივთთა საფუძველს და ქვესაფუძველს, ხედავდე ყოფიერებისა და დროის არსებას.

- მთებიდან დაშვებული ზარატუსტრა ხომალდზე ჯდება. ორი დღის განმავლობაში ის არავის მიჰკარებია, მერე კი ისურვა საუბარი მეზღვაურებთან მის მიერ „ნახულ“ გამოცანაზე.

ჰაიდეგერი საგანგებო ყურადღებას აქცევს იმას, თუ ს ა დ, რ ო დ ი ს დ ა ვ ი ს თ ა ნ ლაპარაკობს ზარატუსტრა თავის გამოცანაზე. (4, 291). ეს ვითარება მართლაც გასათვალისწინებელია. ზარატუსტრა ყვება

თავის გამოცანას არა პროზაულ ვითარებაში, არამედ ხ ო მ ა ლ დ ზ ე, რომელიც ზღვის უცნობი გზებით მიდის. ის ამ გამოცანას გემის მგზავრებს კი არ უყვება, არამედ „გულად მაძიებელ“ - მ ე ზ ღ ვ ა უ რ ე ბ ს უყვება. თან მოყოლას მისვლისთანავე კი არ იწყებს, არამედ როცა ხომალდი ღ ი ა ზ ღ ვ ა შ ი გავა და ხიფათიან გზას დაადგება, ეს ვითარება გამოცანის არაორდინალურობას მოწმობს.

ზარატუსტრა უყვება მეზღვაურებს ახლახან მომხდარ ამბავს, ეს მონათხრობი სავსეა სიმბოლოებით. ზარატუსტრა ჰყვება, თუ როგორ ადიოდა ბილიკით მთაზე და როგორი საუბარი ჰქონდა „სიმძიმის სულთან“. მთაზე ასვლა, როგორც ვთქვით, საკუთარ თავზე ამაღლების, ზეკაცისკენ სვლის სიმბოლოა. ამ ხიფათიან გზაზე ადამიანს მრავალი წინაღობის გადალახვა უხდება. ერთ-ერთი მათგანია ძალა, რომელიც ქვემოთ ეწევა ადამიანს - „სიმძიმის სული“ - „ნახევრად ჯუჯა, ნახევრად თხუნელა“. ის მხრებზე აზის ზარატუსტრას და უფსკრულისაკენ ეზიდება. ჯუჯას ბნელი, ტყვია-აზრები ყოველ აღსვლას ამაოებად აცხადებს: „მაღლით აისროლე თავი, ხოლო ყოველი ნასროლი ქვა უნდა ძირს დაეცეს“. ჯუჯა ამძიმებს ზარატუსტრას, ჯუჯას აზრების შედეგია „თავბრუ უფსკრულის კედელზე“.

მაგრამ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია გაიმარჯვოს ჯუჯას ბნელ აზრებზე. ეს ძალაა - გულადობა, სიმამაცე. გულადს არ აშინებს, ტანჯვა სიცოცხლესთან რომ უცილობლად არის დაკავშირებული. ის მზადაა მრავალგზის გაიაროს უკვე განვლილი ძნელი გზა ცხოვრებისა: „ეს ცხოვრება იყო? მაშ ასე! ერთხელ კიდევ! გულადს სურს ისევ მეორდებოდეს ის, რაც იყო. „მე! ან შენ!“ - ასეთია ზარატუსტრას გადაწყვეტილება, ნაკარნახევი სიმამაცით. ამ არჩევანის გაკეთება ჯუჯასაგან განთავისუფლებას ნიშნავს.

ჯუჯა ჩამოხტება ზარატუსტრას მხრებიდან. საუბარი ზარატუსტრასა და ჯუჯას შორის გრძელდება ჭიშკართან, რომელსაც მიადგა ბილიკი. ზარატუსტრა ლაპარაკობს ჭიშკრიდან წინ და უკან მიმავალი გზების შესახებ. ჭიშკარია აწმყო - „წუთი“. ერთ გზას ჭიშკრიდან, ე. ი. აწმყოდან უკან მივყავართ: ესაა გზა წარსულისაკენ; მეორე გზას კი - წინ: ესაა გზა მომავლისაკენ. ორივე გზა უსასრულოა, მარადიულია. ეს ორი გზა, ორი უსასრულობა უპირისპირდება ერთმანეთს. წარსული გამორიცხავს მომავალს. მაგრამ ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს გზები ერთმანეთს მ ა რ ა დ? - კითხულობს ზარატუსტრა. „ყოველი სწორი ტყუის, - პასუხობს

ᯒᯘᯒა, - ყოველი ჭეშმარიტი მრუდეა, თვით დროც წრეა“. „ნუ ეპყრობი ამას ესე მსუბუქად“. - ამბობს ზარატუსტრა: მისთვის ლაპარაკი იმაზე, რომ დრო წრეა არ არის ს ა ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს ო ამბავი. ᯒᯘᯒას პოზიცია ცინიკოსის პოზიციაა: „ამქვეყნად არაფერია ახალი, რაც იყო, ის იქნება“. ზარატუსტრას პოზიცია ტ რ ა გ ი კ უ ლ ი გ მ ი რ ი ს პოზიციაა, მისი ხედვა ღრმა და კონკრეტულია. გზა ჭიშკრის უკან უ ს ა ს რ უ ლ ო ა - ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო, უკვე მოხდა! მოხდა მარადიული, უ ს ა ს რ უ ლ ო წარსულში. სწორედ იმიტომ, რომ იგი უ ს ა ს რ უ ლ ო ა, მოხდა ყველაფერი, რაც მოსახდენია. ეს კი ნიშნავს, რომ წარსული და მომავალი არ არიან დაპირისპირებულნი, როგორც ეს აქამდე ჩანდა. ყველაფერი უკვე მოხდა. ამიტომ მ ო მ ა ვ ლ ი ს ა კ ე ნ სვლა წ ა რ ს უ ლ ი ს ა კ ე ნ სვლაა. დრო არის წრე. ყველაფერი მეორდება, ყველაფერი რაც იყო, კვლავ ბრუნდება. წინსვლა უკანსვლაა. მომავალი ისაა, რაც იყო. წარსული ისაა, რაც იქნება. ის რაც ახლაა, მარად იყო და მარად განმეორდება“: „ეს ნელი ობობა, რომელიც მთვარის შუქში მიცოცავს, და თვით ეს მთვარის შუქი, და მე და შენ ჭიშკართან მოჩურჩულენი“...

ადამიანს ეძლევა ერთი სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მეორდება მარად. ამ აზრთან შერიგება ძალზე ძნელია. ამის ნათელსაყოფად ნიცშე კვლავ სიმბოლოებს მიმართავს. ზარატუსტრას ძაღლის ყეფა შემოესმა, ძაღლი დახმარებას ითხოვს. ზარატუსტრა ამაზრზენ სურათს ხედავს: მიწაზე გდია სულშეხუთული ყრმა მწყემსი, მას პირში გველი შეძრომია. მწყემსი იტანჯება, მაგრამ ვერ იშორებს გველს. ბოლოს ზარატუსტრა პოულობს გამოსავალს: „მოაკვნიტე!“ - ეძახის ის მწყემსს. მწყემსი მოაკვნეტს გველს თავს, შორს გადააფურთხებს და წამოხტება. სურათი იცვლება: ზარატუსტრას წინაშეა არა მწყემსი, არა კაცი, - გარდაქმნილი, ნათელმოსილი, რომელი იცინოდა. არასოდეს მინახავს ქვეყანაზე კაცი მცინარე, როგორც იგი იცინოდა!“.

აქ მოთხრობილი ამბავი მრავალ მინიშნებას შეიცავს. ყრმა მწყემსი თავად ზარატუსტრაა (მონაკვეთში „გამოᯒანსაღებული“ ის ლაპარაკობს ამაზე), გველი სიმბოლოა მარადიული დაბრუნებისა: მწყემსის ტანᯒვა სიმბოლოა იმ ტანᯒვისა, რომელიც მოაქვს ჭეშმარიტებას მარადი განმეორების შესახებ; გველის თავის მოკვნეტა ნიშნავს გმირული გადაწყვეტილების საფუძველზე სამყაროსა და ცხოვრების მიღებას; ამ „ჰოს“ მოსდევს ხსნა - ადამიანის გარდაქმნა - „კაცი მცინარი“.

სამყაროს ონტოლოგიური სურათი, რომელსაც გვიხატავს ნიცშე, ახალი მნიშვნელოვანი მომენტით შეივსო. ღმერთი მკვდარია, უძრავი, მარადიული, უცვლელი სამყარო იდეებისა, აბსოლუტური ღირებულებებისა არ არსებობს, მაშასადამე, არსებულის, როგორც ა რ ს ე ბ უ ლ ი ს, გასაგებად ღმერთი, იდეალური სამყარო

არ გამოდგება; არსებული, როგორც არსებული, არის ს ი ც ო ც ხ ლ ე, სამყაროს არსება დროსა და სივრცეში „გაშლილი“, მარად ქმნადი, ცვალებადი სიცოცხლეა. ამ უკანასკნელის რაობა კი ძალაუფლების ნებაა; ძალაუფლების ნებასთან მიმართებაში აქვს აზრი ყოველ ღირებულებას - ამას ამბობდა აქამდე ზარატუსტრა. ახლა ჩვენს წინაშეა სიცოცხლის, რ ო გ ო რ ც მ თ ე ლ ი ს, „გეშტალტი“, არსებობის წესი, ფორმა; სიცოცლხე როგორც მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა არის მ ა რ ა დ ი უ ლ ი გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა: ძალაუფლების ნება, შენიშნავს ჰაიდეგერი, ლაპარაკობს იმაზე, თუ „რა“ არის არსებული, მარადიული დაბრუნება კი იმაზე, თუ „რ ო გ ო რ“ არის არსებული (5,16). ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი სამყაროს ნიცშესეულ გააზრებაში ისაა, რომ მ ა რ ა დ ი უ ლ ო ბ ა ამ შემთხვევაში არ გამორიცხავს დ რ ო შ ი ყოფნას. ნიცშესთან, როგორც სწორად შენიშნავს ლოვითი, რაც არის „მუდამ“, დროის გარეშე არაა, არის დროში (9,12). დროში არსებული საგანი მ ა რ ა დ ი უ ლ ი ა იმ აზრით, რომ მ ა რ ა დ მეორდება.

როგორც ვხედავთ, ძველისძველ მოძღვრებას მარადიულ განმეორებაზე ნიცშეს თხზულებაში სპეციფიკური სახე ეძლევა: ის ამჯერად გააზრებულია თავად გერმანელი ფილოსოფოსის მიერ დასმულ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში, კერძოდ, ღმერთის სიკვდილის, ზეკაცის, ძალაუფლების ნების პრობლემების ფონზე. ეს მოძღვრება აგვირგვინებს აზრთა განვითარებას „ზარატუსტრაში“. ტყუილად როდი აპირებდა ნიცშე თხზულების დამთავრებას მესამე ნაწილით, რომელშიც განვითარებულია დებულება მარადიულ დაბრუნებაზე) და თხზულების ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს. თავად ნიცშე ამ მოძღვრებას უწოდებს თავისი თხზულების „ძირითად კონცეფციას“ (11, 193), ჰაიდეგერის თანახმად კი მოძღვრება მარადიული დაბრუნების შესახებ არის ძირითადი მოძღვრება საერთოდ ნიცშეს ფილოსოფიაში (4, 256).

ნიცშესთან აზრი მარადიული დაბრუნების შესახებ არა მხოლოდ ონტოლოგიური შინაარსის მქონეა, მას ენიჭება დიდი ზნეობრივი მნიშვნელობაც. მართლაც, როგორც აღვნიშნავს ე. ფინკი, აზრს მარადი განმეორების შესახებ თითქოსდა ორი ასპექტი აქვს: ის

შეიძლება განხილულ იქნას როგორც წარსულის თვალთახედვით, ისევე მომავლის თვალთახედვით. თუ ყველაფერი ადრეულის განმეორებაა, მომავალიც განსაზღვრულია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საპირისპიროც ვთქვათ: ყველაფერი ჯერ კიდევ უნდა მოხდეს და როგორ გადაწყვეტილებასაც მივიღებთ ჩვენ ა ხ ლ ა, ისეთ გადაწყვეტილებებს მივიღებთ მ ო მ ა ვ ა ლ შ ი ც. „ისევე როგორც ქრისტიანულ მოძღვრებაში ამქვეყნიური არსებობა განსაზღვრავს სულის იმქვეყნიურ ბედს, წუთიერი ამქვეყნიური გადაწყვეტილება განსაზღვრავს ამქვეყნიური არსებობის ყველა თვალუწვდენელ განმეორებას“ (3, 29). თეზისი მარადიული განმეორების შესახებ თითქოს ეუბნება ადამიანს; „მოიქეცი ისე, რომ გსურდეს შენი საქციელის მარად განმეორება!“.

ამ მორალურ იმპერატივს ერთი დიდი მტერი ჰყავს - წარსული. ნიცშეს მოძღვრება შემოქმედებაზე, ახალი, კერძოდ კი, ზეკაცის ქმნაზე ეწინააღმდეგება მარადი განმეორების პრინციპს. სადაც მარადი განმეორებაა იქ შემოქმედება მხოლოდ ფიქციაა.

უბიწო ცის ქვეშ

აზრი მარადიული დაბრუნების შესახებ ასრულებს ნიცშეს მიერ დასახულ ონტოლოგიურ სურათს: მარადიულობა აქაა, „მიწაზეა“. ეს ნიშნავს იმას, რომ სამყარო მზგავსია „წმიდა ცისა და თავისუფალი ზღვისა“. „მზის ამოსვლის წინარ“ ზარატუსტრა უმღერის უბიწო ცას - სამყაროს, ცხოვრებას, - რომელსაც ჩამოშორდა რწმენა იმისა, რომ ჩვენს არსებობას განაგებ ღმერთი, ღვთაების მიზანი, რომ ჩვენი ქცევა უნდა შეფასდეს სუსტი სიცოცხლის მიერ შექმნილი „სიკეთისა“ და „ბოროტების“ კრიტერიუმებით. ყოველი ნივთის ზემოთ მისი საკუთარი ცაა, ყოველი ნივთი ჩართულია „შემთხვევათა“ მარადიულ ჯაჭვში, სიკეთისა და ბოროტების მიღმაა, „მარადიული გონების, „მიზნის“ მონობისაგან თავისუფალია. ამ თავისუფალ სამყაროში ადგილია „როკვისა“, ცეკვისა, ადგილია „თამაშისა“: როგორც ვხედავთ „ცეკვა“ და „თამაში“ ნიცშესთან სამყაროს გარკვეულ მსოფლგაგებას გულისხმობს. ამ თავისუფალ ცას, თავისუფალ სამყაროს - თავისი ბედნიერებითა და ტანჯვით - ეუბნება „ჰოს“ ზარატუსტრა - ის „მაკურთხებელია“ და „ჰოს მთქმელი“: აზრი მარადიული განმეორების შესახებ, როგორც წერს ნიცშე, სამყაროს მიღების, „ჰოყოფის“ „უმაღლესი“ ფორმულაა“ (11,193); ადამიანს სურს განმეორდეს სამყარო, რომელშიც ღვთაებრივის ნატამალი არ

არის!
წმიდა, უბიწო ცის ჰიმნით მთავრდება ამბავი ზღვაზე ზარატუსტრას მოგზაურობისა. ხმელეთზე გასული ზარატუსტრა პირდაპირ თავის მთებს არ უბრუნდება“ მას აინტერესებს იცვალა თუ არა სახე ადამიანმა - „უფრო დიდი იქმნა თუ უფრო პატარა“.

„ყოველი დამცირებულია!“ - ასეთია დასკვნა, რომელსაც აკეთებს ზარატუსტრა (მონაკვეთი „დამაკნინებელი სიქველისათვის“). „წმიდა ცა“ „პატარა ადამიანებისათვის“ დაფარულია „პატარა ბედნიერების“, „პატარა სიქველის“ ღრუბლებით. პატარა ადამიანის საზრუნავი ერთია: მას სურს, ტანჯვა არავინ მიაყენოს. სწორედ ამიტომ „მრავალნი, საპატიონნი და კეთილნი არიან ისინი უერთიერთდამი, ვით ქვიშის ხორბალნი მრგვალნი, პატიოსანნი და კეთილნი არიან ქვიშის ხორბალთადმი. ამ პატარა ადამიანების „შეკვამლული, განაზებული, გაცვეთილი, ფერწასული, დამჟავებული სული“ ეძებს თბილ ადგილებს, გაურბის მკაცრ სტუმარს - ზამთარს - ძლიერ ადამიანის ცხოვრების წესს. ზარატუსტრას არ სურს სათბურში ცხოვრება, ფუჭი ლაყბობა თანალმობასა და სიბრალულზე, ის ეტრფის „თოვლწვერა, მდუმარე ზამთრის ცას“ - ძლიერი სიცოცხლის სიმბოლოს.

დაკნინებული ცხოვრების აშკარა მაგალითია ნიცშესათვის თანამედროვე ქალაქი. მონაკვეთში „გზადავლისათვის“ მკითხველი ეცნობა ზარატუსტრასა და „ზარატუსტრას მაიმუნის“ დიალოგს ქალაქის ჭიშკართან. „ზარატუსტრას მაიმუნი“ (ასე იწოდებოდა ის, რადგან „მცირე რამ გადაეღო“ თავისი თანამოსაუბრის „სიტყვისა და ლაპარაკისა“) შავ ფერებში სახავს ქალაქის ცხოვრებას და ამ დახასიათებაში ნათლად ვლინდება თავად ნიცშეს ნეგატიური პოზიცია დიდ ქალაქებში გაბატონებული ცხოვრების წესის მიმართ. „ზარატუტრას მაიმუნის აზრით“, დიდმა ქალაქმა არ იცის დიდი აზრები და დიდი გრძნობები - ის აქუცმაცებს, აკნინებს მათ, ქალაქი კლავს სულს, რომელიც აქ არსებითად სიტყვათა თამაშია და ქალაქია

ატრიბუტის - გაზეთის - კეთების საშუალებაა. ქალაქში მეფობს არა პიროვნების ღრმა განცდებსა და ფიქრებზე დამყარებული მრწამსი, არამედ რაღაც საშუალო „საზოგადო აზრი“; აქ განმგებელია „ოქრო ვაჭართა“, აქ სამეფოა მლიქვნელთა, უსირცხვილოთა, მჯღაბნელთა, მყვირალათა, პატივმოყვარეთა. სულიერი სიმწირე, რომელზეც ლაპარაკობს „ზარატუსტრას მაიმუნი“, ზარატუსტრასთვისაც ცნობილია, იგი მისთვის ღირებულია და საძულველი: დიდი ქალაქი

არ არის თავისუფალი სულის ადგილსამყოფელი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზარატუატრა მტრულადაა განწყობილი თავისი თანამოსაუბრის მიმართ და ამ მტრულ პოზიციაში ნიცშეს თვალსაზრისის ერთი მნიშვნელოვანი მხარე მჟღავნდება. „მეზიზღება შენი ზიზღი“... - ასეთი სიტყვებით უტევს ზარატუსტრა თავის თანამოსაუბრეს, უტევს, რადგან, ნიცშეს თანახმად, ზიზღი, სიძულვილი, რომლის აუცილებლობაზეც ადრეც ლაპარაკობდა მისი თხზულების გმირი, ძალზე გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი შეიძლება იყოს. სიძულვილი, ზიზღი შეიძლება დაბადოს „ჭაობმა“, „წუმპემ“, დაბადოს ქვენა გრძნობამ, შურმა, შურისძიების სულმა. სწორედ ასეთია „ზარატუსტრას მაიმუნის“ ზიზღი. ზეკაცი - კეთილშობილი არისტოკრატი, ლაღი - შეუძლებელია ამგვარი სიძულვილით, პლებეური შურით და ზიზღით განიმსჭვალოს. მისი სიძულვილის წყაროა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. სწორედ ასეთია ზარატუსტრას ზიზღი: „მხოლოდ სიყვარულით აფრინდება ჩემი ზიზღი და ჩემი გამაფრთხილებელი ფრინველი: და არა წუმპით!“.

ზარატუსტრას სძაგს დიდი ქალაქიცა და შურის გამო ზიზღით აღვსილი „ზარატუსტრას მაიმუნიც“. ამ სიძულვილს „მეომრის“, ფიქრის, დამოუკიდებლობის, სიმაღლის, კეთილშობილების სიყვარული კვებავს. ეს სიყვარულია ზარატუსტრას მეგზური: „მან მხარი აქცია რეგვენსა და დიდ ქალაქს“.

ზარატუსტრა მიდის მთებისკენ, თავის გამოქვაბულისკენ, რადგან დიდი ქალაქი არ შეიძლება იყოს „სამშობლო“... ზარატუსტრას „სამშობლოა“ მარტოობა. „შენ, ჩემო სამშობლო მარტოობა“ - ეს სიტყვები არ არის შემთხვევითი: სწორედ მარტოობაში და არა დიდი ქალაქის ფუსფუსსა და ხმაურში „გაიხსენა ყოველი ყოფის სიტყვა და საუნჯე“. „სამშობლოში ყოფნა“ ნიშნავს ყოფიერებასთან, „მიწასთან“ ახლოს ყოფნას, ყოფიერების ხმის მოსმენას. ამ ხმის მოსმენა მოითხოვს ბევრი, ძველად უარყოფითს ღირებულებად მიჩნეულის გადაფასებას. ლირწება, ხელმწიფების მოყვარეობა, თავისმოყვარეობა - ეს სამი „კლასიკური“ ბოროტება, განთავისუფლებული იმ მნიშვნელობისაგან, რომელიც მათთვის მიუნიჭებია ყოველდღიურობას, ბრბოს, ახალი სახით წარმოგვიდგება: ლირწება, ავხორცობა სიცოცხლის მსახურია, მყობადის შემოქმედია, ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებულ არსებათა შემაკავშირებელი ძალაა; ხელმწიფების მოყვარეობა ანგრევს ყველაფერს, რაც დამპალია, ცარიელია, აქამდე უძრავს აიძულებს,

მოძრაობაში მოვიდეს. როგორც მოძრაობა-განვითარების მაიძულებელი ძალა, ის დადებითი ღირებულებაა. ასევე, თავისმოყვარეობა, გაგებულია არა როგორც „პაწია“ ადამიანის ეგოიზმი, არამედ გულუხვი, სიცოცხლის ძალებით აღვსილი ადამიანის სიამაყე - მხოლოდ დადებით ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს.

...ზარატუსტრა თავის სამშობლოშია. ერთხელ, დილით იგი შეშლილივით წამოხტა სარეცელიდან; ყვიროდა, იქნევდა ხელებს, თითქოს ებრძოდა ვიღაც სხვას, რომელიც ასევე იწვა სარეცელზე და ადგომა არ სურდა.

ნიცშე აქაც სიმბოლოებით ლაპარაკობს: ეს „ვიღაც სხვა“ არის „უძირო აზრი“ მარადიული განმეორების შესახებ. ეს აზრი ზარატუსტრას აზრთაგან „უღრმესია“, მაგრამ მას მთლად არ „გაუღვიძია: ის მიძინებული მატლია“, ახლა კი დროა გაიღვიძოს და გარეთ გამოვიდეს, დროა ზარატუსტრამ ის სრულად გაითავისოს, სრულად გააცნობიეროს.

ზარატუსტრას ყვირილი აფრთხობს ყველას, ყოველი ცოცხალი არსება ცდილობს გაშორდეს გამოქვაბულს. მხოლოდ არწივი და გველი მიისწრაფვიან ძველი მეგობრისაკენ.

ზარატუსტრა - „მეოხე ცხოვრებისა, მეოხე ურვისა, მეოხე წრისა“ - ხვდება მზის სინათლეზე გამოსულ „მატლს“, მაგრამ ეს შეხვედრა ძნელად ასატანი აღმოჩნდა. გათავისება, ნათელი განცდა-გააზრება იმისა, რომ ყველაფერი მარად განმეორდება მძიმე ტვირთად აწვება თავად „მეოხეს წრისა“: შვიდი დღე ის სარეცელს არის მიჯაჭვული.

შვიდი დღის შემდეგ გამოჯანმრთელებული ზარატუსტრა ისმენს არწივისა და გველის სიტყვებს მარადიული განმეორების შესახებ: „ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება, მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა, ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა. ყოველი წარხდების, ყოველი ახლად ეწყობა; მარად შენდება იგივე სახლი ყოფისა. ყოველი განიყრება, ყოველი შეიყრება; მარად ერთგულია თავისი წრე ყოფისა“... (მონაკვეთი „გამოჯანმრთელებული“).

მარადიულ წრებრუნვის ჯაჭვში ჩაბმული ცხოველების საშუალებით აქ თავად ყოფიერება ამხელს თავის საიდუმლოს. ამ სიტყვების კითხვისას გვახსენდება „ზარატუსტრას წინასიტყვის“ დასასრული.

არწივი და გველი იქაც თავისებურად მიგვანიშნებენ მარადიულ განმეორებაზე - ფრინველთა მეფე ფართო წრეებს „ხაზავს“ ცაში, ხოლო გველი ბეჭედივით შემოხვევია მას კისერზე...

6. ზარატუსტრას მეოთხე ნაწილის პრობლემები

„მაღალი ადამიანები“ სტუმრად ზარატუსტრასთან „ზარატუსტრას“ მეოთხე ნაწილის დასაწყისში ნიცშეს თხზულების გმირს კვლავ მთებში ვხვდებით თავისი გამოქვაბულის წინ მჯდომარეს. მასთან არიან ძველი მეგობრები - არწივი და გველი. „დიდი ხანია ბედნიერებას აღარ ვესწრაფი, ვესწრაფი ჩემს საქმეს“ - ეუბნება ზარატუსტრა მათ. „საქმე“ - ადამიანთან მისვლა და ადამიანთა „მოქცევაა“. ზარატუსტრას თავისი სიბრძნე, თავისი „თაფლი“ ადამიანებისათვის უნდა, ის „მხარჯველია“, ის აბნევს, რაც ებოძება... ადამიანთა ზღვაში ისვრის ზარატუსტრა თავის ნესკავს, თაფლის სატყუარათი სურს წამოაგოს ადამიანები, წამოაგოს და აღამაღლოს.

ნიცშეს თხზულების ბოლო ნაწილი მოგვითხრობს ზარატუსტრას შეხვედრებზე „მაღალ ადამიანებთან“, რომლებთაც სამყაროს, სიცოცხლის, ღმერთის თავისებური განცდა-გაგება აქვთ.

პირველი, ვისაც ესაუბრება ზარატუსტრა, მკითხველისათვის უკვე ცნობილი მისანია, ღმერთის სიკვდილი და მისით გამოწვეული სიცარიელე მისთვის ბოლო სიტყვაა. „ხოლო სულ ერთია, არაფერს აქვს ჯილდო, ამაოა ყოველი ძიება, აღარც ნეტარი კუნძულებია!“ - ნიჰილისტი მისანის ამ სიტყვების შესატყვისია ყვირილი, რომელიც მას და მის მასპინძელს შემოესმათ: ყვირილი უმწეოსი. ზარატუსტრა შორდება სტუმარს: მის სამფლობელოში არავის არ უნდა შეემთხვეს უბედურება. გზად ზარატუსტრა უცნაურ სურათს ხედავს: ორი, ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილი გვირგვინოსანი მიერეკება დატვირთულ ვირს. ვინ არიან ისინი? რა უნდათ მათ ზარატუსტრას „სამეფოში“? მკითხველი ეცნობა ორ უცნაურ მეფეს, რომელთაც აღარ ძალუძთ იცხოვრონ ბრბოში, ტყუილით დატენილ „კეთილ საზოგადოებაში“, დაკნინებულ ადამიანთა გვერდით. თანადროულობა აიძულებს მათ იცხოვრონ ტყუილით და ტყუილში: ისინი დიდი ხანია აღარ არიან „პირველნი“, მაგრამ პირველთა

სახელი უნდა ატარონ. სინაღდის მოყვარულ მეფეებს ეზიზღებათ ე ს დ ი დ ი ს ი ყ ა ლ ბ ე. ისინი შენატრიან ძველ - მამათა - დროს, დროს, როცა თაყვანს სცემდნენ ომს და სიმამაცეს. მათ აღაფრთოვანებს ზარატუსტრას სიტყვები იმის შესახებ, რომ მშვიდობა ახალი ომის საშუალება უნდა იყოს, რომ კარგია მამაცად ყოფნა, რომ ომი ყოველგვარ მიზანს ამართლებს. ზარატუსტრასაც მოსწონს მეფეთა შეურიგებლობა ტყუილთან, მდაბალ ცხოვრებასთან, მათი სწრაფვა რაინდული ცხოვრებისაკენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მეფეთა დრო წარსულს ჩაბარდა: ზარატუსტრა ამჩნევს, რომ ომზე გატაცებით მოსაუბრე მეფენი სინამდვილეში ძალზე „შინაურნი“ და მშვიდობიანნი არიან.

ზარატუსტრა განაგრძობს განსაცდელში მყოფის ძებნას. ახლა მას „სულით სინდისიერი შეეყარა. „სულით სინდისიერი“ სახეა პოზიტიური მეცნიერების წარმომადგენლისა. ის სინდისიერია: არ სურს აღიაროს ისეთი რამ, რისი მყარი საფუძველიც არ არსებობს, არ სურს მიეკედლოს თანადროულ ეპოქაში გაბატონებულ მოჩვენებით მეცნიერებას. სინდისი მოითხოვს მისგან იცოდეს ე რ თ ი რამ საფუძვლიანად, ვიდრე მ რ ა ვ ა ლ ი რ ა მ საფუძვლის გარეშე, დაეყრდნოს საკუთარ გამოცდილებას და არა სხვათა მოსაზრებებს. ამიტომაც გამოქცევია ის ოფიციალურ მეცნიერთ, ბურუსით მოსილ, მეოცნებე მეცნიერებას და საშური გულისხმიერებით იკვლევს მხოლოდ ერთ საგანს - წურბლის ტვინს. მაგრამ საფუძვლიანობის

ძიებისას „სულით სინდისიერი“ ვიწრო ნაჭუჭში იკეტება. ნიცშეს კარგად აქვს შემჩნეული პოზიტიურ მეცნიერებათა ნაკლი - უკიდურესი სპეციალიზაცია. „სულით სინდისიერის“ სამყარო წურბელას ტვინია. ყოველივე იმაზე, რაც ამ სამყაროს გარეთაა, წურბლის სპეციალისტს ცოდნა არ გააჩნია, საგანთა - თუნდაც წურბლის - ბოლო საფუძვლები მისთვის უცნობია.

საინტერესო საუბარი გაიმართება ზარატუსტრასა და მოხუც პაპს შორის. ღმერთი მოკვდა და ახლა პაპი უსამსახუროა. ღრმა მწუხარება დაუფლებია მას. ძველებურად ცხოვრება პაპს არ შეუძლია, ამავე დროს, არ ძალუძს ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობს ბრბო, როგორც ცხოვრობს „უკანასკნელი ადამიანი“.

„...და კვლავ რბოდნენ ზარატუსტრას ფეხნი მთათა და ტყეთა შორის“. ის, ვინც ყვიროდა და დახმარებას ითხოვდა, არ ჩანს. ხეობაში ზარატუსტრა გადაეყრება „უმზგავსეს ადამიანს“ - ადამიანს,

რომელმაც იცის, რომ ის „სენია“, რომ ის ნაკლულია, საზიზღარია, იცის, რომ ის უნდა გადაილახოს. „უმზგავსეს ადამიანს“ ეზიზღება პატარა ადამიანები თავისი პატარა სურვილებით, პატარა სულით, ეზიზღება მათი სიბრალული, თანალმობა, ეზიზღება საკუთარი თავი. და სწორედ ამაშია მისი სიმაღლე: ადამიანი უნდა დაიძლიოს.

ზიზღით აღსავსეა აგრეთვე „მოხალისე მათხოვარი“. ის ერთ დროს მდიდარი იყო, მაგრამ აღივსო ზიზღით „სიმდიდრის პატიმართადმი“ და გადაწყვიტა თავისი სიმდიდრე ღარიბებისათვის მიეცა, მათ კი არ იკადრეს ეს საჩუქარი; „ბრბო ზემოთ, ბრბო ქვემოთ!“ მოხალისე მათხოვარი გარბის ბრბოსაგან, ამბოხებულ მდაბალთაგან. ის ძროხებთან უკეთესად გრძნობს თავს ვიდრე ადამიანებთან.

ბოლოს ზარატუსტრა ხვდება ჩრდილს. ეს „ჩრდილი“ ზარატუსტრას ჩრდილია და, ამდენად, მისი ბუნების გარკვეული მხარის გამოხატულებაა. „ჩრდილი“ ესაა ზარატუსტრას უარმყოფელი, მნგრეველი, მარად მოძრავი, მიუსაფარი ბუნების გამოხატულება...

ზარატუსტრა ამაოდ ეძებს იმ ადამიანს, რომელიც შველას ითხოვდა. თავის გამოქვაბულთან მოახლოებულს, მას კვლავ შემოესმა გასაჭირში მყოფის ხმა - ამჯერად გამოქვაბულიდან. ირკვევა, რომ ეს ხმა ერთ ადამიანს კი არ ეკუთვნის, არამედ ყველა „მაღალი ადამიანის“ ხმაა.

მართლაც, „მაღალ ადამიანთაგან“ ყოველი სწორედ იმიტომაა „მაღალი“, რომ სიმდაბლეში არსებობას ვერ ურიგდება, - ვერ ეგუება მასობრივი ცნობიერების თარგზე გამოჭრილ ცხოვრების წესს. მაგრამ მეორე მხრივ, არც ერთმა მათგანმა არ იცის როგორი უნდა იყოს სრულყოფილი სიცოცხლე სამყაროში, რომელშიც ა რ ა რ ი ს ღ მ ე რ თ ი. ამრიგად, მათ ზიზღს ყოველივე მდაბლის მიმართ, უერთდება ღრმა ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს განცდა. გასაჭირის ხმა სწორედ ამ სასოწარკვეთილების გამოვლენაა. სასოწარკვეთილი ადამიანები მიილტვიან ზარატუსტრასკენ - ამ ბრძენმა ადამიანმა იცის ცხოვრება ღმერთის მიერ მიტოვებულ სამყაროში, მას შეუძლია შველა.

ზარატუსტრა ხელგაშლილი ხვდება თავის სტუმრებს. მაგრამ „მაღალი ადამიანები“ მისთვის არ არიან საკმაოდ მაღალნი, საკმაოდ ძლიერნი, და კეთილშობილნი: მათში ბევრია ძველის ნიშანი. ამიტომ ზარატუსტრა მათ უყურებს როგორც ხ ი დ ს, რომელზეც უნდა გაიაროს უ მ ა ღ ლ ე ს მ ა ადამიანმა. მთებში განმარტოებული განდეგილისათვის ასეთი სტუმრების მოსვლა ნიშანია იმისა, რომ

მასთან მოვლენ სხვებიც: არა დიდი ურვისა და ზიზღის ადამიანები, არა ღმერთის ბოლო ნიშნები, არამედ უფრო ძლიერნი, გამარჯვებულნი, მხიარულნი, სრულყოფილნი მოვლენ „მცინარი ლომები“, მოვა ზეკაცი.

* * *

„ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ნიცშეს ფილოსოფიური მრწამსის ყველაზე მრავალმხრივი გამოხატულებაა და, ამდენად, ყველაზე სრულად ავლენს ამ მრწამსის ნაკლოვანებებსა და ღირსებებს. სიცოცხლის ძალთა დაკნინების ეპოქებში ნიცშეს ფილოსოფია უეჭველად მკვიდრი საყრდენი იქნება უკიდურესი „ინტელექტუალიზმისა“ და „რაციონალიზმის“ წინააღმდეგ. სწორედ „სიცოცხლის ფილოსოფიიდან“ ამოზრდილმა პრინციპებმა გადააქცია „ზარატუსტრას“ ავტორი, როგორც წერს თომას მანი, მორალის უდიდეს ფსიქოლოგად და კრიტიკოსად კულტურის ისტორიაში (1, 365).

ნიცშეს სრულიად სამართლიანად ადარებენ რუსოს (10, 281): ორივემ თანადროულობის გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა. ეს კრიტიკა აღსავსეა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის დამახასიათებელი სიმართლისმოყვარეობით.

ნიცშეს ძირეული ნაკლი სიცოცხლის მნიშვნელობის გადაფასებაშია. სიცოცხლის მიჩნევა ღირებულებათა საფუძვლად თვითნებობის გამართლების საშიშროებას ქმნის. ღირებულებათა დაფუძნებაში საბოლოო სიტყვა ეკუთვნის არა სიცოცხლეს, არამედ გ ო ნ ი თ ს უ ლ ს, გონს. ადამიანის ფილოსოფია „გ ო ნ ი ს ფილოსოფიაა“ და არა სიცოცხლის ფილოსოფია“.

მითითებული ლიტერატურა

1.Манн Т., Собрание сочинений, 10. М., 1961.

2. Шестов Лев, Добро в учении гр. Толстого и Ф. Ницше. Изд. „Шиповник“, СПБ.

3.Fink.E., Neitzsches Philosophie.

4.Heidegger M., Neitzsche, Ester Band, Neske, 1961.

5. Heidegger M., Neitzsche, Zweiter Band, Neske, 1961.

6.Neidegger M., Vorträge und Aufsätze, Neske, 1967, I.

7.Jaspers K., Neitzsche, Berlin, 1950.

8. Jaspers K., Neitzsche und das cristentum, Munchen, piper, 1952.

9.Löwith K., Neitzsches Philosophie der ewigen Widerkehr des gleichen, Hamburg, 1978.

10. Löwitth K., Von Hegel zu Neitzsche, Stuttgart, 1964.

11. Neitzsche Fr., Studienausgabe, Frankfurt am Main, B., IV, 1968.

როსტომ ჩხეიძე - ერეკლე ტატიშვილი

ეს თარგმანი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანისა „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ დაახლოებით ჩვენი საუკუნის ოციან წლებშია შექმნილი.

თარგმნა ქართული კულტურის შესანიშნავმა მოღვაწემ, ერუდიტმა და პოლიგლოტმა ერეკლე ტატიშვილმა, ვისი ცხოვრების მღელვარებაც ასე აშკარად და მძაფრად გამოსჭვივის თვით მშრალი ფაქტების ჩამოთვლითაც.

დაიბადა ქალაქ გორში, 1884 წლის 28 აგვისტოს. დაწყებითი განათლება იქვე მიიღო, შემდეგ სწავლობდა ელიზავეტპოლის გიმნაზიაში. 1904-6 წლებში სწავლას განაგრძობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში. ბრუნდება კურსის დაუმთავრებლად. ორჯერ აპატიმრებენ (გორსა და პეტერბურგში) ანარქისტული მოღვაწეობის გამო, თანამშრომლობდა ანარქისტულ გაზეთებშიც „მუშა“ და „ხმა“. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ იძულებულია ემიგრაციაში წავიდეს, ჯერ თურქეთში, მერე კი - ევროპაში.

1909-11 წლებში მონპელიეს უნივერსიტეტში სწავლობს იურისპრუდენციას, 1913 წელს ამთავრებს პარიზის პოლიტიკური მეცნიერებათა უმაღლეს სკოლას საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. მიემგზავრება ლონდონში ჟურნალისტიკის

შესასწავლად.

პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო ბრიუსელში, სადაც იგი თედო სახოკიას ბინაზე ცხოვრობდა. ქართულ კოლონიასთან ერთად მიემგზავრება კონსტანტინეპოლში, სადაც წმინდა იოსების კოლეჯში ასწავლის ფრანგულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. ექიმადაც კი მუშაობდა.

ბოლოს და ბოლოს ბრუნდება სამშობლოში, რომელმაც სწორედ იმხანად ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1918 წლიდან ჯერ გორის ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ კი - თბილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში ასწავლის გერმანულ ენას.

მცირე ხნით კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ მოღვაწეობას: 1920-21 წლებში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე, მერე - ამავე სამინისტროს დირექტორი, მაგრამ ვერ მოურიგდა მენშევიკურ მთავრობას. მისი მძაფრი ეროვნული ინტერესები ვერ ჰგუობს ვერაფერს, რაც საქართველოს საკეთილდღეოდ არ ხდებოდა და ამიტომაც მიატოვა მალე სამინისტროს დირექტორის პოსტი. 1921-23 წლებში ასწავლიდა ვაჟთა მესამე ტექნიკუმში (ყოფილი ქართული გიმნაზია).

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ერეკლე ტატიშვილი 1922 წელს სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად გახდა წევრი ახლად დაარსებული ქართულ მწერალთა აკადემიური ასოციაციისა, რომლის შექმნაც მიზნად ისახავდა, უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში, კულტურული ავტონომიის შენარჩუნების გზით გადაერჩინათ ჩვენი ეროვნული სული.

აქტიურად თანამშრომლობდა ამ ასოციაციის ჟურნალ-გაზეთებში: „ილიონი“ „საქართველოს სამრეკლო“ (რედაქტორი: კონსტანტინე გამსახურდია), „პოეზიის დღე“ (რედაქტორი: ვახტანგ კოტეტიშვილი), „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ (რედაქტორი: პავლე ინგოროყვა), გამოაქვეყნა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ესეები და ერთი თარგმანიც, ედგარ პოს ლექსი პროზად „სიჩუმე“

(მეორე თარგმანი პოს ნოველისა „შავი კატა“ „კავკასიონის“ გამოცემის შეწყვეტის გამო აღარ დაბეჭდილა და დიდი ხანი არ არის, რაც პავლე ინგოროყვას არქივში აღმოჩნდა). „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციაში საერთაშორისო მიმოხილვის განყოფილება ებარა, მაგრამ გაზეთის გამოცემა პირველი ნომრის გამოსვლისთანავე შეწყდა.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის ლექტორად, 1927 წლიდან კი ასწავლიდა უცხო ენასა და ლიტერატურასაც.

1931 წელს ხელისუფლებამ დაარბია და საბოლოოდ დაშალა ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია და სხვებთან ერთად ერეკლე ტატიშვილიც გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან (17 მაისის სხდომაზე).

1935 წელს დააარსა უნივერსიტეტში უცხო ენათა კათედრა (დღევანდელ დასავლურ ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტის წინამორბედი) და იყო მისი პირველი გამგე.

სამეცნიერო ხარისხი ოფიციალურად არ დაუცავს, მაგრამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მაინც მიანიჭა ჯერ დოცენტის, შემდეგ კი პროფესორის წოდება.

რეპრესიებს ვერც სიცოცხლის ბოლოს გადაურჩა, თითქოს დევნის, დაპატიმრებისა და სამშობლოდან გაძევების აუტანელი ყოფა მანამ ცოტა ეგემოს. ჯერ თანდათანობით შეავიწროვეს, ჩამოართვეს საერთაშორისო სამართლისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსი. 1941 წლის 23 ივნისს სულაც დააპატიმრეს, როგორც ხელისუფლების თვალში არაკეთილსაიმედო, და ორ წელიწადზე მეტხანს დაჰყო თბილისის საპატიმროში.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა და უცხო ენების სწავლების გარდა ხელი მოჰკიდა

აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიის კურსს ახლად დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (1945 წ.)

მას მერე დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1946 წლის 1 თებერვალს. ერეკლე ტატიშვილის ცხედარი მისმა ერთგულმა უმცროსმა მეგობრებმა და მოწაფეებმა ხელით წაასვენეს მთაწმინდის უბნიდან - სადაც ერთ პაწია ოთახში ცხოვრობდა - და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე (მისი საფლავის ქვა ნიკო სამადაშვილმა ჩამოიტანა).

განუზომელია ერეკლე ტატიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, ჯერ მარტო როგორც პედაგოგისა: საერთაშორისო სამართლის, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტთა და მთარგმნელთა აღმზრდელის. შეიძლება ითქვას, რომ მისმა პიროვნულმა და მოძღვრულმა ღირსებებმა, მათ შორის, უკომპრომისო, თავგანწირულმა ხასიათმა და უაღრესად ფართო ლიტერატურულ-რელიგიურ, ფილოსოფიურ-იურიდიულმა განათლებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, რათა ჩვენი უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტების საკმაოდ მოზრდილსა და საუკეთესო ნაწილს შინაგანი მზერით გაერღვია თავსმოხვეული უკიდურესად დახშული სივრცე და ზიარებოდა საკუთარი მეობის გადარჩენისათვის აუცილებელ ნამდვილ, წარუვალ სულიერ ღირებულებებს: ერთი მხრივ, ქართული კულტურის წიაღიდან და, მეორე მხრივ, ადრეული თუ თანადროული ევროპული კულტურისა.

მის მოწაფეთა ლიტერატურული წერილობიდან და მოგონებებიდან ვიცით, თუ როგორი გულისხმიერებით და გულმოდგინებით ეკიდებოდა მათ პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს ერეკლე ტატიშვილი, როგორ მოუწყინრად, გვიან ღამემდე ასწორებდა მათს საუნივერსიტეტო კურსით გათვალისწინებულ თხზულებებს თუ თარგმნის ცდებს: თითოეული სიტყვის შერჩევას, თითოეული ფრაზის აგებას... რათა მერე მათთან ერთად განესაჯა: დაესაბუთებინა, დაერწმუნებინა, მათთვისაც მოესმინა. სხვაგვარად

ხორცი ვერ შეესხმებოდა უაღრესად გაბედულ ჩანაფიქრებს, განსაკუთრებით იმ მძიმე წუთებში: ღირსეული გამგრძელებელნი ჰყოლოდა ქართულ მეცნიერულ აზროვნებას, ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებას.

ამგვარი ჩანაფიქრი თავიდან თითქოს ოცნებას უფრო ჰგავდა, მაგრამ დღეს ნათლად ჩანს, თუ რარიგ დაუფასდა გარჯა და მონდომება ერეკლე ტატიშვილს: როგორი მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს მისმა აღმზრდელებმა ჩვენი ესთეტიკური აზროვნების, ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარებას.

ბუნებრივია, რომ მოწაფეებისათვის ერეკლე ტატიშვილი გამორჩეულ პიროვნულ თვისებათა გამო მხოლოდ იშვიათი მოძღვარი არა ყოფილა: იგი მათს წარმოდგენაში განასახიერებდა თითქმის მთელ სამყაროს, სადამდეც კი თვალი და გონება მიუწვდებოდათ. ეს ორი სტრიქონი მისი გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ლექსიდან, შეიძლება ითქვას, ყველას გულისთქმას გამოხატავდა და გამოხატავს -

შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.

ამგვარი შეფასება არაფრის დამატებას აღარ საჭიროებს.

ეს სტრიქონები კი ნიკო სამადაშვილს ეკუთვნის.

ის განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე, რაც ამ ორ პიროვნებას შორის არსებობდა და ასე ღრმად და ზუსტადაა აღწერილი ნიკო სამადაშვილის ერთ პირად ბარათში („შენ ორეულთან მე ხშირად ვსაუბრობ და

ის ბევრს, ძალზე ბევრს მიყვება ხოლმე შენი უცნაური ბუნების, იმ გამოქვაბულის ამბებს, სადაც შენ მარტოობას აღავლენ და სადაც დღემდე ძე - არსს თვალებში არ შეუნათებია. ამიტომ არის, რო ასე კარგად გიცნობ. მე შემიძლია მთელი დღე შენთან ვიდგე, შენ კრინტი არ დასძრა და შუაღამისას მე დავწერ, უსათუოდ დავწერ, რას ფიქრობდა შენი გული, გული ელდანაცემი და ტვინი უსაფრობით

დაღლილი და დატანჯული“), საცნაურს ხდის იმ თავისებურად უჩვეულო ფაქტს, რომ ნიკო სამადაშვილის პოეტური შთაგონება, მისი ლექსთა კრებულის მოუცილებელი ლიტერატურული ლანდი ერეკლე ტატიშვილია. ამას იოლად მიგახვედრებს რამდენიმე მხატვრული სახე, მუდმივი ეპითეტი ან რომელიმე დეტალი თუ მინიშნება, ლექსიდან ლექსში რომ მონაცვლეობს: და პირველ ყოვლისა, მოძღვრის ტრაგიკულ ყოფას, მის სულიერ ტკივილთა სიმძაფრეს გვაგრძნობინებს. მათგან ყველაზე ღრმააზროვანია ეპითეტი „კაცი ფასკუნჯი“, რაც დიდ იმედს, თავგანწირული არსებობის გამართლებას, დაფერფლილი სიცოცხლის ხელახალ აღიარებას გულისხმობს.

სულ რამდენიმე სტროფით კი ბევრგვარ განცდასა და ტკივილებს იტევს და ერეკლე ტატიშვილის ლიტერატურული (და რეალური) სახის შთამბეჭდავ შტრიხებსაც თვალსაჩინოსა და ჩვენთვის მახლობელს ხდის -

რა საოცარი იყო შენი მარადისობაც:
დევნილ სიცოცხლეს ბნელ სიზმრების ჯანყი მალავდა.
დრო საუკუნის ჯახაჯუხში ჩაისრისება
და ეგ ცხოვრებაც მოთავდება, როგორც ბალადა.

ანდა -

აქ არის რაღაც მწველი სიამე,
გულს რომ ჩასტირი და იმალები,
შენი საკანი თეთრი ღამეა.
ან დაღუპული კაცის თვალები...

აგეკვიატე, ნეტა რა ჭირად?
შენ რას აგწერდა რემბრანტის ფუნჯი.
ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს,
და თვალებიდან მოსჩანს ფასკუნჯი.

საერთოდ ერეკლე ტატიშვილის სახის მხატვრული გააზრება სულაც არაა შემთხვევითი: იგი არის ერთი ნოველის პერსონაჟიც (ოთარ

ჩხეიძის „ნაკაკლნარი“) და ორ რომანშიც გამოჩნდება, ერთგან როგორც პროტოტიპი ერთ-ერთი გმირისა იგულისხმება ეგნატე ლაზიშვილი კოტე ხიმშიაშვილის რომანიდან „ჯონქა ხორნაული“), მეორეგან კი, თუმც მიუთითებლად, მაგრამ სრულიად აშკარად, თვითონ მისი

ლიტერატურული პორტრეტია დახატული (ოთარ ჩხეიძისავე „ცხრაწყარო“). ერეკლე ტატიშვილია შთამაგონებელი თურმანის ტრაგიკული სახითაც ბასილ მელიქიშვილის ამავე სახელწოდების ვრცელ მოთხრობაში.

აქვე დავურთავ: ერეკლე ტატიშვილს მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ ესეების წიგნი „ახალი ევროპა“; აგრეთვე, ნიკო სამადაშვილმა პროზაული თხზულება „შეხვედრები და სინანული“.

მისი ცხოვრების ერთი სურათი გაიელვებს შალვა ნუცუბიძის მემუარულ წიგნში „ადამიანები და შეხვედრები“, ხოლო ტერენტი გრანელი აკაკი ანდრიაშვილთან გაგზავნილ ბარათში ასეთი განსაკუთრებული განცდით იხსენებს საღამო ხანის ერთ სცენას: „საღამოა, ვარ ალექსანდროვის ბაღში, მოდის საშინელი წვიმა, გარბიან და ეძებენ თავშესაფარს. ამავე დროს ვხვდები ყოველთვის საყვარელ ადამიანს ირაკლი ტატიშვილს. ვესალმებით ერთმანეთს. გამიხარდა ფოტოგრაფს აპარატი რომ დაუსველდა, მეუბნება ირაკლი. მე ვგრძნობ ამ სიხარულს, მხოლოდ არ მითქვამს. ვისაუბრეთ დიდხანს, გვქონდა შენზე ლაპარაკი. შემდეგ დავშორდით ერთმანეთს, ის განმარტოებით წავიდა ოთახისაკენ. მე ეხლაც მახსოვს ის წვიმიანი საღამო, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება“.

რაც შეეხება ერეკლე ტატიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი მხატვრული და მთარგმნელობითი მემკვიდრეობა არ არის დიდი და ბოლო ხანებამდე მთლიანად ესეც კი არ იყო ცნობილი.

მისი თანამშრომლობა ქართულ სალიტერატურო პრესაში შეწყდა: აკადემიური ასოციაციის უკანასკნელი ჟურნალის „ახალი

კავკასიონის“ გამოცემის შეწყვეტასთან (1925 წ.) ერთად.

იგი ჩვენს მწერლობაში, ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დარჩება მინდიას ბადალ პიროვნებად - ამაღლებულ და იდეალურ ნიმუშად უკომპრომისობისა. მთელი მწერლობა ამ გზით ვერ ივლის, რომელიც ერეკლე ტატიშვილმა აირჩია - საბჭოთა წყობილების განმტკიცების მერე, როცა შეუძლებელი შეიქმნა წრფელი აზროვნება, გარემომცველი ყოფისა და მსოფლმხედველობის პირუთვნელი შეფასება, მან დასდო კალამი და აღარაფრის დაწერა აღარ უცდია, რადგან მისი პიროვნული ბუნებისათვის სრულიად წარმოუდგენელი იყო მცირე კომპრომისიც კი. არადა, უამისოდ არაფერი მოხერხდებოდა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, განსაკუთრებით მისი აღზევების ჟამს, ცხადია, მართებულია გარკვეული კომპრომისები, თუ ის გამიზნულია არა პირადი კეთილდღეობის, არამედ საქვეყნო თუ ლიტერატურული ინტერესებისათვის: ეს რომ არა, არაერთი დიდებული თხზულება ხელთ არ გვექნებოდა... მაგრამ ერის ცხოვრებაში უნდა არსებობდეს ისეთი პიროვნებაც, სწორედ მინდიასნაირი იდეალური სახე, ვინც სამსხვერპლოდ მიიტანს თავს და სულ მცირე კომპრომისსაც არ შეეგუება.

ამიტომ იყო, თავის მეგობარს, ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურას, რომ უსაყვედურა:

„წერას თავს რატომ არ დაანებებ, ამათ ხელში როგორღა წერო“.

„რომ არ დავწერო, დავიხრჩობიო“, მიუგია იმას.

„ჯობია, დაიხრჩოო...“

დიახ, ამ გზით მწერლობა ვერ ივლის, მაგრამ ასეთი ლეგენდარული ამბები გამორჩეულად ამშვენებს მის ისტორიას.

ხოლო აკადემიური ასოციაციის პრესაში გამოქვეყნებული ესეებიდან სამი ნამდვილი შედევრია: „კრიშნა“, „საკია-მუნი“ და „ფრიდრიხ ნიცშე“. ამას გარდა დაბეჭდა: „ექსტასის“, „ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ“, პეტრე მელიქიშვილისადმი მიძღვნილი

ესკიზი, რეცენზიები გრიგოლ რობაქიძის დრამაზე „ლონდა“ და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების პირველ წიგნზე „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“... უფრო ადრე გამოქვეყნებული ჰქონდა ესეი ბარათაშვილზე „სიჭაბუკის მგოსანი“.

მათი მნიშვნელობა განიზომება არა რაოდენობით, არამედ ზემოქმედების ხანგრძლივობით.

ერეკლე ტატიშვილის ესეების მხატვრულ-ეროვნული სტილი უაღრესად დახვეწილია, ექსპრესიული და შესამჩნევად რიტმული, რის ნიმუშადაც თუნდ ეს ფრაგმენტი გავიხსენოთ „საკია-მუნიდან“.

„რომელი შეიმეცნებს წყაროს მწუხარებისას და მოთმინებით გადაიტანს; რომელი სიყვარულით და ჭეშმარიტებით ისწრაფის წარსულის ვალი მოიხადოს; რომელი დასდგება შემბრალეთა და მართალთა გზას; რომელი ამოჰგლეჯს გულს სურვილის სისხლიან ფესვს და უარყოფს ცხოვრების სიყვარულს; მიცვალებულის შემდეგ აღარ იარსებებს არსებობით, რომელსაც თქვენ ცხოვრებას უწოდებთ. ქვეყნიერების მხიარულება და მწუხარება ვეღარ დაარღვევს მის მშვიდობას. იგი დაიმკვიდრებს ნირვანს, ჩვენებრ აღარ იარსებებს და არსთან ერთად იქმნება.

ასეთია კ ა რ მ ა ს მოძღვრება, ოდეს განიწმინდებით ცოდვის ჟანგისაგან, ოდეს გაჰქრება ცხოვრება, როგორც დამწვარი სანთელი, სიკვდილი მხოლოდ მაშინ მოკვდება. ისმინეთ ოთხი ჭეშმარიტება: სცანით მწუხარება; სცანით მიზეზი; სცანით სურვილის უარყოფა; სცანით გზა თავშესაფრისა. მხნე სული იჩქარის; სუსტი აგვიანებს, მაგრამ ყოველი მიაღწევს თეთრს გასხივოსნებულს მწვერვალს“.

ერეკლე ტატიშვილი ერთადერთი პიროვნება იყო ქართულ სინამდვილეში, ვისაც შეეძლო შეექმნა „რელიგიათა ისტორია“, განსაკუთრებულ ზეგავლენას რომ იქონიებდა ჩვენს აზროვნებაზე თავისი სიღრმითა და შთაბეჭდილებით, ჩაფიქრებულიც ჰქონდა, მაგრამ მისგან მხოლოდ ნამსხვრევები (ესეები საკიამურსა, კრიშნასა და ნიცშეზე) გვიპყრია ხელთ.

ასეთი ნამსხვრევები მის პირად წერილებშიც გაკრთება, ესეებივით რომ არის დაწერილი: შეჭირვებულ სულს ამ ბარათებით ითქვამს, თავის მოწაფეებს რომ სწერდა და უღრმესი განცდების თანამოაზრედ ხდიდა; „ოცნება, სიზმრები, გამოფხიზლება, სასოწარკვეთა, ახალი სიზმრები, ახალი თავის დაკარგვა და ესე სამარემდე - განა ეს არ არის ცხოვრება. განა შენ განდგომაში მეტი სიზმრები არ გვევლინება, ვიდრე ოდეს შენიანებთან ხარ. რაც ბინდისას და რიჟრაჟზე ნამეხარად და ნანგრევებად გვევლინება, იგი ნამდვილად მკვდარია, თუნდაც ძვირფასი. ბევრი და შენც მათ შორის, მეც ცოდვილი, ხშირად ბინდს ვიქმნით და ბნელის იმედისგან ცისფერ ძოწეულში ვბერავთ, უცდით რიჟრაჟს და ველით სასწაულს და ვაი მათ, ვისაც რწმენისათვის სასწაული სჭირდება“ (ბასილ მელიქიშვილთან მიწერილი ბარათიდან. 1929 წ., 1 აგვისტო).

ერეკლე ტატიშვილს თარგმნილი ჰქონდა ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობა“, მაგრამ გამოსაცემად გამზადებული წიგნი, სამწუხაროდ და აუხსნელი შემთხვევის გამო, სტამბაში დაკარგულია... მისი სახელი გაიელვებს გრიგოლ წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის შესავალში, სადაც ჩვენი სახელოვანი ელინისტი გულითად მადლობას უხდის სამ მთარგმნელს, მათ შორის, ერეკლე ტატიშვილს, რომელთაც მის მეირ რუსულად დაწერილი წიგნი ქართულად გადმოიღეს...

თარგმნა რამდენიმე პიესაც თავისი დისწულის რეჟისორ გიორგი ჟურულის თხოვნით: ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (პირველად დაიდგა 1935 წელს), ბერნად შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, რომლის დადგმაც ვეღარ მოხერხდა დაბეჭდვით კი საკმაოდ მოგვიანებით დაიბეჭდა, ოღონდ სრულად, განსხვავებით შილერის პიესისაგან, რომლისაც მხოლოდ სამონტაჟო ტექსტი აღმოჩნდა და გამოქვეყნებისას მისმა მოწაფეებმა შეავსეს... რაც შეეხება მაქსიმ გორკის „ეგორ ბულიჩოვს“, მისი თარგმანის დედანი ჯერჯერობით მიუკვლეველია.

რასაკვირველია, ერეკლე ტატიშვილის შემოქმედებითი

მოღვაწეობის გვირგვინი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ თარგმანია.

თავის დროზე ნიცშეანელობა ლამის ახალ რელიგიად გადაიქცა, ხოლო ზარატუსტრაში განხორციელებული ნიცშე - ახალი რელიგიის ფუძემდებლად... ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული პოულობა მოიპოვა ევროპაში და იქიდან დაძრულმა ტალღამ საქართველოშიც შემოაღწია: ევროპაში განსწავლული ახალგაზრდების წყალობით, იქნებოდა ეს გრიგოლ რობაქიძე თუ კონსტანტინე გამსახურდია, დავით კასრაძე თუ კონსტანტინე კაპანელი (გ. რობაქიძე და დ. კასრაძეს ჯერ კიდევ 1911 წელს მძაფრი პოლემიკაც მოუხდათ ნიცშეს ნააზრევის ირგვლივ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე)... და მათ შორის იყო ერეკლე ტატიშვილიც, ნიცშეს მიმდევარი, რომლის ესეიც ამ დიდ ფილოსოფოსის აზროვნების ევოლუციაზე გამოირჩევა უზუსტესი დაკვირვებებით. ესეის საფუძვლად დაედო ის სიტყვა, რომელიც ბატონმა ერეკლემ წარმოსთქვა 1922 წელს ნიცშესადმი მიძღვნილ საღამოზე.

ერეკლე ტატიშვილი არა მარტო „ზარატუსტრას“ არსს, მის ფარულ ხვეულებს წარმოაჩენს, არამედ

თვალნათლივ გადაგვიშლის თვითონ ფილოსოფოსის, ამ უკიდურესობათა ჯადოქრისა და ახალი სიტყვის მაუწყებლის სულიერ ტრაგედიას, სადაც ნიცშე ერთდროულად გვევლინება გმირად, ჯალათად და მსხვერპლად.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რასაც სოსო ზაალიშვილის მოგონებიდან ვიგებთ: როცა გერმანიაში გადაუწყვეტიათ ნიცშეს დაბადების დღის აღნიშვნა, დიდი ფილოსოფოსის დას თხოვნით მიუმართავს ყველა ქვეყნის ნიცშეანელისათვის, დაეწერათ მოგონებები. ასეთი წერილი ერეკლე ტატიშვილსაც ჩამოსვლია, რაც ნათლად მეტყველებს მის ავტორიტეტსა და პოპულარობაზე ნიცშეანელთა წრეში. მაშინ იგი გერმანულ ენას ასწავლიდა სკოლაში და თავის მოწაფეებს: მიხო ბერიტაშვილსა და აკაკი ანდრიაშვილს, როგორც მხატვრის უნარით დაჯილდოებულთ, დაავალა დაეხატათ

- ბერიტაშვილს ნიცშეს პორტრეტი, ანდრიაშვილს კი დედაკაცი მათრახით „ზარატუსტრადან“. მოწაფეებს შეუსრულებიათ დავალება და მას დიდი პაკეტით გაუგზავნია გერმანიაში (თავისი წერილიც გაგზავნა თუ არა, ეს მკაფიოდ არა ჩანს მოგონებიდან).

რაც შეეხება „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ქართულად ამეტყველებას, ეს მანამდეც უცდიათ: როგორც კონსტანტინე გამსახურდია იხსენებს თავის მოგონებებში („ლანდებთან ლაციცი“), მას მოუნდომებია ამ საქმის შესრულება, მაგრამ, როგორც ჩანს, სურვილი სურვილად დარჩენია, ყოველ შემთხვევაში გამოქვეყნებით არაფერი გამოუქვეყნებია.

1915 წელს გაზეთ „სამშობლოში“, რომელსაც ია ეკალაძე რედაქტორობდა, ანონიმურად დაიბეჭდა ერთი პატარა ფრაგმენტის თარგმანი „ზარატუსტრადან“.

წლების მერე გაზეთ „ლომისის“ ფურცლებზე (1923 წლის 1 აპრილი) გამოქვეყნდა „ზარატუსტრას წინასწარ თქმა“, რომელიც - მითითების მიხედვით - თარგმნილია გერმანულიდან, მაგრამ მთარგმნელის გვარი არც აქ არის მოხსენიებული (რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, ეს თარგმანი ეკუთვნის დავით კაკაბაძეს).

უცდიათ მოგვიანებითაც, 50-იან წლებში, სახელდობრ შოთა ჩანტლაძეს (ვისთვისაც ალბათ უცნობი იქნებოდა ერეკლე ტატიშვილის თარგმანის არსებობის ფაქტი) - გამოქვეყნებით მაშინ ბუნებრივია, ვერ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ პოეტის არქივში შემონახულია „ზარატუსტრას“ წინასიტყვისა და კიდევ რამდენიმე ქადაგების თარგმანი.

ცდები კი ცდებად დარჩენილა, მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენს სინამდვილეში ამ ფილოსოფიური რომანის სრული თარგმანი არსებულა.

თითქოს საკმარისი დრო გვაშორებს მისი შექმნიდან (იმ უმძიმესი წლებიდან, როცა ასეთი საქმიანობა, არსებითად, თავგანწირვას უტოლდებოდა), მაგრამ ამ თარგმნის ზემოქმედების ძალა, ენობრივი

აქტივობა და სტილური ბრწყინვალება შეუძლებელია ვიწრო საზღვრებში ჩაეტიოს და, ამდენად, ოცი-ოცდაათიანი

წლები მხოლოდ გარკვეული ქრონოლოგიური მაჩვენებელია, რომელიც სხვა მხრივ უაღრესად საგულისხმოა, მაგრამ თარგმნის მხატვრული ღირებულების შეფასებისას ნაკლებმნიშვნელოვანი.

ეს თარგმანი უპირველესად ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების კუთვნილებაა, საერთოდ, ქართული კულტურის კუთვნილება.

ეს არის ერთ-ერთი რჩეული თარგმანი ჩვენს მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიაში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებში ოდნავადაც არაფერია გადაჭარბებული.

მიუხედავად იმისა, რომ თვით მთარგმნელი მას ალბათ, ჯერ კიდევ არ თვლიდა მთლად დასრულებულად და, რომ დასცლოდა, გააგრძელებდა ცალკეული ადგილების დახვეწასა და დაზუსტებას, ამ სახითაც შთაბეჭდილება ძალზე დიდია.

რადგანაც ჩვენში თარგმანის უმაღლეს შეფასებას გამოხატავს განსაზღვრება ქ ა რ თ უ ლ ი (ქართული ბიბლია, ქართული შექსპირი...), უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თურმე ჩვენ გვქონია ქართული ზარატუსტრაც ქართულ ენობრივ სამოსელში მოქცეული ეს „სისხლით დაწერილი წიგნი“, იმ რანგისა და ყაიდის თხზულება, რომელთა შეცნობის სირთულესაც თვითონ ნიცშე ასე თვალნათლივ და ხატოვნად გადაგვიშლის;

„ყოველ დაწერილთა შორის მიყვარს იგი, რაც ადამიანს თავისი სისხლით დაუწერნია, სისხლით სწერდე და შეიტყობდე, რომ სისხლი სულია.

ადვილი არ არის სხვისი სისხლის შეცნობა: მძულს უსაქმურნი მკითხველნი...

რომელი სისხლითა და იგავებით სწერდეს, არა ისურვოს, რათა მას

კითხულობდნენ, არამედ იზეპირებდნენ.

მათში მწვერვალიდან მწვერვალამდე უმოკლესი გზაა: ხოლო ამად ჯერ არს გრძელი ფეხები გქონდეს. იგავნი უნდა მწვერვალთა მზგავსნი იყვნენ: და რომელთ იგავებით ელაპარაკებიან ტანადნი და მაღლად ზრდილნი“.

და მთავარი ის გახლავთ, რომ ქართული თარგმანი ზუსტად ამავე განცდებს ბადებს.

მაგრამ აქ უთუოდ აღიძვრის ერთი შეკითხვა, რაც ლიტერატურის ფარგლებს კი სცილდება, მაგრამ თავისთავად დამაფიქრებელია: როგორ მოხდა, რომ ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრებისას თარგმნის ხელნაწერი გადარჩა, თან არ წაიღეს და კიდევ ერთ ბრალდებად არ წაუყენეს?

როგორც მისი მოწაფეები გადმოგვცემენ, სრულიად უბრალოდ: როგორც ჩანს, ერეკლე ტატიშვილს თავიდანვე სიფრთხილე გამოუჩენია და თარგმანის თავფურცელზე არ წაუწერია ნიცშეს სახელი, არც წიგნის სახელწოდება, პირდაპირ ასე იწყებოდა - „ოდეს ზარატუატრას შეუსრულდა ოცდაათი წელი, მიატოვა სამშობლო თვისი და სამშობლოს ტბა და განვიდა მთად...“ და სწორედ ამ სიფრთხილემ უშველა. იმათ ხელნაწერი ხელშიც ატრიალეს, ფურცლები იატაკზეც გადმოყარეს და მიფანტ-მოფანტეს, ფეხითაც გადაუარეს, მაგრამ მაინც ვერაფრით გაარკვიეს, რა უნდა ყოფილიყო... სხვათა შორის, ასევე გადარჩა კედელზე გაკრული ნიცშეს პორტრეტიც; ვეება ულვაშების გამო გორკის მიამგვანეს...

ერეკლე ტატიშვილის გარდაცვალების მერე თარგმანის ხელნაწერი ინახებოდა მის არქივში მემკვიდრეებთან. არქივი ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მხოლოდ ბოლო ხანებში გახდა შესაძლებელი მისი გამოქვეყნება; ფილოსოფიის ინსტიტუტის დიდი მონდომებითა და მხარდაჭერით.

„მაცნის (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია)“ 1988 წლის 1

ნომრიდან გაგრძელებებით დაიწყო ამ თარგმანის ბეჭდვა.

და, აი, წიგნადაც გამოიცა.

და ეს ფაქტი ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გარდა შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულებისა, „ზარატუსტრას“ ქართული თარგმანის გულდასმით გაცნობასა და შესწავლას, მთარგმნელობით ხერხებზე დაკვირვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დღევანდელი მთარგმნელობითი საქმიანობისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკა თითქმის მთლიანდ ახალია, თარგმანის რიტმი და ენობრივი სტილი ჰქმნის ბიბლიისებურ სურნელებასა და ეს სწორედ ის სტილია, რა სტილითაც უნდა ითარგმნოს დღეს ბიბლიური წიგნები.

ამ რიტმისა და ენობრივი სტილის მიგნება, ნიჭიერებისა და ფართო განათლების გარდა, ხანგრძლივი გარჯისა და ჯაფის ნაყოფიცაა. ვარაუდის გამოთქმა ისედაც შეიძლებოდა, მაგრამ ამას ისიც მოწმობს, რომ ერეკლე ტატიშვილს ჯერ ცოტა სხვაგვარი რიტმითა და ენობრივი სტილით დაუწყია თარგმნა (იქამდე, ბუნებრივია, გულმოდგინე ძიებების შედეგად უნდა მისულიყო), დაახლოებით ათი-თორმეტი გვერდი რომ უთარგმნია, რაღაც არ მოსწონებია და თარგმანს ხელახლა შესდგომია, ის რიტმი და ენობრივი სტილი უფრო გაუღრმავებია და დაუხვეწავს. თუმცა უაღრესად მდიდარი ენობრივი მარაგი ჰქონდა, ლექსიკონები კიდევ ერთხელ გულდასმით შეუმოწმებია და ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ცალკეც ამოუწერია.

ზემოთ შევნიშნეთ, მთარგმნელს რომ დასცლოდა, ცალკეული ადგილების დახვეწასა და დაზუსტებას გააგრძელებდა-მეთქი.

ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ვითარება, რომ ზოგჯერ ტექსტში პირდაპირ გერმანული სიტყვა წერია, ზოგჯერაც მისი რუსული თუ ფრანგული მნიშვნელობანი. ეტყობა მთარგმნელი ზუსტი ქართული შესატყვისების ძიებას განაგრძობდა (ამავე მიზეზით ორიოდეჯერ

მთელი ფრაზაა დატოვებული უთარგმნელად). საამისო მაგალითი ძალზე მცირეა. შედარებით უფრო ხშირად გვხვდება რომელიმე სიტყვასთან მიწერილი მისი სინონიმური სიტყვა ისე, რომ არაფერი გადაშლილი არ არის. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ მთარგმნელი არჩევდა, საბოლოოდ რომელი დაეტოვებინა, ალბათ უფრო მეორე ვარიანტი, რადგან როგორც ორიგინალთან შედარებისას ირკვევა, მეორედ მიწერილი სიტყვა ზუსტია და სტილისტურადაც უფრო მარჯვე.

ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს ეს ვითარება გავითვალისწინეთ.

ერთი საგულისხმო მომენტიც იქცევს ყურადღებას.

„ზარატუსტრას“ მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს თვითონ ამ ფილოსოფიური რომანიდან ამოღებული ციტატები. ქართულ თარგმანში მეოთხე ნაწილს ეპიგრაფი არა აქვს (ალბათ მთარგმნელი ტექსტიდანვე ამოიწერდა იმ რამდენიმე მუხლს). ოღონდ თუ მეორე და მესამე ნაწილის ეპიგრაფებს ტექსტში შესაბამის ადგილებს შევუდარებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ ერეკლე ტატიშვილს ეპიგრაფებისათვის ის მუხლები პირდაპირ კი არ გადმოუტანია, არამედ ახალი ვარიანტები შეუქმნია. ცოტა სხვაგვარად გადმოაქვს იმ თავების სათაურებიც, საიდანაც ციტატებია ამოღებული.

თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ ამ ფრაგმენტის ორივე ვარიანტი.

ტექსტშია:

„... და მხოლოდ ოდეს ყველა უარმყოფთ, კვლავ მოვალ თქვენთან.

ჭეშმარიტად, ძმანო, სხვა თვალით მოგძებნით მაშინ ჩემს მიერ დაკარგულთ, სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ მაშინ“ (ნაწ. 1, „გამცემი სიქველისათვის“).

მეორე ნაწილის ეპიგრაფადაა:

„ - და ოდეს ყველანი უარმყოფთ, კვლავ დაგიბრუნდებით.

ჭეშმარიტად, სხვა თვალით გძებნით მაშინ, ძმანო, ჩემ მიერ დაკარგულთ; სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ მაშინ“ (გამღები სიქველისათვის“).

განსხვავება არაარსებითი, მაგრამ მაინც შესამჩნევია. როგორც შედარებისას ირკვევა, მეორე ვარიანტი კიდევ უფრო ზუსტია დედანთან. ასევეა მესამე ნაწილის ეპიგრაფიც. ამიტომაც „ზარატუსტრას“ ტექსტში ეპიგრაფების მიხედვით შესწორდა შესაბამისი ადგილები.

რაც შეეხება გერმანულადვე (ან რუსულად თუ ფრანგულად) მიწერილ სიტყვებს, პირობითად დაზუსტდა ეს სულ ოციოდე სიტყვა და რამდენიმეც უთარგმნელად დატოვებული თუ შემთხვევით გამორჩენილი ფრაზაც.

სხვა არავითარი შესწორება არ არის შეტანილი ტექსტში. თარგმანი იბეჭდება იმ სახით, იმ ენობრივი ნორმების დაცვით, როგორც ერეკლე ტატიშვილს ჰქონდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მანანა გელაშვილის წერილი: მან თავის დროზე, ერეკლე ტატიშვილის არქივის შესწავლისას, როცა „ზარატუსტრას“ თარგმანის გამოქვეყნებაზე ოცნება თუ შეიძლებოდა, მანქანაზე გადაბეჭდა მთელი ტექსტი (ვარიანტული წაკითხვებით), რათა საჭიროების შემთხვევისას, ასე თუ ისე, მზად ჰქონოდა. ცოტა მოგვიანებით ეს გადაბეჭდილი ცალი მე გადმომცა.

როგორც კი გამოქვეყნების საშუალება გაჩნდა (ანუ ეს საშუალება მიზანდასახულად მოვამზადე), გადაბეჭდილი ტექსტი ხელახლა შევადარე ხელნაწერს და არაერთი უნებლიე უზუსტობა თუ ბუნდოვანება გავასწორე (ეს უკვე შედარებით იოლი იყო), მაგრამ ასე უანგაროდ ნაჩუქარი ტექსტი ძალიან გამომადგა.

დაბოლოს, ორიოდე ბიბლიოგრაფიული ცნობაც:

„ზარატუსტრას“ მთარგმნელის პიროვნებასა და ღვაწლზე შესანიშნავად, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომითა და სიმართლითაა მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის ესეიში „ერეკლე ტატიშვილი“

(წიგნში: „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, 1975) და მისივე ვრცელ ლიტერატურულ ნარკვევში „ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან“ (წიგნში: „ძვირფასი სილუეტები“, 1989). ზოგიერთი ცნობისათვის იხ. აგრეთვე მანანა გელაშვილის „ერეკლე ტატიშვილი“ („ლიახვი“, 1986) და ჩემი ესეი „სევდა ერეკლე ტატიშვილისა“ („ცისკარი“, 1986, №6).